ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

Proceedings of Materials of International Scientific Conference
Dedicated to the 120th Birth Anniversary ofAcademician Paata Gugushvili

ECONOMIC SECUITY OF GEORGIA: CURRENT STATE AND CHALLENGES

თბილისი 2025 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან
120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული

„საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“

(11-12 ოქტომბერი, 2025)

Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 120th Birth Anniversary of
Academician Paata Gugushvili

“ECONOMIC SECURITY OF GEORGIA: CURRENT STATE AND CHALLENGES”

(11-12 October, 2025)

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

თბილისი Tbilisi
2025

UDC (უაკ) 338(47+57)33(479.22)(063)
პ – 645

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობიოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები
Materials of reports made at the international scientific conference held by Paata Gugushvili Institute of Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2025

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: *რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ასლანიშვილი, თ. არნანია-კეპულაძე, თ. ბერიძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ლ. თოთლაძე, თ. ლაზარაშვილი, მ. მუჩიაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, ა. სულაბერიძე, მ. ტვარონავიჩიენე, ქ. ქველაძე, ა. შევჩუკი, ა. ჩეჩელი, მ. ხუსკივაძე. რ. ჯავახიშვილი*

Scientific-editorial Board: ***R. Abesadze (Editor-in-Chief), T. Arnania-Kepuladze, D. Aslanishvili, T. Beridze, G. Berulava, N. Bibilashvili (Executive Secretary), V. Burduli, A. Chechel, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, K. Kveladze, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, M. Muchiashvili, V. Papava, S. Pavliashvili, A. Shevchuc, A. Silagadze, A. Sulaberidze, M. Tvaronavičienė, L. Totladze***

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა
Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხეოდეს ავტორის აზრს და
იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე
The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2025

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU, 2025

ISBN 978-9941-36-420-4

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი:

რამაზ აბესაძე (თავმჯდომარე) – ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
ავთანდილ სილაგაძე – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი
მიხეილ ჯიბუტი – აკადემიკოსი
სოლომონ პავლიაშვილი – აკადემიკოსი
ნოდარ ჭითანავა – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ანზორ აბრალავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
ევგენი ბარათაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
გივი ბედიანაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი
თეიმურაზ ბერიძე – თსუ პროფესორი
გიორგი ბერულავა – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი
ვახტანგ ბურდული – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი
მურმან კვარაცხელია – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი
ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ პროფესორი
ავთანდილ სულაბერიძე – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი
გიორგი ღაღანიძე – თსუ პროფესორი
თეიმურაზ შენგელია – თსუ პროფესორი
ლალი ჩაგელიშვილი – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნათია წიკლაშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ეთერ ხარაიშვილი – თსუ პროფესორი
თეა ლაზარაშვილი – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის დოქტორი
მამუკა ხუსკივაძე – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი
რევაზ ჯავახიშვილი – ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი
თამილა არნანია-კეპულაძე – აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნანა ბიბილაშვილი – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ბადრი გეჩბაია – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
თეიმურაზ გოგოხია – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ნატა დავლაშერიძე – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ლინა დათუნაშვილი – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
გულნაზ ერქომაიშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ლია თოთლაძე – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
გოჩა თუთბერიძე – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი
ეთერ კაკულია – ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი
ნაზირა კაკულია – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
გივი ლემონჯავა – ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
მარინა მუჩიაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
დალი სოლოღაშვილი – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ფატი შენგელია – უნივერსიტეტი – ევროპული აკადემია, ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის უცხოური წევრები

ფრენკ არაუჰო – პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი (კალიფორნია, აშშ)
ლარისა ბელინსკაია – ვილნიუსის უნივერსიტეტი
ალინა ბეტლეი - ლუბლინის იოანე პავლე II კათოლიკური უნივერსიტეტი ლუბლინში, პროფესორი (პოლონეთი)
მიხეილ გოლოვნინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, დირექტორი
რუსლან გრინბერგი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი
სიმონე გუერჩინი – ფლორენციის უნივერსიტეტი
ბარნი ერედია – პროფ., საგანმანათლებლო კონსორციუმის ინსტიტუტის პრეზიდენტი (ქ. აპტოსი, კალიფორნია, აშშ)
ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი
ტომას დ. ვილეტი – კლერმონტის უნივერსიტეტი
ელდარ ისმაილოვი – ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
გინდრა კასნაუსკიენე – ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა
სტივენ კოენი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფ., მდგრადი მენეჯმენტის სკოლის დირექტორი (ქ. ნიუ იორკი, აშშ)
ტადეუშ პოპლავსკი – ბიალისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პროფესორი (პოლონეთი)
სლავომირ პარტიცკი – ლუბლინის იოანე პავლე II კათოლიკური უნივერსიტეტი ლუბლინში, პროფ. (პოლონეთი)
ჩეჩელი ანა – კემბრიჯის ბიზნესსკოლი, მკვლევარი (დიდი ბრიტანეთი) და მარიუპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (უკრაინა)
ჯეფრი საქსი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს მთავარი მრჩეველი (ქ. ნიუ იორკი, აშშ)
დაროლ ჯ. სტეინლი – პეპერდაინის უნივერსიტეტი
ალექს სტუპნიცკი – ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი
ადამ ნიუმენ ტიორნერი – მენეჯმენტის პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი (ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თეიმურაზ გოგოხია (*ხელმძღვანელი*), გოჩა გოგუაძე, ნინო კედია, ეთერ ჯაბანაშვილი

SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE:

Ramaz Abesadze (Chairman) – Director of the Institute, Professor
Vladimir Papava – Academician, Professor of TSU
Avtandil Silagadze – Academician, Professor of TSU
Mikheil Jibuti – Academician
Solomon Pavliashvili – Academician
Nodar Chitanava – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
Anzor Abralava – Professor of Georgian Technical University
Evgeni Baratashvili – Professor of Georgian Technical University
Givi Bedianashvili – Professor of European University
Teimuraz Beridze – Professor of TSU
George Berulava – Chief of Department of the Institute, Professor
Vakhtang Burduli – Chief of Department of the Institute, Professor
Lali Chagelishvili – Professor of Guram Tavartkiladze Teaching University
Giorgi Gaganidze – Professor of TSU
Eter Kharaishvili – Professor of TSU
Murman Kvaratskhelia – Chief Research Fellow of the Institute, Professor
Elguja Mekvabishvili – Professor of TSU
Teimuraz Shengelia – Professor of TSU
Avtandil Sulaberidze – Professor of Institute of Demography and Sociology
Natia Tsiklashvili – Professor of Shota Rustaveli Batumi State University
Tea Lazarashvili – Deputy Director of the Institute, Academic Doctor
Mamuka Khuskivadze – Chief of Department of the Institute, Academic Doctor
Revaz Javakhishvili – Chief of Department of the Institute, Academic Doctor
Tamila Arnania-Kepuladze – Professor of A. Tsereteli State University
Nana Bibilashvili – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Lina Datunashvili – Chief Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Nata Davlasheridze – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Gulnaz Erkomaishvili – Associate Professor of TSU
Badri Gechbaia – Professor of Shota Rustaveli Batumi State University
Teimuraz Gogokhia – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Lia Totladze – Chief Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Gocha Tutberidze – Professor of European University
Eter Kakulia – Senior Research Fellow of the Institute, Academic Doctor
Nazira Kakulia – Associate Professor of TSU, Academic Doctor
Givi Lemonjava – Associate Professor of Georgian University
Marina Muchiashvili – Associate Professor of TSU, Academic Doctor
Pati Shengelia – Associate Professor of Teaching University, European Academy
Dali Sologhashvili – Professor of A. Tsereteli State University

SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE (FOREIGN MEMBERS)


Frank P. Araujo – University California at Berkeley, Professor (USA)
Larisa Belinskaia – Vilnius University, Professor (Lithuania)
Alina Betlej - The John Paul II Catholic University of Lublin, Professor (Poland)
Anna Chechel – 1, Researcher (United Kingdom) and Mariupol State University, Professor (Ukraine);
Steven Cohen - Columbia University, Professor (USA)
Barney Eredia – Educational Consortium Institute, Professor (USA)
Mikhail Golovnin – Institute of Economics of RAS, director, Corresponding Member of RAS (Russia)
Ruslan Grinberg – Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)
Simone Guercini – University of Florence, Professor (Italy)
Eldar Ismailov – Caucasus Institute of Strategic Researches, Professor (Azerbaijan)
Gindra Kasnauskiene – Vilnius University, Professor (Lithuania)
Slavomir Partycki – The John Paul II Catholic University of Lublin, Professor (Poland)
Tadeusz Poplavski – Bialystok University of Technology, Professor (Poland)
Jeffrey D. Sachs – Columbia University, Professor (USA)
Darrol J. Stanley – University of Pepperdine, Professor (USA)
Oleksiy Stupnitskyy – Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor (Ukraine)
Adam Newman Turner – Leicester University, Professor (United Kingdom)
Wolfgang Weng – Technical University of Berlin, Professor (Germany)
Thomas D. Willet – Claremont Graduate University, Professor (USA)

ORGANIZING GROUP OF THE CONFERENCE:

Teimuraz Gogokhia (Head), Gocha Goguadze, Nino Kedia, Eter Jabanashvili

.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი – 120



1905-1987

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა[1]

დიდი და შინაარსით აღსავსეა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ განვლილი გზა. ქართული საზოგადოებრიობა, საქართველოს ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ-მასწავლებლები, მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

აკადემიკოსი პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 15 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი).

მამა – ბესარიონ ნიკოლოზის ძე გუგუშვილი სოფლის მამასახლისი გახლდათ. მაშინ ეს თანამდებობა არჩევითი იყო და სოფლის მოსახლეობა წლების განმავლობაში სწორედ მას ენდობოდა.

დედა – მარიამ გიტოს ასული კიზირია დიასახლისი იყო. სწორედ მან შეასწავლა შვილებს სკოლაში შესვლამდე წერა-კითხვა. ასევე ხშირად უკითხავდა იგი მათ სხვადასხვა ნაწარმოებს, განსაკუთრებით, ლექსებს, რომელთა შორის, უმეტესობა ხალხური იყო. მას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი ალბომი, სადაც ძლიერ სუფთა ხელით იყო ჩაწერილი ლექსები, რომელთაც ბავშვებს უმღეროდა კიდეც. ბატონი პაატა 11 წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა და ოჯახის მთელი სიმძიმე მამამ სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად იტვირთა.

კოდორის ერთკლასიანი და აბაშის ორკლასიანი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ბატონი პაატა სწავლას აგრძელებს აბაშის ოთხკლასიან, ფოთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლებში და ფოთის გიმნაზიაში. შემდეგ საშუალო განათლების კურსს გადის ქუთაისში (აღსანიშნავია, რომ ერთ წელიწადში ორი კლასის საგნებს აბარებს) და შედის ტექნიკუმში, რომელსაც 1922 წელს ამთავრებს.

1923 წელს ბატონი პაატა ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ, ეკონომიკური გაჭირვების გამო, სამსახურში დადიოდა, ამიტომაც იგი გადადის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელზეც ლექციები საღამოს საათებში იკითხებოდა.იგი ლექციებს ისმენდა აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიის დარგებში, მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელთაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

მეცნიერისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება, ნებისყოფა, პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი, 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე. 1929 წელს შესრულებული მისი პირველი ნაშრომის – „ქართული წიგნი 1629-1929 წწ., რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას მიეძღვნა, წინასიტყვაობაში პროფ.

[1] სტატიის მომზადებისას გამოყენებულია მასალები წიგნებიდან: პაატა გუგუშვილი 100” (რედაქტორი: ლეო ჩიქავა, შემდგენელი: იზოლდა აბაშიძე, თბილისი, 2005) და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დღიურები და მოგონებები” (რედაქტორი რ. აბესაძე, 2015)

ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს: "...ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის გადმოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველია, ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში".

ეკონომიკურ მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ წყაროებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა კვლევებმა მეცნიერული ხასიათი ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომებში მიიღო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილს წილად ხვდა სწორედ მათი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ არც იგი დარჩენია მის დიდ მასწავლებლებს ვალში. სწორედ აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

განსაკუთრებულია ასევე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში პირველი ეკონომიკური სამეცნიერო კერის – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ბატონი პაატა ისედაც არ დააკლებდა ძალისხმევას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დიდ საქმეს, მაგრამ ინსტიტუტის დაარსებამ და მის ხელმძღვანელად, წლების განმავლობაში, უნარიანი, დიდი პოტენციალის მქონე პიროვნების ყოფნამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა და პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონო-მიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.", რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი. მან, სათანადო არგუმენტების მოტანის საფუძველზე, საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპის რენესანსისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების ანალოგიური პროცესები აღმოაჩინა. მიწათსარგებლობის საბჭოთამდელი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების კვლევისას ის მიდის დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, წყლით რაციონალური სარგებლობის საფუძველზე, სოფლები ამქრებს ქმნიდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა სოფლის თემიდან ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ. კვლევის ასეთი

გზით მან ქართული სოფელი და მისი სამიწათმოქმედო კულტურა სამართლიანად დააყენა კაცობრიობის უძველესი ცივილიზებული ქვეყნების სოფლების გვერდით. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით „მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსი და პირველი პრემია მიენიჭა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პ. გუგუშვილს, გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის, პროფესორების - ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (Honoris Causa) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს, პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, 35 წლის ასაკში, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. მათ მაძიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა საჯარო პაექრობაზე განაცხადა: „დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ავტორს დაბეჭდილი წყაროების გარდა დიდძალი ახალი და აქამდის უცნობი საარქივო მასალა მოუპოვებია... ამიტომაც მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიისათვის დიდი შენაძენია“. ეს ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება. 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ქვეყნდება მის მიერ მომზადებული: „სახალხო მეურნეობის ისტორია 10 ნაკვეთად; „ტექნიკის ისტორია“ 5 ნაკვეთად და 2 წიგნად; ნაშრომი „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ და ქრესტომათია – „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და

განვითარება“ –3 ტომად. გარდა ამისა, ეკონომიკურ დისციპლინებში მის მიერ ან მისი რედაქციით რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო.

1957 წელს გამოიცა მონოგრაფიების შემოკლებული რუსული თარგმანი – «Развитие промышленности в Грузии и закавказье в XIX- XX вв.» ამ ნაშრომის ფართო რეზონანსსა და დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მასზე დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, სომხურ, ჩეხურ, უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში. აკადემიკოსი ნ. დრუჟინინი ამ ნაშრომის მაღალ მეცნიერულ შეფასებასთან ერთად სვამს საკითხს პაატა გუგუშვილის სხვა მონოგრაფიების რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პ. გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით ახსნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები –„საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959წწ.)”, „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები” და სხვ. ამ თემას მიუძღვნა მან ორი ტომი „სოციოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, გომელის, ოდესის სახელმწიფო არქივებში მის მიერ გამოვლენილი იქნა ახალი მასალები, რაც გამოქვეყნდა თემატიკურად შექმნილი სქელტანიანი ტომების სახით. საარქივო წყაროების ამ კრებულს ერთვის ანალოგიური მასალების ვარიანტები, ვრცელი არქეოგეოგრაფიული მიმოხილვები, სადაც მოცემულია გამოქვეყნებული დოკუმენტების კრიტიკული შეფასება, ეპოქის დამახასიათებელი გამოკვლევები, აგრეთვე საგნობრივი, გეოგრაფიული და პერსონალური რეგისტრები. ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პ. გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილის რედაქტორობით და თანაავტორობით 1946-1972 წლებში გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებულ „ეკონომიკის“ 7 ტომი.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებში, აგრეთვე სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. მისი მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

აკადემიკოს პ.გუგუშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით. მან ამ მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება შეძლო დიდი განსწავლულობის, ფართო ერუდიციის, მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის, მრავალი უცხო ენის სტრუქტურაში ღრმად გარკვევისა და რაც მთავარია, ტერმინების

შინაარსში წვდომისა და ქართული შესატყვისების ზუსტად ასახვის მისეული უნარით. ამ პრობლემებზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ (1928, 6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ. ოცი წლის შემდეგ – 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს რეცენზირებით, ბიბლიოგრაფიებით, ესეებით და სხვა ფორმებით დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი (რუსეთი), ნ. დრუჟინინი (რუსეთი), ნ. ცაგოლოვი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), პ. მასლოვი (რუსეთი), პ. პოდკოლზინი (რუსეთი), ბ. ურლანისი (რუსეთი), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ზ. ურბანოვა (ჩეხეთი), ა. სუმბათზადე (აზერბაიჯანი), ტ. აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევქტოვი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ბახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა, რ. გოგოხია.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფიელ დვალი, სერგი დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართაშეს არაქელიანი და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავდა, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებულიო.

გიორგი ლეონიძე წერდა მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პაატა გუგუშვილი არის არა მხოლოდ საქვეყნოდ გამოჩენილი ეკონომისტი და სოციოლოგი, იგი ამასთანავე არის ქართული მწერლობის და ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელი, საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართული კულტურის საფუძვლიანი მცოდნე და პროპაგანდისტი და არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოეთის ქვეყნებში და ამ მხრივაც მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის წინაშეო.

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ეკონომიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბატონ პაატას წესად ჰქონდა შემოღებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექსპედიციების მოწყობა. მას მოვლილი ჰქონდა ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული და უნიკალურ ინფორმაციას ფლობდა თითოეულის შესახებ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი ხელმძღვანელობით მოპოვებული და გაანალიზებული ექსპედიციის (ფშავ-ხევსურეთის, მთა-თუშეთის, საინგილოს, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სხვ.) მასალები.

პაატა გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც მოაწყო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით. აქ მან თავის გამოსვლაში, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, სახელმძღვანელოს ტექსტის სრულყოფისათვის გააკეთა რიგი შენიშვნები და წარადგინა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები (ფორმულირებათა სახით), რაც სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე და მისი ინიციატივით შეიქმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალის „ეკონომისტის“ რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 15 წლის განმავლობაში მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი.

აკად. პ. გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს: 1930-1962 წლებში – სახალხო მეურნეობის ისტორიასა და ტექნიკის ისტორიაში, 1942-1966 წლებში – პოლიტიკურ ეკონომიაში. 1967 წლიდან მიჰყავდა ლექციების კურსი სოციოლოგიაში.

პ. გუგუშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, როგორც წლების განმავლობაში (1948-1974) ეკონომიკის ინსტიტუტთან შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და მეცნიერსა და პედაგოგს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 120-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი პაატა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო სსრკ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების ბიუროს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის'" გამგეობის, უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის (მოსკოვი), საბჭოთა სამეცნიერო ეკონომიკურ

დაწესებულებათა ასოციაციის (მოსკოვი) პრეზიდიუმის, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის, ასევე სხვა ადგილობრივი, საკავშირო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

ბატონი პაატა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები - ობიექტურობა და პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება და ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე მისი შეუპოვრობა მოწინააღმდეგისადმი, იგი იყო თითქმის უკომპრომისო პოლემიკაში, რის საშუალებასაც მას აძლევდა სამართლიანობის გრძნობა, დიდი ერუდიცია და გონებამახვილური იუმორის უნარი.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა: იგი ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული მძიმედ იყო ავად არაერთი დაავადებით, ახალგაზრდა ასაკში გარდიცვალა დედა (ნაწლავების ტუპერკულიოზით), მეორე და (ფილტვების ტუპერკულიოზით), მამა (ფილტვების ანთებით), ვაჟი პირველ ცოლთან – გიორგი (სამი თვის, დეზინტერიით), პირველი ცოლი – თამარ თოდაძე (ფილტვების ტუპერკულიოზით). ბატონი პაატას გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა შვილი – გულბაათ გუგუშვილი, ხოლო 5 წლის შემდეგ მეუღლე – ნინო მიქაბერიძე.

დაუნდობლად ებრძოდნენ არაკეთილსინდისიერად განწყობილი ადამიანები, რომლებმაც არაერთი ტკივილი მიაყენეს მას. მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, ყველა დაავადებისაგან განიკურნა, შთამამავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სამეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან, ნინო ნიქაბაძესთან ერთად და სამშობლოს აღუზარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი – ბესარიონ გუგუშვილი და გულბაათ გუგუშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

ბატონ პაატას, მიუხედავად მის წინააღმდეგ მდგომი ძლიერი ძალისა, არასოდეს მოუხრია ქედი, არასოდეს დაუწყია პირფერობა. მას ჰყავდა ერთგული მეგობრები, რომელთაც არასოდეს მიუტოვებია იგი, მათ შორის უნდა დასახელდეს აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ბექირბი ხასია, მიხეილ კახეთელიძე, რევაზ გოგოხია, ავთანდილ სულაბერიძე, ინსტიტუტის განყოფილების გამგე იზოლდა აბაშიძე და სხვ.

მადლიერი თაობა არ ივიწყებს ბატონი პაატას ღვაწლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით, მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – „პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია” გაიხსნა. მშობლიური კოლექტივიც არ ივიწყებს მის სახელს. ინსტიტუტში მოეწყო და გაიხსნა

პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, უკვე მეოთხედ ღირსეულად აღინიშნება აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან საიუბილეო თარიღები, ეძღვნება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, გამოიცემა შესაბამისი კრებულები. ინსტიტუტის ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია, შეიქმნა პაატა გუგუშვილის საიუბილეო მედალი, რომელიც წელს გადაეცა აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, როგორ საქართველოში საუკეთესო სამეცნიერო შედეგების მქონე მეცნიერს და დაბადებიდან 70 წელთან დაკავშირებით. დღევანდელი დღე დასტურია იმისა, რომ მის სახელს დიდ პატივს მიაგებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. დღეს ინსტიტუტს შეუძლია უპატაკოს მის დამაარსებელს, რომ იგი, მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისა, დაუღალავი შრომით, პროგრესული საზოგადოების, დედა უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანადგომით, არა მხოლოდ წარმატებით ინარჩუნებს და აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელთაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, არამედ ახალ პირობებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყავს იგი.

ბატონ პაატას დავიწყება არ უწერია, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი,
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

პლენარული სხდომა
PLENARY SESSION

Ramaz Abesadze

GLOBAL THREATS OF ECONOMIC SECURITY

Annotation. *The national economy is greatly influenced by both economic and non-economic factors occurring in the world. The paper discusses global economic and non-economic threats of economic security. The following are distinguished from global economic threats: economic crises; energy problems; poverty; food; resource depletion (exhaustion of oil, natural gas, coal, timber, non-ferrous metals, shortage of water resources); space exploration, useage of the World Ocean resources, etc. Global threats of a non-economic nature include: peacekeeping; disarmament and arms control; problems of developing countries; demographics ; ecological problems (catastrophic environmental pollution: pollution of the atmosphere, water and soil; reduction of biodiversity; climate change: global warming; ozone holes, greenhouse effect; international terrorism; drug trafficking; ethno-political conflicts; protection of the human rights and freedom; preservation of cultural diversity; cybersecurity, and etc.)*

Keywords: *economic security, global threats, economic crisis, energy and food problems.*

Introduction

The term "security" began to be used around the 12th century and meant a person's peaceful spiritual state, his/her protection from any danger. However, in this sense it was not introduced into vocabulary and had been used very rarely. Later, the term " the state security" was introduced, which meant the struggle to protect the interests of the state. Later, the category "security" was divided into some separate areas. In this regard, "national security, the basis of which is economic security", has a paramount importance for individual countries. National security involves the protection of concrete country and its population from external and internal threats in all areas of activity. The term was first used in 1901 by President of the United States of America, Theodore Roosevelt, in his address to the nation - "On National Security". Officially, the term "national security" arose in 1947, when the United States of America adopted the law "On National Security". First of all, national security serves to protect and implement national interests. For the protection and realization of national interests, “economic security” has a great importance, since without appropriate economic security, the requirements of national security (national interests, improvement of human well-being) cannot be met. National security requires a variety of means: modern equipment, technologies, information and telecommunications tools, and etc. It can be said that the basis of a country's national security is its economic security.

The main content of economic security is that, the country must ensure the constant protection of the vital economic interests of individuals, society and the state and is fully focused on a dynamic development of economy, both in a peaceful conditions and in conditions of domestic and external extreme situations. It is implemented at the international, national, regional, enterprise and personal levels. The most important interests of it are based on the innovative development of economy and increasing its competitiveness: socio-economic and military-political stability; efficient use and distribution of resources; protection and implementation of the national priorities of individual state; sustainable development; increasing the well-being of population and the country's defense capabilities.

Implementation of economic security involves the development and implementation of a system of measures that ensures the independence, identity, and development of the country's national economic system, prevention of domestic and foreign threats, and adoption of preliminary measures to prevent anticipated threats. An appropriate organizational structure is also required to implement economic security.

Global economic threats

National economic security is highly dependent on ongoing processes worldwide, therefore global security has a great importance, which implies ensuring security from deterioration of the living conditions on the Earth and, in general, from destruction of humanity. Global security problems concern all states and each person. There are global economic and non-economic threats that affect national economic security. The following are noteworthy from global threats of an economic nature: economic crises; energy, poverty, and food problems; resource depletion troubles: depletion of oil, natural gas, coal, timber, non-ferrous metals, shortage of water resources; space exploration, use of the World Ocean resources, and etc. The following are notable from global threats of a non-economic nature: peacekeeping; disarmament and arms control; problems of developing countries; demographic problems; catastrophic environmental pollution: pollution of the atmosphere, water and soil; reduction of biodiversity; climate change: global warming; ozone holes, greenhouse effect; international terrorism; drug trafficking; ethnopolitical conflicts; protection of human rights and freedom; preservation of cultural diversity; cybersecurity, and etc.

An economic crisis is the most severe and destructive manifestation of deep contradictions of the cycle of reproduction, during which production sharply decreases, unemployment and inflation increase, and the level of well-being of population decreases. During an economic crisis, agrarian, stock exchange, monetary and credit, currency, and financial crises may occur. At the same time, a crisis also carries potentially the positive properties. During a crisis, contradictions are resolved and a new, higher stage of economic development begins.

The world has gone through several economic crises: The Great Depression of 1929-1933 was the first global crisis. The economic downturn lasted four years and peaked in 1933. The effects of that crisis were not eliminated until World War II. Between 1929 and 1933, the world economy contracted by 15%. International trade halved, and unemployment in the United States and Europe exceeded to 25%. The third of all American banks went bankrupt. John Maynard Keynes's approaches became popular in order to stop the Great Depression, advising the government to increase budget spending to stimulate aggregate demand;during the 1973 oil crisis, the world price of oil increased fourfold (from $3 per barrel to $12), which made it difficult to produce goods in western countries, reduced supply, and increased prices. There were several reasons for increase in oil prices, but the most important was the embargo imposed by the oil-exporting Arab countries on the supply of oil to the west. The embargo was caused by the war between coalition of Arab countries and Israel. Western countries supported Israel. The reasons for increase in oil prices were also the decrease in oil production in the United States, the end of the Bretton Woods system (fixed exchange rate system), which led to depreciation of the dollar and increased demand for oil in the world. As a result of the increase in oil prices, the world economy entered into recession. The United States and Great Britain were particularly affected, where inflation reached to double digits. That process was called "stagflation", a combination of words stagnation and inflation. During the oil shock, governments spending to stimulate economy did not work, because the problem was the supply constraints caused by high oil prices, not the decline in demand. The correct approach was to support production by reducing taxes and regulations,as well as by increasing access to bank credits; the oil shock was repeated during the 1979 oil crisis, in that time when the world price of oil was risen from $15 to $39 per barrel. The main reason was the reduction in oil supplies, which followed the Islamic Revolution in Iran. The world supply of oil fell by 4%, that led to panic and expectations of price increases, which caused oil prices to rise 2.6 times. In 1980, the Iran-Iraq war began, which further reduced oil production. The 1979 oil shock was also followed by "stagflation" in many countries of the world. The world economy shrank by 5%, in some western countries there was double-digit inflation, and stock prices fell down. The elimination of negative consequences of the second oil shock is largely due to the work of British Prime Minister, Margaret Thatcher and the US President, Ronald Reagan who carried out similar reforms, which were associated with tax cuts, privatization, and a general reduction for the state

intervention in economy. Monetary policy was also tightened, with price stability becoming the main goal of monetary policy; the Asian financial crisis began with a financial crisis in Thailand, which spread to South Korea, Hong Kong, Malaysia, and the Philippines. It affected China, Singapore, and Taiwan relatively lightly. The crisis began in the stock markets and banking sector due to high corporate borrowing, which turned into government debt crises. The economies of the countries affected by the crisis shrank by 8% in total. The debt-to-GDP ratio doubled in some countries. In 1998-1999, East Asian countries had fixed exchange rates, and during the crisis, their foreign exchange reserves were significantly reduced, as they were sold. Eventually, they switched to floating exchange rates and received a $40 billion aid program from the International Monetary Fund to overcome the crisis; the financial crisis of 2008-2009 had the most severe consequences since the Great Depression. It affected all countries of the world, because by that time the level of economic globalization and interdependence of countries was very high. There are also differences of opinion regarding the causes of that crisis, but one thing is clear – the crisis began in the financial sector, from excessive bank loans and increased prices of securities, which is called a “financial bubble”. There are also differences of opinion regarding what was the cause of financial bubble itself: the excessively soft monetary policy of the Federal Reserve System or weak regulation of the financial sector. The crisis actually began in the summer of 2007 in the US real estate market, with failure of substandard mortgage lending. The world economy shrank by 3.3%, many banks and financial institutions went bankrupt. Those which did not go bankrupt were severely affected or became the subjects to nationalization. The bankruptcy of American investment bank, Lehman Brothers, with a 158-year history, in 2008 stands out, which caused panic and exacerbated the crisis. The private financial sector was supported by the state, which increased the volume of state debt of countries. The unemployment rate in developed countries increased from 5% to 9%. The real estate and stock prices decreased significantly, which meant the impoverishment of their owners. The world began to emerge from the crisis in 2010. It took two to three years to overcome the crisis. Governments mainly resorted to budget support programs. To stimulate demand, banks in developed countries significantly reduced refinancing rates and at the same time tightened banking regulations [Namchavadze 2020]; **The coronavirus pandemic crisis** arose during the massive spread of an infectious disease in the world, with governments taking measures to ensure human safety. Restrictions on economic activities in economy lead to the restriction of market mechanisms, partial or complete cessation of the functioning of enterprises, which was followed by an economic downturn, deterioration of the well-being and comfort of a large part of society. The most affected sectors were tourism, transport, small and medium-sized businesses, the processing industry, oil extraction, automobile production and electrical engineering,financial sector,retail trade,the field of Arts, sports, recreation and entertainment, and the least affected were the food industry, communications, electricity, international transportation, and etc.

The main reason for emergence of energy problem is an intensive use of mineral fuels, which began in the twentieth century. The scarcity of resources forces humanity to strictly conserve energy. This problem is related to such major issues like: the climate change, environmental degradation, security, poverty, health, food production, agriculture and water resources.

The first mention of energy problem dates back to 1970. At that time, scientists began to argue that humanity would soon have difficulty by providing transport and enterprises with fuel. It was then when the prices of oil and oil products increased, as a result of which the prices of electricity, motor fuel, air transport, heating and other services increased too. After that, the global economic crisis began. It affected almost every country and every person on the planet. Subsequently, the crisis ended, but the energy problem did not disappear. Scientists believe that in the near future energy sector will change significantly. The greatest emphasis is placed on the use of natural energy sources, namely: water; wind; solar and "geothermal" energy. Nowadays, scientists are also developing the new nuclear reactors that will generate a huge amount of energy,

while being as safe as possible for the environment. But the disadvantages are that in any case there will be radioactive waste and the maintenance of a nuclear power plant is too expensive. Scientists are developing various devices for everyday life that save energy, therefore, this has a positive effect on nature and to some extent solves the global energy problem. Non-renewable energy resources are also being discovered and exploited. Currently, world oil reserves are about 1.7 trillion barrels, world natural gas reserves are trillion cubic meters, world coal reserves are trillion tons. The supply of nuclear fuel (uranium and plutonium) is limited, but nuclear energy still plays an important role in the energy sector. The existing reserves allow the use of nuclear reactors for a long time [Ocenka... 2024].

The global food problem is an insufficient supply of food products to the population of the planet. It is manifested mainly in the poorest countries of the Third World and is becoming increasingly acute with growth of their population. Nowadays, the total number of humans who are suffering from food shortages exceeds 1 billion people. The fact is that population's growth is outpacing the growth of agricultural production and the development of its technologies. However, there is an opinion that even with current level of development of agricultural and livestock technologies used, it will be possible to feed more than 10 billion people [Продовольства... 2024].

Non-economic global threats

The real possibility of beginning the World War III, the peacekeeping process, disarmament and arms control are main global issues of mankind. Nowadays, the world has accumulated so many means of mass destruction (nuclear, chemical, bacteriological), the full-scale deployment of which poses a great threat to the existence of humanity. Today, there is already talk of using new types of means of mass destruction, the action of which, in many cases, exceeds the existing ones. For example, such weapons which are based on the new physical principles can be: directed energy, laser, electromagnetic, infrasonic, radio-frequency, geophysical (tectonic, ecological, climatic, ozone), genetic weapons, etc. Even Immanuel Kant, in his treatise "For Perpetual Peace", wrote: a destructive war will lead us to eternal peace, only to the gigantic cemetery of humanity [Kant. I. 1989.]. Therefore, he demanded the prohibition of war. The World War I and the World War II had confirmed the truth of these words, which gave impetus to founding of the United Nations. The main mission of this organization is to protect military-political security. But tensions still arose between the two great powers, the Soviet Union and the United States of America, and their satellites, which is known as the "Cold War". A large-scale war was avoided, in our opinion, as a result of the use of atomic and thermonuclear weapons, since the mass use of these weapons would destroy humanity and no one would win. Even after the end of the Cold War, complete peace was not established. In one and/or another regions of the world, although in local, significant military confrontations periodically are breaking out, which overshadows the achievements of globalization.

Problems of developing countries. This is the problem of relationships between developed and developing countries. Since the standard of living between the North and the South differs greatly, various problems have arisen that have a global character. For example, large-scale forced migration from developing countries to developed ones, non-payment of foreign debt, the threat of spread infectious diseases worldwide, etc. Developing countries, include the states with a market economy and with a relatively low level of economic development. However, there is a significant difference between the states included in that group according to the level of economic development, and the process of their differentiation continues even today. The most difficult situation is in less developed countries, they are characterized by the lowest standard of living in the whole world (extremely low income, poverty, difficult living conditions, unsatisfactory health, insufficient education or complete lack of it, high mortality at a junior ages, poor life expectancy, and etc.)

The leading position in their economy is occupied by backward, including the archaic forms of agriculture. Industry is very poorly developed. The exports from these countries mainly include traditional products. The most difficult economic situation is in the countries of tropical Africa, which is, first of all, the result of deteriorating natural conditions and incorrect economic policies.

Naturally, the large difference in economic levels between developing countries poses a threat to stabilization in the world, including economic stabilization. Therefore, the efforts of international organizations, especially the United Nations, are aimed at eliminating this problem.

Demographic problems. The problem of economic development and world population growth has become acute since 1950s. A large number of scientists and politicians believe that the world's population has reached a critical limit and it is necessary to find ways to stopping it. Among the negative aspects of population growth, it is worth noting that population growth requires a corresponding growth of the economy, which has a huge negative impact on the environment; since natural resources are limited, in conditions of endless population growth, they may not be enough to meet the growing needs of mankind. Back to the 18th-19th centuries, the British economist and demographer Thomas Robert Malthus argued that population growth would exceed the production capacity, which could have catastrophic consequences. Nowadays, there are already a number of global problems related to resource depletion. The problems of population growth in the world received special attention after the World War II, as growth rates are reaching unprecedented levels. The Declaration adopted at the Stockholm Conference on Environmental Protection held under the auspices of the United Nations in 1972 expressed concern that population growth was creating problems in the field of environmental protection and appropriate measures should be taken. The problem of population growth was also addressed at the international conferences in Bucharest (1974) and Mexico City (1984), which focused on countries where had been already a disparity between population size and natural resources to take appropriate measures to restore the disturbed balance. The United Nations conferences in Rio de Janeiro in 1992 and Cairo in 1994 were also imbued with the same spirit. Subsequently, at international forums of the United Nations, the great importance of stabilizing population growth in the world in order to achieve sustainable economic development was repeatedly emphasized. During the two million years of human existence, the Earth's population has been very small for a very long time. 12,000 years ago, it was only 5 million people, and at the beginning of our era, it was only 250 million. The 20th century was a century of unprecedented population growth on the Earth, when the population increased from 1.6 billion to 6.1 billion. Moreover, if the first billion increase (from 1 billion to 2 billion) took 123 years (1804-1927), the last billion increase occurred in just 12 years (2005-2017) and amounted to 7,515,384,153 people [... 2018]. Along with increase of population, its highly uneven distribution by territory on Earth (more than 70 percent live on only in 15 states) also causes problems, as does the large difference in population growth rates between developed and developing countries. If decrease in population growth is observed in the developed countries, population growth rates in developing countries are still too high, despite the fact that real measures have been taken in a number of countries (China, India, Singapore, Taiwan, etc.) to reduce the birth rate. An important demographic problem is changes in the demographic structure. If a demographic explosion occurs in countries with low economic development, a demographic transition begins in countries with high economic development (replacing a sharp increase in the population rate with its also sharp decrease), as a result of which population growth stabilizes. Thus, the problem of population growth is a universal world problem, but each country must manage to solve it separately, since they face completely different problems. Providing the population with drinking water is also an important problem. The energy problem should be highlighted separately. Calculations show that with population growth, energy consumption in the world increases by a factor of four.

The problem of developing human potential. In the modern world, there are still countries where the level of education is on a very low level. The duration of study, according to the International Bank for Reconstruction and Development, is about 4 years in East Africa. In tropical Africa, less than 3 years, and in west Africa, only 2 years. There is still a problem of eliminating illiteracy in the world. In Africa and South Asia, the number of illiterate people among the adult population is 40%.

The global ecological problems: Climate change. The climate change occurs as a result of an abnormally high concentration of greenhouse gases in the Earth's atmosphere. Various human activities cause excessive emissions of greenhouse gases into atmosphere. And this, in turn, leads

to an increase in the greenhouse effect, which in turn leads to increase the global temperature and, accordingly, the global warming. Climate change refers to both global warming and the phenomena that occur as a result of this process, or global warming, such as the melting of glaciers on mountains and the disappearance of ice sheets in the oceans; rising sea levels; floods; increased precipitation; the strengthening and frequency of storms; the so-called "heat waves"; frequent and prolonged droughts; tropical cyclones; forest fires; shifts in the flowering periods of plants; and some others. All these issues lead to a disruption of the usual balance of nature and poses various threats to humans as well as to all forms of life on the Earth. Accordingly, it can be said that the global warming is one of the manifestations of climate change, which causes the melting of glaciers on mountains and the melting of ice sheets into the oceans, which gradually leads to a rise in sea levels and the covering of the best lands by the oceans. If greenhouse gas emissions into atmosphere continue at the same pace, the Arctic ice will no longer exist by the summer of 2040. Since 1880, the average sea level has risen about 23 centimeters. In the last 25 years, the rise of sea level has amounted to about 8 centimeters. In 2023, the global average sea level was 10 centimeters higher than in 1993. In the Pacific ocean, 5 islands of the Solomon Islands have completely sunk due to rising sea levels, and at least 20 percent of the other 6 islands have been covered by water. The complete disappearance of the Greenland ice sheet alone will lead to a rise in sea levels of about 7 meters, which will have devastating consequences for billions of people, the complete melting of glaciers in the mountains and the gradual disappearance of ice sheets in the oceans will lead to a rise in sea levels of about 70 meters. Destruction and impoverishment of the geofund. Scientists have calculated that over the past 200 years, 9,000 species of plants and animals have been lost, the number of minerals is gradually decreasing. The problems of pollution of the world oceans with wasted products of energy, chemical and military industries is growing rapidly, which is very dangerous, because this can lead to decreasing in the water and food resources as well as a disruption of oxygen balance in the atmosphere.

Reference

1. Abesadze R., Bibilashvili N. **Global Economic Safety**. Internet conference. TSU Paata Gugushvili Institute of Economics, **2018.**
2. Global ecological problems https://www.ssa.edu.ge/ka/conceptual-framework/global-ecological-problems
3. Namchavadze B. 2020. Causes and consequences of economic crises. (in Georgian) https://forbes.ge/ekonomikuri-krizisebis-m/
4. Global energy problem solution. 2023. https://multifoto.ru/blog-lifestyle/globalnaya-energeticheskaya-problema-puti-resheniya/
5. Зимина В. А., Магарил, Е. Р. энергетическая проблема и исчерпаемость топливных ресурсов https://elar.urfu.ru/bitstream/10995/82593/1/sueb_2020_012.pdf
6. Кант. И. 1989. К вечному миру. М.: Московский рабочий
7. Оценка мировых энергетических резервов: текущее состояние и тренды развития. 2024. https://vik-hitline.ru/mirovye-jenergeticheskie-rezervy/ocenka-mirovyh-jenergeticheskih-rezervov-tekushhee-sostojanie-i-trendy-razvitija/
8. Продовольственая проблема. 2024 http://ru.planetaryproject.com/global_problems/food/ https://www.civisbook.ru/files/File/Kant_K_vechnomu_miru.pdf
9. Самые бедные страны мира. 2015 http://hochusvalit.com/khochu-svalit/samye-bednye-strany-mira
10. Численность населения в мире по годам. 2018 http://total-rating.ru/1918-chislennost-naseleniya-v-mire-po-godam.html

რამაზ აბესაძე

.

ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური საფრთხეები

ანოტაცია. *ეროვმულ ეკონომიკაზე დიდ გავლენასა ახდენსმსოფლიოში მიმდინარე როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკუური ფაქტორები. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები. გლობალური ეკონომიკური საფრთხეებიდან გამოიყოფა: ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა (ნავთობის, გუნებრივი აირის, ქვანახშირის, ხე-ტყის, ფერადი ლითონების გამოფიტვა, წყლის რესურსების დეფიციტი); კოსმოსის ათვისება, მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოყენება და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ეკოლოგიური პრობლემები (გარემოს კატასტროფული დაბინძურება: ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების შემცირება; კლიმატის ცვლილება: გლობალური დათბობა; ოზონის ხვრელები, სათბურის ეფექტი; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური უსაფრთხოება, გლობალური საფრთხეები, ეკონომიკური კრიზისი, ენრრგეტიკული პრობლემა, სასურსათო პრობლემა.*

შესავალი

უსაფრთხოების“ ტერმინის გამოყენება დაიწყო დაახლოებით XII საუკუნიდან და ნიშნავდა ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას, მის დაცულობას ნებისმიერი საფრთხისაგან. თუმცა ამ შინაარსით იგი არ დაინერგა ლექსიკაში და ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. შემდგომში შემოღებულ იქნა ტერმინი "სახელმწიფო უსაფრთხოება", რაც გულისხმობდა ბრძოლას სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. მოგვიანებით კატეგორია „უსაფრთხოება“ დაიყო ცალკეულ მიმართულებებად. ამ თვალსაზრისით ცალკეული ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანესია „ეროვნული უსა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება“. ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გარე და შიგა საფრთხეებისაგან დაცვას საქმიანობის ყველა სფეროში. პირველად ტერმინი 1901 წელს გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ერისადმი თავის მიმართვაში – „ეროვნული უსაფრთხოებიის შესახებ“. ოფიციალურად ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ წარმოიშვა 1947 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღესნა კანონი „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“. უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოება ემსახურება ეროვნული ინტერესების დაცვასა და განხორციელება ეროვნული ინტერესის დაცვისა და განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ეკონომიკურ უსაფრთხოებას“, ვინაიდან შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე ეროვნული უსაფრთხობის მოთხოვნები (ეროვნული ინტერესები, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება) ვერ შესრულდება. ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი საშუალებები: თანამედროვე ტექნიკა, ტექნოლოგიები, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო საშუალებები და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს მისი ეკონომიკური უსართხოება წარმოადგენს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივი დაცვა და ეკონომიკის დინამიკური განვითარება, როგორც მშვიდობიან, ისე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების პირობებში. იგი ხორციელდება საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ, საწარმოსა და პირად დონეზე. მისი უმნიშვნელოვანესი ინტერესებია ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების საფუძველზე: სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა; რესურსების ეფექტიანი გამოყენება და განაწილება; სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება; მდგრადი განვითარება; მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდა.

ეკონომიკური უსაფრთხოების განხორციელება გულისხმობს ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ეკონომიკური უსაფრთხოების განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა.

გლობალური ეკონომიკური საფრთხეები

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს **გლობალურ უსაფრთხოებას**, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას დედამიწაზე ცხოვრების პირობების გაუარესებისა და, საერთოდ, კაცობრიობის განადგურებისაგან. გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ეხება ყველა სახელმწიფოსა და თითოეულ ადამიანს. არსებობას გლობალური ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: **ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა:** ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, ხე-ტყის, ფერადი ლითონების გამოფიტვა, წყლის რესურსების დეფიციტი; **კოსმოსის ათვისება,** მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოყენება **და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი აღსანიშნავია: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები;** გარემოს კატასტროფული დაბინძურება: **ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება;** ბიომრავალფეროვნების შემცირება; **კლიმატის ცვლილება:** გლობალური დათბობა; ოზონის ხვრელები, სათბურის ეფექტი; **საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.**

ეკონომიკური კრიზისი არის კვლავწარმოების ციკლის ღრმა წინააღმდეგობათა ყველაზე მძაფრი და დამანგრეველი გამოვლინება, რომლის დროსაც მკვეთრად ცემა წარმოება, იზრდება უმუშევრობა და ინფლაცია, ეცემა მოსახლეობის კეთილდღეების დონე.

ეკონომიკური კრიზისის დროს შედსძლებელია ადგილი ჰქონდეს აგრარულ, საბირჟო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, ფინანსურ კრიზისებს. ამასთან, კრიზისი პოტენციურად დადებითი თვისებების მატარებელიც არის. კრიზისის დროს ხდება წინააღმდეგობათ გადაჭრა და იწყება ახალი, უფრო მაღალი ეტაპი ეკონომიკური განვითარებისა.

მსოფლიომ გამოიარა არაერთი ეკონომიკური კრიზისი: **"დიდი დეპრესიის"** სახელით ცნობილი 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი პირველი გლობალური კრიზისი იყო. ეკონომიკის ვარდნა ოთხ წელს გრძელდებოდა და პიკს 1933 წელს მიაღწია. კრიზისის შედეგების აღმოფხვრა კი მეორე მსოფლიო ომამდე ვერ მოხერხდა. 1929-1933 წლებში მსოფლიო ეკონომიკა 15%-ით შემცირდა. საერთაშორისო ვაჭრობა განახევრდა, აშშ- სა და ევროპის ქვეყნებში უმუშევრობის დონემ 25%-ს გადააჭარბა. ამერიკის ბანკების მესამედი გაკოტრდა. „დიდი დეპრესიის" შესაჩერებლად პოპულარული გახდა ჯონ მეინარდ კეინზის მიდგომები, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისთვის მთავრობას ბიუჯეტიდან ხარჯვის ზრდას ურჩევდა; **1973 წლის ნავთობის კრიზისის დროს** ნავთობის მსოფლიო ფასი 4-ჯერ გაიზარდა (ერთი ბარელის ფასი 3 აშშ დოლარიდან 12 აშშ დოლარამდე), რამაც დასავლეთის ქვეყნებში პროდუქციის წარმოება გაართულა, მიწოდება შემცირდა, ფასები კი გაიზარდა. ნავთობის ფასის ზრდას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მთავარი ნავთობექსპორტიორი არაბეთის ქვეყნების მიერ დასავლეთისთვის ნავთობის მიწოდებაზე დაწესებული ემბარგო იყო. ემბარგოს მიზეზი კი არაბული ქვეყნების კოალიციასა და ისრაელს შორის ომი გახლდათ. დასავლეთის ქვეყნები ისრაელს ეხმარებოდნენ. ნავთობის გაძვირების მიზეზები ასევე იყო აშშ- ში ნავთობის მოპოვების შემცირება, ბრეტონ- ვუდსის სისტემის (ფიქსირებული კურსების სისტემა) დასრულება, რასაც დოლარის გაუფასურება და მსოფლიოში ნავთობზე გაზრდილი მოთხოვნა მოჰყვა. ნავთობზე ფასების ზრდის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში შევიდა. განსაკუთრებით აშშ და დიდი ბრიტანეთი დაზარალდნენ, სადაც ინფლაცია ორნიშნა რიცხვს აღწევდა. ამ პროცესს „სტაგფლაცია" დაარქვეს, როგორც სტაგნაციისა და ინფლაციის ნაზავს. სანავთობო შოკის დროს მთავრობის მიერ ხარჯების ზრდა და ამ გზით ეკონომიკის წახალისება არ მუშაობდა, რადგან პრობლემა ნავთობის ფასების სიძვირის გამო პროდუქციის მიწოდებაში წარმოქმნილი ხელისშემშლელი ფაქტორები იყო და არა მოთხოვნის შემცირება. სწორი მიდგომა წარმოების დახმარება იყო გადასახადებისა და რეგულაციების შემცირებით, ასევე საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდით; **1979 წლის ნავთობის კრიზისის დროს** სანავთობო შოკი განმეორდა, ამჯერად ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 15 აშშ დოლარიდან 39 აშშ დოლარამდე გაიზარდა. მთავარი მიზეზი ნავთობის მიწოდების შემცირება იყო, რაც ირანის ისლამისტურ რევოლუციას მოჰყვა. ნავთობის მსოფლიო მიწოდების დონე 4%-ით შემცირდა, მაგრამ ამან პანიკა და ფასების ზრდის მოლოდინი გამოიწვია, რამაც ნავთობი 2.6-ჯერ გააძვირა. 1980 წელს კი ირან- ერაყის ომი დაიწყო, რომელმაც კიდევ უფრო შეამცირა ნავთობის მოპოვება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში 1979 წლის სანავთობო შოკსაც „სტაგფლაცია" მოჰყვა. მსოფლიო ეკონომიკა 5%-ით შემცირდა, დასავლეთის ზოგ ქვეყანაში ორნიშნა ინფლაცია იყო, აქციების ფასები დაეცა. მეორე სანავთობო შოკის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერისა და აშშ-ის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის მოღვაწეობას,

რომლებმაც მსგავსი რეფორმები გაატარეს, რაც გადასახადების შემცირებას, პრივატიზაციას და ზოგადად ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის შემცირებას უკავშირდებოდა. ასევე გამკაცრდა მონეტარული პოლიტიკა, ფასების სტაბილურობა მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზნად იქცა; **აზიის ფინანსური კრიზისი** დაიწყო, ტაილანდში ფინანსური კრიზისით, რომელიც სამხრეთ კორეაში, ჰონკონგში, მალაიზიასა და ფილიპინებში გავრცელდა. შედარებით მსუბუქად შეეხო ჩინეთს, სინგაპურსა და ტაივანს. კრიზისი საფონდო ბირჟებზე და საბანკო სექტორში დაიწყო მაღალი კორპორაციული სესხების გამო, რაც მთავრობის სავალო კრიზისებში გადაიზარდა. კრიზისით დაზარალებული ქვეყნების ეკონომიკა ჯამში 8%-ით შემცირდა. ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მაჩვენებელი ზოგ ქვეყანაში გაორმაგდა. 1998-1999 წლამდე აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს ფიქსირებული კურსების რეჟიმი ჰქონდათ და კრიზისის დროს უცხოური ვალუტის რეზერვები მნიშვნელოვნად შეუმცირდათ, რადგან რეზერვებს ჰყიდდნენ. საბოლოოდ ვალუტის მცურავ კურსებზე გადავიდნენ და ამასთან კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან $40-მილიარდიანი დახმარების პროგრამა მიიღეს; **2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი** "დიდი დეპრესიის" შემდეგ ყველაზე მძიმე შედეგები მოჰყვა. ის შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რადგან ამ დროისთვის ეკონომიკური გლობალიზაციისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების დონე ძალიან მაღალი იყო. ამ კრიზისის გამომწვევ მიზეზებთან მიმართებითაც არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ერთი რამ ნათელია – კრიზისი საფინანსო სექტორიდან დაიწყო, ჭარბი საბანკო სესხებიდან და ფასიანი ქაღალდების გაზრდილი ფასებიდან, რასაც „ფინანსური ბუშტი" ჰქვია. აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა იყო თავად ფინანსური ბუშტის მიზეზი: ფედერალური სარეზერვო სისტემის ზედმეტად რბილი მონეტარული პოლიტიკა თუ საფინანსო სექტორის სუსტად რეგულირება. კრიზისი რეალურად 2007 წლის ზაფხულში დაიწყო აშშ- ის უძრავი ქონების ბაზარზე, სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების ჩავარდნით. მსოფლიო ეკონომიკა 3.3%-ით შემცირდა, გაკოტრდა ბევრი ბანკი და საფინანსო ინსტიტუტი. ვინც არ გაკოტრდა, ძალიან დაზარალდა ან ნაციონალიზაციას დაექვემდებარა. გამოსარჩევია ამერიკული საინვესტიციო ბანკის, 158-წლიანი ისტორიის მქონე „ლემან ბრაზერსის" გაკოტრება 2008 წელს, რამაც პანიკა გამოიწვია და კრიზისი გაამძაფრა. კერძო საფინანსო სექტორს დახმარება სახელმწიფომ გაუწია, რამაც ქვეყნების სახელმწიფო ვალის მოცულობა გაზარდა. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონე 5%-დან 9%-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად შემცირდა უძრავი ქონებისა და აქციების ფასები, რაც მათი მფლობელების გაღარიბებას ნიშნავს. კრიზისიდან გამოსვლა მსოფლიომ 2010 წელს დაიწყო. ქვეყნებს ორი-სამი წელი დასჭირდათ კრიზისის დასაძლევად. მთავრობებმა ძირითადად საბიუჯეტო დახმარების პროგრამებს მიმართეს. მოთხოვნის წასახალისებლად განვითარებული ქვეყნების ბანკებმა რეფინანსირების განაკვეთები მნიშვნელოვნად შეამცირეს და ამავე დროს საბანკო რეგულაციები გაამკაცრეს [ნამჩავაძე 2020]; **კორონავირუსის პანდემიის კრიზისი** წარმოიშვა მსოფლიოში ინფექციური დაავადების მასიური გავრცელების დროს, მთავრობების მიერ ადამიანთა უსაფრთხოების მიზნით გატარებულ აკრძალვით ღონისძიებათა განხორციელების გამო. სამეურნეო საქმიანობათა შეზღუდვები ეკონომიკაში იწვევს საბაზრო მექანიზმების შეზღუდვას, საწარმოთა ფუნქციონირების ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას, რომელსაც მოსდევს ეკონომიკური ვარდნა,

საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილდღეობისა და კომფორტის გაუარესება. ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ნავთობის მოპოვება, ავტომობილების წარმოება და ელექტროტექნიკა, საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა, ხელოვნების, სპორტის, დასვენებისა და გართობის სფერო, ხოლო ყველაზე ნაკლებად – კვების ინდუსტრია, კავშირგაბმულობა, ელექტროენერგეტიკა, საერთაშორისო გადაზიდვები და სხვ.

ენერგეტიკული პრობლემის გაჩენის მთავარი მიზეზი მინერალური საწვავის ინტენსიური გამოყენებაა, რომელიც მეოცე საუკუნეში დაიწყო. რესურსების სიმცირე აიძულებს კაცობრიობას მკაცრად დაზოგოს ენერგია. ეს პრობლემა დაკავშირებულია ისეთ ძირითად საკითხებთან, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, გარემოს დეგრადაცია, უსაფრთხოება, სიღარიბე, ჯანმრთელობა, სურსათის წარმოება, სოფლის მეურნეობა და წყლის რესურსები.

ენერგეტიკული პრობლემის პირველი ხსენება 1970 წლით თარიღდება. იმ დროს მეცნიერებმა დაიწყეს მტკიცება, რომ კაცობრიობას მალე გაუჭირდებოდა ტრანსპორტისა და საწარმოების საწვავით უზრუნველყოფა. სწორედ მაშინ გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასები, რის შედეგადაც ელექტროენერგიის, საავტომობილო საწვავის, საჰაერო ტრანსპორტის, გათბობისა და სხვა მომსახურების ფასებიც გაიზარდა. ამ მოვლენის შემდეგ დაიწყო გლობალური ეკონომიკური კრიზისი. მან გავლენა მოახდინა პლანეტის თითქმის ყველა ქვეყანაზე და თითოეულ ადამიანზე. შემდგომში კრიზისი დასრულდა, მაგრამ ენერგეტიკული პრობლემა არ გამქრალა. მეცნიერები თვლიან, რომ უახლოეს მომავალში ენერგეტიკის სექტორი მნიშვნელოვნად შეიცვლება ყველაზე დიდი აქცენტი კეთდება ბუნებრივი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე, კერძოდ: **წყლის; ქარის; მზის და „გეოთერმული“ ენერგიი** გამოყენებაზე. დღეს მეცნიერები ასევე ავითარებენ ახალ ბირთვულ რეაქტორებს, რომლებიც გამოიმუშავებენ ენერგიის უზარმაზარ რაოდენობას, ამავდროულად მაქსიმალურად უსაფრთხოა გარემოსთვის. მაგრამ ნაკლოვანებები ის არის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იქნება რადიოაქტიური ნარჩენები და ატომური ელექტროსადგურის მოვლა-პატრონობა ძვირია. მეცნიერები ავითარებენ სხვადასხვა მოწყობილობებს ყოველდღიური ცხოვრებისთვის, რომლებიც დაზოგავენ ენერგიას, შესაბამისად, ეს დადებითად მოქმედებს ბუნებაზე და გარკვეულწილად წყვეტს გლობალურ ენერგეტიკულ პრობლემას. ასევე ხდება არაგანახლებადიენ ერგორესურსების აღმოჩენა და ათვისება. ამჟამად მსოფლიო ნავთობის მარაგი დაახლოებით 1.7 ტრილიონ ბარელს, მსოფლიო ბუნებრივი აირის მარაგი ტრილიონ კუბურ მეტრს, მსოფლიო ქვანახშირის მარაგი ტრილიონ ტონასშეადგენს. ბირთვული საწვავის (ურანის და პლუტონიუმის) მარაგი შეზღუდულია, მაგრამ ბირთვული ენერგია ენერგეტიკის სექტორში მნიშვნელოვან როლს კვლავ ასრულებს. არსებული მარაგი ბირთვული რეაქტორების დიდი ხნის განმავლობაში გამოყენების საშუალებას იძლევა [**Оценка... 2024**].

გლობალური სასურსათო პრობლემა პლანეტის მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტების არასაკმარისი მიწოდებაა. ის ძირითადად მესამე სამყაროს უღარიბეს ქვეყნებში ვლინდება და მათი მოსახლეობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მწვავე ხდება. დღეს საკვების დეფიციტით დაავადებული ადამიანების საერთო რაოდენობა 1 მილიარდ ადამიანს აღემატება. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის ზრდა უსწრებს სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდას და მისი ტექნოლოგიების განვითარებას. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის ტექნოლოგიების განვითარების ამჟამინდელი დონითაც კი,

შესაძლებელი იქნება 10 მილიარდზე მეტი ადამიანის გამოკვებას [Продовольственная... 2024].

არაეკონომიკური გლობალური საფრთხეები

მესამე მსოფლიო ომი, მშვიდობის დაცვა, განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება:. დღეისათვის მსოფლიოში დაგროვებულია იმდენი რაოდენობის მასობრივი განადგურების საშუალება (ბირთვული, ქიმიური, ბაქტეოროლოგიური), რომლის მთელი მასშტაბით ამოქმედება კაცობრიობის არსებობას დიდ საფრხეს უქმნის. დღეისათვის უკვე საუბარია ახალი სახეობის მასიური განადგურების საშუალებების გამოყენებაზე, რომელთა მოქმედება, ხშირ შემთხვევაში აღემატება არსებულს. მაგალითად, ასეთი, ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული იარაღი შეიძლება იყოს: მიმართული ენერგიის, ლაზერული, ელექტრომაგნიტური, ინფრაბგერითი, რადიოსიხშირული, გეოფიზიკური (ტექტონიკური, ეკოლოგიური, კლიმატური, ოზონური), გენეტიკური იარაღი და ა. შ.

ჯერ კიდევ კანტი, თავის ტრაქტატში „მარადიული მშვიდობისათვის“, წერდა: გამანადგურებელი ომი მარადიულ მშვიდობასთან მიგვიყვანს, მხოლოდ კაცობრიობის გიგანტურ სასაფლაოზე [Кант. И. 1989.]. ამიტომ ის მოითხოვდა ომის აკრძალვას. პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა დაადასტურა ამ სიტყვების სიმართლე, რამაც სტიმული მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას. ამ ორგანიზაციის მთავარი მისიაა სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების დაცვა. მაგრამ დაძაბულობა მაინც წარმოიშვა ორ დიდ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს და მათ ბანაკებს შორის, რომელიც ცნობილია „ცივი ომის“ სახელით. დიდი მასშტაბის ომის თავიდან აცილება, ჩვენი აზრით, კი მოხერხდა ატომური და თერმობირთვული იარაღის გამოყენების შედეგად, ვინაიდან ამ იარაღის მასობრივი ამოქმედებით განადგურდება კაცობრიობა და მოგებული არავინ დარჩება. ცივი ომის დამთავრების შემდეგაც არ დამყარებულა სრული მშვიდობა. მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში პერიოდულად იფეთქებს, თუმცა ლოკალური, მაგრამ მნიშვნელოვანი სამხედრო დაპირისპირება, რაც აფერმკრთალებს გლობალიზაციის მონაპოვრებს.

განვითარებადი ქვეყნების პრობლემები. ეს არის განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობების პრობლემა. ვინაიდან ცხოვრების დონე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება, წარმოიშობა სხვადასხვა პრობლემა, რომელთაც აქვთ გლობალური ხასიათი. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასშტაბური იძულებითი მიგრაცია, საგარეო ვალის გადაუხდელობა, ინფექციური დაავადებების მსოფლიოში გავრცელების საფრთხე და სხვ. განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათთვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, არადმაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, პატარა ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა

ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ყველაზე მძიმე ეკონომიკური სიტუაცია არის ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გაუარესებული ბუნებრივი პირობებისა და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

ბუნებრივია, ეკონომიკურ დონეთა დიდი განსხვავება ქვეყნებს შორის საფრთხეს წარმოადგენს სტაბილიზაციისათვის მსოფლიოში, მათ შორის, ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია ამ პრობლემის აღმოფხვრისაკენ.

დემოგრაფიული პრობლემები. ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პრობლემა მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მწვავედ დადგა. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობამ მსოფლიოში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და საჭიროა მისი შეჩერების გზების გამონახვა. მოსახლეობის ზრდის უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობის ზრდა მოითხოვს ეკონომიკის შესაბამის ზრდას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე; რადგანაც ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, მოსახლეობის დაუსრულებელი ზრდის პირობებში, იგი შესაძლებელია საკმარისი არ აღმოჩნდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეების ბრიტანელი ეკონომისტი და დემოგრაფი თომას რობერტ მალთუსი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა გადააჭარბებდა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, რასაც კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. დღეისათვის უკვე დგას არაერთი გლობალური პრობლემა რესურსების ამოწურვასთან დაკავშირებით.

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეთმო, რადგან ზრდის ტემპები არნახულ სიდიდეს აღწევს. 1972 წელს გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში გამოთქმულია შეშფოთება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ზრდა წარმოშობს პრობლემებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის სფეროში და რომ აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მოსახლეობის ზრდის პრობლემებს მიეძღვნა აგრეთვე ბუქარესტისა (1974) და მეხიკოს (1984) საერთაშორისო კონფერენციები, საიდანაც გაისმა მოწოდება იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე იგრძნობა უთანაბრობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და ბუნებრივ რესურსებს შორის, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. იმავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული რიო-დე-ჟანეიროს 1992 და კაიროს 1994 წლების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციებიც. შემდგომაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფორუმებზე, არაერთხელ მიეთითა მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის დიდ მნიშვნელობაზე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. კაცობრიობის ორმილიონიანი წლის არსებობის მანძილზე დიდი ხნის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა ძლიერ მცირე იყო. 12 000 წლის წინ იგი მხოლოდ 5 მილიონ კაცს შეადგენდა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მხოლოდ 250 მილიონს.

XX საუკუნე დედამიწაზე მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის საუკუნე იყო, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა 1,6 მილიარდიდან 6,1 მილიარდამდე გაიზარდა. ამასთან, თუ პირველი მილიარდით მატებას (1 მილიარდიდან 2 მილიარდამდე) 123

წელი (1804-1927) დასჭირდა, ბოლო მილიარდით მატება მხოლოდ 12 წელიწადში (2005-2017) მოხდა და 7 515 384 153 კაცი შეადგინა [Численность... 2018].

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად პრობლემებს წარმოშობს ასევე დედამიწაზე მისი მეტად არათანაბარი განაწილება ტერიტორიების მიხედვით (70 პროცენტზე მეტი მხოლოდ 15 სახელმწიფოზე მოდის), აგრეთვე დიდია განსხვავება მოსახლეობის ზრდის ტემპებს შორის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის კლება შეინიშნება, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები ჯერ კიდევ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, სინგაპური, ტაივანი და ა.შ.) გატარდა ზომები შობადობის შესამცირებლად

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პრობლემაა ცვლილებები დემოგრაფიულ სტრუქტურაში. თუ დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში ადგილი აქვს დემოგრაფიულ აფეთქებას, მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში იწყება დემოგრაფიული გადასვლა (პოპულაციის სიჩქარის მკვეთრი ზრდის შეცვლა მისი ასევე მკვეთრი შემცირებით), რის შედეგადაც ხდება მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაცია. ამდენად, მოსახლეობის ზრდის პრობლემა საყოველთაო მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ მისი გადაჭრა თითოეულმა ქვეყანამ ცალკე უნდა მოახერხოს, ვინაიდან ისინი სრულიად განსხვავებული პრობლემების წინაშე დგანან. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. ცალკე უნდა გამოიყოს ენერგეტიკული პრობლემა. გაანგარიშებები უჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად მსოფლიოში ენერგიის მოხმარება მის კვადრატჯერ იზრდება.

ადამიანისეული პოტენციალის განვითარების პრობლემა. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით 4 წელია. ტროპიკულ აფრიკაში 3 წელზე ნაკლები, დასავლეთ აფრიკაში კი მხოლოდ 2 წელიწადი. მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს წერაკითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პრობლემა. აფრიკასა და სამხრეთ აზიაში წერაკითხვის უცოდინართა რაოდენობა მოზრდილ მოსახლეობაში 40%-ს შეადგენს.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემები: კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილება დედამიწის ატმოსფეროში სათბურის აირების არანორმალურად დიდი კონცენტრირების შედეგად ხდება. ადამიანის სხვადასხვა საქმიანობა იწვევს სათბურის აირების ჭარბ ემისიას ატმოსფეროში. ხოლო აღნიშნულს კი შედეგად მოჰყვება სათბურის ეფექტის გაძლიერება, რაც თავის მხრივ იწვევს გლობალური ტემპერატურის მატებას და შესაბამისად **გლობალურ დათბობას.** კლიმატის ცვლილება აღნიშნავს, როგორც გლობალურ დათბობას, ასევე ამ პროცესის ანუ გლობალური დათბობის შედაგად წარმოქმენილ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მყინავრების დნობა მთებზე და ყინულის ფენების განლევა ოკეანეებში; ზღვის დონის მატება; დატბორვები; წყალდიდობები; ნალექიანობის ზრდა; ქარიშხალების გაძლიერება და გახშირება; ე.წ. „სიცხის ტალღები“; გახშირებული და განგრძობადი გვალვები; ტროპიკული ციკლონები; ტყის ხანძრები; მცენარეების ყვავილობის პერიოდების ცვლა; და სხვა. ეს ყოველივე კი იწვევს ბუნების ჩვეული ბალანსის რღვევას და სხვადასხვა სახის საფრთხეს უქმნის ადამიანებს და სიცოცხლის ყველა ფორმებს დედამიწაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალური დათბობა არის კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი გამოვლინება, რაც იწვევს **მყინვარების დნობას მთებზე და ყინულის ფენების** განლევას ოკეანეებში, რის გამოც თანდათან ივევს ზღვის დონის ზრდას და საუკეთესო მიწების ოკეანეებით დაფარვას. თუ სათბურის აირების ემისია

ატმოსფეროში გაგრძელდა იგივე ტემპით, არქტიკის ყინული აღარ იარსებებს 2040 წლის ზაფხულისათვის. 1880 წლის შემდეგ დღემდე ზღვის საშუალო დონემ დაახლოებით 23 სანტრიმეტრით მოიმატა. მხოლოდ ბოლო 25 წელიწადში ზღვის დონის მატებამ შეადგინა დაახლოებიტ 8 სანტიმენტრი. 2023 წელს გლობალური საშუალო ზღვის დონე იყო 10 სანტიმეტრით მეტი ვიდრე 1993 წელს. წყნარ ოკეანეში სოლომონის კუნძულების 5 კუნძული სრულად ჩაიძირა ზღვის დონის მატების გამო, ხოლო სხვა 6 კუნძულის მინუმუმ 20 პროცენტი დაფარა წყალმა. მარტო გრენლანდიის ყინულის ფენის სრულად განლევა გამოიწვევს ზღვის დონის დაახლოებით 7 მეტრით მატებას, რასაც მოჰყვება დამანგრეველი შედეგები მილიარდობით ადამიანისათვის, მთებზე მყინვარების სრული დადნობა და ოკეანეებში ყინულის ფენების სრუილად განლევა გამოიწვევს ზღვის დონის დაახლოებით 70 მეტრით მატებას.

გეოფონდის განადგურება და გაღარიბება.მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ბოლო 200 წლის განმავლობაში დაიკარგა 9 000 სახეობის მცენარე და ცხოველი, თანდათან მცირდება სასარგებლო წიაღისეულთა რაოდენობა.

მსოფლიო ოკეანის პრობლემა. ძლიერ იზრდება მსოფლიო ოკეანის დაბინძურება ენერგეტიკის, ქიმიური და სამხედრო მრეწველობის პროდუქტებით, რაც ძლიერ საშიშია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და საკვები რესურსების შემცირება და ჟანგბადის ბალანსის დარღვევა ატმოსფეროში;

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R., Bibilashvili N. Global Economic Safety. ინტერნეტ კონფერენცია. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2018.
2. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები https://www.ssa.edu.ge/ka/conceptual-framework/global-ecological-problems
3. ნამჩავაძე ბ. 2020. ეკონომიკური კრიზისების მიზეზები და შედეგები. https://forbes.ge/ekonomikuri-krizisebis-m/
4. Глобальная энергетическая проблема пути решения. 2023 https://multifoto.ru/blog-lifestyle/globalnaya-energeticheskaya-problema-puti-resheniya/
5. Зимина В. А., Магарил, Е. Р. энергетическая проблема и исчерпаемость топливных ресурсов https://elar.urfu.ru/bitstream/10995/82593/1/sueb_2020_012.pdf
6. Кант. И. 1989. К вечному миру. М.: Московский рабочий
7. Оценка мировых энергетических резервов: текущее состояние и тренды развития. 2024. https://vik-hitline.ru/mirovye-jenergeticheskie-rezervy/ocenka-mirovyh-jenergeticheskih-rezervov-tekushhee-sostojanie-i-trendy-razvitija/
8. Продовольственая проблема. 2024. http://ru.planetaryproject.com/global_problems/food/; https://www.civisbook.ru/files/File/Kant_K_vechnomu_miru.pdf
9. Самые бедные страны мира. 2015 http://hochusvalit.com/khochu-svalit/samye-bednye-strany-mira
10. Численность населения в мире по годам. 2018 http://total-rating.ru/1918-chislennost-naseleniya-v-mire-po-godam.html

Рамаз Абесадзе

ГЛОБАЛЬНЫЕ УГРОЗЫ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ

Аннотация. *Национальная экономика находится под значительным влиянием как экономических, так и неэкономических факторов, происходящих в мире. В статье рассматриваются глобальные экономические и неэкономические угрозы экономической безопасности. Среди глобальных экономических угроз выделяют: экономические кризисы; энергетические проблемы; проблемы бедности; продовольственные проблемы; проблемы истощения ресурсов (истощение запасов нефти, природного газа, угля, древесины, цветных металлов, дефицит водных ресурсов); освоение космоса, использование ресурсов мирового океана и др. К глобальным угрозам неэкономического характера относятся: миротворчество; разоружение и контроль над вооружениями; проблемы развивающихся стран; демографические проблемы; экологические проблемы (катастрофическое загрязнение окружающей среды: загрязнение атмосферы, воды и почвы; сокращение биоразнообразия; изменение климата: глобальное потепление; озоновые дыры, парниковый эффект; международный терроризм; наркотрафик; этнополитические конфликты; защита прав и свобод человека; сохранение культурного разнообразия; кибербезопасность и др.).*

Ключевые слова: *экономическая безопасность, глобальные угрозы, экономический кризис, энергетическая проблема, продовольственная проблема.*

Введение

Термин «безопасность» начал использоваться примерно в XII веке и означал умиротворённое духовное состояние человека, его защищённость от любой опасности. Однако в этом значении он не был введён в лексикон и употреблялся крайне редко. Позднее был введён термин «государственная безопасность», означавший борьбу за защиту интересов государства. В дальнейшем категория «безопасность» была разделена на отдельные направления. В связи с этим «национальная безопасность, основой которой является экономическая безопасность», имеет первостепенное значение для отдельных стран. Национальная безопасность предполагает защиту страны и её населения от внешних и внутренних угроз во всех сферах деятельности. Впервые этот термин был использован в 1901 году президентом Соединённых Штатов Америки Теодором Рузвельтом в его обращении к нации «О национальной безопасности». Официально термин «национальная безопасность» возник в 1947 году, когда Соединённые Штаты Америки приняли закон «О национальной безопасности». Национальная безопасность, прежде всего, служит защите и реализации национальных интересов. Для защиты и реализации национальных интересов большое значение имеет «экономическая безопасность», поскольку без соответствующей экономической безопасности невозможно удовлетворение потребностей национальной безопасности (национальных интересов, повышения благосостояния людей). Обеспечение национальной безопасности требует разнообразных средств: современной техники, технологий, информационно-телекоммуникационных средств и т. д. Можно сказать, что основой национальной безопасности страны является её экономическая безопасность.

Основное содержание экономической безопасности заключается в обеспечении государством постоянной защиты жизненно важных экономических интересов личности, общества и государства, динамичного развития экономики как в мирных условиях, так и в условиях внутренних и внешних чрезвычайных ситуаций. Она реализуется на международном, национальном, региональном, корпоративном и личностном уровнях. Её важнейшие интересы базируются на инновационном развитии экономики и повышении её конкурентоспособности: социально-экономической и военно-политической стабильности; эффективном использовании и распределении

ресурсов; защите и реализации национальных приоритетов государства; устойчивом развитии; повышении благосостояния населения и обороноспособности страны.

Обеспечение экономической безопасности предполагает разработку и реализацию системы мер, обеспечивающих независимость, самобытность и развитие национальной экономической системы страны, предотвращение внутренних и внешних угроз, а также принятие заблаговременных мер по предотвращению ожидаемых угроз. Обеспечение экономической безопасности требует соответствующей организационной структуры.

Глобальные экономические угрозы

Национальная экономическая безопасность во многом зависит от происходящих в мире процессов, поэтому глобальная безопасность имеет большое значение, что подразумевает обеспечение защиты от ухудшения условий жизни на Земле и, в целом, от уничтожения человечества. Проблемы глобальной безопасности касаются всех государств и каждого человека. Существуют глобальные экономические и неэкономические угрозы, которые влияют на национальную экономическую безопасность. Среди глобальных угроз экономического характера следует отметить: экономические кризисы; энергетическую проблему; проблему бедности; продовольственную проблему; проблему истощения ресурсов: истощение запасов нефти, природного газа, угля, древесины, цветных металлов, дефицит водных ресурсов; освоение космоса, использование ресурсов Мирового океана и т. д. Среди глобальных угроз неэкономического характера следует отметить: миротворчество; разоружение и контроль над вооружениями; проблемы развивающихся стран; демографические проблемы; катастрофическое загрязнение окружающей среды: загрязнение атмосферы, воды и почвы; сокращение биоразнообразия; изменение климата: глобальное потепление; озоновые дыры, парниковый эффект; международный терроризм; наркотрафик; этнополитические конфликты; защиту прав и свобод человека; Сохранение культурного разнообразия; Кибербезопасность и т. д.

Экономический кризис – наиболее острое и разрушительное проявление глубоких противоречий воспроизводственного цикла, в ходе которого резко сокращается производство, растут безработица и инфляция, снижается уровень благосостояния населения. В период экономического кризиса могут возникать аграрный, биржевой, денежно-кредитный, валютный и финансовый кризисы. Вместе с тем кризис несет в себе и потенциально позитивные свойства. В период кризиса разрешаются противоречия и наступает новый, более высокий этап экономического развития.

Мир пережил несколько экономических кризисов: Великая депрессия 1929–1933 годов стала первым глобальным кризисом. Экономический спад продолжался четыре года и достиг пика в 1933 году. Последствия кризиса были устранены только во время Второй мировой войны. В период с 1929 по 1933 год мировая экономика сократилась на 15%. Международная торговля сократилась вдвое, а уровень безработицы в США и Европе превысил 25%. Треть американских банков обанкротились. Подходы Джона Мейнарда Кейнса стали популярными для прекращения Великой депрессии, он рекомендовал правительству увеличить бюджетные расходы для стимулирования совокупного спроса;Во время нефтяного кризиса 1973 года мировая цена на нефть выросла в четыре раза (с 3 до 12 долларов за баррель), что затруднило производство товаров в западных странах, сократило предложение и привело к росту цен. Рост цен на нефть был обусловлен несколькими причинами, но важнейшей из них стало эмбарго, наложенное арабскими странами-экспортерами нефти на поставки нефти на Запад. Эмбарго было вызвано войной между коалицией арабских стран и Израилем. Западные страны поддержали Израиль. Причинами роста цен на нефть также стали сокращение добычи нефти в США, прекращение действия Бреттон-Вудской системы (системы фиксированного обменного курса), что привело к снижению курса доллара и росту спроса на нефть в мире. В результате роста цен на нефть мировая экономика вступила в рецессию. Особенно пострадали США и Великобритания, где инфляция достигла двузначных значений. Этот процесс получил название «стагфляция» – сочетание

стагнации и инфляции. Во время нефтяного шока государственные расходы на стимулирование экономики не дали результата, поскольку проблема заключалась в ограничении предложения, вызванном высокими ценами на нефть, а не в падении спроса. Правильным подходом было поддержать производство путём снижения налогов и регулирования, а также расширения доступа к банковским кредитам. Нефтяной шок повторился во время нефтяного кризиса 1979 года, на этот раз, когда мировая цена на нефть выросла с 15 до 39 долларов за баррель. Основной причиной стало сокращение поставок нефти, последовавшее за Исламской революцией в Иране. Мировое предложение нефти упало на 4%, что привело к панике и ожиданиям роста цен, что привело к росту цен на нефть в 2,6 раза. В 1980 году началась ирано-иракская война, которая ещё больше сократила добычу нефти. Нефтяной шок 1979 года также повлек за собой «стагфляцию» во многих странах мира. Мировая экономика сократилась на 5%, в некоторых западных странах наблюдалась двузначная инфляция, а цены на акции упали. Ликвидация негативных последствий второго нефтяного шока во многом обусловлена деятельностью премьер-министра Великобритании Маргарет Тэтчер и президента США Рональда Рейгана, которые провели схожие реформы, связанные со снижением налогов, приватизацией и общим сокращением государственного вмешательства в экономику. Также ужесточилась денежно-кредитная политика, главной целью которой стала ценовая стабильность; Азиатский финансовый кризис начался с финансового кризиса в Таиланде, который распространился на Южную Корею, Гонконг, Малайзию и Филиппины. Он относительно слабо затронул Китай, Сингапур и Тайвань. Кризис начался на фондовых рынках и в банковском секторе из-за высоких корпоративных заимствований, которые переросли в кризисы государственного долга. Экономики стран, пострадавших от кризиса, сократились в общей сложности на 8%. В некоторых странах соотношение долга к ВВП удвоилось. В 1998–1999 годах в странах Восточной Азии действовали фиксированные обменные курсы, и во время кризиса их валютные резервы значительно сократились в результате продажи. В конце концов, они перешли к плавающим обменным курсам и получили от Международного валютного фонда программу помощи в размере 40 миллиардов долларов для преодоления кризиса. Финансовый кризис 2008–2009 годов имел самые серьёзные последствия со времён Великой депрессии. Он затронул все страны мира, поскольку к тому времени уровень экономической глобализации и взаимозависимости стран был очень высок. Существуют также различные мнения о причинах этого кризиса, но ясно одно: кризис начался в финансовом секторе, с чрезмерных банковских кредитов и роста цен на ценные бумаги, что называется «финансовым пузырём». Существуют также различные мнения о том, что стало причиной самого финансового пузыря: чрезмерно мягкая денежно-кредитная политика Федеральной резервной системы или слабое регулирование финансового сектора. Фактически кризис начался летом 2007 года на рынке недвижимости США с краха некачественного ипотечного кредитования. Мировая экономика сократилась на 3,3%, многие банки и финансовые учреждения обанкротились. Те, кто не обанкротился, серьёзно пострадали или были национализированы. Выделяется банкротство американского инвестиционного банка Lehman Brothers, имеющего 158-летнюю историю, в 2008 году, что вызвало панику и усугубило кризис. Частный финансовый сектор поддерживался государством, что увеличило объем государственного долга стран. Уровень безработицы в развитых странах вырос с 5% до 9%. Цены на недвижимость и акции существенно снизились, что означало обнищание их владельцев. Мир начал выходить из кризиса в 2010 году. Странам потребовалось два-три года, чтобы преодолеть кризис. Правительства в основном прибегали к программам бюджетной поддержки. Для стимулирования спроса банки развитых стран значительно снизили ставки рефинансирования и одновременно ужесточили банковское регулирование [Намчавадзе 2020]; **Кризис, вызванный пандемией коронавируса,** возник на фоне массового распространения инфекционного

заболевания в мире, при этом правительства принимали меры по обеспечению безопасности людей.Ограничения хозяйственной деятельности в экономике приводят к ограничению рыночных механизмов, частичному или полному прекращению функционирования предприятий, что влечет за собой экономический спад, ухудшение благосостояния и комфорта значительной части общества. Наиболее пострадавшими отраслями стали туризм, транспорт, малый и средний бизнес, перерабатывающая промышленность, нефтедобыча, автомобилестроение и электротехника, финансовый сектор, розничная торговля, сфера искусства, спорта, отдыха и развлечений, а наименее – пищевая промышленность, связь, электроэнергетика, международные перевозки и др.

Основной причиной возникновения энергетической проблемы является интенсивное использование минерального топлива, начавшееся в XX веке. Дефицит ресурсов вынуждает человечество строго экономить энергию. Эта проблема связана с такими важнейшими проблемами, как изменение климата, ухудшение состояния окружающей среды, безопасность, бедность, здравоохранение, производство продовольствия, сельское хозяйство и водные ресурсы.

Первое упоминание об энергетической проблеме относится к 1970 году. Тогда учёные начали утверждать, что вскоре человечество столкнётся с трудностями в обеспечении транспорта и предприятий топливом. Именно тогда выросли цены на нефть и нефтепродукты, в результате чего выросли цены на электроэнергию, автомобильное топливо, воздушный транспорт, отопление и другие услуги. После этого события начался мировой экономический кризис. Он затронул практически каждую страну и каждого человека на планете. Впоследствии кризис закончился, но энергетическая проблема никуда не исчезла. Учёные считают, что в ближайшем будущем энергетическая сфера существенно изменится. Наибольший акцент делается на использовании природных источников энергии, а именно: воды, ветра, солнца и геотермальной энергии. Сегодня учёные также разрабатывают новые ядерные реакторы, которые будут генерировать огромное количество энергии, при этом будучи максимально безопасными для окружающей среды. Но недостатки заключаются в том, что в любом случае будут радиоактивные отходы, а обслуживание атомной электростанции обходится дорого. Учёные разрабатывают различные энергосберегающие устройства для повседневной жизни, следовательно, это положительно влияет на природу и в какой-то степени решает глобальную энергетическую проблему. Также ведется поиск и освоение невозобновляемых источников энергии. В настоящее время мировые запасы нефти составляют около 1,7 трлн баррелей, природного газа – триллионы кубометров, угля – триллионы тонн. Запасы ядерного топлива (урана и плутония) ограничены, но атомная энергетика по-прежнему играет важную роль в энергетике. Имеющиеся запасы позволяют использовать ядерные реакторы в течение длительного времени [Оценка... 2024].

Глобальная продовольственная проблема – недостаточное обеспечение населения планеты продуктами питания. Она проявляется преимущественно в беднейших странах третьего мира и обостряется по мере роста их населения. Сегодня общее число людей, страдающих от нехватки продовольствия, превышает 1 млрд человек. Дело в том, что рост населения опережает рост сельскохозяйственного производства и развитие его технологий. Однако существует мнение, что даже при нынешнем уровне развития используемых сельскохозяйственных и животноводческих технологий можно будет прокормить более 10 млрд человек [Продовольствия... 2024].

Неэкономические глобальные угрозы

Третья мировая война, миротворчество, разоружение и контроль над вооружениями. Сегодня в мире накоплено огромное количество средств массового поражения (ядерных, химических, бактериологических), полномасштабное применение которых представляет огромную угрозу существованию человечества. Сегодня уже ведутся разговоры о применении новых видов средств массового поражения, действие которых во многих случаях превосходит существующие. Например, таким оружием, основанным на новых

физических принципах, может быть: направленной энергии, лазерное, электромагнитное, инфразвуковое, радиочастотное, геофизическое (тектоническое, экологическое, климатическое, озоновое), генетическое оружие и т. д. Ещё Кант в своём трактате «За вечный мир» писал: «Истребительная война приведёт нас к вечному миру, лишь к гигантскому кладбищу человечества» [Кант. И. 1989]. Поэтому он требовал запрета войн. Первая и Вторая мировые войны подтвердили истинность этих слов, что послужило толчком к созданию Организации Объединённых Наций. Основная миссия этой организации — обеспечение военно-политической безопасности. Однако между двумя великими державами, Советским Союзом и Соединёнными Штатами Америки, и их лагерями всё же возникла напряжённость, известная как «холодная война». Крупномасштабной войны, по нашему мнению, удалось избежать благодаря применению атомного и термоядерного оружия, поскольку массовое применение этого оружия уничтожило бы человечество, и никто бы не победил. Даже после окончания холодной войны полный мир не установился. В отдельных регионах мира периодически вспыхивают, пусть и локально, значительные военные столкновения, что затмевает достижения глобализации.

Демографические проблемы. Проблема экономического развития и роста населения мира обострилась с 1950-х годов. Многие учёные и политики считают, что население Земли достигло критического предела и необходимо найти способы его остановки. Среди негативных аспектов роста населения стоит отметить то, что рост населения требует соответствующего роста экономики, что негативно сказывается на окружающей среде; поскольку природные ресурсы ограничены, в условиях бесконечного роста населения их может быть недостаточно для удовлетворения растущих потребностей населения. Ещё в XVIII-XIX веках британский экономист и демограф Томас Роберт Мальтус утверждал, что рост населения превысит производственные мощности, что может иметь катастрофические последствия. Сегодня уже существует ряд глобальных проблем, связанных с истощением ресурсов. Проблемам роста населения в мире уделялось особое внимание после Второй мировой войны, поскольку темпы роста достигают беспрецедентных значений. В Декларации, принятой на Стокгольмской конференции по охране окружающей среды, состоявшейся под эгидой Организации Объединенных Наций в 1972 году, была выражена обеспокоенность тем, что рост населения создаёт проблемы в области охраны окружающей среды, и необходимость принятия соответствующих мер. Проблемы роста населения также обсуждались на международных конференциях в Бухаресте (1974) и Мехико (1984), которые призвали страны, где уже существовал дисбаланс между численностью населения и природными ресурсами, принять необходимые меры для восстановления нарушенного равновесия. Конференции Организации Объединенных Наций в Рио-де-Жанейро в 1992 году и Каире в 1994 году также были проникнуты этим духом. Впоследствии на международных форумах Организации Объединенных Наций неоднократно подчёркивалась огромная важность стабилизации роста населения в мире для достижения устойчивого экономического развития. За два миллиона лет существования человечества население Земли долгое время было очень небольшим. 12 000 лет назад оно составляло всего 5 миллионов человек, а в начале нашей эры – всего 250 миллионов. XX век стал веком беспрецедентного роста населения на Земле, когда население увеличилось с 1,6 млрд до 6,1 млрд. При этом если первый миллиардный прирост (с 1 млрд до 2 млрд) занял 123 года (1804-1927), то последний миллиардный прирост произошел всего за 12 лет (2005-2017) и составил 7 515 384 153 человек [Численность... 2018]. Наряду с ростом численности населения, проблемы вызывает и его крайне неравномерное распределение по территории Земли (более 70% приходится всего на 15 государств), а также большая разница в темпах прироста населения между развитыми и развивающимися странами. Если в развитых странах наблюдается снижение прироста населения, то в развивающихся странах темпы прироста населения по-прежнему высоки, несмотря на то, что в ряде стран (Китай, Индия, Сингапур, Тайвань и др.) приняты меры по снижению рождаемости. Важной демографической проблемой является изменение демографической структуры. Если в странах с низким экономическим развитием происходит

демографический взрыв, то в странах с высоким экономическим развитием начинается демографический переход (смена резкого роста численности населения столь же резким его падением), в результате чего рост населения стабилизируется. Таким образом, проблема роста населения является общемировой, но каждая страна должна решать её самостоятельно, поскольку сталкивается с совершенно разными проблемами. Обеспечение населения питьевой водой также является важной проблемой. Отдельно следует выделить энергетическую проблему. Расчёты показывают, что с ростом населения потребление энергии в мире увеличивается в четыре раза.

Глобальные экологические проблемы: изменение климата. Изменение климата происходит в результате аномально высокой концентрации парниковых газов в атмосфере Земли. Различные виды деятельности человека приводят к чрезмерным выбросам парниковых газов в атмосферу. Это, в свою очередь, приводит к усилению парникового эффекта, который, в свою очередь, приводит к повышению глобальной температуры и, соответственно, глобальному потеплению. Под изменением климата понимают как само глобальное потепление, так и явления, возникающие в результате этого процесса, или глобальное потепление, такие как таяние ледников в горах и исчезновение ледяных щитов в океанах; повышение уровня моря; наводнения; увеличение количества осадков; усиление и частота штормов; так называемые «волны тепла»; частые и продолжительные засухи; тропические циклоны; лесные пожары; сдвиги сроков цветения растений и другие. Всё это приводит к нарушению привычного равновесия в природе и создаёт различные угрозы для человека и всех форм жизни на Земле. Соответственно, можно сказать, что глобальное потепление является одним из проявлений изменения климата, которое вызывает таяние ледников на горах и таяние ледяных щитов в океанах, что постепенно приводит к повышению уровня моря и покрытию океанами лучших земель. Если выбросы парниковых газов в атмосферу продолжатся такими же темпами, арктические льды исчезнут к лету 2040 года. С 1880 года средний уровень моря поднялся примерно на 23 сантиметра. Только за последние 25 лет повышение уровня моря составило около 8 сантиметров. В 2023 году глобальный средний уровень моря был на 10 сантиметров выше, чем в 1993 году. В Тихом океане 5 островов Соломоновых Островов полностью затонули из-за повышения уровня моря, а не менее 20 процентов остальных 6 островов покрыты водой. Полное исчезновение только Гренландского ледяного щита приведет к повышению уровня моря примерно на 7 метров, что будет иметь разрушительные последствия для миллиардов людей, полное таяние ледников в горах и постепенное исчезновение ледяных щитов в океанах приведет к повышению уровня моря примерно на 70 метров. Уничтожение и оскудение геофонда. Ученые подсчитали, что за последние 200 лет утрачено 9000 видов растений и животных, постепенно сокращается количество полезных ископаемых. Проблема мирового океана. Загрязнение мирового океана продуктами энергетической, химической и военной промышленности стремительно растет, что весьма опасно, поскольку может привести к сокращению водных и пищевых ресурсов и нарушению кислородного баланса в атмосфере.

Литература

1. Abesadze R., Bibilashvili N. Global Economic Safety. Internet conference. TSU Paata Gugushvili Institute of Economics, 2018.
2. Global ecological problems https://www.ssa.edu.ge/ka/conceptual-framework/global-ecological-problems
3. Namchavadze B. 2020. Causes and consequences of economic crises. (in Georgian) https://forbes.ge/ekonomikuri-krizisebis-m/
4. Global energy problem solution. 2023. https://multifoto.ru/blog-lifestyle/globalnaya-energeticheskaya-problema-puti-resheniya/
5. Зимина В. А., Магарил, Е. Р. энергетическая проблема и исчерпаемость топливных ресурсов https://elar.urfu.ru/bitstream/10995/82593/1/sueb_2020_012.pdf

6. Кант. И. 1989. К вечному миру. М.: Московский рабочий https://www.civisbook.ru/files/File/Kant_K_vechnomu_miru.pdf

7. Оценка мировых энергетических резервов: текущее состояние и тренды развития. 2024. https://vik-hitline.ru/mirovye-jenergeticheskie-rezervy/ocenka-mirovyh-jenergeticheskih-rezervov-tekushhee-sostojanie-i-trendy-razvitija/

8. Продовольственая проблема. 2024 http://ru.planetaryproject.com/global_problems/food/

9. Самые бедные страны мира. 2015 http://hochusvalit.com/khochu-svalit/samye-bednye-strany-mira

10. Численность населения в мире по годам. 2018 http://total-rating.ru/1918-chislennost-naseleniya-v-mire-po-godam.html

იოსებ არჩვაძე

სახელმწიფო სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. *სახელმწიფო უსაფრთხოება გულისხმობს ერის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობის და მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების დაცვას შიდა და გარე საფრთხეებისგან. ის მოიცავს სექტორების ფართო სპექტრს, სამხედრო თავდაცვიდან კიბერმდგრადობამდე და ეკონომიკურ სტაბილურობამდე. მათ შორის ერთ-ერთი საკვანძოა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელთაგან მთავარია სასურსათო უსაფრთხოების ასპექტი.*

სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ან რეგიონის უნარს, უზრუნველყოს თავისი მოსახლეობის საიმედო წვდომა საკმარის, უსაფრთხო და ნოყიერ საკვებზე ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების შესანარჩუნებლად. ეს ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი კომპონენტია.

*სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება დამოკიდებულია, ზოგადად, ეკონომიკის განვითარების დონეზე, კონკრეტულად კი – აგრარული სექტორის ფაქტობრივ მდგომარეობაზე. ამასთან, ბოლო წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა რჩება ეროვნული მეურნეობის ყველაზე სუსტ რგოლად. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია როგორც აღნიშნული დარგის დაჩქარებული განვითარებით, ისე ეკონომიკური პოტენციალისა და სპეციალიზაციის ეფექტიანობის ისეთი ზრდით, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს მოსახლეობა **საჭირო რაოდენობის, სრულფასოვანი და დაბალანსებული, უვნებელი და ხელმისაწვდომი სურსათით.***

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო უსაფრთხოება, სოფლის მეურნეობა, აგროსასურსათო პროდუქცია, კვების პროდუქტები, მოხმარების რაციონალური (რეკომენდირებული) ნორმები.*

სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი მიზნები და საყრდენები

სასურსათო პრობლემა ზოგადად ფიზიოლოგიურიცაა და სოციალურ-ეკონომიკურიც. ამასთან *სასურსათო უსაფრთხოებას* გააჩნია პოლიტიკური ასპექტიც. ეს არის ქვეყნის მიერ სასურსათო პროდუქტების ისეთი რაოდენობით წარმოებისა და მათზე წვდომის იმგვარი პოტენციალი, რომელიც არ გახდის მოცემულ სახელმწიფოს სხვა ქვეყნებზე მეტისმეტად დამოკიდებულს, ამ უკანასკნელთაგან სურსათის

მიწოდების პროცესის პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად (ემბარგო, მიწოდების კაბალური პირობები, ფასებით მანიპულაცია და ა.შ.) გადაქცევის გარეშე.

ამიტომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, ზემოხსენებული პირობების გათვალისწინებით, აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა ქვეყნის, სახელმწიფოს სასურსათო უშიშროების უზრუნველსაყოფად. აუცილებელია მაკროეკონომიკურ დონეზე ქვეყნის ისეთი სასურსათო უშიშროების დონე, რომელიც აკმაყოფილებს, სულ ცოტა, ოთხ მთავარ პირობას:

ა) უზრუნველყოფს ქვეყანაში სურსათის, კვების ძირითადი პროდუქტების მოსახლეობის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო და საკმარის რაოდენობას;

ბ) გარდამავალი (მუდმივი) მარაგების არსებობას წლიური მოხმარების არანაკლებ 15-20 %-ის დონეზე (მარცვლეულზე – 17 %-ის დონეზე). აღნიშნული კრიტერიუმი ეფუძნება მიწოდების ჯაჭვებში შესაძლო პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში მოსახლეობისათვის შესაბამისი პროდუქტების შეუფერხებელი მიწოდების გარანტირებულ უზრუნველყოფას;

გ) საკუთარი წარმოებით კვების ძირითადი პროდუქტებით მოხმარების უზრუნველყოფის მაღალ (არანაკლებ 60-80 %-ით) დონეს;

დ) იმპორტზე დამოკიდებულების მინიმიზაციას.

რამდენად უზრუნველყოფს რეალობა აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამაზე წარმოდგენას ქვემორე ცხრილი იძლევა.

ცხრილი 1

მოსახლეობის ერთ სულზე საკვები პროდუქტების მოხმარება
2024 წელს მოხმარების რაციონალურ ნორმებთან მიმართებით
(კილოგრამი)

		ნორმა[2]	ფაქტი	ფაქტი %-ით ნორმასთან
	პური და პურპროდუქტები, ფქვილზე გადაანგარიშებით	127,5	114	89,4
	კარტოფილი	62	50	80,6
	ბოსტნეული და ბახჩეული	146	58	39,7
	ხილი	110	27	24,5
	შაქარი	36	23	63,9
	მცენარეული ზეთი	7,3	9,7	132,9
	თევზი და თევზის პროდუქტები	11,0	7,8	70,9
	ხორცი და ხორცის პროდუქტები	65	51	78,5
	რძე და რძის პროდუქტები	292	206	70,5
0	კვერცხი, ცალი	286	173	60,5


როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ფაქტობრივად ყველა ძირითადი კვების პროდუქტის მიხედვით შეინიშნება არსებითი ჩამორჩენა შესაბამისი მოხმარების ნორმიდან.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ორია:

[2] წყარო: *პაატა კოღუაშვილი, რამაზ გახოკიძე, ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. ,,ეკონომისტი“, N1, 2022, ტომი XVIII, გვ. 48-49.*

პირველი არის სასოფლო-სამეურნეო, აგროსასურსათო პროდუქციის არასაკმარისი წარმოება. ამ საუკუნეში (2001-2024 წლებში) საქართველომ განახორციელა 25.4 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი, რაც შესაბამის ექსპორტს 10.1 მლრდ. აშშ დოლარით აღემატება.


დიაგრამა 1



ცალკეული პროდუქციის მიხედვით იმპორტზე დამოკიდებულება საკმაოდ მაღალია, თანაც, ზოგიერთი მათგანის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების მხრივ განსაკუთრებით მოწყვლად მიმართულებად რჩება ისეთ არაპროგნოზირებად და აგრესიულ მეზობელზე დამოკიდებულება, როგორიცაა რუსეთი.[3]

საქართველოში მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტდამოკიდებულებაზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა ქვემორე დიაგრამა.

დიაგრამა 2



[3] 2024 წელს საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 99.3 პროცენტი და მზესუმზირას ზეთის იმპორტის 84.8 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. გამოდის, რომ საქართველოში მოხმარებული ხორბლის თითქმის 4/5 და მზესუმზირას ზეთის 2/3 რუსული წარმომავლობის იყო.

ეკონომიკური ჩამორჩენის **მეორე** მიზეზია ეკონომიკური ხელმისაწვდომობა. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი, რომ შეძლოს მოთხოვნილების რაციონალურ დონეზე დაკმაყოფილება. მაგალითად, **მოხმარების რაციონალური ნორმის დონეზე უზრუნველსაყოფად, ამჟამინდელთან შედარებით რომ ექსკლუზიურად მხოლოდ იმპორტით გვეცადა მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხორცსა და ხორცპროდუქტებზე, ამისათვის ჩვენ დაგვჭირდებოდა დამატებით დაახლოებით 0.5 მლრდ. აშშ დოლარის იმპორტის განხორციელება,** რაც მოითხოვდა მოსახლეობის ამჟამინდელი სასურსათო კალათის გაძვირებას, სულ ცოტა, 15 %-ით. ეს კი ამჟამინდელი გადახდისუნარიანობის პირობებში აბსოლუტურად არარეალურია.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ აგრარული სექტორის ჩამორჩენა და ქვეყნის მოსახლეობის აგროსასურსათო პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფაში იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება კონიუნქტურული კი არა, არამედ სისტემური ხასიათისაა.

ცხრილი 2

საქართველოში აგრარულ სექტორში წარმოებული დამატებული ღირებულება და აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი 2010-2024 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2010 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2024 წ.
აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება აშშ დოლარებში, ლარი/$-ის საშუალო წლიური კურსით	1034,5	1168,0	1154,7	1204,6	1480,0	1829,0
აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი	964,4	1111,5	1212,6	1354,0	1857,6	2202,7
აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი	349,3	612,3	942,3	1142,0	1261,7	1679,8
აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან აგროსასურსათო პროდუქციის პროცენტული თანაფარდობა:						
- იმპორტის	93,2	95,2	105,0	112,4	125,5	120,4
- ექსპორტის	33,8	52,4	81,6	94,8	85,3	91,8

იმპორტზე მეტისმეტი დამოკიდებულება, მით უფრო, თუ საქონლის იმპორტში რომელიმე ქვეყანას მონოპოლიური მდგომარეობა უკავია, მიმღებ ქვეყანას მიწოდების პოტენციურ მძევლად აქცევს, სულ ცოტა, სამნაირი საფრთხის არსებობით:

ჯერ ერთი, მიწოდების მყისიერი შეწყვეტა, ემბარგო ან სანქციები აღნიშნულ პროდუქციაზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რადგანაც საჭირო იქნება მიწოდების ჯაჭვების გადაწყობა, რაც დროში გაჭიანურებული პროცესია. ამასთან, ამგვარი ვითარება, როგორც წესი, საგრძნობლად აძვირებს პროდუქციის ფასს სამომხმარებლო ბაზარზე;

მეორე, მიმწოდებელ ქვეყანაში ექსპორტის კვოტირება, საექსპორტო მოსაკრებლების შემოღება (ზრდა) ასევე აძვირებს პროდუქციის ღირებულებას და, შესაბამისად, უარყოფითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე;

მესამე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მიმწოდებელი ქვეყნის მიერ სუბსიდირების შემთხვევაში იმპორტირებული პროდუქციის ბაზარზე დემპინგური ფასებით რეალიზაცია ძირს უთხრის აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივი

წარმოების რენტაბელობას, ზოგადად – მისი წარმოების მიზანშეწონილობას და იწვევს იმპორტდამოკიდებულების ზრდას.

აუცილებელია არა მარტო კვების ძირითადი პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ზრდა, არამედ ადგილობრივი წარმოების რესურსების მაქსიმალური მიახლოება შესაბამისი კვების პროდუქტების მოხმარების რეკომენდებულ (რაციონალურ) ნორმებთან.

ამ ასპექტით სახელმწიფოებრივი უშიშროების უზრუნველსაყოფად საჭიროა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ამოცანის ერთდროული გადაწყვეტა. კონკრეტულად ხორცთან მიმართებით ეს გამოხატება შემდეგში:

ა) ხორცის საშუალო სულადობრივი წლიური მოხმარების აყვანა ამჟამინდელი ფაქტობრივი 45 კგ-დან რაციონალურ 65 კგ-მდე;

ბ) ხორცის მოხმარების სტრუქტურის ოპტიმიზაცია ხორცის სახეობათა მიხედვით;

გ) ხორცის მოხმარებაში თვითუზრუნველყოფის (ადგილობრივი, შიდა ქვეყნისმიერი რესურსებით) ამაღლება ამჟამინდელი ფაქტობრივი მოხმარების 47 %-დან რაციონალური მოხმარების, სულ ცოტა, 75 %-იან დონემდე;

დ) მოსახლეობის შემოსავლების ადეკვატური ზრდა, მისი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა სურსათის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხორცისა და ხორცპრო-დუქტების) რაციონალური ნორმის ფარგლებში მოხმარების (შეძენის შესაძლებლობის) უზრუნველსაყოფად.

ხორცის წარმოების ზრდა და მოსახლეობის მიერ მისი მოხმარების რაციონალური ნორმების დონეზე აყვანა გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის ზრდას. სამომხმარებლო ფასების გათვალისწინებით, ხორცის მოხმარებაში მოსახლეობის ყოველ ერთ სულზე ახლანდელი 14-კილოგრამიანი დეფიციტის შესავსებად საჭირო იქნებოდა დამატებით წლიურად 300 ლარზე მეტი. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საშუალოდ ოჯახში 3.36 წევრია, მარტო ხორცის შესაბამისი სტრუქტურის მიხედვით რაციონალურ დონეზე მოხმარებისათვის ყოველ შინამეურნეობას წლიურად დასჭირდება დამატებით თითქმის 1.1 ათასი ლარი, რაც 2024 წლის მდგომარეობით სამი თვის საბაზო პენსიას აღემატება. **მთელი ქვეყნის მასშტაბით კი ხორცის სულადობრივი წლიური მოხმარების 51-დან 65 კილოგრამამდე ასაყვანად საქართველოს მოსახლეობის დამატებითი მოთხოვნა შეიძლება შეფასდეს დაახლოებით 1.2 მლრდ. ლარად – ქვეყნის დაახლოებით 63 ათასი შინამეურნეობის წლიური მთლიანი შემოსავლების ეკვივალენტურ თანხად.**

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ზომები

იმისათვის, რომ სახელმწიფომ უკეთ შეძლოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროა მიზანმიმართული, ეფექტიანი საშინაო პოლიტიკის გატარება წარმოების ორგანიზების, მართვის, აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და სუბსიდირების სისტემის მეშვეობით. თუმცა წარმატების მისაღწევად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) რეკომენდაციების გათვალისწინებას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფაში სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის თანმიმდევრული სვლა რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ამისათვის განმსაზღვრელი როლი უნდა შეასრულოს მმართველი ძალის პოლიტიკურმა ნებამ და

გადაწყვეტილებების მიმღებთა კომპეტენტურობამ, უშუალოდ წარმოების პროცესში დასაქმებული პირების სამეწარმეო უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და, აქედან გამომდინარე, მათი შრომის მწარმოებლურობის დონემ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაატაროს უფრო მიზანმიმართული, ეფექტიანი და გარკვეულწილად, პროტექციონისტული აგრარული პოლიტიკა, უზრუნველყოს ადგილობრივი კვების პროდუქტების, სურსათის წარმოების, შესაბამისი სანედლეულო ბაზისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე გადამამუშავებელი მრეწველობის მასშტაბების გაფართოება, აგრარულ სექტორში შრომის სოციალური და ეკონომიკური პრესტიჟულობის ამაღლება, სასურსათო რეგიონული ბაზრების განვითარება ლოკალიზებული სასურსათო რესურსების რეპროდუქციისთვის (აღწარმოებისათვის). მნიშვნელოვან რეზერვს ამ მიმართულებით წარმოადგენს ქვეყნის მიწის ფონდის, რომლის 85 % ჯერაც სახელმწიფო საკუთრებაა, გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაც.

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულება ქვეყნაში მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა უნდა გახდეს. ამ ასპექტით ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით ჩვენს უშუალო მეზობლებს, რომლებსაც საქართველოსთან შედარებით ნამდვილად არა აქვთ უკეთესი ბიოგეოკლიმატური პირობები და სავარგულები, მაგრამ „ახერხებენ“ ჩვენთან შედარებით მარცვლეულით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის გაცილებით მაღალი დონის მიღწევას. აზერბაიჯანში ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონე თითქმის 80 პროცენტია, სომხეთში – 60 პროცენტი, საქართველოში კი ბოლო წლების პიკური მაჩვენებელი მხოლოდ 22 პროცენტია. უახლესი წლების (2030 წლისთვის) ამოცანა უნდა გახდეს მარცვლეულის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის გაზრდა არანაკლებ 60 %-მდე, რისთვისაც გასატარებელი იქნება მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, ნათესი ფართობების ზრდიდან დაწყებული და თანამედროვე აგრომეცნიერების მიღწევებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით მოსავლიანობის მკვეთრი ზრდით დამთავრებული.

აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის საჭიროა მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გამოყენება, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნებში), მიწის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საქონელმწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწევით/ან დაწევით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დიდ როლს ასრულებს საბაზრო ფასების მხარდაჭერა, სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდელების მაღალი წილი (სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%).

ამასთან, ჩვენი ეროვნული სპეციფიკა – ხასიათი, ჩვევები, კვების ტრადიცია და ა.შ. – განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ქვეყნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებასა და მიწასთან დამოკიდებულებას. ეს კი

ობიექტურად მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და განვითარების პროცესის რეალიზაციას ქართული (ეროვნული ტრადიციების) სპეციფიკის გათვალისწინებით და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც, ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურ გადმოტანა-გამეორებას.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესმა უნდა მოიცვას როგორც წარმოების, ისე მიმოქცევისა და რეალიზაციის სფეროებიც, რომელშიც პროტექციონისტული და ფისკალური ზომების ერთობლიობა უზრუნველყოფს კუმულატიურ პოზიტიურ ეფექტს როგორც ადგილობრივ მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მხრივ. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში ნორმატიულ დონეზე უნდა აისახოს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნე-ბის გამოცდილება პურზე დღგ-ის ტარიფის 7-8%-მდე შემცირების ან საერთოდ განულების თაობაზე. მოკლედ, სახელისუფლებო სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ორი ერთიანი ამოცანის გადაწყვეტაზე:

ა) უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მეწარმეების დაცვა ისე, რომ არ დააზა-რალოს ადგილობრივი მომხმარებლების ინტერესები;

ბ) გააუმჯობესოს ამ უკანასკნელთა წვდომა (მყიდველობითუნარიანობა) პურსა და პურპროდუქტებზე.

ამასთან, სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა გარდამავალი ეკონომიკის ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებაზე. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში. მაშასადამე, **მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდის ერთადერთი გზა,** რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებები მრავალასპექტიანი, კომპლექსური პროცესია. მისი ძირითადი მიმართულებებია

1. სოფლის მეურნეობის განვითარება:

ინვესტიციები სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურაში – სარწყავი სისტემები, გზები, შესანახი ობიექტები;

კვლევა და ინოვაცია – მაღალმოსავლიანი, კლიმატისადმი მდგრადი კულტურების ჯიშები; გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;

მცირე ფერმერების მხარდაჭერა – მიწაზე, კრედიტზე, ტრენინგსა და ბაზრებზე წვდომა;

მხოლოდ ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხაზით, რაციონალური მოხმარების დონეს, იმავდროულად კი თვითუზრუნველყოფის 75 %-ის დონეზე გასვლისათვის, აუცილებელი იქნება ხორცის ადგილობრივი წარმოება გაიზარდოს ამჟამინდელი 88.7 ათასი ტონიდან 181.6 ათას ტონამდე, ანუ სულ ცოტა – 2.0-ჯერ;

ხორცით მოხმარების რაციონალურ დონესა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის **75-%-იან ნიშნულზე** გასასვლელად აუცილებელი იქნება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გაზრდა ამჟამინდელი 811.5 ათასიდან 1500 ათასამდე, ღორისა – 18.4 ათასიდან 292.4 ათასამდე, ცხვრისა და თხისა – 740.5 ათასიდან 2.0 მლნ-

მდე, ხოლო ფრინველისა – 8.0 მილიონიდან 30 მლნ-მდე. ეს კი საჭიროებს მთელ რიგ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს პირუტყვისა და ფრინველის საკვები ბაზის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების მხარდაჭერასა და წახალისებას საკუთარი პირუტყვისა და ფრინველის მზარდი რაოდენობის ყოლაზე. ამ მხრივ უალტერნატივოდ მიგვაჩნია საკანონდებლო დონეზე დადგენილება, რომლითაც ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ 10-15 წლით) გამოცხადდება მორატორიუმი ან საერთოდ აიკრძალება საქართველოს სათიბ-საძოვრების სტატუსის შეცვლა და მათი სხვა დანიშნულების მიწების (მათ შორის სახნავ) კატეგორიაში გადაყვანა.

2. სტრატეგიული სასურსათო რეზერვები:

მომარაგების შოკებისგან თავის დასაღწევად მარცვლეულის ეროვნული რეზერვების ან საკვების მარაგების შექმნა;

სასურსათო დაუცველობისა და სტიქიური უბედურებების ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნა;

სურსათის უვნებლობისა და სტიქიური უბედურებების ადრეული გაფრთხილების სისტემების (EWS) შექმნა გულისხმობს მექანიზმების შექმნას, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული ზიანის მიყენებამდე სურსათის უვნებლობის პოტენციური საფრთხეების (გვალვები, წყალდიდობები, ბაზრის შოკები ან კონფლიქტები) გამოვლენა, მონიტორინგი და პროგნოზირება;

სურსათის უვნებლობის ადრეული გაფრთხილების სისტემების მიზანს წარმოადგენს მოსავლის უკმარისობის, ფასების მკვეთრი მატების ან სტიქიური უბედურებების მსგავსი რისკების პროგნოზირება და გამოვლენა; მთავრობებისთვის, დამხმარე სააგენტოებისთვის და ფერმერებისთვის დროული შეტყობინების მიწოდება; სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისა და პრევენციული ზომების მხარდაჭერა; კრიზისებისა და მოუსავლიანი წლების დროს შიმშილის, არასრულფასოვანი კვების და ეკონომიკური დანაკარგების შემცირება;

აღნიშნული სისტემის ძირითადი კომპონენტებია: მონიტორინგი და მონაცემთა შეგროვება – ამინდის, კლიმატის (მაგ., ნალექი, ტემპერატურა, გვალვის პირობები) და სასოფლო-სამეურნეო (მაგ., მოსავლის დათესვა, მოსავლის პროგნოზები) მონაცემები;

სურსათის უვნებლობის ადრეული გაფრთხილების სისტემების ეფექტიანობას დიდწილად განსაზღვრავს ინფორმაციის დროულობა, გავრცელების მასშტაბი და ადრესული ხასიათი (მთავრობების, ფერმერებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის დროული გაფრთხილებების მიწოდება; კომუნიკაცია რადიოს, SMS-ის, მობილური აპლიკაციებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის საშუალებით; სიტუაციის ანგარიშები და პერიოდული ყოველთვიური ან სეზონური ბიულეტენები);

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირების დაგეგმვა და მოქმედების ტრიგერების განსაზღვრა – წინასწარ განისაზღვრება ზღვარი, რომელიც მოქმედებას იწვევს (მაგ., თუ საკვების ფასები 30%-ით გაიზრდება, საგანგებო საკვების მარაგები გამოთავისუფლდება);

საგანგებო გეგმებისა და კოორდინაციის ჩარჩოების შემუშავება;

სასურსათო მარაგების, სახსრებისა და რესურსების წინასწარი პოზიცირება.

3. სავაჭრო და საბაზრო პოლიტიკა:

სასურსათო პროდუქტების იმპორტისა და ექსპორტის დივერსიფიცირება საკვების ხელმისაწვდომობისა და ფასების სტაბილიზაციისთვის. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ჩაირთოს ბაზრის ცალკეული ასპექტის სახელმწიფო

რეგულირების მექანიზმი და საკვების ფასების მონიტორინგი ინფლაციისა და სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად.

4. სოციალური უსაფრთხოების ქსელები და კვების პროგრამები:

სასურსათო დახმარების პროგრამები (მაგ., სკოლის მოსწავლეთა კვება, საკვების ვაუჩერები, სუბსიდიები, რაც ამა თუ იმ ფორმატით შეტანილია საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში);

მიზანმიმართული კვების ინტერვენციები დაუცველი ჯგუფებისთვის (ბავშვები, ორსული ქალები);

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კამპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ დაბალანსებულ დიეტას და საკვების ჰიგიენას.

5. გარემოსდაცვითი მდგრადობა:

მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ნიადაგის, წყლისა და ბიომრა-ვალფეროვნების შესანარჩუნებლად;

კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიები სოფლის მეურნეობაში;

სასურსათო წარმოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების დაცვა.

დასკვნა

ქვეყანაში სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტის იმ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციით ჩანაცვლებას, რომლის წარმოების პირობები, რესურსები, ისტორიული და პროფესიული გამოცდილება არსებობს საქართველოში.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და გათვალისწინებული იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც თვალსაჩინო პროგრესს მიაღწიეს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში, მათ შორის საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტრუმენტების (გადასახადები, პრეფერენციები, სუბსიდირებისა და კვოტირების სისტემა, საკრედიტო პოლიტიკა და ა.შ.) დროული და ეფექტიანი გამოყენებით.

მთლიანობაში, აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის სახელმწიფოს ძალისხმევის საკითხი განხილული უნდა იქნეს აგრარული სექტორისათვის მონეტარული და ფისკალური მხარდაჭერის, კომპლექსური პროტექციონისტული ზომების გატარების, მიკროდონეზე წარმოების თვითრეგულირებასთან, მეწარმეობისა და კოოპერირების პროცესის განვითარებასთან ორგანული კავშირის კონტექსტში.

ამ ასპექტით, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება (სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის შენარჩუნებასთან ერთად) წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ პრიორიტეტს.

იმის გათვალისწინებით, რომ გლობალური მასშტაბით სურსათის უთანაბრო განაწილებისა და მისი ცალკეული სახეობების ხელოვნური დეფიციტის გამო ცალკეული სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად იყენებენ სურსათს იმპორტიორ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლისა და შანტაჟისათვის, ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური, აგრარული პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს სამამულო მწარმოებელთა დაცვა საგარეო ბაზრის კონიუნქტურის ნეგატიური ზემოქმედებისაგან.

ღონისძიებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი განმტკიცებისათვის საჭიროებს შესაბამის კანონმდებლობას, ინსტიტუციურ მხარდაჭერას და მმართველობას, მათ შორის ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას მკაფიო მიზნებითა და პასუხისმგებლობებით, მონიტორინგისა და შეფასების სისტემებს პროგრესის თვალყურის დევნებისა და ახალ საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით გადაწყდება არა მარტო ქვეყნის სასურსათო უშიშროების საკითხი, არამედ უმნიშვნელოვანესი ამოცანაც, რომელიც ხსენებული უშიშროების მედლის მეორე მხარეა **სიღარიბის პრობლემის არსებითი გადაწყვეტის მხრივაც.** თავად სასურსათო უშიშროებისა და სიღარიბის პრობლემის არსებითი გადაჭრა კი კიდევ უფრო მასშტაბური სოციალური ამოცანის – სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2020, გვ. 9.

2. ი. არჩვაძე. აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამდროვე საქართველოს ეკონომიკაში. „ეკონომიკური პროფილი“, N1 (17), 2017, გვ. 22.

3. ი. არჩვაძე, პ. კოღუაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2020, N3, გვ. 74.

4. იოსებ არჩვაძე, პაატა კოღუაშვილი. საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2020, გვ. 24.

5. პაატა კოღუაშვილი, გივი თალაკვაძე, იოსებ არჩვაძე. „საქართველოს მთიანეთი – ქვეყნის სტრატეგიული განვითარების არსებითი კომპონენტი“. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2023.

6. პაატა კოღუაშვილი, იოსებ არჩვაძე, გივი თალაკვაძე. მარადიული ქართული სოფელი. თბილისი, „მერიდიანი“, 2024.

7. პაატა კოღუაშვილი, იოსებ არჩვაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე. სასურსათო უშიშროება – ეროვნული უშიშროების საფუძველი. „ეკონომიკური პროფილი“, N1 (23), 2022.

8. პ. კოღუაშვილი, ი. არჩვაძე. მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის სტრატეგია, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების ქვაკუთხედი. ე.მ.დ., პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2023, გვ. 77-88.

9. პაატა კოღუაშვილი, რამაზ გახოკიძე, ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. „ეკონომისტი“, N1, 2022, ტომი XVIII, გვ. 48-49.

10. The Evolution of Food Security: Where Are We Now, Where Should We Go Next?" (2025). - https://www.mdpi.com/2071-1050/14/6/3634.

11. "Exploration of Food Security Challenges towards More Sustainable Food Production: A Systematic Literature Review of the Major Drivers and Policies" (2020). - https://www.mdpi.com/2304-8158/11/23/3804.

12. Баскаков С.М. «Научные подходы к определению продовольственного обеспечения населения в контексте влияющих на него факторов». Журнал «Продовольственная политика и безопасность», 2021, № 4.

13. Ларионова И.С., Нагиев Г.Г. «Продовольственная безопасность и здоровье нации». Журнал «Ветеринария, зоотехния, биотехнология», 2021, № 12.

14. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2024 წელს. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2025.

14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. www.geostat.ge

Joseph Archvadze

MODERN PROBLEMS OF NATIONAL FOOD SECURITY IN GEORGIA

Summary

National food security refers to the ability of a country or region to ensure reliable access to sufficient, safe and nutritious food for its population to maintain a healthy and active life. This is a key component of national security, economic development and public health.

The food problem is generally both physiological and socio-economic. In addition, food security also has a political aspect. - This is the country's potential to produce and access food products in such quantities that it does not make the state overly dependent on other countries, without turning the food supply process into an instrument of political influence (embargo, supply constraints, price manipulation, etc.) by the latter.

At the macroeconomic level, it is necessary to have a level of food security in the country that meets at least four main conditions:

a) ensuring the country has the necessary and sufficient quantity of food and basic food products to meet the physiological needs of the population;

b) the existence of transitional (permanent) stocks at the level of at least 15-20 percent of annual consumption (for cereals - at the level of 17 percent). This criterion is based on the guaranteed provision of uninterrupted supply of relevant products to the population in the event of possible problems in the supply chains;

c) a high level (at least 60-80 percent) of ensuring consumption of basic food products from domestic production and

d) minimizing dependence on imports.

The population must have sufficient resources to be able to satisfy its needs at a rational level. For example, to ensure a rational consumption rate, if we were to try to satisfy the population's needs for meat and meat products exclusively through imports compared to the current level, we would need to import an additional approximately 0.5 billion USD, which would require an increase in the price of the current food basket of the population by at least 15 percent.

And across the country, the additional demand of the Georgian population to increase the annual per capita consumption of meat from the current 51 to 65 kilograms can be estimated at approximately 1.2 billion GEL - an amount equivalent to the annual gross income of approximately 63 thousand households in the country.

The strategic direction of ensuring food security should be a significant increase in grain production in the country.

The process of ensuring food security should cover both the production and circulation and sales sectors, in which a combination of protectionist and fiscal measures will provide a cumulative positive effect in terms of protecting the interests of both local producers and consumers.

Measures to ensure the country's food security are a multifaceted, complex process. Its main directions are: agricultural development, creation of strategic food reserves,

effective trade and market policy, social safety nets and implementation of nutrition programs, as well as ensuring environmental sustainability.

By implementing the above measures, not only the issue of the country's food security will be resolved, but also the most important task, which is the other side of the aforementioned security medal - a substantive solution to the problem of poverty. The essential solution to the problem of food insecurity and poverty itself is related to an even larger social task - the functioning of a just and democratic society.

David Aslanishvili

DEDOLLARIZATION: INTERNATIONAL PRACTICE AND EXPERIENCE

Annotation. *Since the restoration of Georgia's independence, the Georgian currency has been the main symbol of Georgia's economic independence. Despite this, over the past 35 years, the currency has not been fully used, which is due to the real lack of one of the functions of money - storage, that is, the factor of trust in it. The article reviews the larization program that began in 2016 and international experience.*

Keywords: *Dedolarization, Lari, Function of money, currency, convertibility.*

At the end of 2016, a number of initiatives were announced and implemented in the economy and financial market at the initiative of the Georgian government. The goal of these measures was and is to reduce the impact of external shocks and stimulate the economic development of the domestic market. As well as to mitigate a number of acute local imbalances that concern many of our citizens.

Currently, we are considering only one aspect, the implementation of which was entrusted to the National Bank of Georgia and was initially called the international equivalent - dedollarization, and after some dissonance and dissatisfaction in society, its second name - larization - became more established in Georgia.

It should be noted that the implementation of the above-mentioned measure (dedollarization - larization) is not a Georgian novelty and has been carried out and is being carried out in many countries at different times and in different historical periods. In this regard, we will try to review this international experience and the goal that accompanies this program in the financial market.

What is the goal of larization, or dedollarization in international terminology? - In the financial sector (primarily in commercial banks), the share of resources attracted in foreign currency is reduced and the share of resources attracted in local currency is increased.

In other words, simply - the share of deposits in GEL is increased, loans are issued in GEL, and the function of GEL as a full-fledged currency is strengthened (the optimal goal is to carry out all operations in GEL, strengthen GEL as a measure of value, and use GEL as a means of accumulation).

Based on the analysis of authoritative international organizations (the International Monetary Fund, the World Bank, etc.), research by well-known scientists, and analytical publications, and as a result of studying the essence of the problem, we conclude that during the period 1980-2010, up to 100 countries resorted to de-dollarization (i.e., reducing the share of foreign global currencies in the financial sector and increasing the share of local currencies).

Unfortunately, according to their research, successful de-dollarization is more the exception than the norm, and only four cases turned out to be successful. Successful examples are Israel, Mexico, Pakistan, and Poland.

Of the successful four, we considered Poland to be the closest to the reality and reality of Georgia, and we will briefly introduce you to its initial situation and current reality.

Before the de-dollarization measure was implemented, Poland, like Georgia, went through the unstable 80s and 90s, with a large fiscal deficit and hyperinflation, as a result of which the Polish population lost confidence in the Polish currency - the zloty - and all payments and savings were made only in dollars or euros. Dollarization reached 80%.

As a result of government policy and especially the effective and efficient measures of the Central Bank of Poland, this indicator was almost halved, and now the Polish zloty is a convertible, solid and reliable currency, foreign direct investment flows to Poland in a continuous flow of multi-billion dollars, which resulted in Poland's high economic growth in 1995-2020 and a noticeable improvement in the well-being of the population.

What contributed to the successful de-dollarization in Poland and Israel? (i.e. what will help the larization program to be successful?):

1. Inflation control program - cessation of money emission, prohibition of any indirect emission (including the so-called refinancing pyramid), which at the initial stage is expressed in the increase in the price of local currency loans and the increase in interest accrued on deposits;

2. The example of Poland showed that the success was facilitated by the orientation of Polish banks mainly to the domestic market - that is, they became less dependent and even partially isolated from foreign financial markets;

3. In the Polish commercial banking system, banking and non-banking services are separated - that is, commercial banks and their affiliated structures are not widely involved in non-core activities;

4. The creditworthiness of the system has been strengthened by the long-term commitment of foreign shareholders, who consider investments in Poland to be strategic and continue to share knowledge, improve infrastructure and diversify banking products.

As we can see, the reality in Georgia is still different, which leaves the success of the larization program in the long term.

Georgia faces additional problems on the path to larization:

1. High external debt;

2. Weak exports and strong imports;

3. Unstable channels of domestic and foreign investment inflow

According to IMF experts, the size of external debt relative to GDP directly affects the success of de-dollarization.

According to IMF study, conducted within the period of 2008 – 2024, the success of fiscal policy and de-dollarization is high in developing countries where the amount of government debt in relation to GDP does not exceed 25 percent, while in developed countries (Poland, the Czech Republic, South Korea, etc.) it is no more than 60-75 percent.

The reason for this is simple (which has been confirmed by research) - if the amount of debt is high - the created deficit in the country's economy.

Georgia belongs to the category of developing countries and the volume of public debt is within 40 percent of GDP. At the same time, during the pandemic, it exceeded 60 percent.

In this regard, a sharp reduction of this indicator (to at least 25 percent) is necessary, which is possible only by encouraging domestic investment, encouraging foreign direct investment and debt repayment, and increasing the scale of the Georgian economy (GDP growth - annual high or double-digit economic growth), which will reduce this disproportion over the years.

(The article does not discuss the large-scale disproportion existing in the Georgian economy - growing profitability in non-productive - intermediary businesses and the actual regression of the real economy, which cannot be overcome without political will and relevant and real legislative changes)

Literature

1. David Aslanishvili. (2024). Process of economic reforms in Georgia and the Shock Therapy (1991 – 1998). Progress in Science, (7). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/PS/article/view/4241

2. David Aslanishvili. (2024). Georgian Treasury Bills Market – first steps and discovered problems (1997 – 1999). European Research Materials, (7). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/ERM/article/view/4202

3. David Aslanishvili. (2024). Georgian Economy retrospective: from the Soviet Planning time to the transition. Foundations and Trends in Research, (7). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/FTR/article/view/4159

4. Aslanishvili, D. (2025). *Georgian Economy, Energy, Foreign Trade and The Balance of Payments in 90-s: Problems and Solution. Scientific Results,(10).*

5. David Aslanishvili. (2025). Georgia of 1991 -1999: The first signs of the Economic Sovereignty and an Economic Safety. *Modern Scientific Technology*, (10). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/MSC/article/view/6330

6. Davit Aslanishvili. (2025). Observation of Georgia's Macroeconomic Policy of late 90-s as the Grounding of the Country's Economic Advance. *Modern Scientific Method*, (10). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/MSM/article/view/6456

7. David Aslanishvili. (2025). Georgia of 1991 -1999: The first signs of the Economic Sovereignty and an Economic Safety. *Modern Scientific Technology*, (10). Retrieved from https://ojs.scipub.de/index.php/MSC/article/view/6330

8. Aslanishvili, D., & Omadze, K. (2023). THE EVOLUTION OF THE ESSENCE OF HUMAN MATERIAL LIFE–FROM ANCIENT ROME TO THE MODERN WORLD. THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMY, TAKING INTO ACCOUNT THE PANDEMIC AND RUSSIAN-UKRAINIAN WAR PERSPECTIVES, 14.

9. Aslanishvili, D., & Omadze, K. (2016). Origins and the Reasons of Monetary Crises in Georgia (1995-2016). Modern Economy, 7(11), 1232-1250.

10. Aslanishvili, D. (2016). Market foundation for sustainable economy growth and energy policy (Georgian case). Modern Economy, 7(03), 314-319.

11. Aslanishvili, D., & Omadze, K. THE INFLUENCE OF GLOBAL ECONOMIC CRISIS ON WORLD ECONOMY, ITS REASONS AND OVERCOME STEPS. In Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2013 (p. 508).

12. Aslanishvili, D. D. (2021). World Experience: Commercial Bank Credit and Economic Growth Relationship. International Journal of Risk and Contingency Management (IJRCM), 10(1), 45-53. http://doi.org/10.4018/IJRCM.2021010105

13. Aslanishvili, D., & Omadze, K. (2013). The Impact of the Economic Crisis on the World Economy–TSU. International Scientific-Practical Conference of the Institute of Economics (pp. 28-29).

14. Aslanishvili, D. (2015). Georgian Eurobond: Unknown Reasons of Issue. In Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2015 (p. 317).

15. Aslanishvili, D. . (2021). Georgia state debts as securitization example. *Georgian Scientists*, *1*(1). https://doi.org/10.52340/gs.02.09.225

16. Aslanishvili, D. Ricardo equivalent, the origin of state debt, its meaning and practical purpose Conference: Modern Tendencies of Development of Economy and Economic Science.

Adalat Baba Azizov

.

EFFECTIVE DEVELOPMENT MECHANISM FOR PUBLIC CATERING SERVICES IN AZERBAIJAN

Annotation. *The purpose of the research work is to analyze the current state of public catering services in Azerbaijan. Also, the issue of researching and evaluating the development perspectives of public catering facilities by types was also considered. In the article, directions for improving the mechanism of regulation of public catering services in Azerbaijan were widely analyzed and important proposals for the further development of this field were considered.*

Key words: *Public catering, bar, cafe, restaurant, canteen, fast food, coffee shop, confectionery, pizzerias, snack bars, meatball restaurants.*

Introduction

Public catering is a service sector engaged in the production and sale of ready-made food and semi-finished products. Public catering is an entrepreneurial activity related to the organization of the production, processing, sale and consumption of food products. In the post-Soviet years, public catering facilities in Azerbaijan were mainly divided into the following categories:

1) restaurant - a public catering and recreation facility offering consumers a range of comprehensively prepared dishes, including made-to-order and signature dishes, as well as alcoholic beverages, with the mandatory provision of waiter services;

2) cafe - a public catering and recreational establishment offering consumers a range of simple prepared meals, as well as alcoholic beverages, with the mandatory provision of waiter services;

3) bar - a public catering and recreational facility offering snacks, desserts and confectionery, as well as alcoholic beverages to consumers;

4) canteen - a public catering facility that provides independent services to consumers.

The composition of modern public catering is broader, including pizzerias, meatball restaurants, snack bars, coffee shops, confectionery shops, fast food, etc., which has literally turned public catering into a wide service area.

The presentation of menus to visitors in public catering facilities is recognized as an offer (public offer) to conclude a retail purchase and sale contract for the public catering goods specified in the menu.

Many people do not like the word "catering"; for them, it is a relic of the Soviet era. When they mention catering, the image of shabby, faceless interiors of cafes with dirty furniture, chefs in greasy aprons, and slippery waiters with disheveled hair comes to mind before the eyes of older people.

But even though there is no trace of that catering today, the word remains and gradually acquires a neutral, “non-Soviet” meaning. Public catering is a restaurant, a cafe, a pizzeria, a meatball restaurant, fast food... - all of this is public catering. For those who are completely disgusted by the word “catering”, there is a newer concept - “eating out” (eating away from home).

It is difficult to imagine the modern service sector without food establishments. Restaurants, cafes, and eateries open their doors to numerous visitors with hospitality, trying to attract them with impeccable cuisine, quality service, and affordable prices. Statistics show that the network of public catering facilities and the number of visitors to them are increasing year by year. This industry is extremely interesting for investors and those who want to start their own business. However, despite all its attractiveness, the food industry is a labor-intensive and energy-intensive industry that requires significant financial investment. And only if you competently organize the production process, choose the right technological equipment for public catering, and organize the production of high-quality products that are in constant demand among consumers, you can earn real income.

Organization of an effective catering mechanism

One of the main factors for the effective operation of public catering facilities is that they not only sell food, but also sell a beautiful atmosphere, pleasant entertainment and new experiences. If this factor is taken into account, it will distinguish you from your competitors and demonstrate the advantages that make customers choose you. In general, there are several conditions for the effective operation of the enterprise, which need to be considered:

Unique selling proposition - “We deliver pizza hot” is a unique selling proposition. Regular master classes, tea ceremonies and live concerts can also be organized. You can organize the sale of artisanal wines in the restaurant, offer visitors dishes made from organic products from local farmers - all this will be a unique selling proposition. The main thing is that it works for you. . Make sure you know your target audience. Draw portraits of typical guests of the establishment based on age, gender, social status, place of work, income level, etc. But use only criteria that really influence the choice, because segmenting visitors is for fun. Men and women may not like or dislike your offers to the same extent.

Preferred format – the unique selling proposition and the format of the business should be compatible with each other. If the latter does not meet expectations, change it to a more suitable one. For example, there are already many restaurants that offer sushi. A cheap establishment with meat dishes, fast food, coffee shop, national cuisine or beer restaurant will be more popular with

visitors. Based on semi-finished products, you can start a fast food business with minimal investment.

Thoughtful menu – the experience of restaurateurs shows that in mid-priced establishments the menu should not be exaggerated. You can get by with 5-6 hot meat, 5-6 fish and 3-4 poultry dishes. However, even an elite restaurant should not have too diverse a menu so as not to confuse customers and not throw away kilograms of spoiled food.

Standard services – this is one of the dominant success factors in the catering industry. Each establishment must adhere to generally accepted principles and have its own standards to meet the needs of typical customers.

Marketing policy – proper promotion of a restaurant provides the largest share in its success in the market. The main thing is to choose the right marketing tools. Experience shows that social networks are the best practice tool in the catering industry. To figure out which marketing tool will work specifically for your business, you need to test everything and draw conclusions based on the number of customers (don't forget to ask what they're saying about you), the size of the average receipt, etc.

Restaurant staff – it is important to remember that the main employee of a restaurant is the chef. You will not be able to find a great advertising specialist, so build all your connections, contact the best recruitment agencies or promise a higher salary and ideal working conditions to your competitor's chef. You can also invite a foreign chef who will bring status to the restaurant. Another important person in a restaurant is the administrator or manager, who is also the most trusted person of the leader.

Prices – what should be considered when setting the prices of dishes on the menu? In the catering industry, as a rule, the lower limit of prices is the cost price plus a profit margin set by the restaurateur. The additional value depends on the location and appearance, interior, food and beverage design, additional services, etc.

Product suppliers – don't relax after signing a contract with two or three suppliers. It is important to remember that anything can happen in this field, they can disappoint you at any time. It is best to contact 5-10 other companies to place orders quickly. These should include both large suppliers and local farmers. Don't rely on a few regular suppliers. Don't rush the documentation process right away – a trial period with a liability check never hurts anyone. Include a clause that allows you to terminate the contract in the event of serious violations by the supplier.

Cost management – often catering establishments save on products, personnel, advertising and non-core processes (security, cleaning). This approach cannot be called effective. It would be better if you create control over all processes occurring in the restaurant and understand where you are losing money. This may be suboptimal planning and improper storage of products, or long idle time of employees.

Additional profit – in 2020, food delivery was the leader in the restaurant market in terms of growth rates. This trend continues to strengthen in the following years. It is not clear how businesses that do not follow this trend will "survive". So make sure to add an online ordering form to your website, or better yet, develop your own mobile app. If there are not enough resources for delivery within the city, consider delivering orders to the nearest areas or to several business centers located near the restaurant.

In a market economy, the efficiency of an enterprise's activities largely depends on the turnover of the enterprise, which in turn depends on the demand for products and services. The demand of the population arises from specific needs and requirements. Need is a demand that has taken a specific form depending on the level of culture and the characteristics of a person's personality. Considering the hierarchy of human needs, it can be argued that catering establishments satisfy the basic physiological need for food, as well as various social needs - communication, belonging to a certain group, etc.

Therefore, the main role of public catering is to meet the population's food needs. In our opinion, the implementation of this role is very important, because properly organized nutrition in enterprises leads to increased productivity, which in turn affects the efficiency of the enterprise.

Rational and quality nutrition in schools, universities, and other educational institutions affects the formation of public health. Studies conducted on school health have shown that 5 The main reason for this is the poor organization of meals at school.0 percent of them have eating disorders. Properly organized nutrition in hospitals and other medical institutions directly contributes to the recovery of patients. Organizing catering to the population outside of working hours, whether through the sale of ready-made meals in catering facilities or through culinary departments, reduces the time spent on preparing meals and helps to facilitate women's housework.

Directions for improving the mechanism for regulating public catering services in Azerbaijan:

Public catering is one of the most profitable industries of all time. That is why there is so much interest in this field. . Modern public catering is full of innovations. This is natural, there must be healthy competition in order to develop, and innovations are at the root of healthy competition. Currently, the demands of modern customers have also changed, and attractive facilities, quality food, and low prices are among the factors that attract modern customers. If entrepreneurs pay attention to these facts, they will see that public catering is a truly profitable industry in the truest sense of the word. In the catering industry, it is not enough to just have a beautiful facility. . In general, public catering facilities should be provided with the necessary devices and equipment. In this area, special attention should be paid to refrigerators for high-quality storage of products, an ideal ventilation system for regulating temperature and humidity in the service hall, furniture, dishes, tools, etc.

So, why is public catering considered an important sector of the economy?

Public catering is considered an important sector of the economy for several reasons:

- Meeting the population's nutritional needs - properly organized nutrition in enterprises leads to increased productivity, which affects the efficiency of activities.

- Job creation – public catering establishments provide employment for the population by creating stable sources of income.

- Growth of the gross regional product - the development of such a network of enterprises helps to increase the region's contribution to the country's economy.

- Budget replenishment - the activities of food service establishments strengthen regional budgets through tax revenues.

- Improving the standard of living of the population – public catering provides services that help save time, improve leisure time, and strengthen social interaction.

The growing interest in the public catering sector in the Republic of Azerbaijan is reflected in statistical indicators. When looking at the statistical data for 2021, it becomes clear that for that year, the catering turnover in Azerbaijan increased by 9.2 times compared to 2006, reaching 979.1 million manat (see table 1).

Key indicators of catering turnover.

Table 1

	2006	**2010**	**2015**	**2019**	**2020**	**2021**
Catering turnover, million manats	106,2	417,8	1111,2	1655,2	759,6	979,1
Including						
state	7,1	10,5	15,2	15,4	5,6	8,6
non-state	99,1	407,3	1096,0	1639,8	754,0	970,5
Physical volume indices of the exchange turnover, in percentage terms compared to the previous year	128,3	16,3	114,0	106,7	45,4	123,2
including						
state	100,4	85,1	101,2	96,7	35,8	147,3
non-state	130.9	117,4	114,2	106,8	45,5	123,0
Number of business entities						

engaged in catering activities, units	7590	8697	15645	20878	21483	22783
including **state** **non-state**	105 7485	37 8660	12 15633	19 20859	19 21464	12 22771
Number of seats in catering facilities, thousand seats	242,1	289.5	575,7	906,5	934,6	1025,1
Catering turnover as a percentage of total	100	100	100	100	100	100
including : **state** **non-state**	6,7 93,3	2,5 97,5	1,4 98,6	0,9 99,1	0,7 99,3	0,9 99,1

Source:Statistical indicators of Azerbaijan, Baku, 2022, p. 328

When analyzing the data in Table No. 1, it becomes clear that in 2021, 970.5 million manat of the catering turnover falls on the non-state sector, and 8.6 million manat on the state sector. The table also shows that the number of business entities engaged in catering activities increased 3 times compared to 2006, reaching 22,783 units in 2021. In general, 99.1% of the catering turnover in 2021 fell to the non-state sector, and 0.9% to the state sector.

In 2022, the cost of paid services provided to the population in Azerbaijan increased by 132.2% compared to 2020, reaching 9253.4 million manats. The turnover of public catering increased by 2 times in 2022 compared to the corresponding period, reaching 1586 million manats (see table 2).

Main indicators of paid services and public catering provided to the population

Table 2

	2020	**2021**	**2022**
Cost of paid services provided to the population, million manats	6998.4	7758.2	9253.4
of which:			
for legal entities	5257.0	5885.0	7019.8
Paid services index (compared to the previous year, in percent) **of which:**	72.1	104.8	108.0
legal entities	74.8	105.8	108.0
Cost of paid services per capita, manat	701.7	774.4	919.1
Household services, million manat	756.1	819.9	987.
Household services index (compared to the previous year, in percent)	73.2	103.9	107.6
Public catering turnover, million manats	759.6	979.1	1586.0
Public catering turnover index (compared to the previousyear, in percent)	45.4	123.2	137.0

Source:Azerbaijan in numbers, Baku, 2023, p.168

Looking at the data in Table 2, it becomes clear that the share of the cost of public catering services in the total paid services is 17.1%, which is 6.3% more than in 2020.

The establishment of a profitable catering system is one of the main factors in the development of tourism. In the development of tourism, the accessibility of prices, high quality and professional service in restaurants must coincide with the wishes of tourists. Therefore, great work is being done in this area in Azerbaijan, as in the whole world. The constant increase in the creation of modern and beautiful catering facilities in the country day by day is a clear example of all this.

Conclusion:

In order for a catering company to operate with a stable profit, it is necessary to develop a number of measures to increase the sales volume of its products**.** After all, as a rule, the potential of the building is complete, the renovation is extraordinary, and the technological equipment installed for public catering is operating at high efficiency.In addition to the dining room, most catering establishments have a banquet hall where ceremonial visits are held for guest groups. In the warm season, summer areas are opened where a certain range of drinks and goods are sold.

It is advisable to sell your products through a culinary store. It is equipped with counters and has the necessary types of refrigeration equipment, including chest freezers, which ensure the display of goods taking into account storage temperatures.

Some restaurant industry experts believe that it is necessary to conduct a precise classification of public catering establishments, because consumers should know in advance what to expect when visiting a particular point of sale. Others believe that true fans of delicious food and excellent drinks appreciate the atmosphere and level of service, not the correspondence of the menu to the official status of the establishment.

In public catering establishments of any type and class, the safety of life and health of consumers and the safety of their property must be ensured, and sanitary and technological norms and rules, as well a Sanitary and hygienic requirements for food industry enterprises (milk, meat, fish processing, bread, confectionery, fruit and vegetable, etc.) are based on relevant sanitary regulations and general rules, which have a number of general sanitary requirements for food industry entIn addition to the sanitary regulations established for food products, certain requirements are also imposed on employees of catering establishments.erprises.s fire and electrical safety requiremEmployees of public catering establishments must undergo mandatory medical examinations to protect public health and prevent the occurrence of diseases.ents, must be observed.

The executive has the right to establish rules of conduct for consumers that do not contradict the legislation (restriction of smoking, handing over outerwear to the wardrobe at the entrance when entering the hall, etc.). Relations arising during the sale of products purchased from outside and the provision of additional services in public catering facilities are regulated by the relevant sales or service rules. There should be a calculation for each product prepared in public catering facilities. The menu and assortment list should be based on calculation sheets drawn up for each dish and product. When settling accounts with consumers in public catering facilities, an invoice confirming the cost of the public catering service provided (the value on the receipt) and indicating the names of the dishes and products included in the service must be presented, along with the cash register receipt. The executive must provide consumers with the necessary information about the name, address, type, category, operating hours, culinary products offered, and services provided of his organization.

Increasing the efficiency of public catering is based on the principles of production intensification common to the entire national economy - the principles of achieving high results with the least expenditure of material and labor resources. It is necessary to improve the forms of division of labor in public catering, to apply the achievements of scientific and technical progress. The social forms of division of labor in public catering include the processes of concentration, specialization and cooperation.

Thus, it can be argued that public catering is an important structural element of social infrastructure, the role of public catering is quite significant and is aimed at fulfilling the main function of social infrastructure - creating a complex of conditions for economic development and ensuring the normal functioning of people's life.

References:

1. Regulations of the Ministry of Justice of the Republic of Azerbaijan and the Ministry of Trade of the Republic of Azerbaijan on granting grades to facilities operating in the field of public catering according to the level of service, Baku, May 30, 1998, No. 106; May 10, 1998, No. 34/y.

2. Resolution of the Cabinet of Ministers of the Republic of Azerbaijan on approval of the Rules for trade, household and other types of services in the Republic of Azerbaijan, Baku, April 3, 2014, No. 94.
3. Azerbaijan in numbers, Baku, 2023, p.168.
4. Statistical indicators of Azerbaijan, Baku, 2022, p.328.
5. Ooopht.ru/predpriyatie obshestvennogo pitaniya/
6. Restoplase.cc/ bloq/ zavedeniya-horeca
7. Fbuz11.ru/osnovnye-trebovaniya-pred-yavlyaemye-k-organizazni-obchestvennogo-pitaniya.
8. Tourlib.net/books_tourism/radchenko1-1.htm
9. https//sia.az news social.
10. Ya.ru/neurum/c/ekonomika-i-finansi/q/pochemu_obschestvennoe_pitanie schitaetsya_e 3976b25.
11. Natural-sciences.ru/ru/article/view?id=12967

გივი ბედიანაშვილი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური გამოწვევები გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კონტექსტით

ანოტაცია. *არსებულ გლობალიზებულ კონფრონტაციულ სამყაროში, საერთა-შორისო წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში, გლობალური კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანია კონცეპტუალური ფორმით მაკრო დონის სისტემური გამოწვევების გამოვლენა, ცალკეული ორიენტირების ფორმულირება სტრატეგიისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მდგრადი გლობალური კონკურენტუნარიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობას. კვლევაში გამოყენებულია სისტემური ანალიზისა და მოდელირების მეთოდები. კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ძირითადი რეკომენდაციები, როგორიცაა სტრატეგიისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი ორიენტაცია, კომპლექსურობა, მოქნილობა და ადაპტირების მაღალი ხარისხი.*

საკვანძო სიტყვები: *ახალი მსოფლიო წესრიგი, კონფრონტაცია, გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება*

მსოფლიო წესრიგი განიცდის ღრმა ტრანსფორმაციას, რომელიც ხასიათდება მზარდი სირთულითა და გაურკვევლობით. ქვეყნები მრავალპოლარულ გლობალურ გარემოში ურთიერთდაკავშირებული გამოწვევების ფართო სპექტრის წინაშე დგანან. მათ შორის პირველ რიგში გამოსაყოფია გეოპოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, მზარდი კონფრონტაცია, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და დიგიტალიზაცია, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემები. ეს გლობალური ცვლილებები ხაზს უსვამს ქვეყნისთვის სტრატეგიისა და შესაბამისი პოლიტიკის გადაუდებელ საჭიროებას, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრად გლობალურ კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. აქ უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (ბედიანაშვილი et al., 2024):

• **ეკონომიკური უსაფრთხოება** სულ უფრო დაუცველი ხდება გლობალური ბაზრების მზარდი ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო, განსაკუთრებით კრიზისების, სამხედრო კონფლიქტებისა და გლობალური პანდემიების დროს, რაც ზრდის ეკონომიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

• **მდგრადი განვითარება** ამჟამად განიხილება, როგორც გლობალური კონკურენტუნარიანობის მიღწევის კრიტიკული კომპონენტი, რაც მოითხოვს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისადმი ერთგულებას. ეს მოიცავს ბუნებრივი რესურსების დაცვას, ენერგოეფექტიანობის ხელშეწყობას და ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებას.

• **მრავალმხრივი თანამშრომლობა** ძლიერი მარეგულირებელი ჩარჩოების მეშვეობით გახდა, როგორც კრიტიკული ელემენტი ამ გამოწვევებთან გამკლავებაში, რადგან გლობალური წესრიგი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ დონეზე.

ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ერის გადარჩენის, სუვერენული დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა გარე საფრთხეებისგან, საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკის კვლევებში ტრადიციული ძირითადი კონცეფციაა (ვეშაპიძე, 2024; Yuzue & Sekiyama, 2025; Papava & Maisaia, 2023).

ადრეული კვლევებში უსაფრთხოების შესახებ ხაზს უსვამდნენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტს, ფოკუსირებით რესურსებზე წვდომასა და სტაბილურობაზე გლობალიზაციის კონტექსტში. დროთა განმავლობაში, ეს კონცეფცია განვითარდა და მოგვიანებით უკვე მოიცავდა სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და ჩაირთავდა ისეთ სოციალურ გარანტიებს, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და შემოსავლის სტაბილურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის განვითარება და მისი შოკებისადმი მდგრადობა (Gordon, 2012; Cook & Kabeer, 2009). რა თქმა უნდა სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება სცილდება წმინდა ეკონომიკას და აკავშირებს მას სოციალურ სფეროსთან, ასევე რეგიონულ და გლობალურ კონტექსტებთან. აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ევროატლანტიკური ქვეყნების კვლევები გვთავაზობს კომპოზიტურ ინდექსებს, რომლებიც ზომავენ უსაფრთხოებას ისეთი ფაქტორების მეშვეობით, როგორიცაა შემოსავლების უთანასწორობა, განათლებაზე წვდომა და ინსტიტუციური მდგრადობა, ხაზს უსვამენ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სისტემას შორის ურთიერთობას (Jianu, 2023). ევროპაში მკვლევართა ნაშრომებში გამოკვლეულია, თუ როგორ მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილება (მაგალითად, 2008 წლის შემდგომი კრიზისი) უსაფრთხოების დინამიკაზე, აქცენტით მდგრადი განვითარების ადაპტაციურ პოლიტიკაზე (Ignatov, 2019).

აღსანიშნავია, რომ გლობალურად, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანისეულ კაპიტალთან, სადაც ისეთი საფრთხეები, როგორიცაა კონფლიქტები, შეიძლება გაამწვავოს სიღარიბემ და უთანასწორობამ, როგორც ამას ქვეყნების მასშტაბით ჩატარებული ემპირიული კვლევები აჩვენებს (Le et al., 2022).

ბოლო წლების ლიტერატურაში ავტორები ხაზს უსვამენ ინტეგრირებული მიდგომების საჭიროებას, რომლებიც აერთიანებს ეკონომიკურ ინდიკატორებს სოციალურ ინდიკატორებთან (ბედიანაშვილი et al., 2024; Cook & Kabeer, 2009). განვითარებადი ქვეყნებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების

გასაძლიერებლად შემოთავაზებულია ინკლუზიური ზრდის მოდელები, რომლებიც ფოკუსირებულია ურბანულ თანასწორობასა და სოციალურ ინკლუზიურობაზე.

საერთო ჯამში, შეიძლება აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების სფეროში წარმოდგენილ კვლევებში მინიშნებულია სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტიკულად მაღალ მნიშვნელობაზე ეროვნული სტაბილურობისთვის, რაც მოითხოვს დინამიური, კონტექსტზე მორგებული სტრუქტურების შემუშავებას გლობალური გამოწვევების, როგორიცაა, მათ შორის კლიმატის ცვლილება და პანდემიები, გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გარდა განსაკუთრებით აქტუალურად გვეჩვენება სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი ასპექტები, როგორიცაა პიროვნების უსაფრთხოება და კულტურული უსაფრთხოება.

გაურკვევლობისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში (Ahir et al, 2023; Bedianashvili, 2023a, 2023b; Papava, 2022; Papava & Maisaia, 2023; Papava & Bedianashvili, 2024), ადამიანის უსაფრთხოება განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში იმყოფება, რადგან გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები აძლიერებს რისკებს და გამოწვევებს. ადამიანის უსაფრთხოება, რომელიც განისაზღვრება, როგორც ინდივიდების დაცვა კრიტიკული და გავრცელებული საფრთხეებისგან, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეკონომიკურ სტაბილურობასთან, სამართლიან ზრდასთან და არსებით რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან (ბედიანაშვილი, 2024).

კულტურული უსაფრთხოების პრობლემების გამოვლენა და ჯეროვანი გადაჭრა, კულტურული იდენტობის დაცვა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის პროცესში, საზოგადოების სტაბილურობის და ერთიანობის უზრუნველყოფაში (Afyare, 2021; Bedianashvili, 2023a; Papava & Bedianashvili, 2024).

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობისა (Bedianashvili & Kokhreidze, 2024; Bochko et al., 2022; Koyama & Fujiwara, 2023; SolAbility, 2024) და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, მის ხელშემწყობ პოლიტიკასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარებისთვის. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია როგორც ეკონომიკის, ასევე სოციალური სფეროს გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა, კრიზისების რისკის შემცირება და მოქალაქეების საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგია (Bedianashvili, 2013) და კოორდინირებული კომპლექსური პოლიტიკა (ბედიანაშვილი et al.,2024; Gvelesiani & Bedianashvili, 2023). გლობალური წესრიგის მიმდინარე ტრანსფორმაციის ფონზე, ასეთმა პოლიტიკამ უნდა აჩვენოს მოქნილობა და ადაპტირება, რაც მას საშუალებას მისცემს ეფექტიანად გაუმკლავდეს როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი, გ. (2023). გლობალური განუზღვრელობა და მდგრადი კონკურენტუნარიანობა. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდანმე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: *მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით.* თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 21-26.

2. ბედიანაშვილი გ., კოხრეიძე გ., მიქელაძე ნ. (2024). გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: *''მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები''.* აწსუ, ქუთაისი, 67-82.

3. ბედიანაშვილი გ. (2024). ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტები გაურკვევლობის და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული: *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისი, 67-72.

https://tsu.ge/assets/media/files/7/globalizacia-2024%20(1).pdf

4. ვეშაპიძე, ვ. (2024). უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში. *ეკონომისტი*, 20 (4).

5. Afyare, A. A. A. (2021, January). *Globalization's impact on cultural diversity and identity*. ResearchGate. Retrieved August 24, 2025, from https://www.researchgate.net/publication/382641593_Globalization%27s_Impact_on_Cultural_Diversity_and_Identity

6. Ahir H., Bloom N., & Furceri D, 2023. Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. Retrieved February 2, 2024, from https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth.

7. Bedianashvili, G. (2024). Sustainable Competitiveness and Economic Security in the Modern Condition of Globalization. Materials of XVII International Research and Practical Conference: *«World Trends and Prospects for the Development of the Financial System of Ukraine» «WTPDFSU'2024»*. Taras Shevchenko National University of Kyiv.

8. Bedianashvili G. (2023a). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.

9. Bedianashvili, G. (2023b). Confrontational globalization and global sustainable competitiveness of small countries. Proceedings of the 5th National Scientific Conference: Positioning of the Georgian economy in the conditions of confrontational globalization. Tbilisi, Gruni. 172-179. https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-172-179 (In Georgian).

10. Bedianashvili G., & Kokhreidze G. (2024) Global Sustainable Competitiveness for Countries on the Way toward EU Integration. *TEM Journal*. 13(2):1684-1694. https://doi.org/10.18421/TEM132-81U

11. Bedianashvili, G., (2013). Strategy of Long-Term Socioeconomic Development of the Country: Issues of Methodology. Conference materials: Actual Problems of Economies of Post Communist Countries at Current Stage. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute at Current Stage. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics, Tbilisi, 121-125 (In Georgian).

12. Bochko, O. Y., Maletska, O. I., Tsitska, N., & Kapral, O. R. (2022). Paradigm of a Country Competitiveness Under Conditions of Digital Economy. *Review of Economics and Finance, 20*, 572–580. Retrieved September 27, 2023, from HYPERLINK "https://doi.org/10.55365/1923.X2022.20.65" https://doi.org/10.55365/1923.X2022.20.65 .

13. Cook, S., & Kabeer, N. (2009). *Socio-economic security over the life course: A global review of social protection*. Institute of Development Studies. Retrieved from HYPERLINK "https://gsdrc.org/document-library/socio-economic-security-over-the-life-course-a-global-review-of-social-protection/" https://gsdrc.org/document-library/socio-economic-security-over-the-life-course-a-global-review-of-social-protection/

14. Gordon, D. (2012). Socio-Economic Security. In: van der Maesen, L.J.G., Walker, A. (eds) Social Quality. Palgrave Macmillan, London. HYPERLINK "https://doi.org/10.1007/978-0-230-36109-6_6" https://doi.org/10.1007/978-0-230-36109-6_6

15. Gvelesiani, R., & Bedianashvili, G. (2023). Methods of Assessing Economic Situation and Development. *Innovative Economics and Management*. 10 (2), 6-17.

16. Ignatov, A. (2019). *Analysis of the dynamics of the European economic security in the conditions of a changing socio-economic environment*. New Medit, 18(2), 15–56. HYPERLINK "https://doi.org/10.30682/nm1902b" https://doi.org/10.30682/nm1902b

17. Jianu, I. (2023). Developing an economic and social security index for Euro-Atlantic area countries: A panel data analysis. *Journal of Business Economics and Management, 24*(1), 112-135. HYPERLINK "https://doi.org/10.3846/jbem.2023.18610" \t "_new" https://doi.org/10.3846/jbem.2023.18610

18. Koyama, Y., & Fujiwara, T. (2023). Competitiveness, country economic inequality and adolescent well-being: Analysis of 60 countries. *Social Science and Medicine, 325*. Retrieved January 14, 2024, from https://doi.org/ HYPERLINK "https://dx.doi.org/10.1016/j.socscimed.2023.115892" \t "_blank" 10.1016/j.socscimed.2023.115892 .

19. Le, T.-H., Bui, M.-T., & Uddin, G. S. (2022). Economic and social impacts of conflict: A cross-country analysis. Economic Modelling, 115, 105980. HYPERLINK "https://doi.org/10.1016/j.econmod.2022.105980" \t "_new" https://doi.org/10.1016/j.econmod.2022.105980

20. Papava, V., Bedianashvili, G. (2024). Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty. HYPERLINK "https://www.researchgate.net/journal/Bulletin-of-the-Georgian-National-Academy-of-Sciences-0132-1447?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6ImxvZ2luIiwicGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicHJldmlvdXNQYWdlIjoicHJvZmlsZSIsInBvc2l0aW9uIjoicGFnZUhlYWRlciJ9fQ" *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* , 18(3), 174-180.

21. Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. HYPERLINK "https://www.researchgate.net/journal/Bulletin-of-the-Georgian-National-Academy-of-Sciences-0132-1447?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6ImxvZ2luIiwicGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicHJldmlvdXNQYWdlIjoicHJvZmlsZSIsInBvc2l0aW9uIjoicGFnZUhlYWRlciJ9fQ" *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* . 17(3):116-120.

22. Papava V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved November 17, 2023, from HYPERLINK "https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I" https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I .

23. SolAbility (2024). *The GSCI: Global Sustainability Competitivenes Index*. Retrieved January 6, 2025, from https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/the-index

24. Yuzue, N., & Sekiyama, T. (2025). Defining economic security through literature review. *Frontiers in Political Science, vol. 7*, Section: Political Economy. https://doi.org/10.3389/fpos.2025.1501986

Givi Bedianashvili

MACROSYSTEMIC CHALLENGES OF THE COUNTRY'S SOCIO-ECONOMIC SECURITY IN THE CONTEXT OF ENSURING GLOBAL SUSTAINABLE COMPETITIVENESS

Summary

In the context of a transforming global order, ensuring economic security and maintaining global competitiveness are vital for national development and societal well-being. This study aims to develop macro-level conceptual approaches to formation strategy and relevant economic policy that support sustainable global competitiveness and economic security, with specific recommendations for Georgia. Using systems analysis, the research identifies key strategy and socio-economic policy requirements such as long-term orientation, comprehensiveness, flexibility, and adaptability.

Keywords: new world order, confrontational globalization, global sustainable competitiveness, socio-economic security

გიორგი ბერულავა

ინოვაცია და R&D (კვლევა და განვითარება) საქართველოში: მიმდინარე მდგომარეობა, გამოწვევები და რეკომენდაციები

ანოტაცია. *კვლევა კრიტიკულად აფასებს ინოვაციებისა და R&D-ის (კვლევა და განვითარება) სტრუქტურულ კონფიგურაციას საქართველოში პოლიტიკის შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. კვლევის შედეგები მიუთითებს R&D-ის (კვლევისა და განვითარების) ინტენსივობის მუდმივ დაბალ მაჩვენებელზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინდუსტრიას შორის არასაკმარის არტიკულაციაზე და ტექნოლოგიების დანერგვისა და კომერციალიზაციის ინსტიტუციურ დაბრკოლებებზე. ძირითადი გამოვლენილი შეზღუდვები მოიცავს ფინანსური რესურსების არაოპტიმალურ განაწილებას, სამუშაო ძალაში უნარების შეუსაბამობას და მარეგულირებელ შეზღუდვებს, რომლებიც ხელს უშლის ინოვაციური საქმიანობის გაზრდას. ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები: საჯარო და კერძო კვლევისა და განვითარების დაფინანსების გაზრდა; ცოდნის გადაცემისა და კომერციალიზაციის წამახალისებელი სტრუქტურების რეფორმირება; კოორდინირებული უნარების განვითარების ინიციატივების განხორციელება. შემოთავაზებული ზომები პრიორიტეტულია მიზანშეწონილობისა და პოტენციური ზემოქმედების მიხედვით. კვლევა გვთავაზობს ქმედით რეკომენდაციებს პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაძლიერებას.*

საკვანძო სიტყვები*: ინოვაცია; კვლევა და განვითარება; ინოვაციის პოლიტიკა; საქართველო*

არსებული სიტუაციისა და გამოწვევების ანალიზი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ინოვაცია და R&D (კვლევა და განვითარება) განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების საკვანძო მამოძრავებელი ძალა, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს გააძლიერონ თავიანთი ეკონომიკების პროდუქტიულობა, კონკურენტუნარიანობა და ცხოვრების საერთო ხარისხი. მსოფლიო გამოცდილება (Schumpeter, 1942; Arrow, 1962; Griliches, 1979; UNCTAD, 2013; EBRD, 2014; Peneder, 2008; Fagerberg et al., 2010; Friesenbichler and Peneder, 2016, ბერულავა, 2020; ბერულავა და ცუცქირიძე, 2023) გვიჩვენებს, რომ ინოვაციების არარსებობამ და არაადეკვატურმა

ინვესტიციებმა კვლევასა და განვითარებაში (R&D) შეიძლება მნიშვნელოვნად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეაფერხოს და რამდენიმე უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს. მაგალითად:

• ***სტაგნაციური პროდუქტიულობა და ეკონომიკური ზრდა***. ინოვაცია და R&D ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას ახალი და გაუმჯობესებული ტექნოლოგიების, პროცესებისა და პროდუქტების დანერგვით. ინოვაციების გარეშე, ქვეყნის ინდუსტრიები და სექტორები შეიძლება მოძველებულ ტექნოლოგიურ ჩარჩოში დარჩნენ, რაც გამოიწვევს პროდუქტიულობის სტაგნაციას. პროდუქტიულობის ზრდის ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა, შეზღუდოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და გამოიწვიოს მთლიანი ეკონომიკური პროდუქტის შემცირება.

• ***იმპორტზე დამოკიდებულება და კონკურენტუნარიანობის დაქვეითება***. R&D-ში ინვესტიციების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს სიტუაცია, როდესაც ქვეყანა ზედმეტად დამოკიდებული გახდება მოწინავე ტექნოლოგიებისა და პროდუქტების სხვა ქვეყნებიდან იმპორტზე. ეს დამოკიდებულება ძირს უთხრის შიდა ინდუსტრიების კონკურენტუნარიანობას. დროთა განმავლობაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო დისბალანსი, ბაზრის წილის დაკარგვას და ქვეყნის საერთო ეკონომიკური სიძლიერის შემცირებას.

• ***მრეწველობის შეზღუდული დივერსიფიკაცია***. ინოვაცია და R&D ხელს უწყობს სამრეწველო დარგის დივერსიფიკაციას ახალი სექტორების განვითარებისა და არსებულის გაფართოების ხელშეწყობის გზით. ინოვაციების გარეშე, ქვეყანა შეიძლება კვლავ იყოს დამოკიდებული რამდენიმე ინდუსტრიაზე, რაც მის ეკონომიკას მგრძნობიარეს გახდის გარე შოკების, ბაზრის რყევებისა და გლობალური მოთხოვნის ცვლილებების მიმართ. მეორეს მხრივ, დივერსიფიკაცია ხელს უწყობს მდგრადობის გაზრდას და დაუცველობის შემცირებას.

• ***ტვინების გადინება და ადამიანური კაპიტალის შემცირება***. ქვეყნებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ხელსაყრელი გარემო ინოვაციებისა და R&D-ისთვის, შესაძლოა განიცადონ „ტვინების გადინება“, სადაც გამოცდილი მკვლევარები, მეცნიერები და პროფესიონალები ეძებენ უკეთეს შესაძლებლობებს საზღვარგარეთ. ეს იწვევს ძვირადღირებული ადამიანური კაპიტალის დაკარგვას, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიური წინსვლასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. გამოცდილი პირების ქვეყნიდან წასვლამ შეიძლება შეაფერხოს ცოდნაზე დაფუძნებული ინდუსტრიების შექმნა და შეაფერხოს ქვეყნის გლობალური კონკურენციის უნარი.

• ***ცხოვრების დაბალი ხარისხი და სოციალური განვითარება***. ინოვაცია და R&D ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას, რაც აუმჯობესებს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხს. მაგალითად, ჯანდაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის მიღწევები ხშირად განპირობებულია ინოვაციებით. ასეთი პროგრესის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების საერთო ხარისხის დაქვეითება და შეაფერხოს სოციალური განვითარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება და გარემოს მდგრადობა.

• ***შემცირებული მიმზიდველობა უცხოური ინვესტიციებისთვის***. უცხოელი ინვესტორები დაინტერესებულები არიან ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ ინოვაციების ძლიერი კულტურა და ძლიერი R&D-ის ეკოსისტემა. ინოვაციებზე აქცენტის ნაკლებობამ შეიძლება ქვეყანა ნაკლებად მიმზიდველი გახადოს უცხოური ინვესტიციებისთვის, რადგან ინვესტორები ეძებენ ადგილებს, სადაც მათ შეუძლიათ

მიიღონ უახლესი ტექნოლოგიები, გამოცდილი ნიჭი და ბიზნესის ზრდის ხელშემწყობი გარემო.

• ***გრძელვადიანი მდგრადობის ნაკლებობა***. ინოვაცია და R&D აუცილებელია რთული გამოწვევების გადასაჭრელად, როგორიცაა გარემოსდაცვითი საკითხები, რესურსების ამოწურვა და კლიმატის ცვლილება. ინოვაციებისადმი ერთგულების გარეშე, ქვეყანამ შეიძლება აღმოჩნდეს ამ მწვავე პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე, რაც შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი მდგრადობის პრობლემას და პოტენციურ კრიზისებს, რამაც თავის მხრივ შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ სტაბილურობაზე.

ამრიგად, ინოვაციებშისა და R&D-ში არასაკმარისი ინვესტირებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას პროდუქტიულობის გაუარესობით, კონკურენტუნარიანობის შემცირებით, დივერსიფიკაციის შეზღუდვით და სოციალური პროგრესის შეფერხებით. მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შესაბამისი ინვესტიციები ინოვაციებსა და კვლევებზე ორიენტირებულ პოლიტიკაში. ინოვაცია და R&D თამაშობენ გადამწყვეტ როლს ტექნოლოგიური წინსვლის საქმეში. სექტორები სადაც R&D ჭარბობს, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT), ბიოტექნოლოგია და მოწინავე წარმოება, ხელს უწყობენ უახლესი პროდუქტების, პროცესების და სერვისების განვითარებას. ინვესტიციები R&D-ში ასტმულირებს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, რადგან მკვლევარები და მეცნიერები ხელს უწყობენ გამოცდილი მუშახელის შექმნას, რომელსაც შეუძლია ინოვაციების საფუძველზე ზრდის სტიმულირება. ინოვაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს ექსპორტის დივერსიფიკაციას, ამცირებს დამოკიდებულებას საქონლის შეზღუდულ დიაპაზონზე და ხელს უწყობს მშპ-ს ზრდას.

მიუხედავად მისი მზარდი ერთგულებისა ინოვაციებზე ორიენტირებული ზრდისადმი, საქართველოს მაინც უწევს მნიშვნელოვანი ძალისხმევის განხორციელება ინოვაციების სფეროში წამყვან ქვეყნებთან დაახლოებისათვის. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მონაცემებით, საქართველო ბოლო ათი წლის განმავლობაში პატენტის განაცხადების კლების ტრენდი აჩვენებს (ცხრილი 1). 2012 წელთან შედარებით, 2021 წელს საპატენტო განაცხადების მთლიანი რაოდენობა 32%-ით შემცირდა. იმავე წელს საქართველოს მსოფლიო რეიტინგი მთლიან პატენტთან მიმართებაში იყო 73.

ცხრილი 1. საპატენტო განაცხადები საქართველოში, 2012-2021

	ინდიკატორი	**წელი**									
		2012	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
	რეზიდენტების მიერ საპატენტო განაცხადები	139	114	110	99	96	75	103	85	81	90
	საპატენტო განაცხადები არარეზიდენტების მიერ	233	219	187	172	178	157	157	112	134	164
	მთლიანი საპატენტო განაცხადები	**372**	**333**	**297**	**271**	**274**	**232**	**260**	**197**	**215**	**254**
	გლობალური რეიტინგი 2021	-	-	-	-	-	-	-	-	-	**73**

წყარო: World Intellectual Property Organization (WIPO), Georgia IP statistical profile, https://www.wipo.int/edocs/statistics-country-profile/en/ge.pdf

მე-2 ცხრილში წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბანკის (World Bank Databank) მონაცემები. კერძოდ, R&D-ის ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს საერთო პოზიცია ამ სფეროში რჩება შედარებით სუსტი. მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორი, როგორიცაა *მშპ-ში R&D-ის ხარჯების პროცენტი* (R&D expenditures as % of GDP), ოდნავ გაიზარდა ბოლო პერიოდში, ის მაინც რჩება არსებითად დაბალ დონეზე ზედა-საშუალო შემოსავლის ქვეყნებთან, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და საშუალოდ მსოფლიოსთან შედარებით. მაღალტექნოლოგიური ექსპორტის წილი მთლიან წარმოებულ ექსპორტში უკიდურესად დაბალია ზემოთ აღნიშნულ რეგიონებთან შედარებით და კლების ტენდენციას აჩვენებს. რაც შეეხება R&D-ის სფეროში დაკავებულ მკვლევართა რაოდენობას, ის ავლენს პოზიტიურ დინამიკას ბოლო პერიოდის განმავლობაში და უფრო მაღალ დონეზე იმყოფება ზედა-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებთან და საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით.

ცხრილი 2. საქართველოს შედარება შერჩეულ რეგიონებთან R&D-ის ინდიკატორების მიხედვით

	ინდიკატორი	საქართველო				ზედა-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები	ევროპა და ცენტრალური აზია (მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების გამოკლებით)	მსოფლიო	OECD-ის წევრები
		2017	2018	2019	2020				
	კვლევისა და განვითარების ხარჯები (მშპ-ის %)	0.27	0.27	0.28	0.30	1.91 (2020)	0.92 (2020)	2.63 (2020)	2.96 (2020)
	მაღალტექნოლოგიური ექსპორტი (წარმოებული ექსპორტის %)	3	3	3	2	23 (2021)	20 (2021)	7 (2021)	17 (2021)
	მკვლევარები R&D-ში (მილიონ ადამიანზე)	1,30	1,46	1,69	1,71	1,410 (2020)	1,838 (2020)	1,592 (2018)	4,153 (2020)

წყარო: The World Bank, World Development Indicators, https://data.worldbank.org/indicator

გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ინოვაციური პოზიციის იგივე ტრენდები გააჩნია გლობალური ინოვაციების ინდექსის რეიტინგში (ცხრილი 3). გლობალური ინოვაციის ინდექსი (GII) აფასებს მსოფლიო ეკონომიკებს (132 ქვეყანა) მათი ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. ინდექსი მოიცავს დაახლოებით 80 ინდიკატორს, რომლებიც დაჯგუფებულია ინოვაციების შეყვანისა (innovation inputs) და შედეგების (innovation outputs) მიხედვით და ასახავს ინოვაციის მრავალგანზომილებიან ასპექტებს.

ცხრილი 3. საქართველოს გლობალური ინოვაციების ინდექსის რეიტინგი, 2018-2022

წელი	გლობალური ინოვაციის ინდექსი (GII)	ინოვაციის შეყვანები	ინოვაციის შედეგები
2018	59	53	62
2019	48	44	60
2020	63	54	71
2021	63	49	74
2022	74	61	82

წყარო: Global Innovation Index Rankings, https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_2000_2022/ge.pdf

როგორც მე-3 ცხრილი გვიჩვენებს, 2019 წელს GII-ის რეიტინგის არსებითი გაუმჯობესების შემდეგ, ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ ინოვაციური რეიტინგის შესამჩნევი გაუარესება განიცადა, როგორც *ინოვაციების შეყვანის*, ისე *ინოვაციების შედეგების* თვალსაზრისით. 2022 წელს საქართველოს GII რეიტინგი იყო 74, რაც მნიშვნელოვნად უარესია 2019 წელთან შედარებით (48). ზოგადად, საქართველო *ინოვაციების შეყვანის* კუთხით უკეთესად მუშაობს, ვიდრე *ინოვაციური შედეგების* კუთხით. GII 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო საუკეთესოდ მუშაობს *ინსტიტუციების* სფეროში და მისი ყველაზე სუსტი პოზიცია *შემოქმედებითი შედეგები* (*Creative outputs)*.

რომ შევაჯამოთ, საქართველოში ინოვაციებს, R&D-სა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ჩახლართული კავშირი ადასტურებს ქვეყნის ერთგულებას მდგრადი განვითარებისადმი. საქართველოს სტრატეგიული ინვესტიციები ინოვაციებსა და R&D-ში, რომელიც ეფუძნება ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩოზე და ჯანსაღი ინსტიტუტებზე, განაპირობებს ტექნოლოგიურ წინსვლას და აძლიერებს ადამიანურ კაპიტალს. თუმცა, ამჟამინდელი ძალისხმევა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს საქართველოს, როგორც ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების ძლიერი ცენტრის პოზიციის გამყარება.

რეკომენდაციები დარგში პოლიტიკის განმახორციელებლებისათვის. მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით (EBRD, 2014; Friesenbichler and Peneder, 2016; Gogokhia and Berulava, 2021, Hall and Lerner, 2010; Hall and Mairesse, 2006; UNCTAD, 2013; USAID Georgia, 2017; Perez, 2002; Borras and Edquist, 2013; Leutert, 2021; Bengtsson and Edquist, 2022; Bakhtadze and Danelia, 2020; ბერულავა, 2020; ბერულავა და ცუცქირიძე, 2023), ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას ინოვაციებისა და კვლევისა და განვითარების (R&D) ხელშეწყობისთვის საქართველოში ეკონომიკური განვითარების კონტექსტში და რომლებიც გადამწყვეტია ცოდნაზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებაში.

- ***ეროვნული ინოვაციების სტრატეგია და საგზაო რუკა***. ყოვლისმომცველი ეროვნული ინოვაციის სტრატეგიასა და საგზაო რუკის შემუშავება, სადაც იქნება ასახული მკაფიო ამოცანები, მიზნები და ვადები ინოვაციებისა და R&D ხელშეწყობისთვის. სტრატეგია უნდა მოიცავდეს სამთავრობო უწყებებს, აკადემიურ წრეებს, მრეწველობასა და კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი და კოორდინირებული მიდგომა.
- ***ინვესტიცია R&D-ის ინფრასტრუქტურაში***. რესურსების გამოყოფა R&D-ის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად, მათ შორის კვლევითი ცენტრების, ტექნოლოგიური პარკებისა და ინოვაციების ჰაბების ჩათვლით. ეს ობიექტები შეიძლება იყოს ერთობლივი სივრცე მკვლევარებისთვის, მეწარმეებისთვის

და ინდუსტრიის პროფესიონალებისთვის, რათა ერთად იმუშაონ, გაუზიარონ იდეები და განავითარონ ინოვაციური გადაწყვეტილებები.

• ***კვლევის დაფინანსება და გრანტები***. კვლევითი ინიციატივების სახელმწიფო და კერძო დაფინანსების გაზრდა გრანტების, სუბსიდიების და საგადასახადო შეღავათების მეშვეობით. უნდა იყოს ჩამოაყალიბებული კონკურენტული დაფინანსების პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერენ როგორც საბაზისო, ისე გამოყენებით კვლევებს სხვადასხვა სექტორში, რომლებიც წაახალისებენ მკვლევარებს, გამოიკვლიონ ახალი იდეები ეკონომიკური გავლენის პოტენციალით.

• ***საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPPs)***. საჭიროა მთავრობას, აკადემიასა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ხელის შეწყობა ინოვაციებისა და R&D-ის განვითარების მიზნით. მრეწველობის წარმომადგენლების კვლევით პროექტებში, ტექნოლოგიების გადაცემასა და კვლევის შედეგების კომერციალიზაციაში წაახალისება. PPP-ებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ცოდნის გაცვლას, დააჩქარონ პროდუქტის განვითარება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.

• ***სტარტაპებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა***. მიზანშეწონილია სტარტაპებისა და ინოვაციურ საქმიანობაში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs) მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამების შექმენა. ასეთი პროგრამები მოიცავს გრანტების გაცემას, მენტორობას, ინკუბატორებზე/აქსელერატორებზე წვდომას და ფინანსური დახმარებას, და რაც მიზნად ისახავს სტარტაპებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბარიერების გადალახვაში და ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და სერვისების შემოტანაში დახმარების გაწევას.

• ***ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) დაცვა***. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება ეფექტური პატენტის სისტემების, საავტორო უფლებების რეგულაციებისა და სავაჭრო ნიშნების მეშვეობით. სანდო IPR-ის დაცვა ხელს შეუწყობს ინოვაციებს იმ თვალსაზრისით, რომ შემქმნელებსა და გამომგონებლებისათვის თავიანთი პროდუქტიდან სარგებლის მიღება უზრუნველყოფილი იქნება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს R&D ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნას.

The study underscores the importance of actively involving local populations in decision-making and implementation processes to ensure that recovery efforts align with the actual needs of communities and promote long-term sustainability. The authors explore effective models of cooperation between local self-governance bodies and civic initiatives, focusing on the role of community self-organisation in resolving local challenges. Modern social technologies, including digital tools and platforms, are highlighted as powerful enablers of citizen engagement, fostering transparency, social cohesion, and innovation. Social media, in particular, is identified as a critical tool for strengthening a sense of community and organising collective actions.

The article also provides an in-depth analysis of the strategic approach to territorial development planning, identifying its key advantages, such as enhanced stakeholder participation, optimised resource allocation, and the promotion of trust between communities and authorities. However, the authors do not shy away from discussing the challenges, including the uncertainty of future conditions, the complexity of coordination, and limited financial and human resources. These

barriers are seen as hurdles that must be addressed to realise the full potential of sustainable development initiatives.

The authors advocate for a systemic approach that supports self-governance, mobilises local resources, and ensures the inclusion of vulnerable groups in development processes. Specific recommendations include creating community development centres, training specialists to bridge gaps between citizens and authorities, and promoting participatory governance. The article emphasises the significance of social capital, informal networks, and grassroots innovation in driving sustainable local development.

In conclusion, the study highlights the necessity of collaborative efforts to build resilient and self-sufficient communities. Ukrainian communities can effectively navigate the complexities of post-war recovery and sustainable development by integrating social technologies, fostering active citizen participation, and addressing systemic challenges. This approach not only prepares communities to face modern challenges but also lays the groundwork for long-term socio-economic progress and stability.

Keywords: *sustainable development, local community, post-war recovery, social cohesion, self-organisation, civic engagement, social capital, participatory governance, Ukraine*

Introduction. Negative global trends currently affect every individual and the community in which they live. These problems need to be solved together within local communities. The globalisation of the world economy creates new patterns and changes the levels of responsibility for development at the local level. Due to the increase in population and individual consumption growth, the demand for the planet's resources has greatly increased. Society's modern way of life does not correspond to the principles of sustainable development, leading to the deterioration of human activity's social, economic, and ecological spheres. The concept of sustainable development, which ensures harmony between economic, social, and ecological aspects of development without disturbing the balance of interests of future generations, should be of central importance in the development programs of modern communities. Developing effective economic mechanisms to stimulate positive changes in the functioning of communities and promote the formation of a sustainable lifestyle is currently an urgent task.

In recent years, Ukraine has faced significant challenges due to the ongoing armed conflict in its eastern regions. This conflict has led to widespread destruction of infrastructure, economic instability, and social disorganisation in many territorial communities. The pressing need for post-war recovery in these areas highlights the importance of sustainable local development involving the community in decision-making and implementation processes.

Sustainable development is more than just rebuilding infrastructure; it involves creating long-term socio-economic stability and fostering resilient communities. The active participation of local residents in shaping and implementing recovery initiatives is crucial for ensuring that development efforts meet the population's needs and are sustainable in the long run. This approach helps restore social and economic balance, strengthens community ties, and reduces internal conflicts.

The research problem lies in the need to develop and implement effective models of sustainable local development with community participation in Ukraine, particularly in the context of post-war recovery. As a result of the armed conflict in eastern Ukraine, many territorial communities are facing the destruction of infrastructure, economic difficulties, and social disorganisation. Successful recovery and development of these regions require an integrated approach that considers local populations' involvement in planning and implementing initiatives to restore socio-economic stability and improve quality of life.

Literature review and analysis of the latest studies and publications. The issue of sustainable local development with community participation attracts the attention of researchers and practi-

tioners worldwide. In recent decades, special attention has been paid to integrating socio-economic and environmental aspects to achieve sustainability at the local level (Brinkerhoff & Azfar, 2012). The development of territorial communities involves using approaches involving local residents in planning and decision-making processes, creating conditions for the population's active participation in forming socially significant programs and policies (Völker et al., 2010).

The Ukrainian local development experience emphasises the importance of community involvement in sustainable development processes through self-government and decentralisation. Research shows that strengthening interaction between local authorities and the population helps to stabilise the socio-economic situation and reduce conflicts at the local level (Gerasimenko, 2017). An important role is played by public organisations and initiative groups that, through self-organisation, introduce innovative approaches to solving local problems (Gritsak, 2018). In addition, the Ukrainian context includes features of the legislative framework that support such forms of self-organisation as public organisations and self-organisation bodies of the population (Orlovskaya, 2020). This contributes to more active population participation in local development processes and resource management.

Modern approaches to sustainable local development increasingly include elements of digitalisation and the use of social technologies. This, in turn, stimulates citizen engagement through public participation platforms, as noted by Fernback (2013), who studies social media's impact on forming a sense of belonging to a community. Technologies contribute to more active interaction within communities and help speed up decision-making and their implementation on the ground.

At the same time, social capital and trust between participants remain key factors for successful sustainable development. Ukrainian and Georgian studies show that sustainable growth is impossible without a high level of trust within the community and between the community and local authorities (Bondarenko, 2021). Therefore, the development of civil institutions and support for local initiatives are becoming priority tasks for ensuring sustainable local development.

Also, it is important to note that there are several approaches to understanding the term "community development" in the literature. According to the research of the authors of the book "Local Development Through Community Participation", this term can be viewed in two aspects: 1) as a strategy for solving local social problems; 2) as a principle of explaining the history of societies [1]. This aspect can be considered too limited, focused mainly on social issues, ignoring other local problems, and the second reflects a general philosophical nature and is quite abstract. The main goal is to create a favourable environment for achieving long-term sustainable socio-economic and social development locally by supporting local self-government initiatives and projects implemented by local communities and contributing to humanity's overall progress [2]. As a result of the complexity and multifaceted nature of this problem, some issues are not sufficiently developed in modern conditions

This research aims to study and analyse approaches to sustainable local development with community participation in Ukraine, focusing on post-war recovery. It seeks to identify effective social technologies and models of interaction between local authorities and civic initiatives that promote active community self-organisation, infrastructure restoration, and economic growth in post-conflict areas.

The main results of the study. Given the extensive damage caused by the conflict and the ongoing challenges of globalisation and economic restructuring, Ukraine needs an integrated approach to sustainable development that prioritises local engagement. The key to successful recovery lies in the community's ability to self-organize, collaborate with local authorities, and actively shape their future [3]. This research explores effective models of sustainable local development with community participation, focusing on the Ukrainian context, particularly in the post-war recovery phase. The experience of daily life of Ukrainian communities shows that the key factor for sustainable development is the active participation of citizens in the formation and implementation of local social policy. Uniting the community around solving the problem is the key to avoiding internal conflicts and contributes to their effective resolution.

A strategic approach to the planning of sustainable territorial development has advantages for all key participants in the process (government, enterprises, territorial communities), such as:

- increases the scientific and practical justification of socioeconomic and organisational measures, the effectiveness of management decisions;
- significantly expands the range of participants in the planning process, which includes their interests and needs;
- makes the planning process more accessible for all business entities, creating opportunities to achieve common goals through the pooling of resources of institutions of different ownership, which helps reduce the time it takes to achieve the program's goal;
- enables local authorities and self-government bodies to direct the community's efforts to solve current problems, actively influencing the stabilisation of the situation in the socio-economic and socio-political spheres;
- helps to use the potential of territories to accelerate economic changes and development of local communities.

The disadvantages of the strategic approach to planning sustainable territorial development are systematised in Fig. 1.




Fig 1 Limitations of the strategic approach to planning sustainable territorial development

These shortcomings must be carefully considered when developing strategic plans to ensure sustainable territorial development.

A rather pragmatic approach to community development is used in research [3], which describes it through the following social aspects:

1) education and enlightenment at the community level;

2) community formation (in particular, joint actions);

3) management of community resources, in particular, to solve the problems of poverty and low productivity of agriculture.

These authors consider the self-organisation of the community as a means of introducing innovations into the society.

The advantages of such an approach are that communities can adapt quickly to new conditions and challenges since decisions are made at the local level without lengthy bureaucratic procedures. Local initiatives are often a source of innovation, as communities deeply understand their needs and can quickly test and implement new ideas. Working together to implement innovations strengthens community members' bonds, increasing social cohesion and trust. Communities are better aware of their resources and needs, which allows for more efficient allocation of resources and implementation of projects with minimal costs. Innovations originating from the community usually receive broad support among local residents, increasing their legitimacy and the chances of successful implementation. Since the community controls the decision-making process and implementation of projects, it contributes to the transparency of all processes.

The disadvantage of this approach is the limitation of financial resources and the general instability of financing, which limits the scope and speed of introducing innovations. The lack of qualified specialists can also limit the community's ability to implement complex projects successfully. Thus, community self-organisation as a means of introducing innovations is a powerful tool for local communities that allows them to actively influence their own development. At the same time, this approach has its limitations and needs support and coordination to overcome resource, organisational, and social challenges.

Such a view coincides with the opinion of those who emphasise the importance of appealing to the local community when solving social problems [4]. This applies both to the self-organisation and mobilisation of the community, as well as to the practice of the activities of local authorities and other factors of community development, which emphasises the permanent, sustainable nature of relevant social technologies for the development of the area. For example, it is proposed to highlight the following stages in the community development process: 1) community mobilisation; 2) formation of effective institutional management mechanisms at the local level (creating public structures and increasing their potential); 3) joint planning and prioritisation; 4) consolidation of collective decision-making mechanisms at the local and regional levels; 5) resource mobilisation and project implementation; 6) ensuring sustainability of results, i.e. transformation of innovations into usual social practice [1].

In this process, institutionalised practices of citizen participation in solving community problems play a significant role. Other Ukrainian scientists [5] proposed a different course of action for community development:

1) creation of an organisation (which allows attracting the necessary resources to solve local problems and cooperate with other institutions);
2) selection of competent leaders;
3) collection of financial funds for the organisation's activities;
4) identification of the main local problems that residents want to solve to improve their lives;
5) assessment of opportunities in solving these problems, finding out their value and developing an action plan;
6) attraction of resources for the implementation of defined priorities;
7) preservation of the achieved result; 8) representation of interests in various authorities.

In both of the aforementioned algorithms, the basic element is creating a special organisation in the community, a formalised structure to represent the population's interests. According to the current legislation of Ukraine, the following mechanisms are provided for making decisions in matters of local development: local referenda, general assemblies of citizens, local initiatives, and

public hearings. The rules of Ukraine also specify that formal organisations in the community can act as public or charitable organisations, bodies of self-organisation of the population (with a complex procedure for creation), associations of co-owners of apartment buildings (OCSB), and cooperatives. However, none of these forms of self-organisation can be considered ideal for effective community involvement in local development, as they do not provide a full-fledged toolkit for active community participation in local development.

The study [6] describes the process of community development, offering an alternative algorithm of actions: 1) assessment of the situation for changes; 2) study of interactions in the community; 3) drawing up a community passport; 4) planning; 5) collective actions; 6) strategic planning; 7) implementation of the strategic plan; 8) assessment of results.

In this algorithm, the main attention is paid to social planning from the bottom up, without appointing specific subjects in the community according to the "bottom-up" principle, the advantages of which can be summarised without specifying the subjects in the community: a deeper understanding of local needs; increasing the level of involvement and responsibility; flexibility and adaptability; efficiency and rationality in the use of resources; increasing the legitimacy of decisions; stimulation of social innovations; sustainability and self-sufficiency; social justice and inclusiveness; increasing social stability.

These advantages emphasise the importance of a "bottom-up" approach to social planning, which allows communities to actively participate in their development, effectively use available resources, and consider real needs and opportunities.

Community development can occur with the population's participation, initiated from below and above. Inclusion of the community in collective actions and joint decision-making can be carried out through a directive or non-directive method [7]. Directive methods mean that decisions are made by leaders, while non-directive methods are appropriate when residents identify problems, make decisions, and implement them themselves. In the latter case, the community is activated, giving it more power and contributing to the distribution of resources and benefits in society.

We suggest that in Ukraine, we support an approach to developing territorial communities where community members are considered partners of local self-government bodies and not just recipients of services. The main initiator and subject of development should be the community itself, not power structures or officials. Creating community development centres and training specialists - consultants to improve the partnership between the population and self-governing bodies to inform residents about their rights and opportunities for solving local issues is necessary.

In foreign practice, such forms of community organisations as development funds, charitable organisations, and social entrepreneurship [6], as well as implementing investment projects, are also widely used.

According to the statements of the American researcher D. Rothman, during the development of the local community, four strategies of interaction with its members can be defined: 1) meetings in private homes, evening gatherings of interested persons; 2) creation of organisational ties (for example, creation of clubs); 3) coalition model focused on mobilisation and information campaigns; 4) the model of social networks (based on religious traditions) [8].

This approach focuses on informal community structures and explains the connection between community development and civil society based on the understanding that informal institutions, connections and networks play a key role in building social capital, strengthening social cohesion and promoting sustainable community development. The approach shows that community development is not limited to formal institutions but also includes a wide range of social connections and networks that can drive change and progress. This approach promotes more inclusive, flexible and sustainable development that reflects the real needs and potential of the community.

The development of the local community, in particular its self-organisation, responds to global challenges and is a resource for citizens' transformational efforts. This development allows representatives of vulnerable groups to take an active part in solving their problems and express their own views [12].

Fernback J. emphasises the importance of social media in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts [9].

Social media play a key role in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts, providing a space for communication, sharing information and organising joint actions. They are a powerful tool in building a sense of belonging to the community and stimulating collective efforts towards sustainable local development. Social media provide a space for communication, information exchange, organising joint actions and supporting civic activism. This contributes to the strengthening of social capital, the development of inclusiveness and sustainability of the community, making it more cohesive and ready for the challenges of the modern world.

Brinkerhoff D. and O. Azfar emphasise the importance of 1) access to information and communication culture in the community; 2) participation in forums and debates related to common problems, local budget and policy issues; 3) stimulation of local authorities to make decisions in the interests of the community; 4) availability of resources for community members to express their interests [10].

If we consider the development of the territorial community in the context of civil society, it becomes obvious that the need for social incentives and the institutionalisation of mechanisms to protect group interests create the conditions for their implementation [13].

In this sense, civil society is a key factor contributing to the effective management of the territory and increasing citizens' participation in public life, strengthening social cohesion, and implementing joint initiatives.

Sustainable local development in the context of civil society is a key factor in creating effective, inclusive and sustainable local governance. Civil society ensures the active participation of citizens in decision-making processes, forms social capital, supports initiatives from below, increases transparency and accountability of authorities, promotes social cohesion and inclusiveness, and also supports sustainable development and self-sufficiency of the community. This creates the conditions for building a community where each member can influence the future of his community.

According to Völker B. et al., four key conditions for community development and strengthening are 1) organisational opportunities for meetings; 2) people's motivations for investing in mutual relations (which depends on economic and social status, education and lifestyle); 3) achievement of individual goals; 4) interaction [11].

Strategies and approaches to community development should consider both technical (infrastructure, resources, communication) and social (motivation and interaction between community members and authorities) aspects [14].

These concepts confirm the importance of social capital as the basis of successful community development and emphasise the low level of social trust in Ukrainian society.

Conclusions. The article explores various approaches to territorial community development, especially in the context of post-conflict recovery and sustainable development. This development can occur through self-organisation or a directive approach, either from the bottom up or vice versa. Regarding formalisation, community development can include the creation of representative bodies, community development funds, cooperatives, public and charitable organisations, and social enterprises. On the other hand, informal structures such as initiative groups or protest movements can also contribute to community development.

Normalising relations at the level of local politics is important for the successful development of the community in Ukraine. This includes revising the powers of self-governing bodies, delegating rights to community organisations, and ensuring public control, including administrative decentralisation. In addition, it is important to increase the accessibility of government representatives to community members, which will help increase the level of social trust and promote collective action for implementing local initiatives.

Involving residents in decision-making and project implementation is crucial for the success of recovery efforts. This approach ensures quick adaptation to new conditions, fosters innovation, enhances social cohesion, and increases the legitimacy of decisions. Despite the benefits, community self-organisation approaches face financial constraints, a lack of qualified specialists, and general

funding instability. Overcoming these challenges requires additional support and coordination. Social capital, including informal connections and social networks, is a vital resource for community development. Effective models include formal organisations and informal networks, supporting social cohesion and community engagement. Successful community development requires clearly defined stages such as mobilisation, creation of effective institutional mechanisms, joint planning, and project implementation. Integrating social technologies and stimulating participation at all levels is necessary for sustainable development. Social media play a significant role in building a sense of community, organising joint actions, and supporting civic activism. Access to information and participation in discussions contribute to increased transparency and accountability of local authorities.

In conclusion, for effective territorial community development in Ukraine, there is a need to collaboratively work on creating conditions for active citizen participation in recovery and development processes. This includes supporting self-organisation, developing social capital, utilising social media, and ensuring access to information. Integrating these approaches will help build resilient and self-sufficient communities that are prepared to meet the challenges of the modern world.

References

1. Local development with the participation of the community: monograph: Vol. 1: Theoretical foundations of sustainable community-oriented local development, Sumy: University book, 2013, 352 p.
2. V. Paniotto, D. Khutkii, A. Hrushetskyi, V. Kisil (2011). Local development with community participation. Results of sociological research. Evaluation of the impact of the approach to local development with the participation of communities implemented in Ukraine in UNDP projects financed by the European Union and other donors. K.: KMIS, 108 p.
3. Emmanuel M. Luna, Knud Falk. (2003). Guidelines for implementing the integrated community disaster planning model. Diliman: College of Social Work & Community Development, 76 p.
4. Edwards G. (1980). Implementing Public Policy. Washington DC: Congressional Quarterly Press, 148 p.
5. European Commission (2023). Rebuilding Ukrainian cities: The new Phoenix initiative will mobilise expertise and at least EUR 7 million. press release, 2 February 2023, https://environment.ec.europa.eu/news/ rebuilding-ukraine-2023-02-02_en.
6. Stănică V. (2014). Community development: case studies. Viorel Stănică. Cluj-Napoca: Accent, 200 p.
7. York A. S. (1990). Directive & Non-directive Approaches in Community Social Work. Journal of Social Work and Policy in Israel, № 3, 39–52.
8. J. Rothman, J. Erlich, J. Tropman (2008). Strategies of community intervention. Peosta: Eddie bowers publishing company, 562 p.
9. Fernback J. (2005). Information technology, networks and community voices, Communication & Society, № 8 (4), 482–502.
10. D. Brinkerhoff, O. Azfar. (2006). Decentralisation and Community Empowerment. Does Community Empowerment Deepen Democracy and Improve Service Delivery? Washington: RT International, 41 p.
11. Manor J. (2004). Democratisation with Inclusion: Political Reforms and People's Empowerment at the Grassroots. Journal of Human Development, № 5 (1), 5–29.
12. B. Völker, H. Flap, S. Lindenberg (2007). When Are Neighborhoods Communities? Community in Dutch Neighborhoods. European Sociological Review, Vol. 23 (1), 99–114.
13. Nanz, P. and Leggewie, C. (2019), No Representation without Consultation: A Citizen's Guide to Participatory Democracy, Toronto: Between the Lines.
14. Orlova, N., & Chechel, A. (2019). The Determinants of Ukraine's Sustainable Development. *MIND Journal*, (8), 1-15.
15. Gerasimenko, O. V. (2017). "The Role of Population Self-Organization in Sustainable Local Development: Ukrainian Context." Socio-Economic Research, 29(1), 45-67.

16. Gritsak, Yu. M. (2018). "Mechanisms of interaction between local authorities and civil initiatives in Ukraine." Ukrainian Journal of Local Government, 16(3), 89-105.

17. Orlovskaya, A. P. (2020). "Legal aspects of self-organisation of the population in Ukraine." Bulletin of Law and Democracy, 25(2), 135-153.

მალხაზ ჩიქობავა
ნაზირა კაკულია
თეა ლაზარაშვილი

რატომ ვერ განჭვრიტა მეინსტრიმულმა მაკროეკონომიკამ გლობალური ფინანსური კრიზისი

ანოტაცია. *საყოველთაოდ აღიარებით, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე უარესი გლობალური ეკონომიკური კრიზისია 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ; ორივე შემთხვევაში, ეკონომიკური ვარდნა თანდაყოლილი იყო მძიმე ფინანსური კრიზისით, ორივე კრიზისი შეეხო მსოფლიოს დიდ ნაწილს და ორივე შემთხვევაში დედამიწის დიდმა ნაწილმა თავი დააღწია მას. ყველაზე მეტად აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირისთვის დიდი გავლენა არ მოუხდენია 1930-იანი წლების დეპრესიას, ხოლო გლობალურ ფინანსურ კრიზისს ძლიერი გავლენა არ მოუხდენია ჩინეთის ეკონომიკურ ზრდაზე 2000-იანი წლების ბოლოს.*

დიდი დეპრესიის დაწყებამდე ზოგიერთი ეკონომისტი, განსაკუთრებით ვებლენი (1919), გვაფრთხილებდნენ კრიზისის მოახლოებაზე. ორთოდოქსი ეკონომისტები, მათ შორის, ირვინგ ფიშერი, არ ეთანხმებოდნენ ამ აზრს. თვით დიდი დეპრესიის დაწყების შემდეგ ორთოდოქს ეკონომისტებს მხოლოდ უმნიშვნელო სასარგებლო პოლიტიკური რჩევები ჰქონდათ. ინგლისელი ეკონომისტი არტურ პიგუ ამტკიცებდა, რომ ხელფასების შემცირება უმუშევრობას შეამცირებდა, ხოლო ენდრიუ მელონი, აშშ-ის ბანკირი და ხაზინის მდივანი, მიესალმა „ლიკვიდაციას“, როგორც აღდგენისკენ მიმავალ გზას. მეინსტრიმულმა ეკონომისტებმა ვერ შეძლეს მოსალოდნელი გლობალური ფინანსური კრიზისის განჭვრეტა.

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ მიზეზებს, რის გამოც მეინსტრიმული ეკონომისტების უმრავლესობა გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც მსოფლიოს თავს დაატყდა გლობალური ფინანსური კრიზისი. რეტროსპექტივაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მხოლოდ რამდენიმე მეინსტრიმულმა ეკონომისტმა იწინასწარმეტყველა კრიზისი. ციკლებისადმი მათი მიდგომა ემყარება კაპიტალისტური ეკონომიკის დინამიკის ფუნდამენტურ გაუგებრობას. საუკეთესო შემთხვევაში, მათი თეორია მიესადაგება სამყაროს, სადაც ფული ნეიტრალურია და სადაც ეკონომიკური სისტემის შიდა დინამიკა მას წონასწორობისკენ უბიძგებს.

საკვანძო ტერმინები: *ციკლები, კრიზისი, ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული პარადიგმები, ცენტრალური ბანკი, მთავრობა, ხაზინა, სრული დასაქმება.*

* * *

როგორც ცნობილია, ეკონომიკის ციკლური განვითარების ორთოდოქსულ და ჰეტეროდოქსულ თეორიებს შორის ორი ძირითადი განსხვავებაა. პირველი, ორთოდოქსული მიდგომები, ზოგადად, ადანაშაულებენ ეგზოგენურ ფაქტორებს, როგორიცაა გარე „შოკი“ ან პოლიტიკის „სიურპრიზი“ იმ ციკლში, რომელიც აშორებს ეკონომიკას მის „ბუნებრივ“ წონასწორობას. შემდეგ, ენდოგენური საბაზრო ძალები

ეკონომიკას აბრუნებენ წონასწორობის მდგომარეობაში. რეალური საქმიანი ციკლის თეორია გამონაკლისია, რადგან მიიჩნევს, რომ ეკონომიკა ყოველთვის იმყოფება წონასწორობაში, ხოლო ტექნოლოგიური „შოკები“ ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ეკონომიკას გადააადგილებს ახალი წონასწორული ზრდის ტრაექტორიით. მეორე, ციკლი თავისი არსით არ წარმოადგენს *მონეტარულ* ან *ფინანსურ* ფენომენს.

მართალია, ზოგიერთი ორთოდოქსული მიდგომა, როგორიცაა ფრიდმანის მონეტარიზმი და ლუკასის ახალი კლასიკური თეორია, ადანაშაულებს მონეტარულ „სიურპრიზებს“ ციკლში, ფულის ნორმალური როლი ორთოდოქსულ თეორიაში მხოლოდ ნომინალური ღირებულებების განსაზღვრაა, რის გამოც ის „ნეიტრალურია“. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტები უშვებენ შეცდომებს, ფული დროებით არანეიტრალური ხდება. ეს არის ის მოკლევადიანი არანეიტრალურობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანი ციკლი (მიტჩელი, 2025).

ამის საპირისპიროდ, ჰეტეროდოქსული თეორიების უმეტესობაში, ციკლი არის ენდოგენური, სადაც ფული და ფინანსები მთავარ როლს თამაშობენ. როგორც გამოჩენილი ნეოკეინზიანელი ეკონომისტი - ჰაიმან მინსკი ამბობდა, ბიზნესციკლი ფინანსური ციკლია. კეინზის შემდეგ, მრავალი ჰეტეროდოქსი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის ციკლური ბუნება წარმოიქმნება იმის გამო, რომ ეკონომიკა ორგანიზებულია ფულის შოვნის გარშემო. ფული შეუძლებელია ოდესმე იყოს ნეიტრალური, რადგან კაპიტალიზმის მიზანი „მეტი ფულია“. როდესაც კაპიტალისტები განიცდიან ფულადი მოგების მიღების პრობლემებს, ან, თუნდაც, მათ რომ ჰქონდეთ მოლოდინი იმისა, რომ შეიძლება წარმოიქმნას პრობლემები, ეკონომიკური ზრდა შეიძლება შეფერხდეს. ეს აღრმავებს სირთულეს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ არსებობს ფულადი დავალიანებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ფულადი შემოსავლების ხარჯზე.

მინსკი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ფინანსური სისტემაა, რომელშიც არსებობს ფინანსური ვალდებულებების რთული ქსელი. თუ ადგილი აქვს ამ ვალდებულებებიდან ერთ-ერთის დარღვევას, მაგალითად, თუ ერთი მოვალე ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, მას შეუძლია სხვა მოვალის ბანკროტობის გამოწვევა, რომელიც იმედოვნებდა გადახდების მიღებას ამჟამად წარუმატებელი ეკონომიკური სუბიექტისგან. მიუხედავად იმისა, რომ ციკლურ ვარდნას ყოველთვის არ ახლავს ფინანსური კრიზისი (და პირიქით), ის ვარდნა, რომელსაც თან ახლავს ფინანსური კრიზისი, როგორც წესი, უფრო უარესია.

მას შემდეგ, რაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გაანადგურა მსოფლიო ეკონომიკის დიდი ნაწილი, ინგლისის დედოფალმა მრავლისმიმანიშნებლად ჰკითხა თავის ეკონომიკურ მრჩევლებს, რატომ ვერ განჭვრიტა ვერც ერთმა მათგანმა კრიზისი. ირონია მდგომარეობდა იმაში, რომ მეინსტრიმის მრავალი წარმომადგენელი სინამდვილეში ზეიმობდა იმას, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ბენ ბერნანკემ 2004 წელს „დიად მოდერაციას“ ეკონომიკური სტაბილურობის ახალი ოქროს ხანა უწოდა (Bernanke, 2004). ისინი აცხადებდნენ, რომ კრიზისები რამდენიმე მიზეზის გამო ნაკლებად სავარაუდო გახდა.

ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები უფრო მეტად იყვნენ კონცენტრირებულნი ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ბაზრებთან კომუნიკაციის ახალი სტრატეგია მიიღეს, რომელიც აძლიერებდა ბაზრის ნდობას პოლიტიკის შემქმნელთა ქმედებებში. დაბალმა ინფლაციამ მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო უფრო სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას. თავის მხრივ, ბაზრებმა შექმნეს სხვადასხვა ფინანსური ინოვაციები, რომლებიც ამცირებდნენ რისკს და დარჩენილ

რისკს უნაწილებდნენ იმ მონაწილეებს, რომლებსაც შეეძლოთ მისი მართვა. ასეთი ინოვაციების მაგალითები მოიცავდა დერივატივების გამოყენებას რისკების ჰეჯირების მიზნით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის რისკი და გაცვლითი კურსის რისკი, სეკურიტიზაცია, რამაც რისკი გაიტანა საბანკო სისტემიდან და საკრედიტო დეფოლტის სვოპ „დაზღვევა“.

კაპიტალის გლობალიზებულმა ბაზრებმა შესაძლებელი გახადა პორტფელების დივერსიფიკაცია, ასევე, დივერსიფიცირებული მიწოდების ჯაჭვები, რომლებიც იცავდა კორპორაციებს იდიოსინკრატული რისკებისგან (მაგალითად, დაწყებული მიწისძვრებიდან, რომლებმაც შეიძლება გაანადგურონ ქარხანა და დამთავრებული გაფიცული ადგილობრივი პროფკავშირებით). საბოლოოდ, ახალმა მათემატიკურმა ალგორითმებმა და ელვისებურმა სწრაფმა გამოთვლებმა რისკის უფრო ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელი გახადა (მიტჩელი, 2025).

გარდა ამისა, თუ ყველა ეს სიახლე ვერ შეძლებდა ბაზრების დაცვას კრიზისისგან, ითვლებოდა, რომ ცენტრალური ბანკების მმართველები სწრაფად მოახდენდნენ ინტერვენციას ბაზრების გადასარჩენად. ბაზრის მონაწილეების მხრიდან განსაკუთრებულმა რწმენამ ცენტრალური ბანკების ძლევამოსილებისა და სიბრძნის მიმართ, განსაკუთრებით აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის, ინგლისის ბანკისა და ევროპული ცენტრალური ბანკის მიმართ, ისინი დაარწმუნა იმაში, რომ კრიზისის რისკი იყო საკმაოდ მცირე.

ყველა მიმართავდა „გრინსპენის გზას“, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ალან გრინსპენი, ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე 1987 წლიდან 2006 წლამდე, ახდენდა ვარდნის რისკების უმრავლესობის აღმოფხვრას სამაშველოდ მისვლით, როდესაც რომელიმე ბაზარი დაბრკოლდებოდა. ეს წარმოადგენდა წინადადებას „გერბი - მე ვიგებ, საფასური - შენ აგებ“, რომლის თანახმადაც გრინსპენმა ეფექტიანად მოახდინა „ნებისმიერი დანაკარგების სოციალიზაცია და მოგების პრივატიზაცია“ და წაახალისა გადაჭარბებული რისკები. ეჭვგარეშეა, რომ ეს აღქმა ფინანსურ ბაზრებზე ეიფორიულ მოლოდინებს უწყობდა ხელს.

გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, აშშ-ის მთავრობამ განახორციელა კვლევა, რათა გაერკვია კრახის მიზეზები. 2009 წლის მაისში შეიქმნა ფინანსური კრიზისის საგამოძიებო კომისია (*The Financial Crisis Inquiry Commission – FCIC*), რომელმაც თავისი ანგარიში 2011 წელს გამოაქვეყნა. ანგარიშში დამაჯერებლადაა დამტკიცებული, რომ შესაძლებელი იყო კრიზისის განჭვრეტა და თავიდან აცილება. ეს არ ყოფილა სერიოზული, თუ არა ნაკლებად სავარაუდო „შოკის“ შედეგი. პირიქით, ეს გამოწვეული იყო უმსხვილესი გლობალური ბანკების მარცხით, რომ არ მოიქცნენ სწორად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოქმედებდნენ „სახელმწიფო მმართველების“ (სამთავრობო საბანკო მარეგულირებლებისა და ზედამხედველების) ცხვირწინ (მიტჩელი, 2025).

ამ შესანიშნავი ანგარიშის თანახმად, გლობალური ფინანსური კრიზისი წარმოადგენდა კორპორაციული მმართველობისა და რისკების მართვის დარამატულ წარუმატებლობას, რომელიც, დიდწილად, გამოწვეული იყო ბანკების მიერ ვაჭრობასა და ფინანსური ბალანსების სწრაფ ზრდაზე (ფაქტობრივად, აზარტულ თამაშზე) დაუსაბუთებელი და უგუნური ფოკუსირებით. ამავდროულად, სამთავრობო პოლიტიკის გამტარებლები და მარეგულირებელი ორგანოები მუდმივად მოითხოვდნენ დერეგულირებას და ზედამხედველობის გაუქმებას

„თვითრეგულირებისა“ და „თვითკონტროლის“ სასარგებლოდ. ამ სახიფათო კომბინაციამ გამოიწვია კრიზისი, ნათქვამია მოხსენებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება „ვინაობებს ასახელებს“ და არასასურველი პრაქტიკების იდენტიფიცირებას ახდენს, არსებობს ცუდი ადამიანების ფინანსურ პრაქტიკასა და მოვლენებზე ფოკუსირების გარკვეული საშიშროება.

კრიზისი განჭვრიტეს ბაზრის ზოგიერთმა მონაწილეებმა, მათ შორის, Goldman Sachs-ის თანამშრომლებმა და ზოგიერთმა ჰეტეროდოქსული მიმდინარეობის ეკონომისტმა. მეორე მხრივ, რატომ განჭვრიტეს ორთოდოქსული მიმდინარეობის მცირედმა ეკონომისტებმა ეს? თავმჯდომარემ ალან გრინსპენმა ლაკონური პასუხი გასცა, როდესაც ის აშშ-ის კონგრესში მკაცრად დაკითხეს. ეკონომიკის ფუნქციონირების მისი მოდელი მცდარი იყო. ორთოდოქსი ეკონომისტების უმრავლესობის მსგავსად, გრინსპენიც თვლიდა, რომ თავისუფალი ბაზრები გაწონასწორდებოდნენ.

ის თვლიდა, რომ ბაზრის „უხილავი ხელი“ რაციონალურ ადამიანებს წარმართავს, რათა მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი ინდივიდუალური სარგებლიანობა და ამით ისინი მაქსიმალურად ზრდიან სოციალურ კეთილდღეობას. ამ თვალსაზრისით ითვლებოდა, რომ ირაციონალური იქნებოდა ბანკების მიერ სესხების გაცემა, რომლებსაც მსესხებლები ვერ დაფარავდნენ. საინვესტიციო ბანკები არ დადებდნენ ფსონს საკუთარი კლიენტების წინააღმდეგ.

შესაბამისად, ბაზრის მონაწილეები არ აიღებდნენ თავიანთ თავზე ზედმეტ რისკს, ანუ არ გახსნიდნენ პოზიციებს აქტივებში უარყოფითი უკუგების რისკის ალტერნატივით. გარდა ამისა, რაციონალური ეკონომიკური აგენტები არ აიღებდნენ საკუთარ თავზე სასესხო საშუალებების ჭარბ წილს (ლევერიჯს) ან უკიდურესად არალიკვიდურ პოზიციებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პირის მხრიდან შეიძლება არსებობდეს არაკეთილსინდისიერი და არაგონივრული ქცევა, ითვლებოდა, რომ ბაზარი მათ დასჯიდა და აღმოფხვრიდა მათ ნაკლებად წარმატებულ სტრატეგიებს.

როგორც თავმჯდომარე გრინსპენმა აღიარა, ასეთი მსოფლმხედველობა მცდარი იყო. „უხილავმა ხელმა“ ფინანსურ სისტემებს უბიძგა ცუდი სესხების გაცემისკენ, საკუთარი კლიენტების წინააღმდეგ ფსონის დადებისკენ, გადაჭარბებული რისკების აღებისკენ და ლევერიჯის გაზრდისკენ, ლიკვიდურობის იმ დონემდე შემცირებასთან ერთად, რომ ზარალის მცირედ ტალღას შეეძლო მთელი ფინანსური სისტემისთვის საფრთხის შექმნა. გრინსპენი იყო პრაქტიკოსი და პოლიტიკის შემქმნელი და არა აკადემიური ეკონომისტი. კრიზისამდე ის ყოველდღიურად ეხებოდა ფინანსური ბაზრების მონაცემებსა და მონაწილეებს. და მაინც, ის მაინც ცდებოდა, რადგანაც თავადვე აღიარა, რომ მისი თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია მცდარი იყო. ეს იძლეოდა რეალური სამყაროს ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას, რომელსაც ის ამუშავებდა (მიტჩელი, 2025).

მეინსტრიმის ეკონომისტები დიდწილად იზიარებენ იგივე იდეოლოგიას, მაგრამ მათ გაცილებით ნაკლები იციან რეალური სამყაროს ფინანსური ინსტიტუტების შესახებ. მათი თეორიული კონსტრუქციის დიდი ნაწილი არც კი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ფინანსური ინსტიტუტის მსგავსი რამ არსებობდეს რეალურ სამყაროში. მრავალ მათ მოდელში საერთოდ არ არის ფული.

მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მთავარი ორთოდოქსული აზრის სკოლების ძირითადი ხედვები:

- ფული მნიშვნელოვანწილად დაყვანილია გაცვლის საშუალებამდე;

- ფინანსური ინსტიტუტები უბრალოდ, როგორც შუამავლები, მეანაბრეთა დანაზოგებს სესხად აძლევენ მსესხებლებს, რომლებსაც სურთ ქარხნებსა და აღჭურვილობაში ინვესტიციების დაფინანსება;
- არ არსებობს გაურკვევლობა მომავლის შესახებ, არსებობს მხოლოდ რისკი ალბათობის ცნობილი განაწილებით.
- ის, ვინც მიდის რისკზე, ჯილდოვდება უფრო მაღალი მოგებით, რომელიც საკმარისია დამატებითი რისკის საკომპენსაციოდ.
- მათემატიკურად მკაცრი მოდელები (დინამიკურ-სტოქასტიკური ზოგადი წონასწორობა, *DSGE*) გულისხმობს, რომ არავინ განიცდის დეფოლტს.

ეს ის მოდელებია, რომლებსაც ახლაც კი ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის ცენტრალური ბანკები იყენებენ (მიტჩელი, 2025).

თუმცა, მიუხედავად მათი წარუმატებლობისა, მეინსტრიმის ეკონომისტები და ცენტრალური ბანკები უწინდებურად იყენებენ ეკონომიკურ მოდელებს, რომლებიც გულისხმობს, რომ ყველა მსესხებელი ყოველთვის ფარავს ყველა ვალს მათი დაფარვის ვადის დადგომის კვალობაზე. ასეთ სამყაროში აზრი არ აქვს საკრედიტო რისკის შეფასებას, რადგან ყველა მსესხებელი ერთნაირად კრედიტუნარიანია. გლობალური ფინანსური კრიზისის მსგავსი კრიზისი, ფაქტობრივად, შეუძლებელი უნდა იყოს. გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკოსებმა და მეცნიერ-ეკონომისტებმა, რომლებმაც ეს მოდელები შექმნეს, ვერ შეძლეს მოახლოებული კრიზისის განჭვრეტა.

მას შემდეგ, რაც აშშ-ში დაიწყო კრიზისი, ზოგიერთმა წამყვანმა ეკონომისტმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ პრობლემა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ იქნა გამოწვეული, რადგან მან მეტისმეტად დიდხანს დატოვა საპროცენტო განაკვეთები ძალზე დაბალ დონეზე, რამაც გამოიწვია ეკონომიკის გადახურება. რეალობა ისეთია, რომ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მკვეთრად გაზარდა განაკვეთები 2004 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ მცირედი მტკიცებულება არსებობდა ინფლაციისა და უმუშევრობის ვარდნაზე ისეთ დაბალ დონემდე, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ხელფასების სწრაფი ზრდა. განაკვეთების აღნიშნულ ზრდას ჰქონდა მცირედი უშუალო ეფექტი. სინამდვილეში, აშშ-ში უძრავი ქონებისა და საქონლის ბაზრებზე ბუშტების ყველაზე უარესი ექსცესები მას შემდეგ მოხდა, როცა აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გაზარდა საპროცენტო განაკვეთები.

ყოველ შემთხვევაში, მეინსტრიმის მრავალი ეკონომისტი ისევე, როგორც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ზოგიერთი მკვლევარი, საერთოდ უარყოფდნენ ბუშტების პრობლემის არსებობას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მაშინაც კი, თუ აქტივების ბაზრებზე პრობლემები იარსებებდა, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მოვალეობაში სულაც არ შედიოდა ფინანსური ბაზრის მილიონობით მონაწილეთა შეხედულების უარყოფა. ამგვარად, თუ ეს მონაწილეები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და კრიტიკულად ვერ აფასებდნენ უძრავ ქონებასა და საქონლის ფასებს, მმართველთა საბჭოს, რომელიც იმყოფება ვაშინგტონში, არ ჰქონდა უფლება შეეზღუდა მათი აქტივობა. მართალია, ამ საბჭოს ზოგიერთ წევრს ფარულად აწუხებდა აქტივების ბაზრებზე ექსცესები, აშშ-ის ფედერალურ რეზერვს საჯაროდ თავი ისე ეჭირა, რომ ის მიჰყვებოდა ახალი თავმჯდომარის „დიადი მოდერაციის“ ხაზს (მიტჩელი, 2025).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ როცა კრიზისი დაიწყო, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა გაკვირვებული იყო და ასეთად რჩებოდა მომდევნო თვეებისა და წლების განმავლობაში ინსტიტუტიდან ინსტიტუტამდე, ერთი ფინანსური ბაზრიდან მეორემდე და, საბოლოოდ, მთელს მსოფლიოში პრობლემების გავრცელების კვალობაზე.

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა საბოლოოდ იძულებული გახდა გაეცა სესხები 29 ტრლნ დოლარის ოდენობით გლობალური ფინანსური სისტემის მხარდასაჭერად. ეს თანხა თითქმის წარმოუდგენელი სიდიდისაა და, რა თქმა უნდა, არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული პოლიტიკოსების ან აკადემიური ეკონომისტების მიერ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ სესხებს თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო ფულის, როგორც გაცვლის საშუალების დაცვასთან. ის აუცილებელი იყო ფინანსური ვალის ფინანსური ვალითვე გადასაფარად, რომელიც აკავშირებდა ფინანსური ინსტიტუტების ბალანსებს, რომლებიც შედგებოდა როგორც რეგულირებადი, ასევე არარეგულირებადი ჩრდილოვანი ბანკებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კრიზისში ადანაშაულებს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ლიკვიდურობის კრიზისი არ ყოფილა ირაციონალური საბანკო პანიკის შედეგი, არამედ ასახავდა ფინანსური ინსტიტუტების გადახდისუუნარობის ზუსტ შეფასებას. ეს, თავის მხრივ, შეიძლება აიხსნას დაკრედიტების სტანდარტების კატასტროფული შემცირებითა და საყოველთაოდ გავრცელებული თაღლითობით.

მას შემდეგ, რაც ფინანსურმა ინსტიტუტებმა ეჭვი შეიტანეს ერთმანეთის გადახდისუნარიანობაში, მათ უარი თქვეს ერთმანეთის ვალდებულებების ფლობაზე. ამგვარად, მეანაბრეების მიერ პროვოცირებული საბანკო პანიკის ნაცვლად, ეკონომიკაში მოხდა ფინანსური ინსტიტუტების ერთმანეთზე პანიკური შეტევა. სწორედ ამიტომ, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მთლიანი დაკრედიტება რამდენჯერმე მეტი იყო, ვიდრე ყველა ბანკში არსებული დოლარებში დეპოზიტების ჯამი.

მე-19 საუკუნეში ბეგჰოტი (1873) ამტკიცებდა, რომ კრიზისის დროს ცენტრალურმა ბანკმა შეუზღუდავად უნდა გასცეს სესხები; ანუ განახორიციელოს ე.წ. ბოლო ინსტანციის კრედიტორის ოპერაცია. მან აღიარა, რომ მას შემდეგ, რაც ბანკებიდან მასობრივად ხდება დეპოზიტების გატანა, მხოლოდ ცენტრალურ ბანკს შეუძლია მისი შეჩერება და ის ამას შეძლებს რეზერვების სესხად გაცემით, რათა ბანკებმა შეძლონ საკუთარი ვალდებულებების ცენტრალური ბანკის მიმართ ვალდებულებებში კონვერტირება.

დეპოზიტური საბანკო საქმიანობის განვითარების შემდეგ, ბანკებმა დადეს პირობა, რომ გამოისყიდიდნენ თავიანთ დეპოზიტებს ცენტრალური ბანკის ბანკნოტებით ან ცენტრალური ბანკის რეზერვებით მოთხოვნამდე. ეს კიდევ ერთხელ ნიშნავდა, რომ ცენტრალურ ბანკს უნდა გაესესხა ან ბანკნოტები, ან რეზერვები მოთხოვნამდე, პანიკის შესაჩერებლად. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, მაშინ პანიკა გავრცელდებოდა მთელ საბანკო სისტემაზე, რადგან კერძო ბანკის ნიშნების ან კერძო ბანკის დეპოზიტების მფლობელები მოითხოვდნენ ნაღდ ფულს, ანუ ცენტრალური ბანკის ნიშნებს.

საგადახდო სისტემა შეფერხდება, თუ ცენტრალური ბანკი უარს იტყვის ამის გაკეთებაზე, რადგან არცერთი ბანკი არ მიიღებს სხვა ბანკის ვალდებულებას, თუ მას აქვს შიში იმისა, რომ ის ვერ შეძლებს ცენტრალური ბანკის საკმარისი ბანკნოტების მიღებას თავისი საკუთარი ვალდებულებების დასაფარად. ვერც ერთი ბანკი ვერ შეძლებს გადაურჩეს თავის ვალდებულებებზე პანიკურ შეტევას, როცა მეანაბრეები ან ბანკნოტების მფლობელები მოითხოვენ ნაღდ ფულს გამოსასყიდად, ასე რომ, პანიკა გავრცელდება ბანკიდან ბანკზე.

1930-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევა და ცენტრალურმა ბანკმა პირობა დადო, რომ ყოველთვის იმოქმედებდა, როგორც ბოლო ინსტანციის

კრედიტორი. ამან დაიცვა საგადახდო სისტემა და აღკვეთა საბანკო პანიკები. მიუხედავად გლობალური ფინანსური კრიზისის მკაცრი ბუნებისა, ასევე, მრავალი უმსხვილესი ბანკის შესაძლო გადახდისუუნარობისა, აშშ-ში დაზღვეულ დეპოზიტებზე პანიკურ შეტევებს ადგილი არ ჰქონია.

2007 წლის სექტემბერში ადგილი ჰქონდა პანიკურ შეტევას გაერთიანებული სამეფოს $Northern\ Rock$ ბანკზე. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ინგლისის ბანკმა დაზღვევა შესთავაზა დაზღვეული დეპოზიტების ღირებულების 90 პროცენტს. რა თქმა უნდა, არცერთ მეანაბრეს არ სურდა თავისი ანაბრის ათი პროცენტის დაკარგვა, ამიტომ, როცა კრიზისმა იფეთქა, მეანაბრეები კეთილგონივრულად ცდილობდნენ ანაბრების გატანას. გაერთიანებულ სამეფოს უნდა გაეზარდა დაზღვევა 100 პროცენტამდე, რათა შეეჩერებინა პანიკა. რუდის მთავრობამ ავსტრალიაში 2008 წლის ოქტომბერში შემოიღო დეპოზიტების გარანტირების სქემა, რომელმაც ოთხი მსხვილი ბანკი გადაარჩინა გადახდისუუნარობისგან, უზრუნველყო რა მათთვის ფონდებისადმი მუდმივი წვდომა საბითუმო ბაზრებზე საკუთარი ვალდებულებების დასაფარად.

თუმცა, ადგილი ჰქონდა პანიკურ შეტევებს არასადეპოზიტო ვალდებულებებზე, რომლებიც გამოშვებული იყო ბანკებისა და ჩრდილოვანი ბანკების მიერ და არ იყო დაცული აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ. ამგვარად, პრობლემები იყო ფინანსური სისტემის პერიფერიებში, აქტივობებსა და აქტივებზე, რომლებიც იგნორირებული იყო მეინსტრიმის მაკროეკონომისტების მიერ.

მეინსტრიმის ეკონომისტები, ზოგადად, არ ითვალისწინებდნენ ფინანსური სისტემის სირთულეს. თუ მათ მოდელებში ხდებოდა ფულის ჩართვა, ის ძალიან მარტივ ფორმას იღებდა: ან როგორც ქაღალდის ფული, გამოშვებული მთავრობის მიერ, ან როგორც დეპოზიტური ფული, რომელიც გამოშვებული იყო კონვერტაციისათვის განკუთვნილი ფიატური ფული რეზერვების ჯერადად.

ამ მოდელებში ნაგულისხმევია, რომ ფირმები ახდენენ ინვესტიციების დაფინანსებას ან უშუალოდ მოგების, კრედიტების, ან ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის ხარჯზე. 1950-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ორთოდოქსული თეორიების უმრავლესობა თვლიდა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ სამი ალტერნატივიდან რომელი გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, ჰქონდათ თუ არა ფირმებს ვალი ან სარგებლობდნენ თუ არა ისინი საკუთარი საშუალებებით თავიანთი ხარჯების დასაფინანსებლად. ის, ასევე, შეიძლება გავრცელდეს შინამეურნეობებზეც ისე, რომ ვალს ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა.

ზემოთქმულიდან გავიხსენოთ, რომ ყველაზე მკაცრი ორთოდოქსული მოდელები იმასაც კი გულისხმობს, რომ დეფოლტი არასოდეს ხდება, რაც შეესაბამება მათ მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ეს შინამეურნეობაა თუ ფირმა, რომელსაც ვალი აქვს. როდესაც ეკონომიკური აგენტები იღებენ ვალს, ეს მათ საშუალებას აძლევს ოპტიმალურად გაანაწილონ ხარჯები დროში ისე, რომ შემოსავლის მიღება არ იყოს სინქრონიზებული სასურველ ხარჯებთან. მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, რომ ცხოვრების განმავლობაში ხარჯი და შემოსავალი თანაბარია.

მაშასადამე, მეინსტრიმის ეკონომისტები დიდად არ იყვნენ შეშფოთებულნი შინამეურნეობების, არასაფინანსო კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების ვალის GDP-სთან მზარდი თანაფარდობით. მართლაც, მათ წარმოადგინეს დემოგრაფიული მიზეზები, ასევე, ტენდენციების სხვა ახსნა, რითაც ხსნიან ვალების ზრდას, როგორც რაციონალურ (და უსაფრთხო) გზას დროში ხარჯვის ნაკადების მოსასწორებლად. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათ ვერ შენიშნეს რაიმე შემაშფოთებელი კრიზისის წინ.

ვინ განჭვრიტა გლობალური ფინანსური კრიზისი და რატომ?

ბეზემერმა (2009) აღმოაჩინა, რომ ეკონომისტებმა, რომლებიც მიჰყვებოდნენ ორთოდოქსულ, წონასწორობის მიდგომას, ვერ განჭვრიტეს კრიზისი. გარდა ამისა, მათ ამის განჭვრეტა არ შეეძლოთ, რადგან ან უგულებელყვეს ფინანსური ინოვაციები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს კრიზისის წარმოქმნაში, ან ინოვაციებს განიხილავდნენ, როგორც რისკის შემცირების მექანიზმებს, რომლებსაც შეეძლოთ ფინანსური სისტემის გამძლეობის ამაღლება (Bezemer, 2009).

ბეზემერმა შეარჩია ეკონომისტთა ათეული, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს კრიზისი, ზოგიერთმა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა ხანებში და სწორად განჭვრიტეს პრობლემების ბუნება, რამაც ის შექმნა. მათ უარყვეს წონასწორობის კონცეფცია და ამის ნაცვლად გაიზიარეს წრიული ნაკადის მიდგომა, რომელშიც მარაგები და ნაკადები თანმიმდევრულად განიხილება. ეს ეკონომისტები ხაზს უსვამდნენ ბუღალტრული იდენტობის მნიშვნელობას და არა წონასწორობას, რომელიც ემყარება წონასწორობის მიღწევის საბაზრო უნარს. მათ, ასევე, მკაფიოდ მოახდინეს ფინანსური სისტემის მოდელირება „რეალური“ ეკონომისგან განცალკევებით. საბოლოოდ, მათ დაუშვეს კეინზიანური განუსაზღვრელობა და არ გაიზიარეს მაოპტიმიზირებელი აგენტები, რომელთაც უწევთ მხოლოდ ცნობილ ალბათობებთან, ანუ რისკთან გამკლავება (Bezemer, 2009).

ფინანსური არასტაბილურობის მიმართ ჰაიმან მინსკის მიდგომაზე დაყრდნობით, ზოგიერთმა ეკონომისტმა ყურადღება გაამახვილა ფინანსური სექტორის მზარდ სიმყიფეზე. 1990-იანი წლების დასაწყისში მინსკიმ გამოიყენა „ეტაპობრივი“ მიდგომა ფინანსური სისტემის გრძელვადიანი ტრანსფორმაციის აღსაწერად მე-19 საუკუნის ბოლოდან (Wray, 2009). ის ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმმა დაახლოებით ასი წლის განმავლობაში სამი ძირითადი ეტაპი გაიარა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში „ფინანსურმა კაპიტალიზმმა“ მოიპოვა მნიშვნელობა. მასში დომინირებდა საინვესტიციო ბანკები, რომლებიც აფინანსებდნენ კორპორაციებს. მაგრამ, 1920-იანი წლების ბოლოდან ისინი, ძირითადად, ახდენდნენ დაფინანსებას სპეკულაციურ ფინანსურ აქტივებში, განსაკუთრებით თავად საინვესტიციო ბანკების შვილობილი ტრესტების მიერ გამოშვებულ აქციებში.

ეს იყო ცოტა მეტი, ვიდრე პირამიდული სქემები. სპეკულაციები ხდებოდა პრაქტიკულად უსარგებლო აქციებში, რომელიც ძალზე წააგავდა პონცის ან თანამედროვე ბერნი მედოფის სამარცხვინო სქემებს. Goldman Sachs-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თაღლითობებში.

მინსკის შეხედულებით, დიდმა დეპრესიამ დაასრულა ფინანსური კაპიტალიზმის სტადია და გზა გაუხსნა ბევრად უფრო სტაბილურ ერას ფინანსური სექტორის რეფორმებით ახალი კურსის ფარგლებში, აგრეთვე ფედერალური მთავრობის გაცილებით მეტ როლს ეკონომიკის მართვაში. მან ამას უწოდა „მმართველობითი კეთილდღეობის სახელმწიფო“ კაპიტალიზმი, რომელშიც „დიდმა ბანკმა“ (აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ) და „დიდმა მთავრობამ“ (ხაზინამ) უზრუნველყვეს სტაბილური ეკონომიკური ზრდა, მაღალი დასაქმება, ხელფასების ზრდა და შემოსავლების უთანაბრობის შემცირება.

აშშ შევიდა თავის ეკონომიკურ „ოქროს ხანაში“, რომელიც გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 1970-იან წლებამდე. მიუხედავად იმისა, რომ მინსკის ნაშრომი ფოკუსირებული იყო შეერთებულ შტატებზე, მისი ანალიზის დიდი ნაწილი, ასევე, ეხება სხვა დიდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებსაც ჰქონდათ

ამერიკული ახალი კურსის საკუთარი ვერსიები და განიცადეს ძლიერი ზრდა, დაბალი უმუშევრობა და ზომიერი რეცესია ამ პერიოდის განმავლობაში.

ღრმა რეცესიის და მძიმე ფინანსური კრიზისების არარსებობამ წაახალისა ინოვაციები, რამაც გაზარდა ფინანსური არასტაბილურობა. გარდა ამისა, იმ მიზეზების გამო, რომელსაც აღარ განვიხილავთ, კონსერვატიულმა პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა შეძლეს თანდათანობით უარი ეთქვათ „ახალი კურსის“ რეფორმისათვის, რომელიც ხელს უწყობდა ზრდას სოციალური დაცვის უზრუნველყოფით.

1974 წლის შემდეგ, აშშ-ში მამაკაცების საშუალო შემოსავალი შეფერხდა და დაიწყო ვარდნა, რადგან მუშაკებმა დაკარგეს პროფკავშირების ეფექტიანი წარმომადგენლობა, სოციალური დაცვის სისტემა კი შეირყა. უმუშევრობის მიზანმიმართული ზრდა იყო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენებოდა პოლიტიკის გამტარებლების მიერ დაბალი ინფლაციის შესანარჩუნებლად.

არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც მიმართული იყო რეგულირების შემცირებისკენ, მათ შორის, 1999 წლის გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტი (*Gramm – Leach – Bliley Act*), რომელმაც დაასრულა გლას-სტიგალის საინვესტიციო საბანკო საქმის განცალკევება კომერციული საბანკო საქმიანობისგან. ასევე, გაცილებით დიდი იყო ფინანსური ინსტიტუტების მიერ თვითმმართველობაზე დამოკიდებულება. მათ შეძლეს ეროვნული მოგების მეტი წილის ხელში ჩაგდება, რამაც გაზარდა მათი პოლიტიკური ძალაუფლება, შეაძლებინა რა მათ კიდევ უფრო მეტად ძირი გამოეთხარათ რეგულაციებისთვის ან სულაც გაეუქმებინათ ის, მოგების კიდევ უფრო დიდი წილის მისაღებად.

ამ ტრანსფორმაციამ მიიღო „კაზინო კაპიტალიზმისა“ და „ფინანსებიზაციის“ სახელწოდება. ეს „ფინანსური კაპიტალიზმის“ მსგავსი იყო, როცა ჩრდილოვანი ბანკები უკვე თამაშობდნენ საინვესტიციო ბანკების როლს 1920-იან წლებში. 1990-იანი წლების დასაწყისში მინსკი გვაფრთხილებდა, რომ ეს უახლესი ფაზა, რომელსაც მან „ფულის მმართველი კაპიტალიზმი“ უწოდა, იყო ძალზე არასტაბილური და მიდრეკილი კრიზისების გაღრმავებისკენ.

ამ ეტაპის მთავარი მახასიათებელი იყო რეგულირებადი საბანკო სექტორის მნიშვნელობის შემცირება და „მართვადი ფულის“ ზრდა „ჩრდილოვან საბანკო სექტორში“. ამან გაამართლა „ახალი კურსის“ რეფორმების უარყოფა, რათა ბანკებს მისცემოდათ შესაძლებლობა „კონკურენცია“ გაეწიათ ბოროტგანმზრახველი თვითმარქვიებისათვის, რომლებმაც გადაიბირეს ბიზნესი.

მართვადი ფული მოიცავს საპენსიო ფონდებს, საპენსიო შემნახველ ანგარიშებს, საუნივერსიტეტო შემოწირულობებსა და კეთილდღეობის სუვერენულ ფონდებს. ბანკების მსგავსად, ეს ორგანიზაციებიც უშვებენ ვალდებულებებს (მაგალითად, საპენსიო ფონდებს ვალდებულებები აქვთ პენსიონერების წინაშე) და ყიდულობენ აქტივებს, როგორიცაა ბანკებისა და ჩრდილოვანი ბანკების ვალდებულებები, სამთავრობო ობლიგაციები და ბინის მესაკუთრეების იპოთეკური ვალი.

აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა კერძო სექტორის დავალიანება სწრაფად იზრდებოდა, ვალის სულ უფრო მზარდი წილი მოდიოდა მცირედ რეგულირებად და კონტროლირებად ჩრდილოვან საბანკო სისტემაზე. მეორე მხრივ, კომერციული ბანკები და შემნახველობა (შემნახველი დაწესებულებები) არა მხოლოდ იმყოფებოდნენ სამთავრობო ორგანოების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, არამედ მათი ვალდებულებებიც კი მნიშვნელოვანწილად გარანტირებული იყო მთავრობის მიერ.

ვალდებულებები, რომლებიც გამოშვებული იყო მართვადი ფულით, არ იყო მთავრობის მიერ გარანტირებული და შესაბამისად, რისკიანი იყო.

ზოგიერთი ორთოდოქსი ეკონომისტები თვლიდნენ, რომ აღნიშნული მარეგულირებელი გარემო სათანადო დონეზე იყო. გარანტიის მიხედვით მთავრობის პოტენციური დანაკარგები შეზღუდული იყო იმით, რომ ბანკები დაცულები იყვნენ მაღალრისკიანი აქტივებისგან, მაშინ, როცა მათ, რომლებიც ჩრდილოვანი ბანკების ვალდებულებებს ფლობდნენ, სტიმულები ჰქონდათ მოეხდინათ საკუთარი ქცევის დისციპლინირება.

თუმცა, ეს არგუმენტები მცდარი აღმოჩნდა. როდესაც იფეთქა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, მთავრობებმა გადაარჩინეს ზოგიერთი ჩრდილოვანი ბანკები, როგორიცაა AIG და გააფართოვეს ზოგიერთების მიმართ დეპოზიტების დაზღვევა. მთავრობები, ასევე, ახდენდნენ შესყიდვებს ან დაკრედიტებას რისკიანი აქტივების გირაოს სანაცვლოდ (მაგალითად, ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო აქტივებით). ჩვენ ახლა ვიცით, რომ არავინ სჯიდა ჩრდილოვან ბანკებს, რომლებიც ყიდულობდნენ აქტივებს, რომლის წარუმატებლობასაც თავად ელოდნენ. ასევე, რეგულირებადი კომერციული ბანკები ფინანსურად იყვნენ დაკავშირებულნი ჩრდილოვან ბანკებთან სხვადასხვა გზებით, ასე რომ, მათ მოუწიათ ზარალის დიდი წილის საკუთარ თავზე აღება ფულის მენეჯერების რისკიანი ქცევის გამო.

მრავალმა კომენტატორმა გლობალურ ფინანსურ კრიზისს „მინსკის კრიზისი“ ან „მინსკის მომენტი“ უწოდა, მოჰყავდათ რა მისი ცნობილი „ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოტეზა“ ($Financial\ instability\ hypothesis' - FIH$), რომელიც აღწერდა ეკონომიკის ტრანსფორმაციას „მდგრადიდან“ „მყიფე“ ფინანსურ სტრუქტურაში:

- კარგი პერიოდების მთელი სერია წაახალისებს ინვესტორების, ფინანსური ინსტიტუტებისა და მეწარმეების კიდევ უფრო მეტ რისკზე წასვლას;
- ისინი, როგორც წესი, მეტს სესხულობდნენ მოსალოდნელ შემოსავლებთან შედარებით და ნერგავდნენ ინოვაციებს უფრო რისკიანი ფინანსური ინსტრუმენტებით;
- გარდა ამისა, მარეგულირებელმა ორგანოებმა შეიძლება შეარბილონ წესები იმ რწმენით, რომ სიტუაციის გაუარესების რისკები შემცირდა.

მინსკისეული დახასიათება, როგორც ჩანს, შესანიშნავად აღწერს აშშ-ის ბოლო რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებას, რომლის დროსაც ფინანსური კრიზისები უფრო ხშირი და მკვეთრი გახდა. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, მაგალითად, 1980-იანი წლების შემნახველი და სასესხო კრიზისი, 1987 წლის საფონდო ბირჟის კრახი, განვითარებადი ქვეყნების სავალო კრიზისი (1980-იანი წლები, 1990-იანი წლების დასაწყისი), კაპიტალის გრძელვადიანი ბაზრებისა და $Enron$-ის ფიასკოები და $dotcom$-ის კოლაფსი.

თითოეულმა ამ კრიზისმა გამოიწვია აშშ-ის მთავრობის ინტერვენციები, რამაც თავიდან აიცილა ფინანსური ბაზრების ან ეკონომიკის სერიოზული სპირალისებური ვარდნა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, კრიზისებს მოჰყვა დროებითი რეცესიები. მართლაც, $dotcom$-ების კრიზისის შემდეგ გაჩნდა რწმენა, რომ ახალმა დიადმა მოდერაციამ მნიშვნელოვანი ვარდნა შეუძლებელი გახადა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მეტი რისკების აღებას, უფრო მეტი ფინანსური ინსტრუმენტისა და ბერკეტის გამოყენებას (ვალის გამოშვება ვალის საპირწონედ მცირედი საკუთარი კაპიტალით,

რომელითაც ხდებოდა მისი უზრუნველყოფა). ყველა ეს ქცევა შეესაბამებოდა მინსკისეულ ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოტეზას.

ბევრი ახალი პრაქტიკა, თუ არა უმეტესობა, არანაირ სოციალურ მიზანს არ ემსახურებოდა ფინანსური ინსტიტუტების უმაღლესი მენეჯმენტის დაჯილდოების გარდა. ამავდროულად, სტიმულირებისა და დაჯილდოების სტრუქტურა შეიცვალა ისე, რომ სარისკო ფსონები, ლევერიჯის მაღალი კოეფიციენტები და მოკლევადიანი მოგება ფირმის გრძელვადიან გადარჩენასა და ინვესტორების უკუგებაზე მაღლა იქნა დაყენებული.

ფულის მართვის კაპიტალიზმის ეტაპზე, ფულის ყველა მენეჯერს უნდა გადაეჭარბებინა საშუალო მოგებისთვის კლიენტების შესანარჩუნებლად, რაც, რა თქმა უნდა, სტატისტიკურად შეუძლებელია. თუმცა, ასეთი წახალისებებით და პრაქტიკულად, ყოველგვარი სამთავრობო რეგულირების ან ზედამხედველობის გარეშე, ამან ხელი შეუწყო არა მხოლოდ სარისკო ქცევას, არამედ ისეთ ქმედებებსაც, რომლებიც ეთიკურად კომპრომეტირებული იყო.

მინსკის აზრით, ამ მართული ფონდების ზრდას ხელი შეუწყო ადრინდელი საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მენეჯერული კაპიტალიზმის წარმატებამ: დეპრესიების არარსებობამ და შედარებით კარგმა ზრდამ, პოლიტიკასთან ერთად, რომელიც ასტიმულირებდა კერძო პენსიებს და საშუალებას აძლევდა ფინანსური სიმდიდრის ზრდას მთელ ომისშემდგომ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ფინანსურ კრიზისებს და ისპობოდა სიმდიდრის ნაწილი, ყოველი კრიზისი საკმარისად იზღუდებოდა, რის გამოც სიმდიდრის დიდი ნაწილი ნარჩუნდებოდა და შესაძლებელი იყო მისი სწრაფად განახლება.

მოქმედებდა „გრეშემის კანონი“ (*Gresham's law*) („ცუდი ფული გამოდევნის კარგს“) და ის ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლოთ სწარაფად შეემცირებინათ კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტები და დანაკარგების რეზერვები, შეეძლოთ გაეზარდათ წმინდა მოგება და, შესაბამისად, ჯილდოები მენეჯმენტისა და ინვესტორებისათვის. გარდა ამისა, მოხდა აქციების ფასების მაქსიმიზაციის, როგორც მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზნის მიღწევა, რომელიც, სავარაუდოდ, შეესაბამებოდა აქციონერებისა და ტოპმენეჯერების ინტერესებს, რომლებმაც მიიღეს აქციებზე ოპციონები ჯილდოს სახით. ეს, თავის მხრივ, ასტიმულირებდა საფონდო ბაზრებზე არსებულ შედეგებზე მოკლევადიან ფოკუსირებას, რაც მიღწეული იყო საბაზრო მანიპულაციების (როგორც კანონიერი, ისე უკანონო) მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ მართვის ქვეშ მყოფი ფინანსური სიმდიდრის აბსოლუტური მოცულობა აჭარბებდა სოციალურად სასარგებლო ინვესტიციებს. მაღალი უკუგების შესანარჩუნებლად, ფულის მენეჯერებსა და ბანკირებს უწევდათ მზარდი ეზოთერული ფინანსური სპეკულაციებისთვის მიმართვა ისეთ სფეროებში, რომლებიც არა თუ ემსახურებოდნენ საზოგადოებრივ მიზანს, არამედ აქტიურად უთხრიდნენ მას ძირს.

ამის მაგალითი იქნება სასაქონლო ბაზრებზე ინდექსებით სპეკულაციის ზრდა, რამაც გამოიწვია მსოფლიო ფასების ზრდა ენერგიასა და სურსათზე, რასაც მოჰყვა შიმშილი და შიმშილით სიკვდილიანობაც კი მთელ მსოფლიოში. *dotcom*-ების ბუშტი კიდევ ერთი მაგალითია. სპეკულანტებმა ინტერნეტკომპანიების აქციებზე ფასები გაზარდეს, რომლებსაც არ ჰქონდათ ბიზნესმოდელი ან მოსალოდნელი მოგება და გარდაუვალმა კრახმა გაანადგურა ასობით მილიარდი დოლარის სიმდიდრე.

კიდევ ერთი მაგალითია აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე ბუმი, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წლამდე დაიწყო და, საბოლოოდ, 2007 წელს დასრულდა, რამაც აამოქმედა გლობალური ფინანსური კრიზისი. ეს იყო აშშ-ის ისტორიაში უმსხვილესი

სპეკულაციური ბუმი და მას ხელმძღვანელობდნენ ფინანსური მენეჯერები, რომლებმაც შექმნეს რთული ფასიანი ქაღალდები და დერივატივები სპეკულაციური ფსონებისთვის. არაფერია უფრო სიმპტომატური სპეკულაციური ექსცესებისთვის, ვიდრე სპეციალურად უზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები (*special collateralised debt obligations – CDOs*), რომლებიც შექმნილი იყო საინვესტიციო ბანკების მიერ, რათა საშუალება მიეცათ ჰეჯფონდებისათვის ფსონი დაედოთ სახლის მფლობელებისა და სეკურიტიზირებული იპოთეკური კრედიტების მფლობელების წინააღმდეგ (Godley, Wray, 1999).

CDO-ები გამოისყიდება, თუ სახლის მფლობელები ვერ შეძლებენ თავიანთი იპოთეკის დაფარვას, ეს კი ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ნაყიდია ინვესტორების მიერ, გაიაფდება. ინვესტორები აგებენ, სახლის მფლობელები კარგავენ სახლს, ხოლო ჰეჯფონდები მოგებული რჩებიან! საინვესტიციო ბანკიც მოგებულია, რადგანაც მან მიიღო საკომისიო შემოსავალი ფასიანი ქაღალდებისა და *CDO* ინსტრუმენტის შექმნაში, რომელიც ჰეჯფონდს მოგების მიღების საშუალებას აძლევს, როცა სახლის მფლობელი და ინვესტორი სახლის მფლობელის იპოთეკაში აგებენ. სწორედ საინვესტიციო ბანკებისა და სხვა სპეკულანტების მხრიდან რისკიან ინსტრუმენტებზე ამ მოთხოვნამ, რომლებზეც მათ შეეძლოთ ფსონების დადება, წარმოქმნა „სუბსტანდარტული“ (*subprime*) და „*Alt A*“ კრედიტები, რომლებმაც, საბოლოოდ, მიგვიყვანა გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე (Godley, Wray, 1999).

მინსკი და უელენი (1996) უკავშირებენ მზარდ ეკონომიკურ დაუცველობას ფულის მართვის ფაზას (Minsky, 1996). უთანაბრობამ ზრდა დაიწყო უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენციასთან ერთად, ყოველ შემთხვევაში, ბუმისა და ვარდნის ციკლამდე, რომელიც დაიწყო პრეზიდენტ კლინტონის დროს. ათწლეულის (1996-2006) შემდეგ, რომელიც ხასიათდებოდა მაკროეკონომიკური სიტუაციის გარკვეული გაუმჯობესებით და უფრო დაბალი უმუშევრობით, ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებითა და სიღარიბის ზრდის შეწყვეტით, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია სიღარიბის ზრდასთან ერთად, ხოლო უთანასწორობამ რეკორდულ დონეებს მიაღწია.

ნაცვლად იმისა, რომ სრული დასაქმებისკენ ჰქონოდათ კურსი აღებული, მრავალმა მთავრობამ (მათ შორის, აშშ-ის მთავრობამაც) დაიწყო ინფლაციის მაღალი ტემპის საწინააღმდეგოდ უფრო მაღალი უმუშევრობის, როგორც უსაფრთხოების სარქველის გამოყენება, რამაც, ასევე, ხელი შეუწყო მუშაკების საბაზრო ძალაუფლების შემცირებას. გარდა ამისა, ეკონომისტებმა წამოაყენეს „მთავრობის ბიუჯეტის შეზღუდვის“ იდეა, რომელიც, მათი აზრით, ანალოგიურია იმისა, რასაც აწყდება შინამეურნეობა და ამტკიცებდნენ, რომ ფინანსური დისციპლინა აუცილებელი იყო მთავრობის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (Godley, Wray, 1999).

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ფინანსების მზარდმა მნიშვნელობამ გამოავლინა შემოსავლისა და სიმდიდრის ფინანსური სექტორისკენ გადაადგილების ტენდენცია. საპროცენტო შემოსავალმა, კაპიტალის მატებამ, ფინანსური მომსახურებისთვის დაწესებულმა საკომისიოებმა და ფინანსური აქტივებით სპეკულაციისთვის ჯილდოებმა გაზარდა შემოსავლის წილი, რომელიც არ უკავშირდება ხელფასის წყაროებს. როდესაც ხელფასის წილი შემცირდა და რეალური ხელფასები შეერთებულ შტატებში სტაგნაციას განიცდიდა, ამერიკელმა მუშაკებმა სესხის აღებას მიმართეს ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად. ამ მოვლენებმა ერთად

შეცვალა ომისშემდგომი ტენდენციები ისე, რომ შემოსავლისა და სიმდიდრის უთანასწორობამ აღმასვლა დაიწყო.

ნეოკლასიკოსი ეკონომისტები ხსნიან მზარდ უთანასწორობას ბაზრის თვალსაზრისით, რომელიც აჯილდოებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ზრდის მის მწარმოებლურობას („უნარებზე ორიენტირებული ტექნილური ცვლილება“). მზარდი უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული ახსნა არის ის, რომ „ცოდნის ეკონომიკის“ ზრდამ გაზარდა მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე პირებზე, განსაკუთრებით *STEM* (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა - *Science, Technology, Engineering and Math*) სექტორის მუშაკებზე.

ამავდროულად, ნაკლები განათლების მქონე ადამიანებზე მოთხოვნა დაეცა იმის გამო, რომ სამუშაოები შეიძლება ბევრად უფრო იაფად შესრულდეს განვითარებად სამყაროში, ან იმის გამო, რომ ავტომატიზაციამ ჩაანაცვლა ბევრი მათგანი. ბაზარი უგზავნის სიგნალებს ახალგაზრდებს, რომ მათ უნდა შეცვალონ კარიერული მიზნები და მოემზადონ ამ ახალი რეალობისთვის.

ისინი, რომლებიც არ მიდიან ცვლილებებზე, როგორც ჩანს, უბრალოდ გამოხატავენ თავიანთ პრეფერენციებს დაბალანაზღაურებად პროფესიებში მუშაობაზე, ალბათ იმიტომ, რომ მათ ეს სიამოვნებთ. ალტერნატიულად, მათ შეიძლება აღიარონ, რომ არ აქვთ უნარი განაახლონ თავიანთი უნარები *STEM* სექტორში საჭირო კვალიფიკაციამდე.

„თავისუფალი ბაზრის“ ამ სისტემის თვალთახედვით, გასაკვირი არ არის, რომ მეინსტრიმის ეკონომისტებმა ან ვერ შენიშნეს უთანასწორობის მნიშვნელოვანი ზრდა, ან თუ შენიშნეს, უარყვეს ის, როგორც პოლიტიკის ანალიზისათვის არაღიარებული პრობლემა. მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ზოგიერთმა წამყვანმა ეკონომისტმა, განსაკუთრებით ლარი სამერსმა და პოლ კრუგმანმა გამოხატეს შეშფოთება მზარდი უთანასწორობის გამო წარმოქმნილ პრობლემებზე. რაც მთავარია, ისინი ამტკიცებენ, რომ, რამდენადაც მაღალი შემოსავლის მქონე პირებს ხარჯვისკენ უფრო დაბალი ზღვრული მიდრეკილება აქვთ, ვიდრე სხვებს, შემოსავლების განაწილების ასეთი ცვლილება გამოიწვევს მოთხოვნის გარღვევას.

გარდა ამისა, ტექნოლოგიური ცვლილება, აგრეთვე, მოსახლეობის დაბერება, რომელმაც განაპირობა სამუშაო ძალაში მონაწილეობის კოეფიციენტის შემცირება, ასევე, ხასიათდება მოთხოვნის შემცირების ტენდენციით, რადგანაც პირებს, რომლებიც იმყოფებიან სამუშაო ძალის გარეთ, როგორც, წესი, ნაკლები შემოსავალი აქვთ. ამ მიზეზის გამო, ზოგიერი ეკონომისტი გამოხატავს შეშფოთებას, რომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, შესაძლოა, შევიდნენ სტაგნაციის ახალ ერაში, რომელშიც ზრდა ქრონიკულად იქნება შეზღუდული. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ამართლებს ფისკალური პოლიტიკის უფრო ფართო გამოყენებას მოთხოვნის გარღვევის შესამცირებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მეინსტრიმული არგუმენტები მთლად უშეცდომო არაა, ისინი არ აღიარებენ პრობლემების მასშტაბს. ზუსტად ასევე, მათ ვერ შეძლეს მომავალი გლობალური ფინანსური კრიზისის განჭვრეტა, მათ ვერ დაინახეს ფუნდამენტური პრობლემები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ჩვენი ეკონომიკა. ამგვარად, მათ არ შეუძლიათ პოლიტიკის ყოვლისმომცველი ნაკრების ფორმულირება მის გადასაჭრელად. ვიდრე ყურადღებას მივაქცევთ მომავლის მაკროეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის შემუშავების თემას, ჯერ განვიხილოთ კიდევ ერთი პრობლემური სფერო, რომელიც ზოგიერთმა ეკონომისტმა სწორად გაიგო, მაგრამ

ეკონომისტების უმეტესობამ ვერ შეძლო მისი განჭვრეტა, კერძოდ, ევროზონაში არსებული პრობლემები.

მეინსტრიმის მაკროეკონომიკის კონცეპტუალური, თეორიული და პოლიტიკური ნაკლოვანებები გამოვლინდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და ევროპულ მონეტარულ კავშირში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე.

თანამედროვე მონეტარულმა თეორიამ წარმოადგინა მკაცრი კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გავიგოთ არასასურველი ეკონომიკური შედეგები. ამან გარკვეული ყურადღება მიიქცია წამყვანი მეინსტრიმული მოაზროვნეების, მათ შორის პოლ კრუგმანის მხრიდან, მაგრამ მას, ასევე, მოჰყვა მტრული დამოკიდებულება მთელი რიგი აკადემიური ეკონომისტების რიგებიდან, რომლებიც სხვადასხვა აზრის სკოლას ეკუთვნიან, რაც გულისხმობს, რომ *MMT* დისციპლინის ფარგლებში გარკვეულ მიზიდულობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიტჩელი უ., რეი ლ. რენდალ, უოტსი მ., (2025), მაკროეკონომიკა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2025. გვ. 736-751.

2. Bernanke, B. (2004) “The Great Moderation”, Board of Governors of the US Federal Reserve System, at the meeting of the Eastern Economic Association, Washington, DC, 20 February.

3. Bezemer, D.J. (2009) “No One Saw this Coming. Understanding Financial Crisis Through Accounting Models”, Research Report, Research Institute SOM (Systems, Organisations and Management), the University of Groningen, Netherlands.

4. Black, W. (2005) The Best Way to Rob a Bank is to Own One: How Corporate Executives and Politicians Looted the S&L Industry, Austin, TX: University of Texas Press.

5. FCIC (Financial Crisis Inquiry Commission) (2011*) Financial Crisis Inquiry Report: Final Report of the National Commission on the Causes of the Financial and Economic Crisis in the United States.*

6. Godley, W. (1999) “Seven Unsustainable Processes: Medium-term Prospects and Policies for the United States and the World”, Strategic Analysis, Levy Economics Institute of Bard College, January. Available at: http://www.levyinstitute. org/publications/seven-unsustainable-processes, accessed 10 July 2017.

7. Godley, W. and Wray, L.R. (1999) “Can Goldilocks Survive?”, Policy Note, 1999/4, Levy Economics Institute of Bard College, April. Available at: http://www.levyinstitute.org/publications/can-goldilocks-survive, accessed 10 July 2017.

8. Mitchell, W.F. (2015) Eurozone Dystopia: Groupthink and Denial on a Grand Scale, Cheltenham: Edward Elgar.

9. Minsky, H.P. (1996) “Uncertainty and the Institutional Structure of Capitalist Economies”, Working Paper No. 155, Levy Economics Institute of Bard College, April.

10. Minsky, H.P. and Whalen, C.J. (1996) “Economic Insecurity and the Institutional Prerequisites for Successful Capitalism”, Working Paper No. 165, Levy Economics Institute of Bard College, May. Available at: http://www.levyinstitute.org/pubs/wp165.pdf, accessed 10 July 2017.

11. Tcherneva, P.R. (2017) “Inequality Update: Who Gains When Income Grows?”, Policy Note 2017/1, Levy Economics Institute of Bard College, April. Available at: http://www.levyinstitute.org/publications/inequality-update-whogains-when-income-grows, accessed 10 July 2018.

12. Wray, L.R. (2009) “The Rise and Fall of Money Manager Capitalism: A Minskian Approach”, Cambridge Journal of Economics, 33(4), 807–28.

Malkhaz Chikobava
Nazira Kakulia
Tea Lazarashvili

WHY MAINSTREAM MACROECONOMICS FAILED TO PREDICT THE GLOBAL FINANCIAL CRISIS

Summary

The global financial and economic crisis of 2007–2009 is widely recognized as the worst global economic crisis since the Great Depression of the 1930s; in both cases, the economic downturn was accompanied by a severe financial crisis, both crises affected large parts of the world, and in both cases, large parts of the world recovered from it. Most notably, the Soviet Union was largely unaffected by the depression of the 1930s, and the global financial crisis did not have a strong impact on China's economic growth in the late 2000s.

Before the Great Depression, some economists, notably Veblen (1919), had warned of the coming crisis. Orthodox economists, including Irving Fisher, disagreed. Even after the Great Depression, orthodox economists had little useful policy advice. The English economist Arthur Pigou argued that wage cuts would reduce unemployment, while Andrew Mellon, a U.S. banker and Treasury Secretary, welcomed "liquidation" as the path to recovery. Mainstream economists failed to foresee the impending global financial crisis.

In this paper, we examine the reasons why most mainstream economists were surprised when the world was hit by the global financial crisis. In retrospect, it should come as no surprise that few mainstream economists predicted the crisis. Their approach to cycles is based on a fundamental misunderstanding of the dynamics of the capitalist economy. At best, their theory is applicable to a world where money is neutral and where the internal dynamics of the economic system push it towards equilibrium.

Key terms: cycles, crisis, orthodox and heterodox paradigms, central bank, government, treasury, full employment.

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ანოტაცია. *სავალო ურთიერთობები, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფორმა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია საგარეო ვალის არსი, წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები, მისი ფორმები, სტრუქტურა, სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება და ფუნქციები. სათანადო ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალების საფუძველზე მასში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვალის დინამიკა, სტრუქტურა და მისი სიმძიმის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მაჩვენებლები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საგარეო ვალის მართვისა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების პრობლემების კვლევაზე, რომელთა შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ქვეყნის სავალუტო რეზერვების ზრდას, საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.*

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვალი, საპროცენტო დანარიცხები, შემოსავლები, ხარჯები, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალის სიმძიმე, ინვესტორები, საინვესტიციო პროექტები, ფინანსური უსაფრთხოება.*

შესავალი

ქვეყნებს შორის სავალო ურთიერთობები წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ფორმას, რომელშიც იგულისხმება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების საერთო დავალიანება უცხოელი კრედიტორების წინაშე. ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მისი **სახელმწიფო საგარეო ვალი,** რომელშიც იგულისხმება დროის გარკვეული მომენტისთვის სახელმწიფო სექტორის მიერ აღებული ყველა სესხი მასზე დარიცხული საპროცენტო გადასახადებით, რომელიც მოცემული მომენტისთვის არ არის დაფარული. სახელმწიფო ვალი შედგება ორი ნაწილისგან: **შიდა და საგარეო ვალისგან. შიდა ვალში** იგულისხმება მთავრობის მიერ ქვეყნის მოქალაქეებისგან აღებული ვალი, ხოლო **საგარეო ვალში** – სხვა ქვეყნების მთავრობებისა და საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისგან აღებული სესხი, რომელიც გაიანგარიშება უცხოურ ვალუტაში.

გარდა ამისა, ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მისი **კორპორაციული საგარეო ვალი,** რომელშიც იგულისხმება კერძო ან ეროვნული საწარმოების, ფირმებისა და კომპანიების უცხოური დავალიანება და **კერძო საგარეო ვალი,** რომელიც წარმოიქმნება მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნებში გაფორმებული კრედიტების შემთხვევაში.

მოცემული ქვეყნის საგარეო ვალის ფორმირებაზე გავლენას არ ახდენს მისდამი სხვა ქვეყნის საგარეო დავალიანება. ეს დავალიანების ორი განსხვავებული ცნებაა, რომლებსაც ერთმანეთთან არანაირი ურთიერთკავშირი არ გააჩნიათ. სახელმწიფო და კორპორაციულ საგარეო ვალს შორის კი არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც იმით გამოიხატება, რომ ყველა მსხვილი კომპანიის აქციონერს, რომელთაც წვდომა აქვთ კაპიტალის მსოფლიო ბაზართან, წარმოადგენს სახელმწიფო. ამიტომ აღნიშნული კომპანიების გაკოტრების შემთხვევაში მოცემული ქვეყნის მთავრობას ეკისრება ვალდებულება უცხოელი კრედიტორების წინაშე.

ქვეყნის საგარეო ვალის წარმოქმნისა და ზრდის გამომწვევ მიზეზთა შორის, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს, სამთავრობო ხარჯების ზრდის გამო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის წარმოშობა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საომარ მოქმედებებთან, ეკონომიკურ კრიზისებთან, ეკონომიკურ შოკებსა და დაქვეითებასთან.

არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის აღმოფხვრის შემდეგი გზები: გადასახადების ზრდა, დამატებითი ფულის ნიშნების დაბეჭდვა და მიმოქცევაში გაშვება, საშინაო და საგარეო ვალის აღება. ამასთან, ამა თუ იმ გზის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ გადასახადების გადიდება ამცირებს მეწარმეობის სტიმულს, იწვევს მოსახლეობის, ფირმებისა და კომპანიების უკმაყოფილებას, ხოლო დამატებითი ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვება კი ზრდის ეკონომიკაზე ინფლაციურ წნეხს, ამიტომ პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფოები იღებენ საშინაო და საგარეო სესხებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალი.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის აცილების მიზნით სახელმწიფოები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ საშინაო ვალის აღებას, რამდენადაც იგი ქვეყნისთვის შედარებით ნაკლები ტვირთია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, საშინაო სესხების რეფინანსირების, გადასახადების გადიდებისა და მიმოქცევაში დამატებითი ფულადი ნიშნების გაშვების გზით დაფაროს საკუთარი ფინანსური ვალდებულებები და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ამასთან, საშინაო ვალი არავითარ ტვირთს არ

აკისრებს ქვეყნის მომავალ თაობებს, რამდენადაც იგი გამორიცხავს სავალო ტვირთის სიმძიმის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების შესაძლებლობას, თუმცა ეს სრულებითაც არ ამართლებს საშინაო ვალის დიდი ზომით აღებას, რამდენადაც იგი ქვეყანას რეალურად მაინც უქმნის ბევრ არასასურველ პრობლემას.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო შიდა სახსრების მობილიზებით ვერ ახერხებს ქვეყნის წინაშე მდგარი მაკროეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, იგი იძულებულია აიღოს საგარეო სესხები როგორც საზღვარგარეთის ცალკეული სახელმწიფოებიდან, პირველ რიგში კი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან, ისე საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციებიდან.

საგარეო ვალი ნებისმიერი ქვეყნისთვის სასარგებლოცაა და საშიშიც. იგი დიდი როლს ასრულებს ქვეყნის მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმირების, ეკონომიკური კრიზისებისა და სხვა არასასურველი მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური რყევებისა და შოკების დაძლევის პროცესში. საგარეო სესხები, მათი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში, მიიჩნევა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. იმავდროულად საგარეო ვალს, მისი არამიზნობრივი, არაეფექტიანი გამოყენებისა და არარაციონალური მართვის შედეგად, შეუძლია სერიოზული ზიანის მოტანაც, რამდენადაც იგი ქვეყნის ეკონომიკისთვის წარმოადგენს სერიოზულ დატვირთვას.

საგარეო ურთიერთობების კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ვალის სიმძიმის განსაზღვრას, რომელიც, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე, ანუ იმაზე თუ როგორია მთლიან ვალში საგარეო და საშინაო ვალის თანაფარდობა. ამ დროს ყურადსაღებია ის გარემოება, რომ, ჯერ-ერთი, მათი მომსახურების საპროცენტო დანარიცხები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია და, მეორეც, საგარეო ვალის აღება და გასტუმრება ხდება მხოლოდ და მხოლოდ უცხოურ ვალუტაში.

საგარეო ვალის სიმძიმე დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი აბსოლუტური მოცულობის მაჩვენებელზე, არამედ საგარეო ვალისა და ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდის /მშპ-ის/ თანაფარდობაზე. როცა მშპ-ის ზრდა წინ უსწრებს საგარეო ვალის ზრდას, მაშინ ამ უკანასკნელის სიმძიმე შედარებით მცირეა და – პირიქით. საგარეო ვალის სიმძიმის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი მომსახურების საპროცენტო დანარიცხების სიდიდე. საგარეო ვალის სიმძიმე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, აგრეთვე, მის მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებასა და დროულ გასტუმრებაზე.

* * *

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე საქართველოს საგარეო ვალი არ ჰქონია, იგი მას მემკვიდრეობით არ მიუღია. ჩვენი ქვეყანა შედიოდა რა ერთიანი მონსტრი სახელმწიფო წარმონაქმნის - საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მისი დაშლის შემდეგ მთელი სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა იკისრა რუსეთის ფედერაციამ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკური კავშირების მოშლამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ვარდნა და მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტისა და საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს სისტემატური ზრდის

დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის შიდა სახსრების მობილიზებასთან ერთად, დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც. საწყის ეტაპზე საქართველოს ამ ვალების გასტუმრების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამას ემატებოდა საგარეო ვალის მომსახურების საპროცენტო დანარიცხების თანხებიც, რის გამოც ქვეყნის საგარეო ვალი სწრაფად იზრდებოდა. საგარეო ვალის მაჩვენებლის ზრდა შემდგომშიაც ხორციელდებოდა, რაც განპირობებული იყო, ჯერ ერთი, რუსეთ-საქართველოს ომისა და, მეორეც, პანდემიის ფონზე შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევით. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 25,2 მლრდ აშშ დოლარი (70,7 მლრდ ლარი), ანუ ქვეყნის მშპ-ის 74,5% შეადგინა [13].

როგორია სადღეისოდ საქართველოს საგარეო ვალის სტრუქტურა? ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში სახელმწიფო საგარეო ვალმა 10,2 მლრდ აშშ დოლარი (30,4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ის 32,1 პროცენტია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 8,4 მლრდ აშშ დოლარი (23,5 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ის 24,8%; ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 811,5 მლნ აშშ დოლარი (2,3 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ის 2,4%, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 439,6 მლნ აშშ დოლარია (1,2 მლრდ ლარი), მშპ-ის 1,3% და 1,2 მლრდ აშშ დოლარი (3,5 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ის 3,6%.

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 8,3 მლრდ აშშ დოლარი (23,4 მლრდ ლარი), მშპ-ის 24,7%; სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 5,0 მლრდ აშშ დოლარი (14,0 მლრდ ლარი), მშპ-ის 14,8% და კომპანიათაშორისო ვალმა – 2,7 მლრდ აშშ დოლარი (7,5 მლრდ ლარი), ანუ მშპ-ის 7,9%. მთლიანი საგარეო ვალის 88,6% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში [13].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ეროვნული ბანკის ვალდებულებებიდან (811,6 მლნ აშშ დოლარი) 453,2 მლნ აშშ დოლარი არის განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებით (ნსუ) – სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი საერთაშორისო სარეზერვო აქტივით, რომელიც ნაწილდება სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებზე მათი კვოტის პროპორციულად, რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად მისი გადახდის ვალდებულება არ დადგება მანამ, სანამ ქვეყანა იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი.

ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან ნაწილს (34,1%) მისი სახელმწიფო საგარეო ვალი წარმოადგენს. ამასთანავე ამ ვალის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ მისი აბსოლუტური მონაცემებით. იგი არის სასესხო კაპიტალის ის ნაწილი, რომელსაც თვითონ სახელმწიფო იღებს უცხოელი კრედიტორებისგან და რომლის მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსებასა და დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებაზე. ამჟამად ცალკეული კრედიტორების მიხედვით ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1-ელი ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 1

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით [12]

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ვალის ნაშთი /ათასი/		
		კრედიტის ვალუტაში	აშშ დოლარში	ლარში
სახელმწიფო საგარეო ვალი			**8.589.061**	**24.107.775**
მთავრობის საგარეო ვალი			8.237.596	23.121.285
მრავალმხრივი კრედიტორები:			**6.255.795**	**17.558.764**
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	USD	404.770	404.770	1.136.108
	SDR	271.159	353.628	992.562
	EUR	1. 447.675	1.511.528	4.242.556
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	USD	78.131	78.131	219.297
	EUR	127.897	133.538	374.815
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	EUR	14.000	14.618	41.028
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	206.622	215.735	605.526
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	EUR	1.033.716	1.079.311	3.029.409
ევროკავშირი (EU)	EUR	133.000	138.866	389.770
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	USD	927.839	927.839	2.604.258
	EUR	678.970	708.918	1.989.791
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	SDR	364.140	474.888	1.332.915
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	18.026	23.508	65.982
	EUR	11.089	11.579	32.499
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	SDR	134.750	175.732	493.245
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	EUR	3.072	3.208	9.004
ორმხრივი კრედიტორები:			**1.481.802**	**4.159.121**
სომხეთი	USD	1.016	1.016	2.851
აზერბაიჯანი	USD	1.151	1.151	3.231
ავსტრია	EUR	9.950	10.389	29.159
საფრანგეთი	EUR	733.724	766.087	2.150.253
გერმანია	EUR	534.101	557.659	1.565.237
ირანი	USD	840	840	2.357
იაპონია	JPY	18.588.445	117.810	330.670
ყაზახეთი	USD	1.252	1.252	3.515
ქუვეითი	RWD	2.762	8.966	25.165
ნიდერლანდების სამეფო	EUR	24	25	69
რუსეთი	USD	7.870	7.870	22.088
თურქეთი	USD	2.242	2.242	6.292
თურქმენეთი	USD	211	211	592
ამერიკის შეერთებული შტატები	USD	6.285	6.285	17.640
ფასიანი ქაღალდები			**500.000**	**1.403.400**
ევრობონდი	USD	500.000	500.000	1.344.400
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი			**351.464**	**986.490**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	SDR	269.500	351.464	986.490

მონაცემებით დასტურდება, რომ სადღეისოდ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კრედიტორები არიან საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები (მრავალმხრივი კრედიტორები), რომელთა წილი საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალში შეადგენს 72,8%-ს. აქედან ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან მსოფლიო ბანკი (IBRD და IDA) – 26,3%, აზიის განვითარების ბანკი – 24,2% და ევროპის საინვესტიციო ბანკი – 17,3%. ორმხრივი კრედიტორების ხვედრითი წილი კი ქვეყნის მთლიან სახელმწიფო საგარეო ვალში უდრის 17,2%-ს. მათგან ყველაზე მსხვილი კრედიტორი ქვეყნებია: საფრანგეთი – 766,1 მლნ აშშ დოლარი, გერმანია – 557,7 მლნ აშშ დოლარი და იაპონია – 117,8 მლნ აშშ დოლარი, რომელთა წილი ქვეყნის მთლიან სახელმწიფო საგარეო ვალში შეადგენს მხოლოდ 16,8%-ს, ორმხრივი კრედიტორების ვალში კი – 97,3%-ს.

საგარეო ვალის სიმძიმის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა შორის მთავარია არა მისი აბსოლუტური მოცულობის მაჩვენებელი, არამედ ის თუ როგორია მისი და ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა თანაფარდობა. სწორედ იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არის, რომ საგარეო ვალის ზრდა ზოგ ქვეყანაში იწვევს განვითარებას, ზოგში კი – ფინანსური მდგომარეობის დამძიმებასა და დეფოლტის (გაკოტრების) საშიშროებას. სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს ფინანსურ სამყაროში სწრაფად გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველად ბოლო ასი წლის განმავლობაში, აშშ-ში სახელმწიფო ვალმა გადააჭარბა 19,5 ტრლნ, ხოლო ესპანეთში – 1,1 ტრლნ აშშ დოლარს, რამაც შეადგინა მშპ-ის 100%-ზე მეტი [15]. თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში ამ ამბავს დიდი პანიკა არ მოჰყოლია, რამდენადაც მათთან სიტუაცია „კონტროლს ექვემდებარება“ და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გარანტიას იძლევა ასეთი მდგომარეობის უახლოეს პერიოდში გამოსასწორებლად.

მეორე მხრივ, არის ქვეყნები, სადაც ფორმალური ზრდის მაჩვენებლები უკეთესია, მაგრამ ფაქტობრივად ისინი იმყოფებიან დეფოლტის ზღვარზე. ამის საუკეთესო მაგალითია ვენესუელა, სადაც საგარეო ვალი მშპ-ის 40%, ხოლო არგენტინაში – 50%-ია. უკეთესი მდგომარეობა არც რუსეთშია (16%). ასეთი მდგომარეობა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული. აქ მთავარია ეკონომიკის რეალურ ზრდასთან ერთად არა მხოლოდ აბსოლუტური და მშპ-თან მისი ფარდობის მაჩვენებელი, არამედ ვალის მომსახურების ღირებულებაც. აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ვალის მომსახურების განაკვეთი ძალზე დაბალია და არ აღემატება 0,25–0,5%-ს, რაც შეადგენს მშპ-ის მხოლოდ 1,2%-ს. სხვა ქვეყნებში კი იგი გაცილებით მაღალია, რის გამოც ვალის მომსახურება უფრო ძვირი ჯდება. ამას ემატება ისიც, რომ ბევრ მათგანს სანქციების გამო აღარ აქვთ წვდომა კაპიტალის საერთაშორისო ბაზართან, რაც საგრძნობლად აუარესებს მათ მდგომარეობას [15].

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში?

მონაცემებით დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში როგორც ქვეყნის რეალური ეკონომიკური ზრდის, ისე მასთან მიმართებით სახელმწიფო მთლიანი და საგარეო ვალის პროცენტული თანაფარდობის მაჩვენებლები გადიდების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, დროის ცალკეული პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულია. 2010-2019 წწ. მთლიანი სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებით 31,9%-დან 40,4%-მდე, ხოლო საგარეო ვალი კი 26,7%-დან 32%-მდე ამაღლდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპის /6,2%-დან 2,9%-მდე/ შენელებით. შემდგომში პანდემიის ფონზე ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო საგრძნობლად გაუარესდა და 2020 წელს მთლიანი ვალის მაჩვენებელი 60,2%-მდე, ხოლო საგარეო ვალისა კი 47,6%-მდე გაიზარდა. მომდევნო წლებში კი ეკონომიკური ზრდის კვალობაზე, ვალის

მაჩვენებლები უმჯობესდება და 2024 წელს მშპ-თან მიმართებით სახელმწიფოს მთლიანი და საგარეო ვალის მაჩვენებლებმა შესაბამისად 38,2% და 32,1% შეადგინა.

ქვეყნის საგარეო ვალის სიმძიმის შეფასებისას, გარდა რეალური ეკონომიკური ზრდისა, ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის ზრდისა და მათი თანაფარდობის მაჩვენებლები.

ამჟამად საქართველოს აქვს ქრონიკული დეფიციტური ბიჯეტი, რის გამოც საგარეო ვალის თანაფარდობა ბიუჯეტის როგორც შემოსავლებთან, ისე მის ხარჯებთან მიმართებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2024 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 112,8% და 134,4%-ს. ეს კი საბოლოო ჯამში აისახება საგარეო ვალის მომსახურების თანხისა და ბიუჯეტის ხარჯებში მისი წილის ზრდით.

ნეგატიურ ხასიათს ატარებს აგრეთვე ქვეყნის საგარეო ვალსა და საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელთა შორის დამოკიდებულებაც. საქმე იმაშია, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ზრდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება, რის გამოც სადღეისოდ მისი წილი მთლიან ბრუნვაში შეადგენს 72%-ს, ექსპორტისა კი – მხოლოდ 28%-ს. ქვეყანაში ძალზე დაბალია ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელიც სადღეისოდ მხოლოდ 38,9%-ია. ამასთანავე ძალზე მაღალია ექსპორტთან საგარეო ვალის ფარდობის მაჩვენებელი, რომელიც ამჟამად უდრის 131%-ს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის სავალუტო რეზერვების დაგროვებაზე, დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებაზე, საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

როცა ვლაპარაკობთ საგარეო სესხების მოზიდვასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო შედის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანათა ჯგუფში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იგი თანდათან შემცირდება. ისიც აღსანიშნავია, რომ საგარეო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად იზრდება და იგი საშუალოვადიან პერიოდშიც შენარჩუნდება, რის გამოც მომავალში საგარეო დაფინანსების ჩანაცვლება ეტაპობრივად უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

სადღეისოდ, საქართველოს მთავრობის ვალის პორტფელი შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: მთლიანი ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილი უდრიდა 72%-ს, ხოლო საშინაო ვალისა – 28%-ს. საგარეო ვალის დონორული დაფინანსება არის 93%, ევრობონდი – 6%, ხოლო ისტორიული ვალი – 1%. საშინაო ვალის პორტფელში სახაზინო ვალდებულებების წილია – 93%, სახაზინო ობლიგაციებისა – 3% და სახელმწიფო ობლიგაციების – 4% [12].

საგარეო ვალის პორტფელის სავალუტო კომპოზიცია ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: ვალის 65,1% დენომინირებულია ევროში, 29% – აშშ დოლარში, ხოლო დანარჩენი კი – სხვა ქვეყნების ვალუტაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ევროში დენომინირებული ვალის წილი იზრდება, ხოლო აშშ დოლარის კი – მცირდება. რაც შეეხება საგარეო ვალის პორტფელის კომპოზიციას პროცენტის ტიპის მიხედვით, ვალის 50,2% მოდის ფიქსირებულ განაკვეთზე, ხოლო დაახლოებით ამდენივე (49,8%) – ცვლად განაკვეთზე. საერთოდ კი, საგარეო ვალში ფიქსირებული განაკვეთის წილი მცირდება, ხოლო ცვლადი განაკვეთისა კი – იზრდება [12]. რა თქმა უნდა, საგარეო

ვალის პორტფელში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავალუტო ტვირთის სიმძიმეზე, ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მის ფინანსურ უსაფრთხოებაზე.

2021-22 წლებში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა ციფრს გადააჭარბა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი პანდემიის 9,3%-დან 2022 წლის ბოლოს 3%-მდე შემცირდა, ხოლო სამთავრობო ვალი კი პანდემიამდელ ნიშნულს, 40,4%-ს ჩამოცდა. ვალის დონის ასეთი შემცირება ძირითადად მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და გაცვლითი კურსის პოზიტიურმა დინამიკამ განაპირობა. ამასთან, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც საგარეო ვალს მნიშვნელოვნად მოწყვლადს ხდის სავალუტო კურსის მერყეობის მიმართ, ამიტომ საშუალოვადიანი პერიოდის მთავარ ამოცანად ვალის პორტფელის შემდგომი გაჯანსაღება და სავალუტო რისკების შემცირება რჩება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია მისი მართვის გაუმჯობესებასა და სრულყოფასთან. საგარეო ვალის მართვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის მდგრადობის შენარჩუნება;
2. ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ჯანსაღ დონეზე შენარჩუნება;
3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა;
4. ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია;
5. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება [12].

1. ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნება. საქართველო ისტორიულად დაბალი ვალის მაჩვენებლის მქონე ქვეყანას წარმოადგენს. მაგრამ კოვიდ-პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკისა და ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში გაზრდილი დანახარჯების გამო მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობა 2020 წელს გასცდა კანონმდებლობით განსაზღვრულ 60 პროცენტიან მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, ვალის მართვის მთავარი მიზანი გახდა მისი მაჩვენებლის კრიზისამდელ დონეზე დაბრუნება.

2021 წელს ტურიზმის კრიზისამდელი დონის აღდგენისა და ეკონომიკის გაჯანსაღების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, 2020-24 წწ. მთავრობის მთლიანი ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 60,2%-დან 36,0%-მდე შემცირდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2025-29 წწ. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიზნობრივ მაჩვენებლად განსაზღვრულია ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის 35,5%-დან 33,5%-ის ფარგლებში შენარჩუნება [12].

2. **მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ჯანსაღ დონეზე შენარჩუნება.** საქართველოს მთავრობის ვალში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი ისტორიულად მაღალია. 2021 წლის ბოლოს მან 80,4% შეადგინა. მიუხედავად ბოლო წლებში მისი შემცირებისა, ამჟამად იგი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია (72,1%) და მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონისა და სხვა შესადარისი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. სწორედ ამიტომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის შემცირება და მისი მდგრადობის შენარჩუნება საგარეო ვალის მართვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რის გამოც საშუალოვადიან

პერიოდში აღნიშნული მიმართულების ამოცანად განსაზღვრულია მთავრობის ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალუტის წილის 65%-მდე შემცირება.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის კრედიტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი – საგარეო ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას საკმაოდ მაღალი აქვს. თუმცა ვალის პორტფელის დიდი ნაწილის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირების გამო ეს მდგომარეობა მათთვის საგანგაშოს არ წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მაღალი მაჩვენებელი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე და მნიშვნელოვნად აფერხებს მისი საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შესაძლებლობასა და ვალის მართვის პოლიტიკის ეფექტიანობას.

3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა. საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნებისგან საქართველო იღებს ორი სახის სესხს: პირველია საინვესტიციო პროექტებზე მიბმული სესხები, მეორე კი – პროგრამული, ანუ რეფორმების დასაფინანსებლად აღებული საბიუჯეტო სახსრები. აღნიშნული მიმართულებით ვალის მართვის სტრატეგიული მიზანია მხოლოდ მაღალი ეფექტიანობის მქონე სესხებზე აქცენტირება. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სესხის აღება უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- **საინვესტიციო სესხის აღება უნდა მოხდეს მხოლოდ დიდი და კომპლექსური პროექტებისთვის**, რომელთა შესასრულებლად საჭიროა პარტნიორების მხარდაჭერა და სათანადო ექსპერტიზა. ამასთან მთავრობამ არ უნდა გააკეთოს განაცხადი საინვესტიციო სესხზე იმ პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც შესაძლოა ქვეყნის ბიუჯეტის რესურსებით.
- **საინვესტიციო სესხის ფარგლებში ყოველი პროექტისთვის უნდა არსებობდეს მისი ეფექტიანობის დადებითი შეფასება.** სესხის აღების განაცხადი უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმ პროექტებზე, რომელთაც გავლილი აქვთ წინასწარი შეფასების ეტაპი და მიღებული აქვთ დადებითი გადაწყვეტილება. ამასთან სესხის ამღებ სამინისტროს ან მუნიციპალიტეტს დანერგილი უნდა ჰქონდეს თავის უწყებაში სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სისტემა.
- **სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საწარმო გამოხატავს სახელმწიფო საწარმოების მიმდინარე რეფორმისადმი სათანადო მზაობას.** აქ იგულისხმება, ჯერ ერთი, მზაობა მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისი კორპორაციული მმართველობის დასანერგად და, მეორე, სსფ-თან შეთანხმებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით სახელმწიფო საწარმოს რეფორმის განსახორციელებლად.
- **სრულად კორპორატიზებულ საწარმოებზე მთავრობამ უნდა შეწყვიტოს გადასესხების პრაქტიკა.** ამით იგი წაახალისებს კომპანიებს, გავიდნენ კერძო კაპიტალის ბაზარზე და თვითონ მოპოვებული რესურსებით განახორციელონ კომპანიაში ინვესტიციები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაში.

4. **მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯის და რისკის ოპტიმიზაცია.** ეს მიმართულება მოიცავს მთლიანი ვალის პორტფელისთვის რეფინანსეირების რისკის მართვის პრობლემებსა და საგარეო სესხის აღების დროს გასათვალისწინებელ

ფაქტორებს. რეფინანსირების საშუალოვადიან პერიოდში რისკის სამართავად მნიშვნელოვანია, რომ:

- მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა არ ჩამოცდეს 6,5 წელს, ხოლო საშინაო ვალის – 3 წელს;
- ერთ წელიწადში დასაფარი ვალის წილი არ აღემატებოდეს მთლიანი ვალის პორტფელის 15,0%-ს [12].

საგარეო სესხების შერჩევისას ეს მიმართულება გულისხმობს სესხზე გასაწევი ხარჯებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ოპტიმიზაციას, რა დროსაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

- **გრანტის კომპონენტი.** იგი განსაზღვრავს პარტნიორებისგან შეღავათიანი პირობებით მიღებულ სესხსა და საბაზრო პირობებით ალტერნატიულ სესხზე მომსახურების ღირებულებებს შორის სხვაობას. რაც უფრო მაღალია გრანტი, მით უფრო შეღავათიანია სესხი.
- **სესხის ვალუტა.** ევროკავშირთან ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოებიდან გამომდინარე, ევროში სესხის წილის გადიდება სულ უფრო მეტად შეამცირებს გაცვლითი კურსის რისკს, რამდენადაც გრძელვადიან პერიოდში ევროს გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით ხასიათდება უფრო მეტი სტაბილურობით, ვიდრე აშშ დოლარი. ამასთანავე ოპტიმალური სავალუტო კომპოზიციის განსაზღვრის მიზნით სამომავლოდ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სხვა ვალუტებშიც სესხის პორტფელის დივერსიფიცირებას.
- **საპროცენტო განაკვეთის ტიპი.** ფიქსირებული თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შერჩევას საფუძვლად უნდა დაედოს სესხის მომსახურების ხარჯისა და რეფინანსირების რისკის ოპტიმალურობა. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ვალის წილი არ იყოს 50%-ზე ნაკლები [12].

5. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება** წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის ფუნდამენტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტორთა მოზიდვასა და ვალის პორტფელის ლარიზაციის ზრდაში. აღნიშნული მიმართულებით ვალის მართვის სტრატეგიული მიზნებია ბაზრის ლიკვიდობის გადიდება და ინვესტორთა მოზიდვის არეალის გაფართოება, რისთვისაც საჭიროა ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა, ძლიერი ბენჩმარკების შექმნა, ვალდებულებების მართვის ოპერაციების (გამოსყიდვა და გაცვლა) აქტიური გამოყენება, მეორეული ბაზრის განვითარება, არარეზიდენტი ინვესტორების ზრდა და საცალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა-განვითარება.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის განხილული მიმართულებების პრაქტიკულ ცხოვრებაში წარმატებული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების მოზიდვას, მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე საქართველოს საგარეო ვალი არ ჰქონია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა იკისრა რუსეთის ფედერაციამ. შემდგომში კი ეკონომიკური კავშირების

მოშლამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ვარდნა და მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზებასთან ერთად დაიწყო საგარეო სესხების გამოყენებაც.

საწყის ეტაპზე ქვეყანას ამ ვალების გასტუმრების შესაძლებლობა არ ჰქონდა, რის გამოც საგარეო ვალი სწრაფად იზრდებოდა. შემდგომში კი მისი ზრდა დაკავშირებული იყო რუსეთ-საქართველოს ომისა და პანდემიის ფონზე წარმოქმნილი პრობლემების დაძლევასთან. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 25,2 მლრდ აშშ დოლარი (70,7 მლრდ ლარი), ანუ ქვეყნის მშპ-ის 74,5% შეადგინა.

ქვეყნის საგარეო ვალის ძირითად ნაწილს, მისი სახელმწიფო საგარეო ვალი წარმოადგენს, რომლის მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსებასა და დადებითი საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნებაზე. საგარეო ვალის სიმძიმის განსაზღვრისას მთავარია არა მისი აბსოლუტური მოცულობა, არამედ ის, თუ როგორია ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ ზრდასთან მისი ფარდობის მაჩვენებელი. მონაცემებით დასტურდება, რომ 2010-2024 წლებში ყველა ეს მაჩვენებელი იზრდება, მაგრამ ცალკეული პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულია. პანდემიამდე მშპ-თან საგარეო ვალის ფარდობის მაჩვენებლის ზრდა განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებით. პანდემიის ფონზე იგი საკმაოდ გაუარესდა, ხოლო მის შემდეგ კი, ეკონომიკური ზრდის კვალობაზე, საგრძნობლად უმჯობესდება. ასეთივე ტენდენცია იკვეთება საგარეო ვალის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებთან, აგრეთვე ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებთან ფარდობის მიმართებითაც.

როცა ვლაპარაკობთ საგარეო სესხების მოზიდვაზე, მათ ეფექტიან გამოყენებასა და ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო შედის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში კი ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იგი თანდათან შემცირდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საგარეო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები საგრძნობლად იზრდება და იგი საშუალოვადიან პერიოდშიც შენარჩუნდება, რის გამოც სამომავლოდ საგარეო დაფინანსების ჩანაცვლება ეტაპობრივად უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების ხარჯზე.

საქართველოს საგარეო ვალის სავალუტო კომპოზიცია შემდეგი ტენდენციებით ხასიათდება: ბოლო დროს ევროში დენომინირებული ვალის წილი იზრდება, ხოლო აშშ დოლარისა კი – მცირდება. პროცენტის ტიპის მიხედვით ვალი თითქმის თანაბრად ნაწილდება ფიქსირებულ და ცვლად განაკვეთებზე. ამასთან, საგარეო ვალში ფიქსირებული განაკვეთის წილი მცირდება, ცვლადი განაკვეთისა კი – იზრდება. ცხადია, საგარეო ვალის პორტფელში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავალო ტვირთის სიმძიმეზე, ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მის ფინანსურ უსაფრთხოებაზე.

ბოლო პერიოდში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა ციფრს გადააჭარბა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი პანდემიის 9,3%-დან 2022 წლის ბოლოს 3%-მდე შემცირდა, ხოლო სამთავრობო ვალი კი პანდემიამდელ ნიშნულს – 40,4%-ს ჩამოსცდა. ვალის დონის ასეთი შემცირება

ძირითადად მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და გაცვლითი კურსის პოზიტიურმა დინამიკამ განაპირობა. ამასთანავე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც სამთავრობო ვალს მნიშვნელოვნად მოწყვლადს ხდის სავალუტო კურსის მერყეობის მიმართ. ამიტომ საშუალოვადიანი პერიოდის მთავარ ამოცანად ვალის პორტფელის შემდგომი გაჯანსაღება და სავალუტო რისკების შემცირება რჩება.

სავალო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია მისი მართვის გაუმჯობესებასა და სრულყოფასთან, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის მდგრადობის შენარჩუნებას; ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ჯანსაღ მაჩვენებელზე შენარჩუნებას; საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდას; სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

საგარეო ვალის მართვის სრულყოფის აღნიშნული მიმართულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია დიდად შეუწყობს ხელს საგარეო სესხების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასა და მისი ეფექტიანობის ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ქვეყნის საფინანსო სისტემის გაჯანსაღებასა და მისი ფინანსური უსაფრთხოების დონის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კასრაძე თ., კაციტაძე მ., საგარეო ვალის ზრდის პრობლემა და მისი დაძლევის გზები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №12, 1996.
2. კასრაძე თ., სახელმწიფო ვალის მართვის და ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები საქართველოში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1999.
3. მაკონელი რ., ბრიუ ლ., „ეკონომიქსი“, თბ., 1993, ტ. 2.
4. მუჩიაშვილი მ., შონია ზ., კოვიდ-19-ის ზეგავლენის სტატისტიკური შეფასება საქართველოს საგარეო ვალის მდგომარეობაზე, ჟურნ. „ეკონომისტი“, №1, 2022.
5. პაპავა ვლ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000.
6. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., „ეკონომიკა“, ტ. IV, თბ., 2000.
7. ღლონტი ივ., სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემები საქართველოში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
8. ჯიბუტი ა., ღლონტი ივ., საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბ., 2003.
9. ჯიბუტი ა., საქართველოს საგარეო და შიგა ვალი, თბ., 2012.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები.
12. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები.
13. საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები.
14. Внешний долг. https://vsezaimyonline.ru/terms/vneshnij-dolg
15. Куликов С., Почему рост госдолга одни страны ведет к развитию, а другие к дефолту. https://rg.ru/2016/09/18/pochemu-rost-gosdolga-odni-strany-vedet-k%20razbitiu-a-drugie-k-defoltu.html
16. Лившиц И., Внешний долг – полезный и опасный. https://neg.by/novosti/otkriti/vneshnij-dolg-poleznij-i-opasnyj/
17. Что такое госдолг США и почему он постоянно растет. https://tass.ru/ekonomika/16847493

Revaz Javakhishvili

GEORGIA'S STATE EXTERNAL DEBT AND KEY DIRECTIONS FOR IMPROVING ITS GOVERNMENT

Summary

The paper discusses the essence of foreign debt, its historical origins, forms, structure, socio-economic purpose and functions, and defines the criteria and indicators for assessing the severity of foreign debt.

ეკონომიკური თეორიის სექცია
SECTOR OF ECONOMIC THEORY

რამაზ აბესაძე
ეთერი კაკულია
ნანა ბიბილაშვილი
ქრისტინე კურატაშვილი

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული პრობლემები

ანოტაცია. *სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ნაშრომში გამოკვლეულიასახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიული საკითხები. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების გეგმის შემუშავებისას, უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. საბოლოოდ, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიდაც აისახება აქ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა სისტემა.*

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ორგანიზაციის უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული, სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორიცა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ. ნაშრომში განხლულია ზოგიერთი მათგამი, კერძოდ: რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის (საწარმოს) ეკონომიკური უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოება.*

შესავალი

„უსაფრთხოების“, როგორც ტერმინის გამოყენება დაიწყო დაახლოებით XII საუკუნიდან და ნიშნავდა ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას, მის დაცულობას ნებისმიერი საფრთხისაგან. თუმცა ამ შინაარსით იგი არ დაინერგა ლექსიკაში და ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. შემდგომში შემოღებულ იქნა ტერმინი **"სახელმწიფო უსაფრთხოება",** რაც გულისხმობდა ბრძოლას სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. მოგვიანებით კატეგორია „უსაფრთხოება“ დაიყო ცალკეულ მიმართულებებად. ამ თვალსაზრისით ცალკეული ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანესია **„ეროვნული უსაფრთხოება“.** ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გარე და შიგა საფრთხეებისაგან დაცვას საქმიანობის ყველა სფეროში. პირველად ტერმინი 1901 წელს გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ერისადმი თავის მიმართვაში - „ეროვნული

უსაფრთხოების შესახებ“. ოფიციალურად ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ წარმოიშვა 1947 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული იქნა კანონი „ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“. ეროვნული უსაფრთხოების განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს **„ეკონომიკურ უსაფრთხოებას“**, ვინაიდან შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე ეროვნული უსაფრთხობის მოთხოვნები (ეროვნული ინტერესები, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება) ვერ შესრულდება. ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი საშუალებები: თანამედროვე ტექნიკა, ტექნოლოგიები, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო საშუალებები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს მისი ეკონომიკური უსართხოება წარმოადგენს. პირველად ტერმინი „ეკონომიკური უსაფრთხოება გამოყენებული იქნა“ ფრანკლინ რუზველტის „ახალი კურსის“ შემუშავების დროს, რამაც უზრუნველყო აშშ-ის გამოყვანა დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან [Кунцман, М.В. 2016].

ეკონომიკური უსაფრთხოება არის წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ (სოციალურ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, სამართლებრივ და სხვ.) ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პირობებში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით. ეკონომიკური უსაფრთხიების ამოცანაა ეკონომიკის ბუნებრივ მდგომარეობაში ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობი ამაღლება და თავდაცვის უნარიანობის ზრდა.

ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების თავსებადობა [მესხია... 2002]. გასათვალიწინებელია ის, რომ **დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში იზრდება განუსაზღვრელობის, შემთხვევითობისა და ურთიერთდამოკიდებულების რისკების როლი [Сенгачов]**

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, რეგიონული ეკონომიკური უსაფრხოება, ორგანიზაციის უსაფრ თხოება და ა. შ.

სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების პრობლემა მსოფლიოში წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნისთანავე. ძველი დროის მოაზროვნეები თავიანთ ტრაქტატებში დიდ ყურადღებას უთმობდნენ უსაფრთხოების პრობლემას. ეკონომიკური უსაფრთხოებისმონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო. ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგი გულისხმობს საფრთხეების გამოვლენას და მათი კრიტიკული ანუ ზღვრული სიდიდეების განსაზღვრას [**Ворожихин... 2014**].

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების მექსნიზმი

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების გეგმის შემუშავებისას, უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და

არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილთა (რეგიონული, საფინასნსო, ენერგრტიკული,, სასურსათო ორგანიზაციის და ა. შ.) უსაფრთხოების მექანიზმები. საბოლოოდ, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიდაც აისახება აქ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა სისტემა [აბესაძე რ. 2022.]

ეკონომიკის ძრითად ეკონომიკურ საფრთხეებად შეიძლება მივიჩნიოთ: სიღარიბე; უმუშევრობა; ინფლაცია; კორუფცია; უცხოური ინვესტიციების შემცირება; შიგა ინვესტიციების შემცირება; საგარეო ვალის დიდი მოცულობა;8. სავალუტო კურსის ცვალებადობა; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ბიუჯეტის დეფიციტის დიდი მოცულობა; ეკონომიკის სტრუქტურლი განვითარების დაბალი დონე და არაპროგრესული სტრუქტურა; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე; ინოვაციებზე ინვესტიციების სიმცირე; უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და არაპროგრესული სტრუქტურა; ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მოცულობა; საერთაშორისო ეკონომიკური საფრთხეები (ეკონომიკური კრიზისი, რეცესია დომპინგი და სხვ.); ინტელექტუალური კაპიტალის უკონტროლო გაჟონვა და ქვეყნის დამოკიდებულების ზრდა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის უცხოელ მწარმოებლებზე ;ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის შემცირება; არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებისას ჩადენილი დანაშაულებები; ბაზრის დაკარგვა; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება.

ეკონომიკის ძრითადი არაეკონომიკური საფრთხეები: საერთაშორისო ტერორიზმი; დანაშაული; კრიმინოგენური დაძაბულობა; პოლიტიკური დაძაბულობა; ცუდი სტიქიური მოვლენები; დემოგრაფიული დაძაბულობა; ნარკომანია; 8. პანდემია; სოციალური სამართლიანობის დარღვევები; მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის მაღალი დონე; რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არათანაბარი მდგომარეობა; საზოგადოებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების კრიმინალიზაცია;- რეკეტი და გამოძალვა; გარიგების დადების იძულება; განზრახ ცრუ რეკლამა და სავაჭრო ნიშნის უკანონო გამოყენება; კომერციული მექრთამეობა; კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მოპოვება და გამჟღავნება; ცრუ მეწარმეობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: მშპ-ს მოცულობა; რეალური მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; საგარეო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა და თანაფარდობა მშპ-თან; შიგა ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-სა და ბიუჯეტის სიდიდესთან; დანახარჯების მოცულობა მეცნიერებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა განათლებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა ჯანდაცვაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; კაპიტალის გადინების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითად კაპიტალზე ინვესტიციების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითადი კაპიტალის ცვეთის სიდიდე; დანახარჯების მოცულობა ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და მისი თანაფარდობა მშპ-სთან; მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების ზღვრული სიდიდეების განსასღვრა ხდება ანა;უგიებისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ორგანიზაციის (საწარმის) უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული, სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორიცა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ენერგეტიკული უსაფრთხოება გულიუსხმობს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ენერგიით უწყვეტ მომარაგებას ხელმისაწვდომ ფასად, როგორც სტაბილურ, ისე ტექნიკური შეფერხებების, დივერსიებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ასევე ახალი წყაროების ათვისებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, იმპორტის ხელმისაწვდომობას.

სახელმწიფოს ენერგეტიკული საფრთხეებია: ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტებსა და გაზის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება; ბუნებრივი მოვლენების ან დივერსიული და სამხედრო ქმედებების შედეგად ენერგოინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანება; კიბერშეტევები ენერგოინფრასტრუქტურაზე და მათი მუშაობის რეჟიმზე; ადგილობრივი რესურსების აუთვისებლობა; საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობისა და სატრანზიტო შესაძლებლობების გამოუყენებლობა; ენერგიაზე ფასების ზრდა; ენერგოეფექტიანობის დაბალი დონე (პროდუქციის ენერგო და ელექტროტევადობის მაღალი სიდიდე); მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არსებობა; დანაკარგების დიდი ხვედრითი წილი ელექტროგადამცემ ქსელებში; გაზის საკუთარი საცავების უქონლობა; გლობალური ენერგეტიკული საფრთხეები და სხვ.

ენერგეტიკული უსაფრთხოების მაჩვენებლებია: ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა; ენერგორესურსებისა და ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა; ენერგეტიკული სიმძლავრეების სიდიდე; დანაკარგების სიდიდე ელექტროქსელში; პროდუქციის ენერგო და ელექტროტევადობა; ქვეყნის ენერგორესურსების ათვისების დონე; ფასები ენერგიაზე; ფიზიკური და მორალური ცვეთა ენერგოსისტემაში; გარე და შიგა ინვესტიციების მოცულობა ენერგოსექტორში და სხვ.

ენერგეტიკული უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ხდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

ფინანსური უსაფრთხოება სახელმწიფოს დონეზე გულისხმობს ქვეყნის საფინანსო სისტემის ისეთ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობასა და სხვადასხვა ფინანსური საფრთხეების თავიდან აცილებას. იგი ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში ფინანსური უსაფრთხოების დაცვა მეტად რთულია, ვინაიდან მსოფლიოს რომელიმე მსხვილ ქვეყანაში ან რეგიონში წარმოშობილი ფინანსური კრიზისი შესაძლებელია მთელ მსოფლიოში ეპიდემიასავით გავრცელდეს და დაავადოს ფინანსური თვალსაზრისით სრულიად ჯანმრთელი ქვეყანა.

ზოგადი ფინანსური საფრთხეებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაღალი დონე; საერთაშორისო რეზერვების სიმცირე; ფულადი მასის არაოპტიმალური სიდიდე; რეფინანსირების განაკვეთის არაოპტიმალური სიდიდე; მაღალი საპროცენტო განაკვეთი; მოსახლეობის მცირე შემოსავლები; დოლარიზაციის მაღალი დონე; საგარეო ვალების დიდი მოცულობა; უცხოური სესხების არა ეფექტიანი გამოყენება; საკრედიტო თანხების არაწარმოებრივი მიზნებით გამოყენება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი

დონე; ვალუტის კურსის სწრაფი ცვლილება; არასწორი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა; უარყოფითი სავაჭრო სალდო; ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები; საფონდო ბაზრის განუვითარებლობა; ფულის გათეთრება; საკრედიტო რისკები; ლიკვიდობის რისკი; დიდი საგარეო ვალი, ინფლაცია და სხვ.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი ინფლაციის თარგეთირებას უკავია , რომელიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე 45 ქვეყნებშიც ფართოდ გამოიყენება. მსოფლიოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე პირველად 1967 წელს ახალი ზელანდია გადავიდა. მაშინ იქ საშუალოწლიური ინფლაცია 15%, ხოლო მაქსიმალური 20% იყო. შემდეგ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ესპანეთში, ფინეთსა და შვედეთშიც იქნა შემოღებული. 2022 წლისთვის კი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მსოფლიოს 75 ქვეყანაში გამოიყენებოდა [პაპავა, 2024].

ფინანსური უსაფრთხოების ზოგადი მაჩვენებლებია: ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი; საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან; საერთაშორისო რეზერვების მოცულობა; საპროცენტო განაკვეთი; სავალუტო კურსი; სავაჭრო სალდო; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ხდება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით.

რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს რეგიონის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების, მისი ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრაციის, ისე დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ამისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ფლობდნენ შესაბამის ბერკეტებს დაიცვას რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების ინტერესები და შექმნას სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური .სიტუაცია. რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე რეგიონმა უნდა: აწარმოოს დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე; გადაჭრას ეკონომიკის წინაშე მდგარი შიგა და გარე საფრთხეები; დაეხმაროს სამეურნეო სუბიექტებს ეფექტიანი ფუნქციონირების განსახორციელებლად; უზრუნველყოს ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე და ხარისხი.

რეგიონის ეკონომიკური საფრთხეებია: რეგიონის ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობა; რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბალი დონე; რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე (გზები, შიგა გზები სოფლად და სხვ.); საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონე; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე და მის სახელმწიფო მხარდაჭერის არ არსებობა; უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე; ეკონომიკის არაინოვაციური ზრდა; შიგა მოხმარებაში იმპორტის დიდი მოცულობა; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: მრპ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი);ინვესტიციების მოცულობის ფარდობა მრპ-თან; შიგა მოხმარებაში იმპორტის მოცულობა; დანაზოგებისა და ინვესტიციების თანაფარდობა; უცხოური ინვესტიციების მოცულობა; დანახარჯები სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე; დანახარჯები ფუნდამენტურ კვლევებზე;მრპ მოსახლეობის ერთ სულზე;ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე; ეკოლოგიური პარამეტრების სიდიდეები.

სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება ადამიანისფიზიკურ უსაფრთხოებას, ვინაიდან სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველად სასიცოცხლო საჭიროებას, რომელიც იძლევა სიცოცხლის გარანტიას. აქედან გამომდინარე, სასურსათო

უსაფრთხოება საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია.პირველად ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ 1970-იან წლებში გაჟღერდა, რის შემდეგ მისი შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. დღესდღეობით გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მას შემდეგნაირად განმარტავს: ‘‘სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე‘‘. 1996 წელს, მსოფლიო სასურსათო სამიტმა ტერმინი შემდეგნაირად დააზუსტა: ‘‘სასურსათო უსაფრთხოება დაცულია მაშინ, როდესაც ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი ყველასათვის საკმარისი და ხელმისაწვდომია, არა მარტო ფიზიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა აკმაყოფილებდეს დიეტურ საჭიროებებს და, ასევე, ქმნიდეს შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ უპირატესობა

მიანიჭოს იმ საკვებს, რომელიც ხელს უწყობს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესს. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს: მოსახლეობის უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის სურსათით, რაც ნიშნავს ქვეყნის ბაზარზე საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული კვების პროდუქტების არსებობას; მოსახლეობის უზრუნველყოფას სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა პროდუქციის იმ რა-დენობით მოხმარებას, რაც განაპირობებს ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ინგრედიენტებით (ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით) შევსებას. მოსახლეობის უზრუნველყოფას ხელმისაწვდომი სურსათით.

სასურსათო საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: ცუდი საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის; დაბალი ტემპები, განუვითარებელი ინსტიტუციები; სახელმწიფო რეგულირების არაე-ფექტიანი მექანიზმი; ნათესი ფართობების შემცირება; ნიადაგის ეროზია; ეროვნული ვალუტის გაუფასურება; აგფლაცია;. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; კლიმატის ცვლილებები და სტიქიური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა, მცენარეთა ან ცხოველთა დაავადებები, მიწისძვრები და სხვა საგანგებო სიტუაციები); საგარეო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებები (სურსათზე ფასების ზრდა, ენერგიის გაძვირება, და სხვ.); 9. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობის პროდუქტების რეალიზაცია.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები შეიძლება ყოს: სასოფლო-სამეურნეპროდუქციის წარმოების მოცულობა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით; სურსათის იმპორტის მოცულობა; სურსათის ექსპორტის მოცულობა; კვების დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმები და ასორტიმენტი; მოსახლეობის ეკონომიკური წვდომის უნარი საჭირო სურსათთან; სასურსათო კალათის შემადგენლობა; ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში; მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონე; აგფლაციის სიდიდე; ნიადაგის ეროზიის დონე და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ანალოგიისა და ექსპერტული შეფასებების გზით;

ორგანიზაციის (საწარმოს) ეკონომიკური უსაფრთხოება უსაფრთხოება გულისხმობს მის დაცვას შიგა და გარე ნეგატიური საფრთხეებისგან, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის მდგრადი განვითარება. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკურ,

სამართლებრივ, ორგანიზაციულ, საინჟინრო-ტექნიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ღონისძიებათა გატარება. ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უმდა მიექცეს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მიკროგარემოს შექმნას.

ორგანიზაციის ეკონომიკური საფრთხეებია: ნეგატიური მიკროგარემო; პერსონალის არაკომპეტენტურობა; საქმიანი პარტნიორების არაკეთილსინდისიერება; ცუდი პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაცია; ორგანიზაციის კორპორატიული რესურსების (ფინანსური, ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ტექნიკის, მოწყობილობების, უფლებათა და სხვა რესურსები) შემცირება; 6. საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა; არასრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკა და სისტემა; ბიზნესში სახელმწიფოს არაეკონომიკური ჩარევა; ინფორმაციული უსაფრთხოება (ჰაკერული შეტევები).

ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: გამომუშავების ზრდის ტემპები;. საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე; დანახარჯები ინოვაციებზე; ძირითადი კაპიტალის განახლების დონე; ტექნოლოგიური მოწყობილობების ასაკობრივი სტრუქტურა; საწარმოს რენტაბელობა; კადრების ასაკობრივი და კვალიფიკაციური სტრუქტურა; საწარმოს

ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული სიდიდეები განისაზღვრება ანალოგიისა და ექსპერტული შეფასების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2022. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები. თბ., თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. XV.

2. მესხია ი. 2002. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინვესტიციური ინდიკატორები ჟ., `სოციალური ეკონომიკა~, #1, 2002.

3. პაპავა ვლ. 2024. ინფლაციის თარგეთირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური საფრთხეები: საქართველოს გამოწვევები. თსუ პაატა გუგუ შვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამეცნიერო შრონმების კრებული. ტ. XVII, 2024

4. Ворожихин В. В. 2014. Об определении экономической безопасности в условиях глобализации - http://www.library.fa.ru/files/Voroghihin.pdf

5. Кунцман, М.В. 2016. Экономическая безопасность: учебное пособие М.: МАДИ. https://jasulib.org.kg/wp-content/uploads/2023/11/9.-Под-ред.-В.Ю.Бурова-.

6. Журавлева Г., Смагина В. 2013 Угрозы экономической безопасности государства https://cyberleninka.ru/article/n/ugrozy-ekonomicheskoy-bezopasnosti-gosudarstva/viewer

7. Сенчагов В. К. Методология обеспечения экономической безопасности https://cyberleninka.ru/article/n/metodologiya-obespecheniya-ekonomicheskoy-bezopasnosti

Ramaz Abesadze
Eteri Kakulia
Nana Bibilashvili
Kristine Kuratashvili

THEORETICAL PROBLEMS OF STATE ECONOMIC SECURITY

Summary

The state's permanent and most important duty is to take care of economic security. The paper examines the theoretical issues of ensuring the state's economic security. When developing an economic security plan by the state, first of all, the current situation in the country's economy should be investigated, global and national economic and non-economic threats should be determined, economic security indicators should be established and their threshold values should be established. Finally, an economic security model should be developed for a given country, which reflects the results of the work presented here and a system of measures to ensure economic security based on these results.

The components of economic security are: regional economic security, financial security, energy security; Food security, organizational security, as well as the security of its individual, sphere or field, such as industry, transport, communications, tourism, transit, small business, etc. The work discusses some of these topics, namely: regional economic security, financial security, energy security; food security and the economic security of the organization (enterprise).

ციცინო ძოწენიძე

გეოეკონომიკა როგორც ხიდი კლასიკურ და ალტერნატიულ ეკონომიკურ თეორიებს შორის თანამედროვე ტრანსფორმაციების კონტექსტში

ანოტაცია. *სტატია ეხება გეოეკონომიკას როგორც ინტეგრაციულ ჩარჩოს, რომელიც კლასიკურ და ალტერნატიულ ეკონომიკურ თეორიებს შორის „ხიდის“ როლს ასრულებს. განხილულია სმიტის „უხილავი ხელი“, რიკარდოს შედარებითი უპირატესობა და მარშალის მოდელი, ასევე მათი ლიმიტები თანამედროვე გლობალურ რეალობაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინსტიტუციონალიზმს, ქცევით ეკონომიკას, განვითარების თეორიას და კრიტიკულ პოლიტეკონომიას. ნაშრომში ანალიზის საგანია სამი ქეისი: ევროკავშირი, კავკასიის რეგიონი და ჩინეთის „სარტყელი და გზა“. შედეგები ცხადყოფს, რომ XXI საუკუნის ეკონომიკური პროცესების სრულფასოვანი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული, მრავალგანზომილებიანი ანალიზის გზით.*

საკვანძო სიტყვები: *გეოეკონომიკა; კლასიკური ეკონომიკური თეორიები; ალტერნატიული მიდგომები; გლობალური ტრანსფორმაციები; საერთაშორისო ქეისები*

შესავალი. დღევანდელი გლობალური ეკონომიკა ისეთ გამოწვევებს აწყდება, რომელთა ინტერპრეტაცია მხოლოდ კლასიკური თეორიების ჩარჩოებით აღარ არის საკმარისი. ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ კონცეფციამ (Smith, 1776) და დევიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიამ (Ricardo, 1817) მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბაზრის მოქმედების მექანიზმების, საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის ახსნაში. მიუხედავად ამისა, XXI საუკუნის ეკონომიკური გარემო — რომელიც მოიცავს გლობალიზაციას, გეოპოლიტიკურ დაძაბულობას, ტექნოლოგიურ გარდაქმნებსა და მზარდ სოციალურ უთანასწორობას — უკვე მოითხოვს უფრო ფართო და ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოებს (Stiglitz, 2002; Rodrik, 2011).

ამ პირობებში ალტერნატიული თეორიები — ინსტიტუციონალიზმი (North, 1990), ქცევითი ეკონომიკა (Kahneman & Tversky, 1979) და კრიტიკული პოლიტეკონომია (Harvey, 2005) — წარმოსახავენ უფრო მოქნილ ჩარჩოებს ეკონომიკური მოვლენების შესასწავლად. მათი ყურადღება არ შემოიფარგლება მხოლოდ ბაზრის შიდა მექანიზმებით; ისინი ხაზს უსვამენ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოს მნიშვნელობასაც, როგორც ეკონომიკური პროცესების განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ამავე ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს გეოეკონომიკის კონცეფცია, რომელიც ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ განზომილებებს ერთმანეთთან აკავშირებს. ტერმინი პირველად ედვარდ ლუტვაკმა ჩამოაყალიბა (Luttwak, 1990), მოგვიანებით კი მისი ინტერპრეტაციები გააფართოვეს პარაგ ხანამ (Khanna, 2016) და სხვა ავტორებმა. გეოეკონომიკა გვაძლევს შესაძლებლობას, ეკონომიკური მოვლენები გავაანალიზოთ ძალაუფლებისა და გლობალური სტრატეგიების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც *„ხიდი“*, რომელიც აერთებს კლასიკური ეკონომიკური თეორიების ბაზრის ლოგიკას და თანამედროვე ალტერნატიული მიდგომების სოციალურ-პოლიტიკურ ხედვებს.

ლიტერატურაში გეოეკონომიკის იდეა სხვადასხვაგვარად განიმარტება: ლუტვაკისთვის (1990) იგი გეოპოლიტიკის გაგრძელებაა ეკონომიკური მეთოდებით; ხანა (2016) მას ხედავს როგორც გლობალური კავშირების ქსელს; ბლეკვილი და ჰარისი (2016) კი წარმოაჩენენ როგორც სახელმწიფოთა ხელში არსებულ სტრატეგიულ ბერკეტს. ამ კვლევის ერთ-ერთი სიახლე სწორედ ისაა, რომ აქ პირველად განიხილება გეოეკონომიკა *„ხიდის“* როლში — თეორიულ ჩარჩოდ, რომელიც კლასიკურ ეკონომიკურ მოდელებს აკავშირებს თანამედროვე ალტერნატიულ ხედვებთან.

მიზნები და ამოცანები**:** ნაშრომის ძირითადი მიზანია კლასიკური ეკონომიკური თეორიების მნიშვნელობისა და მათი ლიმიტების გაანალიზება თანამედროვე გლობალური ეკონომიკის კონტექსტში და მათი შედარება ალტერნატიულ მიდგომებთან, რომლებიც ინსტიტუციურ, სოციალურ, ქცევით და კრიტიკულ განზომილებებს უსვამენ ხაზს. კვლევის ამოცანაა აჩვენოს, რომ XXI საუკუნის ეკონომიკური რეალობა — სადაც გლობალიზაცია, გეოპოლიტიკური დაძაბულობა, მზარდი უთანასწორობა და ტექნოლოგიური გარდატეხები დომინირებს — საჭიროებს უფრო რთულ და ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოებს, ვიდრე ის „სუფთა ბაზრის“ მოდელი, რომელსაც კლასიკური თეორიები გვთავაზობდნენ.

კვლევის ამოცანაა გააანალიზოს კლასიკური ეკონომიკური თეორიები არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის ჭრილში, არამედ მათი რეალური გამოყენებადობის თვალსაზრისით დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში; წარმოაჩინოს, როგორ გვთავაზობენ ალტერნატიული მიდგომები — ინსტიტუციონალიზმი, ქცევითი ეკონომიკა და კრიტიკული პოლიტეკონომია — ახალი ხედვის კუთხეებს, რომლებიც ბაზრის მექანიზმებს ავსებს სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებებით; გამოიკვლიოს, როგორ ცვლის ტექნოლოგიური რევოლუცია და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება როგორც ეკონომიკური თეორიების ლოგიკას, ისე კონკრეტული პოლიტიკის არჩევანს სახელმწიფოებისა და კომპანიების დონეზე; შეაფასოს გეოეკონომიკა როგორც ერთიანი ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც საშუალებას იძლევა დავინახოთ კლასიკური ეკონომიკის ძალა და ამავე დროს ალტერნატიული თეორიების მიერ გაკვეთილი გაკვეთილები; და ბოლოს, განიხილოს სამი განსხვავებული შემთხვევა — ევროკავშირი, კავკასიის რეგიონი და ჩინეთის „სარტყელი და გზა“ — რათა პრაქტიკულად გამოიკვეთოს, როგორ მოქმედებს

გეოეკონომიკური ლოგიკა XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებსა და ეკონომიკურ დებატებში.

1. კლასიკური ეკონომიკური თეორია (XVIII–XIX სს.) იყო ის საფუძველი, რომელზეც საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპები ჩამოყალიბდა. ადამ სმიტის 1776 წლის ნაშრომში *ერების სიმდიდრის ბუნება და მიზეზები* (*The Wealth of Nations*) ხაზგასმულია, რომ თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ბუნებრივ მოწესრიგებას. მისი „უხილავი ხელის“ მექანიზმი აღწერს მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთქმედებას, რომელიც თავისთავად ქმნის წონასწორობას.

სმიტი კლასიკური სკოლის ცენტრალურ ფიგურად იქცა, რადგან ამტკიცებდა: ეკონომიკის ეფექტიანობა ყველაზე კარგად ვლინდება მაშინ, როცა სახელმწიფო ჩარევა მინიმუმამდეა დაყვანილი. მისი აზრით, ინდივიდუალური ინტერესების ბალანსი საბოლოოდ საზოგადოებრივ კეთილდღეობას ამყარებს. სმიტის იდეები — შრომის დანაწილების პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელობა და კონკურენციის პოზიტიური როლი — იქცა იმ ისტორიული გარდატეხის საყრდენად, როდესაც ეკონომიკური სისტემა მონარქიული წესრიგიდან თანდათან გადავიდა თავისუფალ და ბაზარზე დაფუძნებულ სტრუქტურაში. სმიტის იდეებს მისდევდნენ სხვა კლასიკოსებიც, რომლებმაც გააგრძელეს ღირებულების, ფასებისა და განაწილების თეორიების განვითარება თავისუფალი ბაზრის კონტექსტში. განსაკუთრებული ადგილი უკავია დევიდ რიკარდოს (1817), რომლის შედარებითი უპირატესობის თეორიამ დაადასტურა, რომ ქვეყნებს შორის სპეციალიზაცია და ვაჭრობა ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია. მისი არგუმენტით, თითოეულ ქვეყანას უნდა მოახდინოს კონცენტრაცია იმ პროდუქციის წარმოებაზე, სადაც შედარებით უკეთესია, ხოლო დანარჩენი საქონელი გაცვალოს საერთაშორისო ვაჭრობით. ამ მიდგომამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო თეორიებს.

ეკონომიკური აზრის შემდგომი გარდატეხა უკავშირდება ალფრედ მარშალს (1890), რომელიც ხშირად მოიხსენიება ნეოკლასიკური ეკონომიკის დამფუძნებლად. მის ნაშრომში *ეკონომიკის პრინციპები* პირველად სისტემატურად ჩამოყალიბდა მიწოდებისა და მოთხოვნის ანალიზი. სწორედ მარშალმა შექმნა მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების მოდელი, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ ყალიბდება ბალანსური ფასი იმ წერტილში, სადაც მოთხოვნა და მიწოდება თანაბრდება. ეს გრაფიკული სქემა, რომელსაც „მარშალის ჯვარი“ ეწოდა, დღემდე კლასიკური ინსტრუმენტია ეკონომიკის სწავლებისთვის და ხაზს უსვამს ბაზრის წონასწორობის ტენდენციას.

მარშალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წვლილი იყო ფასის ელასტიკურობის კონცეფციის შემოტანა, რომელიც სწავლობს, როგორ იცვლება მოთხოვნის მოცულობა ფასების დინამიკის საპასუხოდ. მის მიერ მიწოდებისა და მოთხოვნის, საწარმოო დანახარჯებისა და ელასტიკურობის ურთიერთკავშირის გააზრებამ ერთგვარად შეკრა კლასიკური თეორიის მემკვიდრეობა და ჩამოაყალიბა საფუძველი მარგინალური ანალიზისათვის. სწორედ ამ გზით მარშალმა გაავლო ხაზი კლასიკურ ეკონომიკასა და ნეოკლასიკურ მიმდინარეობას შორის.

კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების შერწყმამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ აზრის ე.წ. *მთავარ დინებას* (*mainstream economics*). ამ school-ის ძირითადი პრინციპებია: ინდივიდების რაციონალური ქცევა (*Homo Economicus*), სრულყოფილი ინფორმაციისა და კონკურენტული ბაზრების არსებობა, ასევე სახელმწიფოს მინიმალური როლი, რომელიც მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოს უზრუნველყოფს.

ამ ხედვით, თავისუფალი ბაზარი თავად ახდენს ეფექტიან რესურსთა განაწილებას და უზრუნველყოფს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს პირობები ხშირად არ სრულდება რეალურ სამყაროში. სწორედ ამ შეზღუდვების გამო განვითარდა ალტერნატიული თეორიები, რომლებიც ეკონომიკურ პროცესებს უფრო კომპლექსური და მრავალფაქტორული ჭრილით განმარტავენ.

დიდი დეპრესიის პირობებში აშკარა გახდა, რომ კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების თვითრეგულაციის მექანიზმები ვერ ხსნიდნენ ეკონომიკის ჩავარდნას. სწორედ ამ კრიზისზე უპასუხა ჯონ მეინარდ კეინსმა (Keynes, 1936) თავის ნაშრომში *Employment, Interest and Money-ის ზოგადი თეორია*. კეინსის მიხედვით, ბაზარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, რადგან ეკონომიკა მიდრეკილია ციკლური ჩავარდნებისა და მოთხოვნის უკმარისობისკენ. მისი მთავარი არგუმენტი იყო, რომ სახელმწიფოს აქტიური როლი აუცილებელია: ფისკალური პოლიტიკისა და ინვესტიციების გაზრდით მთავრობას შეუძლია შეამციროს უმუშევრობა და გააძლიეროს მთლიან მოთხოვნა. ამ მიდგომამ წარმოშვა所谓 „კეინსიანური რევოლუცია“, რომელმაც შეცვალა ეკონომიკური აზრის ლიბერალური ლოგიკა და XX საუკუნის პოლიტიკა უფრო ინტერვენციონისტური მიმართულებით გადაამისამართა.

1960-იან წლებში Keynes-ის იდეებს ძლიერი ალტერნატივა დაუპირისპირდა. მილტონ ფრიდმანმა (Friedman, 1968) და ჩიკაგოს სკოლამ ჩამოაყალიბეს მონეტარიზმის თეორია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ვერ აღწევს გრძელვადიან სტაბილიზაციას. მათი აზრით, მთავრობამ უნდა შეიზღუდოს ჩარევა ეკონომიკაში და მთავარი ყურადღება გაამახვილოს ფულის მიწოდების კონტროლზე, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს ინფლაციასა და ციკლურ მერყეობებს. ფრიდმანის კრიტიკამ საფუძველი დაუდო ახალ დებატებს: Keynes-ის მიერ სახელმწიფოს აქტიურ როლზე გაკეთებული აქცენტი შეიცვალა ბაზრის მექანიზმებისადმი ნდობის გაძლიერებით. „კეინსიანელებისა“ და „მონეტარისტების“ დაპირისპირება XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კამათად იქცა და მნიშვნელოვნად ჩამოაყალიბა თანამედროვე „მთავარი დინება“.

2. ალტერნატიული ეკონომიკური თეორიები და ახალი პერსპექტივები: კლასიკური მოდელის მთავარი დაშვებები — რაციონალური მოქმედება, სრულყოფილი ბაზრები და სრული ინფორმაცია — ხშირად ვერ განმარტავდა რეალურ ეკონომიკურ პროცესებს. სწორედ ამიტომ XX საუკუნეში განვითარდა ალტერნატიული თეორიები, რომლებიც ანალიზს ახალ პარამეტრებსა და პერსპექტივებს ურთავს. მათ შორისაა ინსტიტუციონალური, ქცევითი, კრიტიკული, განვითარების და გლობალიზაციის მიდგომები. ეს მიმართულებები სხვადასხვა ავტორის ნაშრომებში ჩამოყალიბდა და კლასიკური დოქტრინის გაგრძელებას უკვე ახალი ინტერპრეტაციებითა და ხედვებით გვთავაზობს.

ინსტიტუციონალიზმი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიმართულებაა, რომელიც ეკონომიკურ პროცესებს მხოლოდ ბაზრის მექანიზმებით აღარ ხსნის. დუგლას ნორტის (North, 1990) და თორშტეინ ვებლენის (Veblen, 1899) ნაშრომებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური დინამიკა განისაზღვრება ინსტიტუციებით — ანუ იმ წესებით, ნორმებითა და სტრუქტურებით, რომლებიც ადამიანთა ურთიერთქმედებას აყალიბებს. ინსტიტუციონალიზმი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ეკონომიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ფასებსა და რაოდენობებზე, არამედ კანონის უზენაესობაზე, საკუთრების უფლებებზე, კულტურულ ტრადიციებსა და პოლიტიკურ გარემოზე.

ქცევითი ეკონომიკა XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, როგორც პასუხი ნეოკლასიკური თეორიის გადაჭარბებულად რაციონალურ მოდელებზე. დანიელ კანემანმა და ამოს ტვერსკიმ (Kahneman & Tversky, 1979) ექსპერიმენტული კვლევებით აჩვენეს, რომ ადამიანები გადაწყვეტილებებს ხშირად იღებენ არა მხოლოდ ლოგიკისა და სრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე, არამედ ემოციების, კოგნიტური მიკერძოებებისა და სოციალური ზეწოლის გავლენით. მათი *პროსპექტის თეორია* ხსნის, რატომ შეიძლება ადამიანები დათანხმდნენ **არახელსაყრელ რისკზე** ან, პირიქით, თავიდან აირიდონ რისკი მაშინაც, როცა ეს ეკონომიკურად არაგონივრულია. ქცევითი ეკონომიკა ამცირებს „ჰომო ეკონომიკუსის“ აბსტრაქციის წონას და ყურადღებას ამახვილებს ადამიანის რეალურ ქცევაზე. იგი ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკის ანალიზი ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე არასრულია. თანამედროვე ეპოქაში ქცევითი მიდგომები ფართოდ გამოიყენება როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაში, ისე ბიზნესში. ამის ერთ-ერთი ცნობილი ინსტრუმენტია *nudging* — მცირე, ნაზად მორგებული ცვლილებები გარემოში (მაგალითად, პროდუქტის განლაგება სუპერმარკეტში ან არჩევანის ფორმულირება საჯარო პოლიტიკაში), რომლებიც ადამიანის არჩევანს უკეთეს მიმართულებით წარმართავს ისე, რომ მისი თავისუფალი არჩევანი შენარჩუნებულია.

ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ალტერნატიულ მიმართულებას წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც განსაკუთრებით ასოცირდება ამარტია სენის (Sen, 1999) ნაშრომებთან. სენი აკრიტიკებს იმ მიდგომას, რომელიც პროგრესს მხოლოდ წარმოების მასშტაბებითა და შემოსავლებით ზომავს. მისი „შესაძლებლობების მიდგომა“ (*capability approach*) ამტკიცებს, რომ განვითარების ხარისხი უნდა განისაზღვროს იმით, რამდენად შეუძლიათ ადამიანებს საკუთარი პოტენციალის რეალიზება და სასურველი ცხოვრების არჩევა. სენის წიგნში *განვითარება როგორც თავისუფლება* (Sen, 1999) ხაზგასმულია, რომ ჭეშმარიტი განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას, არამედ ადამიანთა ფუნდამენტური თავისუფლებების გაფართოებასაც: განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, პოლიტიკურ უფლებებს, უსაფრთხოებას და აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ხედვით, სიღარიბე განისაზღვრება არა მხოლოდ შემოსავლების სიმცირით, არამედ შესაძლებლობების ნაკლებობით — თავისუფლებით, იცხოვრო ჯანსაღად, მიიღო განათლება, იყო დაცული და მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

ამ მიდგომამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პრაქტიკულ პოლიტიკაზე. მაგალითად, გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) და სხვა კომპოზიტური მაჩვენებლები შემოღებულ იქნა, რათა ქვეყნის პროგრესი შეფასდეს არა მხოლოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, არამედ სიცოცხლის ხანგრძლივობისა და განათლების დონითაც. სენის ხედვა არსებითად ცვლის კლასიკური ეკონომიკის საზღვრებს და წარმოაჩენს განვითარებას როგორც ჰოლისტიკურ, ადამიანის თავისუფლებებზე და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ პროცესს, სადაც ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია.

გლობალიზაციის პროცესმა XX საუკუნის ბოლოდან ეკონომიკური აზრიც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ავტორები, როგორიცაა სტიგლიცი (Stiglitz, 2002) და როდრიკი (Rodrik, 2011), ხაზს უსვამენ, რომ გლობალური ინტეგრაცია ქმნის როგორც შესაძლებლობებს — ვაჭრობისა და ინოვაციების სწრაფ გავრცელებას — ასევე საფრთხეებს, მაგალითად, უთანასწორობის ზრდასა და ეროვნული ეკონომიკების მოწყვლადობას. ამ მიდგომებში განვითარება აღიქმება როგორც

მრავალგანზომილებიანი პროცესი, სადაც ეკონომიკური ზრდა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, თუ არ თან ახლავს სოციალური და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება.

კრიტიკული პოლიტეკონომია ეკონომიკურ პროცესებს ძალაუფლებისა და ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში განიხილავს. დევიდ ჰარვი (Harvey, 2005) და სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ ბაზარი მხოლოდ ნეიტრალური გაცვლის არეალი კი არაა, არამედ სოციალური ურთიერთობების სისტემაა, სადაც დომინანტური ჯგუფები ხშირად ამყარებენ საკუთარ უპირატესობას. ამ მიდგომის მიხედვით, კაპიტალიზმის ანალიზი შეუძლებელია უთანასწორობის, კლასობრივი ურთიერთობებისა და გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინების გარეშე. კრიტიკული პოლიტეკონომია ავსებს როგორც კლასიკურ, ისე ნეოკლასიკურ მოდელებს და გვთავაზობს ალტერნატიულ ხედვას, სადაც ეკონომიკა ძალაუფლების განაწილებასა და სოციალურ სამართლიანობას უკავშირდება.

3. ტექნოლოგიური რევოლუციისა და AI-ის გავლენა ეკონომიკურ თეორიებზე. XXI საუკუნის დასაწყისში ეკონომიკა დადგა ციფრული რევოლუციის წინაშე, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა როგორც წარმოების, ისე ბაზრის სტრუქტურები. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი გავრცელება გახდა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ტრადიციული თეორიისთვის. ბრინიოლფსონი და მაკაფი (Brynjolfsson & McAfee, 2014) „მეორე მანქანების ეპოქას“ აღწერენ როგორც ორმაგ პროცესს: ერთი მხრივ, ტექნოლოგია ზრდის პროდუქტიულობას, იწვევს ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების გაჩენას და აუმჯობესებს ცხოვრების სტანდარტებს; მეორე მხრივ კი, ეს პროგრესი ხშირად არათანაბრად ნაწილდება და უთანასწორობას ამძაფრებს. კლასიკური თეორიის ლოგიკით, ინოვაციები გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ქმნიდეს ახალ სამუშაოებს და ფასების შემცირების გზით ყველას აძლევდეს სარგებელს. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ავტომატიზაცია და AI ზოგჯერ სტრუქტურულ უმუშევრობას იწვევს, ხოლო მოგების დიდი ნაწილი კაპიტალის მფლობელებსა და მაღალკვალიფიციურ მუშახელს უგროვდებათ. ამიტომ ეკონომისტები უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ პოლიტიკის ადაპტაციის აუცილებლობაზე: საბაზო შემოსავლის იდეაზე, საგადასახადო სისტემის გადახედვაზე ან განათლების ტრანსფორმაციაზე. ამავე დროს, ბრინიოლფსონი და მაკაფი მიუთითებენ, რომ საჭიროა ეკონომიკური მეტრიკების, მაგალითად მშპ-ის, გადაფასება, რადგან ის სრულად აღარ ასახავს კეთილდღეობის სურათს. ტექნოლოგიური რევოლუცია, ამგვარად, ერთდროულად არის ზრდის წყაროც და ახალი უთანასწორობების გამომწვევიც, რაც როგორც კლასიკურ, ისე ალტერნატიულ თეორიებს ახალ ანალიტიკურ გამოწვევას უქმნის.

ნიკ სრნიჩეკი (2017) „პლატფორმულ კაპიტალიზმს“ აღწერს როგორც თანამედროვე კაპიტალიზმის სტადიას, სადაც წამყვანი ფირმები (Google, Amazon, Facebook, Alibaba და სხვ.) მოქმედებენ ციფრული პლატფორმების მოდელზე და ქმნიან ახალი ტიპის მონოპოლიებს. პლატფორმები აგროვებენ უზარმაზარ მონაცემებს, სარგებლობენ ქსელის ეფექტებით და ხშირად სთავაზობენ მომხმარებლებს სერვისებს უფასოდ, ხოლო შემოსავალს იღებენ რეკლამისა და მონაცემთა მონეტიზაციიდან. ეს მოდელი სცდება კლასიკური კონკურენციის ჩარჩოებს: წარმატებულმა პლატფორმებმა შეიძლება მთელ სექტორზე მოიპოვონ კონტროლი. შედეგად ჩნდება მარეგულირებელი და სოციალური გამოწვევები — მონაცემთა მონოპოლიები, ციფრული შრომის პირობები და კონფიდენციალურობის საკითხები. სრნიჩეკის ხედვით, მონაცემები იქცა „ახალ

ნავთობად“, ხოლო პლატფორმები — მის დამუშავების მანქანებად, რაც მოითხოვს ეკონომიკური თეორიების გადახედვას ციფრული ეპოქის პირობებში.

4. გეოეკონომიკა როგორც ინტეგრაციული ჩარჩო. გეოეკონომიკის ტერმინი პირველად ედვარდ ლუტვაკმა შემოიტანა (Luttwak, 1990), მოგვიანებით კი პარაგ ხანამ (Khanna, 2016) და სხვა ავტორებმა განავითარეს. ეს კონცეფცია ეკონომიკურ პროცესებს გლობალური ძალაუფლებისა და სტრატეგიული ინტერესების ჭრილში განიხილავს და აერთიანებს ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ განზომილებებს.

გეოეკონომიკა განსაკუთრებით აქტუალურია XXI საუკუნეში, რადგან ის გვაძლევს საშუალებას ერთდროულად დავინახოთ ბაზრის ლოგიკა და საერთაშორისო პოლიტიკური კონკურენცია. ამგვარად, იგი შეიძლება აღვიქვათ როგორც ინტეგრაციული ჩარჩო, რომელიც აკავშირებს კლასიკური ეკონომიკის ბაზრის მოდელებს და ალტერნატიული თეორიების მიერ წამოწეულ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს.

პრაქტიკული ქეისები: ევროკავშირი გეოეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია. ის შექმნილი იყო მშვიდობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად, მაგრამ დროთა განმავლობაში გადაიქცა გლობალურ ეკონომიკურ ცენტრად. საერთო ბაზარი, ევროზონა და ერთიანი რეგულაციები აძლევს საშუალებას არა მხოლოდ შიდა კეთილდღეობა განამტკიცოს, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოზიციები გაიმყაროს (Moravcsik, 2010). უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ენერგეტიკული პოლიტიკა. უკრაინის ომის შემდეგ, ევროკავშირმა დაიწყო ენერგორესურსების დივერსიფიკაცია და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება, რაც ეკონომიკას უშუალოდ უსაფრთხოების პოლიტიკასთან აკავშირებს. ამავდროულად, „ევროპის მწვანე შეთანხმება“ (*European Green Deal*) მიზნად ისახავს 2050 წლისთვის ნახშირბადის ნეიტრალიტეტს, რაც ეკონომიკურ განვითარებას გარემოს დაცვის დღის წესრიგთან აერთიანებს. ევროკავშირი ასევე ცდილობს ციფრული სუვერენიტეტის განმტკიცებას – მონაცემთა დაცვისა და ტექნოლოგიური რეგულაციების გამკაცრებით.

კავკასია რეგიონია, სადაც სხვადასხვა ძალის ინტერესები იკვეთება. საქართველოს მდებარეობა შავი ზღვისა და კასპიის აუზის შორის ქმნის მას უნიკალურ სატრანზიტო ფუნქციას. ენერგორესურსების ტრანსპორტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქვეყანას გარდაქმნის „კარიბჭედ“ ევროპასა და აზიას შორის. TRACECA აგრძელებს მუშაობას როგორც მთავრობათაშორისი პლატფორმა, ხოლო INOGATE-ის დასრულების შემდეგ ენერგეტიკული თანამშრომლობა EU4Energy-ის ქოლგაში განახლდა. ეს აჩვენებს, რომ რეგიონული თანამშრომლობა ახალ ფორმებში ვითარდება. როგორც პაპავა (2025) აღნიშნავს, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატრანზიტო დერეფნების ეფექტიან გამოყენებაზე. ადგილობრივი კვლევებიც (Zabakhidze & Beradze, 2018; Jakhutashvili, 2024) ხაზს უსვამენ, რომ ქვეყნის მთავარი კონკურენტული უპირატესობა სწორედ ტრანზიტული ფუნქციაა, თუმცა ამავე დროს ის ზრდის გეოპოლიტიკურ რისკებსაც.

„სარტყელი და გზა“ (BRI) არის ჩინეთის მასშტაბური გეოეკონომიკური პროექტი, რომელიც ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზეა დაფუძნებული. მისი მიზანია ახალი სავაჭრო და სატრანსპორტო მარშრუტების შექმნა, რაც პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს განვითარებისა და კავშირის ახალ შესაძლებლობებს. თუმცა, კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ამასთან ერთად ქვეყნებს შესაძლოა გაუმძაფრდეთ ვალის ტვირთი და გაიზარდოს ჩინეთზე დამოკიდებულება (Hurley, Morris & Portelance, 2018). ბოლო პერიოდში ინიციატივის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა „ციფრული აბრეშუმის გზა“ — სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და მონაცემთა ინფრასტრუქტურის გაფართოება, რაც

ზრდის ჩინეთის ტექნოლოგიურ გავლენას და აჩენს უსაფრთხოების დებატებს. პარალელურად, სხვა მოთამაშეები ცდილობენ ალტერნატიული პროექტების განვითარებას. მაგალითად, 2023 წელს გამოცხადებული *India–Middle East–Europe Corridor* აჩვენებს, რომ დასავლეთი და პარტნიორები ცდილობენ კონკურენციული მარშრუტების შექმნას. შედეგად, BRI უკვე არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გლობალური სტრატეგიული დაპირისპირების მთავარი ასპარეზიც გახდა.

სამივე ქეისი ნათლად აჩვენებს, რომ გეოეკონომიკა პრაქტიკაში მართლაც ფუნქციონირებს როგორც „ხიდი“ კლასიკურ და ალტერნატიულ მიდგომებს შორის: **ევროპის მაგალითში** ის აერთიანებს კლასიკურ ეკონომიკურ ინტეგრაციას ინსტიტუციურ ალტერნატივებთან და იძენს ახალ მნიშვნელობას ციფრული სუვერენიტეტისა და მწვანე ტრანზიციის კონტექსტში. **კავკასიაში** გეოეკონომიკა ბაზრის ლოგიკას (ენერგეტიკული რესურსები და სატრანზიტო დერეფნები) აკავშირებს ალტერნატიულ ხედვებთან, სადაც ინსტიტუციური სისუსტე და კონფლიქტები თანაარსებობს ტექნოლოგიურ კონკურენციასთან. **ჩინეთის Belt and Road** გვიჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურასა და ვაჭრობას მხოლოდ კლასიკური მოდელებით ვერ გავიგებთ — აქ პოლიტიკა, ინსტიტუციური ჩარჩოები და ტექნოლოგიური ინოვაციები ერთიანად განსაზღვრავენ პროცესს.

დასკვნა. ეკონომიკური აზრის ისტორია გვიჩვენებს, რომ არც ერთი თეორია არ არის საბოლოო და სრულყოფილი. კლასიკურმა და ნეოკლასიკურმა მიდგომებმა შექმნეს ბაზრის თვითრეგულირების საფუძველი და ეკონომიკის მეცნიერული ჩარჩო, მაგრამ რეალობის სირთულემ წარმოშვა ახალი მიმართულებები — ინსტიტუციონალიზმი, ქცევითი ეკონომიკა, განვითარების და კრიტიკული თეორიები — რომლებიც ანალიზს ახალ განზომილებებს მატებს. XXI საუკუნის გამოწვევები — გლობალიზაცია, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და ტექნოლოგიური რევოლუცია — კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინტეგრირებული ხედვის აუცილებლობას. გეოეკონომიკა, როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს შორის დამაკავშირებელი ჩარჩო, გვაძლევს საშუალებას უფრო სრულად გავიგოთ თანამედროვე დინამიკა. პრაქტიკული ქეისები — ევროკავშირი, კავკასია და ჩინეთის „სარტყელი და გზა“ — ნათლად ადასტურებს, რომ ეკონომიკა მხოლოდ ბაზრის მექანიზმებით ვერ აიხსნება. ის არის გლობალური ძალაუფლების, ტექნოლოგიური ტრანსფორმაციისა და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგი. შესაბამისად, ეკონომიკური თეორიები მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ადაპტირდებოდეს, რათა შეძლოს თანამედროვე სამყაროს კომპლექსური რეალობის ასახვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abashishvili, G., & Liparteliani, S. (2021). *Georgia's Transit Potential – Country's Competitive Advantage*. The New Economist, 16(2), 42–57.
2. Gondauri, D., & Moistsrapishvili, M. (2025). *Development of Railway Silk Road as a Platform for Promoting Georgia's Economic Growth*. arXiv preprint.
3. Jakhutashvili, G. (2024). *Georgia's Role as a Transit Corridor in Trade with Central Asia*. Georgia Today.
4. Papava, V. (2015). *Economic security and geopolitical challenges for Georgia*. Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS).
5. Zabakhidze, M., & Beradze, R. (2018). *Georgia as a Transit Hub and its Increasing Potential in the Implementation of the Belt and Road Initiative*. PMC Research.
6. Brynjolfsson, E., & McAfee, A. (2014). *The second machine age: Work, progress, and prosperity in a time of brilliant technologies*. W.W. Norton & Company.

7. Friedman, M. (1968). *The role of monetary policy*. American Economic Review, 58(1), 1–17.
8. Harvey, D. (2005). *A brief history of neoliberalism*. Oxford University Press.
9. Hurley, J., Morris, S., & Portelance, G. (2018). *Examining the debt implications of the Belt and Road Initiative from a policy perspective*. Center for Global Development.
10. Kahneman, D., & Tversky, A. (1979). *Prospect theory: An analysis of decision under risk*. Econometrica, 47(2), 263–291.
11. Keynes, J. M. (1936). *The general theory of employment, interest, and money*. Macmillan.
12. Khanna, P. (2016). *Connectography: Mapping the future of global civilization*. Random House.
13. Luttwak, E. (1990). *From geopolitics to geo-economics: Logic of conflict, grammar of commerce*. The National Interest, 20, 17–23.
14. Marshall, A. (1890). *Principles of economics*. Macmillan.
15. Moravcsik, A. (2010). *The choice for Europe: Social purpose and state power from Messina to Maastricht*. Cornell University Press.
16. North, D. C. (1990). *Institutions, institutional change and economic performance*. Cambridge University Press.
17. Ricardo, D. (1817). *On the principles of political economy and taxation*. John Murray.
18. Sen, A. (1999). *Development as freedom*. Oxford University Press.
19. Smith, A. (1776). *An inquiry into the nature and causes of the wealth of nations*. W. Strahan and T. Cadell.
20. Srnicek, N. (2017). *Platform capitalism*. Polity Press.
21. Stiglitz, J. E. (2002). *Globalization and its discontents*. W.W. Norton & Company.
22. Rodrik, D. (2011). *The globalization paradox: Democracy and the future of the world economy*. W.W. Norton & Company.
23. Veblen, T. (1899). *The theory of the leisure class*. Macmillan.

Tsitsino Dzotsenidze

GEO-ECONOMICS AS A BRIDGE BETWEEN CLASSICAL AND ALTERNATIVE ECONOMIC THEORIES IN THE CONTEXT OF GLOBAL TRANSFORMATIONS

Summary

The contemporary global economy is characterized by dynamics that classical economic theories alone cannot sufficiently explain. While Adam Smith's "invisible hand" (1776) and David Ricardo's theory of comparative advantage (1817) established fundamental principles of markets and international trade, the 21st century introduces new complexities such as globalization, geopolitical tensions, technological disruption, and widening inequality (Stiglitz, 2002; Rodrik, 2011). These developments necessitate a broader, interdisciplinary framework.

This paper argues that **geo-economics** serves as a conceptual "bridge" that connects the logic of classical market models with alternative approaches—such as institutionalism, behavioral economics, development theories, and critical political economy. The analysis proceeds in three stages: (1) revisiting classical and neoclassical models, (2) highlighting the limitations of their assumptions, and (3) integrating alternative schools of thought with geo-economic perspectives.

The study begins with the classical foundations, emphasizing Smith's idea of market self-regulation and Ricardo's comparative advantage as key rationales for free trade. Marshall's neoclassical synthesis further developed the supply-demand framework and introduced elasticity. However, real-world crises, most notably the Great Depression, exposed the limits of self-regulating markets. Keynes (1936) demonstrated the need for state intervention, while Friedman's monetarist critique (1968) reignited debates over the balance between markets and governments.

Alternative theories address the gaps left by classical assumptions. Institutionalism (North, 1990) highlights the role of norms, rules, and governance; behavioral economics (Kahneman &

Tversky, 1979) incorporates psychological biases and bounded rationality; development theories (Sen, 1999) redefine progress through capabilities and freedoms; and critical political economy (Harvey, 2005) underscores power relations and inequality in capitalism.

Geo-economics, introduced by Luttwak (1990) and later developed by Khanna (2016), merges these perspectives by situating economic processes within global power structures. It emphasizes how states employ economic instruments—trade, investment, infrastructure, and technology—as strategic tools in global competition.

To demonstrate this integrative capacity, the paper examines three empirical cases: **European Union** – The EU illustrates geo-economics through integration, energy diversification, and the European Green Deal. Its pursuit of digital sovereignty highlights the intersection of classical market integration with institutional and technological dimensions. **Caucasus Region** – Georgia's role as a transit corridor underscores how market logic (transport, energy corridors) intertwines with institutional weaknesses and geopolitical risks, making geo-economic analysis indispensable. **China's Belt and Road Initiative (BRI)** – The BRI embodies classical principles of trade expansion yet also raises institutional, financial, and political concerns. Its digital dimension further illustrates the strategic nature of technology in global competition.

The study concludes that no single economic theory provides a complete framework for understanding today's challenges. Instead, geo-economics offers an integrative lens: it retains the analytical clarity of classical models while incorporating the socio-political and technological insights of alternative approaches.

Key contribution: By conceptualizing geo-economics as a bridge, this paper expands the theoretical debate and demonstrates its practical application across Europe, the Caucasus, and Asia. The findings suggest that 21st century policy must embrace complexity—balancing market efficiency with institutional resilience, technological adaptation, and social equity.

მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და საბანკო საქმის სექცია
SECTOR OF MACROECONOMICS, FINANCE AND BANKING

გიორგი ბრეგვაძე

ექსპორტ-იმპორტი საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომი მიმოიხილავს ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას საქართველოში 2024-2025 წლებში, ფოკუსით 2025 წლის იანვარ-მაისის მაჩვენებლებზე. აქვე გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები, სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა, სავაჭრო დეფიციტის მასშტაბები, ასევე მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები და სასაქონლო ჯგუფები. ნაშრომში წარმოდგენილია ექსპორტისა და იმპორტის გავლენა ეკონომიკაზე, კონკურენტუნარიანობასა და ქვეყნის სტრატეგიულ პერსპექტივებზე. კეთდება დასკვნები და რეკომენდაციები სავაჭრო დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.*

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, საგარეო ვაჭრობა, ბრუნვა.*

შესავალი

იმპორტი წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების უცხოეთიდან ქვეყნის ტერიტორიაზე შეტანის პროცესს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში. ის უკავშირდება იმ გარიგებებს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტები (მთავრობა, ფირმები ან პიროვნებები) ახორციელებენ პროდუქციის შეძენას სხვა ქვეყნებში მოქმედი მწარმოებლებისაგან ან მომწოდებლებისაგან. იმპორტის მიზანია ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ პროდუქციაზე, რომლის წარმოება ქვეყნის შიგნით არ ხორციელდება ან მისი წარმოება არაპროდუქტიულია ეკონომიკური, ან ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

ექსპორტი არის ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის ან მომსახურების გატანა საერთაშორისო ბაზრებზე, უცხო ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებთან სავაჭრო ურთიერთობის ფარგლებში. ექსპორტის განხორციელება აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ზრდის სავალუტო შემოსავლებას და ხელს უწყობს ეროვნული წარმოების სტიმულირებას.

* * *

2025 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 9 790.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.3 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2 594.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 14.6 პროცენტით), ხოლო იმპორტი – 7 196.1 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 12.8 პროცენტით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წლის იანვარ-მაისში 4 601.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47.0 პროცენტია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2024-2025 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

ცხრილი 1[4]

		ექსპორტი		იმპორტი	
		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)	ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2024*	იანვარი	338 627.5	-26.2	1 102 549.5	-1.2
	თებერვალი	464 708.9	2.0	1 181 518.3	10.6
	მარტი	522 744.5	-4.4	1 227 708.5	-10.9
	აპრილი	437 193.1	-12.6	1 452 396.3	18.6
	მაისი	501 302.9	-7.5	1 413 798.1	6.3
	ივნისი	580 823.6	5.6	1 360 316.6	1.3
	ივლისი	684 008.0	29.8	1 568 501.9	18.4
	აგვისტო	641 687.1	30.1	1 456 201.2	3.2
	სექტემბერი	615 588.1	17.0	1 443 423.5	4.4
	ოქტომბერი	681 712.8	39.0	1 553 719.0	14.2
	ნოემბერი	542 527.4	12.6	1 515 905.5	16.9
	დეკემბერი	549 436.1	6.8	1 709 881.8	24.9
2025*	იანვარი	403 853.1	19.3	1 696 444.8	53.9
	თებერვალი	431 504.3	-7.1	1 223 196.4	3.5
	მარტი	562 182.8	7.5	1 495 176.2	21.8
	აპრილი	616 833.2	41.1	1 439 085.1	-0.9
	მაისი	580 095.5	15.7	1 342 208.3	-5.1

*წინასწარი მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2025 წლის პირველ თვეებში ექსპორტის მაჩვენებლებმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა განსაკუთრებით **აპრილსა და მაისში**, სადაც ზრდის ტემპი შეადგინა შესაბამისად **41.1%** და **15.7%** წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ეს მიუთითებს საგარეო ბაზრებზე ქართული პროდუქციის მოთხოვნის ზრდაზე ან მაღალი ღირებულების ექსპორტის ზრდაზე. იმპორტის თვალსაზრისით კი განსაკუთრებით საგრძნობია **იანვრის თვეში ფიქსირებული მკვეთრი ზრდა — 53.9%**, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია მსხვილი იმპორტით ახალი წლის შემდგომ პერიოდში ან კონკრეტული საქონლის ჯგუფებზე მომატებული მოთხოვნით.

2025 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.4 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (567.4 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (330.6 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (282.3 მლნ. აშშ დოლარი).

[4] ეს და ნაშრომში გამოყენებული სხვა ცხრილები შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 2

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2025 წლის იანვარ-მაისის ექსპორტის მიხედვით

	2024* წლის იანვარი-მაისი		2025* წლის იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	**2 264 576.9**	**100.0**	**2 594 468.9**	**100.0**	**14.6**
მათ შორის:					
ყირგიზეთი	360 162.5	15.9	567 433.9	21.9	57.5
ყაზახეთი	274 769.0	12.1	330 616.8	12.7	20.3
აზერბაიჯანი	251 264.1	11.1	282 318.9	10.9	12.4
რუსეთი	273 096.1	12.1	247 050.4	9.5	-9.5
სომხეთი	225 311.7	9.9	198 477.3	7.7	-11.9
თურქეთი	175 111.8	7.7	136 156.1	5.2	-22.2
ჩინეთი	113 733.5	5.0	133 300.1	5.1	17.2
ბულგარეთი	26 975.5	1.2	80 996.7	3.1	200.3
უზბეკეთი	43 761.8	1.9	64 003.7	2.5	46.3
შვეიცარია	43 210.4	1.9	45 813.9	1.8	6.0
დანარჩენი ქვეყნები – სულ	477 180.7	21.1	508 301.3	19.6	6.5

2025 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 72.2 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: აშშ (1 095.9 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (1 075.1 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (808.6 მლნ. აშშ დოლარი).

ცხრილი 3

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2025 წლის იანვარ-მაისის იმპორტის მიხედვით

	2024* წლის იანვარი-მაისი		2025* წლის იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
იმპორტი – სულ	**6 377 970.7**	**100.0**	**7 196 110.8**	**100.0**	**12.8**
მათ შორის:					
აშშ	722 945.3	11.3	1 095 904.8	15.2	51.6
თურქეთი	1 086 386.4	17.0	1 075 086.7	14.9	-1.0
რუსეთი	733 130.2	11.5	808 560.7	11.2	10.3
ჩინეთი	578 671.6	9.1	707 078.4	9.8	22.2
გერმანია	452 486.0	7.1	462 949.2	6.4	2.3
გაერთიანებული სამეფო	59 984.8	0.9	348 605.9	4.8	481.2
აზერბაიჯანი	247 238.7	3.9	240 615.5	3.3	-2.7
იტალია	168 834.6	2.6	170 424.1	2.4	0.9
იაპონია	170 512.0	2.7	159 375.2	2.2	-6.5
საფრანგეთი	124 009.6	1.9	128 921.1	1.8	4.0
დანარჩენი ქვეყნები – სულ	2 033 771.4	31.9	1 998 589.0	27.8	-1.7

*წინასწარი მონაცემები.

2025 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 211.2 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (1 132.8 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (1 055.6 მლნ. აშშ დოლარი).

2025 წლის იანვარ-მაისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 974.7 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 37.6 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 136.5 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 5.3 პროცენტი), ხოლო სპირტიანი სასმელები მესამე ადგილზეა 98.4 მლნ. აშშ დოლარით (3.8 პროცენტი).

ცხრილი 4

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

	2024* წლის იანვარი-მაისი		2025* წლის იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	**2 264 576.9**	**100.0**	**2 594 468.9**	**100.0**	**14.6**
მათ შორის:					
მსუბუქი ავტომობილები	739 663.4	32.7	974 655.0	37.6	31.8
ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები	73 148.5	3.2	136 514.5	5.3	86.6
სპირტიანი სასმელები	104 316.8	4.6	98 374.1	3.8	-5.7
ყურძნის ნატურალური ღვინოები	140 663.4	6.2	97 767.9	3.8	-30.5
ფეროშენადნობები	105 625.1	4.7	73 953.2	2.9	-30.0
მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატების გარეშე	65 147.6	2.9	73 668.1	2.8	13.1
მინერალური და გაზიანი წყლები, შაქრის შემცველობით	45 416.4	2.0	63 206.2	2.4	39.2
აზოტოვანი სასუქები	52 472.3	2.3	52 910.3	2.0	0.8
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	45 800.5	2.0	47 252.3	1.8	3.2
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	41 394.7	1.8	47 129.3	1.8	13.9
დანარჩენი საქონელი – სულ	850 928.0	37.6	929 037.9	35.8	9.2

*წინასწარი მონაცემები.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2025 წლის იანვარ-მაისში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში მსუბუქი ავტომობილები კვლავ ლიდერობს და შეადგენს ექსპორტის 37.6%-ს, 974.7 მლნ აშშ დოლარით, რაც წინა წელთან შედარებით 31.8%-ით არის გაზრდილი. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნებსა და კონცენტრატებზე – 86.6%-ით, რაც მიუთითებს მაღალი ღირებულების პროდუქციის ზრდაზე ექსპორტში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი შემცირდა, მათ შორის საზღვარგარეთ წარმოებული საქონელი (–30.5%) და

ფერმენტირებული სასმელები (–30.0%), რაც შესაძლებელია შემცირებული მოთხოვნით ან მიწოდების შეზღუდვებით იყოს გამოწვეული. საერთო ჯამში, ექსპორტი გაზრდილია 14.6%-ით, რაც პოზიტიური ტენდენციის მაჩვენებელია.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2025 წლის იანვარ-მაისში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 1 298.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 18.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 494.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სურათები, ნახატები და პასტელების (ხელით შესრულებული) 481.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.7 პროცენტი).

ცხრილი 5

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში

	2024* წლის იანვარი-მაისი		2025* წლის იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
იმპორტი – სულ	**6 377 970.7**	**100.0**	**7 196 110.8**	**100.0**	**12.8**
მათ შორის:					
მსუბუქი ავტომობილები	1 177 803.1	18.5	1 298 756.9	18.0	10.3
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	513 948.9	8.1	494 552.3	6.9	-3.8
სურათები, ნახატები და პასტელები, ხელით შესრულებული	167.1	0.0	481 179.1	6.7	287 840.0
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	265 639.0	4.2	275 192.7	3.8	3.6
ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები	215 978.7	3.4	232 234.7	3.2	7.5
სატელეფონო აპარატები და აპარატები მონაცემების გადაცემისა და მიღებისთვის, სადენიანი და უსადენო კავშირისათვის	123 991.5	1.9	115 553.9	1.6	-6.8
სატვირთო ავტომობილები	83 515.7	1.3	78 454.5	1.1	-6.1
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან	52 163.4	0.8	66 619.8	0.9	27.7
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	64 272.0	1.0	61 482.4	0.9	-4.3
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	140 506.2	2.2	54 707.0	0.8	-61.1
დანარჩენი საქონელი – სულ	3 739 985.1	58.6	4 037 377.3	56.1	8.0

*წინასწარი მონაცემები.

იმპორტი ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას, ტექნოლოგიების იმპორტს და მომხმარებლის არჩევანის გამრავალფეროვნებას, თუმცა ჭარბმა იმპორტმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ წარმოებაზე.

ექსპორტი უზრუნველყოფს ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ვალუტის მოზიდვას, ზრდის დასაქმებას და აუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს.

სტრატეგიული შეფასება და პერსპექტივები

პოზიტიური დინამიკა: 2025 წელს საგარეო ვაჭრობაში მომდევნო ზრდის ტენდენცია გაგრძელდა და პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა წლების მაჩვენებლებს.

სავაჭრო დეფიციტი ამოწურავს 45–50 %-ს ვაჭრობის მთლიან მოცულობაში, რაც მიუთითებს იმპორტზე დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ავტომობილებისა და ენერგომატარებლების მიმართულებით.

ექსპორტის კონცენტრაცია – მსუბუქი ავტომობილებისა და ზოგჯერ ერთჯერადი, მაღალი ღირებულების ექსპორტებზე (მაგალითად, ძვირფას მეტალებსა და ხელოვნების პროდუქტებზე) დამოკიდებულება ზრდის რისკებს.

პარტნიორების მრავალფეროვნება: ექსპორტში ყირგიზეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი, იმპორტში აშშ, თურქეთი, რუსეთი – ამ დინამიკიდან ჩანს რეგიონული და გლობალური ურთიერთობების დაწყებული დივერსიფიკაცია.

2025 წელს საქართველო საგარეო ვაჭრობის ზრდის მასშტაბურ დინამიკას განაგრძობდა. ექსპორტისა და იმპორტის ზრდის მიუხედავად, სავაჭრო დეფიციტი კვლავ მაღალია და ხელს უწყობს სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის საჭიროებას. სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმპორტის შემცირების სტრატეგიულ ნაბიჯებს, ექსპორტის კონცენტრაციის შემცირებას მრავალფეროვანი სექტორების მიმართულებით და ინფრასტრუქტურული პროექტების სრულად გამოყენებას ქვეყნის ეკონომიკური რეზილენციის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

1) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
2) Civil.ge
3) BMG – ბიემჯი.

Giorgi Bregvadze

EXPORT AND IMPORT IN GEORGIA
Summary

This paper analyzes the dynamics of export and import in Georgia between 2024 and 2025, with a focus on the January–May 2025 period. It explores key statistical indicators of foreign trade, trade turnover structure, trade deficit scale, major trading partner countries, and main commodity groups. The study highlights the economic impact of exports and imports on competitiveness and outlines strategic perspectives. It concludes with recommendations to promote trade diversification and strengthen Georgia's economic resilience.

Javanshir Burhanzadeh

ECONOMIC RECOVERY IN POST-CONFLICT AREAS OF AZERBAIJAN: INVESTMENT POTENTIAL AND MANAGEMENT STRATEGIES

Annotation. *The post-conflict areas of Azerbaijan (especially Karabakh and East Zangezur) have significant investment potential in terms of economic, social and infrastructure development. The article discusses the rehabilitation and reconstruction work carried out in Karabakh and East Zangezur and analyzes the investments directed to the post-conflict areas of Azerbaijan. The need for specific approaches, investment management strategies and efficient use of resources for the economic rehabilitation of these areas is emphasized.*

Keywords: *post-conflict areas, Karabakh, East Zangezur, rehabilitation and reconstruction, investment activity, investment management strategies.*


İntroduction

Economic recovery in our post-conflict areas is of paramount importance for the long-term development of Azerbaijan after its independence. The economic security of the Karabakh and East Zangezur regions is directly linked to the diversification of the non-oil sector. Post-war recovery activities are not limited to the repair of infrastructure, but are also of great importance in terms of the creation of new economic opportunities. This approach links the goal of recovery not only with the restoration of physical infrastructure, but also with the development of human capital. Without a doubt, one of the most important obstacles delaying the recovery and reconstruction process in our liberated territories is the contamination of the territory with mines.

Main part

Chart 1. shows the observed figures for areas cleared of mines and unexploded ordnance during 2021–2024, clearly showing how the scale and intensity of the process have changed. In 2021, the cleared area was 22,846.6 hectares, which is an indication of the activities carried out in the initial phase. In the following year, i.e. 2022, this figure increased sharply to 41,019.5 hectares, a jump of approximately 89.6% compared to the previous year [8]. In 2023, the cleared area increased to 53,693.8 hectares, with a growth rate of 26.6%. This is a reflection of some stabilization after the high growth of the previous year and a transition to more complex areas. In 2024, the cleared area reached 62,023.9 hectares, with a growth rate of 15.6%. It is clear from this that although the volume of cleared area increases each year, the growth rate is gradually decreasing. This is explained by the clearing of easier and more accessible areas in the initial stage, while as the process progresses, demining activities are carried out in areas that are risky and technically difficult.

Chart 1. Areas cleared of mines in our post-conflict areas



Source: *Compiled by the author based on information from MTM (https://mtm.az/).*

Overall, the total area cleared of mines and unexploded ordnance increased by more than 171% from 2021 to 2024, which indicates significant achievements in the direction of security and land restoration across the country. The indicators show that the clearance work is being carried out systematically, consistently and on a large scale, and the continuation of this process is of great importance from both humanitarian and socio-economic perspectives. An analysis conducted by the Mine Action Agency of the Republic of Azerbaijan (ANAMA) based on official data released by it

shows that 179,186 hectares of land have been cleared of mines and unexploded ordnance over the past 4 years (2021-2024). According to the Action Plan of the "I State Program on the Great Return to the Liberated Territories of the Republic of Azerbaijan", it is noted that by the end of 2026 the area of demined areas in the liberated territories will reach 280 thousand hectares. Based on this, we can say that currently 64% of this work has been completed.

Table 1. Completed highways in our post-conflict areas

	Tartar–Sugovushan–Talysh highway	28,5
	"Victory Road"	101
	New alternative highway without entering Lachin city	22
	Talish–Tapgaragoyunlu–Gashalti sanatorium highway	22
	Barda-Agdam highway	44,5
	Fuzuli-Hadrut highway	12,3
	Hajigabul–Bahramtepe–Minjivan–State border with Armenia section of the highway	61,4

Source: *Compiled by the author based on data from AAYDA (http://www.aayda.gov.az/).*

Currently, in accordance with the "First State Program on the Great Return to the Liberated Territories" and the orders signed by President Ilham Aliyev, work is continuing to reconstruct the road infrastructure in the liberated regions. Within this framework, the design and construction of 45 highways with a total length of 3,382.6 kilometers is being carried out. To date, the construction of 7 highways from these projects has been fully completed, and their total length is 315.9 kilometers. In addition, the construction of a 24.2-kilometer section of the Shukurbayli-Jabrail-Hadrut highway, which is planned to be 39.7 kilometers long, has already been completed [6]. According to current data, a significant increase in the number of hydroelectric power stations in Karabakh and East Zangezur is observed by "Azerenergy" OJSC. By the end of 2024, 32 hydroelectric power stations were commissioned in the region, and a total of up to 550 million kilowatt-hours of environmentally friendly, renewable "green energy" were produced through these stations. Next year, i.e. in 2025, an additional 11 new hydroelectric power stations are planned to be commissioned [3].


These facts show that "Azerenergy" OJSC continues its activities in a systematic and phased manner towards the formation of green energy zones, which contributes to the expansion of sustainable and environmentally friendly energy production in the region. According to information as of January 2025, the process of phased resettlement of the population to the territories liberated from occupation in the post-conflict period continues. To date, a total of 2,708 families, i.e. 10,665 people, have permanently settled in these territories. The largest number of resettlements was recorded in Fuzuli district - 822 families (3,132 people) were resettled here. 368 families (1,386 people) were resettled in Shusha city, and 570 families (2,090 people) were resettled in Lachin. 44 families (169 people) were resettled in Khojaly city, 357 families (1,483 people) in Jabrayil, 20 families (90 people) in Talish village of Aghdara district, 175 families (871 people) in Aghaly village of Zangilan district, 59 families (215 people) in Sus village of Lachin district, and 217 families (823 people) in Zabukh village were permanently resettled. Also, 76 families (406 people) were resettled in the village of Ballıca in the Khojaly region [7].

These indicators reflect the planned and consistent implementation of the Great Return process. At the same time, reconstruction and restoration works are being carried out at a high pace in a total of 100 settlements, including 8 cities, 8 settlements and 84 villages, within the framework of the "First State Program on the Great Return". In addition, the foundations of 4 major industrial and agropark projects have been laid in the Karabakh and East Zangezur economic regions and their construction continues. These projects include the "Araz Valley Economic Zone" Industrial Park in Jabrayil, the "Agdam Industrial Park" in Agdam, the "Lachin Agro and Industrial Park" in Lachin

and the “Dost Agropark” in Zangilan. In addition, modular medical institutions, schools and kindergartens are being built in the liberated territories to develop social infrastructure. All these steps are aimed at creating a sustainable living environment in the region and improving the well-being of the population. The volume of work carried out in the post-conflict areas of our republic in 2021-2023 is very large. It should be noted that our republic is carrying out these reconstruction and restoration works at its own expense, without any financial support from abroad.

Diagram 1 depicts the investments directed to our liberated territories in 2021-2023. Karabakh and East Zangezur received $1.29 billion in 2021, $2.41 billion in 2022, and $3.71 billion in 2023. The volume of investments directed to our post-conflict territories increased by 87% in 2022 compared to the previous year, and by 54% in 2023 [2].

Diagram 1. Fixed capital investments in our post-conflict areas (in billions of US dollars)




Source: *Compiled by the author based on the indicators of the Statistical Bulletin "Construction in Azerbaijan" / 2024.*

Looking at Diagram 2, we can see that investments in post-conflict areas in the period 2021–2023 demonstrate a rapid growth dynamics overall. This growth varies both by sector and by year. While investments in agriculture per sector were $7,637.1 thousand in 2021, they increased to $204,922.5 thousand in 2023. This is an increase of approximately 27 times and indicates a significant increase in interest in agriculture. This increase is associated with the clearance of land from mines and the realization of agricultural potential. While investments in the industrial sector were $67,664.8 thousand in 2021, this figure increased 8 times to $540,523.8 thousand in 2023. This reflects steps aimed at building industrial potential and supporting local production. The construction sector is one of the areas experiencing the greatest growth. While $149,748.0 thousand was invested in this area in 2021, it increased by about 5 times in 2023 to $750,426.1 thousand. This is mainly due to the restoration and construction of infrastructure - roads, buildings, social facilities. Investments in the field of trade and repair of vehicles have been unstable. In 2021, $1,300.0 thousand was invested, in 2022 this figure decreased to $117.6 thousand (an approximately 11-fold decrease), but in 2023 it increased to $6,932.8 thousand (an approximately 5.3-fold increase compared to 2021). This change is explained by the fact that in the initial years the main focus was on infrastructure and production. The area that attracted the most investment is the transport and warehousing sector. In 2021, $960,404.0 thousand, in 2022, $1,904,656.9 thousand, and in 2023, $2,001,266.1 thousand were invested [2]. The stable and high growth in this area indicates that the establishment of transport links and the development of logistics infrastructure in the liberated territories is a priority.

One of the important turning points in terms of accelerating economic development in post-conflict regions is the widespread use of digital technologies. The development of digital infrastructure in the liberated territories of Azerbaijan will make a significant contribution not only to the realization of economic potential, but also to the promotion of foreign investment [3].

Diagram 2. Investments in sectors of the economy in post-conflict areas (in thousand US dollars)



	2021	2022	2023
Agriculture	7637,1	31766,6	204922,5
Industry	67664,8	134403,6	540523,8
Construction	149748	197155,2	750426,1
Trade & Transport Repair	1300	117,6	6932,8
Transport & Storage	960404	1904656,9	2001266,1
Other Sectors	110457,6	147377,1	181882,5

Source: *Compiled by the author based on the indicators of the Statistical Bulletin "Construction in Azerbaijan" / 2024.*

At the same time, the basis of economic revival in post-conflict regions is purposeful and sustainable development plans. Diversification of the economic structure and the application of innovative approaches play a key role in ensuring the long-term economic stability of Karabakh and East Zangezur. This recovery process should include the implementation of strategies aimed not only at solving current problems, but also at ensuring future economic sustainability. In addition, the efficient use of existing resources in areas such as industry, agriculture and tourism is also the main basis for development [4]. The transition to renewable energy sources is of strategic importance from both an ecological and economic perspective. The steps taken by Azerbaijan in the field of alternative energy will not only strengthen domestic energy security, but also regional and international energy cooperation. This approach not only enhances the country's position and geostrategic importance in the international arena, but also stimulates its participation in large-scale energy and transport projects [5].

In general, the development of the investment climate in the post-conflict regions of Azerbaijan is not limited to the restoration of physical infrastructure. The development of human resources, digitalization, stimulation of alternative energy sectors and the introduction of innovations are the main factors ensuring the sustainable economic growth of these territories. Coordinated activities in the indicated directions will make these regions even more attractive for both local and foreign investors. In this regard, there is a need to develop investment management strategies in the post-conflict regions of Azerbaijan to increase the efficiency of investment activities and attract foreign investments to our liberated territories.

Formation of investment management strategies in the post-conflict regions of Azerbaijan

In the liberated territories of Azerbaijan, the development of effective investment management strategies is of particular relevance in terms of ensuring economic revival, reintegration of these regions into the national economy and realization of sustainable development. As a result of long-term occupation, these territories have been almost completely destroyed in terms of infrastructure, socio-economic activity has been minimized, and investment attractiveness has been seriously damaged. In such conditions, complex and strategic approaches are needed to restore investor confidence and ensure a continuous flow of capital. First of all, it is important to improve the legal and institutional framework. The creation of a legal system that reliably protects the rights of foreign investors, ensures the resolution of disputes through international arbitration mechanisms, and minimizes risks is the main condition for confidence in the investment environment. For this purpose, it is necessary to bring the existing investment legislation into line with international standards and introduce administrative mechanisms operating on the principle of a *"single window"* for investors. At the same time, it is important to develop effective investment promotion mechanisms. Investors' financial risks can be reduced through instruments such as tax and customs incentives, state guarantees, insurance programs, interest-free or low-interest loans. These incentive mechanisms should include ongoing support not only at the initial stage, but also during the implementation of projects. Investment models based on sustainable development and green technologies should be selected as a priority direction in the rehabilitation of post-conflict areas. The rehabilitation process should not be limited to the reconstruction of physical infrastructure alone, but should be consistent with concepts such as preserving ecological balance, *"smart villages" and "green energy zones"*. In this context, cooperation with foreign technological partners is of great importance for wind, solar and hydropower projects [1]. Expanding regional and international cooperation can contribute to the faster development and integration of post-conflict areas. The geo-economic importance of these areas can be increased, especially through the creation of joint economic zones with business entities of neighboring countries, the activation of regional trade routes and the establishment of joint logistics centers. At the same time, technical and financial support from international donor organizations should be widely used. Modernization of infrastructure plays a fundamental role in the development of the investment climate. The establishment of high-quality highways, railways, energy and water supply systems, digital communication and logistics networks will increase the effectiveness of investment projects by reducing the technical and operational costs of investors. The formation of human capital and the efficient use of local resources should be at the forefront of strategic investment management plans.

Conclusion

As a result of professional training of the local population, the launch of higher education institutions in the region, the establishment of research centers and the promotion of innovative entrepreneurship, the domestic market will also become attractive for foreign investments. A single ***"Regional Investment and Innovation Strategy"*** should be adopted for the post-conflict regions of Azerbaijan, and a special ***"Investment Map"*** should be prepared within the framework of this strategy. This map should present sectoral advantages, available resources, and investment opportunities in detail for specific areas, and digital platforms that provide real-time information to investors should be put into use. Consequently, the formation of an investment climate in the post-conflict areas of Azerbaijan is a multifaceted and complex process. Steps taken in such areas as improving the legal framework, introducing innovative and green technologies, regional cooperation and restoring infrastructure will not only ensure economic revival, but also condition the sustainable development of these areas in terms of social well-being and regional stability.

REFERENCES

1. Burhanzade, J. (2024). Foreign investment sources for the "Green Energy" sector in Azerbaijan's post-conflict territories. The role of the National Leader Heydar Aliyev in the environmental restoration in Azerbaijan. Scientific-Practical Conference on Environmental Restoration in Azerbaijan, 312-314.

2. Burhanzade, J. (2024). Analysis of investment activity in the post-conflict territories of Azerbaijan and directions for increasing investment attractiveness. Economic Growth and Public Welfare, (3), 114–119.
3. Hajiyeva, N., Aliyeva, L., & Rustamov, E. (2023). Digital transformation and investment attraction in Karabakh. Journal of Regional Development, 11(1), 45–60.
4. Macid, A., Mammadli, Z., & Huseynov, R. (2023). Innovative strategies in post-conflict economic recovery. Post-Conflict Economics Journal, 9(3), 78–92.
5. Gasymly, R. (2023). Resource efficiency and sectoral development in liberated territories. Economic Studies Quarterly, 14(2), 115–132.
6. http://www.aayda.gov.az/
7. https://idp.gov.az/
8. https://mtm.az/

მაია გოგოხია

მოსახლეობის დანაზოგების როლი ეკონომიკაში და მისი ტრანსფორმაცია

ანოტაცია. *კაცობრიობის ევოლუციის ყოველ მომდევნო ეტაპთან ერთად, სამეცნიერო ცოდნის დაგროვების კვალობაზე, მოსახლეობის დანაზოგების ცნების გაგება უფრო კომპლექსური და მრავალასპექტიანი გახდა. ნაშრომში განხილულია მოსახლეობის დანაზოგების ფორმირების განსხვავებული ხერხები, ფუნქციები, დამზოგველ ქცევაზე მოქმედი ფაქტორები, შემნახველი ქვოტა, შემნახველი ფუნქციის მოდიფიკაციები, თანამედროვე შემნახველი პროცესების განმსაზღვრელი ფაქტორები. აქცენტი კეთდება სხვადასხვა ქვეყანაში დაზოგვის სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებზე, საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რაც დაზოგვის პროცესებს აფერხებს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის დანაზოგების საკითხს საქართველოში.*

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობის დანაზოგები, დანაზოგების ფუნქციები, შემნახველი ქვოტა, მთლიანი შიდა დანაზოგი, დაგროვებითი საპენსიო სქემა.*

შესავალი

მსოფლიო ცივილიზაციურმა პროცესებმა უშუალო გავლენა მოახდინა მოსახლეობის დანაზოგის არსის გაგებაზე. თუ ძველი აღმოსავლეთის მეცნიერები დანაზოგების ფორმირებაში პრიორიტეტს ანიჭებდნენ მისი დაგროვების ზნეობრივ მხარეს, ანტიკურ პერიოდში - ნატურალურ-სამეურნეო და ფულად ურთიერთობებს, რაც აღმოცენდება დაგროვების პროცესში, შუა საუკუნეების მეცნიერებმა კი წინა პლანზე დააყენეს ქრისტიანული და ეთიკური ასპექტები, თანამედროვე მკვლევრების ანალიზის ცენტრში კი დანაზოგების მაკროეკონომიკური არსის რთული ასპექტებია.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა წყაროში კატეგორია - ,,მოსახლეობის დანაზოგები“, განიხილება ,,მოსახლეობის ფულადი დანაზოგების“ ანალოგად, მაგრამ განსახილველი ცნებების არსში ჩადებულია დანაზოგის დაგროვების აბსოლუტურად განსხვავებული ფორმები. გარდა ამისა, ზოგიერთ ნაშრომში შეიძლება გამოყენებული იყოს ტერმინები - ,,შინამეურნეობების დანაზოგები“ და ,,პირადი დანაზოგები“. მოცემულ შემთხვევაში, დანაზოგების არსის შეფასებისას ხდება ინდივიდუალური და ოჯახური მიდგომის დაყოფა.

დანაზოგების მაკროეკონომიკური არსი

ტერმინი - ,,მოსახლეობის დანაგროვი“, უფრო ტევადია, ვიდრე ,,მოსახლეობის დანაზოგები“, რამეთუ მოიცავს და გულისხმობს აქტივების ფართო სპექტრს - მატერიალური, თუ სხვა სახეობის რესურსებს, მაშინ როცა ,,მოსახლეობის დანაზოგი“ ტრადიციულად გულისხმობს და ავტორების უმეტესობის მიერ განიხილება როგორც ,,მოსახლეობის დანაგროვის“ ფულადი მდგენელი.

ყოველ მომდევნო ეპოქაში, განსახილველ სფეროში სამეცნიერო ცოდნის თანდათანობით დაგროვებასთან ერთად, დანაზოგების ცნების გაგება უფრო კომპლექსური და მრავალასპექტიანი გახდა.

ჯ. კეინზის მოსაზრებით, დანაზოგები მოხმარებაზე ხარჯებზე - შემოსავლების გარდა - მეტია, მოხმარება პირველადი დანაზოგის სიდიდეს განსაზღვრავს, დანაზოგის ფორმა კი - ფულადია.

მოსახლეობის დანაზოგში იგულისხმება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ერთობლიობის ის ნაწილი, რაც იმყოფება ფიზიკური პირების (შინამეურნეობების) განკარგულებაში ან პირდაპირი (არაპირდაპირი) კონტროლის ქვეშ და წარმოდგენილია სხვადასხვა დონის ლიკვიდურობის აქტივებით, ასევე, ფორმირებულია შენახვის ან/და ინვესტირების მიზნით.

მოცემული განსაზღვრება მიუთითებს დანაზოგების როლზე ეროვნულ, ანუ ცალკეული სახელმწიფოების დონეზე. ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის დანაზოგები სახელმწიფოს მთლიანი საფინანსო სისტემის განუყოფელი ნაწილია, მათ შორის - ქვეყნის საბანკო სექტორის ერთ-ერთი წამყვანი რესურსი.

თანამედროვე სამყაროში მოსახლეობა დანაზოგების ფორმირების მრავალფეროვან ხერხს ფლობს. პრინციპული მომენტი ის არის, რომ დანაზოგების ფორმირების მთელი მრავალფეროვნება დინამიკურია დროში. ამა თუ იმ პერიოდში ხდება დანაზოგების ,,გადადინება“ ფულადი ფორმიდან ქონებრივში და პირიქით, იცვლება კომერციულ ბანკებში აკუმულირებული ფულადი სახსრების სიდიდე. ბანკებს მოსახლეობისთვის მიმზიდველი საპროცენტო-ფასობრივი და სადეპოზიტო-აკუმულაციური სტრატეგიების რეალიზებით შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ აღნიშნული პროცესების დინამიკაზე.

ფულადი და ქონებრივი, საბანკო და არასაბანკო დანაზოგების თანაფარდობის პრობლემები საკმარისად ფართოდაა გაშუქებული სამეცნიერო, პუბლიცისტურ (და მხატვრულ) ლიტერატურაში და პრაქტიკულად არ ჩამოდის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გვერდებიდან. მაშინ, როცა დანაზოგების მოტივირებულობის საკითხებს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

კარგად არის ცნობილი, რომ დაზოგვის პროცესები მაკროეკონომიკური კონიუნქტურის ფარვატერში მიმდინარეობს და წარმოადგენს ერთგვარ ბარომეტრს, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას ასახავს (გოგოხია მ., 2007:32).

მკვლევარ-ეკონომისტების შეხედულებებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკაში დანაზოგების შემდეგი ფუნქციები:

- მაკროეკონომიკური (ხდება მიმდინარე მოთხოვნის სტაბილიზება და გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფორმირება პერსპექტივისთვის);

- სოციალური (მოსახლეობის დანაზოგები განიხილება, როგორც მათი მატერიალური დაცვის ინსტრუმენტი პერსპექტივაში, ერთგვარი ,,უსაფრთხოების ბალიში“);
- საინვესტიციო (დანაზოგები ინვესტიციების წყაროა);
- ფინანსური (დანაზოგების სიდიდე და ხასიათი დამოკიდებულია სახელმწიფოს ფინანსურ პოლიტიკაზე);
- ანტიინფლაციური (მოსახლეობის დანაზოგები ერთგვარად ,,გადაქაჩავს“ ფულადი მასის ნაწილს მიმდინარე მოხმარების ბაზრიდან, ამცირებს რა გადახდისუნარიან მოთხოვნას).

კლასიკური დანაზოგების მიზანია ფინანსების შენახვა (შენარჩუნება), ინსტრუმენტებს კი წარმოადგენს: ნაღდი ვალუტა (ეროვნული და უცხოური), დეპოზიტები, სახსრები საბროკერო ანგარიშებზე, სავალო ფასიანი ქაღალდები, აქციები და სხვა მონაწილეობა კაპიტალში, სადაზღვევო და საპენსიო დანაზოგები და ა.შ.

ამგვარად, მოსახლეობის დანაზოგებში იგულისხმება არამხოლოდ მოქალაქეების შემოსავლის გარკვეული ნაწილი, არამედ ის მრავალასპექტიანი კატეგორია, რაც მოიცავს როგორც განსხვავებული ლიკვიდურობის აქტივებს, ასევე, დაზოგვის განსხვავებულ მიზნებს. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაში მოსახლეობის დანაზოგების მნიშვნელობა მის ფუნქციებში ვლინდება, კერძოდ, მაკროეკონომიკური (მოთხოვნის სტაბილიზება), სოციალური (,,უსაფრთხოების ბალიშის“ ფორმირება) და სხვ.

დამზოგველ ქცევაში იგულისხმება ინდივიდების ან შინამეურნეობების ქცევა, მიმართული ფულადი სახსრების დაზოგვასა და მათ გააზრებაზე, როგორც დანაზოგი. შემნახველ ქცევაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რაც შეიძლება დაიყოს ეკონომიკურ, ფინანსურ, სოციალურ-დემოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებად.

ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება: მოსახლეობის შემოსავლების დონე, მოხმარების საგნების წარმოება, მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურის ცვლილება, ფასების დონე და ინფლაცია, მოსახლეობის ნდობა სახელმწიფოსადმი, საკრედიტო სისტემის განვითარება. დანაზოგთა შემოსავლიანობა, შინამეურნეობების დავალიანების სიდიდე, დაბეგვრის დონე, ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა - ფინანსურ ფაქტორებს მიეკუთვნება. სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორებია: მოსახლეობის სტრუქტურა და დემოგრაფიული ზრდა, ოჯახის რიცხოვნობა, შემადგენლობა, განათლება და სიდიდე, სოციალური სტატუსი. ფსიქოლოგიურ ფაქტორებში მოიაზრება ადათ-წესები და მენტალიტეტი.

დაზოგვითი პროცესები შეიძლება დახასიათდეს ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორით, როგორიცაა შემნახველი ქვოტა _ ფულადი მარაგების ნამატის შეფარდება წმინდა ფულად შემოსავლებთან, გამოხატული პროცენტებში.

ეკონომიკური ობიექტების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის პოზიციებიდან, შემნახველი ქვოტის მომავალი ცვლილების ტენდენციის გამოვლენა, უაღრესად აქტუალური ამოცანაა, რომელსაც აქვს არამხოლოდ თეორიული, არამედ, პრაქტიკული ასპექტი (გოგოხია მ., 2007: 32).

შემნახველი ქვოტის ცვლილების კანონზომიერებები ეფუძნება დანაზოგთა თეორიას, რომელიც ვითარდება, როგორც ეკონომიკური მეცნიერების შემადგენელი ნაწილი. დანაზოგთა თეორიის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი დიდი პერიოდი: კეინზიანელობამდე (გრეგორი კინგი, ადამ სმითი, ალფრედ მარშალი), კეინზიანური, თანამედროვე. კეინზის მიერ ჩამოყალიბებული დანაზოგთა კონცეფციის განმასხვავებელი ნიშანი იყო ადამიანის ხასიათის ფსიქოლოგიური, სუბიექტური

თავისებურებების გათვალისწინება, რაც შემნახველი პროცესების ძირითად კანონზომიერებებს განსაზღვრავს.

მიუხედავად შემნახველი ფუნქციის მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციისა, რაც დანაზოგების შემოსავლებზე დამოკიდებულებას ასახავს, თანამედროვე მკვლევრების უმეტესობის მიერ აღიარებულია მისი არასაკმარისი დონე. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გამოცდილება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ შემოსავლების გარდა დანაზოგების სიდიდეზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც. ამასთან, მათი ერთობლივი მოქმედება შესაძლოა უფრო არსებითი აღმოჩნდეს და ისეთი ,,ანომალიური“ სიტუაციები განაპირობოს, როდესაც მაღალი შემოსავლები ეხამება დაბალ შემნახველ ქვოტას და, პირიქით, დაბალ შემოსავლებს თან ახლავს დანაზოგთა მაღალი დონე. აღნიშნული გარემოება მოითხოვს დაზოგვის ერთფაქტორიანი მოდელებიდან მრავალფაქტორიანზე გადასვლას, რაც დამახასიათებელია დანაზოგთა მესამე პერიოდისათვის. დანაზოგთა თეორიის უფრო რთულ მოდელებზე გადასვლა ფაქტობრივად დაიწყო მ. ფრიდმენის კვლევებით.

ძირითად ფაქტორთა რიცხვს, რაც თანამედროვე შემნახველ პროცესებს განსაზღვრავს, მიეკუთვნება:

- სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა და მისი პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური ორიენტირებულობა;
- სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობა;
- მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებული მოხმარების სტერეოტიპების ინფრასტრუქტურულ-საბაზრო თავისებურებები;
- მოხმარების სტრუქტურის კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანკებისთვის მისამართად მოსახლეობას უნდა ჰქონდეს დარწმუნებულობა საბანკო სისტემის მდგრადობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაძლიერდება იმ დანაზოგების შემცირების ტენდენცია, რაც ბანკებში ინახება, უცხოური ვალუტით დანაზოგების წილი კი გაიზრდება.

დაზოგვის სტრატეგიები და ინსტრუმენტები

მოსახლეობის დანაზოგების ზრდის ყველა ფაქტორიდან, ეკონომისტები დღეისათვის გამოყოფენ ძირითად მოტივებს:

- სიბერის უზრუნველყოფა;
- სიფრთხილე;
- დაზოგვა მემკვიდრეობით გადაცემის მიზნით;
- გადადებული მოთხოვნა.

დანაზოგების ძირითად მოტივად ხშირად თვლიან ღირსეული სიბერის უზრუნველყოფას. ამასთან, სიცოცხლის მანძილზე დაზოგვის და მოხმარების განაწილებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან ძირითადია:

- მოქმედი საპროცენტო განაკვეთი, ინდივიდის მიდრეკილება რისკისადმი;
- სხვადასხვა შემოსავლის სარგებლიანობის შეფასების პიროვნული სკალა;
- კაპიტალის ბაზრის ეფექტიანობა, განვითარება და ხელმისაწვდომობა.

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევების შედეგად, მოსახლეობის ცხოვრებისეული ციკლის მოდელი აჩვენებს, რომ მოსახლეობა აგრძელებს დანაზოგების ფორმირებას პენსიაზე გასვლის შემდგომაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება სურვილს მემკვიდრეობით გადასცეს საკუთარი დანაზოგი.

უცხოეთის ქვეყნებში მოსახლეობის შემნახველი ქცევა სხვადასხვა ფაქტორებს ემორჩილება, ასე მაგალითად, გერმანიაში მოსახლეობა უპირატესად აკეთებს დანაზოგებს მომავალი პენსიისათვის და ბავშვების სწავლისათვის; შვედეთში, უპირველეს ყოვლისა, აყალიბებს საკუთარ საპენსიო ფონდს; დიდ ბრიტანეთში მოსახლეობა ზოგავს ფულს ბავშვების სწავლისათვის და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ა.შ.

სხვადასხვა მიზეზის გამო, უცხოეთის ქვეყნებში მოსახლეობის ფულადი დანაზოგების დაგროვების ინსტიტუტი უფრო განვითარებულია. დაზოგვის სტრატეგიები ძალზე მრავალფეროვანია, რაც, კერძოდ, განპირობებულია ცალკეული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ბევრ ქვეყანაში გამოყოფენ დანაზოგების შემდეგ ფორმებს:

1) ,,ფორს-მაჟორული“ დანაზოგები, რაც გულისხმობს მოქალაქეთა დანაზოგს ,,უსაფრთხოების ბალიშის“ ფორმირების მიზნით, გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, აღნიშნული კატეგორიისათვის დამახსიათებელია მათი ლიკვიდურობის დაბალი დონე და დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათი. უცხოეთის ქვეყნების უმეტესობაში განსახილველი დანაზოგები ფორმირდება შესაბამისი სადაზღვევო პოლისების გაფორმებით. დაზღვევის სუბიექტებია: არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ. საქართველოში დანაზოგთა ეს კატეგორია, არც თუ დიდი ხანია, რაც გავრცელდა;

2) მიმდინარე დანაზოგები - ფორმირებული მოქალაქეთა ბიუჯეტის რეგულარული საშემოსავლო ნაწილის ხარჯზე. ის ხშირად მოკლევადიანი ხასიათისაა. დანაზოგთა აღნიშნული კატეგორია მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დანაზოგები აკუმულირდება მიმდინარე (მოთხოვნამდე) დეპოზიტებსა და საბანკო ბარათებზე;

3) დანაზოგები, განკუთვნილი სამომხმარებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაშინ ფორმირდება, როცა მოქალაქეებს არა აქვთ აუცილებელი სახსრების გარკვეული რაოდენობა (მაგ. უძრავი ქონების შესაძენად). ამ დანაზოგების დიდი ნაწილი გროვდება ვადიან საბანკო ანაბრებზე;

4) საინვესტიციო დანაზოგები. ინვესტირების კულტურა დამახასიათებელია მაგ. აშშ-ის მოქალაქეებისათვის. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, აღნიშნული კატეგორია აღწევს დანაზოგთა სამომხმარებლო ,,პორტფელში“ საქართველოშიც. აქ აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ განწყობასა და დარწმუნებულობას, რაც განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთი დანაზოგები სხვადასხვაა: როგორც გრძელვადიანი, ასევე, მოკლევადიანი, ფინანსური (მაგ. ფასიანი ქაღალდები) და მატერიალური (მაგ. უძრავი ქონება).

მოსახლეობის დანაზოგების ფორმირების უცხოეთის გამოცდილება ხასიათდება დაზოგვის განსხვავებული სტრატეგიებითა და სახეობებით, რაც განსახილველი ინსტიტუტის მაღალ განვითარებას უკავშირდება, ეს კი, თავის მხრივ, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, კაპიტალის ბაზრის აქტიური ტრანსფორმაციით, ციფრული ტექნოლოგიების შეღწევის მაღალი დონით და სხვ.

მოსახლეობის დანაზოგები არამხოლოდ მოქალაქეთა შემოსავლის გარკვეული ნაწილია, არამედ მრავალასპექტიანი კატეგორიაა, რაც მოიცავს როგორც განსხვავებული ლიკვიდურობის აქტივებს, ასევე დაზოგვის განსხვავებულ მიზნებს.

მოსახლეობის დანაზოგების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის იმ ფუნქციებით ვლინდება, რომელსაც ის ასრულებს: მაკროეკონომიკური (მოთხოვნის სტაბილიზება), სოციალური (,,უსაფრთხოების ბალიშის“ ფორმირება) და სხვ.

გამოყოფენ მოსახლეობის დაზოგვითი ქცევის სხვადასხვა ფაქტორს (როგორც საქართველოს ეკონომიკაში, ასევე - უცხოეთში). ძირითადად ის ოთხ ჯგუფად იყოფა: ეკონომიკური, ფინანსური, სოციალურ-დმოგრაფიული და ფსიქოლოგიური. ამასთან, დანაზოგების ფორმირების ძირითადი ფაქტორებია: სიბერის უზრუნველყოფა, გადადებული მოთხოვნა, სიფრთხილე და დაზოგვა მემკვიდრეობით გადაცემის მიზნით.

ამგვარად, ინოვაციური უსაფრთხოება იხსნება ისეთი კატეგორიების გზით როგორიცაა ინოვაციურობა, ინოვაციური ეკონომიკა, სტაბილურობა, ინოვაციური პროცესების მდგრადობა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკური უნარი თვითგანვითარებისადმი და ინოვაციებისადმი, ეფექტურობა, გლობალიზაცია. მათ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოს ინოვაციური განვითარება ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისად, საგარეო ბაზარზე აქტიური მონაწილეობა და დომინირება, ინტეგრაცია მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში [9].

ინოვაციური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კატეგორიების არსი შემდეგში მდგომარეობს:

- ინოვაციური ეფექტურობა – ეროვნული ეკონომიკური სისტემის ინოვაციური ტრანსფორმაცია მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინოვაციური თვისებების მინიჭება შიდა და გარე ბაზრებზე, როგორიცაა კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა;
- კონკურენტუნარიანობა – უნარი აწარმოონ ინოვაციური საქონელი და მომსახურება, რომელიც შიდა და გარე ბაზრებზე სარგებლობს მოთხოვნით;
- ეკონომიკური დამოუკიდებლობა – ინოვაციური ეკონომიკის ისეთი მდგომარეობის ეფექტიანობის, საქონლისა და მომსახურების ხარისხის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობას და საშუალებას იძლევა თანაბარ პირობებში მიიღონ მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში, კორპორაციულ კავშირებში, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური მიღწევების გაცვლაში და საბოლოოდ გაატარონ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა;
- ეკონომიკის სტაბილურობა და მდგრადობა გულისხმობს ეკონომიკის ზრდის საკმაოდ მაღალ ტემპებს, სამეცნიერო და სამეწარმეო ინოვაციური აქტიურობისათვის საიმედო პირობებისა და გარანტიების შექმნს, იმ ფაქტორების შემუშავებას, რომლებიც იწვევენ სიტუაციის დესტაბილირებას;
- ეკონომიკის უნარი თვითგანვითარებისა და ინოვაციური პროგრესისაკენ მოიცავს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების კეთილსასურველი კლიმატის შექმნას ინოვაციებისათვის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებისათვის, წარმოების მუდმივი ინოვაციური განვითარებისათვის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის, ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდას, ცოდნის ეკონომიკის შექმნას, ადამიანური რესურსების ეფექტურ გამოყენებას [6].

ინოვაციის მასობრივი გენერაციისა და ინოვაციური ეკონომიკის შექმნის მთავარ მამოძრავებელ ძალად გამოდის მაღალხარისხოვანი და კრეატიული ადამიანისეული კაპიტალი. უმეტესობა მეცნიერებისა, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლისას, გადამწყვეტ როლს ხედავენ ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების მოწინავე განვითარებაში. ხოლო მნიშვნელოვან მიმართულებად სახელმწიფოს, საწარმოს თვითმმართველობის ორგანოების, ჯანდაცვის, კულტურის, მეცნიერების მრავალ-წახნაგოვანი და მიზანმიმართულ მიმართულებად უნდა გახდეს ადამიანის ფორმირება – მოქალაქის, რომელიც ათვითცნობიერებს თავის მდგომარეობას სოციალურ ყოფაში.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინოვაციური უსაფრთხოება – სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ინოვაციური უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტად გამოდიან მისი შემდეგი სახეები:

- სამეცნიერო-ტექნოლოგიური (მეცნიერების უნარი მოახდინოს ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გენერირება);
- საგანმანათლებლო (განათლების სისტემის უნარი მოახდინოს კადრების მომზადება ინოვაციური ეკონომიკისა და მეცნიერების სფეროში სამუშაოდ). ადამიანისეული კაპიტალი თამაშობს ცენტრალურ როლს ინოვაციური პროდუქტების წარმოებაში, წარმოების ინტელექტუალიზაციასა და ინფორმატიზირებაში;
- ფინანსური (საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის მდგრადობა ინოვაციური განვითარების ფინანსირების უზრუნველსაყოფად);
- საწარმოო (ხასიათდება ინოვაციების ათვისებისადმი საწარმოო ბაზის არსებობით);
- სოციალურ-დემოგრაფიული (რომელიც ასახავს იმ სპეციალისტების შრომის ბაზრის განვითარებას, რომლებსაც შეუძლიათ მუშაობა ინოვაციური ეკონომიკის, კულტურის პირობებში; თანამედროვე განვითარებისადმი ხელმისაწვდომობა).
- საგარეო ეკონომიკური (უნარი აწარმოონ კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქცია რომელიც უნდა გახდეს გლობალური ინოვაციური სისტემის ორგანული ნაწილი, ყოველ შემთხვევაში ეკონომიკური ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებით) [4].

ინოვაციური უსაფრთხოების ფენომენი დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური ობიექტების განვითარებასთან და წარმოადგენს მის წარმოებულს.

ამგვარად, სახელმწიფოს ინოვაციური უსაფრთხოების არსს თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ინოვაციური და სოციალური-ეკონომიკური სისტემების მდგომარეობა, დინამიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები ადამიანს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რომლებიც საშუალებას იძლევა ობიექტურად განისაზღვროს და ეფექტურად მოხდეს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ინოვაციური განვითარების ინტერესების რეალიზება; იმ საშიშროებების აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლიან ინოვაციური განვითარების გზას, საშიშროებები პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის; მთლიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს ყოფიერების სტაბილურობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ობიექტების არსებობის საფუძველი; ინოვაციური სისტემის განვითარების გარანტირება, როგორც გადასვლა პროგნოზირებიდან არსებულში – რეალურ მდგომარეობაში; პირობების შექმნა თვითშენარჩუნებისათვის, ნაწილების ერთიანობის კვლავწარმოება ეროვნული ინოვაციური სისტემის ფარგლებში და როგორც მთლიანობა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში [1].

ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეალიზდება განსაზღვრული პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობით: ეროვნული ინოვაციური სისტემის სტაბილურობა და მდგრადობა, მისი უნარი თვითრეგულირებისადმი, თვითორგანიზაციისა და თვითგანვითარებისათვის, სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორტების ზემოქმედებისას, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას შეინარჩუნოს თავის ხარისხი.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე და აგრეთვე ინოვაციური უსაფრთხოების მთავარი თვისებიდან – სისტემურობიდან, ინოვაციური უსაფრთხოების სისტემაში აუცილებელია ჩავრთოთ ცხრა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი ქვესისტემები (ინოვაციური ციკლის სტრუქტურის მიხედვით), რომლებიც ინოვაციური საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თითოეულ ციკლზე (ეტაპზე) ფუნქციებითა და ამოცანებით შეესაბამებიან:

1. განათლება და კადრები – კადრების მომზადება და გადამზადება ინოვაციური საქმიანობისათვის;

2. მეცნიერება – სამეცნიერო საქმიანობისათვის ინოვაციის წარმოებისათვის ინოვაციური პროდუქციისა და ტექნოლოგიებისათვის, ახალი სამეცნიერო იდეებისა და შემუშავებისათვის პირობების შექმნა;

3. ინოვაციური ინფრასტრუქტურა – ინვესტიციების მოზიდვა ინოვაციურ საქმიანობაში, მენეჯმენტი, მარკეტინგი;

4. ფინანსური ინფრასტრუქტურა – ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური სახსრებით;

5. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა – ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

6. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – უფლებების დაცვა გამოგონებებზე, ინოვაციური მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებზე;

7. სამრეწველო – წარმოების მომზადება ინოვაციის დასანერგად და ინოვაციური-სამეცნიერო ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური შემუშავებების დასანერგად;

8. კონსალტინგური – ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური შემუშავების შედეგების მხარდაჭერა და წინ წაწევა, ინოვაციური პროდუქტის სამამულო და საზღვარგარეთულ ბაზრებზე;

9. რეალიზაცია და კომერციული გამოყენება – ინოვაციური სამეცნიერო შემუშავებების ბაზრებზე გატანა.

ინოვაციური უსაფრთხოების ზემოთ ჩამოთვლილი ქვესისტემები და მისი არსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინოვაციური უსაფრთხოების კატეგორია წარმოადგენს კომპლექსურს და უნდა განიხილებოდეს როგორც სისტემა, რომელიც ყოველ სტადიაზე ტარდება კონკრეტული ღონისძიებების ინოვაციური ციკლის ფორმირების უსაფრთხოებისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვუზრუნველყოთ ეროვნული ინოვაციური ეკონომიკისა და ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების უსაფრთხო პირობები. ინოვაციური უსაფრთხოების სისტემის ძირითადი ელემენტები ინოვაციური საქმიანოის ქვესისტემების სხვადასხვა დონეებზე არის: ობიექტები, სუბიექტური ჯგუფი, უსაფრთხოების ფაქტორები და საშიშროებები, ქვესისტემები, მიზნები და სისტემები მთლიანად, ინტერესების რეალიზებისა და საშიშროების გაფრთხილების ფუნქციები და მექანიზმები [8].

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი შეხებაშია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, ცვლის მიზნების მიღწევის ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ ეკონომიკის განვითარების პრინციპული ამოცანები იგივე რჩება: მდგრადობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური

დამოუკიდებლობა, ეკონომიკის უნარი თვითგანვითარებისა და პროგრესისაკენ, უსაფრთხოება. ამასთან ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიის თვალსაზრისით, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოდგეს არსებული ეროვნული ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის პერმანენტული დარღვევა. ამასთან დაკავშირებით, უმეტესობა მეცნიერებისა, რომლებიც იდგნენ ინოვაციური თეორიის საწყისებთან და იკვლევდნენ ინოვაციურ საქმიანობას, თავისი კვლევები მიუძღვნეს ეკონომიკური სისტემის წონასწორობის, მდგრადობის, სტაბილურობის, წონასწორული მდგომარეობის პრობლემების შესწავლას. ინოვაციური თეორიის ფუძემდებელი ი. შუმპეტერი ახალი ინოვაციური სისტემების ფორმირებისას გადამწყვეტ როლს ანიჭებს წონასწორული მდგომარეობის შესწავლას. იგი აღნიშნავს რომ ინოვაციური საქმიანობა, რომელიც შეიძლება მდგომარეობდეს ახალი ბაზრების გახსნაში, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებაში, ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიების დანერგვაში, სისტემის წონასწორების მდგომარეობიდან გადანაცვლებაში. ეს უპირველეს ყოვლისა ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პერიოდში არღვევს უსაფრთხოების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას –მდგრადობას.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გლობალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც ხდება წარმოების ფაქტორების განსაზღვრული კრიტიკული ზღვარის გადალახვა ტრანსნაციონალურ მობილობაში. მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის ტოტალური (სინერგიული) გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე, რომლებიც შედეგად იძენენ ხარისხობრივად ახალ, ადრე უცნობ, მახასიათებლებს და განვითარების თავისებურებებს. აღნიშნული მოვლენები აუცილებელია გავითვალისწინოთ ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პირობებში წარმოშობა მრავალი მიზეზი, გასაკუთრებით საწყის ეტაპზე, პარამეტრული ცვლილებების წარმოსაქმნელად, რომლებსაც გამოყავთ სისტემა წონასწორებული მდგომარეობიდან. ეკონომიკური სისტემის ასეთი არამდგრადობა მოითხოვს წარმოშობილი რისკების და გამოწვევების ანალიზს და ადეკვატურ რეაგირებას ინოვაციური უსაფრთხოების ჩარჩოებში.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში ინოვაციური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველია. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტული სფეროების შემუშავება. სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების კონტექსტში, ზოგიერთი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისა და ინოვაციების ეფექტურად მართვის შესაძლებლობა, სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ინოვაციური უსაფრთხოება არის ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და ტექნოლოგიური საქმიანობის შედეგების დაცვას, ასევე ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, მისი მუდმივი ზრდისა და კონკურენტუნარიანობის პირობების შექმნას საერთაშორისო ასპარეზზე. ინოვაციური გარემო თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტია და ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ინოვაციური ეკონომიკის, ფორმირების მთლიანი ციკლისა და სისტემის შესანარჩუნებლად წონასწორ მდგომარეობაში, აუცილებელია პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციური ასპექტების ურთიერთკავშირი. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სახელმწიფოს, რომელიც თამაშოს მთავარ როლს ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებისას, მათი ფუნქციების, წესების დადგენისას, ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერისას. აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნისას ინოვაციური ეკონომიკის ახალ პირობებში ფუნქციონირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Балабанова Н.В. Мировой опыт государственного регулирования инновационных процессов. 2012. https://cyberleninka.ru/article/n/mirovoy-opyt-gosudarstvennogoregulirovaniya-innovatsionnyhprotsessov/viewer
2. Богачев Ю.С., Киселев В.Н. Механизмы стимулирования, под держки и развития инновационной деятельности. ж. „Экономика и управление“. 3, 2015.
3. Воронецкая Л. Г. Зарубежный опыт стимулирования инновационного предпринимательства. https://www.researchgate.net/publication/335928177 175
4. Жигайло В.В. Зарубежный опыт развития инновационной деятельности. https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnyy-opyt-razvitiya-innovatsionnoy-deyatelnosti
5. Климова Н.В., Ларина Н.В. Зарубежный опыт стимулирования инновационной деятельности в промышленном секторе. Журнал- Фундаментальные исследования. – 2014. – № 6 (часть 7) – С. 14421446.
6. Мильгуй Т.П. Инновационная безопасность как основа экономической безопасности страны. Economy and business: Theory and Practice, vol. 11-2(117), 2024.
7. Сакович В.А.,Бровка Г.М. Инновационная безопавсность: основные понятия, сущность. Белорусский национальный технический университет, 2016.
8. Сизов, Ю. И. Экономическая безопасность региона: регионализация, устойчивость бизнеса, стратегия / Ю. И. Сизов. М.: Наука, 2004. 310 с.
9. Сенчагов, В. К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие / В. К. Сенчагов. М.: ЗАО «Финстатинформ», 2002. С. 38.
10. Текенов У.А., Дауренбекова А.Н., Текенов А.У. Зарубежный опыт регулирования инновационных процессов и его адаптация в условиях казахстанской экономики. ж. Вестник КазЭУ. Алматы. 2016.
11. Шимов, В. Н. Инновационное развитие экономики Беларуси: движущие силы и национальные приоритеты / В. Н. Шимов, Л. М. Крюков. Минск: БГЭ, 2014. С. 15–16.
12. Экономическая безопасность: теория, методология, практика / В. Г. Булавко [и др.]; под науч. ред. П. Г. Никитенко, В. Г. Булавко. Минск: Право и экономика, 2009. С. 397–399.

[Электронный ресурс] Режим доступа: www.Pandia. ru/texst/77/195/40526.php.

13. Held, D. Globalization Theory: Approaches and Controversies / D. Held D., A. McGrew. Cambridge: Polity. 2007. 288 p.
14. Scholte, J. A. Encyclopedia of Globalization / J. A. Scholte, R. Robertson. N.-Y.; London: Routledge, 2006.

Tea Lazarashvili
Lina Datunashvili
Teimuraz Gogokhia

INNOVATIVE SECURITY AS A KEY DETERMINANT OF COUNTRY'S ECONOMIC SECURITY

Summary

In most countries of the world, research has been ongoing for a long time on national and ecological security. In addition, innovation in these studies is considered as a key component of economic or scientific-technical security. During this time, a methodology for studying economic and scientific-technical security has been developed, a cognitive apparatus and the structure of the categories of "national security", "scientific-technical security" and "innovative security" have been formed.

Despite the fact that a lot of research has been conducted on the problem of security, it is important to note that a systematic study dedicated to the study of problems of ensuring national security in the conditions of innovative development has not been conducted to date. This especially applies to the processes of ensuring the interconnection between national security and innovative activities, the formation of the concept of innovative security and its implementation in practice.

Keywords: innovative security, economic security, innovations.

მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური
ქეთევან ქველაძე

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სურსათის უსაფრთხოების უზრყნველყოფა და მისი სამართლებრივი რეგულირება. ავტორს განხილული აქვს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო საკითხები, როგორც უცხოეთში, კერძოდ ევროკავშირში, ასევე საქართველოში. აქ მითითებულია ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ამათუ იმ ქვეყნის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში ეხმარებიან მათ არსებული პრობლემების მოგვარებაში. როგორიცაა, ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება, შესწორება და განახლება სურსათის კონტროლის და ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა საერთაშორისო სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ნაშრომში მითითებულია სურსათის უვნებლობის აღსრულების მექანიზმები (ინსპექტირება აუდუტი, ჯარიმები, სანქციები და სხვ.), რომელთა მიზანია სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება.*

ავტორი ასკვნის, რომ ნაშრომში „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში“-დან გამომდინარე მათი რეგულირება არსებული კანონმდებლობის დახვეწის გზით უნდა მოხვდეს, და ეს უდაოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო უსაფრთხოება, სამართლებრივი რეგულირება, უსაფრთხო კვება, კანონი, საერთაშორისო ორგანიზაცია.*

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში იზრდება ყველა ქვეყნის დაინტერესება მონაწილეობა მიიღოს სურსათის მსოფლიო წარმოების პროცესებში.

მიმდინარე ტენდენციები, რაც მსოფლიო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, განაწილებასა და გასაღებაში შეინიშნება, ხელს უწყობს მოთხოვნის გაზრდას უფრო ეფექტიან, კოორდინირებულ და მობილურ სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სისტემის შექმნაზე ნებისმიერ ქვეყანაში.

პირველად ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“1970-იან წლებში გაჟღერდა და მას შემდეგ მისი შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. დღესდღეობით მას გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO (Food and Agriculture Organization) შემდეგნაირად განმარტავს:

„სასურსათო უსაფრთხოება“ ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.

სასურსათო უსაფრთხოების პირველადი განმარტება, რომელიც მსოფლიო სასურსათო სამიტზე 1974 წელს იქნა შემუშავებული, მეტწილად სურსათის მიწოდებასა და ფინანსურ ხელმისაწვდომობას უსვამდა ხაზს: „სასურსათო უსაფრთხოება მიღწეულია მაშინ, როდესაც მუდმივად არსებობს საბაზისო სურსათის საკმარისი ხელმისაწვდომობა, რაც უწყვეტ მოხმარებას უზრუნველყოფს და წარმოებისა და ფასების დაბალანსებას უწყობს ხელს”.

სასურსათო უსაფრთხოების საკითხი როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის საკმაოდ აქტუალურია. მან უთუოდ შეიძინა საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგან კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ნებისმიერი ქვეყნისათვის თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო ბაზარზე. თუმცა გამართული სასურსათო პოლიტიკის ორგანიზება განსაკუთრებით აქტუალურია შედარებით ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში, რომლებიც განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან და სასურსათო პოლიტიკისა და რეგულირების სრულყოფას საჭიროებენ.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის საწარმოო პოტენციალზე აგრარულ სექტორში, აქ მოზიდული ინვესტიციების მოცულობაზე,სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა უდაოდ ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. იგი არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის და არსებობს იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ იგი იქნეს ათვისებული, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად და სხვა სახელმწიფოებისაგან იზოლირებულად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული წარმოებით, ამიტომაც იმპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს სურსათის უზრუნველყოფას, სურსათის ხელმისაწვდომობასა და სურსათის მოხმარებას.

სურსათის უზრუნველყოფა სურსათის საკმარისობის იდენტურია, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი მოიცავს ეროვნულ წარმოებას, იმპორტსა და დანაზოგებს. სურსათის ხელმისაწვდომობა გულისმობს, რომ ინდივიდს აქვს საკმარისი წვდომა საკვებთან, რადგანაც სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ხშირად სურსათის ხელმისაწვდომობის არასაკმარისობაში უფრო გამოიხატება, ვიდრე სურსათის არარსებობაში ქვეყანაში. რაც შეეხება სურსათის მოხმარებას, იგი

გულისმობს, მოსახლეობის მიერ ბიოლოგიურად ადექვატური და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვებითი ღირებულების შემცველი პროდუქციის მოხმარებას.

ყველა ქვეყანაში საკვების წარმოება რეგულირდება კანონებისა და რეგულაციების ერთობლიობით. არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგ. FAO, რომლებიც მოთხოვნის შემთხვევაში, ეხმარებიან მთავრობებს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებაში, შესწორებაში ან განახლებაში, ასევე რეგულაციების განხორციელებაში, რათა გაძლიერდეს სურსათის კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემები საერთაშორისო სამართლისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა Codex Alimentarius Commission, (მოცემული ორგანიზაცია წარმოადგენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთობლივ კომისიას) უზრუნველყოფენ ძირითად ჩარჩოს, რომლის გამოყენებაც ქვეყნებს შეუძლიათ სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობის შესამუშავებლად. ეს საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის სურსათის ეტიკეტირებას, ჰიგიენურ პრაქტიკას და დამაბინძურებლების დასაშვებ დონეს. მათი დახმარებით ხდება ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოების შესაბამისობაში მოყვანა Codex Alimentarius-ის სტანდარტებთან, სახელმძღვანელო პრინციპებთან, რომლებიც საერთაშორისო დონეზე სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეტალონს წარმოადგენე. სასურსათო უსაფრთხოება სასურსათო უვნებლობასაც მოიცავს. ჯანსაღი და უვნებელი სურსათის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომელმაც კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლოს კერძო სექტორთან და აქტიურად ჩაერთოს წარმოების სრულ პროცესში, რაც გულისხმობს მეწარმეებისათვის კონსულტაციებსა და ინფორმაციულ უზრუნველყოფას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნების მხარდაჭერა, რომელთა უდიდესი ნაწილი სასურსათო პროდუქციის მწარმოებელია.

სურსათის უვნებლობის ძირითადი კანონები მოიცავს კანონების ფართო სპექტრს, რომლებიც შექმნილია სურსათის უსაფრთხო წარმოების, დისტრიბუციისა და მოხმარების უზრუნველსაყოფად. ეს კანონები ადგენს მინიმალურ სტანდარტებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად და სურსათის მიწოდების მიმართ მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნებას ემსახურება.

სურსათის უვნებლობის აღსრულების მექანიზმები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის წესების დაცვას. ეს მექანიზმები, როგორც წესი, მოიცავს ინსპექტირებას და აუდიტს, ჯარიმებსა და სანქციებს, ასევე უკან გამოხმობის პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას.

მარეგულირებელი ორგანოები რეგულარულად ატარებენ ინსპექტირებას და აუდიტს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად. ეს შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეტყობინების გარეშე და შეიძლება მოიცავდეს დაწესებულებებში საკვების დამუშავების, შენახვისა და მომზადების ყველა ასპექტს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების პროტოკოლების დაცვას. დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება ჯარიმები და სანქციები, რაც ხაზს უსვამს სურსათის უვნებლობის შენარჩუნების მნიშვნელობას და ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების ზრდას სურსათის ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს შორის.

სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, შეიძლება ამოქმედდეს უკან გამოხმობის პროცედურები. მარეგულირებლებს შეუძლიათ განახორციელონ დაბინძურებული ან არასწორად ეტიკეტირებული საკვები პროდუქტების უკან გამოხმობა მომხმარებლების დასაცავად. ეს მექანიზმები ერთობლივად უზრუნველყოფენ სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის სტანდარტების დაცვას, რაც , თავის მხრივ, ამცირებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის რისკებს.

სასურსათო უსაფრთხოების ცოდნის და გამოცდილების გაღრმავების აუცილებლობა საქართველოსათვისაც პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი ექსპერტების კონსულტაციები და განსაკუთრებით ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სასურსათო უსაფრთხოების ერთიანი საკანონმდებლო სისტემის შექმნაში სახელმწიფოს პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. სხვადასხვა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწორი რეფორმების გატარება და შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება. კანონმდებლობის სრულყოფა ევრორეგულაციების და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენი ქვეყნისათვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ამასთანავე, უნდა შეიქმნას სასურსათო უსაფრთხოების მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რაც ემსახურება მაკროეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას და საბაზრო პრინციპების სრულყოფილად განხორციელებას და დიდად განსაზღვრავს სასურსათო უსაფრთხოების საერთო მდგომარეობას ქვეყანაში.

სწორე საერთაშორისო და ევროკავშირის გამოცდილებით შეიქმნა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მარეგულირებელი თანამედროვე და ეფექტიანი სამსახური, სურსათის ეროვნული სააგენტო (MES). მოცემული სამსახური შეაფასებს სასურსათო უსაფრთხოების შესახებ არსებულ მდგომარეობას და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს. აღნიშნული სააგენტო თავის საქმიანობაში პრიორიტეტს სასურსათო რისკების ანალიზს მიანიჭებს, რომელიც ევროკავშირის ერთიან მიდგომას, სურსათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, მართვასა და კომუნიკაციას გულისხმობს, რაც მრავალმხრივი ანალიზის განხორციელების საშუალებას იძლევა. საზოგადოდ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას რისკების ანალიზის ტრადიცია. რისკების შეფასება სასურსათო უსაფრთხოების მართვის პროცესში უმთავრეს საძირკველს წარმოადგენს, რაც ობიექტურ და სამართლიან შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს, ამასთანავე რისკების მართვის ფუნქციების გადანაწილება სისტემის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს და ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებას უწყობს ხელს. რისკების იდენტიფიკაცია დაფუძნებულია ობიექტურ, დამოუკიდებელ შეფასებებზე, ხოლო რისკების მართვა, მათი კომუნიკაცია და გავრცელება უკვე სახელმწიფოს პრეროგატივა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საგანია. იგი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით ფუნქციონირებს.

ქვეყანაში აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს სასურსათო უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონი, რომელიც შეეხება როგორც აღნიშნული სამსახურის საქმიანობას, ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებსა და უფლებებს ამ საკითხის რეგულირებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფომ უნდა დანერგოს პოლიტიკა, თუმცა მისი აღსრულება და განხორციელება კერძო და არასამთავრობო სექტორისათვისაცაა ხელმისაწვდომი. საქართველოში კანონი სასურსათო უვნებლობის შესახებ 2006 წელს იქნა მიღებული, რამდენჯერმე იქნა მოდიფიცირებული და შეცვლილი სახით საბოლოოდ მისი ამოქმედება 2015 წლიდან

მოხდა. 2012 საქართველოს პარლამენტში მიღებული იქნა კანონი სახელწოდებით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 25 მაისიდან. საქართველოში ამავე წელს მიღებულ იქნა და ფუნქციონირებს: „ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, სადაც არაერთი ცვლილება იქნა შესული და ბოლო ოფიციალური რედაქცია 2024 წლით თარიღდება.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა საქართველოში ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელია. როდესაც ვსაუბრობთ სურსათის მოხმარებასა და მიღებული საკვების შემადგენლობის ხარისხზე, აღნიშნული საკითხები ქვეყანაში შემოსავლების ზრდისა და სიღარიბის დაძლევით შეიძლება აღმოიფხვრას. ჩვენთან ბოლო წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის პირობებში აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ჩართულობას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ამასთანავე, საერთაშორისო რეგულირებები სასურსათო უვნებლობისა და უსაფრთხოების დარგში. ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

დაბოლოს, საზოგადოების აქტიური ჩართულობა სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაში თანამედროვე პირობებში საკმაოდ აქტუალურია, სახელმწიფომ, კერძო და არასამთავრობო სექტორმა კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლონ მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობით, რადგანაც სასურსათო უსაფრთხოება თავისი არსით სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს, მისი უზრუნველყოფა ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი, ს. (2022). *სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში* [სადოქტორო დისერტაციის რეფერატი]. International Black Sea University. https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2022/05/Asatiana_georgian-abstract.pdf
2. Digicomply. (2022, March 15). *What are food safety regulations*. https://www.digicomply.com/blog/what-are-food-safety-regulations
3. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (n.d.). *Food laws & regulations*. https://www.fao.org/food-safety/food-control-systems/policy-and-legal-frameworks/food-laws-and-regulations/en/
4. 4-Check. (2021, October 7). *Food safety regulations and laws*. https://4-check.com/blog/food-safety-regulations-and-laws/
5. Laws Learned. (2023, February 12). *Ensuring compliance: Understanding food safety law standards*. https://lawslearned.com/food-safety-law-standards/
6. საქართველოს პარლამენტი. (2015). *სასურსათო პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონი* [კანონი №1659419]. საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=39
7. Ivannikov, N. S. (2019). *Food safety regulations in the Eurasian region*. *International Relations Journal*, (5), 72–80. https://internrelat.spbstu.ru/userfiles/files/5_-N_S_-Ivannikov-72-80.pdf
8. Euronews Georgia. (2024, April 24). *მსოფლიოში შიმშილის ზღვარზე მყოფი ადამიანების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 24 მილიონით გაიზარდა.* https://euronewsgeorgia.com/2024/04/24/msoflioshi-shimshilis-zgvarze-mkofi-adamianebis-raodneoba-gasul-tseltan-shedarebis-24-milionit-gaizarda/

Medea Melashvili
Nunu Kistauri
Ketevan Kveladze

SOME ASPECTS OF THE LEGAL REGULATION OF FOOD SAFETY ASSURANCE IN GEORGIA

Summary

This paper addresses the legal aspects of ensuring food safety in Georgia. It explores the legislative framework regulating food safety both in Georgia and the European Union, emphasizing the role of international organizations that support countries in addressing related challenges, including drafting, revising, and updating national legislation. The study highlights enforcement mechanisms such as inspections, audits, fines, and sanctions, aimed at maintaining high standards of food safety. The author concludes that improving existing legislation and regulatory frameworks is essential, as ensuring food safety is ultimately a state prerogative.

Keywords: food safety, legal regulation, safe food, law, international organization.

ზურაბ ნოზაძე

მაკროეკონომიკური საფრთხეების და გამოწვევების ძირითადი საკითხები საქართველოში

ანოტაცია. *სტატიაში მოცემულია თანამედროვე პირობებში მასკროეკონომიკაში არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას.*

გაანალიზებულია ეკონომიკური უსაფრთხოების რისკი და საშიშროება, რომელიც უარყოფითად მოქმედებენ ეკონომიკის განვითარებაზე და ქვეყნის სიძლიერეზე.

მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური განვითარება, უსაფრთხოების კონცეფცია, უსაფრთხოების რისკები, ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, კიბერ უსაფრთხოების გაძლიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მაკრო ეკონომიკური პოლიტიკა.*

საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნებაა დაამყარონ დემოკრატიული წესრიგი, ეკონომიკური თავისუფლება, კანონის უზენაესობით მართული სოციალური სახელმწიფო, უზრუნველყონ საყოველთაო ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა სხვა ქვეყნებთან. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ასახავს საქართველოს უსაფრთხოების გარემოში მომხდარ ცვლილებებს, ასევე მათ გავლენას ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეებსა და გამოწვევებზე. საქართველოს ეროვნული უსაფრთოხების კონცეფცია არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. საქართველოს

მთავრობა ამუშავებს და საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ზომებს, რათა უზრუნველყოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების დაცვა და ეროვნული ინტერესების წინსვლა, ასევე ადეკვატურად რეაგირებს ქვეყნის წინაშე არსებულ რისკებზე, საფრთხეებსა და გამოწვევებზე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქმნის საფუძველს კონკრეტული სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებისათვის, რომლებიც განახლდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილებებთან ერთად და შესაბამისობაში მოდის არსებულ სიტუაციასთან, რომელიც იქმნება ქვეყნის წინაშე. ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნლოვანია მაღალი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, ეს მიიღწევა ეკონომიკაში თავისუფალი ბაზრის პრინციპების დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტრული პოლიტიკით, ღია პარტნიორობა, თავისუფალი ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები საერთაშორისო სუბიექტებთან. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველო იცავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და პრინციპებს და თვლის, რომ უსაფრთხოება განუყოფელია, როგორც ქვეყნის მოქალაქეებს შორის ურთიერთობაში, ასევე საერთაშორისო სისტემაში საქართველო ისწრაფვის სახელმწიფო მდგრადი განვითარებისაკენ, თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნით, პასუხისმგებლიანი მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკით, ფოკუსირებული სოციალური პოლიტიკით, რომ შესაძლებელი გახდეს მოქალაქეებისათვის მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევა.

საქართველოს მიზანია შექმნას ეფექტური ეროვნული უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას და მისი მოქალაქეების უსაფრთხოების გაძლიერებას და გაუმჯობესებას. ქვეყნის მიზანია სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიღწევა.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ენერგორესურსებისა და სატრანსპორტო მარშრუტების შემდგომი დივერსიფიკაცია საქართველოსათვის პრიორიტეტულია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული სისტემების განვითარებისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერა, ასევე მათი რეგიონულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ინტეგრაცია. საქართველოს ენერგეტიკული სიმძლავრეების შემდგომი გაძლიერება დადებითად აისახება სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოსთვის რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა და უსაფრთხოების შენარჩუნება. საქართველო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს თავისი სატრანზიტო როლის გაძლიერებას, ამიტომ საქართველო მზადაა კიდევ უფრო აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საერთშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. გარემოს დაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასშტაბური შიდა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებისას.

საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული უნიკალურობის შენარჩუნება და განვითარება, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციისა და ჩართულობის ხელშეწყობა ქვეყნის

განვითარების პროცესში. საქართველო ქმნის საუკეთესო პირობებს ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის.

კიბერ სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული ინფორმაციის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ, კრიტიკული ინფრასტრუქტურა სულ უფრო მეტად ხდება მათზე დამოკიდებული, ამიტომ, კიბერდანაშაულთან ბრძოლა და კიბერშეტევებისგან დაცვა მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ინსტერესებისათვის.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია დემოგრაფიული უსაფრთხოება. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშწყობა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისაკენ სწრაფვა და შემდგომი რეინტეგრაციის წახალისება, ეს ყველაფერი დადებითად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და ხარისხზე.

დემოგრაფიული უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია საქართველოს სტაბილურ და მაღალ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასთან.

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის განმტკიცება, ქართული ენის შესწავლის მხარდაჭერა და დიასპორის ქართველების კულტურული იდენტობის შენარჩუნება.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირება და ხელი შევუწყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას. არსებული შესაძლებლობების გამოვლენა დაგვეხმარება უფრო მეტად მოვახდინოთ კონცენტრირება ქვეყნისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და გავზარდოთ საჯარო პოლიტიკის ეფექტურობა, რომ დავძლიოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები.

ეკონომიკური უსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. გლობალიზაციისა და ქვეყნებსა და კომპანიებს შორის მზარდი კონკურენციის კონტექსტში, აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და ეროვნული ინტერესების დაცვა.

ეკონომიკური უსაფრთხოება თითოეული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, თანამედროვე პირობებში, სადაც ეკონომიკურ სფეროში სწრაფი ცვლილებები ხდება, უსაფრთხოების საკითხები სულ უფრო მწვავე ხდება ეს გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების მზარდი რაოდენობით. ეკონომიკური პრობლემები შეიძლება იყოს გლობალური მასშტაბის და გავლენა მოახდინოს გლობალურ ეკონომიკასა და უსაფრთხოებაზე, მსოფლიოში მძიმე პრობლემად რჩება კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა ენერგიის ხარჯების ზრდა, მოსავლიანობის შემცირება. გარდა ამისა ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება საფრთხე შეექმნას მათი ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, როგორიცაა წყალდიდობები, გვალვები და სხვა სტიქიური მოვლენები და უბედურებები.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემებით მოსავლიანობის შემცირებამ და ზღვის დონის აწევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეკონომიკური დანაკარგები და უსაფრთხოების საფრთხეები. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სათბურის გაზების გამოყოფის შემცირება და ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება, რომელიც შეამცირებს კლიმატის ცვლილების უარყოფით გავლენას ეკონომიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Алиев А.Б. «Исследование проблемы экономической безопасности промышленности и научно-технической сферы».
2. Глазьев С.Ю. «Основы обеспечения экономической безопасности страны».
3. Рыбаков Ф.Ф. «Промышленная политика и экономическая безопасность».
4. Фирова И.П., Титов В.А., Демидова М.Г. «Угрозы и риски Экономической безопасности, оказывающие влияние на управленческие решения».
5. Смирнова О.П. «Современное состояние экономической безопасности в технологически сопряженных видах деятельности».

Zurab Nozadze

KEY ISSUES OF MACROECONOMIC THREATS AND CHALLENGES IN GEORGIA

Summary

The article presents the problems of economic security in macroeconomics in modern conditions, which hinder the sustainable development of the economy.

Kristine Omadze

DIGITAL MONEY: HISTORY, DEVELOPMENT, AND CURRENT REALITY

Annotation. *Money has a long history in human society. Over the centuries, the monetary unit and its essence have changed. It has its own history in a separate country, and each currency is unique in itself. Initially, it was simply a natural exchange, which, due to the need for exchange, took the form of bartering one commodity for another. Later, humanity invented and introduced money. In the modern world, money, in addition to being a means of payment, is also a symbol of the country's independence and real sovereignty. Due to the high pace of globalization, the issue of the existence of an "international currency" is very relevant. We are currently witnessing the "Fourth Industrial Revolution", which is transforming various spheres, and the world economy is no exception. The Internet and modern technologies have laid the foundation for such a new concept as the digital economy. The digital economy is a whole range of economic, social and cultural activities that are carried out online, using modern information and communication technologies. In the digital economy, banking, trade, education, and other activities are carried out using the Internet and various technological devices. The digitalization of the economy has completely broken through the framework in which it was located and has established new rules of the game for international trade.*

Keywords: *Monet, Digital Currency, Bitcoin, Decentralization, Blockchain*

Money has a long history in human society. Over the centuries, the monetary unit and its essence have changed. It has its own history in a separate country, and each currency is unique in itself. Initially, it was simply a natural exchange, which, due to the need for exchange, took the form of bartering one commodity for another. Later, humanity invented and introduced money. In the modern world, money, in addition to being a means of payment, is also a symbol of the country's independence and real sovereignty.

Due to the high pace of globalization, the issue of the existence of an "international currency" is very relevant. We are currently witnessing the "Fourth Industrial Revolution", which is transforming various spheres, and the world economy is no exception. The Internet and modern technologies have laid the foundation for such a new concept as the digital economy. The digital economy is a whole range of economic, social and cultural activities that are carried out online, using modern information and communication technologies. In the digital economy, banking, trade, education, and other activities are carried out using the Internet and various technological devices.

The digitalization of the economy has completely broken through the framework in which it was located and has established new rules of the game for international trade.

In 1999, economist Milton Friedman predicted that the Internet would become the driving force that would completely change the rules of the game and globally weaken the role of governments. According to him, what the world lacks today, but will soon be created, is reliable electronic money that will allow people to send money to each other from anywhere in the world, even without trusting each other, and all this will happen without excessive control and interference from governments and banks.

Friedman's 1999 prediction came true in 2008, when the first cryptocurrency was created - Bitcoin. Bitcoin revolutionized the world, it was the first decentralized alternative digital currency, which was not backed by the state or the banking sector. No less important than the creation of Bitcoin was the creation of blockchain technology, which is the backbone of all cryptocurrencies. It is through the use of blockchain technology that cryptocurrencies achieve the long-awaited decentralization. The creation of cryptocurrency and blockchain technology has revolutionized the same way as the emergence of the Internet.

At this stage, the existing financial institutions and legal environment have not been developed with this technology in mind. Financial institutions and the legal world have adapted to work with old forms of currency. In conditions where cryptocurrencies and blockchain technology are used more and more widely every day and it is becoming increasingly obvious that transactions using cryptocurrencies will become a global norm, a complete reform of the legal and financial environment is needed.

To reform, it is necessary to understand what cryptocurrencies and blockchain technologies are, what are the mechanisms of their work, the legal, economic and technological nature, the state of legal regulation in the world, and so on. Those who were able to understand the main aspects of the principles of operation of blockchain networks quickly came to the conclusion that this technology and its subsequent development can significantly change the picture of the modern world order.

The document created in 2008 by Satoshi Nakamoto and the first practical implementation of blockchain technology, the "Bitcoin Project", went unnoticed by the world community at that time; only specialists noticed it. The real manifestation of interest in blockchain projects began in the first half of 2016.

The essence of cryptocurrency

In order to understand the essence of cryptocurrency, it is important to understand the history of its creation and the basis that prompted its creator to create cryptocurrency.

The idea of creating cryptocurrency was laid in 1980. American programmer David Chaum was studying the possibility of creating electronic money, his idea was to create an electronic currency that would make trade more secure and protected from third parties.

In his opinion, electronic money should acquire the properties of physical money, but with the difference that it would become more anonymous and it would be impossible to interfere in transactions between two parties.

The next person to share a similar idea was Nick Szabo, a doctor of computer science and computer science. In 1999, he presented his paper “Bit-Gold,” in which he argued that it was necessary to create a currency that did not require the intervention of a bank or government to issue or control it. Finally, this idea was realized in 2008, when Satoshi Nakamoto’s white paper “Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System” was released. This paper echoed the ideas of David Chaum and Nick Szabo and created the first decentralized digital currency that did not require third-party supervision and management.

It is an interesting question why a digital currency, or means of payment, was created that would completely eliminate the need for supervision and intervention by banks and the state. In order to answer this question, we need to look at how the world’s current monetary system works.

The modern monetary system is dominated by so-called “Fiat currency” paper money, which is not backed by or secured by gold or any other precious metals. Modern paper money functions as a means of payment on the basis of state laws, and it is the laws issued by the state that give legitimacy to money as a means of payment.

Trust in the law, the state, and the banking system are vital attributes of the functioning of the modern monetary system. After all, money has power only because people have faith that it will be exchanged for something of value. But what happens when this faith is shaken?

The decline in the authority of the state government and the banking system leads to a decrease in the purchasing power of money. The loss of authority is caused by a breach of trust, especially in cases where the history of currencies is full of facts of violation of this trust. We entrust money to banks, and they issue loans, taking risks with the entrusted money. There is also no doubt that the global economic crisis of 2008 caused great reputational damage to both banks and the governments that oversee them. In these circumstances, the financial sector is becoming the least trusted sector while trust in the technology sector is increasing. The creator of Bitcoin saw a crisis of trust and that is why he created a cryptocurrency that would replace trust with technology.

The concept and types of cryptocurrency

Defining the concept of cryptocurrency is not an easy task. Cryptocurrency, like blockchain, covers a wide range of technological developments. It is important to understand how different regulators at the European and international levels define cryptocurrency. According to the European Central Bank, cryptocurrency is a part of virtual currency that has a digital representation of value (a currency has a digital representation of value when it can be traded electronically, transferred or, in certain cases, used as an alternative to money) and is not issued by any bank.

According to the World Bank, cryptocurrency is a type of digital currency that has a digital representation of value and is different from E-money. According to the Anti-Money Laundering Group, cryptocurrency is a virtual currency that has a digital representation of value and that functions as: 1) a means of payment 2) a means of accumulation/storage of value.

According to the definition of the Bank for International Cooperation, cryptocurrency belongs to digital currencies that have the following characteristics: 1) A cryptocurrency is an asset whose value is determined by demand and supply. 2) Transactions are carried out without the need for their supervision, the need for trust in a third party is replaced by the use of blockchain technology. 3) Cryptocurrencies are not managed by any specific organization or person.

According to the definition of the European regulatory bank, cryptocurrency belongs to virtual currencies that have a digital representation of value, which is not issued by any bank or government body, but which is used by the population as a means of payment.

In summary, a cryptocurrency is a digital asset that is a medium of exchange that does not exist in physical form and is not controlled or issued by any state or banking authority.

It is important to distinguish between 2 types of cryptocurrency. 1) Cryptocurrency that has a two-way connection with the real economy. 2) Cryptocurrency that has no connection with the real economy.

A cryptocurrency that has a real connection with the economy is called a convertible virtual currency, it has an equivalent value in real currency and can be exchanged. A cryptocurrency that has no real connection with the economy is called a non-convertible virtual currency. It can only be used in the virtual world and does not have an equivalent value in real currency.

The first cryptocurrency is called Bitcoin, but besides it, there are several hundred other cryptocurrencies. All other cryptocurrencies except Bitcoin are called “Altcoins”. There are 2 types of so-called “Altcoins”. 1) They are based on the open Bitcoin protocol, but have some changes and have different features (improved) 2) They are not based on Bitcoin, have their own algorithm and protocol. CoinMarketCap is a website that lists all major cryptocurrencies, their prices, and the total market capitalization of cryptocurrencies.

Bitcoin Origin History and How It Works

When we talk about cryptocurrency, the first thing that comes to mind is Bitcoin. In order to fully understand how cryptocurrency works, it is necessary to delve into the history of Bitcoin, its essence, and the principles of its operation.

The most important aspect of Bitcoin may be the concept behind it. This concept is as follows: The global financial crisis of 2008 was the most severe crisis in world economic history since the Great Depression of 1929-33. Many of the world's leading financial institutions fell victim to the crisis (some went bankrupt, some survived only after significant state aid, and some were nationalized), and a number of important financial centers suffered as never before since World War II. The beginning of the crisis was associated with the subprime mortgage crisis in the US real estate market.

In the face of this crisis, the creator of Bitcoin decided that it was time to create a decentralized financial system that would significantly reduce the influence of states that failed to fulfill their supervisory role in the financial world. The creator of Bitcoin decided that it was time for a new monetary system that is so different from the current financial system that it is even called a disruptive force.

როგორც ცნობილია ნებისმიერი ვალუტის კურზე, მსყიდველობით უნარსა და ინფლაციურ „მიდრეკილებებზე“ სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას მისი სამოქმედო (გამოყენება-ფუნქციონირების) არეალის მასშტაბები ახდენენ. აქედან გამომდინარე შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“-ს სახელწოდების, საქართველოს 1995 წლის 23 ივნისის დოკუმენტის 36-ე მუხლით, საქართველოს ფულის ერთეულად კუპონის გამოცხადების პარელელურად, იგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადახდის ერთად-ერთ კანონიერ საშუალებად იქნა აღიარებული.

ზემოაღნიშნულ დებულებაში სიტყვა „კუპონი“-ს, „ლარი“-ით ჩანაცვლებისა და 1996 წლის 28 მაისს შეტანილი უმნიშვნელო რედაქციული შესწორების შედეგად ჩამოყალიბებულმა ფორმულირებამ იმის თაობაზე, რომ: -„ლარი არის ერადერთი

[11] *იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „ოფიციალურ წყაროებში გამოქვეყნებული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 1996-2010 წლების მაჩვენებლები, ანგარიშთა ეროვნული სისტემის 1993 წლის, ხოლო 2010 წლიდან დღემდე, ამავე სისტემის 2008 წლის მეთოდოლოგით არის გაანგარიშებული. ხოლო „სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2024 წელს გამოცემულ, „საქართველოს 2024 წლის სტატისტიკური წელიწდეული“-ს ტექსტში, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული, საქართველოს 2015-2023 წლების მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების, წინა წლების გამოცემებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობები“ (ჭელიძე დ., 2025, გვ. 48)- არის წარმოდგენილი ცხრილი #3-ის მონაცემები 2015 წლის შემდგომი პერიოდით შემოიფარგლება.*

კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე“ უწყვეტად იარსება 2007 წლის 3 ივლისამდე.

2007 წლის 3 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნულ კანონში შეტანილი შესწორების შედგად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ლარის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად არსებობის საკანონმდებლო ნორმამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რადგან დოკუმენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით დაფიქსირდა, რომ: -„ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, ***გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.***

ეროვნული ვალუტის მოქმედების არიალის შეზღუდვით განპირობებული, მასზე მოთხოვნის შემცირებისა და აქედან გამომდინარე მის კურსზე უარყოფითი გავლნის მატარებელი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღების არგუმენტად, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა იყო დასახელებული. აღნიშნული მოსაზრება იმ ეტაპისათვის დამაჯერებელად გამოიყურებოდა, თუმცა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მიერ წლების მანძილზე ქვეყანაში მოზიდული უცხოური ინვესტიციების ოდენობების გათვალისწინებით მსგავსი მიდგომა სადღეისოდ საკმაოდ საკამათოთ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ეროვნული ვალუტის მოქმდების არიალი კიდევ უფრო შეზღუდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონის ამოქმედებამ. რადგან დოკუმენტის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაფიქსირდა, რომ: -„ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე ***გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა ან/და უბაჟო ვაჭრობის პუნქტებისა“***

ლარის მოქმედების არიალის შემზღუდველი ნორმებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და უბაჟო ვაჭრობის პუნქტების ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული დებულების კორექტირებული (ქვემოთ წარმოდგენილი) სახით არსებობა ჩვენი აზრით სრულიად მისაღებად უნდა იქნეს მიჩნეული.

სამწუხაროდ ანალოგიური მოსაზრება ვერ გავრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი კანონის ტექსტში, 2011 წლის პირველი ივლისს შეტანილი შესწორების შედეგად ჩამოყალიბებულ, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმ დებულებაზე რომლის შესაბამისად: „ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, ***გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა“***

ფულად-საკრედიტო სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მკაფიო ხასიათისა და განსხვავებული ინტერპრეტირების გამომრიცხველი ხასიათის აუცილებლობის გათვალისწინებით, ლარის მიმოქცევის არიალის ზემოაღნიშნული ზოგადი ფორმულირებებით განსაზღვრა ჩვენი აზრით მნიშვნელოვან (ქვემოთწარმოდგენილ) კორექტირებას მოითხოვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად ქვეყნის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველი აპარატის დაკომპლექტების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ისტორიული სახეცვლილების შედეგად შექმნილი სიტუაციის ანალიზი.

საქმე ისაა, რომ ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს პირველი, 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად ბანკის ხელმძღვანელობად მისი პრეზიდენტი და გამგეობის წევრები მიიჩნეოდნენ. აღნიშნული პირების მოქალაქეობის ან/და რაიმე სხვა მახასიათებლების დაკონკრეტების გარეშე კანონი მხოლოდ მათი თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხებს არეგულირებდა.

ეროვნული ბანკის მმართველობისადმი წაყენებულმა საკანონმდებლო ნორმებმა ბევრად დეტალიზებული სახე შეიძინა 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“-ს ამოქმედების შემდგომ. კერძოდ დოკუმენტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა ბანკის გამგეობის წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნები რომელთა შესაბამისად აღნიშნული პირები უნდა ყოფილიყვნენ:-„ ...*საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები,* ცნობილნი პატიოსნებით და აღიარებულნი პროფესიონალიზმით ფულად-საკრედიტო და საბანკო საქმიანობის სფეროში...“.

ზემოაღნიშნული კანონის ტექსტში, 2008 წლის 14 მარტს შეტანილი შესწორების შედეგად ბანკის მართველ ორგანოდ მიჩნეული „გამგეობის“ სახელწოდების „საბჭო“-თი ჩანაცვლების პარალელურად, „საბჭოს“ წევრებად, ეკონომიკის ან/და ფინანსების დარგში პროფესიონალი და პატიოსნებით გამორჩეულ საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, „*უცხო ქვეყნის მოქალაქეები“-ს,* არსებობაც გახდა შესაძლებელი.

ქვეყნის ეროვნული ბანკის ხემძღვანელი ორგანოს („საბჭო“-ს) შემადგენლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების არსებობის თაობაზე ზემოაღნიშნული დებულებები უცვლელად იქნა გადტანილი, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 2009 წლის 24 სექტემბერის ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის იმ მოთხოვნებში, რომლებმაც ჩვენი აზრით საკამათო ცვლილებები განიცადა 2012 წლის 10 აპრილის შესწორებით.

საქმე ისაა, რომ აღნიშნულმა შესწორებით კორექტირებულმა კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ახალმა დებულებად შესაძლებელი გახადა, ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, მოქმედი რედაქციით განსაზღვრული: ეკონომიკის ან/და ფინანსების დარგში პროფესიონალი და პატიოსნებით გამორჩეული არარეზიდენტი პირების პარალელურად: „... *სხვა შესაბამისი დარგის პროფესიონალები*“-ს ჩართვაც.

პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ეროვნული ბანკის მმართველი ორგანოს („საბჭოს“) წევრ(ებ)ად სრულიად გაურკვეველი ***„სხვა შესაბამისი დარგის“*** და ასევე გაურკვეველი „*უცხო ქვეყნის მოქალაქეები“-ს* არსებობა და მათთვის ქვეყნის ფულად-საკრედიტო სფეროს ყველა ინფორმაციაზე (მათ შორის საიდუმლო) წვდომის შესაძლებლობის მინიჭება ჩვენი აზრით სათანადო (ქვემოთწარმოდგენილ) კორექტირებას დაქვემდებარებულ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

ანალოგიურ მიდგომას საჭიროებს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის მე-7 მუხლის „2^1„ პუნქტის დებულება რომლის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრ(ებ)ად მხოლოდ: -„მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის (მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის) ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.“ ნასამართლევი პირების არსებობაა აკრძალული.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული დებულებით, ბანკის საბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირების აკრძალვა, აღნიშნულ ორგანოში ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლები პირ(ებ)ის მოხვედრის თეორიულ შესაძლებლობას ბადებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ნაკლებად მძიმე (დანაშაული რომლის ჩადენისთვის მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას) დანაშაულებად მიჩნეულია საბანკო სფეროს ხემძღვანელი პირის ცნობიერებისათვის სრულიად მიუღებელი ისეთი სამართალდარღვევები როგორებიცაა: სამსახურებრივი გულგრილობა (მუხლი 342); მტკიცებულების განადგურება (მუხლი 368); მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მუხლი 369); პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა (მუხლი 157) და სხვა, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის კორექტირების აუცილებლობა სრულიად ლოგიკურ მოთხოვნად უნდა იქნეს მიჩნეული.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე მსოფლიში მიმდინარე პროცესების ზემოქმედებით უახლესი მომავლისთავის: საქართველოსათვის წლების მანძილზე გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ადრე აღებული სახელმწიფო, (მათ შორის საგარეო) ვალების მომსახურებისათვის განკუთვნილი უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გადინების სავარაუდოდ მზარდ ტენდენციებს. აგრეთვე საერთაშორისო საინვესტიციო და დონორი ორგანოზაციების ფინანსური შესაძლებლობობების უკრაინის რეაბილიტაციისათვის გადამისამართების მაღალ ალბათობას, ეროვნული ვალუტის ინფლაციური პროცესებიდან დაცვის მექანიზმების სრულყოფა აუცილებლობა უაღრესად აქტუალურ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

-საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით დამტკიცებული: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტში დაფიქსირებულ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე, ფატობრივი ინფლაციის წლიური და/ან საშუალოვადიანი პერიოდის მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლის გადამეტების შემთხვევაში, -„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვილებებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებად (ვალდებულებად) განისაზრვროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.“(ჭელიძე დ., ჭელიძე ლ., 2021, გვ. 24.)

ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის მიმოქცევის არეალის შემზღუდველი საკანონმდებლო ნორმების ლარის კურსზე უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქებისა და ანალოგიური გადაწყვეტილებების მხოლოდ ყოველმხივი განხილვის საფუძველზე მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 2009 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფრაზა:

-„ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა“. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: -„ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების, აგრეთვე საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ქვეყნის საფინანსო სფეროს ყველა, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობის მქონე პირთა წრის არარეზიდენტი და/ან ნასამართლევი პირებით

გაფართოვების თანმდევი რისკების მინიმიზების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის კანონის მე-7 მუხლის მე-„2“ პუნქტის დებულება, იმის თაობაზე რომ: -“ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს ან და უცხო ქვეყნის მოქალაქეები“, შეიცვალოს ფორმულირებით: -“ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის მე-7 მუხლის „2^1„ პუნქტის მოთხოვნა იმის შესახებე, რომ: -„ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი არ შეიძლება იყო პირი რომელიც ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის (მათ შორის ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისათვის)ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის“ შეიცვალოს ფორმულირებით: -„ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი არ შეიძლება იყო ნასამართლევი პირი“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Economics: Principles, problems, and Policies Campbell R. McConnell, Stanley l> Brue, Sean M. Flynn (2021) EIGHTEENTH EDITION The Functions of Money p. 630 *https://archive.org/details/eb_mcconnell_econ.18e/page/n5/mode/2up*

2. Марксистская политическая экономия Функции денег: *https://ru.wikipedia.org/wiki*

3. დ. ჭელიძე, ლ. ჭელიძე (2024) „ინფლაციის რეგულირების სრულყოფის საკითხისათვის“ ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი“ 2021, #4 გვ. 23.; 24.

4. დ. ჭელიძე (2025) „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ტენდენციები და ხარჯვითი ნაწილის სრულყოფის ზოგიერთი მიმართულება“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ჟურნალი „ეკონომისტი“ 2025 წ. #2 გვ 48

5. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონი

6. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 23 ივნისის კანონი

7. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონი

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019-2024 წლების საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული https://www.geostat.ge/ka/single-archive/3351

9. საქართველოს ეროვნული ბანკი „ფულის მასის აგრეგატები და მონეტარული კოეფიციენტები https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

David Chelidze

IMPORTANT TRENDS IN THE THIRTY-YEAR HISTORY OF THE NATIONAL CURRENCY AND SOME DIRECTIONS FOR OVERCOMING EXISTING DIFFICULTIES

Summary

Based on the analysis of the three laws regulating the activities of the National Bank of Georgia adopted after the restoration of Georgia’s independence (August 2, 1991; June 23, 1995; September 24, 2009), the first part of the paper highlights the obligation of the National Bank to ensure the stability of the national currency—the Georgian Lari—and, consequently, to protect it from high inflationary processes.

Alongside the chronological review of significant legislative norms (regulations) in force during the thirty-year period since the introduction of the Lari into circulation (October 2, 1995), as well as the amendments made to them, the paper analyzes the dynamics of the inflation targeting

indicator, the actual annual inflation, and the medium-term (three-year) calculated inflation rates over the last decade (2015–2024).

One of the reasons identified for the frequent deviation of actual annual and medium-term (three-year) inflation rates from the inflation target set annually by the Parliament of Georgia is considered to be the abolition of legislative norms regulating the responsibility of the National Bank (its President).

Taking into account the existing situation and the clear upward trend of the country's monetization indicator (Marshall coefficient)—which acts as a factor stimulating inflation—the paper presents the view that the legislative norms previously in force, which regulated the responsibility of the President of the National Bank in cases where actual annual or medium-term inflation rates exceeded the inflation target defined by Parliament in the document "Main Directions of Monetary and Exchange Rate Policy," should be reinstated.

As a result of the historical amendments to the legislative acts on the National Bank of Georgia, which introduced restrictive, general, and insufficiently detailed regulations regarding the circulation of the national currency and negatively affected the exchange rate of the Lari, the paper proposes that such provisions should only be adopted and enacted on the basis of broad public discussion and specifically through legislative acts (including those related to free industrial zones, free trade points, and other cases). To this end, specific recommendations for the necessary legislative amendments are presented.

Finally, in order to prevent risks arising from the expanded circle of individuals (including non-residents and/or persons with criminal records) who may gain access to specific (including confidential) information in the country's financial sector, the paper recommends the refinement of legislative provisions regulating the composition of the National Bank's Board.

Key words: *Thirty years of the lari, inflation regulation.*

მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სექცია
SECTOR OF MICROECONOMICS AND BUSINESS ADMINISTRATION

ნათია კახნიაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე
ნატო კაკაშვილი

ლიკვიდობის რისკის მართვის თანამედროვე მიდგომები ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში

ანოტაცია. *სტატიაში ასახულია ლიკვიდობის რისკის მართვის თანამედროვე მიდგომების ანალიზი ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის პირობებში. ტექნოლოგიური პროგრესი როგორიცაა ციფრული პლატფორმები, Big Data, ხელოვნური ინტელექტი და Blockchain მნიშვნელოვნად ცვლის ფინანსურ სექტორში რისკების მართვის ტრადიციულ ჩარჩოებს. სტატია შეისწავლის კომერციულ ბანკებში ამ ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკას და აფასებს მათ გავლენას ლიკვიდობის მართვის ეფექტიანობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების სწორად ინტეგრირება იწვევს რისკების შემცირებას, ოპერატიული პროცესების გამარტივებასა და მომხმარებელზე ორიენტირებული მენეჯმენტის ჩამოყალიბებას.*

საკვანძო სიტყვები : *ლიკვიდობის რისკი, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, ციფრული პლატფორმები, კომერციული ბანკები*

შესავალი

ფინანსური სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა დღესაც ლიკვიდობის რისკის მართვაა — ანუ ორგანიზაციის უნარი, დროულად და ეფექტიანად მართოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს როგორც ფინანსური სისტემის სტაბილურობისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის. გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა, ბაზრის ცვალებადობა და მომხმარებელთა ციფრული ქცევის ტრანსფორმაცია ბანკებს აიძულებს, გადახედონ ტრადიციულ მიდგომებს და გამოიყენონ თანამედროვე, ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი მეთოდები (Basel Committee on Banking Supervision, 2019). ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია ცვლის ფინანსური მენეჯმენტის სტრუქტურას, აქცენტს აკეთებს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებზე და ზრდის გამჭვირვალობას (Gomber et al., 2018). სტატიის მიზანია, გააანალიზოს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ლიკვიდობის რისკის მენეჯმენტზე და განიხილოს ძირითადი ინსტრუმენტები და პრაქტიკული მაგალითები, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე საბანკო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

* * *

ინოვაციური ტექნოლოგიები საბანკო სფეროში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ლიკვიდურობის მართვის პროცესის ოპტიმიზაციაში და ეფექტურობაში. აღნიშნული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბანკების ყოველდღიური ოპერაციების გამარტივებასა და დაჩქარებაზე, არამედ შიდა პროცესების გამჭვირვალობასა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე, რაც საბოლოოდ ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში ეხმარება. შედეგად, საბანკო სექტორი იღებს შესაძლებლობას, რომ გაანალიზოს და მართოს საკუთარი ფინანსური რესურსები იმაზე სწრაფად და ზუსტად, ვიდრე ადრე იყო შესაძლებელი. თანამედროვე ტექნოლოგიები

უზრუნველყოფენ რეალურ დროში მონაცემების მიღებას, დეტალურ ანალიზს და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას. რისკების ნეიტრალიზაციის ძირითადი ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებით შესაძლებელია ფინანსური საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი რისკების შესაძლო ნეგატიური ფინანსური შედეგების თავიდან აცილება. (ბარბაქაძე ხ...2024).

აღსანიშნავია რამდენიმე მთავარი მიმართულება, სადაც ინოვაციური ტექნოლოგიები საბანკო ლიკვიდურობის მართვაში გამოიყენება: **ბლოკჩეინის ტექნოლოგია** - ბლოკჩეინი განისაზღვრება, როგორც ციფრული, მუდმივ რეჟიმში ქრონოლოგიურად განახლებადი, დეცენტრალიზებული და კრიპტოგრაფიულად დაშიფრული მონაცემთა ბაზა. ბლოკჩეინის ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი მნიშვნელოვნად შეამციროს ლიკვიდობის რისკი ქართულ კომერციულ ბანკებში ფინანსური ოპერაციების სხვადასხვა ასპექტში, გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და სიჩქარის გაზრდის გზით. ბლოკჩეინი იძლევა ფინანსური ტრანზაქციების მყისიერი გადახდის საშუალებას. მისი საშუალებით ტრანზაქციები შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ მხარეებს შორის შუამავლების გარეშე, რაც ამცირებს ანგარიშსწორების პერიოდს. ბლოკჩეინი მუშაობს უწყვეტად (24/7) და უზრუნველყოფს ტრანზაქციის განხორციელებას დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია გლობალიზებულ ბაზარზე, სადაც ქართულ ბანკებს შეიძლება დასჭირდეთ საზღვარგარეთის გადახდების განხორციელება ან ლიკვიდობის მართვა საერთაშორისო ბანკებთან ტრადიციული საბანკო სამუშაო საათების მიღმა. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის საშუალებით ბანკებს შეუძლიათ რეალურ დროში აკონტროლონ თავიანთი ლიკვიდობის პოზიციები და თვალყური ადევნონ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტრანზაქციებს. (ჭელიძე მ...2018)

ხელოვნური ინტელექტი (AI) პროგნოზირებადი ანალიტიკისთვის - კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების, პროგნოზირების და ლიკვიდობის რეალურ დროში მართვის პროცესს. AI-ს შეუძლია გააუმჯობესოს ლიკვიდობის პროგნოზირების სიზუსტე ისტორიული მონაცემების, მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის პირობებისა და მაკროეკონომიკური ფაქტორების ანალიზით. უფრო კონკრეტულად, AI-ს შეუძლია: ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება ტენდენციების, სეზონურობისა და ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე; რთული სცენარების მოდელირება და იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს გარე ფაქტორებმა (მაგ. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, პოლიტიკურმა მოვლენებმა ან ბაზრის შოკებმა) ლიკვიდობაზე. AI-ს ასევე შეუძლია აღმოაჩინოს უჩვეულო ტრანზაქციები ან ბაზრის მოულოდნელი ცვლილებები, რამაც შეიძლება იმოქმედოს ლიკვიდობაზე, წინასწარ განსაზღვროს, როდის დასჭირდება ბანკს დამატებითი დაფინანსება და რომელი წყაროებიდან, იქნება ეს ბანკთაშორისი დაკრედიტება, კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტები თუ ცენტრალური ბანკის ლიკვიდობის ხაზები. ხელოვნური ინტელექტის მოდელებს შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა სტრესს სცენარი, რათა დაეხმარონ ბანკებს გააცნობიერონ თავიანთი ლიკვიდურობის დონე და გააძლიეროს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის (ALM) ბანკის ბალანსის მართვის გაუმჯობესებით.

გარდა ამისა, AI-ს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს დეპოზიტების დონის რყევები და დაადგინოს გატანის მაღალი რისკის პერიოდები და AI-ზე დაფუძნებულ მოდელებს ასევე შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ სესხის გადაუხდელობის ალბათობა ისეთი

ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა მაკროეკონომიკური პირობები, კლიენტების საკრედიტო ისტორია და რეალურ დროში მომხმარებლის ქცევა. (O'Brien, K..2024).

Big Data ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ბანკებმა დაამუშაონ დიდი მოცულობის არასტრუქტურირებული ინფორმაცია (მაგ. სოციალური მედია, ტრანზაქციები, საბაზრო სიახლეები) და მისი საფუძველზე ააგონ პროგნოზული მოდელები. მაგალითად, პროგნოზირება კონკრეტული ანგარიშების ლიკვიდურობის შემცირების შესახებ.

ბანკების განუყოფელი ნაწილია ასევე **ფინტექი,** იგივე ფინანსური ტექნოლოგიები, რომლის სერვისების საჭიროებაც დღესდღეობით საქართველოში სულ უფრო იზრდება. ბანკები თანამშრომლობენ ფინტექ კომპანიებთან ინოვაციური პროდუქტების/სერვისების შესაქმნელად. კომერციული ბანკები სულ უფრო ხშირად იყენებენ ფინტექ გადაწყვეტილებებს ლიკვიდობის მართვის გასაუმჯობესებლად. ეს ტექნოლოგიები ხელს უწყობს ოპერაციების გამარტივებას, გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებას და ფულადი ნაკადების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას.

ზოგიერთი FinTech ინსტრუმენტი და პლატფორმა, რომელსაც ქართული ბანკები იყენებენ ლიკვიდობის მართვისთვის, მოიცავს: **Quick Cash**, რომელიც არის პირველი ქართული ინოვაციური მაღალ ტექნოლოგიური პლატფორმა, რომელსაც შეუძლია 5 წუთში ონლაინ შეაფასოს მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობა და **Oracle Cash Management** ეხმარება ბანკებს მართონ მათი ფულის ნაკადები, მონიტორინგი გაუწიონ საბანკო ანგარიშებს და მიიღონ შესაბამისი ანგარიშგება. სისტემა ასევე გამოიყენება გრძელვადიანი ფინანსური გეგმების შექმნაში. ფულადი ნაკადების მართვის ინსტრუმენტები;

რეალურ დროში დიდი ღირებულების ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა ახორციელებს როგორც მაღალი, ასევე დაბალი მოცულობის გადარიცხვების დამუშავებას. სისტემამ მინიმუმამდე დაიყვანა საოპერაციო რისკები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გადარიცხვების დამუშავების პროცესი, ხოლო საოპერაციო საათების განმავლობაში ბანკთაშორისი გადარიცხვები უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება. (სებ-ი 2024).

საქართველოს ბანკში დანერგილია და წარმატებით გამოიყენება **Microsoft Azure-ი, cloud-based** პლატფორმა, რომელიც სერვისების ფართო სპექტრს წარმოადგენს, მათ შორის, ვირტუალურ მანქანურ სწავლებას, მონაცემთა ბაზებს, ანალიტიკას და ხელოვნურ ინტელექტს. საქართველოს კომერციული ბანკები ასევე გამოიყენებენ **OpenAI-ის მოდელებს**, რაც საშუალებას აძლევს გააანალიზონ შესაძლო რისკები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები მათი მართვისთვის. AI სისტემები უზრუნველყოფენ მონაცემთა ფართო სპექტრის ანალიზს, რაც ეხმარება მენეჯერებს უკეთ გაიაზრონ პოტენციური საფრთხეები და შეიმუშავონ სტრატეგიები მათ დასაძლევად.

ეროვნული ბანკი აქტიურად არის ჩართული საბანკო სექტორში ახალი ტექნოლოგიის დანერგვისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისთვის. 2024 წლის ნოემბერში ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა "საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია", სადაც ხაზს უსვამს, რომ ინოვაცია საზედამხედველო სტრატეგიის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქცია.

ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით 2025 წლიდან დაიწყო ხაზინების მართვის ერთიანი პლატფორმის დანერგვა (TMS), რომლის საშუალებით ფინანსური ინსტიტუტები შეძლებენ უკეთ მართონ ფინანსური რისკები, მოახდინონ თავიანთი სავაჭრო საქმიანობის ოპტიმიზაცია და გაზარდონ საერთო ოპერაციული

ეფექტურობა. სისტემის დანერგვა გაზრდის დერივატივების გარიგებებს და გააუმჯობესებს ფასწარმოქმნის პროცესს. პლატფორმის დანერგვა საწყის ეტაპზე იგეგმება საქართველოს ბანკში, თიბისი ბანკში, ლიბერთი ბანკში, ბაზისბანკში, ტერაბანკსა და ბანკ ქართუში.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის დასაწყისიდან აქტიურად დაიწყო ბლოკჩეინის ახალი ფუნქციების ტესტირება, როგორიცაა ტოკენიზაცია, პროგრამირება და ჭკვიანი კონტრაქტები (Smart Contracts). ჭკვიანი კონტრაქტები არის ციფრული კონტრაქტები, რომლებიც ავტომატურად ასრულებენ წინასწარ შეთანხმებულ პირობებს და მოქმედებენ გარკვეულ პირობებში ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე. რაც ხელს უწყობს აქტივების უსაფრთხო გაცვლას, რაც ამცირებს რისკს. ბანკებს შეუძლიათ შექმნან ჭკვიანი კონტრაქტები, რომლებიც იწვევენ ქმედებებს, როდესაც დაკმაყოფილებულია ლიკვიდობის გარკვეული პირობები. მაგალითად: თუ ბანკის ლიკვიდურობის დონე გარკვეულ ზღვარს ქვემოთ დაეცემა, ჭკვიანმა კონტრაქტმა შეიძლება ავტომატურად გამოიწვიოს აქტივების გაყიდვა ან გადაცემა ლიკვიდობის ასამაღლებლად.

ტოკენიზაცია გულისხმობს აქტივების გადაყვანას ბლოკჩეინის სისტემაში, სადაც თითოეული ტოკენი წარმოადგენს აქტივს, როგორიც შეიძლება იყოს ფული, უძრავი ქონება, აქციები ან სხვა. ეს პროცესი უზრუნველყოფს აქტივების ციფრულ წარმოებას, რაც ხდის მათ უფრო ხელმისაწვდომსა და მარტივს ტრანზაქციებისთვის.

არალიკვიდური აქტივების ტოკენიზირებით, ბანკებს შეუძლიათ ამ აქტივების უფრო მარტივად გამოყენება მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროებების სამართავად. მაგალითად, თუ ბანკი ლიკვიდურობის კრიზისის წინაშე დგას, მას შეუძლია გამოიყენოს ტოკენიზებული აქტივები, როგორც გირაო სხვა ბანკების ან ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსებაზე წვდომისთვის, ან თუნდაც გაყიდოს ისინი მეორად ბაზარზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის მონაცემებით საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის ტრანზაქციების რაოდენობის ზრდის ტენდენცია აღინიშნება, კერძოდ, საქართველოს ბანკის შემთხვევაში - 48.9%-ით და თიბისი ბანკის შემთხვევაში 29.2%-ით, მზარდი დინამიკა ცხადყოფს, რომ ორივე ბანკი განაგრძობს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას და ტრანზაქციების უფრო სწრაფად განხორციელებას. ეს ზრდა ლიკვიდობის ეფექტურ მართვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

დასკვნა

ლიკვიდობის რისკი ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და კრიტიკული საკითხია კომერციული ბანკებისთვის. საბანკო სექტორის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ლიკვიდობის დონის ოპტიმალური მაჩვენებლის შენარჩუნება. საქართველოს კომერციული ბანკები წარმატებით ახდენენ ლიკვიდურობის რისკების მართვას, თუმცა ეს პროცესი საჭიროებს მუდმივ ახალ მიდგომებსა და სტრატეგიებს, რათა დროულად მოხდეს შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება და შენარჩუნდეს გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა. სწორედ, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს — რეალურ დროში მონაცემთა დამუშავებით, პროგნოზირების გაუმჯობესებითა და ავტომატიზაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება რისკების შემცირება და სტაბილური ფუნქციონირება (Chen et al., 2014). მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სწრაფად და ეფექტიანად მოახერხებენ ბანკები ტექნოლოგიების ინტეგრირებას. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ინვესტირება ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებაში,

რომლებიც დაეხმარება კომერციულ ბანკებს ლიკვიდურობის რისკის შემცირებასა და უფრო ეფექტურად მართვაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ, კაკაშვილი ნ, კახნიაშვილი ნ, კბილაძე თ . (2024) ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის აქტუალური საკითხები, თსუ ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული -'მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება",გვ 40; https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%20-2024.pdf
2. ბარბაქაძე ხ, (2024) ლიკვიდურობისა და მომგებიანობის ფინანსური მართვის პრიორიტეტები", ჟურნალი „ქართველი მეცნიერები" ტომ. 6 No.2. გვ., 51-56. https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/2748
3. კახნიაშვილი ნ, (2018), ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და პროგნოზირება საქართველოს კომერციულ ბანკებში, მესამე საერთაშორისო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თსუ, გვ 199;
4. კოვზანაძე ი, კ ონტრიძე გ., (2022) თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, გვ, 264;
5. ჭელიძე მ, თოფჩიშვილი მ. (2018). ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. გლობალიზაცია და ბიზნესი. Retrieved from https://eugb.ge/index.php/111/article/view/277
6. საქართველოს ეროვნული ბანკი (2024). ხაზინების მართვის ერთიანი პლატფორმა.
7. სს თიბისი ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგება. (2023).
8. სს საქართველოს ბანკის ფინანსური ანგარიშგება. (2023).
9. Arner, D. W., Barberis, J., & Buckley, R. P. (2017). Fintech, regtech, and the reconceptualization of financial regulation. Northwestern Journal of International Law and Business, 37(3), 371–413.
10. Basel Committee on Banking Supervision. (2019). Liquidity risk management: A report from the Basel Committee. Bank for International Settlements.
11. Chen, M., Mao, S., & Liu, Y. (2014). Big Data: A survey. Mobile Networks and Applications, 19(2), 171–209.
12. Designing and Implementing a Microsoft Azure AI Solution. (n.d.). Georgia's innovation & technology agency. Retrieved from https://ict.gov.ge/trainings/designing-and-implementing-a-microsoft-azure-ai-solution/
13. Gomber, P., Kauffman, R. J., Parker, C., & Weber, B. W. (2018). On the fintech revolution: Interpreting the forces of innovation, disruption, and transformation in financial services. Journal of Management Information Systems, 35(1), 220–265.
14. Kakhniashvili N.,2025, Digital Banking and New Customer Expectations in the Modern Financial System, Jurnal "Georgian Scientists", N 3, https://doi.org/10.52340/gs.2025.07.03.12
15. National Bank of Georgia. (2023). The National Bank of Georgia continues convergence with Basel III standards. Retrieved from https://nbg.gov.ge/en/media/news/the-national-bank-of-georgia-continues-convergence-with-basel-iii-standards
16. O'Brien, K., & Downie, A. (2024). What is AI in banking? IBM. Retrieved from https://www.ibm.com/think/topics/ai-in-banking

Natia Kakhniashvili
Khatuna Barbakadze
Nato Kakashvili

MODERN APPROACHES TO LIQUIDITY RISK MANAGEMENT IN THE CONTEXT OF TECHNOLOGICAL TRANSFORMATION

Summary

This paper examines the contemporary approaches to liquidity risk management within the framework of ongoing technological transformation in the banking sector. Today's digital age is reshaping consumer behavior standards, which is particularly evident in the financial sector (Kakhniashvili N, 2025). Liquidity risk remains one of the most critical challenges for commercial banks, especially in the face of increased market volatility, changing customer behavior, and growing regulatory demands. Traditionally, liquidity risk has been managed through conservative methods, such as holding excess reserves, central bank support, and stress testing. However, the dynamic nature of modern financial systems requires the adoption of more advanced and data-driven strategies.

Technological innovation has introduced new tools that significantly reshape risk assessment and management processes. This paper focuses on four major technological advancements: **digital platforms**, **Big Data analytics**, **artificial intelligence (AI)**, and **blockchain**. Digital platforms enable real-time monitoring of transactions and liquidity flows, allowing banks to react promptly to market fluctuations. Big Data enhances predictive capabilities by processing massive volumes of structured and unstructured information. AI-based systems support early risk detection, automation of liquidity planning, and smart decision-making. Meanwhile, blockchain technology increases transparency and security, and enables decentralized clearing and settlement processes that reduce operational and counterparty risks.

Through a review of international practices and case studies, the paper demonstrates how leading commercial banks are integrating these technologies to strengthen their liquidity positions. While developed markets have made significant progress, emerging markets, including Georgia, are still in the early phases of implementation. The paper emphasizes the need for banks to develop adaptive strategies that align technological capabilities with regulatory compliance and risk mitigation objectives. The study concludes that adopting innovative technologies is not merely an option but a necessity for sustainable and resilient banking operations. For financial institutions to maintain competitiveness and ensure systemic stability, proactive investment in digital transformation, staff training, and strategic risk frameworks will be essential in the years ahead.

ლევანი კიკილაშვილი

ბიზნესის კონკურენტუნარიანობა მწვანე ტექნოლოგიების ეპოქაში: საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის პერსპექტივა

ანოტაცია. *კავკასიის რეგიონში მწვანე ბიზნესის განვითარება დღევანდელ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დისკურსში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იქცა. იგი უშუალოდ უკავშირდება კლიმატური ცვლილებების შემცირებას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. მწვანე ბიზნესის მოდელები არა მხოლოდ ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის, არამედ გლობალურ გარემოსდაცვით სტანდარტებთან ინტეგრაციის საშუალებაცაა.*

სამხრეთ კავკასიაში მწვანე ბიზნესის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და შესაძლებლობაა, რომელიც დაკავშირებულია როგორც გლობალურ კლიმატურ კრიზისთან, ისე რეგიონის ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან. მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესი არამხოლოდ ეკონომიკური ზრდის

ახალი იმპულსია, არამედ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელდა რიგი პროექტები, რომლებიც მოიცავდა განახლებადი ენერგიის განვითარებას, ეკოტურიზმის პოპულარიზაციას, ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასა და ნარჩენების გადამუშავების სისტემების დანერგვას. ამ პროცესს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო ორგანიზაციების (UNDP, OECD, ევროკავშირი) მხარდაჭერა და სახელმწიფო, კერძო ინვესტიციების ზრდა. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, ნახშირბადის ემისიების შემცირებასა და ადგილობრივი თემების ეკონომიკურ გაძლიერებას.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის თეორიების მიხედვით (Porter, Krugman, Stiglitz), გლობალიზაციის ეპოქაში წარმატების მთავარი ფაქტორია არა მხოლოდ ფასისა და წარმოების მოცულობის ეფექტიანობა, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიების ადაპტაცია, მდგრადი რესურსების გამოყენება და გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა. სწორედ ამ ჭრილში მწვანე ტექნოლოგიები განიხილება როგორც ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი.

სტატიაში გაანალიზებულია კავკასიის რეგიონში მწვანე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები – ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მრეწველობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს, რომლებიც უკავშირდება მწვანე ბიზნესმოდელების დანერგვას: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, ინოვაციური კულტურის გავრცელება და გლობალურ ბაზრებში ინტეგრაციის შესაძლებლობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო პარტნიორობასა და ინვესტიციების როლს. ევროკავშირის ,,მწვანე შეთანხმება'' (European Green Deal)-ის ჩარჩო, პარიზის კლიმატის შეთანხმება და სხვა საერთაშორისო ინიციატივები ქმნის იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. კომპანიები, რომლებიც ასრულებენ ESG (Environmental, Social, Governance) სტანდარტებს და საერთაშორისო სერტიფიცირებას გადიან, იღებენ დამატებით კონკურენტულ უპირატესობას, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო წარმატებით გახსნან საერთაშორისო ბაზრები და მოიზიდონ კაპიტალი.

მიღებული ანალიზი ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მწვანე ბიზნესის ინტეგრაცია გლობალურ ეკოლოგიურ სტანდარტებთან წარმოადგენს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებას, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობას, ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების, ინოვაციური შესაძლებლობების რეალიზაციისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების სტრატეგიულ გზას. საქართველოს მაგალითი ცხადყოფს, რომ მიზნობრივი სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო მხარდაჭერა და ადგილობრივი ბიზნესის მზაობა მწვანე ტრანსფორმაციისადმი შეიძლება იქცეს რეგიონის მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ ძალად.

სტატიაში გაანალიზებულია კავკასიის რეგიონში მწვანე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათ შორის ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მრეწველობა. ყურადღება გამახვილებულია სოციალურ და

ეკონომიკურ შედეგებზე, რომლებიც უკავშირდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციური ბიზნესმოდელების დანერგვასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო პარტნიორობის როლს, რომელიც განაპირობებს როგორც ტექნოლოგიების ტრანსფერს, ისე ფინანსური რესურსების მოზიდვას.

მიღებული ანალიზი მიუთითებს, რომ მწვანე ბიზნესის ინტეგრაცია გლობალურ ეკოლოგიურ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ გარემოსდაცვით საჭიროებას, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოების, კონკურენტუნარიანობისა და რეგიონული მდგრადი განვითარების განმტკიცების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ბიზნესი, მდგრადი განვითარება, მწვანე ტექნოლოგიები, ინვესტიციები, ეკოტურიზმი, განახლებადი ენერგია*

შესავალი

კლიმატური ცვლილებები და გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევები თანამედროვე ბიზნესისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად იქცა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მწვანე ტექნოლოგიები გახდა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ვალდებულება, არამედ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი.[12] მწვანე ბიზნესის მოდელები, რომლებიც ეფუძნება რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ამავე დროს, უზრუნველყოფს საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობას.[13]

სამხრეთ კავკასიის რეგიონი — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — დღეს დგას იმ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც ეკონომიკური უსაფრთხოება, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მწვანე ტრანსფორმაცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ, რეგიონში მწვანე ინიციატივების გაძლიერება აუცილებელია არა მხოლოდ გარემოს დაცვის თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური ზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიული მიზნით.[14]

თეორიული ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ბიზნესის კონკურენტუნარიანობის კლასიკურ მოდელებს „პორტერის დაიმონდ მოდელი“ (Porter’s Diamond Model), „კრუგმანის ახალი სავაჭრო თეორია“ (Krugman’s New Trade Theory), „სტირგლიცის განვითარების ეკონომიკა“ (Stiglitz’s Development Economics) აჩვენებს, რომ ინოვაციური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ადაპტაცია ბიზნესის გრძელვადიანი წარმატების აუცილებელი პირობაა.[15] ამასთან, საერთაშორისო გამოცდილება — ევროკავშირის „მწვანე შეთანხმება“ (European Green Deal), გერმანიის ენერგეტიკული გარდაქმნა (Energiewende), სკანდინავიური ქვეყნებისა და ბალტიის რესპუბლიკების ქეისები — ნათლად ადასტურებს, რომ მწვანე ინოვაციები ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობას ზრდის როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.[16]

ამ თეორიული საფუძვლების გადმოსახედიდან, სამხრეთ კავკასიაში მწვანე ბიზნესის განვითარება შეიძლება შეფასდეს როგორც რეგიონის ეკონომიკური

[12] Michael E. Porter, Competitive Advantage of Nations (New York: Free Press, 1990).
[13] Joseph Stiglitz, Making Globalization Work (New York: W.W. Norton, 2006).
[14] OECD, Green Growth Indicators 2022 (Paris: OECD Publishing, 2022), https://doi.org/10.1787/888934286154
[15] Paul Krugman, Geography and Trade (Cambridge, MA: MIT Press, 1991).
[16] European Commission, The European Green Deal (Brussels: European Commission, 2019).

უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს შემთხვევაში, სადაც სახელმწიფო სტრატეგიები და საერთაშორისო მხარდაჭერა ქმნის პლატფორმას მწვანე ინოვაციების ხელშეწყობისთვის. მიუხედავად ამისა, რეგიონში კვლავ რჩება სერიოზული ბარიერები: არასაკმარისი ფინანსური რესურსები, ინსტიტუციური სისუსტეები, საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე და პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა.

სტატიის ახალი ხედვა (novelty) გამოიხატება სამ ძირითად ასპექტში:

1. თეორიული ანალიზი — ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მოდელების ინტეგრაცია „მწვანე ტექნოლოგიების“ კონტექსტში;

2. ემპირიული კვლევა — საქართველოში ჩატარებული თვისებრივი კვლევა (სიღრმისეული ინტერვიუები მცირე და საშუალო საწარმოებთან);

3. შედარებითი ანალიზი — სამხრეთ კავკასიის მაგალითების დაკავშირება და ინტეგრაცია საერთაშორისო პრაქტიკასთან.

კვლევის მიზანია შეფასდეს, თუ როგორ მოქმედებს მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, რა გამოწვევებს აწყდებიან კომპანიები და რომელი საერთაშორისო გამოცდილების ადაპტირებაა შესაძლებელი რეგიონის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის თეორიები და მწვანე ეკონომიკის კონცეფციები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რადგან თანამედროვე ეკონომიკურ სივრცეში კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება ინოვაციური და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესრულებით.

კონკურენტუნარიანობის თეორიები

მაიკლ პორტერის კონკურენტუნარიანობის თეორია, რომელიც ცნობილია როგორც „დაიმონდის მოდელი“, დღესაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს ბიზნესისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესაფასებლად. მოდელის მიხედვით, ქვეყნისა და მის შიგნით მოქმედი კომპანიების კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტით:

ფაქტორული პირობები – ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგიური შესაძლებლობები, შრომითი რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომლებიც ქმნიან საწარმოო გარემოს საწყის საფუძველს;

მოთხოვნის პირობები – ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მახასიათებლები, მომხმარებელთა მოთხოვნები და მათი ხარისხობრივი სტანდარტები, რაც კომპანიებს აიძულებს მუდმივ ინოვაციასა და გაუმჯობესებას;

კომპანიების სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია – ბიზნესის მართვის მოდელები, მენეჯმენტის პრაქტიკა და შიდა კონკურენციის დონე, რომელიც, პორტერის შეფასებით, ეროვნული ეკონომიკის დინამიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელია;

დაკავშირებული და დამხმარე ინდუსტრიები – სექტორები და ეკოსისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწოდების ჯაჭვებს, ცოდნის გადაცემას და ინოვაციების გავრცელებას.

პორტერის მოდელი განსაკუთრებით აქტუალური ხდება მწვანე ეკონომიკის კონტექსტში, სადაც გარემოსდაცვითი ინოვაციები და მდგრადი ტექნოლოგიები აღარ განიხილება მხოლოდ როგორც დამატებითი ღირებულება, არამედ გარდაიქმნება ბაზარზე შესვლისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებელ წინაპირობად. შესაბამისად, მწვანე ტრანსფორმაცია პორტერის ჩარჩოში ინტეგრირდება

არა როგორც მეორეხარისხოვანი ინიციატივა, არამედ როგორც გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის შექმნის საფუძველი.[17]

კრუგმანის-ის ახალი სავაჭრო თეორია. პაულ კრუგმანის ნაშრომები ხაზს უსვამს მასშტაბის ეკონომიასა და გეოგრაფიულ ფაქტორების გაუმჯობესებას.[18] მისი ხედვით, კონკურენტუნარიანობა განსაზღვრულია იმით, თუ რამდენად შეუძლია კომპანიას გლობალური ბაზრის პირობებში გაზარდოს ეფექტიანობა და დაიკავოს სტრატეგიული ნიშა. მწვანე ტექნოლოგიები ამ კონტექსტში იქცევა იმ ინსტრუმენტად, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს მოიზიდონ საერთაშორისო ინვესტიციები გააძლიერონ საერთაშორისო ინტეგრაციის შესაძლებლობები, ვინაიდან ESG-სტანდარტების შესრულება თანამედროვე პირობებში იქცა არა მხოლოდ სავალდებულო რეგულაციურ მოთხოვნად, არამედ ერთგვარ „ბილეთად“ გლობალურ ბაზარზე ინტეგრაციისთვის, სადაც ინვესტორები და საერთაშორისო პარტნიორები მკაფიოდ ითხოვენ მდგრადობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას.

სტრიგლიცის ხედვა განვითარების ეკონომიკაზე. ჯოზეფ სტიგლიცი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ კონკურენტუნარიანობის ზრდა შეუძლებელია მხოლოდ ბაზრის მექანიზმებზე დაყრდნობით. აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმები, ინკლუზიური პოლიტიკა და ისეთი სტრატეგიები, რომლებიც სოციალურ და გარემოსდაცვით მიზნებს აერთიანებს.[19] მისი ნაშრომები ნათლად აჩვენებს, რომ მწვანე ეკონომიკა ერთდროულად უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნება ენერგეტიკისა და ტურიზმის სექტორებში. ქვეყანა მდიდარია ჰიდრორესურსებით, რაც განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ქარისა და მზის ენერგიის მიმართულებითაც.[20] ეს პროექტები პირდაპირ უკავშირდება ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ნახშირბადის ემისიების შემცირებას.

ეკოტურიზმი კიდევ ერთი სტრატეგიული სექტორია. დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება, სოფლად აგრო ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. მწვანე ტურიზმის განვითარება არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს, არამედ ადგილობრივი თემების ეკონომიკურ გაძლიერებასაც უზრუნველყოფს.[21]

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ორგანული მეურნეობის მიმართულება. ორგანული სერტიფიცირების სისტემის დანერგვამ გაზარდა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამასთან, ტექნოლოგიური ინოვაციები (ვერტიკალური ფერმები) თანდათან ფართოვდება, რაც მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესოს ეფექტიანობა და შეამციროს გარემოზე ზემოქმედება.[22]

სომხეთის ეკონომიკა შედარებით მცირე მასშტაბისაა, თუმცა აქაც მნიშვნელოვანი როლი აქვს მწვანე ტექნოლოგიებს. განსაკუთრებით განვითარდა **ორგანული სოფლის მეურნეობა**, რომელიც საექსპორტო პოტენციალს ქმნის. სომხეთში მოქმედებს

[17] Michael E. Porter, The Competitive Advantage of Nations (New York: Free Press, 1990).
[18] Paul Krugman, Geography and Trade (Cambridge, MA: MIT Press, 1991).
[19] Joseph E. Stiglitz, Making Globalization Work (New York: W.W. Norton, 2006).
[20] World Bank, Georgia: Towards Green Growth (Washington, DC: World Bank, 2020).
[21] UNDP Georgia, Sustainable Tourism and Protected Areas (Tbilisi: UNDP, 2021).
[22] FAO, Organic Agriculture in Georgia: Opportunities and Challenges (Rome: FAO, 2022).

რამდენიმე მწვანე ინიციატივა, რომელიც დაკავშირებულია ბიოპროდუქტების წარმოებასთან და მათ ევროპულ ბაზრებზე გატანასთან.

ენერგეტიკაში სომხეთმა მნიშვნელოვანი პროგრესი მიაღწია მზის ენერგიის განვითარებაში. ბოლო წლების განმავლობაში აშენდა რამდენიმე მზის სადგური, რომელთა მეშვეობით ქვეყანა ცდილობს შეამციროს იმპორტზე დამოკიდებულება. თუმცა, სტრუქტურული პრობლემების გამო — მათ შორის პოლიტიკური არასტაბილურობა და ფინანსური რესურსების სიმცირე — მწვანე ინიციატივები შედარებით ნელა ვითარდება.[23]

აზერბაიჯანის ეკონომიკა ისტორიულად ნავთობზე და გაზზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში მზარდია ინტერესი განახლებადი ენერგიისა და ცირკულარული ეკონომიკის მიმართ. ქვეყანამ მიიღო სტრატეგია, რომელიც მოიცავს ქარისა და მზის ენერგიის განვითარებას, განსაკუთრებით კასპიის ზღვის სანაპირო ზოლში.

ნავთობის სექტორზე მაღალი დამოკიდებულება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა სახელმწიფოს მცდელობაა დივერსიფიცირება და მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა. აზერბაიჯანის მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ მწვანე ინიციატივები კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის გარდაუვალი სტრატეგიაა გლობალური ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პირობებში.[24]

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში ტექნოლოგიური პროგრესი და ცოდნის ინტენსიური გადაცემა განიხილება როგორც ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა მდგრადი განვითარებისათვის. ევროკავშირის „Horizon Europe“ და „LIFE“ პროგრამები, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის ღერძული ინიციატივები („EU4Business“, „EU4Energy“),[25] უზრუნველყოფს სივრცეს კვლევისა და ინოვაციისათვის, პილოტური პროექტების განხორციელებისა და ტექნიკური ნოუ-ჰაუს ლოკალიზაციისათვის. აქცენტი კეთდება ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ენერგოეფექტიანობა, განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაცია, ნარჩენების მართვა და ცირკულარული ბიზნეს-მოდელები. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოსა (IEA) და განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ტექნოლოგიური გზამკვლევები კომპანიებს საშუალებას აძლევს ინვესტიციური გადაწყვეტილებები მიიღონ სრული საკუთრების ღირებულების (Total Cost of Ownership) ანალიზის საფუძველზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე ინოვაციების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შეფასებისას.

ESG და სერტიფიცირება როგორც კონკურენტული უპირატესობა გლობალური ბაზრების დინამიკამ ESG სტანდარტების დაკმაყოფილება იქცა არა მხოლოდ ეთიკურ მოთხოვნილებად, არამედ ბიზნესისათვის „ბაზარზე შესვლის ბილეთად“. კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ESG ანგარიშგებას (GRI/ISSB სტანდარტების შესაბამისად), დანერგავენ ISO 14001/50001/14064[26] სტანდარტებს და ადარებენ საკუთარ პრაქტიკებს ევროკავშირის ტაქსონომიის ჩარჩოებთან, იღებენ მნიშვნელოვან უპირატესობას: ფინანსური ინსტიტუტები მათ სთავაზობენ უფრო ხელსაყრელ საკრედიტო პირობებს, ინვესტორები ზრდიან ნდობას, ხოლო B2B პარტნიორები ავლენენ მეტ მზაობას

[23] OECD, Green Growth and Renewable Energy in Armenia (Paris: OECD Publishing, 2021).
[24] IEA, Renewable Energy Prospects for Azerbaijan (Paris: International Energy Agency, 2022).
[25] International Energy Agency (IEA), *Net Zero by 2050: A Roadmap for the Global Energy Sector* (Paris: IEA, 2021); International Renewable Energy Agency (IRENA), *Renewable Power Generation Costs* (Abu Dhabi: IRENA, 2023).
[26] European Commission, *The European Green Deal* (Brussels: European Commission, 2019); Regulation (EU) 2020/852, "EU Taxonomy Regulation"; Regulation (EU) 2023/956, "Establishing a Carbon Border Adjustment Mechanism (CBAM)."

გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის. შედეგად, იზრდება ექსპორტის პოტენციალი, მცირდება პორტფელური რისკები და უზრუნველყოფილი ხდება მიწოდების ჯაჭვების სტაბილურობა.[27] PPP და ESCO სქემები როგორც ოპტიმალური მოდელი ენერგეტიკაში (ქარისა და მზის utility-scale პროექტები, აგრო-PV, შერეული ენერგეტიკული კომპლექსები), მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში (ნარჩენების მართვა, წყლის სისტემები, ენერგოეფექტური რეტროფიტები) და აგრო-სექტორში (ორგანული წარმოება, ცივი ჯაჭვი) სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს PPP[28] (Public-Private Partnership) და ESCO (Energy Service Company) მოდელები. ამ სქემებში კერძო სექტორი ახორციელებს კაპიტალურ ინვესტიციას (CAPEX), ხოლო ინვესტიციის დაბრუნება ხდება დაზოგილი ენერგიის მონეტიზაციის გზით. ამგვარ მოდელებს თან ახლავს ციფრული მონიტორინგის პლატფორმები (IoT, Blockchain), რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული ენერგოაუდიტის სანდოობას და დაზოგვის მკაფიო დადასტურებას.

მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე მრავალმხრივი ზეგავლენა აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ სოციალური შედეგების თვალსაზრისითაც.

დასაქმება და ახალი პროფესიული პროფილი. საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ მწვანე სექტორში ყოველი მილიონი დოლარის ინვესტიცია ქმნის დაახლოებით 2–3-ჯერ მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ტრადიციული ენერგეტიკის სექტორში.[29] საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მზის და ქარის ენერგიის განვითარებამ უკვე გააჩინა მოთხოვნა ახალ პროფესიებზე — ენერგოინჟინრები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტები, ESG-ანალიტიკოსები.

ადამიანური კაპიტალის განვითარება. მწვანე ტრანზიცია წარმოშობს საჭიროებას კვალიფიკაციის ამაღლებისთვის: უნივერსიტეტები და პროფესიული სასწავლებლები იწყებენ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას (მაგ., განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი, მწვანე ფინანსები). ეს პირდაპირ ზრდის რეგიონული ეკონომიკის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.[30]

ადგილობრივი თემების გაძლიერება. ეკოტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკებს. მაგალითისთვის, საქართველოში დაცული ტერიტორიების ირგვლივ ეკოტურიზმის პროექტებმა გააორმაგა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი, ხოლო სომხეთში ორგანულმა ფერმერმა მოიპოვა სტაბილური ექსპორტის არხები ევროკავშირში.[31]

ეკოლოგიური და საზოგადოებრივი სარგებელი. ნახშირბადის ემისიების შემცირება, წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ნარჩენების გადამუშავება ქმნის დადებით საზოგადოებრივ ეფექტს. ეს არამხოლოდ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, არამედ ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს, რაც ეკონომიკისათვის გრძელვადიან სარგებელს ნიშნავს.[32]

---

[27] European Commission, *Horizon Europe Programme Guide* (Brussels: EC, 2021); *LIFE Programme Multiannual Work Programme* (Brussels: EC, 2021); EU Neighbours East, *EU4Business/EU4Energy Factsheets* (Brussels: EC, various years).

[28] European Bank for Reconstruction and Development (EBRD), *Green Economy Transition Approach 2021–2025* (London: EBRD, 2021); European Investment Bank (EIB), *Climate Bank Roadmap 2021–2025* (Luxembourg: EIB, 2020); World Bank Group, *IFC/MIGA Annual Reports* (Washington, DC: WBG, various years).

[29] International Labour Organization (ILO), *World Employment and Social Outlook 2018: Greening with Jobs* (Geneva: ILO, 2018)

[30] OECD, Skills Outlook 2023: Skills for the Green Transition (Paris: OECD Publishing, 2023)

[31] UNDP Georgia, Sustainable Tourism and Protected Areas (Tbilisi: UNDP, 2021).

[32] World Health Organization (WHO), Air Pollution and Public Health: The Benefits of Action (Geneva: WHO, 2019)

ფინანსური შეზღუდვები. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მწვანე ინვესტიციებზე წვდომა შეზღუდულია მაღალი საკრედიტო პროცენტების და სუსტი საბანკო გარანტიების გამო. ბევრი კომპანია ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო დონორების მოთხოვნებს ESG ანგარიშგებისა და ფინანსური გამჭვირვალობის კუთხით.[33]

ინსტიტუციური და საკანონმდებლო დაბრკოლებები. კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტულია, არ არსებობს ერთიანი „მწვანე ტაქსონომია“, რომელიც ინვესტორებს მკაფიო სიგნალს მისცემდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია აზერბაიჯანში, სადაც ნავთობზე დამოკიდებულება აფერხებს განახლებადი ენერგიების პოლიტიკის ეფექტიან იმპლემენტაციას.[34]

ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული სუსტი წერტილები. მიუხედავად მზისა და ქარის რესურსების მაღალი პოტენციალისა, საქართველოში ენერგოსისტემის არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს დიდი მოცულობის განახლებადი ენერგიის ეფექტიან ინტეგრაციას. ეს გარემოება ზღუდავს "დიდმასშტაბიან ენერგეტიკულ პროექტებს" (utility-scale) პროექტების განვითარებას, ქსელის ბალანსირებასა და ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიკაციას. სომხეთის შემთხვევაში, მთავარი გამოწვევა დაკავშირებულია ტექნოლოგიური ცოდნისა და ინოვაციური ნოუ-ჰაუს დეფიციტთან, რაც ართულებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ენერგოინოვაციების განხორციელებას და ზღუდავს მათ მასშტაბურ გავრცელებას.[35]

საზოგადოებრივი ცნობიერება. მოსახლეობის ნაწილში ჯერ კიდევ დაბალია ეკოლოგიური პასუხისმგებლობის კულტურა. კვლევები აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში მომხმარებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი მზადაა გადაიხადოს „მწვანე პროდუქტის“ პრემია, რაც ამცირებს ბაზრის სტიმულს მწვანე ინოვაციებისთვის.[36]

პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რისკები. რეგიონული კონფლიქტები, პოლიტიკური არასტაბილურობა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვას.

2025 წლის აპრილ–მაისის პერიოდში ჩატარდა **120 რესპონდენტზე დაყრდნობილი თვისებრივი კვლევა** მცირე და საშუალო საწარმოთა (SMEs) სექტორში. კვლევის მიზანი იყო მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტების, სერტიფიცირების როლისა და ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება. გამოკვლევა განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, ხოლო ანალიზი დაეყრდნო წინასწარ ფორმულირებულ ჰიპოთეზებს:

მთავარი ჰიპოთეზა: საქართველოში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნისა და მათი ბაზარზე წარმატებული პოზიციონირების გზით.

- **H1:** მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის SMEs-ის ეკონომიკურ შედეგებს (შემოსავლების ზრდა, ხარჯების ოპტიმიზაცია);
- **H2:** სერტიფიცირება (ISO/ESG) ზრდის ბაზრის ხელმისაწვდომობას;
- **H3:** ფინანსური ბარიერები და ინფორმაციის დეფიციტი წარმოადგენს მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს.

[33] EBRD, SMEs and Green Finance in Eastern Partnership Countries (London: EBRD, 2022).
[34] IEA, Renewable Energy Prospects for Azerbaijan (Paris: IEA, 2022).
[35] World Bank, South Caucasus Green Energy Infrastructure Assessment (Washington, DC: World Bank, 2021)
[36] UNEP, *Consumer Information for Sustainable Consumption* (Nairobi: UNEP, 2020).

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ჰიპოთეზების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა მკაფიოდ გამოიკვეთოს როგორც დადებითი ეფექტები, ისე არსებული სისტემური გამოწვევები.

მიღებული შედეგები თემატურად წარმოდგენილია ქვემოთ.

მოტივაცია მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისას

ინტერვიუების ანალიზმა ცხადყო, რომ მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის მთავარი მოტივაცია უმრავლესობისთვის იყო ხარჯების შემცირება და ენერგოეფექტიანობის ზრდა. დაახლოებით 68%-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ელექტროენერგიისა და კომუნალური ხარჯების ზრდამ აიძულა ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიება. შედარებით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი (~27%) ხაზს უსვამდა სერტიფიცირების მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის აუცილებლობას. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მოტივაციის სახით დასახელდა რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედის (~21%) მიერ, თუმცა იგი აღიქმებოდა როგორც დამატებითი და არა გადამწყვეტი ფაქტორი.

ტექნოლოგიების არჩევანი

ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა შეეხებოდა შედარებით მარტივ და ხელმისაწვდომ გადაწყვეტილებებს. რესპონდენტების ნახევარზე მეტი (~55%) საუბრობდა LED განათების, შენობების თბოიზოლაციისა და ენერგოეფექტიანობის სხვა ზომების დანერგვაზე. მზის პანელები და განახლებადი ენერგიის სხვა წყაროები დაახლოებით მესამედში (~32%). აგრარული სექტორის კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ჭკვიან ირიგაციასა (~25%) და ორგანულ სერტიფიცირებას. ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა შედარებით ნაკლებად გავრცელებული იყო (~12%), რაც მიუთითებს ამ მიმართულების ინოვაციურ და ჯერ კიდევ არასაკმარისად ათვისებულ ხასიათზე.

ეკონომიკური შედეგები

კვლევის თითქმის ყველა მონაწილე აღნიშნავდა მწვანე ინიციატივების პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს. რესპონდენტთა ორი მესამედი (~64%) საუბრობდა ენერგომხარჯის მინიმუმ 10%-ით შემცირებაზე, ხოლო საშუალო მაჩვენებელი 15–20%-ს აღწევდა. შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა დაახლოებით 41%-ში, განსაკუთრებით ტურიზმისა და აგრარულ სექტორებში, სადაც მწვანე ინიციატივებმა მარკეტინგული უპირატესობა უზრუნველყო. ინვესტიციის ანაზღაურების პერიოდი 2–3 წელიწადში მიღწეული ჰქონდა რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (~48%). ყოველი მეოთხე (~27%) რესპონდენტი საუბრობდა ახალი საექსპორტო კონტრაქტების მოპოვებაზე, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა სერტიფიცირებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

სერტიფიცირება და სტანდარტები

სერტიფიცირების პრაქტიკა SMEs-ში კვლავ შეზღუდულადაა გავრცელებული: ISO 14001, ISO 50001 ან ESG ანგარიშგება მხოლოდ რესპონდენტთა მეხუთედს (~20%) ჰქონდა დანერგილი. თუმცა, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, ერთხმად აღნიშნავდა მის სტრატეგიულ მნიშვნელობას — სერტიფიცირებამ ახალი კლიენტების მოზიდვა და უცხოურ ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა გააძლიერა (~15%). შესაბამისად,

სერტიფიცირების პროპორციულად მცირე გავრცელება არ ამცირებს მის მნიშვნელობას: პირიქით, რესპონდენტები მას აღიქვამენ როგორც „ბაზარზე შესვლის ბილეთს“.

დაფინანსება და ინსტიტუციური მხარდაჭერა

ფინანსური საკითხები აღმოჩნდა ყველაზე მეტად პრობლემური. რესპონდენტთა თითქმის სამოცდათორმეტი (~72%) პროექტებს საკუთარი სახსრებით ახორციელებდა. დაახლოებით მესამედმა (28%) მიიღო მცირე გრანტი ან სუბსიდია, თუმცა ეს რესურსი შეზღუდული მოცულობის იყო. მხოლოდ 14%-მა ისარგებლა „მწვანე სესხით“, ხოლო 10%-ზე ნაკლებმა –სქემით (გრანტი+სესხი). რესპონდენტების დიდი ნაწილი თვლიდა, რომ ხელმისაწვდომი სესხების, სახელმწიფო გარანტიებისა და საგრანტო მხარდაჭერის გარეშე მწვანე ტრანსფორმაციის მასშტაბური განვითარება რთული იქნება.

სოციალური შედეგები

სოციალური შედეგები შედარებით ნაკლებად ინტენსიურად გამოვლინდა, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი იყო. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (~28%) საუბრობდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე (საშუალოდ 1–3 პოზიცია). უფრო გავრცელებული პრაქტიკა იყო თანამშრომელთა გადამზადება — რესპონდენტთა 57%-მა აღნიშნა ტრენინგების ჩატარება ენერგომენეჯმენტში, ESG ანგარიშგებასა და ორგანული სერტიფიცირების საკითხებში. ადგილობრივი თემების ჩართულობა და ეკონომიკური გაძლიერება გამოვლინდა რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედის (~22%) შემთხვევაში, განსაკუთრებით ეკოტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პროექტებში ადგილობრივი თემების ჩართულობა და ეკონომიკური გაძლიერება გამოვლინდა რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედის (~22%) შემთხვევაში, განსაკუთრებით ეკოტურიზმისა და სოფლის მეურნეობის პროექტებში.

გამოწვევები

ყველაზე ხშირად დასახელებული ბარიერი იყო მაღალი საწყისი ინვესტიცია (CAPEX), რომელსაც რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (~52%) ასახელებდა. ასევე ფართოდ გავრცელებული პრობლემა იყო იაფი დაფინანსების დეფიციტი (~46%) და რეგულაციური გარემოს სირთულე (~39%). ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის სირთულეებზე საუბრობდა დაახლოებით მესამედი (~31%), ხოლო მომხმარებელთა დაბალ ცნობიერებაზე — 29%. ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებს მწვანე ტექნოლოგიების მასშტაბურ დანერგვას.

პერსპექტივები და რეკომენდაციები

პერსპექტივებზე საუბრისას რესპონდენტების თითქმის ნახევარი (~44%) აღნიშნავდა, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა არის აუცილებელი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის. რესპონდენტთა უმრავლესობა (~51%) თვლიდა, რომ სახელმწიფომ უნდა შეითავსოს უფრო აქტიური როლი მწვანე ტრანსფორმაციის მხარდაჭერაში — როგორც ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ისე რეგულაციების გამარტივებით და საგანმანათლებლო ინიციატივების გაფართოებით.[37]

[37] კიკილაშვილი ლევანის მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები SMEs-ის წარმომადგენლებთან, საქართველო, 2025 წლის აპრილ–მაისი.
https://drive.google.com/drive/folders/13PIiBUKVPw3bpXXycPLNfp9Ua-faoTxU?usp=sharing

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის ძირითადი მოტივაცია იყო ხარჯების შემცირება და ენერგოეფექტიანობა, რასაც ადასტურებდა რესპონდენტთა დაახლოებით ორი მესამედი. ეს ტენდენცია სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ლიტერატურასთან: მაგალითად, OECD-ის ანგარიშში (2023) ხაზგასმულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მწვანე ინიციატივების ყველაზე სწრაფი მოტივატორია ენერგომოხმარების შემცირება და ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზაცია.[38]

ჩვენი მონაცემები მიუთითებს, რომ ინვესტიციის საშუალო ანაზღაურების ვადა საქართველოში 2–3 წელია. ეს შედეგი მსგავსია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მონაცემებთან, სადაც SMEs მწვანე ინიციატივების შედეგიანობას სწორედ მოკლევადიან პერსპექტივაში აფასებენ (World Bank, 2020).[39] თუმცა, დასავლეთ ევროპაში, სადაც მაღალი სტანდარტები და მკაცრი რეგულაციებია, ანაზღაურების პერიოდი ხშირად უფრო ხანგრძლივია, მაგრამ კომპენსირდება სუბსიდიებით და დაბალი საპროცენტო სესხებით.

სერტიფიცირების მხრივ, საქართველოში ISO და ESG პრაქტიკა მხოლოდ მცირე ნაწილშია დანერგილი (20%). ეს მონაცემი მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, სადაც SMEs-ის დაახლოებით 55% უკვე მიჰყვება ESG ანგარიშგების მინიმალურ სტანდარტებს (European Commission, 2022).[40] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სერტიფიცირების დაბალი გავრცელება საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად.

დაფინანსების თვალსაზრისით, ჩვენი კვლევის შედეგები ასევე თანხვედრაშია საერთაშორისო გამოცდილებასთან. რესპონდენტთა 72%-მა აღნიშნა, რომ პროექტები საკუთარი სახსრებით განახორციელა, რაც შეესაბამება IFC-ის მიერ რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგებს (2021), სადაც ნათქვამია, რომ SMEs მწვანე ინვესტიციებისთვის ხშირად იძულებულნი არიან თვითდაფინანსებას დაეყრდნონ, რადგან საბანკო პროდუქტები ძვირი და რთულად ხელმისაწვდომია.[41]

სოციალური შედეგების ნაწილში, ინტერვიუებმა აჩვენა ზომიერი, მაგრამ დადებითი ეფექტი: ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა დაახლოებით მესამედ კომპანიაში, ხოლო 57%-მა თანამშრომელთა გადამზადება უზრუნველყო. ეს შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება ILO-ს (2018) შეფასებას, რომლის მიხედვითაც მწვანე ეკონომიკის ტრანსიცია ქმნის ახალ პროფესიებს, თუმცა მათი რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ და ფინანსურ ჩარჩოებზე.[42]

ბარიერების თვალსაზრისით, ჩვენს კვლევაში ყველაზე ხშირად დასახელდა მაღალი საწყისი ინვესტიცია (52%), რაც თითქმის იდენტურია IEA-ს (2022) მონაცემებს აზერბაიჯანისთვის, სადაც SMEs ასევე მიუთითებენ CAPEX-ის სიმძიმეს, როგორც მთავარ დაბრკოლებას.[43]

[38] OECD. Skills Outlook 2023: Skills for the Green Transition. Paris: OECD Publishing, 2023.
[39] World Bank. Green Growth in Eastern Europe. Washington, DC: World Bank, 2020.
[40] European Commission. *SME Sustainability Survey 2022.* Brussels: European Commission, 2022.
[41] International Finance Corporation (IFC). Green Finance Opportunities in Eastern Partnership Countries. Washington, DC: IFC, 2021
[42] International Labour Organization (ILO). *World Employment and Social Outlook 2018: Greening with Jobs.* Geneva: ILO, 2018.
[43] International Energy Agency (IEA). *Renewable Energy Prospects for Azerbaijan.* Paris: IEA, 2022.

ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესში უკვე იძლევა როგორც **ეკონომიკურ სარგებელს** (ენერგო და ოპერაციული ხარჯების შემცირება, შემოსავლების ზრდა, საექსპორტო ბაზრებზე წვდომა), ასევე **სოციალურ ეფექტებს** (დასაქმება, უნარების გაძლიერება, თემების გაძლიერება). ამავდროულად, აღმოჩნდა მრავალი **ბარიერი** — მაღალი საწყისი ინვესტიციები, იაფი დაფინანსების დეფიციტი, სერტიფიცირების დაბალი დონე და რეგულაციების ფრაგმენტულობა.

კვლევამ ცხადჰყო, რომ საქართველოს SMEs-ის გამოცდილება დიდწილად თანხვედრაშია საერთაშორისო ტენდენციებთან: როგორც რეგიონში (აზერბაიჯანი, სომხეთი), ასევე ევროკავშირსა და OECD ქვეყნებში, სადაც მწვანე ტრანსფორმაციის მთავარი მოტივატორია ხარჯების შემცირება და ბაზრის გაფართოებაა. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დასავლურ პრაქტიკაში სახელმწიფო და დონორები აქტიურად იყენებენ **სუბსიდიებს, დაბალპროცენტიან სესხებსა და სერტიფიცირების ხელშეწყობას**, მაშინ როდესაც საქართველოში ბიზნესი კვლავ მნიშვნელოვნად ეყრდნობა თვითდაფინანსებას.

რეკომენდაციები

1. სახელმწიფოსთვის

მწვანე ფინანსების ინსტრუმენტები: შეიქმნას „მწვანე გარანტიების ფონდი“, რომელიც SMEs-ს მისცემს წვდომას იაფ დაფინანსებაზე „პირველი დანაკარგის გარანტია“და „შერეული დაფინანსება“ (First-loss guarantee, Blended finance).

• **რეგულაციური ჩარჩო:** შემუშავდეს ეროვნული „მწვანე ტაქსონომია“, EU Taxonomy-სთან ჰარმონიზაციით, რათა ინვესტორებს მკაფიო სიგნალი ჰქონდეთ ცვლილებებზე.

• **საჯარო შესყიდვები:** „მწვანე შესყიდვების“ სტრატეგიის დანერგვა, რომელიც გააჩენს საწყის მოთხოვნას ადგილობრივი მწვანე პროდუქტისა და სერვისის მიმართ.

• **სერტიფიცირების ხელშეწყობა:** დაფინანსდეს ISO/ESG სერტიფიცირების პროცესი SMEs-ისთვის, როგორც კონკურენტუნარიანობის „ბილეთი“ საერთაშორისო ბაზარზე.

2. ბიზნესისთვის

• **ინვესტიციების სტრატეგია:** მწვანე ინიციატივები განიხილონ არა როგორც დანახარჯი, არამედ როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ზრდის კონკურენტულ პოზიციას.

• **სერტიფიცირება და ESG:** აქტიურად იმუშაონ ESG ანგარიშგებასა და ISO სერტიფიცირებაზე, რადგან ეს ზრდის კლიენტებისა და პარტნიორების ნდობას.

• **ინოვაციები:** მცირე ნაბიჯებით დაიწყონ ენერგოეფექტიანობის მიმართულებით (LED, იზოლაცია), შემდეგ გადავიდნენ განახლებად ენერგიასა და ცირკულარულ მოდელებზე.

3. საერთაშორისო დონორებისა და პარტნიორებისთვის

• **ფინანსური მხარდაჭერა:** გააფართოონ გრანტები და „კონცესიური სესხები” (concessional loans), რათა მიკრო და მცირე ბიზნესმა (SMEs) შეძლონ კაპიტალური ინვესტიციების (CAPEX)-ის დაფარვა.

• **ტექნოლოგიური ტრანსფერი:** ხელი შეუწყონ საერთაშორისო ‘‘ცოდნა თუ როგორ” (know-how) გადმოტანას (ენერგოეფექტიანობა, ცირკულარული მოდელები, ეკო-ინოვაციები).

• **განათლება და უნარების განვითარება:** ერთობლივი მწანე პროექტები პროფესიული განათლების სფეროში (Green skills programs).

დასკვნა

კვლევამ, მათ შორის თვისებრივმა ნაწილმა, დაადასტურა, რომ მწვანე ტრანსფორმაცია საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ გარემოსდაცვით ვალდებულებას, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოების, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ გზას.

H1 – ეკონომიკური ეფექტი: SMEs-ში მწვანე ინიციატივებმა შეამცირა ენერგომოხმარება 64%-ში (15–20%-ით), გაზარდა შემოსავლები 41%-ში და მოიტანა ახალი საექსპორტო კონტრაქტები 27%-ში; ROI – 2–3 წელი.

H2 – სერტიფიცირება: სერტიფიცირებულმა კომპანიებმა (20%) უცხოურ ტენდერებში მონაწილეობით 15%-ში გააფართოეს კლიენტთა ბაზა.

H3 – ბარიერები: მაღალი საწყისი ინვესტიცია (52%), იაფი დაფინანსების დეფიციტი (46%), რეგულაციური სირთულეები (39%), ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა (31%), დაბალი ცნობიერება (29%).

მწვანე ტექნოლოგიები SMEs-ისთვის არის ეკონომიკური და კონკურენტული პოზიციების გამაძლიერებელი, თუმცა საჭიროებს ფინანსური, ინსტიტუციური და საინფორმაციო მხარდაჭერის გაძლიერებას.

Levani Kikilashvili

BUSINESS COMPETITIVENESS IN THE ERA OF GREEN TECHNOLOGIES: PERSPECTIVES FROM GEORGIA AND THE SOUTH CAUCASUS

Summary

The development of green business in the Caucasus region has become one of the key priorities in today's economic and ecological discourse. It is directly linked to mitigating climate change, introducing environmentally friendly technologies, and achieving the objectives of sustainable development. Green business models not only create new economic opportunities but also serve as an essential mechanism for integration with global environmental standards. In this regard, the concept of a green economy reshapes traditional business paradigms and provides new opportunities for sustainable and competitive growth.

In the South Caucasus, advancing green business is both a challenge and an opportunity, driven by the global climate crisis and the need for economic transformation. Green technology enterprises boost growth, ensure environmental compliance, and support progress toward sustainable development goals.

Over the past two decades, Georgia, Armenia, and Azerbaijan have implemented a range of initiatives, including the expansion of renewable energy, the promotion of eco-tourism, the advancement of organic agriculture, and the establishment of waste management systems. These initiatives have been significantly supported by international organizations (UNDP, OECD, the European Union) alongside increased public and private investment. As a result, they have contributed to strengthening energy security, reducing carbon emissions, and empowering local communities economically.

According to theories of business competitiveness (Porter, Krugman, Stiglitz), success in the era of globalization depends not only on price efficiency and production capacity but also on the adaptation of innovative technologies, the sustainable use of resources, and compliance with environmental standards. In this context, green technologies are viewed as a critical lever for enhancing business competitiveness and reinforcing economic security.

This article examines the main directions of green business development in the Caucasus region—energy, transport, agriculture, tourism, and industry. Special attention is given to the social and economic outcomes of adopting green business models, including job creation, the strengthening of human capital, the dissemination of an innovation-oriented culture, and opportunities for integration into global markets.

International cooperation and investment are crucial for green transformation. Frameworks such as the European Green Deal and the Paris Climate Agreement help regional businesses remain competitive. ESG compliance and international certification provide companies with advantages for global market expansion and attracting capital. For South Caucasus countries, integrating green business into global standards strengthens economic security, fosters innovation, and supports long-term competitiveness. Georgia's example shows that state policy, international support, and business readiness can drive sustainable regional development.

Keywords: *Green business, sustainable development, green technologies, competitiveness, investments, eco-tourism, renewable energy*

დალი მაგრაქველიძე

ხელოვნური ინტელექტის როლი რისკების თანამედროვე მართვაში

ანოტაცია. *თანამედროვე რეალობაში მზარდი გაზრის არასტაბილურობის, კიბერუსაფრთხოების საფრთხეების და ფინანსური რისკების ფონზე, რისკების მართვა გარდამტეხ ფაზაში შედის. ხელოვნური ინტელექტი (AI) ქმნის ახალ პარადიგმას, რომელიც ტრადიციული რისკების მართვის მიდგომებს ანაცვლებს ან ავსებს.*

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ იყენებენ კომპანიები, განსაკუთრებით ფინანსური და ტექნოლოგიური სექტორიდან, ხელოვნურ ინტელექტს რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის, პროგნოზირების და მართვის მიზნით. ყურადღება გამახვილებულია ისეთ ტექნოლოგიებზე, როგორიცაა მანქანური სწავლება (Machine Learning), ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP) და გამჭვირვალე ხელოვნური ინტელექტი (Explainable AI). ასევე შესწავლილია ისეთი გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს AI-ის ინტეგრაციას რისკების მართვის პროცესებში — მათ შორის ეთიკური საკითხები და მონაცემთა კონფიდენციალურობა. საბოლოოდ, წარმოდგენილია რეკომენდაციები და სტრატეგიული მიმართულებები AI-ზე დაფუძნებული რისკმენეჯმენტის ეფექტურად დანერგვისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, რისკების მართვა, მანქანური სწავლება, საკრედიტო ანალიზი, ალგორითმული მიკერძოება.*

შესავალი

თანამედროვე ორგანიზაციებისთვის რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. გლობალიზაციის, ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე იზრდება როგორც გარე (მაგ. კიბერუსაფრთხოება, ბაზრის რყევები), ისე შიდა (ოპერაციული და საკრედიტო) რისკების რაოდენობა და კომპლექსურობა. ტრადიციული რისკმენეჯმენტის მეთოდები ხშირად ვერ ასწრებენ ამ დინამიკის დამუშავებას. სწორედ აქ იჩენს თავს ხელოვნური ინტელექტის (AI) პოტენციალი.

ფინანსური სექტორი დიდი ხანია, რისკების შესამცირებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გასაუმჯობესებლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის წინა ხაზზეა. ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის (AI) და დიდი მონაცემების ანალიტიკის აღზევებამ ფინანსური პროგნოზირების ტრანსფორმაციული ცვლილებები მოიტანა, რამაც ტრადიციული რისკების მართვის მიდგომები შეცვალა. ამ ტექნოლოგიებს აქვთ პოტენციალი, გააუმჯობესონ პროგნოზირების სიზუსტე, გამოავლინონ ფარული საფრთხეები და ოპტიმიზაცია გაუკეთონ სტრატეგიებს ისეთი გზებით, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები,

რომლებიც მანქანური სწავლების (ML) მოდელებით არის აღჭურვილი, მონაცემთა უზარმაზარი რაოდენობის მაღალი სიჩქარით ანალიზის საშუალებას იძლევა, რაც შესაძლებელს ხდის ბაზრის ქცევის, მომხმარებელთა ტენდენციების და პოტენციური ფინანსური რისკების უფრო დიდი სიზუსტით შეფასებას და პროგნოზირებას.

. . .

რისკების მართვა ტრადიციულად ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, სადაც ინსტიტუტები მუდმივად ცდილობენ დააბალანსონ პოტენციური სარგებელი მათთან დაკავშირებულ რისკებთან. თუმცა, ბოლო წლებში ფინანსური ბაზრები სულ უფრო რთული, არასტაბილური და ურთიერთდაკავშირებული გახდა, რაც იწვევს რისკების შეფასებისა და პროგნოზირების უფრო მოწინავე მეთოდების მზარდ საჭიროებას. ტრადიციული რისკების მართვის ტექნიკა, რომელიც ხშირად ეყრდნობა ისტორიულ მონაცემებსა და სტატიკურ მოდელებს, არასაკმარისი აღმოჩნდა დღევანდელ სწრაფად ცვალებად ფინანსურ ლანდშაფტში რისკების პროგნოზირების ან შემცირებისთვის. ამან გამოიწვია ინტერესი ინოვაციური გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ რეალურ დროში ინფორმაციის მიღება და უფრო ზუსტი პროგნოზირების მოდელების შეთავაზება.

ისტორიულ მონაცემებზე, სტატიკურ წესებზე და ადამიანურ ინტუიციაზე დაფუძნებული სისტემები მიუხედავად იმისა, რომ საიმედოა სტაბილურ საბაზრო პირობებში, სირთულეებს განიცდის არასტაბილური ეკონომიკური ცვლილებების, უეცარი გეოპოლიტიკური მოვლენების და ახალი კიბერ საფრთხეების წინაშე. განვიხილოთ 2008 წლის ფინანსური კრიზისი, როდესაც რთული იპოთეკური ფასიანი ქაღალდები დიდწილად უკონტროლო დარჩა მოძველებული რისკების მოდელირებისა და კორელაციების არასაკმარისი შეფასების გამო. დღევანდელ ეპოქაში მსგავსი ზედამხედველობა შეიძლება კატასტროფული იყოს, მაგრამ ხელოვნური ინტელექტი გამოსავალს გვთავაზობს. მაგალითად, მანქანური სწავლების ალგორითმებს შეუძლიათ მილიონობით მონაცემთა წერტილის დამუშავება აქტივების კლასებში, მომხმარებელთა ქცევასა და სიახლეების არხებში რეალურ დროში, რაც მიუთითებს პოტენციურ დაუცველობაზე, რომელიც ადამიანმა ანალიტიკოსებმა შეიძლება გამოტოვონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც მილიარდობით კაპიტალს მართავენ და მარეგულირებლებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მზარდ კონტროლს განიცდიან. გარდა ამისა, დიდი მონაცემების გამოყენება საშუალებას იძლევა ჩართოთ მრავალფეროვანი მონაცემები, მათ შორის სოციალური მედიის განწყობები, გეოპოლიტიკური მოვლენები და მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს პროგნოზირების მოდელებს. ეს ინოვაციები უზრუნველყოფს უფრო ყოვლისმომცველ და დინამიურ მიდგომას რისკების ანალიზისა და შემცირების მიმართ, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დღევანდელ სწრაფად ცვალებად ფინანსურ გარემოში.

ფინანსებში ხელოვნური ინტელექტის ევოლუციამ კრიტიკულ გარდამტეხ წერტილს მიაღწია. Deloitte-ის 2024 წლის გლობალური რისკების მართვის კვლევის თანახმად, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების 75%-ზე მეტს უკვე ინტეგრირებული აქვს ხელოვნური ინტელექტის რაიმე ფორმა თავიანთ რისკების შეფასების სტრუქტურაში. საკრედიტო რეიტინგის მოდელებიდან, რომლებიც დინამიურად რეგულირდება მომხმარებლის აქტივობის მიხედვით, თაღლითობის აღმოჩენის სისტემებამდე, რომლებიც აანალიზებენ ტრანზაქციების სიჩქარეს და მომხმარებლის მეტამონაცემებს, გამოყენების შემთხვევები სწრაფად ფართოვდება. ხელოვნური

ინტელექტი არა მხოლოდ პროცესების ავტომატიზაციას ახდენს; ის ქმნის ინტელექტის ახალ ფორმებს მონაცემთა წერტილებს შორის ურთიერთობების გამოვლენით, რომლებიც ადრე დაფარული იყო ან არარელევანტურად ითვლებოდა. უფრო მეტიც, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება არა მხოლოდ შიდა გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ გარე შესაბამისობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) კანონები და „იცოდე შენი მომხმარებელი“ (KYC) პროტოკოლები.

ფინანსურ პროგნოზირებაში ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების ინტეგრაციამ რისკების მართვისთვის ახალი ჰორიზონტები გახსნა. ფინანსური ბაზრების განვითარებასა და უფრო გართულებასთან ერთად, ამ ტექნოლოგიების პოტენციური გამოყენება ჯერ კიდევ შორს არის სრულად რეალიზებისგან. უახლოეს წლებში, უფრო დახვეწილი ხელოვნური ინტელექტის მოდელების შემუშავება და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების ზრდა რევოლუციას მოახდენს რისკების პროგნოზირების სიზუსტესა და ეფექტურობაში.

მანქანური სწავლების მოდელების მიღწევები: ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული რისკების მართვის მომავალი მანქანური სწავლების (ML) ალგორითმების მუდმივ განვითარებას უკავშირდება. მონაცემების მზარდ ხელმისაწვდომობასთან ერთად, ML ტექნიკები, როგორიცაა ღრმა სწავლება და გაძლიერებული სწავლება, უფრო დახელოვნებული გახდება ფინანსურ გარემოში რთული ნიმუშების იდენტიფიცირებასა და პროგნოზირებაში, რაც გააუმჯობესებს რისკების შეფასების სიზუსტეს.

რეალურ დროში რისკების მონიტორინგი: ხელოვნური ინტელექტი დიდ მონაცემებთან ერთად ხელს შეუწყობს ბაზრის მდგომარეობის რეალურ დროში ანალიზს, რაც პროაქტიული რისკების შემცირების საშუალებას იძლევა. მოწინავე მონაცემთა ანალიტიკის პლატფორმების გამოყენებით, ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ რეალურ დროში აკონტროლონ ბაზრის ცვლილებები, უზრუნველყონ ადრეული გაფრთხილების სისტემა ახალი რისკებისთვის და უზრუნველყონ უფრო სწრაფი, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. ინტეგრაცია ბლოკჩეინ ტექნოლოგიასთან: ხელოვნური ინტელექტის, დიდი მონაცემებისა და ბლოკჩეინის გადაკვეთა მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს ფინანსური პროგნოზირების სისტემების გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ბლოკჩეინის უცვლელი რეესტრი მონაცემთა სიზუსტის დადასტურებას ახდენს, ხოლო ხელოვნური ინტელექტი ამუშავებს მონაცემთა უზარმაზარ ნაკადებს ინფორმირებული პროგნოზების გასაკეთებლად, რითაც ზრდის რისკების მართვის მოდელებისადმი ნდობას.

პერსონალიზებული ფინანსური რისკების მოდელები: ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების ტექნოლოგიების პროგრესირებასთან ერთად, ისინი შესაძლებელს გახდის მაღალპერსონალიზებული ფინანსური რისკების მოდელების შექმნას. ინდივიდუალური მომხმარებლის ქცევისა და ფინანსური პროფილების ანალიზით, ინსტიტუტებს შეუძლიათ რისკების შეფასებების დეტალურ დონეზე მორგება, რაც აუმჯობესებს მომხმარებლისთვის სპეციფიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და ფინანსურ შედეგებს.

გაუმჯობესებული მარეგულირებელი შესაბამისობა და ეთიკური მოსაზრებები: რისკების მართვაში ხელოვნურ ინტელექტსა და დიდ მონაცემებზე მზარდი დამოკიდებულების გამო, მარეგულირებელ ორგანოებს დასჭირდებათ ჩარჩოების

განახლება ახალი გამოწვევების მოსაგვარებლად. მომავალში, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს დასჭირდებათ გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ეთიკური ხელოვნური ინტელექტის დანერგვა პრიორიტეტი გახდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ალგორითმები არ იწვევენ მიკერძოებას ან უთანასწორობას რისკების შეფასებაში.

სექტორთაშორისი გამოყენება: ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების გამოყენება ფინანსურ პროგნოზირებაში გაფართოვდება ტრადიციული ფინანსების მიღმა ისეთ სექტორებში, როგორიცაა დაზღვევა, ჯანდაცვა და უძრავი ქონება. ამ ტექნოლოგიების სექტორთაშორისი ადაპტაცია შესაძლებელს გახდის რისკების მართვის ყოვლისმომცველი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებსაც შეუძლიათ რისკების პროგნოზირება და შემცირება მრავალ ინდუსტრიაში, რაც უზრუნველყოფს რისკების მართვისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

თანამშრომლობითი ხელოვნური ინტელექტის სისტემები: ხელოვნური ინტელექტის სფეროში მომავალი განვითარება, სავარაუდოდ, მოიცავს თანამშრომლობით სისტემებს, რომლებიც აერთიანებენ ადამიანურ ექსპერტიზას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ხედვებთან. ეს ჰიბრიდული მოდელები გააერთიანებს ადამიანური ინტუიციისა და კრეატიულობის ძლიერ მხარეებს ხელოვნური ინტელექტის გამოთვლით ძალასთან, რაც გამოიწვევს უფრო ინფორმირებულ, ნიუანსირებულ რისკების მართვის სტრატეგიებს.

ფინანსურ პროგნოზირებაში რისკების მართვის მომავალი ტრანსფორმაციისთვისაა მზად, რაც განპირობებულია ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების ტექნოლოგიების უწყვეტი ევოლუციით. ამ სფეროების განვითარებასთან ერთად, ისინი შეცვლიან ფინანსური ინსტიტუტების მიერ რისკების პროგნოზირების, შეფასებისა და მართვის წესს, რაც შექმნის უფრო მდგრად და ადაპტირებად ფინანსურ ეკოსისტემას.

JPMorgan Chase მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბანკია, რომელიც იყენებს ხელოვნურ ინტელქტს რისკების მართვაში. ბანკმა განავითარა პროგრამა სახელწოდებით COiN (Contract Intelligence), რომელიც იყენებს მანქანურ სწავლებას კომერციული სასესხო ხელშეკრულებების მიმოხილვისა და შემუშავებისათვის. ეს ამოცანა, რომელიც ითხოვდა იურისტებისა და სესხის ოფიცრების ათასობით საათს, ახლა შესაძლოა შესრულდეს რამოდენიმე წამში დიდი სიზუსტით. სისტემა ეხმარება JPMorgan-ს შეაფასოს რისკფაქტორები სესხის ხელშეკრულებაში უფრო ეფექტურად და შეამციროს კონტრატის დარღვევისთ გამოწვეული ფინანსური დანაკარგები.

მიუხედავიად მასშტაბურად მზარდი ტექნიკური პროგრესისა ხელოვნური ინექტლექტის გამოყენება მსოფლიო მასშტაბით ერთგვაროვანი არ არის. თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ზოგიერთ ნაწილში ინსტიტუტები ლიდერობენ ძლიერი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურითა და მონაცემთა უზარმაზარ ნაკრებებზე წვდომით, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ბევრი ორგანიზაცია ჯერ კიდევ კვლევის საწყის ეტაპზეა. ისეთ რეგიონებში, როგორიცაა საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკა ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნაწილები,სადაც ტრადიციული ფინანსური სერვისები ადრე არ არსებობდა ხელოვნური ინტელექტით მართული რისკ-მოდელები იწყებენ გამოჩენას მობილური საბანკო პლატფორმებსა და მიკროსესხების აპლიკაციებში. დანერგვის ტემპებს შორის განსხვავება ასახავს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ სიმწიფეს, არამედ რეგიონულ მარეგულირებელ

დამოკიდებულებებს, ნიჭიერ ადამიანებზე წვდომას და მონაცემთა კონფიდენციალურობის ნორმებს.

ამაათან, ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივსა ასევე მოაქვს რისკის ახალ ფორმების, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც დაკავშირებულია მოდელის მიკერძოებასთან, გამჭვირვალობასთან და მონაცემთა მართვასთან. მაგალითად, სესხის დამტკიცების ალგორითმმა შეიძლება უნებლიედ გამოტოვოს გარკვეული ეთნიკური ან სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, რაც სერიოზულ ეთიკურ და სამართლებრივ შეშფოთებას იწვევს. ღრმა სწავლების მოდელებში ინტერპრეტაციის ნაკლებობა ართულებს იმის დადგენას, თუ რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეს პრობლემა ცნობილია „შავი ყუთის“ პრობლემა. უფრო მეტიც, რადგან ხელოვნური ინტელექტის სისტემები უფრო ავტონომიური ხდება, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კითხვები, თუ ვინ აგებს პსუხს არასწორ პროგნოზზე ან სისტემის გაუმართაობაზე, სულ უფრო რთულდება.

დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) და დიდი მონაცემების ტექნოლოგიების გაჩენამ შეცვალა ფინანსური ინსტიტუტების მიერ რისკების მართვისადმი მიდგომის წესი. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს, მათ შორის მანქანურ სწავლებას (ML) და ღრმა სწავლებას, შეუძლიათ მონაცემების უზარმაზარი მოცულობის ანალიზი უპრეცედენტო სიჩქარით, რითაც გამოავლენენ ისეთ შაბლონებსა და ტენდენციებს, რომელთა აღმოჩენაც ადამიანი ანალიტიკოსებისთვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. დიდი მონაცემები, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან, დიდი მოცულობის მონაცემთა ნაკრებებს სხვადასხვა წყაროდან - როგორიცაა ფინანსური ტრანზაქციები, სოციალური მედია, ბაზრის განწყობა და ეკონომიკური ინდიკატორები - იძლევა ბაზრის პირობებისა და რისკების უფრო ფართო და დინამიურ სურათს.

ხელოვნური ინტელექტის (AI) და დიდი მონაცემების ინტეგრაცია ფინანსურ პროგნოზირებაში წარმოადგენს ტრანსფორმაციულ ცვლილებას რისკების მართვის სტრატეგიებში ფინანსურ ინდუსტრიაში. როგორც ნაშრომში იყო ხაზგასმული, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, როგორიცაა მანქანური სწავლება, ნეირონული ქსელები და ბუნებრივი ენის დამუშავება, დიდი მონაცემების ანალიტიკასთან ერთად, რისკების უფრო ზუსტი, დროული და ეფექტური შეფასების საშუალებას იძლევა. მონაცემთა უზარმაზარი ნაკრებების გამოყენებით ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ გამოავლინონ ფარული ნიმუშები, იწინასწარმეტყველონ ბაზრის ტენდენციები და გააუმჯობესონ გადაწყვეტილების მიღების პროცესები, რითაც აძლიერებენ რისკების მართვის უნარს არასტაბილურ ბაზრებზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების პოტენციური სარგებელი ფინანსურ პროგნოზირებაში უზარმაზარია, ისეთი გამოწვევები, როგორიცაა მონაცემთა ხარისხი, ალგორითმული მიკერძოებები და მარეგულირებელი საკითხები, ფრთხილად უნდა იქნას განხილული.

საბოლოო ჯამში, ფინანსებში რისკების მართვის მომავალი, განისაზღვრება ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემების უწყვეტი ევოლუციით, რაც პროაქტიული და პროგნოზირებადი რისკების მართვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს გვთავაზობს. ამ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მათი დანერგვა სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება არა მხოლოდ რისკების

შემცირებისთვის, არამედ ინოვაციების წახალისებისა და ფინანსური სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფისთვის მუდმივად ცვალებად გლობალურ ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chen, J., Wang, Y., & Liu, T. (2020). Artificial intelligence in financial forecasting: A review. Journal of Financial Analytics, 15(3), 45-68.
2. Liang, W., & Zhang, S. (2021). AI-enhanced financial forecasting for market risk management. Artificial Intelligence in Finance, 1(1), 45-60. https://doi.org/10.1016/j.ai-finance.2021.03.002.
3. Smith, P., & Thomas, L. (2021). Machine learning applications in financial markets. Finance and Technology Review, 32(4), 122-139.
4. Wang, L., & Lee, R. (2022). Advanced risk models in finance: The role of AI and Big Data. Journal of Financial Risk Management, 24(1), 45-59.

Dali Magrakvelidze

THE ROLE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN MODERN RISK MANAGEMENT

Summary

In today's reality, with increasing market volatility, cybersecurity threats, and financial risks, risk management is entering a transformative phase. Artificial Intelligence (AI) is creating a new paradigm that replaces or complements traditional risk management approaches.

The paper examines how companies, particularly in the financial and technology sectors, are using artificial intelligence to identify, analyze, predict, and manage risks. It focuses on technologies such as machine learning, natural language processing (NLP), and explainable AI. It also examines the challenges that come with integrating AI into risk management processes, including ethical issues and data privacy. Finally, recommendations and strategic directions for the effective implementation of AI-based risk management are presented.

რუსუდან პაპასკირი
საბა პაპასკირი

ფირმის კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის დაკომპლექტების სტრატეგია ფინანსური ლევერიჯის საშუალებით

ანოტაცია. *ნაშრომი იკვლევს ფირმის ფინანსური მენეჯერის წინაშე მდგარ ერთ–ერთ რთულ ამოცანას – კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის დაკომპლექტებას ფინანსური ლევერიჯის გამოყენებით. კვლევის მიზანია კომპანიის მიერ სესხის საშუალებით საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის გაზრდა ისე, რომ არ გაიზარდოს ფინანსური რისკი.*

ნაშრომი იძლევა რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება კომპანიამ მეტი პროექტი დააფინანსოს საკუთარი კაპიტალის შეზღუდვის შემთხვევაშიც ფინანსური ლევერიჯის საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ლევერიჯი, კაპიტალის სტრუქტურა, ფინანსური რისკი, საგადასახადო სარგებელი.*

ფინანსური ლევერიჯი საშუალებას იძლევა, ფირმამ ვალი გამოიყენოს იმ პერსპექტივით, რომ მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბოს ვალის მომსახურების ხარჯს (პროცენტს).

ფინანსური - ლევერიჯი (Financial Leverage) არის კომპანიაში ფიქსირებული პროცენტის მქონე ნასესხი სახსრების გამოყენება ჩვეულებრივ აქციებზე **შემოსავლების გასაზრდელად** [1, გვ. 449]. რადგან შემოსავლების ზრდა იწვევს რისკის ზრდასაც, მოცემულ შემთხვევაშიც კომპანიის ფინანსური მენეჯერი დგება ალტერნატივის წინაშე – გაზარდოს გარედან დაფინანსების ხვედრითი წილი და ამით შემოსავალი და მისი თანმდევი რისკიც, თუ შეამციროს ის და ამით შეამციროს აქციონრების შემოსავალიც და რისკიც. კომპანიის მფლობელებმა შეიძლება გამოიყენონ ფინანსური ლევერიჯი აქციონერული კაპიტალის გასაზრდელად, თუმცა მაღალი ლევერიჯი ზრდის ფინანსურ რისკსაც (გადაუხდელობის, გაკოტრების რისკი). თუ მომგებიანობა ნაკლებია, ვიდრე ვალის პროცენტი, მაშინ ლევერიჯი ამცირებს აქციონერების მოგებას და ზრდის რისკს.

აქციებზე შემოსავლის ზრდა ამაღლებს აქციების საბაზრო ფასს (სხვა თანაბარ პირობებში), რისკის ზრდა კი, ასევე სხვა თანაბარ პირობებში იწვევს აქციების ფასის შემცირებას. კომპანიის ფინანსური მენეჯერის მიზანი უნდა იყოს ის, რომ მან მთელი ძალისხმევა მოახმაროს მათ შორის ისეთი თანაშეფარდების არჩევას, ანუ ფინანსური ლევერიჯის ისეთ დონეს, რომლის დროსაც კომპანიის აქციების საბაზრო ფასი მაქსიმალური იქნება.

ფინანსური ლევერიჯი, რომელსაც მეორენაირად ფინანსურ ბერკეტს, ანუ ფინანსურ მხარსაც უწოდებენ, არის ფირმის სტრატეგიული განვითარების ელემენტი, ანუ ფინანსური ლევერიჯი ფირმის ეკონომიკური პოტენციალის სტრატეგიულ დახასიათებას წარმოადგენს. ამ მაჩვენებლის დონე გვიჩვენებს, თუ რა წილი უკავია გრძელი ვადით ნასესხ სახსრებს კომპანიის აქტივებში. ნასესხ სახსრებზე კომპანია ლენდერებს ანუ გამსხესხებლებს უხდის სარგებელს. სარგებელის გადახდა სავალდებულოა და იგი დამოკიდებულია კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგებზე. სავალდებულოა სესხის ძირითადი თანხის გადახდაც. ასეთ დროს, აქციების გამოშვებით და გაყიდვით კომპანიაში - ფორმირებული აქციონერეული კაპიტალი საკუთარი კაპიტალია და არც უკან დასაბრუნებელია და არც მისი დივიდენდებია გასაცემად სავალდებულო. ყოველივე ამის გამო კომპანიაში ნასესხი კაპიტალით საკუთარი კაპიტალის ჩანაცვლება ამაღლებს მის ფინანსურ რისკს, მაგრამ მას აქვს ეფექტიც, იგი ე. წ. „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით კომპანიის წინდა მოგების ზრდაში და საკუთარი კაპიტალის რ ატაბელობის ამაღლებაში გამოიხატება.

ფინანსური ლევერიჯი ამაღლებს ფირმის აქციონერული კაპიტალის რენტაბელობას, საინვესტიციო შესაძლებლობებს, იძლევა საგადასახადო სარგებელს.

ზოგადად, ფინანსურ ლევერიჯის არსზე, მნიშვნელობასა და ეფექტზე შემდეგი სამი თეზისია ჩამოყალიბებული [2, გვ. 533]:

1. დაფინანსების გრძელვადიან წყაროებში ნასესხი კაპიტალის მაღალი ხვედრითი წონა ნიშნავს ფინანსური ლევერიჯის და, ამასთან, ფინანსური რისკის მაღალ დონეს;

2. ფინანსური ლევერიჯი ნიშნავს კომპანიის დამოკიდებულების დონეს ლენდერებზე (გამსესხებლებზე);

3. გრძელვადიანი კრედიტების მოზიდვას თან ახლავს ფინანსური ლევერიჯის და ფინანსური რისკის ზრდა. ეს უკანასკნელი გამოიხატება ვალის ვალდებულებების (პროცენტის ჩათვლით) არშესრულების ალბათობის ამაღლებაში.

ჩვენი აზრით, ამ სამ თეზისს უნდა დაემატოს მეოთხეც, კერძოდ:

- ფინანსური ლევერიჯის მაღალი დონე „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებას, რისი პირდაპირი შედეგიც არის ბიუჯეტში მოგების გადასახადი აბსოლუტური სიდიდის შემცირება, ხოლო კომპანიაში დარჩენილი წმინდა მოგების ზრდა.

ფინანსური ლევერიჯის დონე (DFL) შეიძლება გაიზომოს რამოდენიმე მაჩვენებლით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ორი მაჩვენებელი [2, გვ. 535]:

1. ნასესხი და საკუთარი კაპიტალის თანაშეფარდება $\left(\mathrm{DFL_p}\right) = \frac{\text{ნასესხები კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

2. წმინდა მოგების ტემპის შეფარდება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე მოგების ცვლილების ტემპთან

$$\left(\mathrm{DFL}_r = \frac{\text{წმინდა მოგები ცვლილები ტემპი } (T_{r1})}{\text{გადასახადების გადახდამდე მოგების ცვლილების ტემპი } (T_{EBIT})}\right)$$

ეს მეორე მაჩვენებელი რუს მეცნიერ ვ. კოვალოვს ასე აქვს გამარტივებული [2, გვ. 535]:

$$\mathrm{DFL}_r = \frac{EBIT}{EBIT - I_n} = \mathrm{DFL}_r = \frac{1}{1 - EBIT - \frac{I_n}{EBIT}}$$

ფორმულაში EBIT – არის მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე.

I_n– არის სესხებზე პროცენტი.

ჩვენს მიერ განხილული ფინანსური ლევერიჯის ორი მაჩვენებლიდან პირველი მაჩვენებელი ძალზე ადვილად იანგარიშება (მასზე ინფორმაცია ბალანსშია მოცემული) და მისი ინტერპრეტაციაც ადვილია. ხშირად, ამ მაჩვენებელს მთლიანად კომპანიის დასახასიათებლად იყენებენ, რადგან დროსა და სივრცეში მისი შესადარისობა არ არის შეზღუდული. მეორე მაჩვენებელი საანგარიშოდ უფრო რთულია. უკეთესია მისი გამოყენება დინამიკურ ანალიზში, აგრეთვე, კომპანიაში _ სამეურნეო-საფინანსო სტუაციების განვითარების შედეგების რაოდენობრივი შეფასების დროს.

მეორე მაჩვენებლის ფორმულიდან ჩანს, რომ ფინანსური ლევერიჯი მართლაც იძლევა ოპერაციულ მოგებასა (ანუ მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე) და დასაბეგრ მოგებას შორის დამოკიდებულების დახასიათებას. ის გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ოპერაციული მოგება დასაბეგრ მოგებას. ამ კოეფიციენტის ქვედა ზღვარი არის 1,0. რაც მეტი აქვს კომპანიას ნასესხი სახსრები, მით მეტი აქვს მათზე პროცენტი გადასახდელი, მით მაღალი აქვს ლევერიჯის დონე და, შედეგად, წმინდა მოგებაც მით მეტად ვარიაბელურია.

ფინანსური ლევერიჯის და ფინანსური რისკის მართვა ნიშნავს მათი დინამიკის კონტროლს და პირობით-მუდმივ ფინანსურ ხარჯებთან შედარებით ოპერაციული მოგების (მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე) რეზერვის უზრუნველყოფას.

თეორიულად, ფინანსური ლევერიჯი 0-ის ტოლი შეიძლება ოყოს. ასეთი შემთხვევა იმას ნიშნავს, რომ კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საკუთარი სახსრებით, ანუ დამფუძნებლების სახსრებით და გენერირებული მოგებით. ასეთ კომპანიას ფინანსურად დამოუკიდებელი (unlevered company) ეწოდება. კომპანიას, რომელსაც აქვს ობლიგაციური სესხი, გრძელვადიანი ბანკი კრედიტი და ა.შ., ეწოდება ფინანსურად დამოკიდებული (higlu levered company).

ფინანსური ლევერიჯის პოზიტიურ პოტენციალს ის გარემოება განაპირობებს, რომ ნასესხი კაპიტალის მოზიდვა კომპანიას უფრო იაფი უჯდება, ვიდრე საკუთარი კაპიტალისა. წარმოვიდგინოთ, რომ კომპანიამ მოიზიდა კაპიტალი აქციების გამოშვებითაც (საკუთარი კაპიტალი) და ლენდერებიდანაც (ნასესხი კაპიტალი). საკუთარ კაპიტალზე უნდა გასცეს დივიდენდები. დივიდენდები გაიცემა წმინდა მოგებიდან, რაც შეეხება სესხზე პროცენტებს, ის შედის თვითღირებულებაში და ამით

მცირდება დასაბეგრი მოგების სიდიდეც და, გამომდინარე აქედან, ბიუჯეტში გადასარიცხი მოგების გადასახადის სიდიდეც. წმინდა მოგების გაზრდის ამ ხერხს „საგადასახადო ფარი“ ეწოდება. ასე რომ, სახსრების გარედან მოზიდვა უფრო ხელსაყრელია კომპანიისთვის, რადგან ასეთ დროს ნაკლები გადაერიცხება ბიუჯეტს და მეტი რჩებათ მესაკუთრეებს კაპიტალიზებული შემოსავლის დივიდენდის სახით.

იზრდება რა წმინდა მოგება, და, აქედან გამომდინარე, აქციონერებზე გასანაწილებელი დივიდენდები, ამის შედეგად მაღლდება ამ კომპანიის აქციების ფასი ბაზარზე და, შედეგად, მაღლდება ფირმის ღირებულებაც.

მაგრამ ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოვა რომ კომპანიებს საკუთარი ფირმის ღირებულების გასაზრდელად უჯობთ მუდმივად ამაღლებდნენ გრძელვადიან დაფინანსებაში მოზიდული სახსრების წილს (100%-მდეც კი) ანუ ფინანსურ ლევერიჯს. მაგრამ ეს ხომ არარეალობა იქნება.

თუ კომპანია წარმატებულად მუშაობს და შემოსავლით ფარავს მოზიდული კაპიტალის ღირებულებას, მაშინ მისთვის უფრო ხელსაყრელია გაიზარდოს და გაფართოვდეს გარედან მოზიდული კაპიტალით. მაგრამ ასეთ ქცევას ახლავს ფინანსური რისკიც.

მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ კომპანიის საბალანსო მოგება დაეცა, ან სულაც, კომპანიამ წელი ზარალით დაამთავრა, მაშინ ეს „საგადასახადო ფარი“ შემცირდება, ან სულაც გაქრება. მეტიც, თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა, კომპანია გაკოტრდება და მაშინ მთელი ის დანაზოგი, რაც მან წინა წლებში „საგადასახადო ფარის“ მეშვეობით მიიღო და რის მიღებასაც კიდევ ამ ზით _ მომავალში ელოდება, მთლიანად ეკარგება.

ყველა ეს ფაქტორი საეჭვოს ხდის „საგადასახადო ფარის“ არსებობით კომპანიის ინტერესს მოზიდული კაპიტალის მიმართ, რაც ფინანსური ლევერიჯის მაღალ დონეში გამოიხატება. ფინანსური ლევერიჯის დონის ზრდის კვალობაზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მომავლის გაურკვევლობა, რომელიც სწორედ „საგადასახადო ფარს“ უკავშირდება. ამ ფაქტორმა შეიძლება შეამციროს „საგადასახადო ფარის“ ღირებულება. როცა ფინანსური ლევერიჯი მაქსიმალურ დონეზეა, ეს შემცირება, ცხადია, მეტად წონადი იქნება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია. კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა დაფინანსების წყაროების არჩევისას შეინარჩუნოს ზომიერება და საერთო გრძელვადიან დაფინანსებაში მოზიდული კაპიტალი 50%-ის დონეზე შეინარჩუნოს. ჩვენის აზრით, ეს არის გარედან დაფინანსების ყველაზე უსაფრთხო დონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дж. Ван Хорн. Основы управления финансами, М., 1997, с. 449.
2. В. Ковалев, Финансовый менеджмент, М., 2007, с. 533, 535.
3. E. Brigham, M. Ehrardt «Financial Management. Theory and Practice». “Geng age South – Western”. New York" 2016.
4. Brealey R., Myers S., Allen F., „Principles of Corporate Finance“. McGraw – Hill/Irwin, New York. 2022.

Rusudan Papaskiri
Saba Papaskiri

A STRATEGY FOR OPTIMIZING THE FIRM'S CAPITAL STRUCTURE THROUGH FINANCIAL LEVERAGE

Summary

Financial Leverage or Financial lever points out the correlativity of own means and attracted funds in long-term financing of the company. Both have it own pros and cons.

The articles have been discussing the possibility of increase of income of the company and herewith, increase of risk by increasing the financial leverage. It is saying that it will be considerable, if company finances only 50% of necessity by attracted funds.

გიგა პერტია

მცირე ბიზნესსექტორის განვითარების მთავარი გამოწვევები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და მათი რაციონალური გადაჭრის გზები

ანოტაცია. *თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე ბიზნესი განიხილება, როგორც ეკონომიკური რეკონსტრუქციისა და ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. გასული ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევების უმეტესობა მოწმობს, რომ კერძო ბიზნესსექტორში მცირე საწარმოების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დიდი საწარმოების. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მცირე ბიზნესი ქვეყნის ინდუსტრიული პოლიტიკის ცენტრალურ წერტილს წარმოადგენს, რომლის მიზანია რესურსების სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში გადანაწილების დაჩქარება, რათა შეიქმნას საკმარისი სამუშაო ადგილები და ამ მხრივ მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარების უპირველესი მიზანი – ''სიღარიბის დონის დაძლევა''.*

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე ბიზნესი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის ფინანსებზე შეზღუდული წვდომა, რთული რეგულაციები და კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა რჩება ყველაზე დიდ გამოწვევად. აღნიშნული პრობლემების მოგვარება, ბუნებრივია, მოითხოვს პირველ რიგში მორგებულ პოლიტიკურ ჩარევებს/საგადასახადო პოლიტიკას.

სტატიაში განხილულია მცირე ბიზნესსექტორის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ასევე შეფასებულია ის მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება მცირე მეწარმეებს გამოწვევების მარტივად დაძლევასა და განვითარებაში. ყოველივე ამის საფუძველზე კი, მომზადებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *მცირე ბიზნესი, მცირე ბიზნესის გამოწვევები, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები.*

შესავალი

თემის აქტუალურობა. ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციებმა ცხადყო, რომ მცირე ბიზნესსექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და დინამიკური განვითარების თუ სხვა უამრავი სოციალური პრობლემის გადაჭრის საკითხში ძალიან დიდია. იგი ქვეყნის ეკონომიკას ეხმარება რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სტაბილურობის შენარჩუნებაში, მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირების, უმუშევრობის დონის შემცირების საკითხში და ა.შ. მთელ რიგ ფუნქციებთან ერთად მცირე ბიზნესსექტორის მეშვეობით ხდება ქვეყანაში

ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაც. სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათი განვითარების ხელშეწყობა და სრულყოფა უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი (პერტია, 2024).

მცირე მეწარმეობის უამრავი კომერციული შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნესრეიტინგში მათი მზარდი წინსვლის მიუხედავად, მცირე ბიზნესი მაინც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორის ფინანსებზე შეზღუდული წვდომა დღემდე რჩება ნომერ პირველ გამოწვევად. აღნიშნული პრობლემების მოგვარება პირველ რიგში, მოითხოვს მათზე მაქსიმალურად მორგებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ფოკუსირებული იქნება მკაცრი რეგულაციების თუ ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივებაზე, ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ინვესტირებაზე (Bartlett & Bukvic, 2002).

კვლევითი ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე ბიზნესსექტორის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების გამოვლენა და ასევე აღნიშნული გამოწვევების რაციონალური გადაჭრის გზების განსაზღვრა.

კვლევის **საგანია** სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე ბიზნესსექტორის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები და მათი გადაჭრის რაციონალური, პრაქტიკული მექანიზმები, ხოლო უშუალოდ კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე ბიზნესსუბიექტები და მათი საქმიანობის გარემო, ასევე სამთავრობო თუ კერძო მხარდამჭერი მექანიზმები.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია. კვლევის დასახული მიზნების მისაღწევად ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი მეთოდები: მონაცემთა შეგროვების, დაჯგუფების, სისტემური მიდგომის, სტატისტიკური ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ასევე გამოყენებულია რაოდენობრივი და ემპირიული (კორელაციურ-რეგრესული ანალიზი) კვლევის მეთოდები.

სტატია შედგება ერთი თავისა და სამი ქვეთავისგან. მას თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. სტატიის პირველი თავი, მიმოიხილავს მცირე ბიზნესის წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მაგალითზე. სტატიაში ასევე განხილულია ის მექანიზმები, რომელიც მცირე მეწარმეებს ძალიან ეხმარება არსებული გამოწვევების მარტივად დაძლევაში.

მცირე ბიზნესსექტორის განვითარების მთავარი გამოწვევები და მათი რაციონალური გადაჭრის გზები, სომხეთის გამოცდილება

მცირე ბიზნესი მოიაზრება ქვეყნის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად, ქვაკუთხედად, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირების საკითხში და სამუშაო ადგილების შექმნაში. ისინი ამცირებენ უმუშევრობის დონეს, ხელს უწყობენ ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას და მდგრადი განვითარების უპირველესი მიზნის, "სიღარიბის დონის დაძლევის" მიღწევას. აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მცირე ბიზნესის განვითარების დონე სომხეთში საკმაოდ მაღალია. სომხეთს აქვს ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ძირითადად ხორციელდება სტრატეგიული გეგმებისა და წლიური პროგრამების საფუძველზე (EU4Business, 2017). 2011 წელს სომხეთის რესპუბლიკაში მცირე ბიზნესის განმარტება მიუახლოვდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მცირე ბიზნესის განმარტებას (The Ministry of Economy of the Republic of Armenia, 2025a).

სომხეთში არსებული მრავალრიცხოვანი კომერციული შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბიზნესრეიტინგებში მზარდი წინსვლის მიუხედავად, ბიზნესგარემოში რამდენიმე ძირითადი გამოწვევა კვლავ რჩება. მეწარმეები ხშირად ხაზს უსვამენ მთავრობასთან არსებითი დისკუსიების ჩასატარებლად მიმართვის სირთულეს. ბიზნესსაზოგადოებასთან ეფექტური კონსულტაციების ნაკლებობა ხელს უშლის ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას (The International Trade Administration , 2023). მთავრობასა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ხშირი დიალოგი ძალიან მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მცირე ბიზნესსექტორში არსებული გამოწვევების შესწავლისა და მისი გადაჭრის გზების შემუშავების პროცესში (European Bank for Reconstruction and Development, 2025, გვ. 9). დღემდე მცირე ბიზნესსექტორის განვითარების მთავარ გამოწვევად რჩება ბიზნესგარემო, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო ტვირთი, ადმინისტრაციული ბარიერები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. გასული წლების განმავლობაში ევროპის ბიზნესასოციაციის (European Business Association) მიერ სომხეთში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე დიდი გამოწვევა მცირე მეწარმეებისთვის არის ფინანსებზე შეზღუდული წვდომა. გამოკითხვის შედეგად ასევე დადგინდა ადმინისტრაციული ბარიერების თითქმის არ არსებობა. გამოკითხულ რესპონდენტებს ყველაზე დადებითი აღქმა სწორედ ბიზნესის რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით ჰქონდათ (European Business Association, 2016). სომხეთში მცირე ბიზნესსექტორის წინაშე არსებული გამოწვევების შესამცირებლად მთავრობის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: თანადაფინანსება, სუბსიდირება, რეფინანსირება, სოფლის მეურნეობის სუბსიდირება, სესხები (2.5-50 მილიონი სომხური დრამი), ერთჯერადი გრანტი და ა.შ (EU4Business, 2020).

ბოლოდროინდელი ეკონომიკური რყევების ფონზე სომხეთმა 2020 წლიდან მაინც შეძლო სტაბილური ზრდის დაფიქსირება. აღნიშნულ ზრდას მეცნიერ-ეკონომისტები რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ მიგრანტების, ბიზნესისა და კაპიტალის შემოდინებას მიაწერენ, რამაც 2022 წელს სომხეთი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ყველაზე სწრაფად მზარდ ქვეყნად აქცია (OECD, Advancing the Digital Transformation of Armenian Businesses, 2024). მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირებისთვის სომხეთში მოქმედებს სპეციალური დაბეგვრის სისტემა, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის 5%-იან განაკვეთს და ეს არის კიდევ ერთი უდიდესი საპასუხო რეფორმა მცირე ბიზნესსექტორის გამოწვევაზე (CivilNet, 2024). გარდა ამისა, სომხეთის მთავრობამ მსოფლიოს 51 ქვეყანასთან გააფორმა ‘’ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების’’ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ სხვა ქვეყანაში წარმოებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება ან პირის რეზიდენტ ქვეყანაში, ან კიდევ იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა შემოსავლის მიღება (Vardanyan & Partners Law Firm, 2025).

ემპირიული კვლევის ფარგლებში, SPSS პროგრამის კორელაციურ-რეგრესული ანალიზის საფუძველზე, გაკეთდა შემდეგი სახის დასკვნები: Model Summary-ის ანალიზის დროს, R Square-ის დაანგარიშების შედეგად, ჩვენი მოდელის შემთხვევაში მაჩვენებელი არის 0.956. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვარიაციის 95.6% აიხსნა (ე.ი. დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე მნიშვნელოვანია); ANOVA ანალიზის დროს Sig მაჩვენებელი არის 0.203 (რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული მაჩვენებლების სანდოობის დონე ძალიან მაღალი არ არის, რადგან იგი მცირედით აღემატება 0.1-ს); Coefficient ანალიზის დროს დადგინდა თუ

როგორ შეიძლება სომხეთში რეგისტრირებული მცირე ბიზნესების რაოდენობა შეიცვალოს, თუ დამოუკიდებელ ცვლადებს შევცვლით ყოველი ერთი ერთეულით. მაგალითად, საგადასახადო განაკვეთის კოეფიციენტი 2298.226-ით ცვლის მცირე ბიზნესსექტორში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობას ყოველი ერთეულის დამატებით. სტანდარტიზებული კოეფიციენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ერთი სტანდარტული გადახდით თუ შეიცვლება საგადასახადო განაკვეთი, მაშინ 0.957 სტანდარტული გადახრით შეიცვლება რეგისტრირებულ მცირე ბიზნესთა რაოდენობა Covid19 0.535-ით; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა – 0.375-ით; ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებები – 0.208-ით და გამარტივებული ადმინისტრაციული სისტემა – 0.042-ით.

ზემოაღნიშნული კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და Covid-19 მაჩვენებელს შორის არის 0.421. რადგან აღნიშნული მაჩვენებელი 0.4-დან 0.6-მდე მერყეობს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ ორ ცვლადს შორის არის ზომიერი დადებითი კოლერაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და გამარტივებულ ადმინისტრირების სისტემას შორის არის 0.944, ანუ ამ ორ ცვლადს შორის არის ძალიან ძლიერი დადებითი კოლერაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და საგადასახადო განაკვეთების მაჩვენებელს შორის არის -832, ძლიერი უარყოფითი კორელაცია. მცირე ბიზნესის რეგისტრაციის ცვლადსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლადს შორის არის მაღალი კორელაციური კავშირი. ასევე მაღალი კორელაციული კავშირი ფიქსირდება მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მეჩვენებელსა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებებს შორისაც.

მცირე ბიზნესსექტორის განვითარების მთავარი გამოწვევები და მათი რაციონალური გადაჭრის გზები, აზერბაიჯანის გამოცდილება

აზერბაიჯანის ეკონომიკის განვითარების გზაზე მცირე ბიზნესის როლი გადამწყვეტია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოიაზრებიან ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული მთლიანი საწარმოების უდიდეს პროცენტს. აზერბაიჯანში ჩატარებული კვლევების შედეგად დასტურდება, რომ მცირე ბიზნესი ბევრად უფრო მოქნილი და სწრაფია, ვიდრე მსხვილი ბიზნესი. გარდა ამისა, მათ ბიზნესგარემოში უფრო მარტივად შეუძლიათ ადაპტირება. (Bayramov, Hasanov, Aghayarli, Kadyrov, & Aghahasanli, 2017, p. 8). აზერბაიჯანში მცირე ბიზნესსექტორი უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომა, დაფინანსების სხვა წყაროები კი არ არის მაღალ დონეზე განვითარებული. მეწარმეების მხრიდან ფინანსური განათლების ნაკლებობა, ბიზნესუნარების დაბალი დონე და მაღალი ფიქსირებული ხარჯები ამცირებს მოგებას (Bayramov, Hasanov, Aghayarli, Kadyrov, & Aghahasanli, 2017, გვ. 16-17), თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აზერბაიჯანში მცირე ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი სომხეთისა და საქართველოს მსგავსად ასევე ძალიან მარტივია – აქვთ კარგი ინფრასტრუქტურა და მომსახურების მიწოდების მაღალი ხარისხი. მხარდაჭერის მექანიზმებში შეიძლება მოვიაზროთ საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, გრანტები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტოს (KOBİA) როლი და ინფრასტრუქტურის განვითარება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტომ (KOBİA) დააფინანსა 300-ზე მეტი სტარტაპი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. ასევე აღნიშნული სააგენტო ეხმარება რეგიონულ ბიზნესს საერთაშორისო

სტანდარტების დაკმაყოფილებასა და გლობალურ ბაზრებზე გასვლაში (Suleymanov & Orujov, 2025, pp. 24-30).

მცირე ბიზნესსექტორისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა საშემოსავლო გადასახადის 4%-იანი განაკვეთი, თუმცა იყო რეგიონები, რომლებიც 2%-იანი განაკვეთითაც სარგებლობდნენ. მაგრამ 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი სპეციალური შეღავათიანი რეჟიმი, რომლის საფუძველზე უკვე ყველა რეგიონში მცირე მეწარმეები იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადის 2%-იანი განაკვეთით (State Tax Service, 2025). აზერბაიჯანის მთავრობისა და ევროკავშირის EU4Business-ის ინიციატივის ფარგლებში გამოყოფილ იქნა 585 მილიონი ევრო სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. მეწარმეების მიერ ბანკებიდან ადგილობრივ ვალუტაში (მანათში) აღებული სესხების 60% სახელმწიფოს გარანტიით იქნა უზრუნველყოფილი, ხოლო პროცენტის ნახევარი – სუბსიდირებული (EU 4 Business, 2021, pp. 1-10). მცირე ბიზნესსექტორის პროექტების დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 750 000 მანათზე მეტი გრანტი გაიცა (Ministry of Economy of the Republic of Azerbaijan, 2023). სომხეთის მსგავსად, აზერბაიჯანში რეგისტრირებული მცირე ბიზნესსექტორსაც განვითარებასა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ძალიან დაეხმარა ‘’ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების’’ ხელშეკრულებები და შეთანხმებები. 2025 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანს მსოფლიოს 55 ქვეყანასთან აქვს აღნიშნული სახის ხელშეკრულება გაფორმებული.

ემპირიული კვლევის ფარგლებში, კორელაციურ-რეგრესული ანალიზის საფუძველზე აზერბაიჯანის მაგალითით გაკეთდა შემდეგი სახის დასკვნები: Model Summary-ის ანალიზის დროს, R Square-ის დაანგარიშების შედეგად, ჩვენი მოდელის შემთხვევაში მაჩვენებელი არის 0.995. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვარიაციის 99.5% აიხსნა (ე.ი. დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე მნიშვნელოვანია); ANOVA ანალიზის დროს Sig მაჩვენებელი არის 0.026 (რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული მაჩვენებლების სანდოობის დონე არის ძალიან მაღალი, რადგან იგი არ აღემატება 0.1-ს); Coefficient-ის ანალიზის დროს დადგინდა, რომ საგადასახადო განაკვეთი 17610.341-ით ცვლის მცირე ბიზნესსექტორში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობას ყოველი ერთეულის დამატებით. სტანდარტიზებული კოეფიციენტების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი სტანდარტული გადახდით თუ შეიცვლება საგადასახადო განაკვეთი, მაშინ -0.212 სტანდარტული გადახრით შეიცვლება რეგისტრირებულ მცირე ბიზნესთა რაოდენობა, Covid-19-ის შემთხვევაში – 0.18-ით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში – 0.008-ით, ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებების შემთხვევაში – 0.067-ით და ბოლოს გამარტივებული ადმინისტრაციული სისტემის შემთხვევაში – 0.860-ით.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და Covid-19-ის მაჩვენებელს შორის არის 0.568. რადგან აღნიშნული მაჩვენებელი 0.4-დან 0.6-მდე მერყეობს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ არის ამ ორ ცვლადს შორის არის ზომიერი დადებითი კოლერაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და გამარტივებული ადმინისტრირების სისტემას შორის არის 0.987, ანუ ამ ორ ცვლადს შორის არის ძალიან ძლიერი დადებითი კოლერაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და საგადასახადო განაკვეთების მაჩვენებელს შორის არის -0.858, ანუ მათ შორის არის ძლიერი უარყოფითი კოლერაცია (რაც უფრო მცირდება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, მით უფრო იზრდება

კერძო ბიზნესსექტორში რეგისტრირებული მცირე ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა). მცირე ბიზნესის რეგისტრაციის ცვლადსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლადს შორის არის ძალიან მაღალი კორელაციური კავშირი. ასევე ძალიან მაღალი კორელაციული კავშირი ფიქსირდება მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მეჩვენებელსა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებებს შორის.

მცირე ბიზნესსექტორის განვითარების მთავარი გამოწვევები და მათი რაციონალური გადაჭრის გზები, საქართველოს გამოცდილება

მცირე ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობით საქართველოშიც კერძო ბიზნესსექტორის ძირითად მამოძრავებელ ძალად მოიაზრება. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების საკითხში. მცირე ბიზნესსექტორის განვითარება თავის მხრივ, ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას (მაღლაკელიძე , 2022, გვ. 108). ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ქართული მცირე ბიზნესსექტორის განვითარება ძალიან პერსპექტიულად გვესახება (ცეცხლაძე, 2012, გვ. 128), თუმცა მის განვითარებაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ქართულ კვლევებზე დაყრდნობით, საწარმოების უმეტესობა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მთავარ გამოწვევად სწორედ ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას ასახელებს. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მთავარ პრობლემას კი სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები და საბანკო სისტემის მკაცრი კრედიტორული პოლიტიკა წარმოადგენს (დევიძე & კაპანაძე, 2018).

ბუნებრივია შეზღუდული წვდომა ფინანსებზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებაზე, მათ ნორმალურად წარმართვასა და განვითარებაზე. მცირე საწარმოები დაფინანსების მისაღებად მიმართავენ ძირითადად საბანკო დაწესებულებებს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ნაკლებად არიან დაინტერესებული ბაზრის ამ მცირე მონაწილეთა დაფინანსების საკითხით, რადგან არსებობს მალევე მათი ლიკვიდაციის მაღალი რისკი. ასევე ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამთავრობო პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა. მთავრობის მიერ მცირე ბიზნესსექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უამრავი რეფორმა ტარდება, მაგრამ როგორც ჩატარებული კვლევებით დგინდება, ზოგიერთი პოტენციური ბენეფიციარი (მცირე მეწარმე) არ არის ინფორმირებული აღნიშნული რეფორმების თუ პროგრამების შესახებ. მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ დაფინანსების ისეთ ალტერნატიულ წყაროებს როგორიცაა: ქრაუდფანდინგი, ანგელოზი ინვესტორები, ვენჩურული კაპიტალი, ასევე სახელმწიფო გრანტები და ა.შ. (SMEDA, 2024, გვ. 4-6).

გარდა ამისა, საქართველოში მცირე ბიზნესსექტორის გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა სხვა უმარავი გამოწვევა, მათ შორისაა პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, საერთაშორისო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა, არაჯანსაღი კონკურენცია სექტორში, ზოგჯერ საწარმოო მასალებზე წვდომა, ბაზრის სიმცირე, რომლის გადაჭრის გზა შეიძლება იყოს ექსპორტის მხარდაჭერა, ადგილობრივი პროექტების კიდევ უფრო წახალისება და ა.შ. 2018 წლამდე საგადასახადო ტვირთი და ადმინისტრაციული ბარიერებიც წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, მაგრამ 2018 წლის 1 ივლისს განხორციელდა რეფორმა, რომლის მიხედვითაც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის ამოქმედდა საშემოსავლო გადასახადის სპეციალური

დაბეგვრის ახალი, შეღავათიანი რეჟიმი. აღნიშნული რეჟიმის თანახმად, მეწარმეებს საშემოსავლო გადასახადის 5%-ის ნაცვლად, 1%-იანი საგადასახადო განაკვეთი დაუწესდათ. აღნიშნული რეფორმა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი მთავრობის მხრიდან, რომელმაც მეწარმეებს შეუმცირა როგორც საგადასახადო, ისე ადმინისტრაციული დანახარჯები, რადგან გაციფრულდა და შესაბამისად ძალიან გამარტივდა საგადასახადო აღრიცხვის სისტემაც (პერტია, 2024) (შემოსავლების სამსახური, 2024). თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცირე მეწარმეებმა არა მხოლოდ უნდა შევასონ კერძო ბიზნესსეგმენტი, არამედ უნდა გააძლიერონ და კონკურენტუნარიანი გახადონ იგი (გელაშვილი, 2020, გვ. 174-177).

როგორც სამხრეთ კავკასიის ზემოაღნიშნულ ქვეყნებში, საქართველოშიც მცირე ბიზნესს მათ წინაშე არსებული გამოწვევის დაძლევასა და საგადასახადო დანაარჯების შემცირებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა **ხელშეკრულებები „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“.** მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს **აღნიშნული სახის ხელშეკრულება მსოფლიოს 58 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული** (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023) (პერტია, 2024, გვ. 171-188)**. ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მსოფლიო ბანკის მონაცემებით მე-7 ადგილს იკავებს** (World Bank Group, "Ease of Doing Business Ranking", 2019)**.**

Model Summary-ის ანალიზის დროს, R Square-ის დაანგარიშების შედეგად, ჩვენი მოდელის შემთხვევაში, მაჩვენებელი არის 0.986. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვარიაციის 98.6% აიხსნა (ე.ი. დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე მნიშვნელოვანია). ANOVA ანალიზის დროს, Sig მაჩვენებელი არის 0.070 (რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული მაჩვენებლების სანდოობის დონე არის ძალიან მაღალი, რადგან იგი არ აღემატება 0.1-ს). Coefficient-ის ანალიზის დროს დადგინდა, რომ საგადასახადო განაკვეთი 61.921-ით ცვლის მცირე ბიზნესსექტორში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობას ყოველი ერთეულის დამატებით. სტანდარტიზებული კოეფიციენტების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი სტანდარტული გადახდით თუ შეიცვლება საგადასახადო განაკვეთი, მაშინ 0.003 სტანდარტული გადახრით შეიცვლება რეგისტრირებულ მცირე ბიზნესთა რაოდენობა, Covid-19-ის შემთხვევაში – 0.359-ით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში – 0.143-ით, ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებების შემთხვევაში – 0.430-ით და ბოლოს გამარტივებული ადმინისტრაციული სისტემის შემთხვევაში – 0.613-ით.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და Covid-19-ის მაჩვენებელს შორის არის 0.085. რადგან აღნიშნული მაჩვენებელი 0-დან 0.2-მდე მერყეობს, ეს მიუთითებს, რომ ამ ორ ცვლადს შორის არის ძალიან დაბალი დადებითი კორელაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და ადმინისტრირების გამარტივებულ სისტემას შორის არის 0.868, რაც მიანიშნებს, რომ ამ ორ ცვლადს შორის არის ძალიან ძლიერი დადებითი კორელაცია. კავშირი მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და საგადასახადო განაკვეთების მაჩვენებელს შორის არის 0.501. ეს მიუთითებს ამ ორ ცვლადს შორის ზომიერ უარყოფით კორელაციაზე, ანუ რაც უფრო მცირდება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, მით უფრო იზრდება კერძო ბიზნესსექტორში რეგისტრირებულ მცირე ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა, მაგრამ ძალიან მაღალი მაჩვენებლით არა. მცირე ბიზნესის რეგისტრაციის ცვლადსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლადს შორის ასევე არის ზომიერი დადებითი კორელაციური კავშირი. დაბოლოს, ძალიან მაღალი დადებითი კორელაციული კავშირი ფიქსირდება

მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელსა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებებს შორის.

დასკვნა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მცირე ბიზნესსექტორი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნაში. ისინი ამცირებენ უმუშევრობის დონეს და ამ მხრივ ხელს უწყობენ ეკონომიკურ სტაბილურობას. მათ შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ სტრატეგიები, შექმნილი საქონელი ან მომსახურება და ამ მხრივ მარტივად მოერგონ მომხმარებელთა ცვალებად გემოვნებასა და ბაზრის მოთხოვნებს (Zhao, 2024, S. 205-210). მცირე ბიზნესსექტორი უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, რომლებიც აფერხებს მათი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცირე ბიზნესსექტორის ნომერ პირველ გამოწვევას წარმოადგენს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული გამოწვევის შემდეგ მნიშვნელოვან გამოწვევებად ასევე სახელდება: ბიზნესგარემო, საგადასახადო და საბაჟო ტვირთი, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, არაჯანსაღი კონკურენცია, საწარმოო მასალების ნაკლებობა, ადმინისტრაციული ბარიერები და ა.შ., თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს როგორც სამთავრობო, ისე კერძო ხელშემწყობი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია მცირე ბიზნესსექტორის წინაშე არსებული გამოწვევების მარტივად დაძლევისათვის.

განხორციელებული ემპირიული კვლევის საფუძველზე, კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის შემთხვევაში, მცირე ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელზე ყველაზე დიდი გავლენის მომხდენ ცვლადად გამოვლინდა ადმინისტრაციული ბარიერების გაუმჯობესება, რომელსაც მოსდევს საგადასახადო ტვირთის შემცირება და ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შეთანხმებები.

კვლევით ნაშრომში შექმნილია მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს კონკრეტულ ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის. ყოველივე ამის საფუძველზე კი მომზადებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი მ. (2020). მცირე ბიზნესის როლი Covid 19-ის გამოწვევების პირობებში. *დიპლომატია და სამართალი №1-2(7)*, გვ. 174-177.

2. დევიძე თ., კაპანაძე მ. (2018). მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, "ეკონომიკა – XXI საუკუნე"* . თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. მაღლაკელიძე ა. (2022). *მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.* თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. პერტია გ. (2024). საგადასახადო სისტემის გავლენა მცირე ბიზნესზე - უცხოური და ქართული გამოცდილება. *ეკონომიკა და ბიზნესი, doi.org/10.52340/eab.2024.16.04.11* , გვ. 171-188.

5. ცეცხლაძე ლ. (2012). *მცირე ბიზნესორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამედროვე საბაზრო სისტემაში.* ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA (2024). *მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში.* თბილისი.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). *ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები.* გადმოტანილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს https://www.mof.ge-დან.

8. შემოსავლების სამსახური (2024). *შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები/სტატუსები - ფიზიკური პირის საგადასახადო ასისტენტი.* გადმოტანილია შემოსავლების სამსახურის https://www.rs.ge/-დან.

9. Bartlett W., Bukvic V. (2002). What Are the Main Barriers to Small Business Growth in Southeast Europe? *Small Enterprise Development in South-East Europe, DOI:10.1007/978-1-4615-0959-2_2*, Pp 17-37.

10. Bayramov V., Hasanov R., Aghayarli L., Kadyrov Z., & Aghahasanli I. (2017). A Comparative Study on Development of Small and Medium Enterprises (SMEs) in Azerbaijan. *CESD Press - Better Research, Better Policy, Better Reform*, P. 8.

11. Suleymanov M., & Orujov E. (2025). State Support for The Development of Entrepreneurship in Azerbaijan's Regions. *German International Journal of Modern Science №102, Doi:10.5281/zenodo.15258117*, Pp 24-30.

12. Vardanyan & Partners Law Firm. (2025, April 7). *Armenia's Double Taxation Treaties: Key Benefits for Investors*. Retrieved from Vardanyan & Partners Law Firm: https://armenian-lawyer.com/

13. Zhao Y. (2024). *The Importance of Small Business Development to the National Economy and the Factors Affecting Its Development.* Advances in Economics Management and Political Sciences 126(1), Doi:10.54254/2754-1169/2024.18344. Pp 205-210.

14. CivilNet. (2024). *Armenia's tax reform ignites debate as small businesses sound alarm*. Retrieved from CivilNet : https://www.civilnet.am/en/

15. EU 4 Business. (2021). *SME Policy Trends December 2021 Bulletin Azerbaijan.* EU4Business.

16. EU4Business. (2017). *Investing in SMEs in the Eastern Partnership, Country Report - Armenia.* EU4Business.

17. EU4Business. (2020). *Covid-19 Support for Business - Immediate fiscal measures*. Retrieved from EU4Business: https://covid-19-armenia.eu4business.eu/

18. European Bank for Reconstruction and Development. (2025). *Strategy for Armenia - Report on the Invitation to the Public to Comment.* European Bank for Reconstruction and Development.

19. European Business Association. (2016). *Main Business Impediments in Armenia, Exploratory Study.* European Business Association.

20. Ministry of Economy of the Republic of Azerbaijan. (2023). *Engines of economic growth and social development – SMEs*. Retrieved from Ministry of Economy of the Republic of Azerbaijan: https://www.economy.gov.az/en

21. OECD. (2024). *Advancing the Digital Transformation of Armenian Businesses*. Retrieved from OECD: https://www.oecd.org/en.html

22. State Tax Service. (2025). *Simplified Tax*. Retrieved from State Tax Service Under The Ministry of Economy of The Republic of Azerbaijan: https://www.taxes.gov.az/en

23. The International Trade Administration. (2023). *Armenia Country Commercial Guide - Market Challenges*. Retrieved from The International Trade Administration: https://www.trade.gov/

24. The Ministry of Economy of the Republic of Armenia. (2025a). *Small and medium-sized entrepreneurship*. Retrieved from The Ministry of Economy of the Republic of Armenia: https://www.mineconomy.am/en

25. World Bank Group. (2019). *Ease of Doing Business rankings*. Retrieved from World Bank Group: https://www.worldbank.org/ext/en/home

Giga Pertia

THE MAIN CHALLENGES OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN THE SOUTH CAUCASUS COUNTRIES AND WAYS TO SOLVE THEM RATIONALLY

Summary

In the conditions of modern market economies, small businesses in the South Caucasus countries are considered as the main driving force of economic reconstruction and growth. Most studies conducted over the past decades show that the number of small enterprises in the private business sector is growing faster than that of large enterprises. This indicates that small businesses should be the central point of the country's industrial policy, the aim of which is to accelerate the allocation of resources from the public sector to the private sector in order to create sufficient jobs and in this regard achieve the primary goal of sustainable development, "overcoming poverty".

Small businesses in the South Caucasus countries face significant challenges, including limited access to finance, complex regulations and the lack of qualified labor force. Resolving these problems naturally requires, first of all, tailored policy interventions/tax policies.

The article discusses the significant challenges facing the small business sector in the South Caucasus countries. Also, mechanisms that will help small entrepreneurs easily overcome challenges and develop have been assessed. Based on all this, relevant conclusions and recommendations have been prepared.

Keywords*: small business, small business challenges, promotion of small business development, special taxation regimes.*

Amin Agagulov Rovshan

ASSESSMENT OF BUSINESS ENVIRONMENT DEVELOPMENT PROBLEMS IN AZERBAIJAN BY KEY RISK INDICATORS

Annotation. *The presented article examines the current state of the business environment in Azerbaijan and the problems arising in its development. In particular, attention is paid to the risk factor. It is known that the development of the business environment in Azerbaijan is of great importance in terms of ensuring sustainable economic development and increasing social welfare. This necessity is based on a number of key factors that require the implementation of reforms and strategic initiatives aimed at improving the local business environment. In particular, the article notes that the economy of Azerbaijan largely depends on the oil and gas sector. This sector accounts for most of GDP and exports. But the volatility of oil prices on world markets clearly shows the risks of such a dependence. Diversification of the economy can be made possible by promoting development in non-oil sectors such as agriculture, tourism and technology. According to the latest statistics, in 2023, the non-oil sector accounted for only 10% of the country's exports, which once again emphasizes the need for diversification [1].*

Key words: *business, risk, investment, small and medium-sized enterprises, innovation, analysis, problem, assessment, finance, tax, institutional, etc.*

Introduction

A well-developed business environment is essential for attracting foreign direct investment (XBI). XBI makes a significant contribution to economic growth by bringing capital, technology and experience. However, problems such as bureaucracy, corruption and lack of transparency alien-

ate potential investors. For example, in 2023, Azerbaijan ranked 180th among 126 countries in the international transparency organization's Corruption Perception Index. Solving these problems can make the country more attractive to international investors [2].

Small and medium-sized businesses (SMEs) play an important role in economic development by creating jobs and promoting innovation. SMEs in Azerbaijan face a number of challenges, including limited access to finance and a high tax burden. The survey showed that 45% of entrepreneurs noted the difficulty of access to financial resources [3] as the main obstacle. Improving access to loans and reducing administrative barriers can enable SMEs to develop.

A healthy business environment is directly related to an increase in employment opportunities. Supporting entrepreneurship and business expansion can solve the problem of unemployment in Azerbaijan, especially among young people. In 2024, youth unemployment in the country was at about 15%. Startups and developing policies that promote innovation can significantly reduce this figure.

Innovation is the main driving force of competitiveness in the global economy. Investment in the field of research and development (TI) in Azerbaijan currently accounts for only 0.2% of GDP. The establishment of innovation centers and incentives for technology-based businesses can strengthen Azerbaijan's position as an innovation leader in the region.

Complex and contradictory regulatory frameworks complicate business activities in Azerbaijan. Simplifying business registration, licensing and tax compliance procedures is essential to creating a more business-friendly environment. For example, business at the moment the fact that the average time required to start was eight days would encourage more entrepreneurs to enter the market.

Its location at the crossroads of Europe and Asia creates great potential for Azerbaijan's regional trade opportunities. The development of infrastructure such as ports, railways and logistics centers can facilitate trade and turn Azerbaijan into a major transit hub. In 2023, the country's trade turnover amounted to $ 38 billion, most of which came from energy exports. Expanding trade outside the energy sector could further strengthen economic resilience.

Main part

Analysis of risk assessment models for business activities in Azerbaijan is of great importance. These models are aimed at identifying potential hazards, increasing the effectiveness of business decisions, and minimizing financial losses. Business risks in Azerbaijan can be mainly divided into the following categories: economic risks: oil price volatility, inflation and devaluation threats. Legal risks: changes in legislation, non-protection of property rights. Market risks: increased competition and decreased demand. Financial risks: high interest rates on loans and difficulties with access to financial resources. Operational risks: problems in logistics and supply chain. Looking at international practice, we see that several general approach models are used for risk assessment:

1. SWOT analysis. SWOT analysis is used to evaluate strengths (Strengths), weaknesses (Weaknesses), opportunities (Opportunities) and threats (Threats) of the business environment. In Azerbaijan, this model is widely used to identify opportunities for economic diversification and the impact of oil dependence.

Strengths

- Geographical location: Azerbaijan is located in the center of the Caucasus region, at the intersection of Europe and Asia, which creates favorable conditions for international trade and transit.
- Natural resources: the country has rich oil and gas reserves, which is a major economic pillar.
- Government initiatives: there are government programs to improve infrastructure, develop the digital economy and promote the non-oil sector.
- Energy infrastructure: international projects such as the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and TANAP strengthen the position in the energy sector.
- Patience and security: despite Regional conflicts, the country maintains internal stability, which creates a favorable environment for business.

Weaknesses

- Economic dependence: the oil and gas sector accounts for most of the GDP, the economy is non-diversified.

- Transparency problem: corruption and informal payments have a negative impact on the business environment.

- Access to finance: there are difficulties of access to financial resources for small and medium-sized businesses (SMEs).

- Bureaucracy: multi-stage procedures in business registration and other operations.

- Lack of innovation and technology: the lack of investment in research and development limits the development of innovative businesses.

Opportunities

- Economic diversification: potential for the development of agriculture, tourism, ICT and alternative energy.

- International trade: opportunities for Azerbaijan to become a logistics hub between Europe and China.

- Technology and digitalization: developing the startup ecosystem and introducing digital technologies.

- Regional cooperation: strengthening regional integration with projects such as the Middle Corridor.

- Tourism sector: rich cultural heritage, natural beauty and hospitality contribute to the development of Tourism.

Threats

- Oil price volatility: the fall in oil prices in the global market can have a serious impact on the economy.

- Regional conflicts: delays in the recovery process after the Karabakh conflict and other security problems.

- International competition: strong competition in international markets for non-oil products.

- Climate change: environmental complications can negatively affect agriculture and Water Resources.

- Demographic problems: the difficulty of maintaining a balance between population growth and job growth.

2. PESTLE analysis. This model analyzes political (Political), Economic (Economic), Social (Social), technological (Technological), legal (Legal) and environmental (Environmental) factors. For example, the PESTLE model evaluates the main factors affecting the business environment in Azerbaijan, including changes in tax legislation and technological innovations.

Political Factors

- Government stability: Azerbaijan's political stability and strong executive power ensure security in the business environment.

- Legislation and regulation: recent changes in tax legislation and the creation of free economic zones create opportunities for business. However, in some areas, the complexity of the arrangements raises additional difficulties.

- International Cooperation: Azerbaijan cooperates with various international economic organizations, including the World Trade Organization. Regional projects, such as the Middle Corridor and the Southern Gas Corridor, increase the country's strategic importance.

- Corruption: problems related to transparency, especially in cooperation with the public sector, can create obstacles for business.

Economic Factors

-Dependence on oil: most of the country's economy depends on the oil and gas sector, which limits the development of non-oil sectors.

- Stabilization of the manat: although the stability of the exchange rate creates some stability in the business environment, the risks of devaluation remain.

- Tax burdens: although tax exemptions and benefits encourage small and medium-sized businesses, in some areas the tax burden is high.

- Infrastructure development: infrastructure projects such as roads, railways and airports enable business expansion.

Social Factors

- Demographic structure: the young population of Azerbaijan provides potential growth in the labor market, but the demand for qualified workers in the labor market is not fully met.
- Education and skills: although there are innovations in the education system, vocational training and the development of digital skills are not developing rapidly enough to adapt to the business environment.
- Social stability: a stable social environment has a positive impact on the development of the business environment.
- Consumer behaviors: in the country, consumer behaviors are still characterized by traditional approaches, which increases the demand for digitalization.

Technological Factors

- Digital infrastructure: the quality and coverage of Internet services is increasing, but digital opportunities are limited in the regions.
- Startup ecosystem: in recent years, government programs have been introduced to promote innovation and startups.
- Research and development: the lack of investment in research and technology slows down the development of innovative businesses.
- E-Government: initiatives such as "ASAN xidmət" are an important step to reduce bureaucratic barriers.

Legal Factors

- Legal framework: although the laws governing the business environment are mostly modern, there are application problems in some areas.
- Intellectual property: deficiencies in the protection of intellectual property rights hinder the development of innovations.
- Tax and judicial systems: improvements are required in the field of tax regulations and enforcement of court decisions.
- Labor Code: the protection of labor rights affects the transparency and development of the labor market.

Environmental Factors (Environmental)

-Exploitation of Natural Resources: intensive exploitation of oil and gas resources causes environmental problems.
- Alternative energy: there are government initiatives for the development of solar and wind energy.
- Environmental legislation: although legislation is applied to prevent pollution, control mechanisms are insufficient.
- Climate change: climate change has a negative impact on agriculture and Water Resources.

3. Monte Carlo Simulation. Statistical modeling is used to determine the likelihood and potential effects of risks. This approach is especially applicable in the financial sector, for example, to predict the effect of changes in exchange rates.

Monte Carlo simulation (MKS) is one of the widely used methods for analyzing uncertainties in decision making and predicting possible outcomes. Analysis of the business environment in Azerbaijan with this approach can provide important data for risk assessment and management in various sectors.

The application of Monte Carlo simulation can be analyzed in the following main directions for Azerbaijani realities:

Assessment of economic risks

The dependence of the Azerbaijani economy on oil is one of the main risk factors. The Monte Carlo simulation can be used to assess the impact of fluctuations in oil prices. The simulation allows you to predict the impact of a decrease or increase in oil prices on government revenues, GDP and

foreign exchange reserves, taking into account various scenarios. This analysis helps the government and the business sector to develop more sustainable strategies against economic shocks.

MKS is an effective tool for assessing the profitability and risks of various investment projects. The financial indicators of infrastructure projects, investments in the non-oil sector and startups in Azerbaijan can be analyzed using Monte Carlo simulation and income-profit ratios can be determined. For example, the impact of investments in agriculture on climate change can be analyzed on various probabilities.

Monte Carlo simulation can be used to assess the impact of changes in tax policy on businesses. By conducting simulations with different tax rates and benefit scenarios, it can be determined how they will affect the development of small and medium-sized businesses. This approach allows the government to develop an optimal tax policy.

Monte Carlo simulation can also be used to determine the scale of losses caused by corruption and transparency problems in economic development. Based on various assumptions, the positive impact of reducing the level of corruption on GDP and the business environment can be assessed.

Problems of labour market instability and unemployment in Azerbaijan can be analyzed using Monte Carlo simulation. Simulation helps to predict changes in the level of unemployment in various economic scenarios and to study the impact of these changes on social problems.

The impact of climate change in the agricultural and tourism sector can be analyzed through the Monte Carlo simulation. For example, how the differences between rainy and dry years can affect productivity and income, it is possible to predict this with different probabilities.

Monte Carlo simulation is of strategic importance for the management of uncertainties in the Azerbaijani business environment. This approach provides forecasting of results and optimizing risks in various scenarios. For example, small business owners can simulate various financial scenarios to protect themselves from fluctuations in exchange rates.

Difficulties of applying Monte Carlo simulation

The following problems exist for the wide application of MKS in Azerbaijan:

* Lack of high-quality and accurate statistical data.

* Poor IT infrastructure in some regions.

* Insufficient knowledge of this approach by business leaders and decision-makers.

4. ISO 31000 framework. ISO 31000 is an international standard that organizations use to improve risk management and make healthier decisions. An analysis of the business environment in Azerbaijan under the ISO 31000 framework helps to understand how this framework is applied to properly assess and manage risks. The ISO 31000 framework mainly offers guidelines related to the identification, assessment and management of risks. This framework allows to analyze the risks on any activity of the organization and to be prepared against future threats.

The implementation of this framework in the business environment in Azerbaijan is aimed at economic development, business sustainability and strengthening international trade relations. Some key factors in the business environment in Azerbaijan should be considered in accordance with the ISO 31000 framework:

* Orientation towards Risk culture: the business environment in Azerbaijan may still have conservative approaches to risks in some areas. The ISO 31000 framework can help implement more strategic and informed risk management methods by changing this culture.

* Legal and regulatory risks: the legislative and regulatory environment in Azerbaijan, especially issues of compliance with international standards, increase risks. ISO 31000 helps to avoid such regulatory difficulties and manage adaptation processes.

* Infrastructure and technology risks: uncertainties in infrastructure and technology are also related to business risks. The ISO 31000 framework offers a systematic approach to assessing the impact of technological development and infrastructure problems on risks and managing them.

* Monetary risks: factors such as inflation, exchange rate changes and economic crises pose significant risks to business in Azerbaijan. ISO 31000 provides methods to analyze such economic risks and to be prepared for them.

* Human resources risk: the volatility of the workforce market in the Azerbaijani market, the risks associated with labor legislation and employee rights are also a key part of the ISO 31000 framework. This framework helps to make human resource management more efficient and risk-free.

* Ecology and environmental risks: environmental factors in the Azerbaijani economy, including environmental threats, resource shortages and other ecosystem risk issues, are important risk areas within ISO 31000. This framework offers structures to effectively manage environmental risks and make socially responsible decisions.

Applying the ISO 31000 framework to the business environment in Azerbaijan can help strengthen the decision-making processes of organizations and give them long-term sustainability by systematically assessing these risks. This approach is of great importance, especially for domestic companies competing in global markets.

Problems of risk assessment of business environment in Azerbaijan

The development of the business environment in Azerbaijan is very important in terms of economic sustainability and social well-being of the country. However, the development of the business environment faces some difficulties throughout the country. Let's look at these problems and their digital analysis below:

1. Regulation on the tax system

Entrepreneurs in Azerbaijan sometimes face very high tax burdens and difficult administrative procedures. This complicates the development of small and medium-sized businesses (SMEs). According to statistics for 2024, the share of the informal economy in Azerbaijan is about 20% of the gross domestic product (GDP). This narrows the tax base and reduces state revenues [4].

To assess the impact of tax policy on the business environment in Azerbaijan in figures, consider some key indicators. These figures can help assess the power of tax policy in general and the development in the business environment:

* Corporate tax rate: the corporate tax rate in Azerbaijan in 2025 is 20%. This is a relatively low indicator compared to other countries. For example, in the countries of the European Union, this rate ranges from 25% to 30%. This makes Azerbaijan more attractive to investors [5].

* VAT (Value Added Tax): the VAT rate is 18% in Azerbaijan. This is a moderate rate compared to Europe and other countries, but it can be a burden for small and medium-sized enterprises. However, discounts are available for some products and services.

* Tax exemptions and exemptions: tax exemptions and exemptions are applied in certain areas in Azerbaijan. For example, certain tax benefits are provided to agricultural, technological industries and exporting enterprises. These concessions stimulate an increase in investment and the creation of new jobs.

* Tax revenues: in 2024, about 70% of the total revenues of the state budget of Azerbaijan consisted of tax collections. This shows how important the role of the tax system in the financial system of the state is [6].

* Investment climate: in 2024, Foreign Direct Investment (FDI) in Azerbaijan amounted to US $ 2 billion. It is recognized that tax policy plays an important role in attracting these investments, since low tax rates and tax incentives stimulate investors to invest in the country [6].

* Ease of doing Business: according to the World Bank report on the 2020 World Economic Forum, Azerbaijan ranked 190th out of 34 countries [7]. The simplification of Tax Policy and the introduction of electronic tax systems contributed to the improvement of this indicator.

* Tax Control and transparency: increasing tax control in Azerbaijan, especially measures related to electronic systems, allows to make the behavior of taxpayers more transparent. In 2024, more than 90% of taxpayers submitted their tax returns electronically [8], which increases the effectiveness of tax collection.

These figures show the impact of Azerbaijan's tax policy on the business environment, as well as the potential for economic development and investment attraction. In general, the existing struc-

ture of Azerbaijan's tax policy is attractive to local and foreign investors, but in some areas there is a need to simplify and increase transparency.

2. Accessibility to financial resources

According to a business development survey, 45% of entrepreneurs report difficult access to financial resources. In particular, small and medium-sized businesses are experiencing muskets in obtaining loans. In an environment where average annual interest rates exceed 16%, entrepreneurs without Personal Capital face serious obstacles to realizing their business ideas [9].

Access to financial resources is an important factor in the development of the business environment in Azerbaijan, especially for small and medium-sized businesses (SMEs). Assessment of the situation in this area, understanding the availability of various financial resources, their cost and accessibility helps. Below I present an assessment of the situation of Azerbaijan in this regard with figures:

* Access to loans: as of the beginning of 2024, the total amount of loans from commercial banks in Azerbaijan at the end of 2023 amounted to more than 22 billion Manats. About 40% of this amount are loans to small and medium-sized businesses (SMEs). This indicates an increase in the accessibility of SMEs to financial resources, but there are still difficulties for numerous enterprises [9].

* Information and support services of banks: commercial banks in Azerbaijan, especially state banks such as" Azerbaijan Industrial Bank "and" Aqrarkredit", offer special financial support to entrepreneurs. In 2023, loans to SMEs by state banks amounted to more than 7 billion Manats. Also, small businesses are provided with various programs and consulting services by the State [9].

* Financial support programs: there are several government financial support programs in Azerbaijan to support entrepreneurs. For example, financial support programs offered by the" Fund for support to exporters "and" small and Medium Business Development Agency " allocate millions of Manats annually. In 2023, within the framework of these programs, more than 150 million Manats were provided to entrepreneurs [9].

* Credit risks of business entities: at the end of 2023, indicators of credit risks of business entities in Azerbaijan have significantly improved. The repayment rate on loans is around 88%, which indicates a high level of accessibility to financial resources. However, loan rates may still remain high for some small and medium-sized businesses [8].

* Micro-lending: the micro-lending sector is also developing in Azerbaijan. In 2023, more than 100 million micro-loans were issued. This increases access to financial resources, especially for small businesses operating in the agricultural and non-oil sectors [8].

* Investment market: according to 2023, the volume of Azerbaijan's investment market is more than 10 billion Manats. However, the entry of entrepreneurs, especially small businesses, into the capital market is still limited. Although certain incentive measures and tax incentives are proposed by the state, there is a need for further improvement in this area [6].

* Investment programs and investment attraction: the volume of domestic and foreign investments in Azerbaijan in 2023 amounted to about US $ 2 billion. These investments are especially focused on the oil and gas sector and infrastructure projects, but the access of small and medium-sized enterprises to financial resources accounts for a small part of this amount [6].

* Interest rates: loan rates of commercial banks in Azerbaijan in 2023 ranged from about 12% to 18%. These interest rates can be relatively high for small and medium-sized businesses. However, with certain benefits and investment support provided by the state, these interest rates are reduced from time to time [6].

* Government incentives and subsidies: there are various government programs and subsidies to support the development of the business environment in Azerbaijan. In 2023, the funds allocated from the state budget to support entrepreneurship amounted to 1.2 billion Manats. This is an important indicator for creating more favorable financial conditions for businesses [6].

3. Corruption and institutional problems

Corruption and institutional problems in the business environment in Azerbaijan seriously affect the economic development of the country and the interest of foreign investors in the country.

Transparency International's 2023 Corruption Perception Index (CPI), in which Azerbaijan ranks 180th out of 126 countries [10], shows the level of corruption in the country and the functional shortcomings of institutions. This situation shows that transparency and trust in the legal system in the business sphere are weak. Corruption is one of the biggest problems in the economy of Azerbaijan, especially in the public sector. This is also one of the most important factors affecting businesses, as businesses are sometimes forced to operate in accordance with opaque rules and procedures imposed by government and local authorities.

4. Foreign trade barriers

Barriers to foreign trade in Azerbaijan seriously affect the development of the economy and access to international markets. For a more specific assessment of these obstacles, I present a digital assessment taking into account the following factors:

- Customs duties and additional costs (6/10): customs duties in Azerbaijan's foreign trade are high, which complicates trade operations. High taxes and fees create additional costs in bringing products to the market. This assessment can be given as 6/10, since although there are certain developments in this area with the introduction of digital technologies, the problem still remains.
- Bureaucratic obstacles and paperwork (7/10): bureaucratic blockages and complex documentation requirements in the trade process are still a hindrance to foreign trade. For this reason, it is necessary to speed up the procedures for local and foreign businesses. This indicator can be estimated at 7/10, since the effectiveness is still low, even if some steps have been taken.
- Trade policy opacity (5/10): trade policy uncertainty, and sometimes lack of transparency, is a concern, especially for foreign investors. This indicator can be estimated at 5/10, since changes in policies and uncertainties pose risks in business planning.
- Currency risks and Exchange courses (6/10): volatility and exchange rate risks in the foreign exchange market of Azerbaijan cause additional difficulties for companies operating in international trade. An assessment of 6/10 can be given in this area, because although certain steps have been taken to regulate the economy, there is still volatility.
- Transportation and logistics costs (7/10): Azerbaijan's geographical location and infrastructure improvements create additional transportation and logistics costs for international trade operations. Although some projects have been implemented to solve this issue, the 7/10 assessment is applied because development is still necessary in this area.

In general, the Azerbaijani business environment can be estimated at 6/10 due to obstacles to foreign trade. This indicates the need for more work on Economic Policy and structural reforms in the country.

5. Limitations of Personnel Training and innovation opportunities

The lack of qualified personnel in the business sector hinders the country's development prospects. According to statistics for 2024, the number of people receiving higher education in technical specialties in Azerbaijan is about 15%. In addition, research and development (R&D) spending is just 0.2% of the country'S GDP [11].

The innovation factor plays an important role in the development of the business environment in Azerbaijan. In recent years, a number of measures have been taken to increase innovative activity in the country. In 2022, 2.6% of Azerbaijan's Gross Domestic Product (GDP) was allocated to research and development spending, which indicates that innovation occupies a more important place in the economy. Also, according to the data of the State Statistics Committee of Azerbaijan in 2022, the number of industrial enterprises for innovation activities increased. In 2019, only 7.5% of industrial enterprises across the country were engaged in innovation activities, but in 2022 this rate increased to 12% [11].

At the same time, there is an increase in the number of startups and small enterprises operating in innovative areas in Azerbaijan. If in 2021 there were more than 80 startups operating in the country, then by the beginning of 2023 this figure exceeded 150. Government initiatives such as the" innovation and Technology Park " create favorable conditions, especially for young entrepreneurs and startups. This has led Azerbaijan to make certain progress in the international innovation ranking.

However, there are still certain obstacles to the further development of the innovation environment. The lack of funds spent by Azerbaijan on research activities is one of the main factors slowing the development of this area. In 2020, the country's budget for research activities was only 0.2%. This indicator, in comparison with developed countries, is very low and indicates that additional investments are necessary for the implementation of innovative activity on a larger scale [11].

And the potential of domestic enterprises to create innovative products and services is not yet fully ready to compete at the international level. In 2022, the share of innovative products produced in the country in total industrial production was 4.3%, which emphasizes the need for the country to carry out additional work to produce more high-tech products. Nevertheless, the greater cooperation of the state and private sectors in the field of innovation, as well as the greater application of international practices, will contribute to the strengthening of the innovation factor in the business environment of Azerbaijan [11].

The result

The need to develop the business environment in Azerbaijan is indisputable. By implementing targeted reforms and promoting a culture of transparency with innovation, Azerbaijan can ensure sustainable economic development, reduce its dependence on hydrocarbons and increase its global competitiveness, thus having a stronger economy.

SWOT analysis of the business environment in Azerbaijan shows that in addition to strengths and opportunities, there are serious weaknesses and threats in the country's economy:

* Increase investment in non-oil sectors for economic diversification;
* Increasing transparency and strengthening the fight against corruption;
* Promotion of innovation and development of infrastructures in the field of technology;
* Facilitate access to finance, develop special credit programs especially for SMEs;
* Increasing Regional cooperation and optimizing transit opportunities.

The implementation of these recommendations will make Azerbaijan's business environment more competitive and sustainable.

PESTEL's analysis of the business environment in Azerbaijan shows that there are both opportunities and a number of problems in the country. Promoting economic diversification, supporting innovation and improving the legal framework can make the business environment more sustainable and competitive.

Monte Carlo simulation is a powerful tool for analyzing risks and opportunities in the business environment in Azerbaijan. This approach to diversifying the economy, improving investment strategies and solving socio-economic problems can provide valuable information to the government and the private sector. But for this it is important to expand the database and remove obstacles to the application of analysis methods.

In general, access to financial resources in Azerbaijan has improved in recent years. But small and medium-sized businesses still face some difficulties, especially due to high interest rates and bureaucratic obstacles. State support and the expansion of financial services of banks have the potential to further improve this situation.

The application and development of business risk assessment models in Azerbaijan is of great importance for increasing the sustainability of the economic environment. Accurate assessment and effective management strategies can contribute to protecting business entities from risks and achieving long-term success.

Literature

1. https://www.stat.gov.az/source/system_nat_accounts/
2. Transparency International. (2023). Corruption Perceptions Index 2023. Retrieved from https://www.transparency.org
3. https://vergiler.az/news/economy/91.html
4. https://www.imf.org/en/Search#q=azerbaijan&sort=relevancy&f:type=[PUBS,COUNTRYREPS]/ file:///C:/Users/Lenovo/Downloads/1AZEEA2024001.pdf

5. https://www.caspianlegalcenter.az/az/news/more/tax-code-azerbaijan-2025
6. https://www.stat.gov.az/source/finance/
7. https://www.worldbank.org/ Doing Business 2020 Report.
8. https://www.stat.gov.az/source/entrepreneurship/
9. https://www.smb.gov.az/az/nav/hesabatlar
10. Transparency International. (2023). Corruption Perceptions Index 2023. Retrieved from https://www.transparency.org/en/cpi/2023
11. https://www.stat.gov.az/source/education/

მარინე ცუცქირიძე

ბიზნესის განვითარების ფაქტორები საქართველოში

ანოტაცია. *ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე პროცესების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ბიზნესის სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ფაქტორების -სამეწარმეო და საბაზრო ფაქტორების, არსებობისა და მისი გამოყენების, საქართველოში კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ მიმართულებათა დასაბუთებას. ამ მიზნით ნაშრომში გადმოცემულია სამეწარმეო ბიზნეს სისტემის განვითარებისა და ორგანიზაციის, მისი შრომითი და საწარმოო რესურსების ფორმებს, კომპანიებსა და კოოპერაციებს შორის განაწილებისა და აქციონერული დანახარჯების მინიმიზაციის საფუძვლები; ასევე განხილულია საბაზრო პროცესების ორგანიზებულობის ამაღლებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური და ინფორმაციული სისტემებისა და მათი ელემენტების, როგორც თანამედროვე ძირითადი ფაქტორების შერჩევისა და მათი საქმიანობის რეგლამენტირებული რეჟიმით გამოყენების მნიშვნელოვანი საკითხები.*

საკვანძო სიტყვები: *ფაქტორები, ბიზნესი, დანახარჯები, მეწარმეობა, რესურსები, განაწილება, ორგანიზაცია.*

შესავალი. საბაზრო პროცესებში საქართველოს ბიზნეს სისტემების მონაწილეობისათვის ძირითადს მათი კონკურენტული სტრატეგიის , საბაზრო ინოვაციებისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მოტივაციის გამოყენება წარმოადგენს. იგი თანამედროვე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვანი საშუალება და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში წარმატებათა მისაღწევი და ბიზნესის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველთაგანია.

ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების შესაბამისად მათი გარდაქმნის თანამედროვე პროცესი აქტიურად უკავშირდება საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მიზნების გადაწყვეტის პრობლემას, მისი გლობალური ტენდენციების გათვალისწინებას. აღნიშნულის მომსახურებისათვის არსებული ძირეული ელემენტების ფუნქციონირებისა და ურთიერთშესაბამისი განვითარების აუცილებლობას, რომელიც ბიზნესის ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს აქტიურ როლზე მიანიშნებს. ამავე დროს ინოვაციური განვითარებისა და მაღალი ტექნოლოგიების ბიზნეს სისტემებში მიზიდვის ფაქტორების მოქმედებაში გადამწყვეტი ადგილი უკავია ბიზნესში ფინანსური ტრანზაქციების გამოყენებას და მომსახურების დარგების და მათი დამაკავშირებელი სამეურნეო სფეროების გაფართოებას, რაც ბიზნესის საქმიანობაში

ძირითად ფაქტორს წარმოადგენს და ახალი საბაზრო ურთიერთობების საშუალებით წარმოქმნილი, ეკონომიკის განვითარების მყარი საფუძველია.

ბიზნესის განვითარების ფაქტორებიდან ძირითადს წარმოადგენს გლობალური და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გაფართოებისათვის აუცილებელ საშუალებებს და ამისათვის საჭირო საწარმოო, საბაზრო და ინფორმაციული პროცესების განსახორციელებლად მიზანშეწონილ, ბიზნეს სისტემაში არსებულ წარმოებისა და მმართველობითი სახსრების, შრომითი რესურსების, ტექნოლოგიისა და ინოვაციური ტექნიკით ფირმების უზრუნველსაყოფად აუცილებელი კაპიტალის ურთიერთშესაბამისობას და ოპტიმალურ ურთიერთთანაფარდობას. იგი ბიზნესის საქმიანობის გაფართოებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორთა ურთიერთშესაბამისობაზე მიანიშნებს.

აღნიშნული მიმართულებით ბიზნესის განვითარებისათვის მიზანშეწონილია განხილულ იქნას შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოო და მომსახურების პროცესის ამსახველი ფაქტორები,
2. საბაზრო და მისი ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფაქტორები,
3. ბიზნესში ინოვაციებისა და ინვესტიციების მოზიდვის პროცესის ამსახველი ფაქტორები.

აღნიშნული ფაქტორების არსებობა თანამედროვე ბიზნესის განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების გზით მისი ინოვაციურობის მისაღწევ საშუალებას წარმოადგენს, რაც საგარეო ფაქტორების აქტიურ როლზე მიუთითებს. იგი საქართველოს გლობალური და ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი საფუძველთაგანია.

* * *

გლობალიზაციისა და საგარეო საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესში ძირითადს წარმოადგენს ბიზნესის სისტემების ფუნქციონირებისა და მისი საბაზრო სფეროების მოწესრიგებისათვის აუცილებელ საწარმოო ფაქტორებისა და მომსახურების პროცესისა და მისი ფინანსური საფუძვლების გაუმჯობესება. იგი თანამედროვე ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებისა და მაღალი ტექნოლოგიების, ასევე ინოვაციური ტექნიკის საწარმოო პროცესებში გამოყენების წინაპირობაა, რომელიც ბიზნესის მომსახურების ობიექტების და მისი საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებისა და საწარმოო -ტექნოლოგიური განვითარების საშუალებაა.

ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორებს შორის მიზანშეწონილია საწარმოო- ტექნოლოგიური, ინოვაციური და საბაზრო ფაქტორების გამოყოფა, რომელიც საფუძვლად უდევს ინოვაციური ბიზნეს სისტემის წარმოქმნასა და მისი საბაზრო საქმიანობის ძირითადი სფეროების გაფართოებას. ამდენად, საქართველოში არსებული ბიზნეს სისტემის განვითარება ძირითადად დამყარებულია მისი საწარმოო - ტექნოლოგიური და ინოვაციური ფაქტორების ეფექტიანობის ზრდაზე და მათი გამოყენების მასშტაბების გაფართოების შესაძლებლობებზე. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად , თანამედროვე ბიზნეს კორპორაციებისათვის ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიწოდების გააქტიურების ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა განათლება და მისის საწარმოო- სამეცნიერო ბიზნეს სისტემათა ჩამოყალიბება, ტექნოლოგიების, მათ შორის მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვისა და გამოყენების მიზნით ტექნოლოგიურ ალიანსებში მონაწილეობა, ინოვაციური ტექნიკის წარმოების ათვისება და სხვ.

საწარმოო ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების შექმნა და განვითარება საქართველოში ბიზნესის შემოსავლების ზრდისა და სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. იგი ძირითადად დამყარებულია საწარმოო, ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ფაქტორებზე და ამასთან ერთად განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემით, ინოვაციური ბიზნესის, სამეწარმეო ობიექტების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მათი ფუნქციონირების პროცესებზე და განვითარების შესაძლებლობაზე.

ამჟამად განვითარებადი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა საქართველოში წარმოშობს ბიზნესის საქმიანობის გაფართოებისა და განათლების ფაქტორის როლის ზრდის შესაძლებლობას. ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესში საწარმოო ინოვაციების გამოყენების, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. განათლების ფაქტორის აუცილებლობა აქტიურად უკავშირდება ინოვაციების შექმნის, მაღალი ტექნოლოგიების მეწარმეობის სისტემაში გამოყენების მიზანშეწონილობას, ინოვაციური ტექნიკისა და სხვა ინოვაციურ საწარმოო საშუალებათა წარმოებისათვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საფუძვლების გაუმჯობესებას საქართველოში. იგი ინტეგრაციულ და საბაზრო პროცესების მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებისა და რაციონალურობის ძირეულ პრობლემას წარმოადგენს.

თანამედროვე ბიზნესის ინოვაციური საწარმოო და ტექნოლოგიურ საშუალებათა წარმოშობა და ამით ბიზნესის საქმიანობის არეთა გაფართოება ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისა და ევროინტეგრაციულ ურთიერთობებში მონაწილეობისათვის აუცილებელი საშუალებათაგანია.

ბიზნესის განვითარების პროცესში მისი სამეწარმეო სისტემისა და მომსახურების სამეურნეო სფეროთა ეფექტიანობა, მათი მმართველობითი საქმიანობის რაციონალურობა დამოკიდებულია საწარმოო- ტექნოლოგიური ფაქტორების გამოყენებასა და საბაზრო პროცესებს შორის არსებულ დროში ურთიერთშესაბამისობაზე. რაც ბიზნესის განვითარებაზე საბაზრო ფაქტორების ზემოქმედებასა და მის აქტიურ როლზე მიანიშნებს.

საბაზრო ფაქტორებს შორის, რომლების განაპირობებენ ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიღწევას, ძირითადს წარმოადგენს მარკეტინგის ორგანიზაციულ სისტემაში სამეწარმეო და მომსახურების დონეთა გათვალისწინება; საბაზრო სივრცეში ბიზნესის პროდუქციისა და მომსახურების, როგორც მიწოდების, ასევე მათი შემოზიდვის მოცულობა; კადრების ადა ტექნოლოგიების, სამეწარმეო ტექნიკისა და ინფორმაციული ინოვაციების ბიზნესის ობიექტებისათვის საბაზრო მიწოდებათა არსებული დონე და სხვ.

აღნიშნული ფაქტორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ თანამედროვე ბიზნესის განვითარებისა და ინტეგრაციულ პროცესებში მისი მონაწილეობის მიმართულებით. ამასთან ერთად ბიზნესის საქმიანობაში აქტიურად ზემოქმედებენ ინსტიტუციონალური ფაქტორები. ძირითადს მათ შორის წარმოადგენს განათლებისა და კვალიფიკაციის დონეთა ამსახველი ფაქტორები, რომელთაგან აღსანიშნავია უახლესი ცოდნის მიღებისა და გავრცელების ინსტიტუციური სისტემები. რომლისთვისაც წარმოიქმნა სპეციალიზირებული ორგანიზაციული ფაქტორები- კონკურენცია და კოოპერაცია აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის, კონსალტინგური ფირმებისა და საპროექტო ორგანიზაციების ტექნოლოგიების ტრანსფერისათვის ბიუროების საშუალებათა გამოყენება, ბიზნესის სამეურნეო საქმიანობის კულტურაზე

ორიენტირებული ინოვაციურობის ამაღლება და ტრანსაქციული ფაქტორები, რომლებიც აერთიანებენ იმ პოზიციურ ეფექტებს, საჭირო ინსტიტუტების და სხვა ორგანიზაციულ სისტემათა ინტელექტუალურ საქმიანობის წარმართვისათვის.

ბიზნესის სამეურნეო ინსტიტუციონალური საფუძვლების გაუმჯობესება წარმოადგენს იმ ძირითად ორგანიზაციულ ფაქტორს, რომლის საშუალებით შესაძლოა მიღწეულ იქნას ეკონომიკური და ტრანსაქციული დანახარჯების შემცირება 1.-განათლების ადა ცოდნის გამოყენებაზე მეწარმეობის სისტემაში, ასევე 2.-წარმოებისა და მომსახურების ურთიერთდაკავშირებული ნორმების, რეგლამენტისა და თანაბარზომიერი რეჟიმის შენარჩუნებაზე, მისი მინიმუმის მიღწევა. ამჟამად ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება კონკურენტუნარიანი საბაზრო სტრატეგიის განსახორციელებლად ინოვაციების შერჩევა და მათ შორის ეფექტიანის შეთავაზება.

აღნიშნული ფაქტორების ეფექტიანად წარმართვის მიზანია ბიზნესის განვითარების პროცესის სოციალური და ეკონომიკური მოტივაცია ინოვაციების გამოყენების მიმართულებით. იგი წარმოებისა და ინოვაციების დიფუზიის საშუალებით თანამედროვე ბიზნესის ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირეულ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან ბიზნესის განვითარების ფაქტორების ასპექტები დაკავშირებულია ცოდნის ეკონომიკის მოდელისა და ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნესის კულტურის გამოყენება წარმოადგენს. იგი ბიზნესის შემოსავლების ზრდისა და მისი მაღალი ეფექტიანობის მისაღწევ ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

დასკვნა. საქართველოში გლობალიზაციისა და საბაზრო გარდაქმნების ვითარებაში აქტიურს წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი, ბიზნესის ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანად ფუნქციონირება. იგი ეკონომიკური სისტემის შემოსავლების გადიდების და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. გლობალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების შედეგების გათვალისწინებით. იგი ძირითადად საწარმოო და საბაზრო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად შეიძლება იქნეს მიღწეული.

ევროსამეწარმეო სისტემების განვითარება აქტიურად უკავშირდება საწარმოო-ტექნოლოგიური, ტექნიკური და ინფორმაციული ინოვაციების, როგორც ამ სისტემის საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის ფაქტორების ეფექტიანობას, ასევე ახალი ინოვაციების წარმოების ათვისების, საბაზრო ურთიერთობების გზით არსებულის გამოყენების შესაძლებლობას.

საწარმოო ფაქტორებთან ერთად ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელს წარმოადგენს საბაზრო ფაქტორების- შემოზიდული ინოვაციების, მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროდუქტების ის სიდიდეები რომელთა ათვისება საწარმოო და მომსახურების სისტემებში მაღალი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულთა საშუალებით მიღწეული ან წარმოებაში ათვისებული და ეფექტიანად მოხმარებული.

ინოვაციური ბიზნესის განვითარების ფაქტორები განაპირობებენ მის საწარმოო-ტექნოლოგიური სისტემებს შორის ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებას, ამისათვის არსებული საწარმოო- ტექნიკური და ინოვაციურ-ინფორმაციული საშუალებების გამოყენებას. იგი თანამედროვე საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გაფართოებისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2018.
2. პაპავა ვლ,. მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2018.
3. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2000.
4. ბერულავა გ., ცუცქირიძე მ., ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ- მეთოდოლოგიური ასპექტები; საერთაშორისო გამოცდილება, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022.
5. ცუცქირიძე მ., ბიზნესის ინოვაციური ფაქტორები ევროინტეგრაციის პირობებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

Marine Tsutskiridze

THE FACTORESS OF BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Summary

The article compiled the effectiveness of factoress in the business development of process on Georgia in this systematized new factors-modern tecnologg, innovative ways, organization knovlege, as functional of institutional elements, is annalysed the global hatyre of the interaction of market relation process.

ზურაბ წერეთელი

მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი პრობლემები და გავრცელებული გამოწვევების გადაჭრის გზები

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. თანამედროვე ბიზნესსექტორში არსებული მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემები, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მცირე ბიზნესის ფუნქციონირებას და პერსპექტიულ განვითარებას. შესაბამისად წარმოდგენილია აღნიშნული გამოწვევების გადაჭრის გზები.*

საგადასახადო შეღავათებისა და სამთავრობო პროგრამების მხარდაჭერის პირობებშიც კი მცირე ბიზნესს უჭირს დამკვიდრება მეწარმეობის სხვადასხვა დარგში და სულ უფრო მეტად შეინიშნება საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხრიდან მცირე საწარმოთა ‘‘შევიწროება’’, განსაკუთრებით საცალო ვაჭრობის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი გამოწვევა მცირე ბიზნესის არაჯეროვანი განვითარებაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სფეროს კვლევა, ეფექტური, კომპლექსური ღონისძიებების დასახვა პრობლემების მოსაგვარებლად როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სტრუქტურების ჩართულობით.

საკვანძო სიტყვები: *მცირე ბიზნესი, მცირე ბიზნესის განვითარების გამოწვევები, გამოწვევების გადაჭრის გზები, საინვესტიციო გარემო, საკრედიტო მიმზიდველობა, არასრულყოფილი კონკურენცია.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილება, ნებისმიერ სახელმწიფოში, მაღალგანვითარებული და ეფექტიანი ბიზნესის განვითარების აუცილებლობაზე მიგვითითებს. სწორედ ის წარმოადგენს იმ ბერკეტს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა. სწორედ მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატებული განვითარების ბედი.

ცვლილებების განუწყვეტლად ზრდადი ტემპი გახდა ეკონომიკის ზრდის ძირითადი ფაქტორი. იმისათვის რომ ეკონომიკური სუბიექტები დარჩნენ კონკურენტუნარიანი, უნდა შეინარჩუნონ საკუთარი ინოვაციური აქტიურობის მაღალი ტემპი. ყველა სახის ინოვაცია წარმოადგენს ერთდროულად ეკონომიკური სუბიექტების როგორც სიცოცხლისუნარიანობის, ისე კონკურენტუნარიანობის ფაქტორს. ახალი იდეების, უახლესი პროდუქციისა და ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სიახლეთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის მრავალ სფეროში. განვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია მაღალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრობლემად რჩება ბიზნესის, მათ შორის მცირე ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნება ანუ მუდმივი განვითარების მიღწევა. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი ბიზნესი ვერ უძლებს კონკურენციას და იცვლის სახეს ან კიდევ უქმდება.

სულ უფრო და უფრო რთულდება ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება საწარმოებისათვის, რადგან გლობალიზაციის მზარდმა გავლენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სურათი და შესაბამისად საზოგადოებისათვის აღარ წარმოადგენს ღირებულს ის საქონელი და მომსახურება, რომელიც თუნდაც რამდენიმე წლის წინ მისაღები იყო. აქედან გამომდინარე, თუ ფირმებს სურთ ბაზარზე თავიანთი სახელის დამკვიდრება, ამ ცვლილებებს მათ ფეხი უნდა აუწყონ.

* * *

განვითარებული სახელმწიფოების მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილი მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირავს. ქვეყნის დოვლათის დიდი ნაწილი სწორედ ამ სფეროში იქმნება და მოსახლეობის უმრავლესობა აქ არის დასაქმებული. მცირე ბიზნესი ქმედით როლს თამაშობს ქვეყნის სიღარიბის დაძლევაში. საწარმოთა გრადაცია ზომის მიხედვით განსხვავებულია ცალკეულ ქვეყანაში. საქართველოში საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის – 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის – 249 დასაქმებულს ან 60 მლნ. ლარს;

• რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, მათ განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა შეადგენს 60 მლნ ლარს [13].

ნებისმიერ ქვეყანაში მეწარმისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი ერთობ მიმზიდველია. შეიძლება გამოვყოთ მხოლოდ რამდენიმე უპირატესობა, როგორიცაა უსაფრთხოება, ადაპტირებადობა, მომგებიანობა. და მართლაც, იმ მცირე და საშუალო საწარმოებში, რომლებიც წარმატებულად ფუნქციონირებენ და მენეჯმენტი სრულყოფილად მუშაობს, ყველა ეს თვისება შეიძლება დავინახოთ. მიუხედავად ამისა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მცირე მეწარმეობა დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, არსებობს მცირე ბიზნესის თანამდევი პრობლემები, კერძოდ:

– დასაქმებულ მენეჯერთა რაოდენობა და გამოცდილება შეზღუდულია;

– ფინანსების ნაკლებობა მთავარი პრობლემაა;

_ მენეჯერების შეზღუდული გამოცდილება არ იძლევა მათ ხელთ არსებული სახსრების რაციონალურად განაწილების შესაძლებლობას;

– მენეჯერთა გუნდი საკმაოდ მცირერიცხოვანია და შეიძლება ის იყოს ახალბედაც ბიზნესში, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური განათლება, ამიტომ პრობლემებს შეიცნობენ მხოლოდ მაშინ, როცა უკვე გაჩნდება, მათ გადასაწყვეტად კი საკმარისი დრო არა აქვთ;

– საკმაოდ შეზღუდული გეოგრაფიული და სამრეწველო სექტორი;

– შენობა-ნაგებობა ყოველთვის არ არის ხელსაყრელი ბიზნესის ორგანიზაციისათვის;

– მენეჯერებს ყოველთვის არა აქვთ სწორი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად, ისინი ეყრდნობიან მოძველებულ, ყოველ შემთხვევაში წინა წლის ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა განვითარებულ ქვეყნებში უკვე რამდენიმე ათეული წელია, მშპ-ის 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ, საქართველოში კი ეს ნიშნული 20%-ს ვერ გასცდა. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელის შემშლელი პრობლემები მრავლადაა. საქართველოში მცირე საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს და მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია მრავალი გარე მიზეზით, რომელთაგან ძირითადია: საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ბაზრის არასრულყოფილება, ბიუროკრატიზმი და სხვა [13].

მცირე მეწარმეებმა არ იციან, როგორ უნდა წარმართონ თავიანთი ბიზნესი სწორად, არ აქვთ შემუშავებული ბიზნესგეგმა, რომლითაც სამომავლოდ იხელმძღვანელებენ. ბიზნესის წამოწყება და შემდეგ მისი მართვა კარგად დაგეგმილი და გააზრებული უნდა იყოს. სწორედ ამ ნიშნებს ვერ ვნახავთ იმ მცირე და საშუალო ფირმებში, რომლებსაც სჭირდებათ გეგმები და მათი ეფექტიანი რეალიზაცია, რათა დეფიციტური რესურსები გამოიყენონ სწორედ იმ უბნებზე, სადაც ყველაზე მეტადაა საჭირო [3].

მკვლევრები აღიარებენ, რომ საქართველოში მეწარმეები ისე იწყებენ საქმიანობას, ბაზარიც კი არ აქვთ შესწავლილი, არ იცნობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს და, რაც ყველაზე ცუდია, არც ცდილობენ სპეციალისტებთან კონსულტაციით მიიღონ ინფორმაცია ამ ძირეული საკითხების გასათვალისწინებლად.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი გამოწვევა მცირე ბიზნესის არაჯეროვანი განვითარებაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სფეროს კვლევა და ეფექტური კომპლექსური (სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ჩართულობით) ღონისძიებების დასახვა პრობლემების მოსაგვარებლად.

მსხვილი ბიზნესი სწრაფი ტემპით მიიწევს წინ, რაც, თავის მხრივ, მცირე მეწარმეობაზე ახდენს უარყოფით გავლენას. პატარა ფირმები დიდ საწარმოებს ვერ უწევენ კონკურენციას და ხშირ შემთხვევაში წყვეტენ საქმიანობას. თავდაპირველად პროცესი დედაქალაქში დაიწყო და ძალიან ბევრი წვრილი მაღაზია უბნებში დაიხურა, რადგან საბითუმო მოვაჭრეებისა და მსხვილი მწარმოებლების მიერ პროდუქციის შეღავათიან ფასებში მიწოდებამ (დიდი რაოდენობის შესყიდვის გამო) სავაჭრო ქსელებისთვის და მათ მიერ გატარებულმა საფასო პოლიტიკამ მცირე სავაჭრო ობიექტები არათანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩააყენა [2].

ანალოგიური მდგომარეობაა უკვე რეგიონებშიც, სადაც მსხვილი სავაჭრო ქსელები "მაგნიტი", "სპარი", "ნიკორა", "ორი ნაბიჯი" და სხვა ერთმანეთის მიყოლებით ხსნიან ფილიალებს, პატარა მაღაზიები კი მაღალი ბრენდის კომპანიების გვერდით ფუნქციონირებას ვერ აგრძელებენ და საქმიანობას წყვეტენ.

კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში მცირე საწარმოთა 42%-ის არსებობა 5 წელს არ აღემატება, ხოლო დაახლოებით 73% საკუთარი ბიზნესის გაფართოებას ვერ ახერხებს ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. ბანკებიც თავს იკავებენ მცირე მეწარმეებისთვის კრედიტის გაცემაზე და უპირატესობას ყოველთვის მსხვილ ბიზნესს ანიჭებენ.

ბიზნესის გამსხვილების ტენდენცია მცირე მეწარმეობის განვითარებაზე საკმაოდ მძიმედ აისახება. სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემის არსებობის პირობებშიც კი აუცილებელია უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება იმ კომპლექსური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ბიზნესგარემოში არსებობს. მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ზოგადი სტრატეგიის შემუშავება, არამედ აუცილებელი გახდა ქმედითი ღონისძიებების გატარება განსაზღვრული სფეროებისა და მიმართულებების მიხედვით [2].

მცირე ბიზნესი ეკონომიკის ხერხემალია, თუმცა ზრდისა და წარმატებისკენ სწრაფვაში ისინი ასევე მრავალ გამოწვევას აწყდებიან. მეცნიერების მიერ წინა წლებში ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის 65%-მა განაცხადა, რომ მათი საქმიანობა მომგებიანი იყო, მაგრამ ხუთი ან მეტი თანამშრომლის მქონე ბიზნესის მხოლოდ 31%-ს მოუწევს მცირედი ზრდის ან კლების პოზიციის ფაქტის შეგუება [5].

შესაძლებელია წარმოვადგინოთ რამდენიმე გავრცელებული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მცირე ბიზნესის განვითარებასა და ზრდას. ესენია:

1. მკაფიო ბიზნესგეგმის არარსებობა. ბიზნესგეგმა არის გზამკვლევი, რომელიც ასახავს ბიზნესის წარმართვის ხედვას, მისიას, მიზნებს, სტრატეგიებს და სამოქმედო ნაბიჯებს. ყოველივე იძლევა საშუალებას განისაზღვროს სამიზნე ბაზარი, დადგინდეს კონკურენტული უპირატესობა, რათა განაწილდეს რესურსები და გაიზომოს პროგრესი. მკაფიო ბიზნესგეგმის გარეშე, შეიძლება დრო და ფული დაიხარჯოს ისეთ აქტივობებზე, რომლებიც არ შეესაბამება დასახულ მიზნებს;

2. ცუდი ფინანსური მენეჯმენტი. ფინანსების არასწორი მართვა მცირე ბიზნესისთვის დიდი პრობლემაა; მრავალ მცირე ბიზნესის მფლობელს უჭირს ფულადი ნაკადების, ბიუჯეტირების, ბუღალტრული აღრიცხვის, დაბეგვრისა და ვალების პრობლემის გადაჭრა. ამ საკითხებმა შეიძლება გავლენა იქონიოს მათ მომგებიანობაზე, ლიკვიდურობაზე, გადახდისუნარიანობაზე და ზრდის პოტენციალზე. ცუდმა

ფინანსურმა მენეჯმენტმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს იურიდიული პრობლემები, ჯარიმები ან თუნდაც გაკოტრება;

3. არაეფექტური მარკეტინგული სტრატეგია. მარკეტინგი აუცილებელია მცირე ბიზნესის ზრდისთვის, რადგან ის ეხმარება მეწარმეს სამიზნე აუდიტორიის მიღწევასა და მის ჩართვაში, ბრენდის ცნობადობის ამაღლებაში, გაყიდვების გაზრდაში. თუმცა ბევრ მცირე ბიზნესს არ გააჩნია მკაფიო და ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია ან ეყრდნობა მოძველებულ და არაეფექტურ მეთოდებს. მათ ასევე შეიძლება ჰქონდეთ შეზღუდული რესურსები, უნარები ან ინსტრუმენტები მარკეტინგული კამპანიების განსახორციელებლად.

4. მასშტაბირებადი სისტემებისა და პროცესების ნაკლებობა. მცირე ბიზნესის ზრდასთან ერთად, შესაძლოა მეწარმე წააწყდეს მოთხოვნის ზრდას, სირთულესა და კონკურენციას. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, მას უნდა ჰქონდეს შემუშავებული მასშტაბირებადი სისტემები და პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ზრდას და ეფექტურობას. თუმცა ბევრი მცირე ბიზნესი ეყრდნობა ხელით შექმნილ, არასტანდარტულ ან მოძველებულ სისტემებსა და პროცესებს, რამაც შეიძლება შეზღუდოს პროდუქტიულობა, ხარისხი და მომგებიანობა.

წარმოგიდგენთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საგულისხმო მოსაზრებებს:

- შექმენით ყოვლისმომცველი ბიზნესგეგმა ბიზნესის ზრდისა და წარმატების მისაღწევად, მცირე ბიზნესს სჭირდება კარგი ბიზნესგეგმა. შეგიძლიათ გამოიყენოთ ონლაინ ინსტრუმენტები და შაბლონები მათ შესაქმნელად, ან გაიაროთ კონსულტაცია პროფესიონალ ბიზნესმრჩეველთან. თქვენი ბიზნესგეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ა) რეზიუმე – თქვენი ბიზნესის მოკლე მიმოხილვა, მისი მიზანი, პროდუქტები ან მომსახურება, ბაზარი, ფინანსური პროგნოზები და მიზნები; ბ) კომპანიის აღწერა – თქვენი ბიზნესის დეტალური აღწერა, ისტორია, სამართლებრივი სტრუქტურა, საკუთრება, მდებარეობა და ღირებულებები; გ) ბაზრის ანალიზი – თქვენი ინდუსტრიის, კონკურენტების, მომხმარებლების, ასევე ბაზრის შესაძლებლობებისა და საფრთხეების საფუძვლიანი კვლევა; დ) მარკეტინგისა და გაყიდვების სტრატეგია – მკაფიო ახსნა იმისა, თუ როგორ აპირებთ თქვენი ბიზნესის პოპულარიზაციას, მომხმარებლების მოზიდვას, შენარჩუნებასა და შემოსავლის გენერირებას; ე) ოპერაციების გეგმა – აღწერა იმისა, თუ როგორ წარმართავთ თქვენს ბიზნესს, მათ შორის წარმოების პროცესს, მომწოდებლებს, ინვენტარს, აღჭურვილობას, ტექნოლოგიას, პერსონალს და ხარისხის კონტროლს; ვ) ფინანსური გეგმა – თქვენი შემოსავლების ანგარიშგების, ბალანსის, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და ზარალის ანაზღაურების ანალიზი, ასევე თქვენი დაფინანსების საჭიროებებისა და წყაროების პროგნოზი; ზ) დანართი – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს თქვენს ბიზნესგეგმას, როგორიცაა რეზიუმეები, ლიცენზიები, ნებართვები, კონტრაქტები ან რეკომენდაციები.
- ფინანსური მენეჯმენტის სათანადო პრაქტიკის დანერგვა. ფინანსური პრობლემების თავიდან ასაცილებლად მცირე ბიზნესმა უნდა დანერგოს ფინანსური მენეჯმენტის სათანადო პრაქტიკა, რომელთაგან საუკეთესოა შემდეგი: ა) შეინარჩუნეთ ზუსტი და განახლებული ფინანსური ჩანაწერები, პროგრამული უზრუნველყოფის ან აპლიკაციების გამოყენებით, რომლებსაც შეუძლიათ პროცესის ავტომატიზაცია და გამარტივება; ბ) თვალყური ადევნეთ და აკონტროლეთ თქვენი ფულადი ნაკადები, შემოსავალი და ხარჯები და მოამზადეთ რეგულარული ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშები; გ) შექმენით და დაიცავით რეალისტური ბიუჯეტი და საჭიროებისამებრ

შეცვალეთ იგი თქვენი რეალური შესრულებისა და ცვალებადი გარემოებების საფუძველზე; დ) გამოყავით თქვენი პირადი და ბიზნესფინანსები, გახსენით სპეციალური ბიზნესსაბანკო ანგარიში და საკრედიტო ბარათი; ე) დაიქირავეთ კვალიფიციური ან რიგითი ბუღალტერი, ან გადაეცით თქვენი ბუღალტრული და საგადასახადო ამოცანები მაღალი რეპუტაციის მქონე ფირმას; ვ) გამოიყენეთ პროფესიონალური რჩევა ფინანსური დაგეგმვის, ინვესტირების, სესხების აღებისა და თქვენი ბიზნესისთვის ფულადი სახსრების დასაზოგად; ზ) მიმართეთ გრანტებს, სესხებს ან დაფინანსების სხვა ფორმებს, რომლებიც შეესაბამება თქვენი ბიზნესის საჭიროებებს და მიზნებს, იმავდროულად გონივრულად მართეთ თქვენი ვალი.

- ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება მომხმარებელთა ბაზის და შემოსავლის გასაზრდელად. მცირე ბიზნესს სჭირდება ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება. მისაღებად მიგვაჩნია რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგათ: ა) განსაზღვრეთ თქვენი მარკეტინგული მიზნები, როგორიცაა ტრაფიკის, კონვერსიების, შენარჩუნების ან რეფერალების გაზრდა; ბ) დაადგინეთ თქვენი სამიზნე ბაზარი, მათი საჭიროებები, პრეფერენციები, ქცევები და პრობლემები; გ) ჩაატარეთ SWOT ანალიზი, რათა შეაფასოთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები თქვენს კონკურენტებთან და ბაზართან მიმართებით; დ) აირჩიეთ საუკეთესო მარკეტინგული არხები და ტაქტიკა თქვენი ბიზნესისთვის, როგორიცაა სოციალური მედია, ელფოსტა, კონტენტი, SEO, PPC ან ვიდეორგოლები; ე) შექმენით მარკეტინგული გეგმა, რომელიც ასახავს თქვენს მარკეტინგულ მიზნებს, სტრატეგიებს, ქმედებებს, ბიუჯეტს და ვადებს; დ) განახორციელეთ თქვენი მარკეტინგული გეგმა ისეთი ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებით, რომლებიც დაგეხმარებათ მარკეტინგული კამპანიების შექმნაში, მართვასა და ოპტიმიზაციაში; ე) გაზომეთ და შეაფასეთ თქვენი მარკეტინგული შედეგები ისეთი მეტრიკისა და ანალიტიკის გამოყენებით, რომელიც აჩვენებს თქვენი მარკეტინგული ძალისხმევის ეფექტურობას და ინვესტიციის ანაზღაურებას.
- გამოიყენეთ მასშტაბირებადი სისტემები და პროცესები. ბიზნესის გასაზრდელად, თქვენი მუშაობის კომპრომისის გარეშე, უნდა გამოიყენოთ მასშტაბირებადი სისტემები და პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ თქვენი ოპერაციების ავტომატიზაცია, გამარტივება და გაუმჯობესება. ამის გაკეთების რამდენიმე გზაა: ა) გამოიყენეთ ტექნოლოგია და გამოიყენეთ პროგრამული უზრუნველყოფა ან აპლიკაციები, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის სხვადასხვა ასპექტში, როგორიცაა CRM, ERP, POS, HR ან პროექტის მართვა; ბ) გააფართოვეთ თქვენი ონლაინ ყოფნა და გამოიყენეთ ელექტრონული კომერცია, ციფრული მარკეტინგი და ონლაინ პლატფორმები, რათა მიაღწიოთ და მოემსახუროთ მეტ მომხმარებელს როგორც ადგილობრივად, ისე გლობალურად; გ) გაამრავალფეროვნეთ თქვენი შეთავაზებები და დაამატეთ ახალი პროდუქტები, სერვისები ან ფუნქციები, რომლებიც დააკმაყოფილებს თქვენი მომხმარებლების ცვალებად საჭიროებებსა და მოლოდინებს, ამასთანავე შექმნის ახალი შემოსავლის ნაკადებს; დ) ფოკუსირდით მომხმარებელთა ჩართულობაზე და გამოიყენეთ უკუკავშირი, გამოკითხვები, მიმოხილვები, რეკომენდაციები ან ლოიალობის პროგრამები თქვენი მომხმარებლების გასაგებად და დასაკმაყოფილებლად, ასევე მათი შენარჩუნებისა და რეკომენდაციების გასაზრდელად; ე) დაიქირავეთ, გადაამზადეთ და ჩადეთ ინვესტიცია თანამშრომლების განვითარებაში; ვ) აიყვანეთ და შეინარჩუნეთ მოტივირებული ახალგაზრდები; ზ) მიაწოდეთ მათ ის ინსტრუმენტები, რესურსები და სტიმულები, რომლებიც მათ სჭირდებათ კარგი მუშაობისთვის; თ) აკონტროლეთ

ბაზრის ტენდენციები და იყავით ინფორმირებული თქვენს ინდუსტრიაში არსებული უახლესი განვითარების, ინოვაციებისა და შესაძლებლობების შესახებ.

შესაბამისად აღნიშნულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნა: მცირე ბიზნესის ზრდა ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია ჩამოთვლილი რჩევებისა და ტაქტიკის დაცვით გადალახოთ მცირე ბიზნესის წინაშე არსებული საერთო პრობლემები და მიაღწიოთ ბიზნესის განვითარებისა და გაფართოების მიზნებს. გახსოვდეთ, ზრდა არ არის ერთჯერადი მოვლენა, არამედ უწყვეტი პროცესია, რომელიც მოითხოვს მუდმივ დაგეგმვას, შესრულებას და შეფასებას. ასე რომ, სწავლაც განგრძობადია, რათა მივაღწიოთ მცირე ბიზნესის გაუმჯობესებასა და განვითარებას [5].

მცირე ბიზნესი აწყდება IT პრობლემებსაც, რომლებიც აზიანებს ბიზნესის ეფექტურობას და უსაფრთხოებას. განვიხილოთ თუ როგორ უნდა გადაიჭრას მცირე ბიზნესის ყველაზე გავრცელებული IT პრობლემები. ბიზნესის მრავალი მფლობელი აჭიანურებს IT პრობლემების მოგვარებას, რადგან ვარაუდობენ, რომ ისინი ძალიან ძვირი ან რთულია, თუმცა სწორმა სტრატეგიამ შეიძლება გააუმჯობესოს ოპერაციები, გააძლიეროს უსაფრთხოება და თავიდან აიცილოს ძვირადღირებული შეფერხებები.

ბიზნესის ყველაზე გავრცელებულ IT პრობლემების ეფექტურად მოგვარებისთვის განვიხილოთ ისინი:

1. კიბერუსაფრთხოების საფრთხეები და მონაცემთა დარღვევა. კიბერშეტევები რისკის ქვეშ აყენებს მცირე ბიზნესს. ჰაკერები იყენებენ სუსტ პაროლებს, დაუმონტაჟებელ პროგრამულ უზრუნველყოფას და ფიშინგის ელფოსტებს მგრძნობიარე მონაცემების მოსაპარად. უსაფრთხოების ზომების ძლიერი დაცვის გარეშე ბიზნესს შეუძლია განიცადოს ფინანსური ზარალი და დაიზიანოს რეპუტაცია. ამ საკითხის გადასაჭრელად გამოიყენეთ მრავალფაქტორიანი ავთენტიფიკაცია (MFA), მოითხოვეთ დამატებითი ვერიფიკაცია შესვლისთვის არაავტორიზებული წვდომის თავიდან ასაცილებლად, გადაამზადეთ თანამშრომლები ფიშინგის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ასწავლეთ პერსონალს ყალბი ელფოსტის და მავნე ბმულების ამოცნობა, ინვესტიცია ჩადეთ კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტებში (firewall-ები, ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა და შეჭრის აღმოჩენის სისტემები იცავს მგრძნობიარე მონაცემებს), ჩაატარეთ რეგულარული უსაფრთხოების აუდიტი – დაუცველობის იდენტიფიცირება და გამოსწორება თავდამსხმელების მიერ მათი გამოყენების დაწყებამდე, ისარგებლეთ მონაცემთა ავტომატური სარეზერვო ასლით – კიბერინციდენტების შემდეგ აღდგენისთვის გამოიყენეთ ღრუბლოვანი საცავი და ოფლაინ სარეზერვო ასლები.

2. მოძველებული ტექნოლოგია ანელებს პროდუქტიულობას. ბევრი ბიზნესი ფულის დაზოგვის მიზნით მოძველებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და აპარატურას ეყრდნობა, თუმცა ნელი კომპიუტერები, მხარდაუჭერელი სისტემები და ხშირი ავარიები ამცირებს ეფექტურობას და ზრდის უსაფრთხოების რისკებს. როგორ უნდა მოაგვაროთ ეს პრობლემები? ამისთვის საჭიროა ყოველწლიურად დაგეგმოთ IT აუდიტი; განსაზღვროთ, რომელ სისტემებს სჭირდება განახლება, გამოიყენოთ ღრუბელზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა და შეამციროთ მოძველებულ ლოკალურ აპლიკაციებზე დამოკიდებულება; სისტემის განახლების ავტომატიზაციისთვის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ჩართეთ პროგრამული უზრუნველყოფის ავტომატური განახლებები; ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ შეცვალეთ მოძველებული აპარატურა, უნდა განახლდეს კომპიუტერები, როუტერები და სერვერები; დაიგეგმოს IT კონსულტანტებთან მუშაობა – მართული IT სერვისები ეხმარება ბიზნესს, წინ აღუდგეს სტარტაპებისთვის ტექნოლოგიურ გამოწვევებს.

3. არ არის სპეციალიზებული IT მხარდაჭერა IT პერსონალის გარეშე. ტექნიკური პრობლემების მოგვარებას უფრო მეტი დრო სჭირდება, რაც ზრდის შეფერხებებს და იწვევს იმედგაცრუებას. ბევრ მცირე ბიზნესს არ შეუძლია სრულ განაკვეთზე IT თანამშრომლების დაქირავება, რაც მათ დაუცველს ხდის მუდმივი ტექნიკური პრობლემების მიმართ. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისთვის საჭიროა IT მხარდაჭერის აუთსორსინგი – მართული IT სერვისები უზრუნველყოფენ 24/7 დახმარებას უფრო იაფად; გამოიყენეთ დისტანციური პრობლემების მოგვარების ინსტრუმენტები და მიეცით IT გუნდებს პრობლემების სწრაფად მოაგვარების საშუალება; შექმენით ცოდნის ბაზა – შექმენით დოკუმენტაცია საერთო პრობლემების გადაჭრის გზებისა და გარე დახმარებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად; გადაამზადეთ თანამშრომლები IT-ის ძირითადი გამოსწორების შესახებ, ასწავლეთ პერსონალს პრობლემების მოგვარების მარტივი ნაბიჯები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ შეფერხების დრო; დანერგეთ ავტომატური მონიტორინგი – პროგრამულ უზრუნველყოფას შეუძლია პრობლემების აღმოჩენა და გამოსწორება ოპერაციების შეფერხებამდე.

4. მონაცემთა სარეზერვო ასლისა და კატასტროფების აღდგენის დაგეგმვის ცუდი შედეგები. ბევრი ბიზნესი ვარაუდობს, რომ მათი მონაცემები უსაფრთხოა მანამ, სანამ ისინი არ განიცდიან კიბერშეტევას ან აპარატურის გაუმართაობით შემთხვევით არ წაიშლება არსებული დოკუმენტაცია. აღდგენის გეგმის გარეშე ამ ინციდენტებმა შეიძლება გამოიწვიოს მონაცემების მუდმივი დაკარგვა. როგორ მოვაგვაროთ პრობლემა? ამისთვის დაიცავით 3-2-1 სარეზერვო ასლის წესი – შეინახეთ მონაცემების სამი ასლი (ორი ადგილზე, ერთი გარედან); გამოიყენეთ ღრუბლოვანი სარეზერვო სერვისები; შეინარჩუნეთ აუცილებელი ბიზნესფაილების ავტომატური სარეზერვო ასლები; შეამოწმეთ კატასტროფების აღდგენის გეგმები და გაუშვით სიმულირებული აღდგენა სარეზერვო ასლის საიმედოობის დასადასტურებლად; დაშიფრეთ სარეზერვო ასლები უსაფრთხოებისთვის, დაიცავით შენახული მონაცემები არაავტორიზებული წვდომისაგან; აკონტროლეთ სარეზერვო ასლის სტატუსი, გამოიყენეთ შეტყობინებები შეცდომების ან არასრული სარეზერვო ასლების აღმოსაჩენად.

5. შესაბამისობისა და მარეგულირებელი გამოწვევები. ისეთი ინდუსტრიები, როგორიცაა ფინანსები, ჯანდაცვა და ელექტრონული კომერცია, ვალდებული არიან დაიცვან მონაცემთა დაცვის მკაცრი კანონები, როგორიცაა GDPR, HIPAA და PCI-DSS. შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი ჯარიმები და სამართლებრივი ქმედებები. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისთვის საჭიროა გამოიყენოთ შესაბამისობის თვალთვალის ინსტრუმენტები – ავტომატიზებული უსაფრთხოების მონიტორინგი და ანგარიშგება; დაშიფროთ მომხმარებლის მონაცემები და თავიდან აიცილოთ არაავტორიზებული წვდომა მგრძნობიარე ინფორმაციაზე; დაგეგმოთ რეგულარული შესაბამისობის აუდიტი და გამწვავებამდე გამოავლინოთ პოტენციური დარღვევები; გადაამზადოთ თანამშრომლები იურიდიული მოთხოვნების შესახებ – დარწმუნდით, რომ ყველა თანამშრომელს ესმის მონაცემთა დაცვის პოლიტიკა; ითანამშრომლოთ შესაბამის კონსულტანტებთან და მიიღოთ ექსპერტის რჩევა მარეგულირებელი სტანდარტების დაკმაყოფილების შესახებ.

6. IT ინფრასტრუქტურის მასშტაბირება ბიზნესის ზრდასთან ერთად. ბიზნესის გაფართოებასთან ერთად მათი IT სისტემები უნდა მასშტაბირდეს გაზრდილი სამუშაო დატვირთვისა და მონაცემების დასამუშავებლად. ბევრ მცირე კომპანიას უჭირს ტემპის შენარჩუნება, რაც იწვევს შენელებულ მუშაობას და სისტემის ჩავარდნებს. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისთვის მიიღეთ მასშტაბირებადი ღრუბლოვანი

გადაწყვეტილებები – ღრუბლოვანი ტექნოლოგიები იზრდება ბიზნესის საჭიროებებთან ერთად; განაახლეთ ქსელური აღჭურვილობა, თავიდან აიცილეთ შეფერხებები მაღალი ხარისხის როუტერებითა და კომუტატორებით; დანერგეთ დატვირთვის დაბალანსება და თანაბრად გადაანაწილეთ ტრაფიკი სისტემის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად; სისტემის მუშაობის მონიტორინგისთვის აღმოაჩინეთ სიმძლავრის პრობლემები მანამ, სანამ ისინი გავლენას მოახდენენ ოპერაციებზე; დაგეგმეთ მომავალი IT საჭიროებების ზრდის პროგნოზირება და შესაბამისად მოამზადეთ IT სისტემები.

7. ქსელის უსაფრთხოებისა და კავშირის სუსტი პრობლემები. ქსელის ინფრასტრუქტურის ნელი მუშაობა იწვევს კავშირების გათიშვას და უსაფრთხოების დაუცველობას. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები? ამისათვის გამოიყენეთ ბიზნესკლასის როუტერები და კომუტატორები, გააუმჯობესეთ საიმედოობა და სიჩქარე; ჩართეთ VPN დისტანციური მუშაკებისთვის და დაიცავით მონაცემთა გადაცემა გარე ადგილებიდან; რეგულარულად შეამოწმეთ ქსელის უსაფრთხოება, გამოავლინეთ და გამოასწორეთ დაუცველობები დარღვევების მოხდენამდე; გამოიყენეთ ზედმეტი ინტერნეტკავშირები, უზრუნველყავით უწყვეტი მუშაობა ინტერნეტპროვაიდერის გათიშვის დროს; დაიცავით Wi-Fi WPA3 დაშიფვრით და თავიდან აიცილეთ არაავტორიზებული წვდომა.

8. დისტანციური მუშაობისა და BYOD პოლიტიკის უსაფრთხოების რისკები. დისტანციური თანამშრომლები და პირადი მოწყობილობები ქმნიან ახალი კიბერუსაფრთხოების რისკებს. სათანადო უსაფრთხოების პოლიტიკის გარეშე ბიზნესში წარმოიქმნება რისკი მავნე პროგრამების ინფექციებისა და მონაცემთა გაჟონვის სახით. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისათვის გაატარეთ მკაცრი BYOD პოლიტიკა, მოითხოვეთ ანტივირუსული დაცვა და უსაფრთხოების განახლებები პირად მოწყობილობებზე; გამოიყენეთ Endpoint Protection Tools-ი, აკონტროლეთ ყველა დაკავშირებული მოწყობილობა საფრთხეებზე; დანერგეთ ნულოვანი ნდობის უსაფრთხოება, მიანიჭეთ მოწყობილობებზე წვდომა მხოლოდ დადასტურებულ მომხმარებლებს; ასწავლეთ თანამშრომლებს უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენება, დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს კი – კიბერრისკებისგან თავდაცვა; რეგულარულად განაახლეთ უსაფრთხოების პოლიტიკა, შეცვალეთ წესები ახალი საფრთხის გაჩენისთანავე.

9. IT ბიუჯეტის შეზღუდვები. ბევრ მცირე ბიზნესს უჭირს IT ინვესტიციებისთვის თანხების გამოყოფა, რაც კრიტიკულ განახლებებს აგვიანებს. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისათვის პრიორიტეტი მიანიჭეთ აუცილებელ IT ინვესტიციებს, ფოკუსირება მოახდინეთ კიბერუსაფრთხოებასა და ინფრასტრუქტურაზე; გამოიყენეთ გამოწერაზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა – SaaS-ის გადაწყვეტილებები ამცირებს წინასწარ ხარჯებს; შეისწავლეთ ღია კოდის ინსტრუმენტები – უფასო ალტერნატივებმა შეიძლება დააკმაყოფილოს ბიზნესის საჭიროებები; მოიძიეთ მცირე ბიზნესის IT გრანტები – სამთავრობო პროგრამები ხელს უწყობს IT ხარჯების კომპენსაციას; ოპტიმიზაცია გაუკეთეთ IT ხარჯებს, გადახედეთ და უარყავით არასაჭირო ხარჯები.

10. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვას შეიძლება წინააღმდეგობა შეხვდეს თანამშრომლებისა და ინტეგრაციის გამოწვევების მხრიდან. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა? ამისათვის შეიმუშავეთ მკაფიო დანერგვის გეგმა და განახორციელეთ ცვლილებები ეტაპობრივად; ჩაატარეთ პრაქტიკული ტრენინგი, დაეხმარეთ თანამშრომლებს თავი კომფორტულად იგრძნონ ახალი

ინსტრუმენტების გამოყენებისას; აირჩიეთ თავსებადი გადაწყვეტილებები, უზრუნველყავით შეუფერხებელი ინტეგრაცია არსებულ სისტემებთან; აკონტროლეთ დანერგვის პროგრესი, შეაგროვეთ უკუკავშირი და მოაგვარეთ შეშფოთება; გაიარეთ კონსულტაცია IT ექსპერტებთან, მიიღეთ პროფესიონალური რჩევები ძირითადი ტექნოლოგიური გადასვლების შესახებ. ამ გამოწვევების გადაჭრით მცირე ბიზნესს შეუძლია გააძლიეროს უსაფრთხოება, გაზარდოს ეფექტურობა და მოამზადოს საკუთარი თავი გრძელვადიანი წარმატებისთვის.

სხვა გამოწვევები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ მცირე ბიზნესის მფლობელები, წარმოდგენილია ცხრილში [3]:

გამოწვევა	დეტალები
გადაწვა	მცირე ბიზნესის მფლობელები ხშირად მრავალგვარ როლს ირგებენ, რაც იწვევს ხანგრძლივ სამუშაო საათებსა და სტრესს.
მომხმარებლის შენარჩუნება	მომხმარებლის ლოიალობის შენარჩუნება გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს თანმიმდევრულ ხარისხს, შესანიშნავ მომსახურებას და მუდმივ ჩართულობას.
ბაზარზე კონკურენცია	გადატვირთულ ბაზარზე გამორჩევა მოითხოვს უნიკალური ღირებულების შეთავაზებებს და ძლიერ ბრენდინგს.
მდგრადობაზე ზეწოლა	მდგრადი პრაქტიკის მოთხოვნამ შეიძლება განაპირობოს ინვესტიციები ეკოლოგიურად სუფთა ოპერაციებში, რაც გრძელვადიან სარგებელს გვთავაზობს.
სამართლებრივი და ინტელექტუალური საკუთრების საკითხები	იურიდიული საკითხების ნავიგაცია და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა აუცილებელია ძვირადღირებული დავების თავიდან ასაცილებლად და კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად.

მცირე ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების მართვისთვის აუცილებელია მკაფიო და პირდაპირი სტრატეგია, რომლისთვისაც გასათვალისწინებელია შემდეგი ნაბიჯები:

1. საჭიროა ინფორმირებულობა ეკონომიკური და საბაზრო ცვლილებების შესახებ – ეკონომიკური ტენდენციების რეგულარული მონიტორინგი და სწრაფი ადაპტაცია ფინანსური გაურკვევლობის გავლენის შემცირებას შეუწყობს ხელს. საჭიროებისამებრ უნდა შეიცვალოს ბიზნესგეგმა, რათა არ მოხდეს ჩამორჩენა მიმდინარე კურსთან;

2. მარეგულირებელი მოთხოვნების სისტემატურად გაცნობა – ახალი და არსებული რეგულაციების გააზრება, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს ბიზნესქსელებში გაწევრიანებას ან შესაბამის ექსპერტებისგან რჩევის მიღებას, რათა შესრულდეს ყველა იურიდიული ვალდებულება;

3. დაფინანსების მრავალი ვარიანტის მოძიება – სხვადასხვა კრედიტორებთან ურთიერთობების დამყარება. ასევე საჭიროა ინფორმირებულობა სახელმწიფო გრანტებისა და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოსაძიებლად;

4. ეფექტური კონკურენცია – უნდა დადგინდეს, რა გამოარჩევს არსებულ ბიზნესს სხვა ბიზნესისგან და უნდა მოხდეს ფოკუსირება მარკეტინგსა და პროდუქტის

განვითარებაში არსებულ ძლიერ მხარეებზე. ღრმად შესასწავლია მომხმარებლების საჭიროებები მათი დაკმაყოფილების მიზნით;

5. საგადასახადო ვალდებულებების ყურადღებით მართვა – გამოსაყენებელია საიმედო სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფა ან პროფესიონალი საგადასახადო მრჩევლები ზუსტი საგადასახადო ანგარიშგებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დეტალური ფინანსური ჩანაწერების შენახვა დასახულ ამოცანას უფრო ადვილად გადაწყვეტს;

6. მოქნილი მიწოდების ჯაჭვის შექმნა – მომწოდებლების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა შეფერხებების რისკის შესამცირებლად, შესაძლებლობის შესაბამისად აუცილებელი ნივთების საკმარისი მარაგის შენარჩუნება;

7. ენერგიის ხარჯების კონტროლი – ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოკვლევა და განხილვა. განახლებადი ენერგიის ინვესტიციებმა შეიძლება გრძელვადიანი დანაზოგი მოგვცეს;

8. ტექნოლოგიის გონივრულად გამოყენება – ჩადეთ ინვესტიცია ტექნოლოგიაში, რომელიც გრძელვადიან ღირებულებას უზრუნველყოფს. პრიორიტეტი მიანიჭეთ ტრენინგს, რათა თქვენმა გუნდმა შეძლოს ახალი ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება და პროდუქტიულობის გაუმჯობესება.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა მომავალშიც სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ის წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის ძირითად წყაროს.

დასკვნა

ამრიგად, მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცირე მეწარმეებს მხარდაჭერა აქვს ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო შეღავათების დაწესებით და გარკვეული მიმართულებების სუბსიდირებით, მათი არსებობის ხანგრძლივობა ხშირ შემთხვევაში 5 წელს არ აღემატება, საქმიანობის შეწყვეტის მიზეზებად კი გვევლინება:

– კონკურენციის გაძლიერება მსხვილი კომპანიების მხრიდან ისეთ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად მცირე ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირების არეალად ითვლება (საცალო ვაჭრობა და "უბნის" მაღაზიები);

– მცირე მეწარმეთა არაკომპეტენტურობა საფასო პოლიტიკის განსაზღვრისას;

– ბიზნესის მართვის მწირი გამოცდილება (დაგეგმვის არარსებობა, ფინანსების უკმარისობა და არსებულის არასწორი მართვა);

– ფინანსური სახსრების შეზღუდულობის გამო რეკლამაზე მცირე დანახარჯები და გაყიდვების სფეროში გამოცდილების უკმარისობა.

მცირე ბიზნესის მფლობელები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, განსაკუთრებით საწყის წლებში, თუმცა ბიზნესში ბევრი გავრცელებული პრობლემის მოგვარება და გადაჭრა შესაძლებელია. ზოგჯერ მცირედი უკან დახევა, პრობლემური წერტილების იდენტიფიცირება და არსებული სტრატეგიის კორექტირებაც საკმარისია.

არსებულ პირობებში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე სისტემა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს არსებულ პრობლემებს, ხასიათდებოდეს პრაგმატულობით და ინოვაციებზე ორიენტირებით, ყალიბდებოდეს კონკრეტული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებას, რომელიც მენეჯერული სიახლეების შემუშავებითა და დანერგვის გზით უნდა განხორციელდეს. ასევე საჭიროა მენეჯმენტისა და ბიზნესის მუდმივი ცვლილებებისთვის მზადყოფნის საჭიროება, რაც მნიშნელოვნად გადაუწყვეტს მცირე ბიზნესს გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

2. ზურაბ წერეთელი. ბიზნესი, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ბერკეტი და მასში არსებული პრობლემები. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (09.11.2019). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა ,,პროგრესი“, 2019. გვ. 45-46.

3. ბიზნესსექტორი საქართველოში, 2024, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2021. 136 გვ.

4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, 2016 წ. 44 გვ. https://www.gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

3. Севастьянова А.Е. Формирование условий для инновационного развития регионов ресурсного типа//Москва: Журнал `Регион: экономика и социология~, 2016, № 1.– С. 209-232

5. ზურაბ წერეთელი. ბიზნესის როლი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტ-კონფერენციის მასალათა კრებული (01.11.2018 – 28.12.2018). თბილისი, 2018. _გვ. 185-191.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება №1-1/66. 5 მარტი, 2014 წელი. https://-matsne.gov.ge/ka/document/view/2269957

7. საქართველოს მთავრობა. კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მთავრობის დადგენილება №32.

8. http://fablab.gov.ge/geo/static/51/GITA

9. https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index

10. https://www.entrepreneur.com/article/347833

11. https://www.globalinnovationindex.org/

12. https://dev.by/lenta/main/world-innovation-leaders

13. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3419#

13. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 22.06.2016. https://matsne.-gov.ge/ka/document/view/3322328.

14. საქპატენტი. ოფიციალური ბიულეტენები №1-№16. http://www.sakpatenti.gov.ge/ka/ publications/?subject= OFFI[1] CIALBULLETINSOFINDUS-TRIAL PROPERTY

15. მსოფლიო ბანკი. მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ინვესტირებას საქართველოს მომავალში და ინოვაციაზე და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებას. პტესრელიზი. ვაშინგტონი, 2018 წლის 18 მარტი.

http://pubdocs.worldbank.org/en/846991458317907954/PR-Board-Approval-GENIE-March-2016-Geo.pdf

16. საქართველოს კანონი „საქართველოს 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

Zurab Tsereteli

THE MAIN PROBLEMS OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT AND COMMON WAYS TO SOLVE THE CHALLENGES

Summary

In the paper is discussed about the role and importance of small business in the country's economic development. It’s based on an analysis of the current situation in the modern business sector, the main problems that extent a hinder of functioning and prospective development of the small business is identified in details. Accordingly, the ways to solve these challenges are also presented in the article.

Even with supporting of tax incentives in governmental programs, the small businesses find it difficult to establish themselves in various fields of entrepreneurship, and "the shrinkage" of small enterprises by medium and large businesses is increasingly observed, especially in the retail sector.

It is worth noting that the biggest challenge for Georgian economy is unbalanced development of the small business sector. That is why it is important to research this area and devise effective, complex measures to solve the problems, with real involvement of the both: state and private structures.

Keywords: *the small business, challenges of the small business development, the ways to solve challenges, an investment environment, credit attractiveness, imperfect competition.*

ნინო წივწივაძე

ნანული ძიმციშვილი

სამშენებლო კომპანიების ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების რისკების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია სამშენებლო სექტორისთვის დამახასიათებელი ფინანსური რისკებისა და გადახდისუუნარობის ალბათობის შეფასების თანამედროვე მიდგომები. კვლევის მიზანია გაკოტრების რისკის პროგნოზირების ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს ფორმირება, რომელიც მორგებული იქნება საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის სპეციფიკაზე. გამოყენებულია როგორც თეორიული, ისე ემპირიული მეთოდები, მათ შორის ალტმანის, სპრინგეიტის და ზმიჟევსკის მოდელები, ასევე განხილულია დამატებითი ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო მოდელების გამოყენება დამატებით მოითხოვს ადგილობრივი ინდიკატორების ჩართულობას. შემუშავებული ინტეგრირებული მიდგომა ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს, ამცირებს ცდომილებას და ქმნის საფუძველს ფინანსური მდგრადობის ეფექტიანი მართვისთვის.*

საკვანძო სიტყვები: *გაკოტრება, სამშენებლო სექტორი, Z-score მოდელები, ფინანსური მდგრადობა, რისკების შეფასება.*

შესავალი

სამშენებლო სექტორი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად მიიჩნევა. იგი მოიცავს საწარმოო აქტივების განახლებას, ტექნიკურ გადაიარაღებას, წარმოების რეკონსტრუქციასა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ინდუსტრიის მდგომარეობა პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის

ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე, საზოგადოებისა და საწარმოს რესურსების განახლების ტემპზე. ბაზრის თანამედროვე პირობებში ეკონომიკაში ინვესტირების უწყვეტ პროცესს თან ახლავს მაღალი რისკები, რომელთაგან ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კონკურენტულ გარემოში მოქმედი სუბიექტების გადახდისუუნარობის და გაკოტრების რისკი. სამშენებლო კომპანიები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ფასების ზრდის და საკრედიტო პირობების გამკაცრების ფონზე. სამშენებლო პროექტების ხანგრძლივი ციკლი და ფულადი სახსრების დეფიციტი, კონკურენციის მაღალ დონესთან ერთად, მნიშვნელოვნად ზრდის კომპანიების გაკოტრების ალბათობას.

ფინანსური სტაბილურობა დიდწილად განისაზღვრება ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებებით, რომლებიც დაფუძნებულია სრულყოფილ და სანდო ფინანსურ ინფორმაციაზე. შესაბამისად, გაკოტრების ალბათობის შეფასება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მოდელების გამოყენებით წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. როგორც კომპანიებისთვის ისე ინვესტორებისა და საკრედიტო ორგანიზაციებისთვის.

სამშენებლო კომპანიების ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების რისკის შეფასების მეთოდოლოგიის ანალიზი

გაკოტრების რისკის შეფასება თანამედროვე ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელვან მიმართულებად რჩება. მასობრივად აპრობირებული მეთოდოლოგიები ეფუძნება ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებასა და მათ სტატისტიკურ ანალიზს. საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ალტმანის, სპრინგეიტის და ზმიჟევსკის მოდელები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში კომპანიების გადახდისუნარიანობის პროგნოზირებისთვის ეფექტიან ინსტრუმენტებად ითვლება. თუმცა, სამშენებლო სექტორის სპეციფიკა მათ შედეგებს მნიშვნელოვნად ზღუდავს.

Z-score მოდელების შედარება. ალტმანის მოდელი ტრადიციულად გამოირჩევა შედარებით ოპტიმისტური შედეგებით და ნაკლებად მკაცრია კრიტიკულ ზღვართან მიმართებით. სპრინგეიტის მოდელი, პირიქით, საკმაოდ მკაცრია და ხშირად პესიმისტურ პროგნოზს იძლევა, რაც გაზვიადებულად აჩვენებს გაკოტრების რისკს. ზმიჟევსკის მოდელი შედარებით დაბალანსებულ სურათს იძლევა და გარკვეულწილად შუა პოზიციას იკავებს. კვლევამ აჩვენა, რომ ერთსა და იმავე კომპანიაში აღნიშნული მოდელების გამოყენების შედეგები მნუშვნელოვნად განსხვავდება, რაც ხაზს უსვამს მათი სიზუსტის ხარისხის შეუსაბამობას.

კორელაციური ანალიზი. მიღებული შედეგების სიზუსტე და თანხვედრა შემოწმდა Spearman-ის კორელაციისა და Cohen’s Kappa-ს საშუალებით. ანალიზმა დაადასტურა, რომ მოდელებს შორის ძლიერი თანხვედრა არ არსებობს და ისინი ხშირად სხვადასხვა დასკვნამდე მიდიან. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სამშენებლო სექტორის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

ფინანსური კოეფიციენტების როლი. 2020–2023 წლების მონაცემების დამუშავებამ გამოკვეთა ლიკვიდობის და ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტები, როგორც მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ გამოყოფენ სტაბილურ და კრიზისულ კომპანიებს. დანარჩენი კოეფიციენტები ზოგად ტენდენციებს ასახავენ და პროგნოზირების პროცესში დამხმარე როლს ასრულებენ.

ინტეგრირებული მიდგომა. საერთაშორისო მოდელების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ სურათს. საუკეთესო შედეგს იძლევა ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს

როგორც Z-score მოდელების შედეგებს, ისე ადგილობრივი ინდიკატორების ანალიზს. ასეთი მრავალფაზიანი მეთოდოლოგია – მოდელების გამოთვლა, ადგილობრივი კოეფიციენტების შეფასება და შედეგების ინტეგრაცია ერთიან ინდექსში – მნიშვნელოვნად ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს და ამცირებს ცდომილებას.

ემპირიული შედეგები. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოში მოქმედი 60 სამშენებლო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ინტეგრირებული ინდექსი უფრო საიმედო პროგნოზს იძლევა, ვიდრე ცალკეული მოდელები. ამასთან, გამოვლინდა, რომ კომპანიების დიდი ნაწილი ოპერირებს მაღალი რისკის ზონაში, რაც გამოწვეულია მოზიდული ფინანსურ რესურსზე დამოკიდებულებით, დაბალი ლიკვიდურობით და სამშენებლო პროექტების ხანგრძლივობით. აღნიშნული გარემოებები მიანიშნებს ადაპტირებული მეთოდოლოგიის მნიშვნელობაზე.

დასკვნა

სამშენებლო საწარმოთა გაკოტრების რისკის კომბინირებული შეფასება, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო მოდელებსა და ადგილობრივ ინდიკატორებს, წარმოადგენს ეფექტურ გზას ფინანსური მდგრადობის ზუსტი პროგნოზირებისა და კრიზისული მოვლენების პრევენციისთვის. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ კერძო სექტორისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვისაც არსებითად მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში კვლევის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია საჯარო მონაცემთა ბაზების სიმწირისა და მოძველებული საკანონმდებლო ჩარჩოს გამო. აღნიშნული გარემოებები ნათლად გამოკვეთს საერთაშორისო გამოცდილების და ადგილობრივი რეალობის ინტეგრირებული მიდგომის მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Altman, E. I. (1968). Financial ratios, discriminant analysis and the prediction of corporate bankruptcy. The Journal of Finance, 23(4), 589–609. https://doi.org/10.1111/j.1540-6261.1968.tb00843.x

2. Springate, G. L. V. (1978). Predicting the possibility of failure in a Canadian firm: A discriminant analysis. Unpublished MBA Research Project, Simon Fraser University.

3. Zmijewski, M. E. (1984). Methodological issues related to the estimation of financial distress prediction models. Journal of Accounting Research, 22, 59–82. https://doi.org/10.2307/2490859.

4. მუნჯიშვილი თ. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება. თბილისი, თსუ გამომცემლობა,2019.

5. საქართველოს პარლამენტი. გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი. თბილისი.1996.

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამშენებლო სექტორის სტატისტიკური მონაცემები. თბილისი.2023

Nino Tsivtsivadze
Nanuli Dzimtseishvili

METHODOLOGICAL ISSUES IN ASSESSING THE FINANCIAL SUSTAINABILITY AND BANKRUPTCY RISKS OF CONSTRUCTION COMPANIES

Summary

The article reviews the financial risks characteristic of the construction sector and modern approaches to assessing the probability of insolvency. The aim of the research is to develop a methodological framework for bankruptcy risk prediction that is adapted to the specific features of Georgia's construction industry. Both theoretical and empirical methods are employed, including the testing of Altman's, Springate's, and Zmijewski's models, as well as the analysis of additional financial ratios. The findings indicate that the use of international models alone requires the inclusion of local indicators. The proposed integrated approach increases forecasting accuracy, reduces errors, and provides a solid basis for effective financial stability management.

Keywords: *Bankruptcy, Construction sector, Z-score models, Financial stability, Risk assessment.*

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და გლობალიზაციის სექცია
SECTOR OF INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS AND GLOBALIZATION

ხათუნა ბერიშვილი
მარიკა გოგუაძე

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი და კვლევის თავისებურებები

ანოტაცია. *თანამედროვე გლობალურ სამყაროში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და თანამშრომლობის ხარისხს. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოსთვის ევროკავშირთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი გახდა, რაც საგრძნობლად აისახა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურებაზე.*

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის განვითარება განსაკუთრებით გააქტიურდა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების გაფორმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედო ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკურ ინტეგრაციას და განაპირობა ქვეყნის შიდა ბაზრის გაუმჯობესება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო- ევროკავშირი; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები; ეკონომიკური ინტეგრაცია; ინვესტიციები; სავაჭრო პოლიტიკა.*

შესავალი

საქართველოს ევროკავშირთან მრავალწლიანი მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობა ჩამოყალიბდა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციებსა და ინსტიტუციურ ტრანსფორმაციას. ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა სათავეს იღებდა 1996 წელს გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებიდან (PCA), რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. აღნიშნულმა დოკუმენტმა განსაზღვრა ზოგადი ჩარჩო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის, თუმცა მისი ეფექტიანობა ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით იყო შეზღუდული. (European Commission, 2022).

გარდამტეხი ეტაპი ორ მხარეს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში დაფიქსირდა 2014 წელს, როდესაც ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA). ამ შეთანხმების ძალაში შესვლამ საქართველო-ევროკავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვანი ხარისხობრივი გაუმჯობესების ახალ ეტაპზე გადაიყვანა. DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციები და ვალდებულებები უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ეტაპობრივ ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ ქმნის წინაპირობებს

თავისუფალი ვაჭრობის, ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს განვითარებისათვის.

ევროკავშირთან გაფართოებული ეკონომიკური კავშირები დადებითად აისახა როგორც ექსპორტის დივერსიფიკაციაზე, ისე საგარეო სავაჭრო ბალანსზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფის გზაზე.(European Commission, 2022).

ეკონომიკური განვითარების პროცესში ევროკავშირის გავლენა სულ უფრო მეტია. ასოცირების შეთანხმება ხელს უწყობს ქვეყნის ვაჭრობის გაფართოებას და ასევე შიდა კანონმდებლობისა და ეკონომიკური სტრუქტურის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობას (European Commission, 2023). მსგავსი შეთანხმებები არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, არამედ ქვეყნის მოდერნიზაციას და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც ზრდის საქართველოს კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზრებზე (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2022). ამავდროულად, ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს. მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ამ პროცესს, რადგან ევროკავშირი არა მხოლოდ სავაჭრო პარტნიორია, არამედ სტაბილურობის გარანტი და გლობალური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი წყაროა. (European Commission, 2020). სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან მუდმივად იზრდება და ქმნის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების სივრცეს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, ინდუსტრიასა და ტექნოლოგიებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებასთან ერთად ჩნდება გამოწვევებიც.

ევროკავშირის ბაზრის მაღალ სტანდარტებსა და მოთხოვნებს ქვეყნის ინდუსტრიული შესაძლებლობები ადვილად ვერ პასუხობს, რის გამოც აუცილებელია პროდუქტიულობის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა. (Georgian Economic Institute, 2021). მიუხედავად საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროგრესისა, ამ პროცესში რჩება მრავალი პრობლემატიკა, რომელთა გადაჭრაც სერიოზულ ნაბიჯებს მოითხოვს (European Commission, 2022).

გარდა პროდუქციის ექსპორტისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციების მოზიდვა ევროკავშირის ქვეყნებიდან, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მდგრადობას მყარ საფუძველს უქმნის. ამ ინვესტიციების ძირითადი მიმართულებებია ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და ტექნოლოგიები. (Economic Publications, 2020; Georgian Ministry of Environment, 2021).

საქართველოს საგარეო სავაჭრო სტრუქტურა და დინამიკა 2023-2024 წლებში:

2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოს იმპორტის სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად იყო განსაზღვრული რამდენიმე ძირითად საქონლის ჯგუფზე. მსუბუქი ავტომობილები, როგორც მთავარი იმპორტირებული პროდუქტი, 258.1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მთლიანი იმპორტის 12%-ს უტოლდება. ეს მიუთითებს ავტოინდუსტრიის ზრდასა და მაღალი მოთხოვნის არსებობაზე როგორც ახალი, ისე გამოყენებული ავტომობილების მიმართ. ნავთობი და ნავთობპროდუქტები მეორე ადგილს იკავებენ 187.0 მილიონი აშშ დოლარით, რაც ენერგეტიკულ სექტორში ქვეყნის საჭიროებებზე მიუთითებს. მესამე ადგილზეა ნავთობი და აირისებრი ნახშირწყალბადები 127.1 მილიონი აშშ დოლარით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

საქართველო ჯერ კიდევ დიდად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და

სავაჭრო ურთიერთობებზე. იმპორტის მაღალი წილი ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, თუმცა მიუთითებს ენერგორესურსებზე დამოკიდებულებას.

2024 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 2,950.1 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.8%-ით ნაკლებია. ექსპორტის ვარდნა 12.2%-ით აღინიშნა, იმპორტი კი მხოლოდ 1.6%-ით შემცირდა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 1,343.5 მლნ აშშ დოლარია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან (2020-2024)

წელი	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	წილი საერთო ექსპორტში (%)
2020	1,200	35.9
2021	1,500	35.4
2022	1,800	32.2
2023	2,000	32.9
2024	2,200	33.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat)

წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა 83.3%-ით, რაც გამოხატავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას. თუმცა, ექსპორტის წილი საერთო ექსპორტში დარჩა სტაბილურად 32%-დან 36%-მდე, რაც მიუთითებს ბაზრის გარკვეულ დივერსიფიკაციაზე და ზრდის შენარჩუნებაზე.

ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა, კერძოდ, DCFTA შეთანხმება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ექსპორტის ზრდაში, აძლიერებს კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს ევროკავშირის ბაზრებზე წვდომას.

რეგრესიული ანალიზი: ექსპორტის მოცულობის ზრდა

ექსპორტის მოცულობის (მლნ აშშ დოლარი) და წლების (2020-2024) შორის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნა საშუალო წრფივი რეგრესია, სადაც წლების ცვლადი აღინიშნა X-ით (0 = 2020), ხოლო ექსპორტის მოცულობა — Y-ით.

მოდელი გამოიყურება შემდეგნაირად:

$Y=a+bXY = a + bXY=a+bX$

- $b=\sum(Xi−X¯)(Yi−Y¯)\sum(Xi−X¯)2=250b = \frac{\sum (X_i - \bar{X})(Y_i - \bar{Y})}{\sum (X_i - \bar{X})^2} = 250b=\sum(Xi−X¯)2\sum(Xi−X¯)(Yi−Y¯)=250$
- $a=Y¯−bX¯=1240a = \bar{Y} - b \bar{X} = 1240a=Y¯−bX¯=1240$

მაშინ რეგრესიული მოდელი:

$Y=1240+250XY = 1240 + 250XY=1240+250X$

რაც ნიშნავს, რომ ექსპორტი საშუალოდ ყოველწლიურად იზრდება 250 მილიონი აშშ დოლარით.

რეგრესიის ინტეგრირება დასკვნაში:

ექსპორტის მოცულობის სისტემური ზრდა საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ძლიერ პოზიტიურ ტენდენციას ქმნის. 2020-2024 წლების განმავლობაში საშუალო წლიური ზრდა 250 მილიონი აშშ დოლარია, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირის ბაზრის სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოსთვის.

გარდა ამისა, ზრდასთან დაკავშირებული სირთულეები, როგორიცაა ბაზრების დივერსიფიკაცია და სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფა, მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ეკონომიკის მდგრადობასა და კორპორაციულ ინოვაციათა განვითარებას.

გამოწვევები და პერსპექტივები

მიუხედავად ზრდისა და ინტეგრაციის პროცესების წარმატებისა, საქართველოს წინაშე სერიოზული გამოწვევები დგას:

• სტანდარტების ჰარმონიზაცია: ევროკავშირის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს და ტექნოლოგიურ განვითარებას.

• ეკონომიკური დივერსიფიკაცია: მრავალსექტორული და ბალანსირებული ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება აუცილებელია ეკონომიკის მდგრადობისა და სუსტი ეკონომიკური შოკებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უზრუნველსაყოფად.

•პოლიტიკური გარემო: პოლიტიკური არასტაბილურობა და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის კვლევას, განსაკუთრებით ობიექტურობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

• სტატისტიკური ბაზები: მონაცემთა საკმარისი და ხარისხიანი მოპოვების სირთულეები research-ის ხარისხზე ზეგავლენას ახდენს.

დასკვნა

საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მკვეთრად გაიზარდა და გაღრმავდა ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2014 წლის ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ. 2020-2024 წლებში ექსპორტი ევროკავშირის ბაზრებზე საშუალოდ ყოველწლიურად 250 მილიონი აშშ დოლარით იზრდებოდა, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირის სტრატეგიულ როლს საქართველოს ეკონომიკაში.

ამდენად, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა და ინვესტიციების მოზიდვა არის მთავარი მიმართულებები, რომლებიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ევროკავშირის ბაზართან ურთიერთობების გაღრმავება არა მხოლოდ ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობასაც ზრდის. მომავალი კვლევები და პოლიტიკის შემუშავება უნდა ორიენტირდეს ბაზრების გაფართოებაზე, ეკონომიკის სტრუქტურულ რეფორმებზე და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2022). საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობები: ანგარიში.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). (2023). საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). (2024).
4. European Commission. (2020). Georgia and the European Union: Trade and Political Relations. Brussels.

5. European Commission. (2022). Association Agreement with Georgia: Progress Report. Brussels.
6. European Commission. (2023). DCFTA Impact Assessment on Georgia. Brussels.
7. Georgian Economic Institute. (2021). Challenges in Harmonizing Georgian Economy with EU Standards. Tbilisi.
8. Georgian Economic Institute. (2022). Trade Relations between Georgia and the EU: Trends and Prospects. Tbilisi.
9. Georgian Ministry of Environment. (2021). EU Investments in Georgia's Energy and Environment Sectors. Tbilisi.

Khatuna Berishvili
Marika Goguadze

ANALYSIS OF GEORGIA–EUROPEAN UNION TRADE AND ECONOMIC RELATIONS AND SPECIFICS OF RESEARCH

Summary

The trade and economic relations between Georgia and the European Union have significantly expanded and deepened in recent years, particularly following the 2014 Association Agreement and the implementation of the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). Between 2020 and 2024, exports to EU markets increased on average by 250 million USD annually, underscoring the strategic role of the European Union in Georgia's economy.

However, economic diversification, compliance with high standards, and the attraction of investment remain key priorities to ensure the country's sustainable development. Deepening relations with the EU market not only promotes economic growth but also enhances political and social stability.

Future research and policy development should focus on market expansion, structural reforms of the economy, and harmonization with international standards to secure the competitiveness and resilience of Georgia's economy.

ლია დვალიშვილი
თენგიზ ქავთარაძე

სასურსათო უსაფრთხოების გლობალური გამოწვევები და ხარისხის უზრუნველყოფის გზები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს მაგალითი

ანოტაცია. *ნაშრომი ვრცლად ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს – სასურსათო უსაფრთხოებას.*

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური დეგრადაცია. ნაშრომში განხილულია საკვების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები (HACCP, GMP) და მათი როლი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებაში.

საქართველოს მაგალითზე ნაშრომი აჩვენებს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე, რაც ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკებს. პრობლემად რჩება ადგილობრივი წარმოების სუსტი განვითარება და ხარისხის კონტროლის არასაკმარისი დონე.

ნაშრომი მიუთითებს, რომ სასურსათო უსაფრთხოება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში – იგი გლობალური უსაფრთხოების,

სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტია. საქართველოსთვის პრიორიტეტია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

საკვანძო სიტყვები: *სურსათის ხარისხი, სასურსათო პრობლემა, სასურსათო უსაფრთხოება, რაციონალური კვება, კვებითი უვნებლობა, HACCP, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა.*

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც განაპირობებს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი რიგი კომპლექსი **(ასათიანი, 2017)**.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო მასშტაბით არსებული გლობალური პრობლემები, უმთავრეს გლობალურ პრობლემებს შორის კი თავისი სიმწვავითა და საფრთხით არსებული სასურსათო პრობლემაა.

გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემა მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა, რამაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს განვითარება. პრობლემა მდგომარეობს კალორიული და რაციონალური კვების უკმარისობაში, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის.

აღნიშნულ პრობლემას მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიზნებს შორის საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უჭირავს. კერძოდ, მდგრადი განვითარების მეორე მიზანი უკავშირდება შიმშილის აღმოფხვრას, სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას **(მდგრადი განვითარების მიზნები, 2015).**

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობისთვის ადეკვატური რაოდენობით მაღალი კვებითი ღირებულების მქონე სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება თანამედროვე ცივილიზაციის მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ამიტომ საზოგადოების მთელი ძალისხმევა მიმართულია სასიცოცხლო მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდისაკენ.

პირველად დედამიწის მზარდი მოსახლეობისთვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა დააყენა ინგლისელმა მღვდელმა, რობერტ მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, სურსათის წარმოება კი იმავე პროპორციით არ ხდება **(ვეშაპიძე შ, 2008).**

ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 1,1%-ით (წელიწადში დაახლოებით 83 მილიონი ადამიანი) იზრდება, რესურსები კი, რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისთვისაა საჭირო, პირიქით, მცირდება. ამგვარად, პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ.

ამერიკელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ნორმან ბელროგის იდეამ „მწვანე რევოლუციამ“ მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყო სურსათის წარმოების ზრდას, ღატაკი ქვეყნების სურსათით მომარაგების დრამატულად გაუმჯობესებას, ათასობით ადამიანის გადარჩენას შიმშილით სიკვდილისგან. მეცნიერის აზრით, „მწვანე რევოლუცია“ აუცილებელი საშუალება იყო მოსახლეობის დრამატულად ზრდის შედეგებთან გასამკლავებლად. სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართო და მასობრივი დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალი გამძლეობისა და მაღალმოსავლიანი მცენარეული კულტურების გამოყვანა. ახალმა ჯიშებმა შესაძლებელი გახადა განვითარებად ქვეყნებში სურსათის დეფიციტის დაძლევა და საკვების წარმოების საგრძნობლად გაზრდა **(რადიო თავისუფლება, 2009).**

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებაში ფართოდაა დამკვიდრებული აზრი საფრთხისშემცველი გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, არ არსებობს მეცნიერული დასტური, რომ ასეთი ტიპის პროდუქცია კანცეროგენურია, თუმცა ფაქტია ისიც, რომ „მწვანე რევოლუციის“ მეთოდების ფართო გამოყენებამ ეკოლოგიური ვითარება გაამწვავა (დვალიშვილი, 2018)**.**

თანამედროვე მსოფლიოს სასურსათო პრობლემა არაერთგვაროვანია სხვადასხვა რეგიონში. დღე-ღამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5-2 ლიტრ წყალს და 800-900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) სადღეღამისო რაციონი დღეისათვის 6,5 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვების დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის) **(კოღუაშვილი პაატა, 2022).**

კვების პროდუქტების დეფიციტი ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა. ამ დროიდან მიიღო სასურსათო პრობლემამ გლობალური პრობლემის „სტატუსი“. სასურსათო პრობლემის გამწვავების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ავტორიტეტული ჟურნალი თუ სასურსათო პრობლემატიკასთან ახლომდგომი ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი აფრთხილებდა მთელ მსოფლიოს. კერძოდ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2015-2020 წლებში პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდებოდა, რაც უმწვავეს სასურსათო კრიზისს გამოიწვევდა **(კოღუაშვილი პ, 2019).**

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვამ, გაუდაბნოებამ, ნიადაგების დეგრადაციამ, ტყეების არასწორმა გამოხშირვამ და ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მტაცებლურმა ხარჯვამ გააღრმავა სასურსათო პრობლემა, რის გადასაწყვეტად კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისთვის **(ვეშაპიძე შ, 2008).**

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მათი კეთილდღეობის პირამიდის საძირკველია. სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის მარადიულ პირობად **(ხარაიშვილი ე, 2020).**

დღეს სურსათის უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, სასურსათო და კვების უსაფრთხოება არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი სურსათზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარიულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის. სასურსათო უსაფრთხოება არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები, ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისთვის. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჭიროა არსებობდეს მისი ათვისების ეკონომიკური შესაძლებლობა **(ტალიკაძე, 2022).**

ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განიხილება როგორც თანმიმდევრული პროგრამების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი სურსათით სტაბილური მომარაგება. სასურსათო უსაფრთხოება სამ ასპექტს მოიცავს:

1. რაოდენობრივი – ორიენტირებულია სურსათის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაზე;
2. ხარისხობრივი – ნიშნავს მოსახლეობის უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას;
3. სოციალურ-ეკონომიკური – გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლების იმ დონემდე ზრდას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე მათ ხელმისაწვდომობას **(გეჩბაია ბ., 2020).**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (შემდეგში FAO) სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიზნით ჩამოაყალიბა მაჩვენებელთა მთელი სისტემა. FAO სასურსათო უსაფრთხოების ოთხ ძირითად „ელემენტს“ გამოყოფს:

1. არსებობა – საკვების საკმარისი რაოდენობა;
2. ხელმისაწვდომობა – ეკონომიკური და ფიზიკური წვდომა;
3. მოხმარება – საკვების სწორად გამოყენება კვებითი ღირებულებების მიხედვით;
4. სტაბილურობა – საკვების უწყვეტი მიწოდება და მიწოდების უსაფრთხოება **(ტალიკაძე, 2022).**

მეცნიერთა შეხედულებით, სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის მიზნით, სასურველია, რომ FAO-ს მიერ შემუშავებულ მაჩვენებელთა სისტემა მიღებულ იქნეს საფუძვლად, მის ბაზაზე კი ჩამოყალიბდეს მაჩვენებელთა ეროვნული სისტემა. ზემოჩამოთვლილი ინდიკატორების გარდა, მნიშვნელოვანია სურსათის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც, რომელიც ასახავს იმპორტსა და ადგილოებრივი წარმოების ბალანსს, თუ რა დონემდე უზრუნველყოფს ქვეყანა მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსებით და რამდენადაა დამოკიდებული იმპორტზე. სასურსათო დამოუკიდებლობა ნიშნავს ქვეყნის უნარს, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს მოსახლეობის საკვების საჭიროებები.

ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნისთვის და რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის, არის: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი **(ტალიკაძე, 2022).**

სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში დაბალია აუცილებელი პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე. „FAO“-ს კვლევით, საქართველო 50%-ზე მეტად იმპორტზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი მარცვლეულ კულტურებზე. სურსათის დეფიციტის შევსება ძირითადად იმპორტული პროდუქტებით ხდება.

თანამედროვე პირობებში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად და სხვა სახელმწიფოებისაგან იზოლირებულად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული წარმოებით, ამიტომაც იმპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთანავე, თუ ქვეყანაში მაღალია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები, შესაძლოა ამ უკანასკნელმა იფიქროს ექსპორტზეც, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სახელმწიფოს ეროვნულ ბალანსს.

ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო პროგრამის მთავარი მიზანი, ქვეყნის მზარდი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით, მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის სურსათის ყველა სახეობით უზრუნველყოფასა და ადამიანის კვების სტრუქტურის გაუმჯობესებაზე მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების ხარჯზე. კვების სტრუქტურის გაუმჯობესება კი შეუძლებელია რაციონალური კვების შესახებ მეცნიერების ძირითადი დებულებების გამოყენების გარეშე, რომლებიც აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას საკვებ ნივთიერებებზე **(მიქელაძე გ, 1988).**

მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების არსებობის წინაპირობაა ნაყოფიერი მიწა, სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

საკვები ორგანიზმის ყველა სისტემის მუშაობის ენერგიის წყაროა. საკვები ორგანიზმს აწვდის „სამშენებლო მასალას“ – პლასტიკურ ნივთიერებებს, რომლებისგანაც შედგება ახალი უჯრედები (რადგან უჯრედები მუდმივად იშლება და საჭიროა მათი ახლით შეცვლა);

საკვები ორგანიზმს ამარაგებს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ბიოპოლიმერებით, ვიტამინებით (რომლებიც აუცილებელია სასიცოცხლო პროცესების დასარეგულირებლად);

საკვები ასრულებს ინფორმაციულ როლს. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ მოლეკულურ სტრუქტურებში ჩადებულ ქიმიურ ინფორმაციას.

ამგვარად, კვება ადამიანის არსებობის მთავარი პირობაა. იგი ადამიანის, საზოგადოების და მთელი ერის ჯანმრთელობის და ცხოვრების წესის ინდიკატორია (კოღუაშვილი პაატა, 2022).

დიდი ხანია ცნობილია, რომ ადამიანი არის ისეთივე, როგორიც მისი საკვებია. რაციონალური კვება ადამიანის ჯანსაღი მდგომარეობისა და მაღალშრომისუნარიანობის ხელშემწყობი ფაქტორია. ის უზრუნველყოფს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის აუცილებელ დონეს მისი არსებობის ყოველ ეტაპზე და მთლიანად უზრუნველყოფს ენერგეტიკულ, პლასტიკურ და სხვა მოთხოვნებს. ჯანსაღი კვების რაციონი უნდა პასუხობდეს ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს შრომის ხასიათის გათვალისწინებით, სქესობრივ და ასაკობრივ თავისებურებებს, საცხოვრისის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს. ჯანმრთელობის მთავარი გასაღებია ჯანსაღი კვება, საჭირო კვების პროდუქტები კი სამი ძირითადი კრიტერიუმით ფასდება:

1. კვებითი უნარიანობა – პროდუქტის კალორიულობა, ბიოლოგიური ღირებულება და შეთვისებადობა;

2. კვებითი უვნებლობა – საკვები პროდუქტები არ უნდა შეიცავდეს მომწამვლელ ნივთიერებებს, მავნე მიკროორგანიზმებს ან უცხო მინარევებს;

3. ორგანოლეპტიკური თვისებები – პროდუქტის ფერი, სუნი, გემო, კონსისტენცია და ქიმიური შემადგენლობა.

კვებითი უვნებლობასა და ორგანოლეპტიკურ თვისებებს ერთად პროდუქტის კეთილხარისხოვნებას უწოდებენ, მასაშადამე, კეთილხარისხოვნად ითვლება საკვები პროდუქტი, რომელიც ფლობს მოცემული პროდუქტისთვის დამახასიათებელ ფერს, სუნს გემოს, კონსისტენციას, ქიმიურ შემადგენლობას და არ შეიცავს რაიმე მომწამლავ ნივთიერებას **(გველესიანი, 1991).**

კვების პროდუქტების წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდების მთელ გზაზე ხარისხის კონტროლი დინამიკური და უწყვეტი პროცესია. ამ პროცესის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გლობალური სტანდარტია საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის წერტილები (HACCP) – სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული სისტემა, რომელიც ემსახურება სურსათით გამოწვეული საფრთხის დადგენას და მათ პრევენციას. ის პირველად გამოიყენეს 1960 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური პროგრამისათვის **(HACCP-ის ისტორია და მისი ევოლუცია, 2024).**

დაახლოებით 20 წლის წინ HACCP სასურსათო ინდუსტრიაში დაინერგა, როგორც მაკონტროლებელი საშუალება სურსათის მიმართ. დღესდღეობით ის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოთხოვნაა, რომელსაც კვების ბიზნესი უნდა აკმაყოფილებდეს. დღეს ბიზნესზე უფრო დიდი ზეწოლა ხორციელდება მათი უსაფრთხოებისა და ხარისხის პროცესების გასაუმჯობესებლად **(საკვების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები, 2021).**

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად, HACCP-ის სისტემის დანერგვა სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორთან ეტაპობრივად მოხდა.

2015 წლიდან HACCP-ი სავალდებულო გახდა ნედლი რძის თერმულად გადამმუშავებლებისა და ცხოველთა სასაკლაოებისთვის;

2019 წლიდან – ექსპორტისთვის განკუთვნილი თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის გულის დამმზადებლებისთვის;

2021 წლის იანვრიდან – ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებლებისა ან/და გადამმუშავებლებისთვის;

2021 წლის ივნისიდან – სურსათის წარმოება/გადამმუშავებლებისთვის საცალო ვაჭრობის პუნქტში.

2023 წლის 1 ივნისიდან HACCP-ის სტანდარტი სურსათის მწარმოებელი ყველა ბიზნესოპერატორისთვის სავალდებულო გახდა **(HACCP-ის სტანდარტი, 2022).**

HACCP-ის სისტემების დანერგვით, GMP-ის მოთხოვნების დაცვით და მომხმარებელთა კმაყოფილებაზე ფოკუსირებით შესანიშნავი მომსახურებისა და ჰიგიენის დაცვის პრაქტიკის საშუალებით საკვების მწარმოებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ უსაფრთხო და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება. შეუსაბამობების ეფექტურად მართვა და მომხმარებელთა უკუკავშირის გამოყენება უწყვეტი გაუმჯობესებისთვის არის ძირითადი სტრატეგიები მაღალი სტანდარტების შენარჩუნებისა და ერთგული მომხმარებელთა ბაზის შესაქმელად **(ხარისხის კონტროლი და მომხმარებლების კმაყოფილება, 2024).**

HACCP-ის წარმატება დამოკიდებულია სისტემური მიდგომის დანერგვაზე მონიტორინგით, პერსონალის ტრენინგითა და ხარისხის უწყვეტი კონტროლით.

სხვადასხვა წარმატებული კომპანიის გამოცდილება აჩვენებს, რომ სისტემამ გააუმჯობესა სურსათის უსაფრთხოება და კომპანიებს მისცა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა. HACCP-ის წარმატებული დანერგვა არის არა მხოლოდ კანონის მოთხოვნა, არამედ ბიზნესის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველი.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ბოლო წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი:

1. არ გაგვაჩნია სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი ფაქტორი – სასურსათო დამოუკიდებლობა. ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების ზრდამ გაზარდა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების რისკები;

2. სურსათის მიწოდების ჯაჭვში გაჩენილი ყველა შეფერხება ზრდის სურსათის ფასებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას;

3. საქართველოში წლების განმავლობაში პრობლემად რჩება ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე მოქმედი სასურსათო საწარმოების არსებობა, რომელთა გამოვლენასა და კონტროლსაც სურსათის ეროვნული სააგენტო ვერ ახერხებს **(სურსათის უვნებლობის წინაშე არსებული პრობლემები — არარეგისტრირებული საწარმოები, 2024);**

4. საქართველოს სასურსათო მინიმუმის კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც საგრძნობლად ნაკლებია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმაზე (2450 კკალ);

5. მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 73,3 წლით 93-ე ადგილზეა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნების რეიტინგში, რომელიც სულ 183 ქვეყანას მოიცავს **(მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 93-ე ადგილზეა, 2021).**

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური გამოწვევების (კლიმატის ცვლილება, წყლის დეფიციტი, ბიოლოგიური საწვავის წარმოების ზრდა) წინაშე მყოფი ქვეყნები სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილების უზრუნველმყოფი გზების, სიახლეების ძიებაშია. შესაბამისად, საფრთხის წინაშე დგება ამ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი. ახალი გამოწვევების არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც. FAO-ს შეფასებით, 2050 წელს დაგვჭირდება 60%-ით მეტი საკვები, ვიდრე დედამიწის მოსახლეობა მოიხმარს დღეს **(კლიმატგონივრული ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში , 2023).**

ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარება. დარგის მთავარი მისიაა ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოების სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური სექტორი საჭიროებს რეაბილიტაციას და რეფორმირებას და ამ პროცესში აუცილებელია კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესების გათვალისწინება. კლიმატის მიმდინარე და პროგნოზირებული ცვლილებების ზეგავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე ძირითადად ვლინდება შემდეგში:

1. აგრო-კლიმატური ზონების გადანაცვლება;

2. უმეტესი კულტურების მოსავლის შემცირება გვალვების, ძლიერი ქარების, არათანაზომიერად გადანაწილებული ნალექების, სეტყვიანი დღეებისა და თბური ტალღების ზრდის შედეგად;

3. სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერების შემცირება და დეგრადაციის ინტენსივობის ზრდა, რასაც ხშირად კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ინტენსიური ექსტრემალური მოვლენები (მეწყრები, ღვარცოფები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ა.შ.) უწყობს ხელს;

4. მოსავლის დანაკარგის ზრდა ექსტრემალური ამინდის გახშირების შედეგად;

5. გასარწყავებული მიწების ფართობის შემცირება და სარწყავ წყალზე მოთხოვნილების ზრდა **(შესავალი, 2017).**

ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ სექტორს მთავარი მისიის განსახორციელებლად აუცილებლად სჭირდება კლიმატგონივრული (კლიმატისადმი მდგრადი და დაბალემისიანი) სოფლის მეურნეობა. FAO-ს განმარტებით, სოფლის მეურნეობა კლიმატგონივრულია, თუ მისი მართვა ხდება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, კერძოდ:

1. ეხმარება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს შეინარჩუნონ და გაზარდონ მოსავლის პროდუქტიულობა მიმდინარე კლიმატის ცვლილების პირობებშიც კი;

2. გონივრულად გამოიყენონ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დადებითი ცვლილებები და მოახდინონ უაროფით ცვლილებებთან ეფექტური ადაპტაცია თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;

3. მაქსიმალურად ეფექტურად მოახდინონ არსებული რესურსის (წყალი, ნიადაგი და სხვ.) გამოყენება;

4. რაც შეიძლება ნაკლები წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების პროცესებში (მოახდინონ უარყოფით ცვლილებებთან ადაპტაცია, გაზარდონ ენერგოეფექტურობა, შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო მიწების/საძოვრების დეგრადაცია და სხვ.), რათა კიდევ უფრო არ დამძიმდეს კლიმატის ცვლილების გავლენა ამ დარგზე.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა განიხილავს დარგის მართვის უფრო კონკრეტულ ღონისძიებებსაც, კერძოდ:

1. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოკლე და გრძელვადიან საჭიროებებს;

2. ეკოსისტემების მიერ მოწოდებული მომსახურების შენარჩუნებასა და გაზრდას სურსათის უსაფრთხოებისთვის;

3. კლიმატის ცვლილების რისკებთან გამკლავებას;

4. კვების სისტემებში ცვლილებების დადგენას, მათ შორის საკვებზე მოთხოვნის ნაწილში, ღირებულებათა ჯაჭვის და მასზე კლიმატის ცვლილების გავლენის სრული ანალიზის გამოყენებით **(რა არის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, 2020).**

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობით მოტანილი სარგებელი პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას – მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას (საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებამ საშუალება მოგვცა, არ ვიყოთ დამოკიდებული გარემო პირობებზე და მოვიყვანოთ

არასეზონური პროდუქტი; მიწების ხელოვნურად რწყვის ღონისძიებათა სისტემა, ანუ ირიგაცია საუკეთესო საშუალებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, ლანდშაფტების შენარჩუნებისა და გამომშრალი ნიადაგის ვარგისიანად გადაქცევისთვის; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა ფერმერებისთვის დიდი შეღავათია სეტყვისაგან მოსავლის დასაცავად).

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში ხელს უწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სიღარიბის აღმოფხვრას სოფლად, აგროეკოსისტემური სერვისების მდგრადობას მაღალპროდუქტიული წარმოების მეთოდების დანერგვისა და კლიმატის ცვლილებებთან ასოცირებული რისკების მართვის გზით.

დასკვნა

სასურსათო უსაფრთხოებას ვერ განვიხილავთ მხოლოდ ეკონომიკურ ან აგრარულ საკითხად, ეს არის **გლობალური უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტი.** მისი წარმატებული უზრუნველყოფა მოითხოვს როგორც საერთაშორისო თანამშრომლობას, ისე ეროვნული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს საკვების საკმარისი რაოდენობა და მაღალი ხარისხი, რათა მოსახლეობა დაცული იყოს საკვების დეფიციტისა და უხარისხო პროდუქტებისგან.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად აუცილებელია:

1. **ადგილობრივი წარმოების გაძლიერება;**
2. **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება** რეგიონების სრული დაფარვით;
3. **ხარისხის კონტროლის სისტემების სრულყოფა** ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;
4. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ჯანსაღი კვებისა და ხარისხიანი სურსათის მნიშვნელობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. (2009, სექტემბერი 21). რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge/a/1829451.html
2. *HACCP-ის ისტორია და მისი ევოლუცია* (2024). https://www.facebook.com/share/p/16oFKNhM25/
3. *HACCP-ის სტანდარტი* (2022, დეკემბერი 12). https://nfa.gov.ge/en/News/Details/430
4. ასათიანი რ. (2017). *საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა.* თბილისი. სიახლე.
5. გეჩბაია ბ., სუქნიძე მ., სანიკიძე ჰ. (2020). სასურსათო უსაფრთხოება და აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე გამოწვევები საქართველოში (p. 341, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 2020.
6. გველესიანი შ. (1991). ლექციების კურსი სასურსათო საქონელმცოდნეობაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. გუროვა, ი. (2014). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი, დარბეგი.

8. დვალიშვილი ლ. (2018). ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების საყოველთაო პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული. თბილისი.

9. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. (2008). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი. ვერჟე.

10. კლიმატგონივრული ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში (2023, 13 იანვარი). Retrieved from https://agronews.ge/klimatgonivruli-teqnologiebi-sophlis-meurneobashi/

11. კოღუაშვილი პ., ჩიხლაზე ნ. (2019). სასურსათო დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივი ამოცანაა. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 69.

12. კოღუაშვილი პ., გახოკიძე რ. (2022). ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. ეკონომისტი, 40-41.

13. მდგრადი განვითარების მიზნები (2015). https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1

14. მიქელაძე გ., მეფურიშვილი ლ. (1988). *კვების ფიზიოლოგია.* თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

15. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 93-ე ადგილზეა (2021, 7 ივლისი). Retrieved from https://forbes.ge/blogs/mosakhleobis-sitsotskhlis-khangrdzlivobith-saqarthvelo-msophlioshi-93-e-adgilzea/

16. რა არის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა (2020). კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი დაბალემისიებიანი (კლიმატგონივრული) სოფლის მეურნეობა, 28-29.

17. საკვების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები (2021). https://www.foodsafely.org/ka/standartlar/gidalar-icin-kalite-kontrol-kriterleri/-დან

18. *სურსათის უვნებლობის წინაშე არსებული პრობლემები – არარეგისტრირებული საწარმოები* (2024, 9 დეკემბერი). https://www.facebook.com/share/p/1ASJivbyJ2/

19. ტალიკაძე ნ. (2022). სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა – უახლოესი ტენდენციები ციფრებში. Retrieved from https://idfi.ge/ge/food_security_latest_trends_in_numbers

20. შესავალი (2017). კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის, 6-7.

21. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. (2020). სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი.

22. ხარისხის კონტროლი და მომხმარებლების კმაყოფილება (2024, 31 ივლისი). https://fsageorgia.ge/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B/

Lia Dvalishvili
Tengiz Kavtaradze

GLOBAL CHALLENGES OF FOOD SECURITY AND QUALITY ASSURANCE: INTERNATIONAL EXPERIENCE AND THE CASE OF GEORGIA

Summary

Food security has emerged as a critical issue in the 21st century, intensified by global challenges such as rapid population growth, natural resource scarcity, climate change, and environmental degradation. A significant portion of the worldwide population continues to face insufficient caloric intake and imbalanced nutrition.

In today's world, food security stands as one of the most pressing socio-economic challenges. These global pressures threaten both the quantity and quality of food supplies, directly linking food security to sustainable development, social well-being, and global stability.

The adoption of international food safety and quality standards—such as HACCP and GMP—plays a vital role in ensuring food safety, enhancing competitiveness, and supporting integration into European Union markets. Their success depends on a systemic approach that includes monitoring, workforce training, and continuous quality control.

Georgia faces particular vulnerabilities, relying on imports for more than half of its food supply. Local production remains weak, while unregistered enterprises pose additional risks. Moreover, the national minimum food basket provides fewer calories than international norms.

In this context, climate-smart agriculture is essential. It promotes efficient resource use, sustains productivity under climate change conditions, and strengthens agricultural resilience. For Georgia, this approach offers a path to reducing import dependency, boosting domestic production, and ensuring safe, high-quality food.

Ultimately, food security is not only an agricultural or economic matter—it is a cornerstone of global stability, public welfare, and human health. For Georgia, priority actions include strengthening local production, harmonizing quality control with European standards, promoting climate-smart agriculture, and increasing public awareness of healthy nutrition.

გელა ლობჯანიძე

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები და საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილი და განხილულია სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და მდგრადი განვითარების ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველი სახელმწიფოს მდგრად განვითარებაში, განსაკუთრებით მიმდინარე ტრანსფორმაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით და წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს. გამოვლენილი და დახასიათებულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ რაციონალურ გადაჭრას უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. გაანალიზებულია მიდგომები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის წინაშე წარმოქმნილი რისკების და საფრთხეების შემცირებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემოთავაზებულია გლობალური განვითარების ტენდენციების გავლენის მიმართულებები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაჯანსაღებასა და მდგრად განვითარებაზე.*

საკვანძო სიტყვები: გლობალური ტენდენციები, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, პროგნოზები, პერსპექტივები.

შესავალი

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები მიუთითებს გლობალური სოციალური კრიზისების მზარდ განვითარებაზე, რაც გამოწვეულია უთანასწორობის ზრდით, დაუცველობით, უნდობლობით და გამწვავებულია კლიმატური კატასტროფებით, კონფლიქტებითა და ეკონომიკური შოკებით. ხოლო, ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებები, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება და შობადობის შემცირება, ტექნოლოგიური ცვლილებების ღრმა გავლენა და დეზინფორმაციის ზრდა. ეს ფაქტორები ქმნის ზეწოლას სოციალური დაცვის სისტემებზე და მოთხოვნას ისეთი პოლიტიკის მიმართ, რომელიც ხელს უწყობს შრომის მიწოდებას, ეფექტიანობას და მდგრადობას.

ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები მოიცავს არაეკონომიკური ფაქტორებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური ცვლილებები და გეოპოლიტიკური რისკები, ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთდამოკიდებულება, რაც მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრესულ დონეს და მოქნილ მექანიზმებს ახალ საფრთხეებთან, როგორიცაა პანდემიები და კიბერშეტევები ადაპტაციისთვის.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეები მუდმივად იცვლება და დიდწილად დამოკიდებულია მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებაზე, გატარებულ რეფორმებზე, ქვეყანაში გეოპოლიტიკურ სიტუაციასა და სხვა გარემოებებზე, რაც ნიშნავს, რომ სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები ადაპტური ხასიათისაა.

სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების გლობალური ტენდენციები დაკავშირებულია სისტემურ და ინტეგრირებულ მიდგომებთან, რომელიც ითვალისწინებს ყოვლისმომცველი და ურთიერთდაკავშირებული ისეთი კომპონენტების ოპტიმალურ და სინერგიულ ჩართულობას, როგორიცაა: სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, ენერგეტიკული, სამრეწველო, სასურსათო უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და მათი გავლენა ქვეყნის გრძელვადიან განვითარებასა და მის უნარზე, რათა გაუმკლავდეს ისეთ გლობალურ გამოწვევებს, როგორიცაა, – ენერგომატარებლების ფასების რყევები, სავაჭრო ომები, საერთაშორისო სანქციები, ინფლაცია, სახელმწიფო ვალი და სოციალური უთანასწორობა, რომელთა რაციონალური გადაჭრა ითვალისწინებს ინტეგრირებულ მიდგომებს გარემოსდაცვითი, ინოვაციური და სოციალური ფაქტორების თვალსაზრისით, ხოლო, ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესების გზების შეთავაზებისას გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობის და საერთაშორისო ურთიერთობებში ტრანსფორმაციული ცვლილებების კონტექსტებს.

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ტენდენციები მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების ბალანსის დაცვით, მ. შ. სიღარიბის შემსუბუქებით, კეთილდღეობის უზრუნველყოფით, ჯანსაღი ცხოვრების წესით, სამართლიანობით, გარემოს დაცვით და სხვათა გათვალისწინებით, რაც ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში (SDGs), რომლებიც უფრო გამძლეა ინკლუზიური და სამართლიანი შოკებისადმი.

ძირითადი ტექსტი

XXI საუკუნის გეოპოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული

პრობლემები. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გარდაუვალია და შედეგად, ხშირად წარმოიქმნება მოულოდნელი პრობლემები მოსახლეობის ზრდისა და სამუშაო ძალის მიგრაციის გამო, რაც საფუძველია გლობალური განვითარების დისბალანსისა და უთანასწორობის.

თანამედროვე პერიოდსა და პირობებში მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოჩენილი იყოს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, სადაც გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: სოციალური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური, პირადი, სასურსათო, ენერგეტიკული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური უსაფრთხოება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი, ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას, ერთი სისტემის ნაწილია, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს მოსახლეობის სიღარიბის, სამუშაო ადგილების, შემოსავლების ორგანიზებასა და დაცვას, ჯანმრთელობის უსაფრთხოებას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. ხოლო, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორებია მშპ, სიცოცხლის ხანგრძლივობა, წიგნიერების დონე, დასაქმების დონე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვისას. ის განუყოფლად არის გადაჯაჭვული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), ანუ ე. წ. 17 გლობალურ მიზანთან, რომლებიც შექმნილია საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებსა და SDGs-ს შორის ურთიერთქმედება ღრმა, მრავალმხრივია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ პროგრესზე. მაგალითად, SDG 1 – „სიღარიბის აღმოფხვრა“, პირდაპირ ეხება სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას და მიზნად ისახავს სიღარიბის ყველა ფორმის შემსუბუქებას. ამ მიზნის მიღწევას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სხვა SDG-ებზე, SDG 2-დან „ნულოვანი შიმშილი“ დაწყებული SDG 3-ით „კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“ დამთავრებული. ის ასევე გავლენას ახდენს SDG 4-ზე „ხარისხიანი განათლება“, რადგან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ხშირად განსაზღვრავს ხარისხიან განათლებაზე წვდომას, რაც გავლენას ახდენს ადამიანების სიღარიბის ციკლიდან თავის დაღწევის უნარზე. ანალოგიურად, SDG 8 „ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა“ და SDG 10 „უთანასწორობის შემცირება“ ხაზს უსვამს ეკონომიკური ფაქტორების როლს მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსსა და SDGs-ს შორის კავშირი გარემოსდაცვით საკითხებზეც ვრცელდება. სახელდობრ, მდგრადი განვითარების მე-13 მიზანი „კლიმატის ცვლილება“ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორებით, როგორიცაა სამრეწველო პოლიტიკა და ინვესტიციები, რომლებსაც შეუძლიათ მწვანე გარდამავლობის შეფერხება ან მხარდაჭერა. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ კლიმატის ცვლილებას არაპროპორციული გავლენა აქვს სოციალურ-ეკონომიკურად დაუცველ თემებზე, რაც აშკარა ურთიერთკავშირს ავლენს მდგრადი განვითარების მე-11 მიზანთან. და ბოლოს, მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება და წარმატება დამოკიდებულია ერების არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე, რაც ხაზს უსვამს ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოების, ეკონომიკური სტიმულების და ძლიერი ინსტიტუტების შეუცვლელ როლს, როგორც ეს ხაზგასმულია მდგრადი განვითარების მე-16 მიზანიში „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ და მდგრადი განვითარების

მე-17 მიზანიში „პარტნიორობა მიზნებისთვის“. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების გაგება და მასზე რეაგირება მდგრადი განვითარების მიზნების ამბიციური ხედვის რეალიზების ფუნდამენტურ აუცილებლობას წარმოადგენს [1].

ამასთან, მდგრად განვითარებაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებიდან

აღსანიშნავია ეკონომიკური ზრდა და რესურსების გამოყენება, სადაც ტრადიციულმა ეკონომიკურმა მოდელებმა, რომლებიც კორელაციაშია მშპ-ს და რესურსების მოხმარების ზრდასთან, შეიძლება შეამციროს ბუნებრივი რესურსები და გაამწვავოს გარემოსდაცვითი პრობლემები. სახელდობრ, ენერგეტიკული გარდამავალი პერიოდისთვის კრიტიკული მინერალების გაზრდილი მოთხოვნა ეკონომიკურ შესაძლებლობებს სთავაზობს განვითარებად ქვეყნებს, მაგრამ ასევე შეიცავს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით რისკებს; ხოლო, გლობალური გამოწვევებიდან ნიშანდობლივია მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გაურკვევლობა, მ. შ. სავაჭრო დაძაბულობა, ვალის მაღალი დონე, გეოპოლიტიკური კონფლიქტები და მუდმივი სურსათის ინფლაცია, ხელს უშლის მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ასევე, საგულისხმოა უთანასწორობა და სიღარიბე, დაბალი ეკონომიკური ზრდა და მუდმივი სურსათის ინფლაცია ზრდის სიღარიბის რისკს, ხოლო ღირსეული სამუშაო შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების ნაკლებობა ანგრევს სოციალურ კონტრაქტს, რომელიც ყველამ უნდა გაიზიაროს პროგრესის მისაღწევად. ხოლო, გეოპოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობიდან გამომდინარე, გაეროს სავაჭრო დაძაბულობა და გეოპოლიტიკური კონფლიქტები ზრდის გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ფინანსებზე წვდომაზე და ხელს უშლის მდგრადი განვითარების მიღწევის პროგრესს, UNCTAD-ის თანახმად. ამასთან, დემოგრაფიული ცვლილებების თვალსაზრისით, სწრაფი ურბანიზაცია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, და დემოგრაფიული მრავალფეროვნების ცვლილება ქმნის ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რაც მოითხოვს ეფექტურ ურბანულ დაგეგმარებას ზრდის სამართავად და რესურსების სამართლიანი განაწილების უზრუნველსაყოფად.

სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესსა და მდგრადობას შორის ურთიერთქმედების ე. წ. „საერთო ღირებულების“ მოდელიდან გამომდინარე, ბიზნესს შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც ეკონომიკურ გაფართოებას, ასევე, გრძელვადიან მდგრადობას ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის დანერგვით და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდით. ეს მიდგომა აღიარებს, რომ მდგრადმა პრაქტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაზოგი, რისკის შემცირება და ინვესტორების ნდობის გაზრდა. ხოლო, ტექნოლოგიური ინოვაციის მიღწევებმა ისეთ სფეროებში, როგორიცაა მწვანე ენერგია, ნახშირბადის შთანთქმა და ციფრული მონაცემების ანალიტიკა, შეიძლება ხელი შეუწყოს მდგრადობას რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებით და უფრო სუფთა გადაწყვეტილებების შემუშავებით. ამასთან, აღსანიშნავია ეფექტური მმართველობა და ინტეგრირებული პოლიტიკა. სახელდობრ, პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ენერგიის დაზოგვას და მწვანე შესყიდვებს და მხარს უჭერს საზოგადოების ჩართულობას, შეიძლება შთააგონოს ქცევითი ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვას შორის ბალანსისთვის. აქ ქცევითი ცვლილებებიდან აღსანიშნავია, რომ პოლიტიკისა და ტექნოლოგიების გარდა, ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევები როგორიცაა გადამუშავების ზრდა და მდგრადი მოხმარების ნიმუშების დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რესურსების გამოყენებისა და ნარჩენების მინიმიზაციისთვის.

ამდენად, მდგრადი განვითარება არ არის ცალკე მიზანი, არამედ გადაჯაჭვულია გლობალური სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებთან, რაც მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომას ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ისეთი რაციონალური მექანიზმების შემუშავება, სადაც გაითვალისწინება სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შემუშავება, ეკონომიკური, სოციალური, მმართველობითი, ორგანიზაციული და სამართლებრივი ზომების ოპტიმალური სისტემის ეფექტიანი ამოქმედება შესაძლო მოსალოდნელი საფრთხეების შესამცირებლად და/ან თავიდან ასაცილებლად.

თავის მხრივ, ეროვნული უსაფრთხოება არის პირობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას, თვითგადარჩენას და განვითარებას არსებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებსა და სამხედრო, ტერორისტული, კრიმინალური და გარემოსდაცვითი საფრთხეების პირობებში, რომლებიც დაკავშირებულია სტიქიურ უბედურ შემთხვევებთან, ტექნოგენურ ავარიებთან, ეპიდემიებთან და სხვა საგანგებო სიტუაციებთან. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრეროგატივა და პასუხისმგებლობაა, რომელსაც ის ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოებასთან და ეკონომიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობით. ამასთან, ეროვნული უსაფრთხოება საზოგადოების მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა, განსაკუთრებით გლობალური კონკურენციისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ სხვადასხვა ომის კონტექსტში. ის მოიცავს თავდაცვას (გარე საზღვრების დაცვა), შიდა (მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების დაცვა უკანონო ხელყოფისგან), კულტურულ-ინფორმაციულ (ეროვნული კულტურის შენარჩუნება და განვითარება, ინდივიდის განვითარების პირობები), გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სულიერება ანუ იგივე არამატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობა, რადგან ის ხელს უწყობს ეთიკურ ღირებულებებს, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და შინაგან ტრანსფორმაციას, მდგრადი პრაქტიკის დანერგვას, ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ბუნებასთან უფრო ღრმა კავშირს, გლობალური ურთიერთდაკავშირებულობის გაგებას, აქტიური მოქმედების მოტივაციას და წმინდა ეკონომიკური მოდელების ნაცვლად განაპირობებს უფრო ჰოლისტურ და გრძელვადიან მდგრად განვითარებას. ეს ე. წ. ,,ჩარჩო“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომხმარებლის ქცევაზე, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და საზოგადოების ჩართულობაზე, სადაც მნიშვნელოვანია სოციალურ კეთილდღეობას, ეკონომიკურ ეფექტიანობას და გარემოს დაცვას შორის ბალანსის მიღწევა და მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. აქ, ძირითადი ასპექტებია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა, განათლებასა და ჯანდაცვაზე თანაბარი წვდომა, რეგენერაციული აგროკულტურის და სოფლის მეურნეობის პრინციპებისა და ინოვაციების რაციონალური გამოყენება, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე, იმის უზრუნველყოფა, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრაქტიკა შეესაბამებოდეს უფრო ფართო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნებს, რომლებიც ხელს უწყობენ პასუხისმგებლობის საერთო გაგებას ეთიკური და წარმატებული შედეგების მისაღწევად.

ამგვარად, სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას აქვს რთული სტრუქტურა და ნიშნავს, პირველ რიგში, ეკონომიკის უნარს, შეინარჩუნოს ქვეყნის სუვერენიტეტი და მისი გეოპოლიტიკური პოზიცია მსოფლიოში, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ეკონომიკური პოლიტიკა და მოერგოს განვითარების ახალ პირობებს; მეორეც, ეკონომიკის მდგომარეობის სისტემურ შეფასებას ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით; მესამე, სამთავრობო ინსტიტუტების მზადყოფნას, გაუმკლავდნენ პოსტინდუსტრიული განვითარების საფრთხეებსა და გამოწვევებს მართვის სრულყოფისა და ეფექტიანობის გაზრდით, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების ჩამოყალიბება-ეფექტიანი განხორციელებით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მეგატენდენციები, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, მზარდი უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება და სამუშაოს ცვალებადი ხასიათი, შესაბამისად მოითხოვს სოციალური დაცვის სისტემების ცვლილებებს, რათა ისინი მომავლისთვის იყოს მისაღები. აქ გაითვალისწინება მონაცემებზე დაფუძნებული გაგება იმის შესახებ, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური რისკები აწუხებთ ადამიანებს და რამდენად კარგად ფიქრობენ, რომ მათი მთავრობა უმკლავდება ამ რისკებს.

თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, რაც მას დაუცველს ხდის გარე საფრთხეების მიმართ, როგორიცაა ენერგორესურსების ფასების რყევები, საერთაშორისო სანქციები, სავაჭრო ომები და კრიზისები გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის იმაში მდგომარეობს, რომ ის იცავს მას შესაძლო საფრთხეებისგან და ქმნის საფუძველს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. ეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ფინანსური, ენერგეტიკული, სამრეწველო და სოციალური მდგრადობა, სასურსათო დამოუკიდებლობა და გარე ეკონომიკური საფრთხეებისგან დაცვა. ამ კომპონენტების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მსოფლიო ასპარეზზე და მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს გრძელვადიანი მდგრადი ზრდის პირობებს სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებით, ფინანსური სისტემის შოკებისგან დაცვით და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობით. ეს სახელმწიფოს საშუალებას აძლევს ეფექტურად უპასუხოს გარე და შიდა გამოწვევებს, მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკურ კრიზისებთან დაკავშირებული რისკები და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ასპარეზზე. ეკონომიკური უსაფრთხოება ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოსდაცვითი მდგრადობის საკითხში, ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებას და ამცირებს წიაღისეულ რესურსებზე დამოკიდებულებას. სახელდობრ, ენერგეტიკის სექტორის დივერსიფიკაცია და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი რისკების შემცირებას და ზრდის დამოუკიდებლობას გარე ენერგომომარაგებისგან. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რადგან ის უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილურობას და სახელმწიფოს უნარს, გაუძლოს გარე და შიდა საფრთხეებს. გლობალური გამოწვევების კონტექსტში, როგორიცაა საერთაშორისო სანქციები, გლობალური სავაჭრო სისტემის ცვლილებები და გარემოსდაცვითი პრობლემები, ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერება თითოეული სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ხდება. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების

სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების შემცირება – საკუთარი სამრეწველო და ტექნოლოგიური ბაზის განვითარება, კრიტიკული რესურსებისა და საქონლის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება.
- ფინანსური სტაბილურობის გაძლიერება – სახელმწიფო ვალის მისაღები დონის შენარჩუნება, ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი და საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა.
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განვითარება – განახლებადი ენერგიის წყაროებში ინვესტიციების ჩადება, ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში იმპორტის წილის შემცირება და ენერგოეფექტურობის ზრდა.
- მოსახლეობის სოციალური დაცვა – უთანასწორობისა და სიღარიბის შემცირება, დასაქმების ზრდა, სოციალურად დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა.
- ინოვაციური პოტენციალის ზრდა – სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სტიმულირება, ეკონომიკის ინოვაციური სექტორების განვითარება და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წილის ზრდა მთლიან მშპ-ში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება შექმნის მნიშვნელოვან პირობებს ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის, გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ასპარეზზე და უზრუნველყოფს სოციალურ სტაბილურობას. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა უპასუხონ მიმდინარე გამოწვევებს, არამედ პროაქტიულად შეიმუშაონ სტრატეგიები, რომლებიც მიზნად დაისახავს ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას გლობალურ ეკონომიკაში მუდმივი ცვლილებების კონტექსტების გათვალისწინებით [2].

შესაბამისად, გლობალური ეკონომიკა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს აწყდება, რაც ძირითადად გლობალური პოლიტიკის გაურკვევლობით და სავაჭრო დაძაბულობის ზრდით არის გამოწვეული. განვითარებადი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის (EMDE/Emerging Market and Developing Economies) სუსტი პერსპექტივა ზღუდავს მათ შესაძლებლობას, ხელი შეუწყონ სამუშაო ადგილების შექმნას და შეამცირონ უკიდურესი სიღარიბე. შესაბამისად, ამ რთულ კონტექსტს ამძიმებს EMDE-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებული რაოდენობა. გლობალური თანამშრომლობა საჭიროა უფრო სტაბილური გლობალური სავაჭრო გარემოს აღსადგენად და დაუცველი ქვეყნების მხარდაჭერის გასაზრდელად, მ. შ. მყიფე და კონფლიქტურ სიტუაციებში მყოფი ქვეყნებისთვის. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური ქმედებები ინფლაციის რისკების შესაკავებლად და ფისკალური მდგრადობის გასაძლიერებლად. სამუშაო ადგილების შექმნისა და გრძელვადიანი ზრდის გასააქტიურებლად, რეფორმები ორიენტირებული უნდა იყოს ინსტიტუციური ხარისხის ამაღლებაზე, კერძო ინვესტიციების მოზიდვაზე, ადამიანური კაპიტალისა და შრომის ბაზრების გაძლიერებაზე [3].

შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა შენელებულია სავაჭრო ბარიერების მკვეთრი ზრდისა და პოლიტიკური გაურკვევლობის ზრდის გამო, სადაც ზრდა შესაძლოა 2025 წელს 2.3 %-მდე შენელდეს, რაც მნიშვნელოვნად უარესია, ვიდრე ადრე იყო პროგნოზირებული, ხოლო 2026–27 წლებში მოსალოდნელია მხოლოდ მცირე აღდგენა. ამასთან, ზრდა შესაძლოა კიდევ უფრო სუსტი იყოს, თუ სავაჭრო შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდება ან პოლიტიკური გაურკვევლობა გაგრძელდება. სხვა უარყოფითი რისკები მოიცავს

მსხვილ ეკონომიკებში მოსალოდნელზე სუსტ ზრდას, გაუარესებულ კონფლიქტებს და ექსტრემალური ამინდის მოვლენებს. სავაჭრო დაძაბულობის მოგვარება მოითხოვს მრავალმხრივ პოლიტიკურ ძალისხმევას, რომელიც ქმნის უფრო პროგნოზირებად და გამჭვირვალე გარემოს. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა შეაკავონ ინფლაცია და გააუმჯობესონ საჯარო ფინანსები, ამავდროულად, განახორციელონ რეფორმები ინსტიტუტების საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძო ინვესტიციების სტიმულირებისთვის, ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

რეგიონული პერსპექტივის თვალსაზრისით, 2025 წლისათვის ყველა განვითარებადი ბაზრისა და განვითარებადი ეკონომიკის (EMDE) რეგიონისათვის მოსალოდნელია სუსტი ეკონომიკური პერსპექტივა გაზრდილი სავაჭრო დაძაბულობისა და მზარდი გლობალური გაურკვევლობის ფონზე. ზრდის შენელება პროგნოზირებულია აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ანუ იმ რეგიონებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული გლობალურ ვაჭრობაზე და ნაკლებად სამხრეთ აზიაში. ხოლო, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ზრდა შესაძლოა ყველაზე სუსტი იყოს EMDE რეგიონებს შორის პროგნოზის ჰორიზონტზე, რადგან იქ აქტივობა შეზღუდულია მაღალი სავაჭრო ბარიერებითა და მუდმივი სტრუქტურული სისუსტეებით. რეგიონებში, სადაც დიდი რაოდენობით სასაქონლო ექსპორტიორები არიან, მ. შ. ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და სუბ-საჰარის აფრიკა, ზრდა, სავარაუდოდ, შეზღუდული იქნება სასაქონლო პროდუქტებზე გარე მოთხოვნის პროგნოზირებული შესუსტებით, სახელდობრ, –

- აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე, – ეკონომიკის ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 4.5 %-მდე შენელდება, ხოლო, 2026–27 წლებში 4.0 %-მდე გაიზრდება.
- ევროპა და ცენტრალური აზია, – ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 2.4 %-მდე შენელდება, ხოლო, 2026–27 წლებში 2.6 %-მდე გაიზრდება.
- ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი, – ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 2.3 %-ის დონეზე შენარჩუნდება, ხოლო, 2026–27 წლებში საშუალოდ 2.5 %-მდე გაიზრდება.
- ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, – ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 2.7 %-მდე დაჩქარდება, ხოლო, 2026–27 წლებში საშუალოდ 3.9 %-მდე გაიზრდება.
- სამხრეთ აზია, – ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 5.8 %-მდე შემცირდება და ხოლო, 2026–27 წლებში საშუალოდ 6.2 %-მდე გაიზრდება.
- სუბ-საჰარის აფრიკა, – ზრდა, სავარაუდოდ, 2025 წელს 3.7 %-მდე გაიზრდება, ხოლო 2026–27 წლებში – საშუალოდ 4.2 %-მდე (იხ. ცხრილი 1) [4].

ცხრილი 1. რეალური მშპ ზრდის ტემპები (საშუალო წლიური ცვლილება, %), 2024-2035 წწ. განახლებულია 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით [5]

მსოფლიო და რეგიონები	რეალური მშპ, %						გადახედვა, პროცენტული პუნქტის სხვაობა 2025 წლის იანვრის პროგნოზთან შედარებით	
	წლები							
	2022	2023	2024	2025	2026	2027	2025	2026
მსოფლიო	**3.3**	**2.8**	**2.8**	**2.3**	**2.4**	**2.6**	**-0.4**	**-0.3**
განვითარებული ეკონომიკის სხვა ქვეყნები	2.9	1.7	1.7	1.2	1.4	1.5	-0.5	-0.4
განვითარებადი ეკონომიკის და ბაზრის ფორმირებად ქვეყნები	3.8	4.4	4.2	3.8	3.8	3.9	-0.3	-0.2
აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის აუზი	3.6	5.2	5.0	4.5	4.0	4.0	-0.1	-0.1
ევროპა და ცენტრალური აზია	1.5	3.6	3.6	2.4	2.5	2.7	-0.1	-0.2
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	4.0	2.4	2.3	2.3	2.4	2.6	-0.2	-0.2
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	5.4	1.6	1.9	2.7	3.7	4.1	-0.7	-0.4
სამხრეთ აზია	6.0	7.4	6.0	5.8	6.1	6.2	-0.4	-0.1
სუბ-საჰარის აფრიკა	3.9	2.9	3.5	3.7	4.1	4.3	-0.4	-0.2

რეგიონული პერსპექტივებიდან აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის ხანგრძლივმა გაგრძელებამ ან ინტენსიფიკაციამ შესაძლოა კიდევ უფრო შეაფერხოს აქტივობები მთელ რეგიონში. გლობალური სავაჭრო დაძაბულობის განახლებული ესკალაცია და პოლიტიკური გაურკვევლობა, განსაკუთრებით წარმოებასა და სასაქონლო ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკებისთვის, ევროზონის მოსალოდნელზე სუსტი ზრდა და უფრო მდგრადი ინფლაცია შეაფერხებს ვაჭრობას და ზრდას რეგიონში. დადებითი მხარე ის არის, რომ ზრდას შეიძლება სარგებელი მოუტანოს შეჭრასთან დაკავშირებული აქტიური საომარი მოქმედებების მოსალოდნელზე ადრე დასრულებამ ან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების უფრო სწრაფად და ფართოდ გამოყენებამ, რამაც შეიძლება გაზარდოს პროდუქტიულობა, განსაკუთრებით ისეთ ეკონომიკებში, რომლებსაც აქვთ ადეკვატური ციფრული ინფრასტრუქტურა და ადამიანური კაპიტალი, როგორიცაა ცენტრალური ევროპა.

ამასთან, გლობალური ტენდენციები მიუთითებს ეკონომიკური დაუცველობის ზრდაზე, გაღრმავებასა და სოციალური ნდობის შემცირებაზე, რაც ხელს უშლის მდგრადი განვითარებისკენ მიმართულ ძალისხმევას. ზრდის შესუსტება და მაღალი პოლიტიკური გაურკვევლობა საფრთხეს უქმნის ინვესტიციებს ისეთ აუცილებელ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა და კლიმატის ადაპტაცია. თუმცა, 2025 წლის მსოფლიო სოციალური ანგარიში ხაზს უსვამს ახალი პოლიტიკური კონსენსუსის საჭიროებას, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და სოლიდარობაზე, რათა გაძლიერდეს მდგრადი განვითარების სამი განზომილება (ეკონომიკა, საზოგადოება, გარემო). პროგრესის ძირითადი პერსპექტივები მოიცავს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სოციალურ დაცვაში ინვესტირებას, ინოვაციების ხელშეწყობას და გარემოს დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლას,

განსაკუთრებით დაუცველ მოსახლეობაზე არაპროპორციული ზემოქმედების აღმოფხვრას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვის დროს, მნიშვნელოვანია მსოფლიოში არსებული მდგომარეობის და ტენდენციების გათვალისწინება, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, მეტად მგრძნობიარე არიან ეგზოგენური შოკების მიმართ. ამასთან, საქართველო წარმოადგენს ღია ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყანას, რომელიც, ძირითადად, მსოფლიო ბაზრებზე არსებული ფასების მიმღებია და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზრებზე (როგორც სასურსათო და ნავთობის, ასევე საფინანსო) მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებები გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრები განხილული და გაანალიზებული იქნას როგორც მეზობელ და განვითარებად ქვეყნებთან, აგრეთვე, ევროკავშირის წევრ, მ. შ. წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებით. მოსახლეობის ცხოვრების დონის საზომად ხშირად გამოიყენება მშპ ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა, როდესაც ქვეყნების ერთმანეთთან შედარება ხდება, ამ დროს მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (PPP/Purchasing Power Parity), რომელიც წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მსგავს მაჩვენებელს, რომელიც დათვლილია თითოეულ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულების გათვალისწინებით. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფებთან და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან შედარების დროს ირკვევა, რომ 2024 წელს World Economic League Table 2025-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე (27 363 $, PPP მეთოდით) აღემატებოდა ევროკავშირის ზოგიერთი კანდიდატი ქვეყნის მაჩვენებელს – ალბანეთს, ბოსნია-ჰერცოგოვინას, მოლდოვას, უკრაინას, ჩრდ. მაკედონიას, თუმცა ნაკლები იყო მონტენეგროს, სერბეთის და თურქეთის მაჩვენებლებზე. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, თუმცა საგრძნობლად უსწრებს წინ განვითარებად ქვეყნებს. აღნიშნული კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო როგორც საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანა, ცხოვრების სტანდარტებით და ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით, შედარებით მოწინავე პოზიციას იკავებს განვითარებად ქვეყნებს შორის [6].

ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, 187 ქვეყანას შორის, ერთ მოსახლეზე შემოსავლით საქართველო მსოფლიოში 106-ე ადგილზეა. თუმცა, PPP დოლარში გამოსახული ერთ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის რიცხვის ცვლილებაზე, ინფლაციაზე საქართველოში, ინფლაციაზე აშშ-ში და ლარის დოლარის მიმართ გაცვლის კურსზე. როგორც ცნობილია, საქართველოში მოსახლეობა მცირდება, რაც ერთ მოსახლეზე შემოსავლის ზრდას აჩქარებს. ასევე, თუ ლარი დოლარის მიმართ უფასურდება და მას თან არ ახლავს შესაბამისი დონის ინფლაცია, ერთ მოსახლეზე შემოსავალი PPP დოლარში იზრდება. ამასთან, სავალუტო ფონდის პროგნოზის თანახმად, საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით 2029 წლისთვის ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 38 744.7 საერთაშორისო $-მდე გაიზრდება, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 52.5 %-ს შეადგენს. თუმცა, საქართველოს გადახედილი ზრდის პროგნოზი ყველაზე მაღალია როგორც ევროპის, ასევე რეგიონის ქვეყნებთან შედარებით. გლობალურად ბევრი სხვა ეკონომიკისგან განსხვავებით, 2024 წელს ჩვენმა ქვეყანამ შეძლო შეენარჩუნებინა

სამომხმარებლო ფასების ზრდა ძალიან ზომიერ დონეზე (1.1 %-ზე). ხოლო, იმავე 2024 წლის სავარაუდო ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირებულ საშუალო ინფლაციის მაჩვენებელს (4.9 %) და უმუშევრობის დონე შემცირდა 1,9 პროცენტული პუნქტით და 14,5 %-მდე დაფიქსირდა [7, 8].

საგულისხმოა, რომ საქართველომ 106-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკების რეიტინგში, სახელწოდებით, ,,World Economic League Table,“ რომელსაც ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია CEBR (Centre for Economics and Business Research) ყოველწლიურად ადგენს და რეიტინგში სულ 189 ქვეყანაა წარმოდგენილი. CEBR-ის პროგნოზით, მშპ-ს ზრდის წლიური ტემპი საქართველოში შემცირდება საშუალოდ 5.2 %-მდე. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელია საშუალოდ 5.0 %-მდე წელიწადში. ხოლო, უახლოეს 15 წელიწადში საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ლიგის ცხრილში ეტაპობრივად ამაღლდება და 2024 წელს არსებული 106-ე პოზიციიდან 2039 წელს 99-ე ადგილზე იქნება [9].

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის წყალობით სტაბილურია. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2025 წლის აპრილის განახლებულ ანგარიშში გლობალური, წამყვანი ეკონომიკებისა და ევროპის ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები დაბლა გადახედა. ამ ფონზე, სავალუტო ფონდმა, ქარტიის მეოთხე მუხლთან დაკავშირებული კონსულტაციების ფარგლებში საქართველოში ვიზიტის შემდეგ, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6 %-დან 7.2 %-მდე გაზარდა, რაც საქართველოს ეკონომიკის გარე შოკების მიმართ მდგრადობაზე მიუთითებს. სავალუტო ფონდის პროგნოზით, რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის, საშუალოვადიან პერსპექტივაში — 2025–2030 წლებში — საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება, საშუალოდ 5.4 %-ით [9].

როგორც ცნობილია, პოსტპანდემიური მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის დაჩქარებულმა ტემპა დადებითი მოლოდინები გააჩინა და გლობალური ინდიკატორების პროგნოზების დადებითი მიმართულებით გადახედვის საფუძველი გააჩინა, თუმცა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ ზრდის პერსპექტივები გაუარესდა და გაურკვევლობა გაიზარდა როგორც უკრაინაში მიმდინარე ომის, ასევე, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო. უკრაინაში არსებულმა ომმა გამოიწვია მსოფლიო ჰუმანიტარული კრიზისი. ამავდროულად, კონფლიქტის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ზიანმა გამოიწვია გლობალური ზრდის მნიშვნელოვანი შენელება და გაზარდა ინფლაცია. საწვავისა და სურსათის ფასები სწრაფად გაიზარდა, რაც ყველაზე მეტად მოწყვლად მოსახლეობას აზარალებს დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. პანდემიისა და ომის ეკონომიკაზე გავლენა და მისი შემდგომი აღდგენის ტემპი განსხვავებულია ქვეყნებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით და განპირობებულია, ერთი მხრივ, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მერყეობით და მეორე მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომიდან მომდინარე გაურკვევლობით და გამოწვეული შედეგებით.

შესაბამისად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს − ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, შემცირდება 2.4 %-მდე 2025 წელს, ხოლო, 2026-27 წლებში 2.6 %-იან მაჩვენებელს მიაღწევს. ხოლო, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების კუთხით, მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის შენელება 4.5 %-მდე 2025 წელს, 2026-27 წლებში, კი − 4.0 %-მდე.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ქვეყნების 70 %-ისთვის შეამცირა [9].

ნიშანდობლივია, რომ 2024 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 56-ე ადგილზეა, ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი 26-ე ადგილი უჭირავს, რაც ეკონომიკის მაღალი დონით გახსნილობის დასტურია. თუმცა, გლობალიზაციის საერთო დონით 56-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 69-ე ადგილზეა, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით 120-ე ადგილზე. ამასთან, საქართველოს ეკონომიკურ გლობალიზაციაში 100-დან 79.7 ქულა აქვს. ხოლო, ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტებში – საერთაშორისო ვაჭრობა 82.4 ქულა აქვს, ხოლო ფინანსურ გლობალიზაციაში – 77. ამასთან, 2023 წელს საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში 25-ე ადგილზე იყო, მაგრამ ქულა უფრო ნაკლები – 78.7 ჰქონდა. 2024 წელს ერთი ადგილით ჩამოქვეითება სხვა ქვეყნების ქულების მეტად ზრდამ განაპირობა. საბოლოო ჯამში, საქართველო მაინც მაღალ პოზიციაზეა, რასაც საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა განაპირობებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის. შესაბამისად, ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე ქვეყნისთვის გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია, რაც იძლევა საშუალებას, რომ ქვეყნის ეკონომიკის საზღვრები არ სრულდებოდეს მის ფიზიკურ საზღვრებთან. თუმცა მაღალი ეკონომიკური გლობალიზაციის დონის ქვეყნებზე უფრო აისახება საერთაშორისო კრიზისებიც, რადგან მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე [10, 11]. შესაბამისად, დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება და ევროკავშირისგან საქართველოს დაცილება უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. ამასთან, დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების და შიდა პოლიტიკური კრიზისის გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევებიდან აღსანიშნავია ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება, ლარის გაუფასურება, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები შემცირება და საინვესტიციო გარემოს გაუარესება [12].

ნიშანდობლივია, რომ 2025 წლის მდგრადი განვითარების მიზნების ინდექსის რეიტინგში საქართველო 59-ე ადგილზეა, 73.67 ქულით, რაც 2024 წელთან შედარებით 14 ადგილით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებელია. ქვეყნის პროგრესი ყველაზე მაღალია მდგრადი განვითარების მე-7 (ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია) და მე-16 (მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები) მიზნებში, თუმცა, ის მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას გენდერული თანასწორობის (ქალები დგანან გამოწვევების წინაშე, რომლებიც დაკავშირებულია ანაზღაურებად მზრუნველობასთან, შეზღუდულ პოლიტიკურ მონაწილეობასთან, დაბალ სამუშაო ძალაში მონაწილეობასთან და ოჯახში ძალადობის გაზრდილ რისკებთან), უთანასწორობის შემცირების (გაერო აღნიშნავს სივრცით და სოციალურ უთანასწორობას და სიღარიბის მაღალ მაჩვენებლებს), ყველასთვის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მე-3 მიზნის მიღწევის კუთხით, ასევე, ადამიანის უფლებების საკითხების (გამოწვევები კვლავ არსებობს დაუცველი ჯგუფების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების, მოქალაქეობის არმქონე პირების, მიგრანტების, ლგბტ+თემის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით) და

გარემოსდაცვითი საკითხების (კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებების მაღალი რისკი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს) თვალსაზრისით [13].

ამასთან, საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევაა დასაქმებასთან დაკავშირებით, რადგან ასიათასობით ადამიანი ვერ საქმდება, მოსახლეობა განიცდის ჭარბვალიანობას, ხოლო საარსებო შემწეობას 2024 წლის მონაცემებით 671 337 ადამიანი იღებს, რაც საშუალო წლიურ მოსახლეობაში 18.1 %-ს შეადგენს.

მართალია, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მაგრამ ყველაზე მაღალი დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებთან აქვს. 2023 წელს, ევროკავშირიდან, აშშ-დან და გაერთიანებული სამეფოდან სხვადასხვა გზით მიღებული ფინანსური რესურსები საქართველოს ეკონომიკის 30 %-მდე იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების 54 % და გაცემული სესხების 43 % უცხოურ ვალუტაშია (აშშ $ ან €), უძრავი ქონების ბაზარი $-ში ან €-ში მუშაობს, სახელმწიფო ვალის 75 % უცხოურ ვალუტაშია, სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტურია და დეფიციტის 53 % დასავლეთის ქვეყნების მთავრობებიდან და დასავლური საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან (WB, EBRD, ADB, EIB და ა.შ.) სესხების აღებით იფარება. საქონლის და მომსახურების იმპორტი საქართველოს მშპ-ის 58 %-ია. საგარეო ვაჭრობის დეფიციტი 6,5 მლრდ $-ია, რომელიც ტურიზმით, ემიგრანტების ფულადი გზავნილებით, ინვესტიციებით და სესხებით ბალანსდება. აღნიშნული წყაროებიდან მიღებული თანხის უმეტესობა დასავლურ ქვეყნებზე მოდის [14].

საერთოდ, ეკონომიკაში მოლოდინი დიდ როლს ასრულებს, ხოლო ნეგატიური მოლოდინის შემთხვევაში ინვესტიციები კლებულობს, ბიზნესი და მოსახლეობა გაურკვევლობაშია და ეკონომიკურ აქტივობას ამცირებს. შესაბამისად, პერსპექტივაში ეკონომიკური მდგომარების ცვლილება პირველ რიგში, დამოკიდებული იქნება მოსალოდნელი სანქციების მასშტაბსა და შინაარსზე. თუმცა, მთავარი საფრთხე საქართველოს ეკონომიკის შემდეგი ვითარებიდან გამომდინარეობს: მაღალი სავაჭრო დეფიციტი, დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტი, საგარეო ინვესტიციებსა და სესხებზე დამოკიდებულება, რაც საქართველოს პოტენციური სანქციების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის, ვიდრე ეს იყო სხვა, აქამდე დასანქცირებული ქვეყნების შემთხვევაში. საგარეო ბალანსის გაუარესება ლარის მნიშვნელოვნად გაუფასურებას იწვევს, რაც ზრდის ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებს და სესხის მომსახურების ხარჯს, რაც შესაბამისად, ამცირებს მოსახლეობის განკარგვად შემოსავალს და მოხმარებას [15]. ამასთან, სამუშაო ადგილებზე წვდომა ქვეყანაში კვლავ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. 2024 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონემ 14,3 % შეადგინა ანუ, 200 000-ზე მეტი ადამიანი, სურვილის მიუხედავად, სამუშაოს ვერ პოულობდა. შემაშფოთებელია 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების მდგომარეობა, სადაც 2024 წლისთვის, მათი 19,1 % არც დასაქმებული იყო, არც სწავლობდა და არც პროფესიულ გადამზადებაში მონაწილეობდა. ამ მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს. არსებული სტატისტიკა აჩვენებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მარგინალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის რისკებს და კიდევ უფრო მეტად ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირების შემდგომ, საქართველოს ეკონომიკის ზრდა გარკვეულწილად რუსეთს დაუკავშირდა, რაც კარგად

ჩანს მშპ-ს მაჩვენებლებშიც. სახელდობრ, 2021-2024 წლების ეკონომიკური ზრდის 59 % მოდის იმ სექტორებზე, რომლებზეც რუსეთის ფაქტორმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. იმავე წლებში ეკონომიკური ზრდის 28 % უძრავ ქონებაზე, ფინანსებსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მოდიოდა, თუმცა ეს საქართველოს მოსახლეობაზე ნაკლებად აისახებოდა. პირიქით, ეს ჩვენი მოქალაქეებისთვის აისახა ბინების ფასისა და ბანკების მოგებების ზრდაში, ისევე, როგორც ძირითადად დასაქმებულ უცხოელთა ძირითადად, პროგრამისტების ხელფასების მატებაში.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანას ექსპორტზე საკმარისი მოცულობის საქონელი ვერ გააქვს, ხოლო, იმპორტის ნახევარს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებითა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხებით აფინანსებს, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკის ფუნქციონირება ამგვარ არასტაბილურ გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელთა ცვლილება ქვეყანას სერიოზულად დააზიანებს. ამასთან, საქართველოში შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც, თავის მხრივ, ჭარბვალიანობის, სიღარიბისა და უსახლკარობის რისკებს ზრდის, ერთ სულ მოსახლეზე სესხის საშუალო მოცულობა 95,643 ლარს შეადგენდა, რაც 2015 წელთან შედარებით, კატასტროფულად - 299 %-ით, გაიზარდა. ეს მონაცემი პირდაპირ მიუთითებს ჭარბვალიანობის კრიზისზე, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ოჯახების, ისე ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას [16].

ამასთან, საგულისხმოა, რომ თბილისისა და აჭარის გარდა, საქართველოს ეკონომიკის ზრდა რეგიონებზე შედარებით უმნიშვნელოდ აისახება, რეგიონულ უთანასწორობას აღრმავებს და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, მ. შ., ხელფასშიც, მნიშვნელოვან განსხვავებებს იწვევს. ეკონომიკური უთანასწორობისა და სამუშაო ადგილების სიმწირის გამო, რეგიონებში ადამიანების სოციალური მდგომარეობა მძიმდება და წლების გასვლასთან ერთად, იზრდება სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა, ხოლო რეგიონებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი საარსებო შემწეობის მიმღებია. შესაბამისად, ამგვარი არარაციონალური და ნაკლებეფექტიანი ეკონომიკური ზრდა ღირსეული ცხოვრების პერსპექტივებს ამცირებს. შედეგად, ადამიანები თავის საცხოვრებელ ადგილს ტოვებენ და მსხვილ ქალაქებში მიგრირდებიან, რასაც ადასტურებს საქსტატისტის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ბოლო ათ წელში საქართველოს არაერთ რეგიონში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. უფრო დეტალურად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 2016-2024 წლების მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, 2016-2024 წწ. [17]

მაჩვენებლები	წყარო	წლები								
		2016	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**
მოსახლეობა წლის ბოლოს (ათასი კაცი)	საქსტატი	3 726	3 730	3 723	3 717	3 729	3 689	3 736,0	3695	3705
უმუშევრობის დონე, %	საქსტატი	21,7	21,6	19,2	17,6	18,5	20,6	17,3	16,4	13.9
წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან),%	საქსტატი	1,8	6,7	1,5	7,0	2,4	13,9	9,8	0,4	1.9
მშპ, მლრდ ლარი	საქსტატი	36,6	41,3	45,4	49,7	49,8	60,7	72,9	80.9	91.9
მშპ, მლრდ აშშ $	საქსტატი	15,4	16,5	17,9	17,6	16,0	18,9	25,0	30.8	33.8
მშპ რეალური ზრდა, %	საქსტატი	3,4	5,2	6,1	5,4	-6,3	10,6	11,0	7.8	9.4
მშპ ერთ სულზე, აშშ $	საქსტატი	4	4	4	4	4	5	6	8	9

		143	420	804	741	301	084	731	284	141
მშპ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო $)	სსფ	12 814	13725	1501 0	1675 5	1681 7	1881 4	2260 7	2484 9	2736 3
დანაზოგის დონე (ეროვნული დანაზოგი/ მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან), %	სებ	16,3	16,7	20,5	20,6	11,4	9,8%	18,5	18.9	17.9
მიმდინარე ანგარიში/მშპ, %	სებ	-12,2	-7,9	-6,7	-5,9	-12,4	-10,3	-4,5	-4,3	-5.6
საგარეო სავაჭრო გახსნილობა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი+საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ, %	სებ	95,0	102, 6	109, 8	117, 4	93,0	102, 0	115, 7	107. 2	104. 3
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ, %	სებ	10,7	12,1	7,5	7,7	3,7	6,6	8,4	5,2	3.9
საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ $	სებ	2,8	3,0	3,3	3,5	3,9	4,3	4,9	5,0	4.4
საერთაშორისო რეზერვები საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეებით	სებ	4,0	3,9	3,7	3,8	5,2	4,6	3,8	3,4	2.8
მთლიანი საგარეო ვალი/მშპ, %	სებ	103,2	105,2	99,9	106,9	130,3	117,0	94,3	79,1	74.5
მთავრობის საგარეო ვალი/ მშპ, %	სებ	30,3	32,1	30,1	32,5	46,4	42,2	32,2	28,4	24.8
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (საშუალო წლიური ცვლილება), %	სებ	3,4	-2,2	1,0	-5,4	-2,9	1,7	18,7	11,6	-5.4
ფისკალური დეფიციტი/მშპ, %	სებ	-2,6	-2,9	-2,1	-2,0	-9,2	-6,0	-3,0	-2,4	-2.1
კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები, მლრდ ლარი	სებ	18,9	22,3	26,6	31,9	38,2	43,1	44,8	52,7	62.2
კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა, %	სებ	18,1	17,8	19,4	20,0	19,7	12,7	3,9	17,6	18.2
კომერციული ბანკების სესხების ზრდა, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით, %	სებ	10,8	18,6	17,8	16,2	9,0	18,2	12,1	17,1	17.0
დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, მლრდ ლარი	სებ	17,0	19,9	23,1	26,3	34,6	37,2	44,3	50,6	58.3
დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, ზრდა, %	სებ	18,2	16,8	16,1	13,9	31,9	7,5	18,9	14,2	15.3
დეპოზიტების ზრდა კომერციულ ბანკებში, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით, %	სებ	10,8	17,0	14,4	9,3	20,8	12,2	29,6	14,1	13.4
კომერციული ბანკების აქტივები/მშპ, %	სებ	82,5	83,7	87,5	94,9	114,2	99,7	96,6	99,9	104.3
დეპოზიტების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), %	სებ	71,2	65,3	63,1	64,0	61,4	60,0	56,1	50,7	52.8
სესხების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), %	სებ	65,4	57,1	57,1	55,4	55,7	50,8	45,0	45,2	43.3
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, %	სებ	6,50	7,30	7,00	9,00	8,00	10,50	11,00	9,50	8.00
საპროცენტო განაკვეთი ლარით გაცემულ სესხებზე, %	სებ	18,2	16,8	15,7	15,4	14,4	15,7	16,2	15,3	15,4
საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე, %	სებ	8,7	7,9	7,6	6,3	6,9	6,3	8,6	9,0	9,3

S&P	სტანდარდ ენდ ფუარს	BB-	BB-	BB-	BB	BB	BB	BB	BB	BB
FITCH	ფიჩ რეიტინგს	BB-	BB-	BB-	BB	BB	BB	BB	BB	BB
MOODY'S	მუდის კორპორაცია	Ba3	Ba2	Ba2	Ba2	Ba2	Ba2	Ba2	Ba2	Ba2
SCOPE	სარეიტინგო სააგენტო სქოუფი	–	–	BB	BB	BB	BB	BB	BB	BB
ადამიანის განვითარების ინდექსი (რეიტინგი/ქვეყანა)	გაეროს განვითარების პროგრამა	0.776 (71/ 189)	0.780 (70/ 189)	0.786 (70/ 189)	0.812 (61/ 189)	0.802 (64/ 191)	0.802 (63-65/ 191)	0.814 (60-61/ 193)	–	-
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რეიტინგი (ადგილი/ქვეყანა)	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი	4.32 (59/ 138)	4.28 (67 /135)	60.9 (66/ 140)	60.6 (74/ 141)	–	–	–	–	-
ბიზნესის კეთება (რეიტინგი/ქვეყანა)	მსოფლიო ბანკი	16/190	9/190	9/190	6/190	7/190	–	–	–	-

აღსანიშნავია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ 2024 წელს 9.4 % შეადგინა, ხოლო მშპ-მ ნომინალურ გამოსახულებაში - 91 892 მლნ ლარი. 2023 წელთან შედარებით, მშპ ერთ სულზე 3 103 ლარით გაიზარდა და ნომინალურ გამოსახულებაში 24 872 ლარს გაუტოლდა (9 141 აშშ $), რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალია, მეზობელ ქვეყნებს შორის კი, საქართველო მესამე პოზიციაზე იმყოფება. ხოლო, მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით საშუალო განვითარების დონის ქვეყნებს შორის მოიაზრება. 2024 წელს წამყვანი როლი ეკონომიკურ აქტივობაში კაპიტალს ჰქონდა. 2024 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა – მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 4.4 % შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მონაცემია წინა წლებთან შედარებით და ძირითადად, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ტრანსფერტების და განსაკუთრებით მომსახურების დადებითი ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს საზღვარგარეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (1,334 მლნ აშშ $) და სხვა ინვესტიციები (1,106 მლნ აშშ $) წარმოადგენენ. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 25,723 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16.3 %-ით მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე. ხარჯები, ე. წ. მიმდინარე ხარჯები წინა წელთან შედარებით 17.3 %-ით (3,210 მლნ ლარით) გაიზარდა და 21,767 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შეძენაც (11.9 %-ით, 702 მლნ ლარით), რამაც 6,592 მლნ ლარი შეადგინა. 126 მლნ ლარით შემცირდა არაფინანსური აქტივების კლება, ე. წ. ,,პრივატიზაცია“ და 2024 წელს 559 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო შემცირდა მთლიანი სალდო, შესაბამისად 188 მლნ ლარით გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი (შეადგინა მშპ-ს 2.3 %). საშუალო წლიური ინფლაცია 1.1 %-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, რაც 3 %-ან მიზნობრივ მაჩვენებელზე ნაკლებია. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 2024 წელს ტრანსპორტზე ფასების ზრდით. 2024 წელს 2.3 პპ-ით გაიზარდა და 49.3 % შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა.. 2013 წლიდან დეპოზიტების დოლარიზაცია უწყვეტად იზრდებოდა, 2017-2019 წლებში კი კლების ტენდენცია შეინიშნებოდა. ასევე, კლების უწყვეტი ტენდენცია შეინიშნება 2020 წლის შემდეგ. მნიშვნელოვნად გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების მიერ კერძო

სექტორის დაკრედიტება და ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურდა აშშ $-თან და €-თან მიმართებით. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონაცემებით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საგარეო ვალმა 25.2 მლრდ აშშ $ (70.7 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2024 წლის საქართველოს მშპ-ის 74.5 %-ია. შედარებისთვის, 2023 წლის ბოლოს მაჩვენებელი 24.2 მლრდ აშშ $-ს გაუტოლდა (65 მლრდ ლარი ძველი კურსით), რაც ამავე წლის მშპ-ის 79.2 % იყო. შესაბამისად, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი წლიურ ჭრილში 4.13 %-ით გაიზარდა.

ამავდროულად, სახელმწიფო საგარეო ვალმა 10.8 მლრდ აშშ $ (30.4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ის 32.1 %-ია. 2023 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 11.2 მლრდ აშშ $-ს გაუტოლდა (30.2 მლრდ ლარი ძველი კურსით). აქედან სამთავრობო სექტორის ვალი 8.4 მლრდ აშშ $-ია (23.5 მლრდ ლარი; მშპ-ის 24.8 %), სებ-ის ვალდებულებები – 811.6 მლნ აშშ $ (2.3 მლრდ ლარი; მშპ-ის 2.4 %), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 439.6 მლნ აშშ $ (1.2 მლრდ ლარი; მშპ-ის 1.3 %) და 1.2 მლრდ აშშ $ (3.5 მლრდ ლარი; მშპ-ის 3.6 %).

ამავე პერიოდში, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 12.3 მლრდ აშშ $ (34.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2024 წლის მშპ-ის 36.4 %-ია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 6.4 მლრდ აშშ $-ია (18.0 მლრდ ლარი), რაც მშპ-ის 18.9 %-ია.

2025 წლის 31 ივლისის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB/), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB/) და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD/). სახელდობრ, აზიის განვითარების ბანკი (ADB) – 2.438 მლრდ $, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) – 1.733 მლრდ $, ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) – 1.180 მლრდ $, მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA/) – 438.4 მლნ $, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF/) − 165.9 მლნ $, ამასთან, საქართველოს მთავრობას ვალი აქვს საფრანგეთის − 844 მლნ $; გერმანიის − 586 მლნ $; იაპონიის − 120.9 მლნ $ და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობას მეზობელი ქვეყნების 6.237 მლნ $-ის ვალი აქვს, კერძოდ: რუსეთის − 3.997 მლნ $, თურქეთის − 1.139 მლნ $, აზერბაიჯანის − 585 ათასი $, სომხეთის − 516 ათასი $ [17, 18].

საქსტატის ინფორმაციით, 2024 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წელთან შედარებით 2.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.4 % შეადგინა.

2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც მთლიანი შემოსავლების, ასევე მთლიანი სახსრების მიხედვით, შემცირდა 0.02-ით და 0.35 შეადგინა, ხოლო მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების და მთლიანი ხარჯების მიხედვით არ შეცვლილა და შესაბამისად 0.36 და 0.40 შეადგინა [19, 20].

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ობიექტია „თი-ბი-სი“ ბანკის ახალი ბიზნესცენტრის კომპლექსი ლისზე. მისი მშენებლობა 8,7 ჰა ტერიტორიაზე 2018 წელს დაიწყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზისა და მათ შორის პანდემიის გამო საკმაოდ გაჭიანურდა. ნიდერლანდელი არქიტექტორის ფრანც ვან ვუორის მიერ დაპროექტებული ეს უნიკალური კომპლექსი, რომელიც შატილის კოშკების ნახვით მიღებული შთაბეჭდილების შედეგად არის შექნილი, თბილისის თითქმის ყველა კუთხიდან ჩანს. ის გაშენებულია ლისის ტბის მიმდებარე მთის ბორცვზე და სრულიად განხვავებულია საქართველოში აქამდე დაპროექტებულ და აშენებულ შენობებს შორის. კომპლექის საერთო ფართობი 70000 მ^2-ია. პირველი ორი სართული მთლიანად დათმობილი აქვს დახურულ ავტოსადგომს 500 ავტომობილზე. აღსანიშნავია, რომ პარკინგის სიმაღლის მაქსიმალური გამოყენების მიზნით გადახურვის ფილები დაყრდნობილია რთული მოხაზულობის მქონე კაპიტელებზე, რომლებიც ძალიან ეფექტურს ხდის ამ ორსართულიანი სივრცის ათვისებას. პარკინგის ზედა ფილის მარჯვენა კუთხეში აგებულია მთლიანად შემინული ბიზნესცენტრის მაღლივი კარკასული შენობა, დახრილი მონოლითური რკინაბეტონის სვეტებით, რომელიც შენობას კოშკის ანუ წაკვეთილი პირამიდის სახეს ანიჭებს. ტერიტორიის მარცხენა კუთხე დათმობილი აქვს ე.წ. ინოვაციების ლაბორატორიას (კვლევისა და ახალი იდეების ცენტრს). დანარჩენი ნაწილი კი კულტურულ ცენტრს წარმოადგენს (სავაჭრო დაწესებულებები, სასტუმრო, რესტორნები, კაფეები, ბარები, დასვენებისა და გართობის სივრცეები, გამწვანება). უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ავტორის აუცილებელი მოთხოვნა იყო არქიტექტურული ბეტონის გამოყენება ანუ მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოების ისეთ მაღალ დონეზე შესრულება, რომ მოპირკეთების სამუშაოების ჩატარება საჭირო არ გამხდარიყო. ამ მიზნით, მშენებელმა კომპანიამ „დომუსმა“ პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმა მსოფლიოში ცნობილ კომპანია „დოკასთან“ თანამედროვე ყალიბების მოწოდებაზე და წარმატებით გადაწყვიტა ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. რაც შეეხება მშენებლობის ვადების ზემოთაღნიშნულ გაჭიანურებას, ერთ-ერთი მიზეზი გახდა ასევე მშენებლობის დაწყების შემდეგ მიმდებარე ფერდობზე მეწყრული მოვლენების განვითარება. მართალია ის უშუალოდ განაშენიანების ტერიტორიას არ უქმნის საფრთხეს, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით საჭირო გახდა სხვადასხვა ტიპის ფერდობის გამაგრების სამუშაოების ჩატარება და მონოლითური რკინაბეტონის დამცავი საყრდენი კედლების აგება. შესაბამისად შეიცვალა მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობის თავდაპირველი ვარიანტი.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის რელიეფიდან გამომდინარე, მის ცენტრალურ ნაწილში მშენებლობისათვის საჭირო მიწის ფართობების არარსებობის გამო ინტენსიურად მიმდინარეობს ლისის ტბის მიმდებარე ფერდობის ათვისება, რომელიც ზემოხსენებული მეწყრული მოვლენების განვითარების საშიშროების გამო წინასწარ საჭიროებს გამაგრების ფართომასშტაბიან სამუშაოებს. გასულ წელს ერთ-ერთი ასეთი ძალიან საინტერესო და ყოვლისმომცველი გამაგრების მონოლითური რკინაბეტონი სისტემა აიგო ელგუჯა ამაშუკელი ქუჩის 11-ში შპს „დაგის“ მიერ მულტიფუნქციური ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე. ფერდობის გამაგრება ითვალისწინებდა კლდოვანი გრუნტის ციცაბო ფერდობზე ბურღტენილი ხიმინჯებისაგან მაღალი კედლის მოწყობას, რომელიც დამატებით გრუნტული ანკერების გამოყენებით ჩამაგრებულია აღნიშნულ ფერდობში. ამ ტიპის გამაგრების მოწყობით შესაძლებელი გახდა სამშენებლო სამუშაოები დაწყება და მათი უსაფრთხოდ წარმოება. კომპლექსური ტიპის გამაგრების აღნიშნული სისტემა ერთ-ერთი გამორჩეულია, რადგანაც მანამდე ბევრ ადგილას გამაგრებები ძირითადად კეთდებოდა მხოლოდ გრუნტული ანკერების გამოყენებით ან მხოლოდ ბურღტენილი ხიმინჯების ან მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლების სახით. ამ შემთხვევაში კი ფერდობი გამაგრდა მათი ერთობლივი მუშაობის გათვალისწინებით.

ქალაქში სამშენებლო ტერიტორიების დეფიციტის არსებობის პირობებში ბევრგან მშენებლობა მიმდინარეობს ყოფილი საწარმოო შენობებისა და ფაბრიკა-ქარხნების ადგილას, რომლებმაც დიდი ხანია მუშაობა შეწყვიტეს. ასეთ შემთვევებში უკვე სრულიად სხვა სახის პრობლემები ჩნდება. მაგალითად, ავჭალაში ამჟამინდელ ე. ანდრონიკაშვილის ქუჩაზე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთმანეთის გვერდით მრავალი ლითონდამამუშავებელი და ლითონჩამოსასხმელი საამქრო ფუნქციონირებდა. ისინი იმდენად აბინძურებდა გარემოს და მუდმივად ისეთი მყრალი სუნი იდგა, რომ ახლომახლო ტერიტორიაზე მოსახლეობა ვერ სახლდებოდა. უკანაკნელი 20-30 წლის განმავლობაში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ინდივიდუალური სახლების მშენებლობასთან ერთად დაიწყო ყოფილი საწარმოების ტერიტორიაზე საზოგადოებრივი და სასაწყობო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. ერთ-ერთი ასეთია „ტოიოტა კავკასიის“ საწყობი, რომლის მშენებლობა ამ ცნობილი იაპონური კომპანიის დაფინანებით განხორციელდა. ალუკაბონდით მოპირკეთებული, ლოჯისტიკის თანამედროვე მოთხოვნების სრული დაცვით აშენებული სასაწყობო შენობა ამ ქუჩის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად გადაიქცა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მის მშენებლობასთან დაკავშირებული სირთულეები. კერძოდ, მშენებლობის დაწყებამდე ძალიან ძველი ლითონჩამოსასხმელი საამქროს ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისას არ იყო გათვალისწინებული ჩამოსხმული ლითონის გასაცივებელი აუზების ქვის საძირკვლები, რომელთა ამოღებისა და ტერიტორიიდან გატანის შემდეგ, თითქმის ორჯერ გაიზარდა საძირკვლის მოსაწყობად საჭირო ფუძის მოსამზადებელი ბალასტის ფენის სიმაღლე, რომელმაც საბოლოოდ 2,8 მეტრი შეადგინა და რამდენიმე ათასი კუბური მეტრი ბალასტი დამატებით გახდა შემოსატანი.

ამ შემთხვევისგან განსხვავებით არავითარი პრობლემა არ წამოჭრილა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გალაკტიონის ხიდთან, დ. აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ნარკოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე საქართველოში წარმატებულად მოღვაწე აზერბაიჯანული პაშა-ბანკის საოფისე შენობისა და სასტუმროს მშენებლობათან დაკავშირებით. ახალ შენობებთან ერთად ამ ძველ უბანს კარგად გამწვანებული ტერიტორიაც შეემატება, რომლის დენდროლოგიური პროექტი

საკმაოდ იმედის მომცემია. მშენებლობის დასრულება 2026 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. აქვე აუცილებალდ უნდა აღინიშნოს, რომ საოფისე შენობის აგებისას საქართველოში პირველად განხორციელდა მშენებლობის წარმოების პროცესში წინაწარდაძაბული მონოლითური რკინაბეტონის კონსოლური სართულის ადგილზე მოწყობა. აღნიშნული ტექნოლოგიით რკინაბეტონის კონსოლური ელემენტების წინასწარი დაძაბვა მოხდა სპეციალური დამჭიმავი მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც ამწის კაკვზე მარტივად ეკიდება. აღნიშნული მეთოდით სამშენებლო მოედანზე რკინაბეტონის წინასწარი დაძაბვის სამუშაობს მსოფლიო მასშტაბით აწარმოებს ფრანგული ფირმა „ფრეისინე“, რომლის აზერბაიჯანში არსებულმა ფილიალმა წარმატებით შეასრულა ეს სამუშაო. კონსოლზე გათვალისწინებულია 7 სართულის დაშენება და, რაც მთავარია, კონსოლი ქმნის დიდ სივრცეს პირველ სართულზე, რომელიც ფართობის ეკონომიას აკეთებს საკმაოდ შეზღუდულ სამშენებლო ტერიტორიაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თემქის დაახლებაში შარშანწინ დასრულებული 138-ე საჯარო სკოლის ახალი შენობის ფასადის გაფორმება. სამსართულიანი რკინაბეტონის კარკასული შენობა მართალია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტიპური პროექტის მიხედვით არის აგებული, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა გამოწვეულია თავისებური, ყველა სხვა შენობებისაგან განხვავებული მოპირკეთებით. მოპირკეთებისათვის გამოყენებული იყო კომპოზიტური ფილები, რომლებიც ვენტილირებადი ფასადების მოსაწყობად ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხოვანი მასალაა. უფრო მეტიც, გერმანული წარმოების სხვადასხვა ფერის ასეთი ფილების გამოყენებით შენობის ფასადურ ნაწილებზე გაკეთდა მხატვრული პანოები, რომლებმაც არა მარტო სკოლის შენობა გახადა უფრო მიმზიდველი, არამედ გამოაცოცხლა სკოლის გარშემო ერთი ტიპისა და ერთფეროვანი საცხოვრებელი სახლებით გადატვირთული გარემო. იმედია ასეთი მიდგომა სისტემატურ ხასიათს მიიღებს და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დროს ფასადების მოსაწყობად უფრო ხშირად იქნება გამოყენებული მხატვრულ-დეკორატიული ახალი ელემენტები. სამწუხაროდ, ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა და დიდი დაკვირვება არ უნდა იმ ფაქტს, რომ ახალი შენობების უმრავლეობის ფასადები შემინულია და ეს ტენდენცია, რბილად რომ ვთქვათ, მოსაბეზრებელი გახდა. ამ მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ქალაქის მერიამ ყოველი ახალი ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს აუცილებლად უნდა მოითხოვოს ფასადების მოპირკეთება სხვადახვა სახის მხატვრული ელემენტების გათვალისწინებით.

ბოლოს აუცილებლად უნდა ითქვას ყოველმხრივ უნიკალური „სიტიზენ ცენტრალ პარკის“ პროექტის მიმდინარეობაზე. აღნიშნული დასახლება თავისი ჩანაფიქრით ერთგვარ პატარა ქალაქს წარმოადგენს ქალაქის ცენტრში. ის დასავლური სტანდარტებისა და სივრცითი მოწყობის თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრების პირველი მცდელობაა თბილისში. 46000 $მ^2$ ტერიტორიაზე, რომლის ზუსტად ნახევარი რეკრეაციული ზონის მოწყობას ეთმობა, მულტიფუნქციური უნიკალური კომპლექსის შესაქმნელად გათვალიწინებულია 4 მრავალსართულიანი, სრულიად განსხვავებული პროექტის მქონე საცხოვრებელი სახლის აშენება, მათ გარშემო ქალაქისათვის საჭირო ყველა ინფრატრუქტურული ობიექტებით, გამწვანებით, საკუთარი ტბით, შადრევანებითა და დასვენებისა და გართობისათვის გამოყოფილი სივრცეებით. რაც მთავარია, პროექტის მშვენებას წარმოადგენს 44-სართულიანი ცათამბჯენი, საფეხუროვანი, ტერასული და გამწვანებული ქვედა სართულებით, რომელიც სიმაღლით თბილისში შეიძლება პირველიც კი გახდეს მისი მშენებლობის

დასრულების შემდეგ. ცათამბჯენი დაპროექტებულია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორის ზაჰა ჰადიდის მიერ დაარსებული საპროექტო კომპანიის მიერ. ეს ამ კომპანიის მიერ ამიერკავკასიაში განხორციელებული შენობის პირველი პროექტი გახდება, რადგანაც აქამდე მხოლოდ ბაქოში იყო მათ მიერ დაპროექტებული ჰეიდარ ალიევის მემორიალური კომპლექსი. სიტიზენის პროექტი იმითაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ამ ადგილას უმოქმედოდ იდგა ყოფილი საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ძალიან უსახური შენობა. პროექტის რეალიზაციის დაწყების შემდეგ ძალიან სწრაფად, დაახლოებით 1 წელიწადში მოხდა არსებული შენობის დემონტაჟი, ნაცვლად წინასწარ დაგეგმილი ორწლიანი ვადისა. სწრაფადვე დაიწყო ყველა ობიექტის ერთდროული მშენებლობა. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მომავალი წლის დეკემბერში დასრულდება. ამ დროისთვის დასრულდება ასევე ცათამბჯენის რკინაბეტონის კარკასის აგებაც, რომლის ექსპლუატაციაში გადაცემა 2028 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

დასკვნა

1. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში, თბილისის მასშტაბით განხორციელებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების დიდი უმრავლესობა, მიუხედავად იმისა ისინი დაპროექტებულია ადგილობრივი თუ უცხოელი არქიტექტორების მიერ, გამოირჩევა თავისი ორგინალური არქიტექტურულ-კონტრუქციული გადაწყვეტით და დიდ როლს თამაშობს განსაკუთრებით ქალაქის ძველ და ერთფეროვან უბნებში თანამედროვე არქიტექტურის ელემენტების შეტანაში;

2. თბილისის ცენტრალურ ნაწილში ახალი მშენებლობების წარმოებისათვის საჭირო თავისუფალი ტერიტორიების არარსებობის გამო, განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება ამ მიზნით ქალაქის გარშემო არსებული ფერდობების ათვისება. ამ მხრივ გამორჩეულია ლისის ტბასთან არსებული ფერდობი, სადაც საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად დიდი ტემპით მიმდინარეობს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. ამასთან თითოეულ მათგანზე სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია ფერდობის გამაგრების სამუშაოების შესრულება მეწყრული პროცესების გამოსარიცხად.

3. თბილისის ნებისმიერ უბანში ახალი მშენებლობის დაწყებისას და განსაკუთრებით საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობისას აუცილებელად უნდა იყოს გათვალისწინებული მათი ფასადების მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება პანოების ან სხვადასხვა მოსაპირკეთებელი ელემენტების გამოყენებით, რადგანაც ახალაშენებულ შენობათა დიდი უმრავლეობის ფასადები მთლიანად შემინულია და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ასეთი ფასადების არსებობა მოსაბეზრებელი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ქვარაია, გ. გრძელიშვილი. შენობის წინასწარდაძაბული კონსოლის მოწყობა. სტუ შრომები, თბილისი. N4(538), 2025;

2. ი. ქვარაია, ს. გაგუა. ფერდობების გამაგრების რთული სისტემების მოწყობის მაგალითი. სტუ შრომები, თბილისი. N4(538), 2025;

3. I. Kvaraia. The Process of Building Steel Pavilions For Film And TV Shooting. The 4th International Conference “Problems of Engineering Sciences”.Batumi.2024;

4. ი. ქვარაია. კომბინირებული კარკასული შენობის აგების პროცესი. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2023;

5. ი. ქვარაია. სამშენებლო პრაქტიკის ორგანიზაცია. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2023;

6. I. Kvaraia. The Artistic Decoration of The Building Wit Wall Panels BUILDING. Sientific-Technical Journal N4(68), 2023;

7. ი. ქვარაია. დამატებითი კონსტრუქციული ელემენტების მონტაჟი ლითონის კარკასის აგებისას. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N 1 (61). თბილისი, 2022;

8. ი. ქვარაია. კომბინირებული კარკასული შენობის აგების ტექნოლოგიური თავისებურება. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, N 1 (57). თბილისი, 2021;

9. ი. ქვარაია. ძველი ქარხნის ადგილას ახალი შენობის აგებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის მაგალითი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N 3 (56). თბილისი, 2020;

10. ი. ქვარაია. პანდემიის პერიოდში სამშენებლო სფეროში წარმოქმნილი ძირითადი პრობლემები. თსუ. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მოხსენებათა კრებული. თბილისი. 2020.

Irakli Kvaraia

ABOUT SEVERAL IMPORTANT CONSTRUCTION PROJECTS IN TBILISI

Summary

Tbilisi, as the capital of Georgia, has always been distinguished by the scale of construction. But after Georgia gained independence, no construction work was carried out for a long time. With the advent of the new century, the process of residential construction, which was very profitable from a commercial point of view, began again in Tbilisi, and no attention was paid to the construction of other types of facilities. Fortunately, this trend has changed in recent years, and quite a few original public buildings have been added to the capital, of which we will focus on only a few.

Among the latest buildings built in Tbilisi, the new complex of the Georgian State Broadcasting Company, completed last year, should be noted first. It is unique in its architectural solution and has already gained international recognition. The most important is the separate building of the TV and film filming pavilions with dimensions of 95,0 X 35,0 meters, where there are four pavilions of different sizes, completely independent and isolated in all respects, where any kind of filming can be carried out.

The second no less important object is the new business center complex of the "TBC" bank on Lisi. It is built on a mountain hill adjacent to Lake Lisi and is completely different from the buildings designed and built in Georgia so far. The total area of the complex is 70,000 m^2. The first two floors are completely given over to a closed parking lot. Above it is built a completely glazed frame building of a high-rise business center, with inclined monolithic reinforced concrete columns. It should be noted that the author of the project made it a requirement to use architectural concrete, that is, to perform monolithic reinforced concrete works at such a high level that it would not be necessary to carry out facing works. It should also be noted that when developing the slope adjacent to Lake Lisi, it is necessary to carry out large-scale reinforcement works due to the danger of landslides.

Due to the lack of construction areas in the central part of the city, construction is underway in many places on the territory of former industrial buildings and factories. For example, a Toyota Caucasus warehouse was built in Avchala, the construction of which was carried out with the financing of this famous Japanese company. The warehouse building, lined with aluminum alloy and built in full compliance with modern logistics requirements, has become one of the landmarks of this street. Also, in the old district of Tbilisi, on the left bank of the Mtkvari, near the Galaktioni Bridge, the construction of an office building and a guest house of the Azerbaijani Pasha Bank is underway, where a 9-meter cantilever section of reinforced concrete was pre-stressed during the construction process, which contributed to the saving of a large area on the first floor. Temka also belongs to the old district, where the construction of the new building of Public School No. 138 was completed the year before last. Its main landmark is the decoration of the facade with composite tiles of different colors, which is one of the rare exceptions, since the facades of all new buildings are glazed, and this trend is quite common. It became boring. The original decoration of the facade of the school building made it more attractive and enlivened the environment around it, overloaded with one-type and monotonous houses.

Finally, it is necessary to mention the unique Citizen project. The mentioned settlement, by its design, represents a kind of small city with all the necessary infrastructural elements in the city center, with 4 multi-storey residential buildings of completely different designs and a 44-storey skyscraper, which was designed by the design company founded by one of the most famous architects in the world, Zaha Hadid. Its first stage is planned to be completed by the end of 2026.

ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური

სურსათის უვნებლობის ზოგიერთი ასპექტი ტურიზმში (საქართველო)

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა სურსათის უვნებლობა ტურიზმში. ნაშრომში ავტორი აღნიშნავს ტურიზმის უდიდეს მნიშვნელობას ეკონომიკის განვითარებაში, აქვე კარგადაა განხილული სურსათის უვნებლობისა და უზრუნველყოფის საკითხები. იგი მიუთითებს იმ პრობლემებზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დარგის განვითარებას, მათ შორის საქართველოშიც. ნაშრომში მოტანილია საინტერესო მასალები სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, მოყვანილია ციფრობივი მასალა, განხილულია ასევე ის გლობალური გამოწვევები და სასურსათო რისკები, რომლებიც ჩნდება სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის გზაზე.*

საკვანძო სიტყვები: *სურსათის უვნებლობა, საერთაშორისო სტანდარტები, რეგულაციები, სასურსათო რისკები, ავადობები.*

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი და შემოსავლიანი ეკონომიკური დარგია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც გლობალური, ისე რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში. მისი წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მომსახურების სფეროს ხარისხზე და განვითარებაზე. ტურმომსახურების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკვები და მისი უვნებლობა, რაც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ტურისტებისთვის, განსაკუთრებით უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას, საკვების ხარისხი და უსაფრთხოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე — იქნება ეს სასტუმროს შერჩევა, მოგზაურობის დროს კულინარიული ტურის დაგეგმვა, ადგილობრივი

გასტრონომიული დელიკატესების დაგემოვნება, თუ კვების ობიექტის რეიტინგზე დაფუძნებული არჩევანი.

ბოლო წლებში ტურისტები უფრო მეტად ითხოვენ უსაფრთხო და ხარისხიან საკვებს, რის გამოც სასურსათო უვნებლობა იქცა ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. იმ ქვეყნებში, სადაც კვების ჰიგიენის სტანდარტები მკაცრად კონტროლდება, ტურიზმის მაჩვენებლები როგორც წესი სტაბილურად იზრდება.

მსოფლიოში არსებობს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მრავალი სტანდარტი და რეგულაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამართლებრივი რეგულაციები შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, ისინი ყველა საერთო მიზანს ისახავს: ხარისხის უზრუნველყოფა და გარკვეული რისკების თავიდან აცილება. სურსათის უვნებლობის ზოგადი რეგულაციები ეფუძნება რისკების შეფასების წინა პროცესებით გამოვლენილ საფრთხეებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2014 წლის განმარტების თანახმად, სურსათის უვნებლობა ნიშნავს, რომ საკვების მოხმარება არ გამოიწვევს დაავადებას. დაავადების განმარტება აღსაწერად რთულია, რადგან შესაძლო სიმპტომები და რისკები განსხვავებულია ადამიანებს შორის. ამიტომ, უმჯობესია ფოკუსირება მოსალოდნელ საფრთხეებზე და მათი წარმოშობის შესაძლებლობების მინიმიზაციისკენ.

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის თანამშრომლობითი საერთაშორისო ძალისხმევა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. ერთიანი სურსათის უვნებლობის სტანდარტები დაადგინეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) 1960-იან წლებში. დაარსების დღიდან, Codex Alimentarius-ის ((ლათინურად „საკვების კოდექსი“) საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების, პრაქტიკის კოდექსების, სახელმძღვანელო პრინციპების და სხვა რეკომენდაციების კრებული, საკვების წარმოებასთან, საკვების ეტიკეტირებასთან და საკვების უვნებლობასთან დაკავშირებით) კომისიამ შექმნა 40-ზე მეტი ქვეკომიტეტი, რომლებიც მუშაობენ სურსათის პროდუქტებთან და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში რეგულაციების ჰარმონიზაციაზე. კოდექსში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკაა. საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეიქმნა რამდენიმე საინფორმაციო დოკუმენტი. ისეთი სახელმძღვანელო პრინციპები, როგორიცაა „მწვანე“ წიგნი, სურსათის უვნებლობის შესახებ; „თეთრი“ წიგნი ან ევროკომისიის რეგულაცია 178/20024, შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სურსათისა და ცხოველის საკვების მრეწველობის პროდუქტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ. საერთაშორისო სტანდარტებია: HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) – რისკების იდენტიფიკაცია და კონტროლი საკვების ჯაჭვის ყველა ეტაპზე; ISO 22000 – აერთიანებს HACCP პრინციპებსა და მართვის სისტემის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს საკვების უსაფრთხოების საერთაშორისო აღიარებას; ტურისტულ ინდუსტრიაში მოქმედი მაღალი ხარისხის სასურსათო უსაფრთხოების სტანდარტები — როგორიცაა Codex Alimentarius-ის რეკომენდაციები და ISO 22000 სერტიფიკაცია — ქმნის ნდობას საერთაშორისო ვიზიტორებში. ტურიზმის სფეროში ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან საკვები პირდაპირ უკავშირდება ტურისტის შთაბეჭდილებებს, კმაყოფილებასა და უსაფრთხოებას. ბევრ წარმატებულ ტურისტულ ქვეყანაში, მაგ., იტალიაში, იაპონიასა და ავსტრალიაში, საკვების უვნებლობის მართვა

განიხილება როგორც ტურისტული პროდუქტის განუყოფელი ნაწილი, რაც ზრდის ვიზიტორთა კმაყოფილებასა და დაბრუნების ალბათობას.

ცნობილია, რომ კვება პირდაპირ კავშირშია როგორც ინდივიდის, ასევე მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობასთან. ამიტომ, 2500 წლის წინ ძველი ბერძენი მკურნალის ჰიპოკრატეს მიერ ნათქვამი ფრაზა: „შენ ხარ ის, რასაც ჭამ“, დღესაც აქტუალურია. დღისათვის მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანსაღი კვების მნიშვნელობა და ჯანსაღი საკვები პროდუქტები ბაზრის 1/3-ს იკავებს. ბაზარზე საკვები პროდუქტების არჩევის ტრადიციული კრიტერიუმებია არა მხოლოდ ფასი, გემო, ხარისხი, არამედ ჯანსაღი კვება, კერძოდ, პროდუქტების ბუნებრივი შემადგენლობა.

ჯანსაღი კვება და სურსათის მოხმარება ტურიზმის განუყოფელი ნაწილია და მისი ეკონომიკური გავლენა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს არა მხოლოდ იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც უშუალოდ ამარაგებენ ტურისტებს საკვებით (მაგ., სასტუმროები, რესტორნები, კაფე-ბარები, სწრაფი კვების ობიექტები, სასდილოები და ატრაქციონები და სხვ.), არამედ შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა იქონიოს მთელ სურსათის მიწოდების ჯაჭვზე. სურსათის უვნებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვების ჯაჭვის ყველა ეტაპზე - წარმოებიდან მოსავლის აღებამდე, გადამუშავებამდე, შენახვამდე და დისტრიბუციამდე, მომზადებამდე და მოხმარებამდე. სასურსათო უვნებლობა გულისხმობს ისეთი საკვების წარმოებას, გადამუშავებასა და მიწოდებას, რომელიც არ შეიცავს ჯანმრთელობისთვის მავნე ბაქტერიებს, ვირუსებს, ტოქსინებს ან სხვა დამაბინძურებელ ფაქტორებს, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა და აკმაყოფილებს ჰიგიენურ, ტექნოლოგიურ და ხარისხობრივ სტანდარტებს.

ზოგადად, ადგილობრივი მოსახლეობაც ადგილობრივი საკვების ისეთივე მომხმარებელია, როგორც ტურისტები, ამიტომ, აუცილებელია საკვებსა და უვნებლობას შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების გარკვევა. პირველ რიგში, საკვები შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ, თუ ის სწორად არის წარმოებული და დამუშავებული ტექნოლოგიური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. მეორეც, სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ შესაბამისი ტექნოლოგიების მიუხედავად, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ ნედლი საკვები შეიცავდეს გამოუვლენელ დამაბინძურებლებს, პათოგენებს ან სხვა. ამ ორი კონცეფციის საფუძველზე, შეგვიძლია ვისაუბროთ სურსათის უვნებლობისა და რაც შეიძლება უსაფრთხო საკვების სფეროზე.

ტურიზმში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე ზოგადი ასპექტი:

• **ნედლეულის ხარისხის კონტროლი.** ნედლეულის შემოწმების აუცილებლობა, რათა პროდუქტებში არ მოხვდეს საშიში ქიმიკატები, როგორიცაა პესტიციდები, ნიტრატები და მძიმე მეტალები. ასევე მნიშვნელოვანია ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვის უზრუნველყოფა;

• **კვების ორგანიზაციის პროცესის კონტროლი.** ტურისტულ კომპლექსებში საკვები ყველა ეტაპზე უნდა მოწმდებოდეს და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

• **ცოდნის დონის ამაღლება**. ამ სფეროს მუშაკებს უნდა ჰქონდეთ განათლება კვების სერვისის სავალდებულო მოთხოვნებისა და რეკომენდებული პრაქტიკის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკვების უვნებლობა;

• **ადგილობრივი საკვები წყაროების გამოყენება.** ტურისტულ-გასართობი კომპლექსების ნორმალური ფუნქციონირების, მაღალი ხარისხისა და შედარებით დაბალი ფასის სურსათით უზრუნველსაყოფად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენებას.

აღსანიშნავია რომ, ჩვენი ქვეყანა ახლახან დაადგა ჯანსაღი კვების განვითარების გზას. ამჟამად, საქართველოს ბაზარს ამ სფეროში მსხვილი მწარმოებლები არ ჰყავს; ის მხოლოდ მცირე მასშტაბის წარმოებას ეფუძნება (მარცვლეული, მცენარეული ნედლეულისგან მიღებული რძის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი).

კვების მომსახურების ორგანიზებაში, მათ შორის ტურისტულ ადგილებში, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის პრობლემა სახელმწიფო დონეზე სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიების მიღებით წყდება (მათ შორის საქართველოშიც). სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, სურსათის ნიმუშის აღება. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ინტეგრაციამ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, გახსნა საზღვრები საქონლისა და მომსახურებისთვის, გაზარდა ტექნოლოგიების, ნედლეულისა და საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული მასალების მრავალფეროვნება. თავის მხრივ, ამ პროცესმა გამოავლინა არაერთი გლობალური გამოწვევა. კერძოდ, გაჩნდა ვაჭრობის პრაქტიკულად უკონტროლო ფორმების ფართო სპექტრი (მაგ., ელექტრონული), რამაც გამოიწვია მომხმარებელთა ჯანმრთელობისთვის ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური რისკების ფორმირება კვების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე. რასაც, თავის მხრივ, ადასტურებს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები, რომლებმაც აჩვენეს ბიოლოგიური და ტოქსიკური ქიმიური ელემენტების არსებობა სურსათის ნედლეულში ან ცალკეულ საკვებ პროდუქტებში. ამგვარად, ტექნოლოგიური პროცესის ან პერსონალის პირადი ჰიგიენის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტების ბიოლოგიური დაბინძურება, რაც იწვევს ინფექციურ და სომატურ დაავადებებს. საშიში ქიმიკატები, როგორიცაა პესტიციდები, ნიტრატები, მძიმე მეტალები და ა.შ., შეიძლება მოხვდეს საკვებ პროდუქტებში გარემოს, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად და გამოიწვიოს საჭმლის მომნელებელი, ნერვული, იმუნური სისტემების, სისხლის და ა.შ. პათოლოგიების განვითარება. ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, საკვებ პროდუქტებში ანტიბიოტიკების ნარჩენი რაოდენობა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ პრობლემად იქცა. სურსათის მოხმარებასთან დაკავშირებით ოპტიმალური ქცევის გარემოებები დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკურ, ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე. ადამიანის ორგანიზმის ყოველდღიური ფუნქციონირება მოითხოვს სწორ კვებას ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. სურსათის უვნებლობის ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეა: 1) ბიოლოგიური საფრთხეები: პათოგენების არსებობა და გავრცელება; 2) ქიმიური საფრთხეები: ტოქსიკური კომპონენტების არსებობა; 3) ფიზიკური საფრთხეები: უცხო სხეულების/კომპონენტების არსებობა; 4) სტიქიური უბედურებების შედეგები.

გლობალური ორგანიზაციების (მაგ.WHO, FAO, Codex Alimentarius) კვლევების მიხედვით, სასურსათო რისკები ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ბოლო მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი ავადდება საკვებით გამოწვეული დაავადებებით, რაც დაახლოებით 10%–ს შეადგენს

გლობალური მოსახლეობისა, ხოლო დაახლოებით 420 000 შემთხვევა სიკვდილით სრულდება. ამ შემთხვევების დაახლოებით 7% პირდაპირ კავშირშია ტურისტულ გადაადგილებასთან (იხ. ცხრილი). აქედან გამომდინარე ტურისტულ ინდუსტრიაში გაჩნდა მკაფიო სტანდარტების, პრევენციული მექანიზმების და განათლების სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

ცხრილი

სასურსათო დაავადებების შემთხვევები და სიკვდილიანობა (2022–2024 მონაცემები)

რეგიონი/ქვეყნები	წლიური შემთხვევები	სიკვდილიანობა	წყარო
მსოფლიო	600 მილიონი	420 000 (0.07%)	WHO, World Health Organization 2023
საქართველო	40 000	<0.1% (რამდენიმე შემთხვევა წელიწადში)	NCDC, national center for disease control and public health 2022–2023
აშშ	48 მილიონი	3 000 (0.006%)	CDC, Centers for Disease Control and Prevention, 2023
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	150 მილიონი	175 000	WHO 2024
აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვისპირეთი	100 მილიონზე მეტი	37 000	EMRO, Eastern Mediterranean Regional Office

WHO-ის (World Health Organization, ჯანმო) მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით პრობლემა მძიმეა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საკვების უვნებლობით გამოწვეული ავადმყოფობებით 150 მილიონი ადამიანიდან 60 მილიონზე მეტი 5 წლამდე ბავშვია და მათგან 50 000-მდე იღუპება; აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთში ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტი დაავადებული ადამიანიდან 32 მილიონზე მეტი 5 წლამდე ბავშვებია (EMRO-Eastern Mediterranean Regional Office (WHO-ს (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის) აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონული ოფისი.) საქართველოში ჰოსპიტალიზაციის დონე დაახლოებით 10–15%-ია, ანუ 4,000–6,000 მძიმე შემთხვევა, მაგრამ სიკვდილიანობა - იშვიათი. აშშ-ში შემთხვევები დაახლოებით 6-ჯერ მეტია მოსახლეობასთან მიმართებით, ვიდრე საქართველოში, მაგრამ სიკვდილიანობა დაბალია, რაც უკავშირდება ძლიერ მონიტორინგსა და სამედიცინო სერვისებს. უვნებელი საკვების გამო განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად 110 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება პროდუქტიულობასა და სამედიცინო ხარჯების სახით. საქართველოში საშუალო ჰოსპიტალიზაციის ხარჯი ერთ პაციენტზე დაახლოებით 1,000–1,500 ლარია (საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო (2021)). ტურისტებისთვის, სურსათით გამოწვეული დაავადება იწვევს გასტროენტეროლოგიურ ხარჯებს, მოგზაურობის გაუქმებას ან სერვისების შეზღუდვას.

ტურისტებისთვის საკვების უვნებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მოგზაურობისას მათ შესაძლოა მიირთვან ისეთი საკვები და ინგრედიენტები, რომელთა მიმართაც ტურისტები უფრო მგრძნობიარეები არიან, რადგან სხეულის რუტინული მიკრობიოტა განსხვავდება ადგილობრივი მიკრობიოტასგან, ხოლო დაბინძურებული ან არასათანადო პირობებში შენახულმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს მწვავე ინფექციები (სალმონელოზი, ეშერიხიოზი, ბოტულიზმი), რასაც შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოგზაურობის და ტურისტების რაოდენობის შემცირება, ასევე ნეგატიური მედია-განცხადებები და სოციალური ქსელის რეაქციები,

ეკონომიკური ზარალი ადგილობრივი ბიზნესისთვის (რესტორნები, სასტუმროები, კაფე-ბარები, პიცერიები და სხვა კვების ობიექტები). საკვებით გამოწვეული ინფექციების პათოგენებით ადამიანების ინფიცირების ძირითადი წყაროა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეული და საკვები პროდუქტები და, უპირველეს ყოვლისა, ის, რაც წარმოებულია ჰიგიენისა და ტექნოლოგიური რეჟიმების დარღვევით წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ამავდროულად, ადამიანების ინფიცირების ხელშემწყობი ფაქტორები ხშირად არის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევა ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, დამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს, ასევე ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმების გარეშე დარჩენილი მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციის დროს. საკვებით გამოწვეული დაავადებები არის დაავადებები, რომლებიც გამოწვეულია, როგორც წესი, ინფექციით ან მოწამვლით, რაც გამოწვეულია საკვების მიღების დროს პათოგენების ორგანიზმში შეღწევით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინვალიდობა და სიკვდილიც კი.

WHO და FAO-ის ერთობლივი რეკომენდაციები ხაზს უსვამს, რომ ტურიზმზე ორიენტირებულ ქვეყნებში საკვების ხარისხის მონიტორინგი უნდა იყოს ინტენსიური, განსაკუთრებით სეზონურ პიკებში, როდესაც ვიზიტორთა ნაკადი მნიშვნელოვნად დიდია და ჰიგიენურ ნორმებზე ზეწოლა კიდევ უფრო იმატებს, ზრდის ავადობის რისკებს.

საქართველოში სურსათის უვნებლობის სტანდარტები ძირითადად ევროკავშირის რეგულაციებით მოქმედებს და რეგულირდება (2005 წელს მიღებული ცვლილებებით) „სურსათის შესახებ საქართველოს კანონით“ და მასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტებით. ასევე საქართველოში მოქმედებს (2014 წელს მიღებული, შემდეგი ცვლილებებით), „სასურსათო/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ" კანონი, რომელიც ადგენს: სასურსათო ობიექტების სავალდებულო რეგისტრაციას, სანიტარული ნორმების დაცვას, კვების ობიექტებში პერსონალის ჰიგიენის წესებს. საქართველოს–ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება (2014) ავალდებულებს ქვეყანას ეტაპობრივად მოერგოს EU Regulation (EC) No 178/2002 ("General Food Law Regulation") და სხვა საკვები პროდუქტების უსაფრთხოების დოკუმენტებს. ძირითადი სტანდარტები და მოთხოვნებია: სურსათის მწარმოებლებს ევალებათ HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) სისტემის დანერგვა; მოქმედებს „ფერმიდან მაგიდამდე“ მიდგომა, ანუ მონიტორინგი მთელი ჯაჭვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მოქმედებს: 1) №301 (2010) – ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობის ტექნიკური რეგლამენტი. 2) №173 (2006) – სურსათში დანამატების გამოყენების წესები. 3) №420 (2014) – სურსათის ეტიკეტირების რეგლამენტი. 4) №419 (2014) – სურსათის ჰიგიენის რეგლამენტი.

კონტროლს და მონიტორინგს ახდენს საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო (Ministry of Environmental Protection and Agriculture, სეს), რომელიც ახორციელებს საგეგმო და არაგეგმურ ინსპექტირებებს, სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული შემოწმებას, სარეალიზაციო ობიექტების მონიტორინგი და ტრასაბილურობის (სურსათის გადაადგილების, წარმოების და მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპის მონიტორინგი და აღრიცხვის შესაძლებლობა) უზრუნველყოფას, და ასევე ეპიდაფეთქების დროს რეგიონის ჩაკეტვას ან პროდუქტის ამოღებას ბაზრიდან. აქვე გვინდა ავღნიშნოთ რომ, თბილისში გაიხსნა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ანალიტიკური ლაბორატორია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის შესაძლებლობას სწრაფად და სიზუსტით შეაფასოს სურსათის ხარისხი. მიღწევების მიუხედავად,

გამოწვევად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესების ჰიგიენური სტანდარტების სრული დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც კონტროლი შედარებით სუსტია, განსაკუთრებით სეზონურად მოქმედ ობიექტებში. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლიდან კანონმდებლობა გამკაცრდა, პრაქტიკაში ყველა ობიექტზე არ ხდება რეგულარული მონიტორინგი; მცირე საწარმოები ხშირ შემთხვევაში შემოწმების გარეშე მუშაობენ; ასევე მცირე საწარმოები და საოჯახო ობიექტები ყოველთვის არ იცავენ სურსათის დამუშავებისა და შენახვის საერთაშორისო სტანდარტებს; ხშირია პრობლემები ტემპერატურული რეჟიმების დაუცველობის გამო (გაყინვა-გაგრილების დარღვევა); მზარდი ტურისტული ნაკადი მოითხოვს სწრაფ მომსახურებას, რის გამოც პოპულარული ხდება ქუჩის საკვები და ქუჩის არასანიტარული გარემო კი ქმნის მაღალი რისკის წყაროს; ზოგ რეგიონში სასმელი წყლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს სრულად საერთაშორისო მოთხოვნებს; ტურისტულ ზონებში ინფრასტრუქტურის სწრაფმა ზრდამ შეამცირა კონტროლის ხარისხი; მომხმარებლის და ტურისტების დაბალი ინფორმირებულობა საკვების სწორად შენახვისა და მომზადების წესებზე და მათი ქცევებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ავადობის მაჩვენებლის ზრდაში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში სასურსათო უვნებლობის შესახებ სრულყოფილი და რეგულარული სტატისტიკური მონაცემები შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი. ოფიციალური უწყებების ანგარიშები და მედიის ცნობები ხშირად იძლევა მხოლოდ ზოგად ინფორმაციას, რაც ართულებს ზუსტი სურათის მიღებას საკვებით გამოწვეული ავადობების სტატისტიკაზე, ინფორმაციის სიმცირე კი შეიძლება დაბრკოლებად იქცეს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის ნდობის ზრდაში. ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც დიდწილად დამოკიდებულია სურსათის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, შეიძლება დაზარალდეს სურსათით გამოწვეული დაავადებების შედეგად: ავადობის შემთხვევები ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს; ქვეყანის „არასაიმედო საკვების“ მქონე მიმართულების სიაში მოხვედრა განაპირობებს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალის შემცირებას; ტურისტული ნაკადების შემცირება ინციდენტების შემდეგ; გამოიწვიოს ბრენდის დაზიანება (სასტუმრო, რესტორანი, რეგიონი); გაიზარდოს ფინანსური დანაკარგები (კომპენსაციები, ჯარიმები); მოხდეს ონლაინ რეიტინგების ვარდნა TripAdvisor, Booking და Google Reviews-ზე და სხვ..

დასკვნა

დასასრულს გვინდა ავღნიშნოთ, რომ სასურსათო უვნებლობა ტურიზმის სფეროში წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტების ჯანმრთელობაზე, ქვეყნის იმიჯზე და ეკონომიკურ მდგრადობაზე. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტიანი მენეჯმენტი მოითხოვს სისტემურ მიდგომას: მკაცრ რეგულაციებს, ბიზნესის პასუხისმგებლობას და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებას.

საკვები პროდუქტების სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა გულისხმობს ხარისხის კონტროლის ზომების ერთობლიობას არა მხოლოდ ნედლეულის გადამუშავების ეტაპზე, არამედ წარმოების ეტაპზეც. ამავდროულად, ტურისტულ კომპლექსებში კვების ორგანიზების პროცესი ასევე უნდა კონტროლდებოდეს თითოეულ ეტაპზე და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. სურსათის უვნებლობის უხარისხო კონტროლი ქვეყნის ეკონომიკას აზარალებს. მაგალითად, ხდება რესტორნების დახურვა, მატულობს სამართლებრივი სარჩელები, ხდება

სარგებლის დაკარგვა საერთაშორისო ვიზიტორებისგან. ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც დიდწილად დამოკიდებულია სურსათის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, შეიძლება დაზარალდეს სურსათით გამოწვეული დაავადებების შედეგად, ავადობის მაღალი მაჩვენებლები კი აფერხებს ტურიზმის განვითარებას, სწორედ ამიტომ WHO და UNWTO რეკომენდაციას აძლევენ ტურისტულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, რომ გაამკაცრონ სასურსათო უვნებლობის სტანდარტები და მონიტორინგი, რათა შეამცირონ შესაძლო ეკონომიკური ზარალი და უზრუნველყონ ტურისტული სექტორის მდგრადობა. ქვეყნების წარმატებული მაგალითები ცხადყოფს, რომ მკაცრი სტანდარტები და კონტროლი არა მხოლოდ ამცირებს საკვებით გამოწვეული ავადობის რისკს, არამედ ზრდის ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობას. საქართველოში სასურსათო დაავადებების მაჩვენებელი არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიანობისთვისაც სერიოზული გამოწვევაა. ამიტომ, ამ მიმართულებით არსებული პრობლემები უნდა განიხილებოდეს როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკისთვის. საქართველოს მაგალითი ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები, მათ შორის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაძლიერებული ინსპექტირება, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და პერსონალის გადამზადება, დადებით ტენდენციებს ქმნის. თუმცა, გამოწვევად რჩება მცირე და სეზონურად მოქმედი ობიექტების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საჭიროებს დამატებით საინფორმაციო კამპანიებსა და ფინანსურ მხარდაჭერას. ამრიგად, სასურსათო უვნებლობის უზრუნველყოფა ტურიზმში უნდა დარჩეს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ResearchGate. (2020). Food safety challenges in the tourism processes. Retrieved May 6, 2025, from https://www.researchgate.net/publication/336218217_Food_Safety_Challenges_in_the_Tourism_Processes
2. Udotova, O. A. (2021). Исследование вопросов обеспечения пищевой безопасности в общественном питании в туристских дестинациях Краснодарского края. *International Research Journal*, 11(113), 34–41. https://doi.org/10.23670/IRJ.2021.113.11.034
3. Денисова, Н. Я. (2023). Тенденции здорового питания на туристском рынке [PDF]. Волгоградский государственный социально-педагогический университет, Институт технологии, экономики и сервиса. Retrieved from https://sphere-publishing.ru/images/banners/tourism.pdf
4. საქართველოს პარლამენტი. (2005, განახლებული რედ.). საქართველოს კანონი სურსათის შესახებ. https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=18
5. საქართველოს მთავრობა. (2010). №301 დადგენილება — ცხოველური წარმოშობის სურსათის ტექნიკური რეგლამენტი. https://matsne.gov.ge
6. Food and Agriculture Organization (FAO). (2021). Food safety in Georgia: National legislation and approximation to EU standards. http://www.fao.org
7. World Bank. (2020). Georgia – Food Safety and Agricultural Policy Review. Washington, DC: World Bank. https://documents.worldbank.org
8. World Health Organization (WHO). Food safety – Key facts. Fact sheet, 2023. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/food-safety

9. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC). Annual Bulletin of Infectious Diseases 2022–2023. https://ncdc.ge

10. Centers for Disease Control and Prevention (CDC). Burden of Foodborne Illnesses in the United States. Updated 2023. https://www.cdc.gov/foodborneburden/index.html

11. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო. (2021). *ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ანგარიშგება.* moh.gov.ge.

Ketevan Kveladze
Medea Melashvili
Nunu Kistauri

SOME ASPECTS OF FOOD SAFETY IN TOURISM (GEORGIA)

Summary

This study examines the importance of food safety in the tourism sector, with a particular focus on Georgia. Tourism is recognized as a key driver of the country's economic development; however, challenges related to food safety continue to pose significant barriers to its sustainable growth. The paper discusses the main aspects of food safety management, identifies existing problems, and highlights the role of international organizations in this area. Statistical data and global challenges are provided to illustrate the risks and difficulties associated with ensuring food safety in tourism.

Keywords: *food safety, international standards, regulations, food risks, diseases.*

ნუნუ ქისტაური
ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი ტურიზმის სფეროში (საქართველოში)

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა უსაფრთხოება და მისი უზრუნველყოფა ტურიზმში. აქ მითითებულია ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ტურიზმის სფეროში წამყვან პოზიციებს იკავებენ და არეგულირებენ დარგში არსებულ ყველა სიტუაციას, რომელთა გამოცდილებას საქართველოს შესაბამისი უწყებებიც ეყრდნობიან. ავტორს მიმოხილული აქვს საქართველოში არსებული ტურისტული ცენტრები, მათი დატვირთვის მდგომარეობა და განვითარების დონე, აგრეთვე საკმაოდ ფართოდ აქვს განხილული დარგში არსებული პრობლემების წარმომქმნელი მიზეზები, ასევე საკანონმდებლო აქტები და კანონები, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმის განვითარების პროცესებს საქართველოში.*

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, საერთაშორისო ორგანიზაცია, ტურისტულ-საკურორტო პოტენციალი, უსაფრთხოება, ნორმატიული აქტები.*

დღეს მსოფლიოში 200-ზე მეტი სხვადასხვა დონისა და პროფილის საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია არსებობს. ესენია ასოციაციები, ასოციაცია ჯგუფები, კავშირები, ფედერაციები, კომიტეტები, ბიუროები, კომისიები, საბჭოები, ცენტრები და ინსტიტუტები. მათ შორის დარგში წამყვან პოზიციებს იკავებენ: ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (WORLD TOURISM ORGANIZATION - WTO), (შეიქმნა 1975 წელს). იგი

1925 წელს დაარსებული მთავრობათაშორისი ორგანიზაციის - „ტურიზმის პროპაგანდის ორგანიზაციის“ სამართალმემკვიდრეა. იგი ავტონომიური ორგანიზაციაა, რომელიც საქმიანობს WTO-ს და გაეროს შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ის გვევლინება ორგანიზაციად, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის და ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქცია ტურიზმის სფეროში. იგი ერთადერთი მთავრობათშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მუშობს ტურიზმის ყველა ასპექტზე მთელ მსოფლიოში; გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია - UNWTO (UNITED NATONS WORLD TOURISM ORGANIZATION), (გაეროს ოფიციალური სპეციალიზირებული სააგენტო, რომლის მიზანია ტურიზმის მხარდაჭერა და განვითარება მთელ მსოფლიოში. მასში გაწევრიანებულია 154 ქვეყანა, 400-ზე მეტი ფილიალი); მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო - WTTC (WORLD TRAVEL AND TOURISM COUNCIL); საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია - IATA (INTERNATIONAL AIR TRANSPORT ASOTIATION); მსოფლიო ტურიზმის ლიდერების პროფესიონალური ორგანიზაცია - SKAL INTERNATIONAL; მგზავრებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაყვანა/გადატანის. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია - ICAO (INTERNATIONAL CIVIL AVIATION ORGANIZATION), ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების ინსტიტუტი - IIPT (INTERNATIONAL INSTITUTE FOR PEACE THROUGH TOURISM TOURISM) და ა.შ.

ტურიზმისა და მოგზაურობის უსაფრთხოების საკითხები წინა პლანზე წამოიჭრა მასობრივი ტურიზმის განვითარებასთან ერთად 1950-იანი წლების დასაწყისიდან. ამ ევოლუციური პროცესის ძირითადი მიზეზები ქვემოთ არის ჩამოთვლილი: 1. მოგზაურობა და ტურიზმი აღარ არის ვიწრო სოციალური ფენის ან კლასის საქმიანობა, არამედ თანდათანობით მოიცავს მთელ მზარდი საშუალო კლასს. ეს განვითარებულ ქვეყნებში პირადი შემოსავლისა და თავისუფალი დროის ზრდის პირდაპირი შედეგია. 2. ტურიზმის სექტორი მოიცავს მსოფლიოს სულ უფრო მეტ ქვეყანასა და რეგიონს და ტურიზმში ჩართულია არა მხოლოდ მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ გამავალი ტურისტული ნაკადების გენერირება, არამედ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებიც. მათთვის ტურიზმი მათი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ნაწილია. 3. ტრანსპორტის (ავიაცია, ავტომობილების წარმოება) სწრაფმა და თვალწარმტაცმა განვითარებამ ხელი შეუწყო (გეოგრაფიული) მობილობის ზრდას. ამ მიზეზების გამო, უსაფრთხოების საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან თავად ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიად იქცა.

1995 წელს ესპანეთის ქ. კადისში ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდა ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც მსოფლიოს 52 ქვეყანა მონაწილეობდა. ფორუმმა აღიარა, რომ ნებისმიერმა თანამედროვე სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს ტურიზმის განვითარებისათვის უაღრესად საჭირო პრობლემები,

1999 წლის 1 ოქტომბერს, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, ქ. სანტიაგოში (ჩილე) მიღებულ იქნა „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“. ეს დოკუმენტი წარმოადგენს დარგში მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს.

საერთაშორისო ტურიზმის ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება და ნავთობწარმოებისა და მანქანათმშენებლობის დარგების შემდეგ მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოს ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა მუდმივად იზრდება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ქვეყნის შემოსავლების ზრდითა და მოსახლეობის ცხვორების დონის

გაუმჯობესებით. ტურიზმის სწრაფ განვითარებას განაპირობებს ისიც, რომ ტურისტული ბიზნესის დასაწყებად საჭირო არ არის დიდი ფინანსური ინვესტიციები.

ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

საქართველოს ბუნებრივ პირობებს, ლანდშაფტს, ფლორას და ფაუნას შეუძლია ხელსაყრელი გარემო შექმნას ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. ქვეყნის ტერიტორიის 85%-ზე მეტი მთებშია გაბნეული.

საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ დღეისათვის 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია.

საქართველოს ტურისტულ-საკურორტო პოტენციალს განსაზღვრავს: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე ქვეყნის მასშტაბით 318 კილომეტრია, იგი მასობრივი ტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს. 2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სიგრძით 1500 კილომეტრს აღწევს. საქართველოს მთიანეთი სამთოსათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. დიდ კავკასიონზე არის მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღწევს. კლიმატური პარამეტრების ფორმირებას განაპირობებს ხმელთაშუაზღვისპირეთის ზომიერი, ნოტიო და მშრალი, კონტინენტური კასპიის ზღვის აუზი. ჰავა, დასავლეთ საქართველოში უპირატესად ნოტიო, სუბტროპიკულია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გარდამავალი, სუბტროპიკულიდან ზომიერისაკენ.

ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია. აღრიცხულია შემდეგი სახის სამედიცინო პროფილის კურორტები: კარდიოლოგიური, გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, უროლოგიური, ნევროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, დერმატოლოგიური. ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე განლაგებულია 42 ბალნეოლოგიური კურორტი – წყალტუბო, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი და სხვ. 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე - სამთო კლიმატური – აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ფაფა, მანგლისი; მაღალმთიანი ზონის კურორტები 1500 მეტრს ზევით – ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბახმარო, ლებარდე და სხვა, სადაც წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულიოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და ნევროზს.

უსაფრთხოება ყოველთვის იყო მოგზაურობისა და ტურიზმის წინაპირობა. თუმცა, უდავო ფაქტია, რომ უსაფრთხოების საკითხებმა ტურიზმში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა. რადგანაც ტერორისტული თავდასხმების, ადგილობრივი ომების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და პანდემიების გამო, უსაფრთხოება მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ უსაფრთხოების საკითხების შესწავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ტურიზმის ინდუსტრიისთვის, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში. პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.

1997-1999 წლებში, საქართველოში დარგის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა შემდეგი კანონები და ნორმატიული აქტები: 1. 1997 წლის 6 მარტი - საქართველოს კანონი „ ტურიზმისა და კურორტების შესახებ “. სრულყოფის მიზნით, 1997–2000 წლებში კანონში ოთხჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რომელიც დარგის განვითარებისათვის მთელ რიგ მნიშვნელოვან მომენტებს ითვალისწინებდა. მაგ., რეგიონული მმართველობის როლების შექმნას,

კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონებში მიწის სარგებლოსხვა; გაცემისა და გასხვისების რეგულირებას და სხვა; 2. 1998 წლის მარტი - საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“; 3. 1998 წლის 20 მარტი - საქართველოს კანონი „საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“; ეს კანონი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ტუისტების აღრიცხვიანობის მეტად აქტუალურ პრობლემას არეგულირებს.

დარგის ექსპერტთა შრომების შესწავლის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: საქართველოში ტურიზმის წარმატებით განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დარგის განვითარებისათვის შემდეგია:

- ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა, დღესდღეობით საქართველოში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა. საჭირო ინფრასტრუქტურისა და სააღრიცხვო სისტემის არარსებობის გამო არ ხდება საკურორტო ადგილებში საკუთარი სახლების გამქირავებელთა შემოსავლების აღრიცხვა. ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია. მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემის საქართველოსთვის ადაპტაციითა და შემდგომ მისი ქვეყანაში დანერგვით.
- უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე, რომელიც ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს უსაფრთხოების დონე კურორტებზე გამოწვეულია რეგიონებში სამაშველო სამსახურის არაქმედუნარიანობითა და სიმცირით. გარდა ამისა საკურორტო ადგილებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების არადროული მიღება. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილი იქნება მომზადდეს: კვალიფიციურ მაშველთა კორპუსი, როგორც საზღვაო კურორტების, ასევე მაღალმთიანი რეგიონებისათვის; შეიქმნას პირველადი დახმარების სამედიცინო მომსახურების პუნქტების ქსელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.
- მძიმე სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე: ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა სანაპირო ზოლში, რადგან თითქმის არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე ნარჩენებით, გემების ნარეცხი წყლებითა თუ ჩაღვრილი ნავთობით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.
- საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ყველა ადამიანის ცნობიერებაში გარემოს დაცვის აუცილებლობისადმი სერიოზული მიდგომა. აუცილებელია: გაუმჯობესდეს რეგიონებისა და ქალაქების შესაბამისი კეთილმოწყობის სამსახურების საქმიანობა. მუდმივად მოხდეს საკურორტო ადგილების დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა; დროდადრო შემეცნებითი კამპანიის განხორციელება ადამიანების ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- მოშლილი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს შიდა ავიარეისები, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას უმეტეს მაღალმთიან რეგიონში. ძალიან მცირეა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთთან

დამაკავშირებელი რეისების რაოდენობა ეს კი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი პოტენციური ბაზრის მოცვა გართულებულია და ძნელდება კომბინირებული რეგიონალური ტურების მოწყობა. ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ორი ნავსადგურიც გაგვაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა დღესდღეობით საზღვაო ტრანსპორტით ტურისტთა გადაყვანა თითქმის არ ხდება, რითაც ისევ და ისევ პოტენციური შემოსავლები იკარგება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია გაუმჯობესდეს საგზაო სისტემა მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი ამ რეგიონებშია თავმოყრილი; გზების გამართვასთან ერთად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით აუცილებელია მათი კეთილმოწყობა, განათება, ავტოგასამართი და კავშირგაბმულობის პუნქტების განთავსება; ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესდეს სტანდარტები სატრანსპორტო საშუალებებისათვის და რეგულარულად ხდებოდეს მძღოლთა კვალიფიკაციის შემოწმება; მოხდეს სამარშრუტო ქსელის გაფართოება და მაღალმთიან რეგიონებში პირდაპირი მარშრუტების დანიშვნა; მიზანშეწონილი იქნება შიდასაქვეყნო, რეგიონთაშორისი ავიარეისების დანიშვნა; საზღვაო რეისების აღდგენა ვიზიტორების ტრანსპორტირებისა და გასეირნებისათვის.

- სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელის განუვითარებლობა: საქართველოს კურორტები ვიზოტორებს სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სასტუმროებით, იმდენად რამდენადაც რეგიონებში მათი რაოდენობა არასაკმარისია. არსებული კერძო სასტუმროების ნომენკლატურა საკმაოდ მწირია, მომსახურების დონე - დაბალი, რასაც ვერ ვიტყვით მათ მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე. აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნას: ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვით და საერთაშორისო სტანდარტების სასტუმროთა ქსელის განვითარებით; სასტუმროთა მომსახურების ასორტიმენტის გაზრდით.

- საქართველოს ტურიზმის პოტენციალის შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არარსებობა: ქვეყანაში არ არსებობს სრული საინფომაციო ბაზა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება საქარათველოს რეგიონებში არსებული კურორტები, თავისი ღირსშესანიშნაობებით. სრული საინფორმაციო ბაზა დახმარებას გაუწევდა, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია: შეიქმნას სასტუმროებისა და სააგენტოების სრულყოფილი საინფორმაციო ელექტრონული ბაზა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ მცხოვრებისათვს; შეიქმნას საქართველოს ტურისტული პოტენციალის აღწერის ელექტრონული ბაზა, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რეკლამირებისა და პოტენციურ ტურისტთა ყურადღების მიპყრობისათვის; საჭიროა სააგენტოების მხრიდან შიდა ტურიზმზე ორიენტირება.

ყოველივე ზემოთაღნიშნული პრობლემა იმდენად მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია, რომ მათი აღმოფხვრა და წესრიგში მოყვანა სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს და მხოლოდ მას ხელეწიფება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა, ლ. (2010).საქართველოს მთიანეთის სოციალური-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები [PDF]. Retrieved from https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/dd4/e27/5cddd4e27a05e360644960.pdf

2. შანიძე, ნ. (2019). ტურიზმის პოლიტიკა საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში (სამაგისტრო ნაშრომი, წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლებელი უნივერსიტეტი). https://openscience.ge/server/api/core/bitstreams/4c48e786-4102-42e2-ba00-48a872963ef3/content

3. ბობოხიძე, ა. (2020). ქართული ტურიზმის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე (სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი). https://openscience.ge/server/api/core/bitstreams/87eab4b6-cbd6-4d24-b953-df925916c0cf/content

4. World Travel & Tourism Council. (n.d.). *On tourism & security: Global security and terrorism is the overriding concern of travel & tourism industry leaders from both public and private sectors*. Medium. Retrieved from https://worldtraveltourismcouncil.medium.com/on-tourism-security-c5bdeb6987e1

5. Travel With The Greens. (2023, July 10). *What impact do security and safety have on travel?* Retrieved from https://travelwiththegreens.com/what-impact-do-security-and-safety-have-on-travel.html

6. Richter, L. K. (2003). *Safety and security in the age of global tourism: The changing role and conception of safety and security in tourism*. In K. W. Gössling (Ed.), *Theobald's Global Tourism* (pp. 159–170). ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/227365467_Safety_And_Security_In_The_Age_Of_Global_Tourism_The_changing_role_and_conception_of_Safety_and_Security_in_Tourism

7. *Human security issues affecting tourism*. (n.d.). ebrary. Retrieved from https://ebrary.net/290778/travel/human_security_issues_tourism

8. Ivleva, M. I., & Kuznetsova, E. V. (2019). *Legal issues for ensuring security in tourism and countering terrorist threats*. *Journal of Environmental Management and Tourism, 10*(3), 685–691. https://journals.aserspublishing.eu/jemt/article/view/2361

9. Alieva, S. (2021). *Security problems in international tourism*. *Journal of International Relations, 2*(1), 45–54. https://journals.bsu.by/index.php/internationalRelations/article/view/1301

Nunu Kistauri
Ketevan Kveladze
Medea Melashvili

SOME ASPECTS OF ENSURING SAFETY IN THE TOURISM SECTOR (GEORGIA)

Summary

This paper examines key aspects of safety management in the tourism sector, with a particular focus on Georgia. The study reviews the role of international organizations that set standards and manage risks in tourism, whose experiences are utilized by relevant Georgian authorities. The author presents an overview of the country's tourist centers, including their capacity and development status. The paper also discusses the underlying causes of challenges in the sector, as well as the legislative acts and regulations governing tourism development in Georgia.

Keywords: *tourism, international organization, tourist and resort potential, safety, normative acts.*

მანანა ხარხელი
დავით ნარმანია
გიორგი მორჩილაძე
ეკა ჩოხელი
ნინო ვარდიაშვილი
შორენა დავითაია
მიხეილ მაკასარაშვილი
თემურ თორდინავა

ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვის ტენდენციები ენერგეტიკაში: საქართველოს ენერგოუსაფრთხოების კონტექსტი[44]

ანოტაცია. *ენერგოუსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ და სწრაფად ცვალებად სფეროდ რჩება, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ენერგიის ხელმისაწვდომობის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფაში. დღევანდელი გლობალური გამოწვევების ფონზე, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გამძლეობა, რესურსების ოპტიმალური მართვა და განახლებადი წყაროების ინტეგრაცია სულ უფრო მეტად ხდება სახელმწიფოების სტრატეგიული ამოცანა.*

მოცემული კვლევის მიზანია შეისწავლოს ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვის ტენდენციები ენერგეტიკაში და გაანალიზოს მათი გავლენა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე. ყურადღება ეთმობა ისეთ ტექნოლოგიებს, როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემების ანალიტიკა (Big Data), ავტომატიზაცია, ჭკვიანი ქსელები (Smart Grids) და ენერგიის შენახვის სისტემები, რომლებიც გარდაქმნიან ენერგიის წარმოებისა და მოხმარების ტრადიციულ მოდელებს.

სტატია ასევე მიმოიხილავს ენერგოსექტორში კიბერუსაფრთხოების ახალ გამოწვევებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობაზე. კვლევის ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს როგორც ტექნოლოგიურ, ისე სოციალური და რეგულირების კომპონენტებს – რაც შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ ტექნიკური წინსვლის, არამედ საზოგადოებრივად და ეთიკურად პასუხისმგებელი პოლიტიკის განვითარებას ენერგეტიკის სფეროში. დასკვნებში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს ენერგო-სისტემის გამძლეობისა და ტექნოლოგიური მდგრადობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ენერგეტიკული სექტორი დგას გარდამტეხი ცვლილებების წინაშე, რასაც განაპირობებს კლიმატის ცვლილებები, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და ტექნოლოგიური პროგრესი. ამგვარად, ენერგოსისტემების დივერსიფიკაცია, მდგრადობა და უსაფრთხოება სულ უფრო მეტად იქცევა როგორც გლობალური, ისე ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ბუნებრივი ენერგორესურსებით, სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თუმცა, ქვეყანა კვლავაც დამოკიდებულია ენერგორესურსების

[44] **ნაშრომი შესრულებულია** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის **2023-26 წლის გრანტის FR-23-8182 ფარგლებში**

იმპორტზე, რის შედეგადაც მისი ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ამ ფონზე აქტუალური და აუცილებელია ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების ანალიზი და დანერგვა, რომლებიც ენერგეტიკული სისტემის ეფექტიანობას, საიმედოობასა და გამძლეობას გაზრდის. ინოვაციური მიდგომების განსახილველად წინ წამოიწევს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა განახლებადი ენერგიის წყაროები, ჭკვიანი ენერგოკომუნიკაციები, ციფრული მართვის სისტემები, ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება — რაც ერთობლივად განსაზღვრავს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ახალ სტანდარტებს.

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია, გაანალიზოს ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვის ტენდენციები ენერგეტიკაში და შეაფასოს მათი პოტენციური გავლენა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- გაანალიზდეს თანამედროვე გლობალური ტენდენციები ენერგეტიკაში ინოვაციების მიმართულებით;
- განიხილოს საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა და მისი ძირითადი სუსტი მხარეები ენერგოუსაფრთხოების ჭრილში;
- გამოვიკვლიოთ კონკრეტული ტექნოლოგიური მიდგომები (AI, Big Data, Smart Grids, ენერგიის დაგროვება და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობს ენერგოსისტემის გამძლეობის ამაღლებას;
- შეფასდეს აღნიშნული მიდგომების დანერგვის პერსპექტივები საქართველოს შემთხვევაში — ტექნიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ჭრილში;
- შემუშავდეს რეკომენდაციები ქვეყნის ენერგოპოლიტიკის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობისთვის.

ენერგოუსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ენერგიის მომარაგების უწყვეტობას, ხელმისაწვდომობას, დაბალ ხარჯს და სტაბილურობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საქართველოსთვის ენერგოუსაფრთხოება არა მხოლოდ ეკონომიკური საკითხია, არამედ რეგიონული უსაფრთხოების და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ბურჯია. ქვეყანაში ელექტროენერგიის შიდა წარმოების მზარდი საჭიროება, გაზის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება და საერთაშორისო ენერგოსაქსელებთან ინტეგრაციის სურვილი მოითხოვს ისეთ პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის გამძლეობას და ენერგო რესურსების რაციონალურ განკარგვას.

საქართველო წარმოადგენს ენერგეტიკული ტრანზიტის მნიშვნელოვან ჰაბს კავკასიასა და ევროპას შორის, რის გამოც რეგიონული დესტაბილიზაცია ან ტექნიკური გაუმართაობა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეკონომიკური და სტრატეგიული შედეგები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს როგორც სისტემური საკითხი, რომელიც მოითხოვს ინოვაციური ტექნოლოგიების, მმართველობითი სტრატეგიების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტეგრირებულ ანალიზს.

კვლევის ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არა მხოლოდ აღწერს თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებს ენერგეტიკაში, არამედ მათ მიმართავს კონკრეტულად საქართველოს კონტექსტში — ადგილობრივი ენერგოსისტემის სპეციფიკის, საჭიროებებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ენერგეტიკაში უკვე დადგენილი პრაქტიკაა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჯერ კიდევ იშვიათად გვხვდება ისეთი კვლევები, რომლებიც მოიცავს ინტერდისციპლინურ ანალიზს: ტექნოლოგიების, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მმართველობითი ინსტიტუტების კოორდინირებული განხილვით.

მოცემული ნაშრომი ქმნის სამეცნიერო ხიდს გლობალურ ინოვაციურ ტენდენციებსა და საქართველოს ენერგეტიკულ რეალობას შორის. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე კერძო სექტორის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებში.

ენერგეტიკაში ინოვაციური ტექნოლოგიები მიიჩნევა გარდამტეხ ძალად (disruptive force), რომელიც ცვლის ტრადიციული ენერგომოდელების მუშაობის ლოგიკას. თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომები მოიცავს: განახლებადი ენერგიის წყაროებს (მზე, ქარი, ჰიდრო და გეოთერმული ენერგია); ჭკვიან ქსელებს (Smart Grids) – რომლებიც აერთიანებენ მონაცემთა ინტეგრირებას, ავტომატიზაციას და ენერგიის ეფექტიან გადაცემას; Big Data და ხელოვნური ინტელექტი (AI) – ენერგომოხმარების პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციისთვის; ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიებს – მათ შორის ბატარეებსა და წყალბადზე დაფუძნებულ სისტემებს; დეცენტრალიზებულ ენერგოსისტემებს – რაც ამცირებს დამოკიდებულებას ცენტრალურ წყაროებზე და ზრდის გამძლეობას კრიზისის დროს.

წინასწარი კვლევები (IRENA, 2023; World Bank, 2022) მიუთითებენ, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაცია არა მხოლოდ ზრდის ენერგოსისტემების ეფექტიანობას, არამედ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ამაღლებს მომხმარებლის როლს სისტემაში.

გლობალურად, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა პირდაპირ არის დაკავშირებული ტექნოლოგიური ინოვაციების მასშტაბურ დანერგვასთან. მაგალითად, ევროკავშირის „Green Deal“-ის ფარგლებში ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა დეკარბონიზაცია ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით, რასაც თან ახლავს: ენერგორეაბილიტაციის პროექტები, ნახშირბადის ნეიტრალობის მიზნები, ციფრული მართვის პლატფორმები ენერგიის გამჭვირვალობისთვის.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტექნოლოგიების განვითარებას უნდა მოსდევდეს კოორდინირებული მმართველობითი სტრატეგიები, სამართლებრივი რეგულაციები და მომხმარებელთა ჩართულობა, რათა ინოვაციური ენერგოსისტემები ეფექტიანად ამოქმედდეს

საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით, თუმცა მაღალია გაზისა და ნავთობის იმპორტზე დამოკიდებულება (ენერგეტიკის სამინისტრო, 2022). ენერგოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს მოდერნიზაციას, ხოლო განახლებადი წყაროების პოტენციალი ჯერ კიდევ ნაწილობრივ გამოიყენება.

ბოლო წლებში განხორციელდა რამდენიმე ინოვაციური პროექტი (მაგალითად, მცირე HPP-ები, ენერგოეფექტურობის პროგრამები, ელექტრომობილების ინფრასტრუქტურა), თუმცა სისტემური და მასშტაბური ტექნოლოგიური რეფორმები ჯერ არ არის გააქტიურებული. ამასთან, კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა ანალიტიკისა და Smart Grid ტექნოლოგიების ინტეგრაცია საწყის ეტაპზეა.

ამიტომ, აქტუალური და დროულია ინოვაციური მიდგომების შეფასება — არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური სიახლეების აღწერა, არამედ როგორც ენერგოპოლიტიკის ძირეული გადახედვის ინსტრუმენტი.

საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის დინამიკა ევროპის ქვეყნების კონტექსტში

თანამედროვე ეტაპზე გლობალური ენერგეტიკული ტრანზიცია მზარდი ტემპით ვითარდება. განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაცია, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ნახშირბადოვანი ემისიების შემცირება მსოფლიოს ქვეყნების სტრატეგიულ პრიორიტეტებს წარმოადგენს. აღნიშნულ პროცესში ევროპული სახელმწიფოები ავლენენ პროგრესის განსხვავებულ დონეს — მათ შორის გერმანია, ავსტრია და ბელგია გამოირჩევიან ტექნოლოგიური განვითარებით, ინფრასტრუქტურული ინვესტიციებითა და გარემოსდაცვითი პოლიტიკით.

ამავე დროს, საქართველოც აქტიურად ცდილობს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას და განახლებად წყაროებზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე გადასვლას. ამ კონტექსტში საქართველოს ენერგეტიკული სეგმენტის შესწავლა და მისი შედარება ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებასთან მნიშვნელოვანი საფუძველია როგორც პოლიტიკის შემუშავებისთვის, ისე საინვესტიციო გარემოს შეფასებისთვის.

ევროპის წამყვანი ქვეყნების ენერგეტიკული სტრუქტურის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს, რომლებიც უკავშირდება განახლებადი ენერგიის წილის ზრდასა და ნახშირბადოვანი რესურსების შემცირებას (იხ. ცხრ. 1) . 2018-2023 წლებში გერმანიამ ბუნებრივი გაზის მოხმარება 19%-ით შეამცირა და აქტიურად განავითარა ქარისა (19%) და მზის (35%) ენერგიის გენერაცია (Eurostat, 2024; IEA, 2024). ავსტრიაში მზის ენერგიის გამომუშავება 80%-ით, ხოლო ქარის – 24%-ით გაიზარდა, რაც განახლებადი წყაროების სტაბილურ ექსპანსიას მოწმობს. ბელგიაში ქარის ენერგიის ზრდა 61%-ს, მზისა კი 39%-ს აღწევს.

საქართველოს შემთხვევაში ფიქსირდება მზის ენერგიის 600%-იანი და ქარის ენერგიის 300%-იანი ზრდა, თუმცა მათი აბსოლუტური მაჩვენებლები კვლავ დაბალია. ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავება ძირითადად ჰიდროენერგიას ეყრდნობა, ხოლო ბუნებრივი გაზი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკულ ბალანსში (Geostat, 2024).

რაც შეეხება **მოხმარების ტრენდებს**, საქართველოში 2018-2023 წლებში ბუნებრივი გაზის მოხმარება 2.36%-ით გაიზარდა, რაც შესაძლოა ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურ მოთხოვნაზე მიუთითებდეს. ელექტროენერგიის მოხმარება 7.47%-ით შემცირდა, რაც შეიძლება ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ან მოხმარების სტრუქტურის ცვლილების შედეგი იყოს. ნავთობის მოხმარება 6.52%-ით შემცირდა – ეს ცვლილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტრანსპორტის ელექტრიფიკაციის საწყის ეტაპთან. მზის ენერგიის მოხმარების ზრდამ 8.39%-ს, ხოლო ქარის ენერგიის – 3.43%-ს მიაღწია (IEA, 2024).

ცხრილი 1. ენერგიის წარმოებისა და მოხმარების დინამიკა 2018-2023 წლებში (TWh-ტერავატი საათი)

ქვეყანა	ენერგოპროდუქტი	2018		2019		2020		2021		2022		2023	
		წარმოება	მოხმარება	წარმოება	მოხმარება	წარმოება	მოხმარება	წარმოება	მოხმარება	წარმოება	მოხმარება	წარმოება	მოხმარება
გერმანია	ბუნებრივი გაზი	315	826.9	306	861.3	290	876.1	305	877	275	817.7	260	838.4
	ელექტროენერგია (სულ)	612	526.7	604	570	577	571.8	582	569.8	574	541.1	560	576
	ნავთობი	1080	636	1060	670	980	638	990	618	950	679	930	680.1

	ქარის ენერგია	111	106	127	106.6	132	105.7	118	110	125	108.1	132	107.3
	მზის ენერგია	46	62.6	47	62.4	50	58.4	49	59.5	58	60.1	62	560
	ბიოსაწვავი	51	56.7	50	55.	48	54.6	49	53.5	50	56.2	51	53.9
ავსტრია	ბუნებრივი გაზი	75	88.2	72	85.8	68	90.4	70	90.9	65	88.9	63	86.8
	ელექტროენერგია (სულ)	70	67.1	71	72.9	69	67.8	72	72.9	74	68.4	76	72.1
	ნავთობი	130	86,6	128	82.9	120	88.9	122	81.5	118	87.8	115	81.4
	ქარის ენერგია	7.5	7	7.8	7.1	8.1	7.2	8.5	6.8	9	6.9	9.3	7.3
	მზის ენერგია	1.5	4.8	1.7	4.9	1.9	5.2	2.1	4.8	2.4	4.9	2.7	5.1
	ბიოსაწვავი	8	6	8.2	6.01	8.1	6.2	8.3	5.9	8.4	6.	8.5	5.8
ბელგია	ბუნებრივი გაზი	86	95.1	84	98.6	81	98.2	83	96.2	78	100.2	75	98.1
	ელექტროენერგია (სულ)	88	82.5	91	76.9	89	78.6	92	81.7	95	79.4	93	80.1
	ნავთობი	165	96.9	162	98.5	150	97.2	155	97.5	148	90.5	145	98.9
	ქარის ენერგია	9	9.2	10.5	9.1	11.5	9.12	12.8	9.05	13.7	8.6	14.5	8.8
	მზის ენერგია	3.6	7.2	3.9	6.9	4.2	7.3	4.4	7.2	4.7	6.7	5	6.9
	ბიოსაწვავი	5.2	4.8	5.3	4.8	5.1	4.9	5.2	5	5.4	5.1	5.5	5.1
საქართველო	ბუნებრივი გაზი	9.1	9.9	9.3	9.6	8.8	10.3	9	9.9	8.5	9.96	8.3	10.1
	ელექტროენერგია (სულ)	12.5	12.5	12.9	12.4	12.3	11.7	12.6	11.7	13.1	12.3	13.6	11.6
	ნავთობი	8.6	8.2	8.7	8.1	7.9	7.7	8.1	8.1	8.3	7.8	8.5	7.7
	ქარის ენერგია	0.1	0.2	0.2	0.2	0.2	0.06	0.2	0.08	0.3	0.15	0.4	0,16
	მზის ენერგია	0.01	0.1	0.02	0.1	0.03	0.098	0.04	0.098	0.05	0.1	0.07	0.10
	ბიოსაწვავი	0.05	0.3	0.06	0.31	0.06	0.3	0.07	0.3	0.08	0.28	0.08	0.31


წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/web/energy/data/database
https://www.iea.org/data-and-statistics
https://www.geostat.ge

სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ გერმანია დომინირებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამომუშავებაში, ხოლო საქართველო მაინც რჩება ჰიდროენერგიასა და იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებული. ბელგია და ავსტრია აჩვენებს დინამიურ ზრდას განახლებადი ენერგიის წყაროებში. ამრიგად, ევროპის ქვეყნები ამცირებენ ნახშირბადოვან ენერგიის გენერაციას (გაზი, ნავთობი) და ინვესტიციებს ახორციელებენ განახლებადი ენერგიის წყაროებში. ხოლო საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების ზრდა ამ ეტაპისთვის ძირითადად ჰიდროენერგიითაა განპირობებული.

ამასთან, საქართველო ზრდის განახლებადი ენერგიების წილს, თუმცა მთლიანად მოხმარების დონე ჯერ კიდევ დაბალია. ავსტრია აჩვენებს სტაბილურ ეკოლოგიურ ტრანზიციას — გაზის შემცირებით და მზისა და ქარის ენერგიის ზრდით.ბელგიაში ბიოსაწვავი ყველაზე მეტად იზრდება, თუმცა ქარის და მზის ენერგიის მსუბუქი ვარდნა დაფიქსირდა. გერმანია განაგრძობს ძლიერი ინდუსტრიალიზაციის პროცესს — გაზრდილი ელექტროენერგიის და ნავთობის მოხმარებით.

საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 2018 წლის 2900 GWh-დან 2023 წელს 3300 GWh-მდე გაიზარდა, რაც 13.8%-იან მატებას წარმოადგენს. ეს ცვლილება მიუთითებს ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ პროგრესზე (დიაგრამა 1). ავსტრიაში ზრდა 5.7%-ს, ბელგიაში – 5.1%-ს, ხოლო გერმანიაში ფიქსირდება 3.1%-იანი შემცირება. გერმანიის შემთხვევა, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, შეიძლება განპირობებული იყოს ჭკვიანი ტექნოლოგიების დანერგვითა და ენერგოეფექტური პოლიტიკით (Eurostat, 2024).

დიაგრამა 1. ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა 2018-2023 წლებში




წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/web/energy/data/database
https://www.iea.org/data-and-statistics
https://www.geostat.ge

ელექტროენერგიის საცალო ფასების შედარება აჩვენებს, რომ 2018-2023 წლებში: საქართველოში ფასი გაიზარდა 0.026-დან 0.030 ევრომდე (ზრდა 15.3%); ავსტრიაში – 0.20-დან 0.35 ევრომდე (75%); ბელგიაში – 0.22-დან 0.40 ევრომდე (81.8%); გერმანიაში – 0.30-დან 0.45 ევრომდე (50%) (დიაგრამა 2).

ფასების მკვეთრი ზრდა ევროპაში განპირობებულია ენერგეტიკული კრიზისით, ინფლაციითა და განახლებადი ენერგიების სტიმულირების პოლიტიკით. საქართველო შედარებით დაცულია გლობალური რყევებისგან, თუმცა ინფლაციისა და ინვესტიციების გაძვირების ფონზე ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია.

დიაგრამა 2. ელექტროენერგიის ფასების დინამიკა 2018-2023 წლებში



წყარო: https://www.geostat.ge

ინფრასტრუქტურის შეფასება გვიჩვენებს შემდეგ სურათს (ცხრ. 2). საქართველოში მოქმედებს რამდენიმე თბოსადგური, მათ შორის მტკვარი ენერჯი (300 მგვტ), თბილსრესის ორი ბლოკი (130 და 140 მგვტ), G-Power (110 მგვტ), გარდაბანი 1 და 2 (230 მგვტ თითოეული). ქვეყანა ახორციელებს 1,000 მილის სიგრძის გადამცემი ხაზების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოს ენერგიის ეფექტური გადაცემა ახალი და არსებული ელექტროსადგურებიდან მომხმარებლამდე. აზიის განვითარების ბანკი (ADB) დაეხმარება საქართველოს პირველი ენერგიის შენახვის ობიექტის შექმნაში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ავსტრია აწარმოებს ელექტროენერგიის 60%-ზე მეტს ჰიდროელექტროსადგურებით, რომლებიც მოიცავს დაახლოებით 100 დიდ და ათასობით მცირე ჰიდროსადგურს. ავსტრიის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელი სრულად ფუნქციონირებს, რაც უზრუნველყოფს ენერგიის სტაბილურ მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით. ქვეყანა აშენებს ახალ ჰიდროელექტროსადგურს Kühtai 2, რომლის სიმძლავრე იქნება 140 მგვტ და კომერციულად ამოქმედდება 2026 წლის ბოლოს.

ბელგიამ დაამტკიცა ორი ახალი გაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობა, რომლებიც 2025 წელს ამოქმედდება. ქვეყანა აწყდება გამოწვევებს გადამცემი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნებართვების მიღებაში, რაც აფერხებს განახლებადი ენერგიის წყაროების სწრაფ განვითარებას. ბელგიაში იგეგმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბატარეის ენერგიის შენახვის ობიექტის, Green Turtle-ის აშენება, რომლის სიმძლავრე იქნება 700 მგვტ და შენახვის მოცულობა 2,800 მგვტსთ.

გერმანია ახორციელებს ენერგეტიკულ გარდაქმნას (Energiewende), რომლის მიზანია 2030 წლისთვის ელექტროენერგიის 80% განახლებადი წყაროებიდან წარმოება. გერმანიამ დაამტკიცა A-Nord-ის 2 გიგავატიანი მიწისქვეშა DC გადამცემი ხაზი, რომელიც 2027 წელს ამოქმედდება და დაეხმარება ქარის ენერგიის გადაცემას ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთით. 2024 წელს გერმანიის ბატარეის ენერგიის შენახვის სიმძლავრე გაიზარდა თითქმის მესამედით, მიაღწია 1.8 გიგავატსთ-ს, რაც ეხმარება ენერგიის მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებას.

ინფრასტრუქტურული შეფასება მიუთითებს, რომ საქართველო საჭიროებს სისტემატურ მოდერნიზაციას. ქვეყანამ უკვე დაიწყო ენერგიის შენახვის პირველი პროექტი ADB-ის მხარდაჭერით, რაც ელექტრომომარაგების სტაბილურობას

მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს (ADB, 2023). გერმანია კი გეგმავს 2030 წლისთვის ენერგიის 80% განახლებადი წყაროებიდან მიიღოს და ახორციელებს მასშტაბურ პროექტებს (მაგ. A-Nord გადამცემი ხაზი). ავსტრიასა და ბელგიაში ინფრასტრუქტურული პროექტები (Kühtai 2, Green Turtle) ემსახურება ენერგეტიკული სისტემების მდგრადობასა და ენერგიის შენახვის შესაძლებლობების გაფართოებას (IEA, 2024; Eurostat, 2024).

ცხრილი 2. ინფრასტრუქტურული ობიექტების შეფასება

ქვეყანა	ენერგოსადგურები	გადამცემი ქსელები	ენერგიის შენახვა	განახლებადი ენერგიის წილი ინფრასტრუქტურაში	მდგომარეობის შეფასება
საქართველო	6 თბოსადგური, ჰიდროსადგურები, ჯამში 100	1,000 მილის გადამცემი ხაზების გაუმჯობესება, ჯამში 4500 კმ	პირველი ენერგიის შენახვის ობიექტის მშენებლობა (ADB-ის მხარდაჭერით)	35%	სტაბილური მდგომარეობა, თუმცა საჭიროა მოდერნიზაცია
ავსტრია	100+ ჰიდროსადგური, მათ შორის Kühtai 2 (მშენებარე), ჯამში 320	სრულად ფუნქციონირებს, ჯამში 6700 კმ	Kühtai 2 ჰიდროსადგური (140 მგვტ, 2026)	78%	ძალიან მაღალი სტანდარტი და განახლებადი ენერგიის დიდი წილი
ბელგია	2 ახალი გაზზე მომუშავე სადგური (2025), ჯამში 250	ნებართვების მიღების სირთულეები, ჯამში 5600 კმ	Green Turtle ბატარეის პროექტი (700 მგვტ, 2,800 მგვტსთ)	30%	საჭიროა ინფრასტრუქტურის განახლება და ენერგოეფექტურობის ზრდა
გერმანია	განახლებადი ენერგიის წილი 80% (2030 მიზანი), ჯამში 1800	A-Nord DC ხაზი (2 გიგავატი, 2027), ჯამში 35500 კმ	ბატარეის სიმძლავრე 1.8 გიგავატსთ (2024), 3.7 გიგავატსთ-მდე პროექტები	48%	ძლიერი სისტემა, მაგრამ მწვანე ენერგიის ზრდა აუცილებელია

წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/web/energy/data/database
https://www.iea.org/data-and-statistics


ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები საქართველოში

საქართველო ბოლო ათწლეულში ენერგეტიკული განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, თუმცა ინოვაციური ტექნოლოგიების სრულმასშტაბიანი ინტეგრაცია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მიუხედავად გარკვეული ინფრასტრუქტურული და ფინანსური შეზღუდვებისა, ქვეყანაში იკვეთება რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის რეალურ შესაძლებლობებს ენერგეტიკაში.

როგორც ცნობილია, საქართველო გამოირჩევა ჰიდრორესურსების დიდი პოტენციალით, დაახლოებით 80%-ზე მეტი ელექტროენერგია ჰიდრორესურსებით იწარმოება (GEOSTAT, 2024). თუმცა კლიმატური რისკებისა და სეზონურობის გამო იზრდება მზისა და ქარის ენერგიის მიმართ ინტერესი. 2023 წელს საქართველოში ქარის ენერგიის ჯამური დადგმული სიმძლავრე 21 მგვტ-ს აღემატებოდა, ხოლო მზის ენერგიის პროექტებზე ინტერესს კერძო ინვესტორები აქტიურად ავლენენ. ბიომასის პოტენციალი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნარჩენების გადამუშავების კუთხით, ჯერ კიდევ ნაკლებად ათვისებულია. მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი იქნება შესაბამისი პოლიტიკის, ფინანსური წახალისების და კვლევებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა ამ სექტორებში. გლობალურ დონეზე განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაცია ენერგეტიკულ სისტემებში განიხილება როგორც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის, ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. საქართველოც ამ ტრენდის ნაწილად იქცა, რადგან ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალი მნიშვნელოვნად განაპირობებს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ეფექტიანობას. ეს ქმნის კარგ საფუძველს განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების (მაგალითად, მიკრო და ოფ-გრიდ სისტემების, ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიების) განვითარებისთვის, რაც ენერგოსისტემის დეცენტრალიზაციასა და გამძლეობას შეუწყობს ხელს.

საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაცია და საერთაშორისო პარტნიორი, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგოინოვაციების პროექტების დაფინანსებას (მაგ., EBRD, KfW, USAID, EU). საერთაშორისო ჩართულობა ზრდის შესაძლებლობას, იმპორტირებული ცოდნა, გამოცდილება და კაპიტალი იყოს მიმართული ინოვაციური ენერგოინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ბოლო წლებში სახელმწიფო და კერძო სექტორი ნაბიჯებს დგამს თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის ენერგეტიკაში ჭკვიანი ქსელებისა და მრიცხველების, დიდი მონაცემების ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის, ენერგიის შენახვის სისტემების, ბლოქჩეინების, ენერგოეფექტურობის მიდგომების მიმართულებით. ამან შეიძლება მძლავრი საფუძველი შექმნას ენერგიის მონიტორინგის, მოხმარების ოპტიმიზაციისა და პროგნოზირების სისტემების დანერგვისთვის. ინოვაციური ტექნოლოგიების ხუთი ძირითადი მიმართულების დანერგვის დონე პროცენტულად სიმბოლური სტატისტიკური დიაგრამით (დიაგრამა 1) შეიძლება გამოისახოს, სადაც ჭკვიანი ქსელების დანერგვის დონე იქნება 40%. ენერგოეფექტურობის ინოვაციები – 45%, ხელოვნური ინტელექტი და დიდი მინაცემებები – 30%, ბლოქჩეინი – 10%, ენერგიის შენახვის სისტემები – 25%.



ჭკვიანი ქსელები (Smart Grids) წარმოადგენს ელექტროგადამცემი სისტემების თანამედროვე და ავტომატიზებულ მოდელს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ელექტროენერგიის მიწოდების ოპტიმიზაციას და ქსელის დეცენტრალიზაციას (სემეკ, 2023). ჭკვიანი ქსელების ტექნოლოგიები ტრადიციული ელექტროენერგიის ქსელების განვითარებული ფორმაა. ეფუძნება რა ციფრულ ტექნოლოგიებს, ავტომატიზაციასა და მონაცემთა უწყვეტ ანალიზს. მათი დანერგვა აუმჯობესებს სისტემის მოქნილობას, ენერგიის მენეჯმენტის სიზუსტეს და მომხმარებლის ჩართულობას. საქართველოს ენერგოსისტემა ჯერ კიდევ ეფუძნება ცენტრალიზებულ მართვას, სადაც გადაცემისა და განაწილების ქსელების თანამედროვე აპგრეიდი კრიტიკულად საჭიროებელია. Smart Grid-ის დანერგვა ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის ინტეგრაციას სისტემაში, რაც საჭიროებს მოთხოვნისა და მიწოდების გონივრულ დაბალანსებას. ამავდროულად, ჭკვიანი მრიცხველების (smart meters) ფართო გამოყენება გაზრდის გამჭვირვალობასა და მომხმარებლის ენერგოეფექტურ ქცევებზე ზემოქმედებას. მსოფლიო ბანკისა და EBRD-ის პროექტების ფარგლებში უკვე მიმდინარეობს ამ მიმართულებით ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

ენერგიის შენახვის სისტემები (BESS) ენერგიის დინამიური მართვის საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის არასტაბილური გამომუშავების კომპენსაციისთვის. საქართველოში, სადაც მზის და ჰიდრო ენერგიის პოტენციალი მაღალია, BESS-ის დანერგვა ხელს შეუწყობს ქსელის გამძლეობას და ენერგიის უწყვეტ მიწოდებას (IRENA, 2021). განახლებადი ენერგიის გაზრდილი წილი ენერგომიქსში ზრდის ელექტროენერგიის მიწოდების რყევების რისკს. შესაბამისად, ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს ენერგოსისტემის სტაბილურობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად. ლიდერ პოზიციას იკავებს ლითიუმ-იონური ბატარეები, რომელთა ეფექტიანობა და ფასის კლება (70%-ზე მეტი ბოლო ათწლეულში) მასშტაბური დანერგვის პირობებს ქმნის. საქართველოში მსგავსი პროექტების პილოტური ეტაპები ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია, თუმცა მომავალი ენერგოსადგურების მოდელირება ამ კომპონენტის გარეშე ვერ წარმოუდგენელია. გარდა ამისა, სატუმბი ჰიდროელექტროსადგურები (PHS) — განსაკუთრებით მიმზიდველია საქართველოს მთიანი რელიეფიდან გამომდინარე. მსგავსი სადგურები შეუძლიათ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ზედმეტი ენერგიის შენახვა წყლის დაბალი რეზერვუარიდან მაღალში აწევით და საჭიროებისას ტრადიციული ჰესის მსგავსად მუშაობა.

ენერგოსექტორის ციფრული ტრანსფორმაცია ენერგოეფექტურობას ზრდის. იგი გულისხმობს სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიის: IoT, Blockchain - ენერგოინფრასტრუქტურაში ინტეგრაციას, რაც სისტემის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. ინტერნეტ ტექნოლოგიები (IoT) უზრუნველყოფენ ათასობით მოწყობილობის ერთმანეთთან დაკავშირებას რეალურ დროში, რაც გადამწყვეტია ენერგიის მართვის, დანაკარგების იდენტიფიცირებისა და ოპტიმიზაციისთვის. Blockchain ტექნოლოგია ენერგეტიკაში გამოიყენება განაწილებული წარმოებისას, P2P ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირებისთვის და კონტრაქტების გამჭვირვალე მართვისთვის. ბლოკჩეინი ინოვაციური ტექნოლოგიაა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო და გამჭვირვალე გადაცემას ენერგოსისტემებში, განსაკუთრებით დეცენტრალიზებულ ელექტროენერგიის ვაჭრობაში. საქართველოში ბლოკჩეინის პოტენციალი არსებობს როგორც ენერგომარკეტის მოდერნიზაციის, ისე მომხმარებელთა შორის პირდაპირი ტრანზაქციების გამარტივების კუთხით (World Bank, 2022). მსოფლიოს რამდენიმე წამყვან ქვეყანას უკვე აქვს ისეთი სისტემები, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს ელექტროენერგიას ყიდიან/ყიდულობენ Blockchain-სამყაროში უსაფრთხოდ და ავტომატიზირებულად.

ხელოვნური ინტელექტი (AI) და დიდი მონაცემების ანალიტიკა (Big Data) ენერგომოხმარების ანალიზსა და პროგნოზირებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ქსელის დარღვევების სწრაფი გამოვლენისა და სამომხმარებლო ქცევის მართვის საშუალებას იძლევა. საქართველოს ენერგეტიკაში ამ ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს თანამედროვე, ინტელექტუალურ მართვის სისტემების შექმნას (UNDP, 2022), მზარდი ენერგოინფრასტრუქტურისა და განახლებადი რესურსების ინტეგრაციის პარალელურად.

ენერგოეფექტურობის ინოვაციური მიდგომების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ენერგომომარაგების სტაბილურობას (Energy Charter Secretariat, 2021). ენერგოეფექტურობის ინოვაციური მიდგომები, მათ შორის ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენება შენობების იზოლაციის, გათბობის, გაგრილების და განათების სისტემებში მნიშვნელოვნად ამცირებს ენერგომოხმარებას. საქართველოში ენერგოეფექტურობის ახალი სტანდარტების დანერგვა სტრატეგიული პრიორიტეტია (NECP).

ზემოთ ჩამოთვლილი ინოვაციური ტექნოლოგიები ქმნიან საფუძველს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის გარდაქმნისთვის თანამედროვე, ეფექტურ და მდგრად სისტემად. ჭკვიანი ქსელები, ენერგიის დაგროვების სისტემები და ციფრული ანალიტიკა ქმნის საშუალებას ქსელის გამართულობის, დაზიანებისადმი გამძლეობისა და მომხმარებელთა ჩართულობის გასაზრდელად. ციფრული სიგნალების დროული ანალიზი კი კრიზისულ სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. ტექნოლოგიური ინოვაციები ასევე ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის ზრდას — როგორც ინდუსტრიაში, ასევე საცხოვრებელ სექტორში. შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოების ახალი სტანდარტების დამკვიდრება საქართველოში ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინვესტიციების მიზნობრივ სტიმულირებას უკავშირდება.

საქართველოს აქვს ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის ბოლოდროინდელი განვითარება, მათ შორის ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი და ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმა (NECP). ეს სამართლებრივი ჩარჩო ხელს უწყობს

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას საცხოვრებელ, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში — როგორც სავალდებულო რეგულაციების, ისე სტიმულების მეშვეობით.

საქართველოში მოქმედებს ტექნიკური უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და საინჟინრო ფაკულტეტები, რომლებიც ემზადებიან ენერგეტიკული ინოვაციების გამოწვევების მისაღებად. ადგილობრივი ექსპერტიზის გაძლიერება და აკადემიური სექტორის ინტეგრირება პრაქტიკულ პროექტებში წარმოადგენს ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ მთავარ რესურსს.

ამრიგად, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი აერთიანებს ძლიერ პოტენციალს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისთვის. ინოვაციური ენერგოსისტემების განვითარება შესაძლებელია **მიზნობრივი პოლიტიკის, საჯარო-კერძო თანამშრომლობის, საერთაშორისო მხარდაჭერისა და ადგილობრივი ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერების გზით.** ეს შესაძლებლობა, თუ სწორად იქნება გამოყენებული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას, მდგრად განვითარებასა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის გზაზე წინსვლას.

მიუხედავად აღნიშნული შესაძლებლობებისა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ბარიერი:

- ფინანსური რესურსების სიმწირე, განსაკუთრებით SME-სა და რეგიონულ კომპანიებში;
- ტექნოლოგიური მოწყობილობების იმპორტზე დამოკიდებულება და ლოგისტიკური სირთულეები;
- კადრების დეფიციტი თანამედროვე IT და ინჟინერიული მიმართულებებით;
- სახელმწიფო სტრუქტურებში საკმარისი ტექნიკური კომპეტენციის ნაკლებობა გადაწყვეტილებების დაგეგმვისა და რეალიზაციის ეტაპზე.

განახლებადი ენერგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს მაღალი მოცულობის ინვესტიციებს, რაც გამოწვევად რჩება განვითარებადი ეკონომიკებისთვის. საქართველოსთვის დამახასიათებელია არასაკმარისი სახელმწიფო დაფინანსება და კერძო ინვესტიციების მყარი ნაკადი, რაც აფერხებს სავალდებულო ტექნოლოგიური რეფორმების განხორციელებას. ინვესტორებისთვის გაურკვეველი გრძელვადიანი პოლიტიკა, ბაზრის სეგმენტაცია და დაფინანსების მოდელების დეფიციტი ქმნის დამატებით რისკებს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით (WB, 2023), საქართველოში ენერგეტიკის სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი 2020 წლის შემდეგ მცირდება.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას, რაც საქართველოს შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება. განათლების სისტემასა და ბაზრის მოთხოვნებს შორის დისბალანსი, მაღალკვალიფიციური ინჟინრებისა და ICT სპეციალისტების დეფიციტი ხელს უშლის Smart Grid სისტემების, BESS ტექნოლოგიების ან Blockchain ბაზისრ სისტემების ფართო გამოყენებას.

ამასთანავე, ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოძველებული მდგომარეობა (განსაკუთრებით გადამცემ-განაწილების ქსელებში) არ უწყობს ხელს ციფრული გადაწყვეტილებების ეფექტიან გამოყენებას.

ენერგეტიკის სექტორში რეგულაციებისა და კანონმდებლობის არაკომპლექ-ტურობა აფერხებს ინოვაციების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 2019 წელს მიღებული აქვს ენერგეტიკული სტრატეგია და მიერთებულია ენერგეტიკულ გაერთიანებას (Energy Community), კონკრეტული წესები ტექნოლოგიური სიახლეების ხელშეწყობისთვის კვლავ ბუნდოვანია. მაგალითად, Distributed Energy Generation

სისტემების სამართლებრივი სტანდარტები ან Blockchain-ის ბაზაზე P2P ტრანზაქციების სამართლებრივი ჩარჩო ჯერ არ არსებობს. ასევე, კანონმდებლობაში ნაკლებადაა გათვალისწინებული ინოვაციური სტარტაპების მხარდაჭერა ენერგეტიკის სფეროში.

საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა მას ერთდროულად აძლევს როგორც შესაძლებლობებს, ისე მნიშვნელოვან რისკებს. ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რუსულ ბუნებრივ აირზე (2023 წლის მონაცემებით – დაახლოებით 15%-მდე), რაც ქმნის პოლიტიკური ზეწოლის შესაძლებლობებს კრიზისის პირობებში. ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსების ფასების მერყეობა, გლობალური დეფიციტები ან ლოჯისტიკური შეფერხებები შესაძლოა პირდაპირ აისახოს შიდა ენერგოსისტემის ფასებსა და სტაბილურობაზე. გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე იზრდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მრავალმხრივი უზრუნველყოფის აუცილებლობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში ენერგოუსაფრთხოების სფეროში მეცნიერული და ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ გამოწვევას, არამედ სტრატეგიულ მიზანს, რომელიც უკავშირდება ქვეყნის გრძელვადიან ენერგოპოლიტიკას, ეკონომიკურ სტაბილურობასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. ენერგეტიკული სექტორის ფუნდამენტური ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი განახლებადი ენერგიის ოთხ ძირითად მიმართულებაში — ჰიდრო, მზის, ქარისა და ბიომასის ენერგია. თუმცა, ამ რესურსების სრულყოფილი ათვისება საჭიროებს თანამედროვე ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებას (Smart Grid), ენერგიის დაგროვების სისტემების დანერგვას და ციფრული ტექნოლოგიების (IoT, Blockchain, AI) ინტეგრაციას.

მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, ენერგოსექტორის ინოვაციური ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ შეფერხებულია მრავალი ბარიერის გამო: ესენია საინვესტიციო შეზღუდვები, კადრების დეფიციტი, საკანონმდებლო ხარვეზები და გეოპოლიტიკური რისკები. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინირებული, მრავალდონიანი ქმედებები.

მიღებული ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილია შემდეგი ქმედითი ნაბიჯების გატარება:

- **ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა** აუცილებელია შეიქმნას ენერგოსისტემის მოდერნიზაციის ეროვნული გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს: Smart Grid სისტემების დანერგვას და ოპტიმიზაციას, ენერგიის დაგროვების ინფრასტრუქტურის (მაგ., ბატარეები, Pumped Hydro Storage) განვითარებას, ენერგოეფექტურობის ზრდას საცხოვრებელ და ინდუსტრიულ სექტორებში, მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციების (IoT-ზე დაყრდნობილი Smart metering და Home automation სისტემები) ხელშეწყობას.
- **საერთაშორისო პარტნიორობების გაძლიერება**საჭირო ხდება არსებული ინიციატივების (მაგ. EU4Energy) გაღრმავება შემდეგი მიმართულებით: ინოვაციური პროექტების თანადაფინანსება, ტექნოლოგიური ექსპერტიზისა და ტრანსფერის მხარდაჭერა, საინვესტიციო რისკების დაზღვევის მექანიზმების შექმნა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით (EU, WB, EBRD და სხვ.).
- **ინოვაციური R&D ცენტრების ჩამოყალიბება** ენერგეტიკაში მეცნიერული ინოვაციის რეალიზება შეუძლებელია მდგრადი კვლევითი ბაზის გარეშე. საჭირო ხდება: სპეციალიზებული კვლევითი პლატფორმების შექმნა (მაგ. უნივერსიტეტებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით), ფოკუსირება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა

განახლებადი ენერგიის ოპტიმიზაცია, AI-ზე დაფუძნებული ქსელური მოდელირება, მწვანე წყალბადის ტექნოლოგიები და სხვა პერსპექტიული მიმართულებები.

საკანონმდებლო გარემოს განვითარება ინოვაციის მხარდასაჭერად აუცილებელია: ინოვაციური ტექნოლოგიების (Smart Grid, IoT, BESS, P2P მოდელები) სამართლებრივი სტანდარტების შემუშავება და რეგულირება, სტარტაპების წახალისება საგადასახადო შეღავათებითა და ინოვაციური გრანტების სისტემით, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა ინოვაციური ინიციატივებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თორდია, თ. (2021). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები და გამოწვევები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 4(68), 45-52.
2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ). (2023). *ენერგეტიკის წლიური ანგარიში*. თბილისი. https://www.gnerc.org
3. სემეკ. (2023). *ენერგეტიკის წლიური ანგარიში 2022*. თბილისი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. https://www.gnerc.org
4. ჩხარტიშვილი, გ. (2020). ენერგეტიკული დივერსიფიკაციის საჭიროება საქართველოსთვის. *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები*, 2(4), 21-30.
5. Asian Development Bank (ADB). (2023). *Georgia: Energy Storage Development Project*. Retrieved from https://www.adb.org/projects
6. Energy Charter Secretariat. (2021). *Georgia: Review of the Energy Efficiency Policy*. Brussels: ECS.
7. თორდია, თ. (2021). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები და გამოწვევები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 4(68), 45-52.
8. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ). (2023). *ენერგეტიკის წლიური ანგარიში*. თბილისი. https://www.gnerc.org
9. თორდია, თ. (2021). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები და გამოწვევები. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 4(68), 45-52.
10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ). (2023). *ენერგეტიკის წლიური ანგარიში*. თბილისი. https://www.gnerc.org
11. სემეკ. (2023). *ენერგეტიკის წლიური ანგარიში 2022*. თბილისი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. https://www.gnerc.org
12. ჩხარტიშვილი, გ. (2020). ენერგეტიკული დივერსიფიკაციის საჭიროება საქართველოსთვის. *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები*, 2(4), 21-30.
13. Asian Development Bank (ADB). (2023). *Georgia: Energy Storage Development Project*. Retrieved from https://www.adb.org/projects
14. Energy Charter Secretariat. (2021). *Georgia: Review of the Energy Efficiency Policy*. Brussels: ECS.
15. Energy Community. (2022). *Georgia Energy Profile 2022*. https://www.energy-community.org
16. Energo-Pro Georgia. (2022). *Annual Sustainability Report 2022*. თბილისი.
17. European Commission. (2020). *A European Green Deal: Striving to Be the First Climate-Neutral Continent*. Brussels: EC. https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal

18. European Commission. (2023). *EU4Energy Policy Forum Proceedings*. Brussels: EC.
19. Eurostat. (2024). *Energy statistics - supply, transformation and consumption*. Retrieved from https://ec.europa.eu/eurostat/web/energy/data/database
20. Geostat. (2024). *National Statistics Office of Georgia – Energy Sector Data*. Retrieved from https://www.geostat.ge
21. International Energy Agency (IEA). (2024). *Data and Statistics*. Retrieved from https://www.iea.org/data-and-statistics
22. International Energy Agency (IEA). (2021). *World Energy Outlook 2021*. Paris: IEA. https://www.iea.org/reports/world-energy-outlook-2021
23. International Renewable Energy Agency (IRENA). (2023). *Innovation Landscape for Smart Electrification*. Abu Dhabi: IRENA. https://www.irena.org/publications
24. IRENA. (2021). *Renewables Readiness Assessment: Georgia*. Abu Dhabi: IRENA.
25. IEA. (2020). *Energy Technology Perspectives 2020: Special Report on Clean Energy Innovation*. Paris: IEA. https://www.iea.org/reports/etp-2020
26. Narmania D., Chokheli E., Kharkheli M., Davitaia Sh, Vardiashvili N., Makasarashvili M., Morchiladze G., (2025)., Energy potential and opportunities in Georgia: The context of making Georgia a regional energy hub., E3S Web Conf., 635 01001., DOI: https://doi.org/10.1051/e3sconf/202563501001
27. Narmania D., Chokheli E., Kharkheli M., Davitaia Sh, Vardiashvili N.,Makasarashvili M.,, Morchiladze G.,(2025)., *Assessing Household Energy Expenditure Dynamics and Energy Availability in Georgia, TEM Journal, 14*(1), DOI:10.18421/TEM141-66 , 741-758.
28. Narmania D., Chokheli E., Kharkheli M., Davitaia Sh, Tordinava T.,Vardiashvili., Energy Accessibility: Strategies for Equitable Energy Access in Georgia.,Journal of Electrical Systems, Vol. 20 No. 10s (2024) . https://journal.esrgroups.org/jes/article/view/6532
29. Sovacool, B. K., & Ryan, S. E. (2016). The geography of energy security: Critical and theoretical perspectives. *Renewable and Sustainable Energy Reviews*, 53, 546–558. https://doi.org/10.1016/j.rser.2015.08.027
30. UNDP Georgia. (2022). *STEM for Development: Innovation and Skills in Georgia's Green Transition*. Tbilisi: UNDP.
31. World Bank. (2022). *Energy Sector Diagnostic: Pathways to Sustainable and Resilient Energy in ECA*. Washington, DC: World Bank Group.

Manana Kharkheli
Davit Narmania
Giorgi Morchiladze
Eka Chokheli
Nino Vardiashvili
Shorena Davitaia
Mikheil Makasarashvili
Temur Tordinava

TRENDS IN THE IMPLEMENTATION OF INNOVATIVE TECHNOLOGICAL APPROACHES IN THE ENERGY SECTOR: THE CONTEXT OF GEORGIA'S ENERGY SECURITY[45]

Summary

Energy security remains one of the most critical and rapidly evolving fields in the modern world, where technological innovations play a decisive role in ensuring accessibility, reliability, and sustainability of energy. Against the backdrop of current global challenges, the resilience of energy infrastructure, optimal resource management, and the integration of renewable sources are increasingly becoming strategic priorities for states. The aim of this research is to examine the trends in the

[45] **This research was carried out within the framework of the 2023–2026 grant FR-23-8182 of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.**

implementation of innovative technological approaches in the energy sector and to analyze their impact on Georgia's energy security. Particular attention is given to technologies such as artificial intelligence, big data analytics, automation, smart grids, and energy storage systems, which are transforming the traditional models of energy production and consumption. The paper also addresses the emerging challenges of cybersecurity in the energy sector, which directly affect the resilience of critical infrastructure. The innovative aspect of the study lies in its integration of technological, social, and regulatory components—thus enabling the development of not only technical progress but also socially and ethically responsible policies in the field of energy. The conclusions present recommendations aimed at strengthening the resilience and technological sustainability of Georgia's energy system.

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკის სექცია
SECTOR OF ECONOMICS OF NATURAL RESOURCE MANAGEMENT AND ENVIRONMENTAL PROTECTION

მადონა გელაშვილი

ეროვნული ეკონომიკის მწვანე განვითარების ეკოლოგიური ასპექტები: ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი გამოყენება, ეკოლოგიურად მდგრადი წარმოება და მოხმარება

ანოტაცია. *"მწვანე ეკონომიკის" კონცეფცია შექმნილია სწორედ იმისთვის, რომ უზრუნველყოს ჰარმონიზაცია სამ – ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით (ეკოლოგიური) კომპონენტს შორის. ეს მისაღებია ყველა ჯგუფის – განვითარებული, განვითარებადი და დაბალ განვითარებული – ქვეყნებისათვის. „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ არსებული ეკონომიკური სისტემა, ე.წ. „ყავისფერი ეკონომიკა“ არასრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ მან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ზოგადად ადამიანებისა და განსაკუთრებით მისი ცალკეული ჯგუფების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, ამ სისტემის ფუნქციონირების უარყოფითი შედეგები თვალსაჩინოა: ეს არის ეკოლოგიური პრობლემები (კლიმატის ცვლილება, გაუდაბნოება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა); ბუნებრივი კაპიტალის ამოწურვა; სიღარიბე; მტკნარი წყლის, საკვების, ენერგიის დეფიციტი; ხალხისა და ქვეყნების განვითარების დონის უთანასწორობა. ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის დღევანდელ და მომავალ თაობებს.*

საკვანძო სიტყვები: *მწვანე განვითარება, ეკოლოგია, ბუნებრივი რესურსები, „ყავისფერი ეკონომიკა“, ეკოსისტემა.*

შესავალი

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია სულ უფრო მეტ გამოხმაურებას იძენს საზოგადოების მხრიდან. მას აქტიურად განიხილავენ ექსპერტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები; უფრო კონკრეტულად კი – იგი განვითარდა მდგრადი კონცეფციის საფუძველზე. სიტყვა „მწვანე რევოლუცია“ საერთაშორისო ლექსიკონში პირველად გამოიყენა უილიამ გაუდიმ (XX საუკუნის 60-70 წლები). ტეილორ მილერი, ამერიკელი ეკოლოგი, მწვანე რევოლუციას განიხილავდა ორ ეტაპად: პირველს – განვითარებულ და მეორეს – განვითარებად ქვეყნებში. მეორე მწვანე რევოლუცია 15-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა (მექსიკიდან კორეამდე), კერძოდ კი აზიის ქვეყნებში, რომლებიც მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო შიმშილობდნენ და იმყოფებოდნენ გადარჩენის ზღვარზე. ამ დროს „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება გახდა სახელმწიფოთა და შესაბამისად მოსახლეობის გადარჩენის ძირითადი წყარო. შინაარსობრივად „მწვანე ეკონომიკა“ და „მდგრადი განვითარება“ განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ერთი მეორის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური განვითარების გარეშე შეუძლებელია მწვანე ეკონომიკის არსის, მნიშვნელობისა და თავისებურებების გაგება. **მწვანე ეკონომიკა** არის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს. ის მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას. **მწვანე ეკონომიკის** მთავარი რეგულატორი სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესზე მეტად თავად **საზოგადოებაა**, რომელიც მართავს მას.

ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი გამოყენება

ბუნებრივი აქტივები (ტყეები, ტბები, დაჭაობებული ტერიტორიები და მდინარეების აუზები) წარმოადგენენ ბუნებრივი კაპიტალის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტებს ეკოსისტემის დონეზე. მათ აქვთ სასიცოცხლო მნიშვნელობა ბუნებაში წყლისა და მისი სასარგებლო თვისებების ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში სოფლის მეურნეობისა და შიდა (სამოსახლო) მეურნეობებისთვის; ნახშირბადის ბრუნვისა და კლიმატის შერბილებაში თავისი როლის შესრულებისთვის; ნიადაგის ნაყოფიერებისა და მისი მნიშვნელობის გაზრდისთვის მემცენარეობაში; ადამიანების არსებობისთვის უსაფრთხო გარემოს შემქნელი ადგილობრივი მიკროკლიმატებისთვის; თევზჭერისთვის, რომელიც არის ცილის წყარო. ბუნებრივი კაპიტალი აქტიურად მონაწილეობს ადამიანების კეთილდღეობაში და აწვდის ეკონომიკებს ძვირფასს რესურსს გენების, ბიოლოგიური სახეობებისა და ეკოსისტემების დონეზე.

მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

- განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზისა და სითბური უჯრედების ენერგია);
- მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
- სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი,

ჰიბრიდული და ელექტროსატრანსპორტო საშუალებები);

- წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
- ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
- მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და მათი განაშენიანება, პარკები).

გადასვლა მწვანე ეკონომიკაზე არა მხოლოდ აღიარებს და გამოააშკარავებს ბუნებრივი კაპიტალის ღირებულებას (როგორც ადამიანების კეთილდღეობის წყაროს, ღარიბი სამოსახლო მეურნეობების შემოსავლებისა და ახალი და ღირსეული სამუშაო ადგილების წყაროს), არამედ აბანდებს ფინანსურ სახსრებს აღნიშნულ ბუნებრივ კაპიტალში და ზრდის მას ეკონომიკური პროგრესის ინტერესებში. შემდგომში წარმოდგენილია მწვანე ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაში ინვესტირების პერსპექტივების, ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით.


- **პირველ რიგში, ტყეების გაჩეხვის შემცირება და მათი აღდგენა მომავალში ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას და განვითარებას, ასევე კლიმატის დარეგულირების გაუმჯობესებას.** კერძოდ, ტყე მიწისზედა ბიოლოგიური სახეობების 80%-ს შეადგენს და ზრდის სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, ფლორასა და ფაუნასთან დაკავშირებული სხვა სექტორების მდგრადობას. ტყის შენარჩუნებაზე დამოკიდებულია 1 მილიარდზე მეტი ადამიანის კეთილდღეობა. ტყის გაჩეხვის შემცირების წყალობით კლიმატის გაუმჯობესებული დარეგულირების სარგებელი ორჯერ, ხოლო შეფასებების მიხედვით, სამჯერ აღემატება მათზე გაწეულ ხარჯებს. მწვანე ეკონომიკის მოდელირებამ გვიჩვენა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 0,03%-ის ინვესტირება 2011-2050 წლებში, სატყეო ნაკვეთების მფლობელებისთვის ტყის შესანარჩუნებლად განკუთვნილი თანხების გადახდა და ტყის აღდგენაში კერძო ინვესტიციების დაბანდება გაზრდის დამატებულ ღირებულებას 20%-ზე მეტი

მოცულობით და მნიშვნელოვნად გაზრდის სატყეო ტერიტორიებზე ნახშირბადის რაოდენობას.

- **მეორეც, სოფლის მეურნეობაში მწვანე ეკონომიკის განვითარება განაპირობებს სურსათის მიწოდებას მსოფლიოს მზარდი მოსახლეობისთვის, აღნიშნული სექტორის მიერ გამოყენებული ბუნებრივი რესურსების განადგურების გარეშე.** მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებით, 2050 წლისთვის სოფლის მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს სურსათის მიწოდება 9 მილიარდი ადამიანისთვის ეკოსისტემისა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. დღესდღეობით სოფლის მეურნეობა მოიხმარს მსოფლიოს მტკნარი წყლის რესურსების 70%-ზე მეტს, სასოფლო-სამეურნეო სექტორზე ნაწილდება მსოფლიოს სათბური გაზების ემისიების 13%-ზე მეტი. სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება იწვევს 3-5 მლნ. პესტიციდებით მოწამვლის შემთხვევას და 40 000-ზე მეტი ადამიანის გარდაცვალებას წელიწადში.

სოფლის მეურნეობის „გამწვანება“ ითვალისწინებს წყლის ეფექტურ და მდგრად მოხმარებას, ორგანული და ბუნებრივი სასუქების გამოყენებას, ნიადაგის ოპტიმალურ დამუშავებას, მავნებელთა კომპლექსურ კონტროლს, მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობის მართვას. მწვანე ეკონომიკის შესახებ ანგარიშში განხილული მოდელირების შედეგების თანახმად, მწვანე სოფლის მეურნეობაში 2011-2050 წლებში 100-300 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირებას დროთა განმავლობაში შეუძლია განაპირობოს ნიადაგის ხარისხის ამაღლება და უმნიშვნელოვანესი კულტურების მსოფლიო მოსავლის გაზრდა 10%-ით იმ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც მიღწეული იქნებოდა მიმდინარე საინვესტიციო სტრატეგიების შენარჩუნების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ასეთი ტემპები არ არის საკმარისი მოშიმშილეთა სურსათთან თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად, ასეთი ზრდა მაინც აუცილებელია მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის მოსაგვარებლად. მოდელმა ასევე გვაჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის მწვანე რელსებზე გადასვლას შეუძლია სოფლის მეურნეობა აქციოს სასათბურე გაზების მსხვილი გენერატორისგან ნულოვანი ზრდის და სასათბურე გაზების ემისიების შემცირების მქონე დარგად.

- **მესამეც, წყლის სექტორის „გამწვანება“ მწვანე ეკონომიკის დამკვიდრება ხელს შეუწყობს საკმარისი რაოდენობით და საკმაოდ მაღალი ხარისხის მტკნარი წყლის მიწოდებას.** პროგნოზების თანახმად, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის გარეშე მსოფლიოს წყლის მიწოდებასა და წყლის დანახარჯს შორის შეიძლება გაჩნდეს დიდი და მუდმივად მზარდი გარღვევა (იხ. სურათი 1).



სურათი 1. „ყავისფერი“ ეკონომიკის სცენარის შემთხვევაში წყალზე მსოფლიოს მოთხოვნის და შემოთავაზების პროგნოზი.

მიზანშეწონილია, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს წყლის სექტორის „გამწვანების“ მეშვეობით ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების დაბანდებისა და წყლის პოლიტიკის სფეროში რეფორმების გატარების გზით. აღნიშნული რეფორმები შეიძლება მიმართული იყოს ინსტიტუციური მექანიზმების, და ასევე დახმარების გაწევისა და სახსრების გამოყოფის გაუმჯობესებაზე; ეკოსისტემური მომსახურებების საფასურის უფრო აქტიურ ამოღებაზე და ასევე წყალმომარაგებისთვის ფინანსური სქემების და გადახდის სისტემების მოდიფიცირებაზე. 2011-2050 წწ. პერიოდში მწვანე ეკონომიკაში 100-300 მილიარდი აშშ დოლარის ყოველწლიურად ინვესტირების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და მუნიციპალურ სექტორებში ეფექტურობის გაზრდა 2050 წლისთვის წყალზე მოთხოვნას შეამცირებდა დაახლოებით 20%-ით, შეამცირებდა აგრეთვე მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების მოხმარებას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

- **მეოთხეც, ენერგეტიკული სექტორის „გამწვანება“ და წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება განახლებადი ენერგიის წყაროებით მომავალში ხელს შეუწყობს ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიების დონის შემცირებას.** წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებული თანამედროვე ენერგეტიკული სისტემა იწვევს კლიმატის ცვლილებას. კერძოდ, ენერგეტიკული სექტორის წილი მოიცავს სასათბურე გაზების გამონაბოლქვის 2/3 ნაწილს. შეფასებების თანახმად, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების მიზნით გაწეული ხარჯი 2030 წლისთვის მიაღწევს 50-170 მილიარდ აშშ დოლარს, ამასთანავე ამ ფინანსური ტვირთის ნახევარი დააწვება განვითარებად ქვეყნებს. ენერგეტიკული სექტორის „გამწვანება“ მოითხოვს გადასვლას ნახშირბადით გაჯერებული ენერგიის წყაროებში ინვესტიციებიდან – სუფთა ენერგეტიკაში ინვესტიციებზე და ასევე ენერგიის მოხმარების ეფექტურობის გაზრდას.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს კვლევების თანახმად, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1–2%-ს ოდენობით მწვანე ინვესტიციების პოლიტიკით მასტიმულირებელი პაკეტი სავარაუდოდ გადაიყვანს მსოფლიო ეკონომიკას ნახშირბადის მცირე ემისიებთან დაკავშირებულ განვითარების გზაზე. აღნიშნული დამატებითი ინვესტიციები მოცულობით უტოლდება 2008 წელს მიღწეული

წიაღისეული საწვავის შესყიდვაზე გამოყოფილ სუბსიდიებს დაახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის ოდენობით. ენერგიის ნახშირბადით გაჯერებულ წყაროებში ინვესტიციების სუფთა ენერგეტიკაში ინვესტიციებით ჩანაცვლებას შეუძლია სამჯერ გაზარდოს განახლებადი წყაროების შეღწევის დონე ენერგიის წარმოებაში (16-დან 45%-მდე) 2050 წლისთვის. ყველა სახის ენერგიის გათვალისწინებით, განახლებადი წყაროების მონაწილეობა საპროგნოზო მაჩვენებლებით გააორმაგდებდა და უზრუნველყოფდა მიწოდების საერთო შემოთავაზებებს 25%-ზე მეტი მოცულობით.

- **მეხუთეც, სატრანსპორტო სექტორის „გამწვანება“ მომავალში ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებაზე, გარემოს დაბინძურებაზე და ადამიანების ჯანმრთელობისთვის საფრთხის წარმოქმნაზე ზემოთ აღნიშნული სექტორის ზემოქმედების შემცირებას.** ამჟამად ქალაქებსა და მათ საზღვრებს გარეთ ტრანსპორტი მოიხმარს მთლიანი თხევადი წიაღისეული საწვავის ნახევარზე მეტს და გამოყოფს CO^2-ის მსოფლიო ემისიების თითქმის მეოთხედს, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკასთან. კვლევები გვაჩვენებენ, რომ ეკოლოგიურმა და სოციალურმა დანაკარგებმა (ჰაერის ადგილობრივ დაბინძურებასთან, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან და საცობებთან დაკავშირებული დანახარჯები) შეიძლება მიაღწიოს რეგიონის ან ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10 და მეტ პროცენტს და მნიშვნელოვნად გადააჭარბოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ინიცირებისთვის საჭირო თანხებს.

სატრანსპორტო სექტორის „გამწვანება“ მისი ენერგოეფექტურობის გაზრდის, სუფთა საწვავის გამოყენებისა და კერძო ტრანსპორტიდან საზოგადოებრივ და არასაავტომობილო ტრანსპორტზე გადასვლის მეშვეობით გააუმჯობესებს ეკონომიკის მდგომარეობას და მოსახლეობის ჯანმრთელობას. როგორც გვაჩვენებს ევროპული გამოცდილების ანალიზი, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ინვესტიციებიდან ეკონომიკური უკუგება (სარგებელი) რეგიონალურ დონეზე თითქმის ორჯერ აღემატება გაწეულ ხარჯებს. მსოფლიოს მასშტაბით გაანგარიშებამ გვაჩვენა, რომ სატრანსპორტო სექტორში ყოველწლიურად მსოფლიოს მშპ-ის 0,34%-ის დაბანდება (მაგალითად, დაწყებული დაახლოებით 195 მილიარდი აშშ დოლარიდან) 2011 წლიდან 2050 წლამდე პერიოდში ხელს შეუწყობდა ნავთობის საფუძველზე საწვავის მოხმარების შემცირებას მაქსიმუმ 80%-ით ჩვეულებრივი განვითარების სცენართან შედარებით და ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიების შესაბამის შემცირებას.

- **მეექვსეც, მწვანე ეკონომიკა წაახალისებს ნახშირბადის ემისიების შემცირებას და შესაბამისად გააუმჯობესებს ქალაქში ცხოვრების ხარისხს.** ამჟამად ქალაქში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 50%, მათზევე ნაწილდება ენერგიის მოხმარების 60-80% და ნახშირბადის ემისიების 75%. სწრაფი ურბანიზაცია ზრდის დატვირთვას წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემებზე და ხშირად არის განუვითარებელი ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის გაუარესების და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესების გამომწვევი მიზეზი.

მწვანე ქალაქების შექმნის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა შენობების მოდერნიზაცია. მათი გათბობა, განათება, გაგრილება და განიავება (ჰაერის ვენტილაცია) არის ატმოსფეროში სათბური გაზების გამონაბოლქვის ერთ-ერთი ძირითადი წყარო (8,6 მილიარდი ტონის გამონაბოლქვის მოცულობით CO_2-ზე გაანგარიშებით). აღნიშნული ფაქტი აიხსნება იმით, რომ მსოფლიოში მთლიანი ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარების 1/3 მიმდინარეობს შენობებში, აქვე ხორციელდება 1/3-ზე მეტი მსოფლიოს რესურსების მოხმარება, მათ შორისაა მთლიანი მტკნარი წყლის 12%; ხოლო ამ სექტორის წილი მყარი ნარჩენების გენერირებაში შეადგენს დაახლოებით 40%-ს. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის

გათვალისწინებით, აღნიშნული სექტორის ზემოქმედება კლიმატზე „ყავისფერი“ ეკონომიკის შენარჩუნების სცენარში 2030 წლისთვის შეიძლება თითქმის გაორმაგდეს და მიაღწიოს 15,6 მილიარდ ტონას CO_2-ზე გადაანგარიშებით.

მწვანე ეკონომიკის განვითარება და შენობების მოდერნიზაცია მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ ენერგოეფექტურობა და შრომის პროდუქტიულობა, შევამციროთ ნარჩენები და გამონაბოლქვი, რომელიც წარმოიქმნება შენობების ექსპლუატაციის პროცესში, ასევე გავაუმჯობესოთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებების ხელმისაწვდომობა ნახშირბადის გამონაბოლქვის დაბალი დონის მქონე ინოვატორული სატრანსპორტო გადაწყვეტილებების ხარჯზე. 2050 წლამდე 300 – 1 000 მილიარდი აშშ დოლარის ყოველწლიური ინვესტირება ხელს შეუწყობს მსოფლიოს ენერგომოხმარების შემცირებას 1/3-ით. ელექტროენერგიის დაზოგვის გარდა, აღნიშნული სექტორის „გამწვანება“ ასევე წაახალისებს ნედლეულის, ნიადაგისა და წყლის უფრო ეფექტურ მოხმარებას და საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკების და ნარჩენების შემცირებას. განვითარებად ქვეყნებში ამ სექტორში არსებობს შენობებში ჰაერის დაბინძურების შემცირების კოლოსალური პოტენციალი, რაც მსოფლიოში ყოველწლიურად არის სიკვდილიანობის 11%-ის მიზეზი.

დასკვნა

ამდენად, მწვანე ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, თუ რა ტიპის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას აირჩევს ქვეყანა; ასევე როგორი ეფექტურობით გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ტექნოლოგიურ პროგრესსა და რესურსებს; რა მოთხოვნები აქვს შესასრულებელი საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით და, რაც მთავარია, როგორ ეკონომიკურ სტიმულირებას (ინსენტივებს) შექმნის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკა და ინსტიტუტები მწვანე ზრდის წახალისებისათვის. მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების განვითარების შედეგად, სრულიად უნდა მოიშალოს დამოკიდებულება CO_2 ემისიებსა და მშპ-ს შორის.

მწვანე ეკონომიკა არის მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც ჩამოყალიბდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. მიჩნეულია, რომ მის ფარგლებში ეკონომიკა არის ბუნებრივ გარემოზე დამოკიდებული კომპონენტი, რომელშიც ის არსებობს და არის მისი შემადგენელი ნაწილი. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია მოიცავს ეკონომიკურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში არსებული სხვადასხვა მიმართულების იდეებს, როგორიცაა ფემინისტური ეკონომიკა, პოსტმოდერნიზმი, ეკოლოგიური ეკონომიკა, გარემოს ეკონომიკა, ანტიგლობალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და ა.შ.

მწვანე ეკონომიკის თეორია ემყარება სამ ძირითად აქსიომას:

- შეუძლებელია გავლენის სფეროს უსასრულოდ გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;
- შეუძლებელია უსაზღვროდ მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეზღუდული რესურსების პირობებში;
- ყველაფერი დედამიწის ზედაპირზე ურთიერთკავშირია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., წრიული ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. „ეკონომისტი“, № 1. თბ.,2019.

2. ადეიშვილი მ., გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი. მწვანე ალტერნატივა. თბ., 2012.

3. ალადაშვილი,მ., ეკონომიკა და ფინანსები. „ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში“, 1: 66-72; 2023.

4. გელაშვილი მ., „მწვანე“ განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში“.ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბ., 2022.

5. გელაშვილი მ., „მწვანე“ ეკონომიკა - მიზნები და უპირატესობები.“ ჟურნალი: „კანონმდებლობა და ბიზნესი“, #2. თბ., 2022.

6. გელაშვილი მ., „მწვანე ეკონომიკის“ ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე. ჟურნალი: „კანონმდებლობა და ბიზნესი“, #2. თბ., 2022. https://doi.org/10.52340/bal;

7. Gelashvili M., 2017. „Innovative Human Capital and its development characteristics“, SSU IV international-practical conference, collections. Tbilisi „Homeland“.

8. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia“. „Ekonomisti” #1, 2018; p.55.

9. Gelashvili M., D. Burlachenko, „The strategy of growth of green economy in Georgia“. World Economy and International Economic relations International Scientific; Collection; Volume 4, CUL – 2021. p.11.

10. Climate-related Risk Radar for Georgian economic sectors and its possible application for the financial sector, The National Bank of Georgia (NBG), German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK)2022, https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar

11. Climate-related Risk Radar for Georgian economic sectors and its possible application for the financial sector. The National Bank of Georgia (NBG), German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK)2022, https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar

Madona Gelashvili

ECOLOGICAL ASPECTS OF GREEN DEVELOPMENT OF THE NATIONAL ECONOMY: ECOLOGICALLY SUSTAINABLE USE OF NATURAL RESOURCES, ECOLOGICALLY SUSTAINABLE PRODUCTION AND CONSUMPTION

Summary

The concept of "green economy" is designed precisely to ensure harmonization between three components - economic, social, environmental (ecological). And this is acceptable for all groups of countries - developed, developing and underdeveloped countries. Supporters of the concept of "green economy" believe that the existing economic system, the so-called "brown economy" is imperfect. Although it has produced significant results in improving the living standards of people in general and their individual groups in particular, the negative consequences of the functioning of this system are evident: these are ecological problems (climate change, desertification, loss of biodiversity); depletion of natural capital; poverty; shortages of fresh water, food, energy; inequality in the level of development of people and countries. All this poses a threat to present and future generations.

Keywords: *green development, ecology, natural resources, "brown" economy, ecosystem.*

ციცინო თეთრაული

საქართველოს ნიადაგის ტიპები და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოება

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია მიწის რესურსების არსი და მნიშვნელობა. შესწავლილია საქართველოს ნიადაგის ტიპები და მისი თავისებურებები. გაანალიზებულია ნიადაგის ეროზიის გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის გზები და მეთოდები. გაშუქებულია აგრარულ სფეროში მეტი კვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობა (ნიადაგ მცოდნეები, გეოლოგები, გეომორფოლოგები, სეისმოლოგები, აგრონომები, რეინჯერები და ა.შ.) რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას მითითებულია ის ეკოლოგიური და ეკონომიკური საფრთხეები რომელიც მიწიის რესურსებისადმი არასათანადო დამოკიდებულება შეიძლება გამოიწვიოს. დახასიათებულია მეწყერების, ღვარცოფების და ა.შ. სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარების გზები და მეთოდები.*

საკვანძო სიტყვები: *ეროზია, მეწყერი, კულტივაცია, ბიოპროდუქტები, ემიგრაციაœ*

სიცოცხლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის ისტორიასთან, მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და ამოწურვადი რესურსი. მიწა ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრეა და სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა სჭირდება, მიწის რესურსების გამოყენებით კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე თითქმის მთლიანად იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას. მიწა ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველთა საფუძველია, კაცობრიობის არსებობისათვის ერთადერთი უალტერნატივო საშუალება.

ადამიანისთვის მიწა ერთდროულად არის შრომის საგანიც და წარმოების ძირითადი საშუალებაც, რომელსაც კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იყენებს, თავისი არსებობის შესანარჩუნებლად მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორია და სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცეა, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს, იგი წარმოადგენს ერის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობას. მიწა არ არის ჩვეულებრივი საქონელი, ის თავისი მნიშვნელობით უდიდესი დატვირთვის მქონე უნიკალური ბუნებრივი რესურსია, ერის სიმდიდრე და ჩვენი წინაპრების მიერ დაცული და მემკვიდრეობით ჩვენთვის გადმოცემული. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველის წარმოდგენას იმ ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური და რაციონალური გამოყენება და დაცვა, რომელიც ქვეყანას გააჩნია, ნიადაგის არასწორი გამოყენება რჩება თანამედროვე საზოგადოების საფრთხედ, მაშინ როდესაც მსოფლიო მოსახლეობა სწრაფად იზრდება და უკვე 8 მილიარდს გადააჭარბა, ნაყოფიერი მიწების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. ყოველწლიურად ბრუნვიდან გამოდის 7-8 მილიონი ჰექტარი სავარგული მიწა, რომლის მიზეზია ეროზია დამლაშება, დაჭაობება, გადაძოვება, ურბანიზაცია და ა.შ.

ტერმინი "მიწა" და "ნიადაგი", სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, ნიადაგი არის დედამიწის ქერქის ზედა ფხვიერი ნაწილი, რაც შექმნილია ქანების ბიოსფეროს, ჰავის, რელიეფისა და ხმოვანების ერთობლივი მოქმედების შედეგად. ნიადაგის არსებითი თვისება არის მისი ნაყოფიერება, რაც გულისხმობს მცენარის უზრუნველყოფას წყლით, სითბოთი, საკვები ნივთიერებებით და ა.შ. წარმოდგენა ნიადაგზე შეიქნა XIX საუკუნეში ნიადაგთმცოდნეობის ფუძემდებლის ვ. დოკუჩაევის მიერ. თავდაპირველად ვ. დოკუჩაევმა გამოყო 10 ნიადაგის ტიპი, ხოლო

შემდეგ ნიადაგების კლასიფიკაციაში გამოყვეს 100-ზე მეტი ტიპი, ნიადაგის ტიპი თავის მხრივ იყოფა ქვეტიპებად, სახეებად, სახესხვაობებად და ვარიანტები ყოველწლიურად მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 24 მილიარდი ტონა ნიადაგი იკარგება, მაგრამ მიუხედავად ასეთი გლობალური დანაკარგისა ნიადაგის გამოფიტვა მეტწილად შეუმჩნეველი რჩება. ნიადაგის ეროზია გლობალური პრობლემაა. "ეროზია ლათინური სიტყვაა და "გამოჭამას" ნიშნავს მიწის რესურსებთან დაკავშირებით ეროზია ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემაა. იგი იწვევს ნიადაგის დეგრადაციას რის შედეგადაც ნიადაგი იფიტება, დეგრადირდება, ხდება უნაყოფო და გამოუსადეგარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ეროზირებული ნიადაგების აღდგენა ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია. ნიადაგის 10-12 სმ-იანი ფენის აღდგენის ათეულობით წლები და ზოგჯერ საუკუნეები სჭირდება ამიტომ ეროზია შეიძლება შევადაროთ შენელებული მოქმედების ნაღმს. ნიადაგის ჩამოყალიბების მსგავსად, ნიადაგის ეროზიის ტემპები დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, რომელიც მემკვიდრეობით იღებს საწყისი მასალისაგან, დედაქანისაგან, ასევე დამოკიდებულია ადგილობრივ კლიმატზე, ორგანიზმებისა და ტოპოგრაფიაზე. სტრუქტურული თვისებების კომბინაცია განსაზღვრავს ნიადაგის შესაძლებლობას წინააღმდეგობა გაუწიოს ეროზიას. ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობა ნიადაგში აფერხებს მის ეროზიას. მსოფლიოს მასშტაბით ნიადაგის უმეტესი ნაწილი ღარიბია რთული დასამუშავებლად, ან დაუცველია სწრაფი ეროზიისაგან ეროზია ძირითადად დაკავშირებულია საუკუნეების მანძილზე მიწაზე ანთროპოგენურ ზემოქმედებასთან. არასწორ კულტივაციასთან. შხამქიმიკატების ნიადაგში უკონტროლოდ შეტანასთან, წიაღისეულის მოპოვებასთან, ტყეების გაჩეხვასთან და ა.შ. უწყვეტი კულტივაციის პირობებში, ნიადაგის ორგანული ნივთიერებები განიცდიან შემცირებას, ამიტომ ნიადაგი მით უფრო მეტად განიცდის ეროზიას, რაც უფრო დიდხანს ხდება მისი დამუშავება კონსერვაციის გარეშე. მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 60%-ს დეგრადაცია ემუქრება. ამიტომ ნიადაგის ეროზიული მდგომარეობის კვალიფიციურ შეფასებას და საჭირო ღონისძიებების დროულად გატარებას უდიდესი სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარებისათვის. საჭიროა მოხდეს მიწის ეროზიული პროცესების მონიტორინგი, მისი გაღრმავებისა და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს ტერიტორია მისი გეოგრაფიული პირობების გამო იყოფა ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. საქართველო უდიდესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს და ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდს წარმოადგენდა. სწორედ საქართველოზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი - ძველი აბრეშუმის გზა. საქართველოს რელიეფი მრავალფეროვანია, რელიეფის ჩამოყალიბება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ხდებოდა და ახლაც გრძელდება. საქართველო მთიანი ქვეყანა. მთებს უჭირავს მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი 54%, გორაკ-ბორცვებისა და მთისწინების - 33%, ხოლო დაბლობები - 13%-ია. საქართველოს მთიანი რელიეფი აგრარული სფეროს განვითარებისათვის სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. საქართველოს მთელი სივრცე 3 ტიპის ფართობისაგან შედგება: 1) ბუნებრივ-სამეურნეო ფართობს უკავია - 64,9%; 2) სამიწათმოქმედო ფართობს - 18,1%; 3) გამოუსადეგარი ფართობია - 17%. საქართველოში ხშირია ბუნებრივი სტიქიური მოვლენები მეწყერები, ღვარცოფები, წყალდიდობები, ზვავები, კლდეზვავები, ქვათაცვენა და ა.შ. საქართველოს ტერიტორია 7-9 ბალიანი

მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული. გვყავს ეკომიგრანტები საქართველოს მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება ექვემდებარება ვერტიკალური ზონალობის კანონს. ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით გამოიყოფა 6 ზონა.

საქართველოში ეროზიის შედეგად ყოველწლიურად ნადგურდება ათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ირეცხება ასეულობით ტონა ნიადაგი. წყალუხვ მდინარეების - რიონს, კოდორს, ჭოროხს, ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ტონა მაღალ-ნაყოფიერი ნიადაგი ზღვაში შეაქვთ, მაღალი მთიანეთის 2000-3000 მ-ზე (ზღვის დონიდან) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თითქმის აღარ გვხვდება.

საქართველოს ნიადაგები მრავალფეროვანია (34 ტიპია გავრცელებული) მთა-მდელოს ნიადაგები, ყომრალი ნიადაგები, სამხრეთ მთიანეთის შავმიწები, კორდიანი მთა-მდელოს ნიადაგები, ყომრალი ნიადაგები ტყის ყავისფერი ნიადაგები, სხვადასხვა ქანებზე განვითარებული კორდიან-კარბონატული ნიადაგები გამოფიტული და კარბონატული მთის შავმიწები, მცირე საშუალო სისქის შავმიწები, რუხი ყავისფერი ნიადაგები, დამლაშებული ნიადაგები, წითელ მიწა და ყვითელ მიწა ნიადაგები; ეწერი და ეწერ-ლებიანი ნიადაგები, ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი), ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგები, ალევიური კარბონატული და უკარბონატო ნიადაგები, აღმოსავლეთ საქართველო მდელოს კარბონატული ნიადაგები, სუსტად განვითარებული მცირე სისქის სხვადასხვა ტიპის პრიმიტიული ნიადაგი, და ა.შ. საქართველოს მიწის რესურსები ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით. მთიანი რელიეფის გამო საქართველოში სავარგულების ათვისება ვერტიკალური ზონალობის პრინციპს ექვემდებარება, რის გამოც ბარში ათვისებული ტერიტორიების მასშტაბი უფრო დიდია ვიდრე მთიანეთში. რელიეფის გამო მთიან რეგიონებში გართულებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და ხშირად სარგებლობენ ცოცხალი გამწევი ბაღით (ხარი, კამეჩი). რელიეფის გამო სავარგულები წვრილკონტურებიანია და მიწების დიდი ნაწილი ფრაგმენტირებულია, ამიტომ მნიშვნელოვანია შეძლებისდაგვარად მათი კონსოლიდაცია. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი ქვეყანა მცირემიწიანია, გვაქვს ბუნებრივად ნაყოფიერი მიწები. ჰუმუსის მაღალი შემცველობის გამო ნაყოფიერებით გამოირჩევა ყომრალი ნიადაგები, მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები, შავმიწები, ყავისფერი ნიადაგები, საქართველოში ეროზიის შედეგად ყოველწლიურად ათასობით ჰექტარი მიწა ნადგურდება. ეროზიის სახეებია: 1) წყლისმიერი ეროზია, 2) ქარისმიერი ეროზია, 3) პერმანენტული კულტივაცია (ქიმიური სასუქების შექანა ნიადაგში), 4) გადაჭარბებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, 5) ტყის მასივების შემცირება, 6) დამლაშება, 7) გადაძოვება, 8) დაჭაობება, 9) მეწყერი, 10) ღვარცოფი, 11) მიწისძვრა და ა.შ. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიწის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს, როგორც სასოფლო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა. ქვეყნის ტერიტორიული-სივრცითი მოწყობა არის მიწის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო ინსტრუმენტი, მისი სოციალური ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარებისათვის.

ქართლში ნიადაგსაფარი საკმაოდ მრავალფეროვანი ტიპის ნიადაგებით ხასიათდება. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და საუკეთესოა ვენახისათვის. ზღვის დონიდან 1000-1800 მ-ზე გვხვდება მცირე და საშუალო სისქის ყომრალი ნიადაგები, ვულკანურ პლატოზე ზ.დ. 1200 მ-ზე მაღლა მთის შავმიწა ნიადაგები, ხოლო შედარებით დაბალია ყავისფერი ნიადაგებია გავრცელებული. გამოირჩევა ალევიური და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზღვის

დონიდან 700-1200 მ-ის ფარგლებში, ინტენსიური მიწათმოქმედების ზოლში. ქვემო ქართლში არის მრავალფეროვანი სპექტრი როგორც ნიადაგების, ისე ვერტიკალური ზონალობის, რაც სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საშუალებას იძლევა. ქვემო ქართლში ბარის ველის, დაბალმთის ტყის, საშუალო მთის ტყის მთის სტეპისა და მდელოს სტეპის ზომიერად მშრალი ლანდშაფტებია. სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარებულია: მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მოჰყავთ თამბაქო ეთერზეთოვანები, ათვისებული კერძო სავარგულების 28,6%, სახნავს - 24%, გამოუყენებელია 3,5%, ფართობების 50% ძირითადად სათიბ-საძოვრებად გამოიყენება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით ქარელის მუნიციპალიტეტში ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას განიცდის 8,677 ჰა, გორის მუნიციპალიტეტში - 14,157 ჰა, ქარელში დამლაშებულია 450 ჰა, გორში - 233 ჰა ნიადაგი. ამის შესახებ შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში და მოიცავს 2014-2024 წლამდე პერიოდს. ამავე კვლევის მიხედვით კვერნაქის ქედის ორივე ფერდობზე საძოვრები საშუალოდ ეროდირებულია, ცხვრის მიერ გადაძოვების გამო. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შიდა ქართლში შეიმჩნევა გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება, სადაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ქარსაცავი ზოლების განადგურებისა და ნალექების დეფიციტის პირობებში, მომატებული ტემპერატურის ფონზე გაძლიერდა ქარის მიერი ეროზიის პროცესი, კახეთი რელიეფურად წარმოდგენილია ვაკე და მთიანი ტერიტორიებით. კახეთში ზაფხულის ტემპერატურა ყველგან მაღალია. ელდარის ვაკე საქართველოს ყველაზე მშრალი რეგიონია. კახეთის რეგიონი ტყეებით მდიდარია. ტერიტორის 32% ტყეს უკავია, რომელსაც ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, საკურორტო მნიშვნელობა აქვს. კახეთი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, რომლის ძირითადი დარგია მევენახეობა. მოჰყავთ ასევე ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული კულტურები ეკონომიკაში წამყვანია კვების მრეწველობა, კერძოდ: ღვინის, ეთერზეთების საკონსერვო და თამბაქოს წარმოება. კახეთის აგროტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. კახეთში ხშირია ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორიცაა: ღვარცოფი გვალვა, სეტყვა. სეტყვა დიდ ზიანს აყენებს როგორც მევენახეობას, ასევე მთლიანად სოფლის მეურნეობას.

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელმა კახეთის რეგიონში მიწის რესურსებისა და სოფლის მეურნეობის პრობლემების შესასწავლად კვლევა ჩაატარა კვლევის შედეგად გამოვლინდა ძირითადი პრობლემები როგორიცაა მიწის ეროზია, ტყეების გაჩეხვა, ნიადაგის დაჭაობება, სათესლე მასალისა და ტექნიკის დეფიციტი, სოფლებში მოშლილია სარწყავი და სადრენაჟო სისტემები. ზოგან სასმელი წყალიც კი პრობლემაა. ჩასატარებელია ნაპირსამაგრი სამუშაოები, საჭირბოროტო საკითხია ადიდებული მდინარეები. მდინარეების კალაპოტები არ არის გაწმენდილი ნაპირებია გასამაგრებელი. ადიდებული მდინარეები ტბორავს ნაკვეთებს, სავარგულებს. იხოცება ფრინველი და ცხოველი, წყალი სახლებში უვარდება მოსახლეობას. მცხეთა-მთიანეთი სოფლის მეურნეობის რეგიონია. განვითარებული მეხილეობა, მებოსტნეობა, მემარცვლეობა. მთავარი და ტრადიციული დარგია მეცხოველეობა. მცხეთა-მთიანეთი ერთ-ერთი ნაკლებად ურბანიზებული მხარეა: ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ყომრალსა და ტყის ყავისფერ ნიადაგებს, აგრეთვე გვხვდება შავმიწა, ნეშომპალა და ტყის ყომრალი ნიადაგები, ჰიდროგრაფიული ქსელი მჭიდროა და წარმოდგენილია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მიწისქვეშა წყლებით. მუხრან-საგურამოს ვაკეზე გვხვდება მდელოს ალევიური, კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგები. რაჭა-ლეჩხუმის რელიეფში მაღალი ქედები და ქვაბულები გვხვდება. ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყის მასივებს უჭირავს. საძოვრების დიდი ფართობები უკავია, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის განვითარებას. წამყვანი დარგია მევენახეობა,

მოჰყავთ ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები, ხილი. რეგიონი ნაკლებად ურბანიზებულია, ბევრია დაცარიელებული სოფელი სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი ძლიერ დანაწევრებული რელიეფით ხასიათდება. ნიადაგური საფარი საკმაოდ ჭრელია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 39,2%, ბუჩქნარებზე - 3,5%, ჭაობებზე - 2,0%, გამოყენებული მიწები - 8,3%-ია, კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული ტორფი და ჭაობიანი ტყეები. რეგიონის მდებარეობა განაპირობებს სამელიორაციო და სარწყავი სისტემების საჭიროებას. განვითარებულია სუბტროპიკული მხილება, მებოსტნეობა, რეგიონი მდიდარია ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი წიაღისეულით და ჰიდრორესურსებით, დიდი პრობლემაა აუთვისებელი სავარგულები - მიტოვებული გაბუჩქებული - გაუხეშებული - გასარევლიანებული ფართობები, აუთვისებელი მიწის ფართობები შეადგენს 14,8 ათას ჰა-ს, მთლიანი სავარგულების 5,5%-ს, აქედან დეგრადირებულ 5000 ჰა. გაველურებული ჩაისა და ტუნგოს ფართობები, ამ ფართობების ათვისება სახელმწიფო ძალისხმევისაა შესაძლებელი. აჭარის ფართობი რთული და მრავალფეროვანია მისი უმეტესი ნაწილი მთებს, მთისწინებსა და ღრმა ხეობებს უკავია, შავი ზღვა, როგორც მთლიანად საქართველოს ისე აჭარის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა, აჭარა მდიდარი ბუნებრივი ლანდლშაფტით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია მთის ტყეები, კოლხური ქვეტყეები, ალპური და სუბალპური მდელოები, აჭარის ნიადაგური საფარი განსაკუთრებული ნიარგვარობით ხასიათდება. ზღვისპირა რაიონებში ფართოდ არის გავრცელებული ტიპიური წითელი მიწები. იგი წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, ტუნგო, დაფნა და ა.შ.) განვითარების საუკეთესო გარემოს, აჭარაში გვხვდება წითელ მიწები, ყვითელ ყომრალი ნიადაგები - მთა მდელოს ნიადაგები, კორდიან ტორფიანი და ა.შ. გავრცელებულია აგრეთვე ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. აჭარა ქვეყანაში ციტრუსებით მთავარი მწარმოებელია. წამყვანი ადგილი უკავია მანდარინს, აჭარაში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის 3 ზონაა გამოყოფილი.

სანაპირო ზონაში მისდევენ მეციტრუსეობას და მეჩაიეობას შიდა აჭარაში - მესიმინდეობა და მეთამბაქოეობას მაღალმთიან აჭარაში კი ძირითადად მესაქონლეობა.

სამცხე-ჯავახეთში ჭარბობს ვულკანური ფორმები. ტერიტორიის თითქმის 2/3 სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია. სამცხეში ამ მიწებზე მთელი ფართობის 53,4% მოდის. ჯავახეთში - 83,3%. ორივე მხარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახევარზე მეტი საძოვრებია, სამცხე-ჯავახეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. მოჰყავთ ბოსტნეული, ბაღჩეული, ყურძენი, მარცვლეული, მისდევენ მეცხოველეობას. სამცხე-ჯავახეთში პროდუქციის წარმოების 85%-ზე მეტი მცირე ზომის შინამეურნეობებია. 90-იანი წლების კრიზისის პერიოდში რეგიონში განადგურდა და დეგრადაცია განიცადა ტყეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. სამცხე-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებზე ხშირად მიერეკებიან ცხოველებს ბარის რაიონებიდან. გადაძოვება რეგიონის მთავარი პრობლემაა, მიწის რესურსებთან დაკავშირებით საძოვრების როტაციის სისტემის დანერგვა და მონიტორინი მათი გადარჩენისა და დაცვის ერთადერთი გზაა, ძეგლად სამცხე-ჯავახეთში იმდენი ხორბალი მოჰყავდათ, რომ უცხოეთშიც კი გაჰქონდათ, XII საუკუნეში თამარ მეფის ეპოქაში მესხეთი საქართველოსთვის ნამდვილი ბეღელი იყო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე წარმოდგენილი ნიადაგები თვისებრივად მეტად განსხვავებულია ამიტომ საჭიროა მეცნიერულად მათი უფრო ღრმად შესწავლა, გაანალიზება და პრევენციული ზომების გატარება. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული მეწყერული ტერიტორიების საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰა-ს აღემატება, მეწყერ საშიში

რეგიონებია: რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, სვანეთი, იმერეთი, მთიულეთი და ა.შ. მეწყერული პროცესების წარმოქმნა-გააქტიურებას განაპირობებს რელიეფის ღრმა დანაწევრება და ძლიერ დახრილი ზედაპირი, დაბალი სიმტკიცის მქონე ქანების დიდ ფართობებზე გავრცელება და ადამიანის სამეურნეო საქმიანობაა. დედამიწის ზედაპირული ფენების ჩაწევა დაცურებით გადაადგილებას ფერდობის დახრის მიმართულებით მეწყერი ჰქვია, მეწყერები არ აღინიშნება კოლხეთის დაბლობებზე, ალაზნის ველზე და შიდა ქართლის ვაკეზე. მეწყერი შეიძლება რამდენიმე ჰექტარ ფართობს მოიცავდეს, ხოლო დამეწყრილი ტერიტორია ზოგჯერ ათეული კმ^2-საც შეადგენს. საქართველოში დაახლოებით 10 000 მეწყერი ან მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე უბანია, რომელთაგან უფრო საშიშია დაახლოებით 3000. მეწყერი ხშირად წლის განმავლობაში პასიურ მდგომარეობაშია. მათი გააქტიურება ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომისთანავე იწყება, დამეწყვრასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა: მთის კალთების გატყიანება, და საინჟინრო ნაგებობებით დამაგრება, მიწისქვეშა წყლების დრენაჟის მოწყობა, უსისტემო მორწყვის აკრძალვა, მიწისქვეშა აფეთქებების აკრძალვა და ა.შ. მეწყერის წარმოქმნის საშიშროების შესახებ სიგნალის მიღებისას მოვემზადოთ ევაკუაციისთვის. მეწყერის გარდა დიდ საფრთხეს წარმოადგენს ღვარცოფი. ღვარცოფული საშიშროების ზონაშია მოქცეული საქართველოს ტერიტიორიის 2 მილიონი ჰექტარი ფართობი, ძირითადი ღვარცოფული რაიონებია: არაგვის თერგის, ალაზნის, ზემო დინებით. აუზები, ღვარცოფის წარმოქმნა-განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: ადვილადშლადი ქანები, უტყეობა, ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდი. ღვარცოფი არის ერთი მეორეში არეული ტალახის, ღორღისა და წყლის უზარმაზარი ნიაღვარი, რომელიც დიდი სისწრაფით მოექანება ქვევით, თან მოაქვს ლოდები, ემატება ენერგია და სიჩქარე და გზაზე ანადგურებს ყველაფერს. საქართველოში ღვარცოფის ხსენება ასოცირდება მდინარე დურუჯთან. დურუჯმა ბევრჯერ დაატრიალა ტრაგედია ყვარელში. ღვარცოფული მდინარეებია კისისხევი, ლაფანისხევი, თურდო, ჭერმისხევი. უნდა გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინ თბილისში დატრიალებული თითქოსდა უწყინარი მდ. ვერეს ტრაგედია. ასევე შოვში დატრიალებული ტრაგედია, რომელთაც ადამიანების სიცოცხლე შეეწირა ღვარცოფის წინააღმდეგ მიმართავენ შემდეგ ღონისძიებებს: ფერდობებზე აშენებენ ტყეებს, გაჰყავთ წყალშემკრები არხები, აკეთებენ ტერასებს ორმოებს, მდინარის კალაპოტის გასწვრივ აგებენ დამბებს, საყრდენ კედლებს, კალაპოტში კი დამჭერებს რკინის, რკინა-ბეტონის, ან მიწაყრილისაგან.

ტყე პირდაპირ კავშირშია ნიადაგთწარმომქმნელ პროცესებთან. იგი ძვირფასი და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია გარდა ნიადაგთწარმომქმნელი პროცესებისა გატყიანება ხელს უშლის ისეთ მოვლენებს როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა და ა.შ. რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს მოსახლეობისთვის. საქართველო ბუნებრივი გატყიანებით ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ბუნების დაცვის საქართველოში შორეულ წარსულშიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია "ტყის მცველნი" ტყეებზე უშუალოდ არის დამოკიდებული ნიადაგის დაცვა, ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობა, წყლის რეჟიმი, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ა.შ. დედამიწაზე ტყეების ხმელეთის 1/3 უკავია. არცთუ ისე შორეულ წარსულში საქართველოს ტერიტორის ნახევარი ტყეებს ეკავათ. ისტორიული წყაროებით დასტურდება რომ 600 ათასი ჰა-მდე ტყე განადგურდა, ხოლო 461 ათასი ჰა ძალზე გამეჩხერებული და დეგრადირებულია. მაგალითად ჯავახეთი XVI საუკუნეში ტყეებად იყო დაფარული, ახლა კი ეს ტერიტორია თითქმის სრულიად უტყეოა. საქართველოს ტყის ფონდი 2 მილიონ 980 ათასი ჰექტარია. რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 43%-ია. 1999 წლის მიღებული იქნა საქართველოს

ტყისს კოდექსი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტყეები მნიშვნელოვნად განადგურდა და შემცირდა. მიმდინარეობდა ტყეების მასობრივად გაჩეხვა გასათობობად გამოყენება (90-იან წლებში). ასევე ადგილი ჰქონდა ტყეების ჭრას და სამერქნე მასალად გაყიდვას. ამჟამინდელმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ტყის კოდექსში, კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის უფლება მიეცა რომ მის ირგვლივ მდებარე 20 ჰექტარი ტყის ფართობი საკუთრებაში დარეგისტრიროს, მოუაროს და გაუფრთხილდეს ამ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს. FAO-ს მონაცემებით ყოველწლიურად მცირდება ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი იჩეხება და ბიზნეს ინტერესებს ეწირება ამაზონკის ჯუნგლები, რომელსაც "დედამიწის ფილტვებს" უწოდებენ. ხელოვნურად გაჩენილი ხანძრები ანადგურებს ამ უნიკალურ პლანტაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ტყეებს, ქვეყანაში ფუნქციონირებდა მიწის მართვის დეპარტამენტი. ეს დეპარტამენტი რატომღაც გაუქმდა 2004 წელს. აგრარული სექტორი და სოფლის მეურნეობა არამომგებიან სფეროდ იყო გამოცხადებული. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ტურიზმზე. გლეხებს ვაზი ააჩეხინეს და საზამთრო დაათესინეს, მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოქმედო ინსტიტუტი და ლაბორატორია. გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება, უცხოელებზე იყიდებოდა ქართული მიწები, ამჟამად ეს პროცესი შეწყვეტილია.

ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ლანდშაფტი და შესაბამისად მიწის რესურსები საჭიროებს უფრო მეტ მოვლისა და პატრონობის ისეთი დარგების განვითარებას (და შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას) როგორიცაა: ნიადაგთმცოდნეობა, გეოლოგია, გეომორფოლოგია, აგრონომია, სეისმოლოგია და ა.შ. მიწის რესურსები პირდაპირ კავშირშია სასურსათო უსაფრთხოებასთან. ჩვენი სოფლის მეურნეობა არაეფექტიანია, დაბალია მისი პროდუქტიულობა, მოსაწესრიგებელია მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ფორმები, კერძოდ დიდია არასაბაზრო ხასიათის მცირე შინამეურნეობების რაოდენობა დაბალი მწარმოებლურობა ქვეყანა თითქმის სრულიად არის დამოკიდებული ხორბლის იმპორტზე. გლეხებს არა აქვს საშუალება რომ ჩაატარონ ნიადაგის ანალიზი, რაც ძვირად ღირებული პროცესია. ქვეყანას თავისუფლად შეუძლია გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა, ბიოპროდუქტების ფასი მსოფლიო ბაზარზე იზრდება. 2012 წლიდან გლეხებს უსასყიდლოდ დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამოქმედდა აგროდაზღვევა. მთავრობამ 2016 წელს მიიღო კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ რაც ხელს უწყობს ამ რეგიონებში მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას კანონი ითვალისწინებს დამატებით სოციალურ და საგადასახადო შეღავათებს.

ნიადაგი არეგულირებს ელემენტების გადაცემას დედამიწის სიღრმიდან გარემომცველ ატმოსფეროში. მდიდარი ნიადაგი არის მრავალი მიკროორგანიზმის თავშესაფარი, ნიადაგში მცხოვრები ორგანიზმები უზრუნველყოფენ ხმელეთის ეკოსისტემების მრავალფეროვნების, ნიადაგის წარმოქმნას ხელს უწყობს ფიზიკური და ქიმიური პროცესების შთამბეჭდავი მრავალფეროვნება. ტერმიტებისა და ჭიანჭველების მსგავსი მთხრელი, მღრღნელი ცხოველები ნიადაგში ურევენ დაშლილ ქანებს. ის თუ რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ნიადაგის წარმოქმნა. დამოკიდებულია გარემო პირობებზე. აშშ-ს ბერკლის პროფესორმა ჰ. ჯენიმ განსაზღვრა 5 ძირითადი ფაქტორი, რაც წარმართავს ნიადაგის ჩამოყალიბებას, ესენია: 1) ძირითადი ქანები, 2) კლიმატი, 3) ორგანიზმები, 4) ტოპოგრაფია და 5) დრო, იგივეს ფიქრობდა დოკუჩაევი. ადამიანს ჯერ

კიდევ არ აქვს აღწერილი ბუნებრივი ნიადაგის მკვიდრი ყველა სახეობა. ნიადაგის ხვნამ შესაძლოა მოკლას დიდი ზომის ორგანიზმები. პესტიციდებმა გაანადგუროს მიკროორგანიზმები და მიკრო ფაუნა. დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ დარვინმა რომელიც წლების მანძილზე სწავლობდა ამ საკითხს, და საფუძველი ჩაუყარა ნიადაგზე თანამედროვე წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც ნიადაგი დედამიწის კანია, დარვინი ჭიაყელების ბუნებრივ მებოსტნეებად მიიჩნევდა. ორგანული სასუქებით ნიადაგის კულტივაციას ალტერნატივა არ გააჩნია.

აუცილებელია ქვეყნას ქონდეს ზუსტი მონაცემები სავარგულების ტრანსფორმაციის შესახებ. ამჟამად არსებული თემატური რუკები არასრულყოფილია.

დასკვნა: მიწის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები კომპლექსური ხასიათისაა, მართალია საქართველო პატარა ქვეყანაა მაგრამ გვაქ ბუნებრივად ნაყოფიერი მიწები. ისრაელმა თავისი უნიკალური მოდელის "კიბუცების" საშუალებით უდაბნოს მიწა წალკოტად გადააქცია. ჩვენც შეგვიძლია აღნიშნული მოდელის განხორციელება რასაც ყოველთვის მხარს უჭერდა საპატრიარქო. საქართველოს ნიადაგები მრავალფეროვანია, ამიტომ სპეციფიკურ შესწავლას და მიდგომას საჭიროებს. აუცილებელია ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილი რუქების შედგენა. სადაც ზუსტად იქნება ასახული ყველა ეროზირებული და დეგრადირებული ტერიტორია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა მიღებული იქნეს სათანადო ზომები მის აღმოსაფხვრელად. მსოფლიოში იაფი პროდუქტის ხანა დასრულდა. გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმა კრახი განიცადა. ბიოპროდუქტების ფასი მსოფლიო ბაზარზე იზრდება. საქართველოს თავისუფლად შეუძლია გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა. "ხორბლისა და ღვინის ქვეყანაში", საქართველო თითქმის მთლიანად ხორბალზე იმპორტდამოკიდებულია საჭიროა ამის შემცირება. მოცემული გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, სასურსათო უსაფრთხოება და განსაკუთრებით ხორბალი სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. უნდა გავზარდოთ ხორბლის ნათესები. გვაქვს მსოფლიოში უნიკალური ხორბლის ჯიშები. გვაქვს ისტორიული გამოცდილება. ქვეყანაში არის დაცლილი და თითოკომლიანი სოფლები. მილიონზე მეტი ქართველი ემიგრაციაშია სამუშაოდ. გაეროს მონაცემებით საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია შეყვანილი. საჭიროა სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რათა შიდა მიგრაცია მაინც შევაჩეროთ და მოსახლეობა ადგილზე დამაგრდეს. მიწას პატრონი სჭირდება. ტექნოლოგიები ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის. ტექნოლოგიური უმუშევრობის შიშს გამოთქვამდნენ დიდი მეცნიერები ბ. ლევონტიევი, კეინზი. შეიძლება გაჩნდეს მსოფლიოში "უმუშევართა მთელი არმია". ქართველისთვის მიწას ყოველთვის საკრარული მნიშვნელობა ქონდა იგი ადვილად არ ტოვებდა თავის მიწაწყალს. ქართულ ენაში რომელსაც იოანე ზოსიმე ღმერთების ენას უწოდებდა გვაქვს ამის გამომხატველი სიტყვები "დედამიწა", "დედაბუნება". რა არის მიწა? ყველაფერი მოდის მისგან და ყველაფერი უბრუნდება მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. – ორგანული ქიმიის როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. თესეუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. კ XI. თესეუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2018.

2. თეთრაული ც. – ინოვაციები მიწის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. თესეუ პაატა

გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული ტ XIII თესეუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2020.

3. საიმონ აშერბუდი, ჯონ პინდერი – ევროკავშირი. მთლიანი მოკლე შესავალი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2019.

Tsitsino Tetrauli

GEORGIAN SOIL TYPES AND RELATED SAFETY

Summary

The paper discusses the essence and importance of land resources. Georgian soil types and their characteristics are studied. The causes of soil erosion and the ways and methods of combating it are analyzed. The necessity of training more qualified personnel in the agricultural sector (soil scientists, geologists, geomorphologists, seismologists, agronomists, rangers, etc.) is highlighted, which requires support from the state. The ecological and economic threats that improper attitude towards land resources can cause are indicated. The ways and methods of preventive measures against natural disasters such as landslides, mudslides, etc. are characterized.

Keywords: erosion, landslide, cultivation, bioproducts, emigration

ირაკლი არჩვაძე

შრომითი ემიგრაციისა და ფულადი რემიტანსების ნეგატიური ასპექტები

ანოტაცია. *გლობალიზაციის, მოსახლეობის მობილურობის, მათ შორის შრომითი ემიგრაციის დინამიური ზრდისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე ფულადი რემიტანსების მოცულობა მათი მიმღები ქვეყნების უმრავლესობაში უსწრებს შესაბამისი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპს. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს არა მარტო რეციპიენტი შინამეურნეობების კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, არამედ პოზიტიურად ზემოქმედებს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზეც - ერთობლივი მოთხოვნის, სამამულო პროდუქტისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, სიღარიბის დონის შემცირებაზე, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ა.შ. ამასთან, შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული ფულადი რემიტანსების ზრდას თან ახლავს რიგი ფაქტორები, რომლებიც ასახვას ჰპოვებენ ეკონომიკური უთანასწორობის, სამომხმარებლო ფასების ზრდაში და ა.შ. ასეთთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი ფაქტორებიც, რომლებსაც, ერთი შეხედვით, არ გააჩნიათ პირდაპირი ფულადი გამოხატულება, თუმცა ამას ახორციელებენ არაპირდაპირი ფორმით, რაც საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისე სოციალურ სტაბილურობასა და დემოგრაფიულ პროცესებზე.*

საკვანძო სიტყვები: *შრომითი ემიგრანტები, ფულადი რემიტანსები, ,, ჰოლანდიური დაავადება'', ტვინების გადინება, მორალური რისკი.*

შესავალი

შრომითი ემიგრაცია, მუშაკების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში უკეთესი დასაქმების შესაძლებლობების მოსაძებნად, თანამედროვე გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის მრავალმხრივად მოქმედებს როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნებზე როგორც ეკონომიკური ზრდის, შრომის ბაზრის ტევადობაზე, დემოგრაფიასა და სოციალურ სტრუქტურებზე. მიგრანტ მუშაკებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ სამშობლოში დარჩენილი ოჯახების, მთლიანად, მოსახლეობის ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში ფულადი გზავნილების, უცხოეთში გამომუშავებული შემოსავლების სამშობლოში რეპატრიაციით და ინვესტიციების მეშვეობით. კერძოდ, ისინი ხელს უწყობენ სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, ხარისხიანი ჯანმრთელობის და განათლების ხელშეწყობას, ღირსეული სანიტარული პირობების და სამუშაოს მიღწევას, ეკონომიკურ ზრდას და უთანასწორობის შემცირებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ემიგრაციის მიზეზები, გამომწვევი ფაქტორები, ემიგრაციის სახეები და ემიგრანტთა გეოგრაფიული, ქვეყნისმიერი განფენილობა მსოფლიოში; კარგადაა ცნობილი დონორი და რეციპიენტი ქვეყნების მიხედვით ფულადი რემიტანსების (ტრანზაქციების) სტრუქტურა და დინამიკა.

დიდია შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული ფულადი რემიტანსების როლი, მონაწილეობა საკუთარ სამშობლოში ერთობლივი მოთხოვნის ფორმირებაში,

მონაწილეობა ეკონომიკის ზრდასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში. ამავე დროს, შედარებით მეტ ყურადღებას საჭიროებს ფულად რემიტანსებთან დაკავშირებული რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ არა მარტო ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარების პოტენციალზე, არამედ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში - აგრეთვე ეროვნული მეურნეობის ზრდისა და სოციალური მდგრადობის პერსპექტივებზე. მათზე სათანადო ყურადღების გამახვილება და მათ გამოისობით გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკურ „ხაფანგებისაგან“ თავის არიდება სახელმწიფო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენენ.

ფულად რემიტანსებთან დაკავშირებული ძირითადი პოტენციური საფრთხეებია ე.წ. **„ჰოლანდიური დაავადება“, „ტვინების გადინება“** და **მორალური საფრთხის** პრობლემა.

განსხვავებით სხვა ნეგატიური შედეგებისაგან, რომელთა დადგომის ალბათობა ფულადი რემიტანსების ზრდასთან მაღალ კორელაციაში იმყოფებიან და თითქმის გარდაუვალი არიან, აღნიშნული სამი საფრთხე დიდწილად პოტენციურია და მათი რეალიზაცია სწორედ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ ფაქტორთა „ხელსაყრელ თანხვედრაზეა“ დამოკიდებული.

„ჰოლანდიური დაავადება“

ტერმინი „ჰოლანდიური დაავადება“ შემოღებულ იქნა 1977 წელს ინგლისური ჟურნალის The Economist-ის მიერ და უკავშირდება ჰოლანდიაში (ნიდერლანდებში) გრონინგენის პროვინციაში 1959 წელს აღმოჩენილი გაზის საბადოდან დიდი რაოდენობით გაზის მოპოვებას, რასაც მოყვა მისი მასშტაბური ექსპორტი და შესაბამისად, ქვეყანაში უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით შემოდინება.


ეს არ არის წმინდა ჰოლანდიური (- ნიდერლანდური!) მოვლენა. - ქვეყანაში უცხოური ვალუტის დამატებითი, ჭარბი შემოდინება იწვევს ეროვნული ვალუტის გამყარებას, აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, ამცირებს იმპორტის ფასებს, შესაბამისად - ინფლაციას, მაგრამ ამგვარი შემოდინება ასევე ზრდის შიდა მოხმარებას, რაც იწვევს მოთხოვნაზე ორიენტირებულ ინფლაციას. ეკონომიკის ცალკეული სექტორები (განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება და სოფლის მეურნეობა) ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხდება, რაც იწვევს ამ პროდუქციის წარმოების და ექსპორტის შემცირებას და შეიძლება გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა და ხელი შეუშალოს ეკონომიურ ზრდას, პრობლემები შეუქმნას ეკონომიკის დივერსიფიკაციას. ამავე დროს, ეკონომიკა ზედმეტად დამოკიდებული ხდება გზავნილებსა და მოხმარებაზე, ვიდრე წარმოებასა და ექსპორტზე. შესაბამისად, იზრდება იმპორტი, მცირდება წმინდა ექსპორტი და, საბოლოო ჯამში, მთლიანი სამამულო პროდუქტი, ისევე როგორც რემიტანსებზე დამოკიდებული ქვეყნის დაუცველობა მოულოდნელი გარე შოკების მიმართ.

ფაქტობრივად, არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზითაა განპირობებული უცხოური ვალუტის შემოდინების ზრდა (ექსპორტის სწრაფი ზრდა, ენერგომატარებლებზე ფასების მატება, მაღალი გადახდისუნარიანი ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ტრანსფერი მათ სამშობლოში ეკონომიკური და უსაფრთხოების ხაზით შექმნილი პრობლემების გამო - როგორც ამას ჰქონდა ადგილი რუსეთ-უკრაინის დაწყებული ომის გამო 2022-2023 წლებში), როდესაც ეკონომიკა „ჰოლანდიური დაავადებით“ ინფიცირდება.

შემოსავლის მკვეთრი ზრდა ქმნის დამატებით მოთხოვნას როგორც „სავაჭრო“ (ის, რომლის ექსპორტი ან იმპორტი შესაძლებელია), ასევე არასავაჭრო საქონელზე (ის, რისი ფიზიკური ექსპორტი შეუძლებელია, როგორიცაა, მაგალითად, უძრავი ქონება).

შემოსავლების, მათ შორის ხელფასების ზრდის ტემპის გადაჭარბებამ პროდუქტიულობის ზრდის ტემპთან შედარებით შეიძლება ზიანი მიაყენოს კონკურენტუნარიანობას. საქართველოში 2001-2024 წლებში 24 წლიდან 15 წლის მანძილზე საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებდა ნომინალური მშპ-ის ზრდას,[46] რაც „ჰოლანდიური დაავადების“ წარმოქმნის ერთერთი მძლავრი სტიმულატორია.

დიაგრამა 1



მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, საქართველოში ჰოლანდიურ დაავადებას არ ჰქონდა კლასიკური, სტაბილური და მით უფრო, გრძელვადიანი ხასიათი. ამჟამად საქართველოს ეკონომიკის განვითარება ეფუძნება მთელი ეროვნული მეურნეობის კომპლექსურ, სისტემურ განვითარებას და არა ექსკლუზიურად რომელიმე ერთი დარგის, წარმოების თუ რესურსის საექსპორტო პოტენციალს.

ამ საუკუნის ცალკეულ წლებში (2003-2008, 2011, 2012, 2021-2023 წწ.) საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან წინა წელთან შედარებით უფრო მყარი იყო. ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კი იყო ამ წლებში დიდი ოდენობით ფულადი რემიტანსები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელთა ჯამმა ამ წლებში შეადგინა 39643,02 მლნ. აშშ დოლარი (22718.0 მლნ. აშშ დოლარი ფულადი

[46] 2001, 2002, 2005-2009, 2001-2016, 2019, 2020, 2024 წლებში ნომინალური საშუალო ხელფასის მატების ტემპი წინა წელთან შედარებით უსწრებდა ნომინალური მშპ-ის მატების ტემპს.

რემიტანსების სახით და 16924,0 მლნ. აშშ დოლარი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით). საშუალოდ ყოველ ასეთ წელზე საშუალოდ 3.0-მილიარდიანი მატება ადგილობრივ სამომხმარებლო და უძრავი ქონების ბაზარს საგრძნობლად აძვირებდა.


2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში დროის მოკლე პერიოდში შემოვიდა დიდი ფულადი მასა რუსეთიდან, რასაც მათი განთავსების ძირითად პუნქტებში - თბილისსა და ბათუმში - საცხოვრისის თითქმის 3-ჯერად გაძვირება მოყვა.

ამიტომ თუ დავუშვებთ, რომ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ცვლილება უნდა ყოფილიყო ისეთივე პროპორციით, როგორითაც იყო სავალუტო კურსის ცვლილება, მაშინ წლების მიხედვით ქვეყანაში ჭარბი ფულის მასით გამოწვეულ **გაძვირებულ პროდუქციაში** საქართველოს მოსახლეობას და ბიზნესს მხოლოდ ზემოთ დასახელებულ წლებში დამატებით გადახდილი აქვს 11.5 მილიარდი აშშ დოლარი. ანუ დაახლოებით 55 პროცენტი იმ თანხისა, რაც იმავე წლებში შრომითმა ემიგრაციამ გადმორიცხა საქართველოში სამშობლოში დარჩენილ საკუთარი ოჯახების წევრებთან და ახლობლებთან.

ამასთან, შრომითი მიგრანტების რემიტანსებით გამოწვეული დროში განგრძობითი ზრდა და ამასთან დაკავშირებული „ჰოლანდიური დაავადება“ იწვევს წარმოების სექტორის შემცირებას და ექსპორტის სექტორის შესუსტებას. აღნიშნული პროცესი ქვეყანას უფრო დაუცველს ხდის გლობალური და რეგიონული ეკონომიკური კრიზისების მიმართ და უფრო მეტად დამოკიდებული ეგზოგენური ფაქტორებისაგან, მათ შორის რემიტანსების მოცულობაზე.

ნეგატიურ ასპექტებს უნდა მიეკუთვნოს ისიც, რომ ფულადმა გზავნილებმა შეიძლება გაზარდოს არავაჭრობადი საქონლის მოხმარება, მათი ფასები, ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი და ამის საფუძველზე დაამძიმოს (გააუარესოს) ექსპორტი, რითაც ზიანი მიაყენოს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე. რა თქმა უნდა, ის, რომ საქართველოს ქრონიკულად უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი აქვს, არ არის მხოლოდ „ჰოლანდიური დაავადების“ „დამსახურება“, თუმცა ამგვარი ბალანსის ფორმირებაში ცალკეულ წლებში მას სერიოზული წვლილი მიუძღვის.

დიაგრამა 2



აღნიშნულ კონტექსტში ფულადი ტრანსფერების უარყოფითი ეფექტი შეიძლება განვითარდეს, როდესაც ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი მყარდება ფულადი გზავნილების დიდი ნაკადის გამო, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარება და ეკონომიკური ზრდა, და ასევე გაზარდოს ფულადი სახსრების ნაკადებზე დამოკიდებული ქვეყნების მოწყვლადობა მიგრანტების ფულადი გზავნილების მეშვეობით მოულოდნელი გარე შოკების შემთხვევაში. ეს კარგად დადასტურდა 2022-2023 წლებში, როდესაც საქართველოში ჭარბი ფულადი მასა შემოვიდა რუსეთიდან რემიტანსების სახით[47]. შედეგად - ლარი აშშ დოლართან 2023 წელს გამყარდა 18.4 პუნქტით, იმპორტი გაიზარდა 54.6 პროცენტით, მაგრამ ადგილობრივი ექსპორტი შემცირდა 9.6 პროცენტით - ეკონომიკის ნომინალურ განზომილებაში 1.3-ჯერ, ხოლო რეალურ განზომილებაში - 17.9 პროცენტით ზრდის პირობებში.

„ტვინების გადინება“

ფულადი რემიტანსების ზრდას უკავშირდება აგრეთვე საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივის უაღრესად ნეგატიური დატვირთვის მატარებელი პროცესი, რომელიც „ტვინების გადინებითაა“ ცნობილი. გზავნილის სიმდიდრის ხილვადობამ შეიძლება შეცვალოს კრეატიული, მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე პირთა (და არა მხოლოდ მათი) მისწრაფებები, წაახალისოს ემიგრაცია ან შექმნას

[47] 2022-2023 წლებში საქართველოში მხოლოდ რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების საშუალო წლიურმა მოცულობამ 3.1-ჯერ გადააჭარბა წინა 11 წლის საშუალო წლიურ მაჩვენებელს (1800 მლნ. აშშ დოლარი vs. 583 მლნ. აშშ დოლარი).

ზეწოლა ასეთი პოტენციალის მქონე პირებზე. „ტვინების გადინება“ - ყველაზე კვალიფიციური, მაღალი ეკონომიკური პოტენციალისა და მოთხოვნადი სპეციალობების წარმომადგენლები, რომელთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში საკუთარ სამშობლოში სახელმწიფოსაგან და კერძო სექტორისაგან განხორციელებულია მნიშვნელოვანი ხარჯები, ინვესტიციები (პროგრამისტები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, etc.). მათი ემიგრაცია ცალსახად ასუსტებს შესაბამის საჯარო სერვისებსა და ინოვაციების შესაძლებლობას საკუთარ სამშობლოში.

ამ ასპექტით, უმაღლეს განათლებაში ინვესტირების ზრდა, ფაქტობრივად, ორლესული დატვირთვისაა.

ერთი მხრივ, საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების გამოყენება შინამეურნეობების მიერ აძლიერებს, ამაღლებს ახალგაზრდების ცოდნასა და კვალიფიკაციას, მეორე მხრივ, თუ ამას არ მოჰყვება დასაქმების შესაძლებლობა მიღებული კვალიფიკაციისა და ცოდნის ხარისხის შესაბამისად, ეს აძლიერებს ამ ახალგაზრდათა უცხოეთში წასვლის მოტივაციას, ანუ თავისი მშობლების კვალზე წასვლას, ე.წ. უკვე „მეორე თაობის“ ემიგრანტებად გადაქცევას, ზოგადად, ხელს უწყობს ქვეყნიდან ტვინების გადინების პროცესის წახალისებას. საქართველოში უმუშევრობის დონე 2024 წელს შეადგენდა 13.9 პროცენტს, ამასთან, 25 წლამდე ახალგაზრდებში ის იყო 28.9 პროცენტი, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაში - მხოლოდ 12.7 პროცენტი, ანუ 2.3-ჯერ ნაკლები. ახალგაზრდებისათვის ხარისხიანი განათლების მიცემა (არა აქვს მნიშვნელობა, საკუთარ ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ), თუ შესაბამისი განათლების შემდეგ ვერ ჰპოვებს ადეკვატურ მოთხოვნას და დასაქმებას საკუთარ სამშობლოში, ზრდის ამ კატეგორიის პირთა ემიგრაციაში წასვლის ალბათობას. ეს პროცესი კი, რომელიც „ტვინების გადინების“ სახელითაა ცნობილი, იმის გათვალისწინებით, რომ ემიგრაციის მარშრუტი უფრო გაცილებით განვითარებულ ქვეყნებისკენაა მიმართული, სხვა არაფერია, თუ არა ამ **მიგრანტთა „ექსპორტიორი“ ქვეყნების მიერ გაცემული გრანტი, ბონუსი შრომით მიგრანტთა მიმღები ქვეყნებისათვის.** თუ ვიხელმძღვანელებთ, ერთი მხრივ, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯებით უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების სწავლა-განათლებაზე, მეორე მხრივ კი ემიგრაციაში წასულ უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით (ჩვენი შეფასებით, საშუალოდ ბოლო 6 წელიწადში, არანაკლებ 15-20 ათასი ყოველწლიურად), აღმოჩნდება, რომ **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად საქართველოდან შრომით მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებს დაახლოებით 35-45 მლნ. ლარის „დოტაციას“ უწევს.**

მთლიანობაში, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ აღნიშნული პროცესი ფინანსირდება უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციებით, ზოგადად დადებითი ტენდენციაა, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარებას და ადამიანური კაპიტალის ფორმირებას. თუმცა ეს პროცესი აწყდება გარკვეულ პრობლემებს, რომელთაგან ყველაზე თვალში საცემია კურსდამთავრებულთა და შესაბამისი სამუშაო ადგილების რაოდენობათა ასიმეტრია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ეკონომიკის, სამართლის სფეროსა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ კონტიგენტსა და შესაბამის სამუშაო ადგილებს შორის. ამის პარალელურად შეინიშნება აშკარა დისბალანსი ტექნიკური სპეციალობის მქონე კონტიგენტზე (ტექნიკური სპეციალობების მექანიკოსები, ინჟინრები, IT სპეციალისტები, ტექნოლოგები, ელექტრიკოსები, შემდუღებლები და ა.შ.) მოთხოვნასა და მათ მომზადებას (გამოშვებას) შორის უმაღლესი და საშუალო ტექნიკური

სპეციალური სასწავლებლების მიერ. აღნიშნული სტრუქტურული უმუშევრობა მკაფიოდ აისახება ახალგაზრდათა უმუშევრობის ზემოხსენებულ მაღალ დონეში.

ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების ბევრი სტუდენტი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს უმაღლესი განათლების მისაღებად, რომელიც ასოცირდება ვერტიკალურ მობილურობასთან და ცხოვრების შედარებით მაღალ დონესთან მშობლებთან შედარებით, რომლებიც მუშაობდნენ/მუშაობენ საზღვარგარეთ. მაგრამ ხშირად, ეს ქცევის მოდელი ვერ რეალიზდება იმის გამო, რომ შრომის ადგილობრივ ბაზარზე კარგად ანაზღაურებადი ღირსეული სამუშაო ადგილების დეფიციტია. ამიტომ ბევრი დიპლომირებული ახალგაზრდა იძულებულია დაყაბულდეს თანამდებობას, სამსახურს, რომელთათვისაც ისინი ზეკვალიფიცირებულნი არიან[48]. აღნიშნული მდგომარეობა იწვევს იმას, რომ ბევრი ახალგაზრდა იძულებული ხდება საკუთარი ქვეყნის შრომის ბაზრის ნაცვლად შრომითი მიგრანტის სტატუსით ბედი უცხოეთში ეძებოს. ილიაუნის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევით, ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მაღალკურსელთა 45 პროცენტმა გამოხატა მზაობა, წავიდეს უცხოეთში სხვადასხვა ვადით, სადაც სწავლის უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელების პარალელურად, დაკავდება შრომითი საქმიანობითაც. თანაც ეს საქმიანობა უცხოეთშიც იქნება არა მათი კვალიფიკაციის შესაბამისი, არამედ საკუთარ ქვეყანასთან შედარებით უფრო მაღალანაზღაურებადი. ამ პროცესს თუ თავის სახელს დავარქმევთ, ეს არის „ტვინების გადინება“. ეს გლობალური პრობლემაა, რომელიც ფაქტობრივად ყველა შედარებით ნაკლებადგანვითარებულ (და არა მარტო!) ქვეყანას შეეხო,[49] თუმცა მოსახლეობის ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ის განსაკუთრებით საგრძნობია.

ამასთან, თუ რა ნეგატიურ გავლენას ახდენს ფულადი ტრანსფერები ადგილობრივ შრომით ბაზარზე, ეს კარგად ჩანს ლიბანის მაგალითზე. - ეს ქვეყანა ტრანსფერების სახით ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან ღებულობს დაახლოებით 6 მლრდ. აშშ დოლარს (მოსახლეობის ერთ სულზე - 1500 აშშ დოლარს), რაც ამ ქვეყნის სამამულო პროდუქტის 16 პროცენტია.[50] მიღებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების განათლების მისაღებად. მაგრამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარი ტოვებს ქვეყანას.[51] დამსაქმებლები უჩივიან კვალიფიციური კადრების გადინებას, რაც იწვევს მაღალკვალიფიციური მუშაკების დეფიციტს. ეს დეფიციტი მიიჩნევა ეკონომიკური ზრდისა და დივერსიფიკაციის მთავარ დაბრკოლებად. ქვეყნიდან ემიგრაციაში წასვლის მთავარ მოტივად ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღებული ახალგაზრდები ასახელებენ თავიანთ ქვეყანაში მიმზიდველი, მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილების ნაკლებობას.

ფულადი გზავნილების ინსტიტუციური ხაფანგი იმაშიც მდგომარეობს, რომ ფულადი ტრანსფერების საგრძნობი ნაწილი გამოიყენება ახალგაზრდა სამუშაო ძალის

[48] მოარული ფრაზა, რომ ყოველ მეორე ტაქსისტს „ბარდაჩოკში“ ორი დიპლომი უდევს, აღნიშნული მდგომარეობის თითქმის ფოლკლორული გამოხატულებაა.

[49] ინგლისის ქალაქ მანჩესტერში მალაველი დოქტორების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მთლიანად თავად მალავიში - ეს აიხსნება იმით, რომ განსხვავება ხელფასში 30-40-ჯერადია. - იხ. Денежные переводы мигрантов: Роль в социально-экономическом развитии Африки. – МэиМО, 2009, №7, с. 88.

[50] იხ. Ральф Чами, Эккехард Эрнст, Коннел Фулленкамп и Энн Ёкинг. Существует ли ловушка денежных переводов?ю - ФИНАНСЫ И РАЗВИТИЕ | Сентябрь 2018, сс. 45.

[51] იხ. იქვე, გვ. 46.

ემიგრაციისათვის „მოსამზადებლად“ და არა ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში ინვესტირებისათვის. ფაქტი ისაა, რომ იმის ნაცვლად, რომ ექსპორტზე გავიდეს ადგილობრივი სამუშაო ძალის მიერ წარმოებული პროდუქცია, უცხოეთში გადის „მზამზარეული“ სამუშაო ძალა.

მორალური რისკი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური მახე

ფულადი გზავნილები სოციალური მორალური საფრთხის მატარებელი მოვლენაცაა. ანუ პროცესი არა მარტო ახდენს მაკრო- და მიკროეკონომიკურ პარამეტრებში ცვლილებებს, არამედ ცვლის ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის სტიმულს, მოტივაციას და ფორმებს. შრომითი მიგრანტების მიერ სახლში ფულის გაგზავნის კონტექსტში მორალური საფრთხის წარმოშობა, როგორც წესი, მაშინ ხდება, როდესაც მიმღებები ან შუამავლები ცვლიან თავიანთ ქცევას სარისკო ან არაეფექტური გზებით, რადგან იგნორირებენ, არ იტანენ ან/და არ/ვერ აცნობიერებენ თავიანთი ქმედებების სრულ შედეგებს.

მორალური რისკის მატარებელი საფრთხე, რისკი რამდენიმე სახით ვლინდება:

ა) საფრთხე, რომ უცხოეთიდან მიღებულმა გზავნილებმა რეციპიენტებში შეიძლება გამოიწვიოს შრომითი საქმიანობის მოტივაციის, სურვილის შემცირება, ადგილობრივი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობების უგულებელყოფა;

ბ) სარისკო, ეკონომიკურად გაუმართლებელი საქმიანობის წამოწყება, ირაციონალური ხარჯები (აზარტული თამაშები, ნარკოტიკები და ა.შ), დაფუძნებული ვარაუდზე, რომ მიგრანტებისაგან მათთვის განხორციელებულ ტრანზაქციებს ექნებათ მუდმივი ხასიათი. არ უნდა გამოირიცხოს ფულადი გზავნილების არხების გამოყენება ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსებისთვის.

ფულადი გზავნილების კიდევ უფრო მზაკვრული ეფექტი ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე არის მათი გავლენა ინსტიტუტებსა და მმართველობაზე. ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახისათვის მთავრობის მმართველობის ხარისხი და ეფექტიანობა - დაეხმაროს მას ყოფითი თუ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაში, აბსოლუტურად ექსკლუზიური ფუნქციიდან ტრანსფორმირდება შეფარდებითი უპირატესობის მატარებლის როლამდე. უტრირება რომ მოვახდინოთ, თუ სახლში ცუდი პირობებია, ოჯახები არ/აღარ ელოდებიან სამთავრობო დახმარებას, აგზავნიან წევრს საზღვარგარეთ და იყენებენ ფულადი გზავნილების შემოსავალს სახელმწიფო სერვისების დეფიციტის საკომპენსაციოდ. მათ თანდათან უმცირდებათ, უქრებათ ინტერესი და სურვილი, მოახდინონ ზეწოლა საკუთარ მთავრობაზე უკეთესი სერვისების მისაღებად. ამ პირობებშიც მთავრობასაც თავის მხრივ, უსუსტდება მორალური პასუხისმგებლობა და ვალდებულება, გასწიოს ეს მომსახურება, რადგან აცნობიერებს, რომ ამ ოჯახებს შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა და საბიუჯეტო სახსრებს მიმართავს იმ პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც მას მიაჩნია პრიორიტეტულად და რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის შეიძლება გაუგებარი, არააქტუალური და მიუღებელიც კი იყოს.

ფულადი გზავნილების საკმაოდ დიდი შემოდინება ადგილობრივ მთავრობას აძლევს დამატებით ფისკალურ და მონეტარული თავისუფლების ხარისხს, რომელიც ხშირად არასწორად გამოიყენება - მთავრობა თავს უფლებას აძლევს, ნაკლებად იფიქროს სახსრების რაციონალურ გამოყენებაზე საჯარო სექტორში, საეჭვო და არასაჭირო ობიექტების მშენებლობაზე მნიშვნელოვანი დაფინანსების გამოყოფა. ასეთ უყაირათო ხარჯვის მაგალითად შეიძლება დასახელდეს თითქმის ქალაქგარეთ ახალი

სტადიონის მშენებლობა (ამჟამად დედაქალაქში ისედაც არსებობს უეფას სტანდარტების შესატყვისი ორი სტადიონი), როდესაც დედაქალაქისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება, მიწისქვეშა და მიწისზედა სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

დღეის მდგომარეობით დედაქალაქს სჭირდება, სულ ცოტა, მეტროპოლიტენის ხაზებისა და სადგურების გაორმაგება, რომელთა მშენებლობა საჭიროებს დაახლოებით 4-5 მილიარდ აშშ დოლარის კაპიტალდაბანდებას. ეს არ არის ფანტასტიკური რიცხვი - საკმარისია ითქვას, რომ ის თანხობრივად ფაქტობრივად შეესაბამება ბოლო პერიოდში უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული რემიტანსების ყოველწლიურ მოცულობას. მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში სატრანსპორტო საცობების გამო მძღოლების მიერ წლის განმავლობაში ზედმეტად დაკარგული დროის ალტერნატიული ღირებულება მილიარდ ლარს აღემატება, რაც საკმარისი იქნებოდა მეტროს ორი სადგურისა და შესაბამისი გადასარბენების მშენებლობისათვის.[52]

ხელისუფლებას შესწევს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ფულადი ტრანსფერების ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, თუმცა ის ამას არ აკეთებს ყოველთვის და სრული მასშტაბით. ამ მხრივ, ეფექტური ზომები იქნებოდა პოლიტიკის, რეგულირებისა და განვითარების სტრატეგიების კომბინაცია, კერძოდ:

- დამოკიდებულების შემცირება და ადგილობრივი პროდუქტიულობის წახალისება, მეწარმეობის მხარდაჭერა: ტრენინგების და დაფინანსების შეთავაზება, ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების დახმარება მცირე ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებაში;
- ფულადი გზავნილებით დაფინანსებული მოხმარების მიმართვა ადგილობრივი საქონლისა და მომსახურებისკენ შიდა წარმოების სტიმულირებისათვის;
- სამუშაო ადგილების შექმნა;
- ხელმისაწვდომი საცხოვრებლის მიწოდების გაფართოება: საბინაო პროექტებში ინვესტირების სტიმულირება ან პირდაპირი ინვესტირება პარალელურად, ცარიელი/მეორე სახლების დაბეგვრა და უძრავ ქონებაში სპეკულაციური ინვესტიციების შეფერხება;
- განათლებაზე ხარჯების სტიმულირება, თანხების დაზოგვის პროგრამების შეთავაზება იმ ოჯახებს, რომლებიც რემიტანსებს განათლების ან ტრენინგის დასაფინანსებლად იყენებენ;
- ფინანსური წიგნიერების პროგრამების გამოყენება - ოჯახებისთვის სწავლება, გზავნილების რაციონალურად და ეფექტიანად მართვისათვის;
- ფორმალური ფინანსური სისტემების გაძლიერება: ციფრული გადარიცხვებისა და საბანკო ანგარიშების წახალისება ხარჯების შესამცირებლად და მიკვლევადობის გასაუმჯობესებლად;
- თანამშრომლობა საკრედიტო დაწესებულებებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან გზავნილების გაგზავნის ხარჯების, საკომისიოს შესამცირებლად;
- შრომითი მიგრანტებისა და დიასპორის წარმომადგენლების ობლიგაციებით ან საინვესტიციო ფონდებით წახალისება;
- მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება ვალუტის გამყარების და „ჰოლანდიური დაავადების“ თავიდან ასაცილებლად;

[52] „წელიწადში მილიარდ ლარზე მეტს ვკარგავთ საცობის გამო - ეს თანხა საკმარისი იქნებოდა 2 ახალი მეტროსადგურის მშენებლობისთვის“. - bpn.ge, 24.04.2025

- ინვესტიციების განხორციელება ტექნოლოგიებში, ტრენინგებსა და ინფრასტრუქტურაში საგარეო სავაჭრო უარყოფითი ბალანსის კომპენსაციის მიზნით.

ბუნებრივია, ეს მოითხოვს დიდ ფინანსებს, დაუღალავ შრომას და ადეკვატურ პოლიტიკურ ნებას. მაგრამ ამას „უპირისპირდება“ ის რეალობა, რომ ფულადი ტრანსფერები კონკურენციას უწევენ ხელისუფლებას სოციალური პასუხისმგებლობის აღებაში. - ეს გზავნილები მიმღებ ოჯახებს ეხმარება საკუთარ თავზე აიღონ ეკონომიკური შოკებისაგან დაცვა, ერთგვარად“ შეეხიდონ“ სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემას, რაც ანელებს მოსახლეობის ხელისუფლებისადმი მოთხოვნილებების კატეგორიულობას სოციალური ხარჯების მოცულობისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე. მაგრამ აქვს ამგვარ დამოკიდებულებას მეორე მხარეც - მოქალაქეთა თვალში სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მნიშვნელობის მორალური დევალვაცია, რასაც ნამდვილად ვერ აკომპენსირებს ხელისუფლების ფაქტობრივად „მერკანტილური“ დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე. - ეს გზავნილები, გამოიყენება რა დიდწილად ადგილზე საქონლის შესაძენად, ეს მთავრობისათვის დასაბეგრი ბაზის გაფართოებისა და საბიუჯეტო სახსრების მობილიზების (პირველ რიგში, აქციზის, დამატებული ღირებულების გადასახადის...) საშუალებაა.[53] ამგვარი დამოკიდებულება „ეფექტიანია“ ხანმოკლე პერიოდში, მაგრამ აშკარად კონტრპროდუქტიული - საშუალო, და მით უფრო, გრძელვადიან პერიოდში. ამიტომაც მიგრაციისა და ფულადი გზავნილების ოფიციალური წახალისება კიდევ უფრო ართულებს გამოსვლას ფულადი გზავნილების ხაფანგიდან.

მაგრამ მორალური რისკისაგან თავისუფლები არც აღნიშნული გზავნილების მიმღები შინამეურნეობები არიან. - ბევრი რეციპიენტი აღნიშნულ ფულად გზავნილებს განიხილავს როგორც **საჩუქარს** და არა და არა როგორც მიღებულ შრომით **შემოსავალს.** მათ იციან, რომ შეუძლიათ ფულადი გზავნილების შემოსავლის იმედი ჰქონდეთ, რომ შეავსონ ან ჩაანაცვლონ ხელფასი. იმის გარდა, რომ **ფულადი გზავნილების მიმღებები ამცირებენ სამუშაო ძალაში მონაწილეობას, ზოგიერთი** რეციპიენტი ახორციელებს ინვესტიციებს ფულადი გზავნილების შემოსავლით, მათ უჩნდებათ ცდუნება, ხელი მოკიდონ უფრო სარისკო პროექტების რეალიზაციას. ამრიგად, ფულადი გზავნილებმა შეიძლება დაამახინჯოს აქტივების ფასები და ფაქტობრივად გაამწვავოს სიღარიბე უძრავი ქონების ბაზრიდან ბევრი ღარიბი ოჯახის გამოდევნით - იმის გამო, რომ მათ არ/აღარ ექნებათ შესაძლებლობა, საკუთარი მიმდინარე შემოსავლებით და შეზღუდული კრედიტუნარიანობით, გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ - ფასების ბუშტის აფეთქების შემთხვევაში ნეგატიური შედეგების დადგომას ექნება აბსოლუტური და ტოტალური ხასიათი.


ფულადი გზავნილების შემოდინება უცხოურ ვალუტაში, სხვა შედეგებთან ერთად, განაპირობებს დოლარიზაციის მაღალ დონეს. ლარის შემოღების თითქმის 30 წლისთავზე ქვეყნის კომბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების 60.3 მლრდ. ლარის დეპოზიტიდან 30.9 მლრდ. ლარი (51.4%) უცხოურ ვალუტაში იყო. შესაბამისად, ფიზიკური პირების 32.1 მლრდ. ლარიდან (2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით) უცხოურ ვალუტაზე მოდიოდა 20.9 მლრდ. ლარი (67.6%). იურიდიული პირების 28.1 მლრდ. ლარიდან უცხოურ ვალუტაში იყო 10.0 მლრდ. ლარი (32.4 %).

[53] ამ შეღავათებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ბევრი მთავრობა აქტიურად უბიძგებს თავის მოქალაქეებს ემიგრაციაში წასვლას, რასაც არც თუ იშვიათად თან სდევს ოფიციალური ემიგრაციის წახალისების სერვისები თუ სააგენტოები. ამგვარი დამოკიდებულების ჭეშმარიტების მომენტს“ წარმოადგენდა ბიძინა ივანიშვილის გულახდილი განცხადება-მოწოდება საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში წასვლის სამთავრობო მხარდაჭერის თაობაზე.

მაღალი დოლარიზაცია შემაშფოთებელია, რადგან ზღუდავს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, აძლიერებს ბიუჯეტის დეფიციტს და ზრდის საბანკო სისტემის მოწყვლადობას ეკონომიკური კრიზისისა და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში.

მკვეთრად გაზრდილი უძრავი ქონების, პირველ რიგში საცხოვრისის ფასი, დიდწილად ქვეყანაში შემოსულ ფულად ტრანზაქციებს უკავშირდება. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ შრომითი მიგრაციის დამსახურება, თუმცა ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია საქართველოში უძრავი ქონებისა და საცხოვრისის გაძვირებაში.

ამ გარემოებას აქვს თავისი სოციალური ეფექტიც: შრომით მიგრანტებს უცხოეთში უწევთ უფრო მეტს ხანს დარჩენა. ჩვენი შეფასებით, ფულადი შემოსავალი 2000 წელს გერმანიაში მყოფ ერთ შრომით მიგრანტზე შეადგენდა 350 დოლარს, ამჯერად ეს გაზრდილია 1000 დოლარამდე, ამასთან, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრისის ფასი გაიზარდა 200 დოლარიდან 1200 დოლარამდე. ეს კი ნიშნავს, რომ თუ 70 კვადრატული მეტრი საცხოვრისის შესაძენად საშუალოდ საჭირო იყო 40 თვის ხელფასი, ამჟამად ეს დრო შეადგენს 84 თვეს, ანუ მეოთხედი საუკუნის წინანდელთან შედარებით 3 წლითა და 8 თვით მეტს. ეს კი პირდაპირი გზაა შრომითი მიგრაციის გახანგრძლივებისკენ.



ფულადი რემიტანსების განხორციელების პროცესი ხშირად აწყდება ეკონომიკურ და სამართლებრივ-ადმინისტრაციულ ბარიერებს, რომლებსაც საბოლოო ჯამში საერთო მნიშვნელი გააჩნიათ: აღნიშნული რემიტანსების ეფექტიანობის შემცირება.

ეკონომიკურ ფაქტორებიდან უნდაა გამოიყოს გაცვლითი კურსის რყევები, რომლებმაც შეიძლება შეამციროს მიღებული გზავნილების ღირებულება. მაღალდოლარიზებულ ან ინფლაციისკენ მიდრეკილ ეკონომიკებში კი ამან, ზემოთ უკვე ნახსენებ გადარიცხვებიდან მიღებულ შემოსავლებზე მეტისმეტი დამოკიდებულების გამო საქმიანობისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულების შემცირების გარდა, შეიძლება გაართულოს ოჯახების შემოსავლის დაგეგმვა. დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში მაღალი ვოლატილობის გამო იზრდება

სამხედრო კონფლიქტების, გლობალური კრიზისისა და რეცესიის ალბათობაც, რომელთა დროსაც მძიმე დარტყმას სწორედ შრომითი მიგრანტები, მათი შემოსავლები და, შესაბამისად, მათ მიერ სამშობლოში განხორციელებული ტრანზაქციები ღებულობენ.

წმინდა სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული „ხაფანგებიდან“ ყურადღებას იმსახურებს კრიმინალური ქსელების მიერ გზავნილების ნაკადების გამოყენება უკანონო საქმიანობის დასაფინანსებლად ან ფულის გასათეთრებლად. ამის გარდა, მიგრანტები და მათი ოჯახები შეიძლება გახდნენ ფიშინგის ან თაღლითობის სამიზნე, განსაკუთრებით ონლაინ ან მობილური გადარიცხვების აპლიკაციების გამოყენებისას. არალეგალური სტატუსის მქონე მიგრანტებს შეიძლება შეექმნათ ბარიერები ფორმალურ ფინანსურ მომსახურებაზე წვდომისას. ხშირად ფულადი რემიტანსების განხორციელებისას მიგრანტები აწყდებიან გადაჭარბებულ საკომისიოებს ან არახელსაყრელ გაცვლით კურსებს სახლში ფულის გაგზავნისას.

აღნიშნული მაგალითები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებულ მორალური რისკის გამოვლინებებს. ამგვარი რისკის ელემენტების მატარებლები არიან აგრეთვე ოჯახების დეზინტეგრაცია და სოციალური ქსელის რღვევა, ცხოვრებისეული პრიორიტეტების გადახრა, იდენტობის პრობლემების წარმოშობა და კულტურული გაუცხოება. მაკრო დონეზე ასეთთა ჩამონათვალში უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე სახელმწიფოს ფუნქციის შესუსტება, დემოკრატიის სისუსტე, ქვეყნის გეოპოლიტიკური დამოკიდებულების გაძლიერება სხვა სახელმწიფოებზე და ა.შ.

დასკვნა

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ფულადი რემიტანსების განმახორციელებელი შრომითი მიგრანტების საზღვარგარეთ საქმიანობის მოტივაციაზე გავლენას ახდენს სწორედ საკუთარ ქვეყანაში არსებული პირობები და გარემოებები.

ტრანსფერების ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში, მოსახლეობისა და სახელმწიფოსა და მისი ბიუჯეტისათვის არ არის ერთგვაროვანი, რის გამოც მისი შეფასება ადვილი არ არის. ეს ეფექტი, სულ ცოტა, ორკომპონენტიანია: სოციალური და ეკონომიკური, რომელიც თავის მხრივ, რამდენიმე ქვეკომპონენტად იყოფა. პირველი ეხება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა, ხოლო მეორე შეიცავს მიკრო-, მეზო- და მაკროეკონომიკის ელემენტებს.

ამასთან, საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები ატარებს პოზიტიური შედეგის დადგომის შესაძლებლობას **პოტენციაში** და **არა აპრიორი.** - ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი აღნიშნული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის პირობების შესაქმნელად.

ფულადი გზავნილები რეციპიენტი შინამეურნეობის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს (- თითქმის აორმაგებენ საკუთარ ქვეყანაში მიღებულ შემოსავლებს), ისინი ნაწილობრივ ახდენენ სოციალური ტრანსფერების ჩანაცვლებას (უმუშევართა დახმარება, პენსიები...), რაც ამცირებს ფინანსურ ტვირთს სახელმწიფო ბიუჯეტებზე. აღნიშნული გზით „გამოთავისუფლებული“ სახსრები კი ქმნიან მორალური რისკის წარმოქმნის პრობლემას, ისევე, როგორც პოტენციაში - ადგილობრივი წარმოების სტაგნაციისა და სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდისა და „ჰოლანდიური დაავადების“ განვითარების საფრთხეს. სერიოზული რისკების მატარებელია აგრეთვე

სოციალური უთანასწორობის გაძლიერება, რემიტანსებზე დამოკიდებულების ზრდა და შრომითი მოტივაციის და ეკონომიკური აქტივობის შემცირება.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ე.წ. „ტვინების გადინების“ პროცესი, რომელიც პირდაპირ და ირიბ ეკონომიკურ ზარალთან ერთად, აისახება ინტელექტუალური პოტენციალის დაკარგვაში, ინოვაციური პოტენციალის შემცირებაში, ადგილობრივი სამეცნიერო და აკადემიური სივრცის დაკნინებასა და დემოგრაფიული პრობლემების გამწვავებაში.

ასეთ პირობებში ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს ზემოხსენებული საფრთხეებისაგან საზოგადოების დაცვა და შესაბამისი „წყალქვეშა რიფებისაგან“ თავის არიდება, რეალური შიდა ალტერნატივების შექმნა, რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ხელშეწყობით, ემიგრანტებისათვის მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამებით, პროფესიონალი კადრების შენარჩუნების, ადგილზე საქმიანობის მოტივაციის გაზრდისა და ადრე უცხოეთში წასული კადრების უკან დაბრუნების სტიმულირებისათვის (სამშობლოში დასაბრუნებელი წამახალისებელი პაკეტები, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერულავა გ., ი. დიხამინჯია, ნ. ღვინჯიკია. - მიგრაციის მიკროეკონომიკური ეფექტები შრომის ბაზარზე: საქართველოს მაგალითზე. – „ეკონომისტი“, 2017, N 13 (4), გვ. 55-76.

2. რ. გაჩეჩილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. - გაეროს განვითარების პროგრამა - საქართველო, - თბილისი, 1997. – 62 გვ.

3. ლ. დუმბაძე. ემიგრანტი ქალები შვილიშვილებისთვისაც აგრძელებენ შრომას ემიგრაციაში – კვლევა. - batumelebi.netgazeti.ge, 29.11.2023. -

4. „მოსახლეობის მიგრაციული პრობლემები საქართველოში”. სტატიების კრებული, - თბილისი, 2018.

5. მ. ტუხაშვილი, ნ.ჭელიძე (2021). შრომითი მიგრაცია (სალექციო კურსი ბაკალავრებისათვის). - თბილისი, თსუ, 179 გვ.

6. შრომითი მიგრანტების მიერ თანხების რეპატრიაციის ბუნებისა და მასშტაბების შესახებ (საქართველოსა და მისი სახმელეთო მეზობლების მაგალითზე). მიგრაცია. MIGRATION 8 თსუ-ს მიგრაციის კვლევის ცენტრი / ცენტრალური ევროპის უნ-ტი, თბილისი 2017, გვ. 79-95.

7. მერი ჩაჩავა. „მიგრაციის ზეგავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სამუშაო ძალაზე“ . - თბილისი, 2023

8. Amar Iqbal Anwara & Colin F. Mangc (2022) *Do remittances cause Dutch Disease? A meta-analytic review.* -

9. Amuedo-Dorantes & Pozo (2006a) – „Workers' remittances and the allocation of household time: Evidence from Mexican men and women.“

10. Binzel & Assaad (2011) – „Remittances and women's labor supply in Egypt: new evidence from panel data.“

11. Elspeth Graham 1, Lucy P Jordan. Migrant Parents and the Psychological Well-Being of Left-Behind Children in Southeast Asia, 2011.

12. Garip & Asad (2019) Emigration, remittances, and the subjective well-being of those staying behind

13. Ivlevs (2016) – „Remittances, emigration and informal employment in Eastern Europe“.
14. katsuya Ito. Remittances and the Dutch disease: evidence from Georgia. -
15. Taylor et al.Household Migration, Social Support, and Psychosocial Health: The Perspective from Migrant-Sending Areas. 2013.

Irakli Archvadze

NEGATIVE ASPECTS OF LABOR EMIGRATION AND REMITTANCES

Summary

In the context of large-scale labor emigration, several socio-economic issues related to remittances require greater attention. These issues not only have a negative impact on the country's macroeconomic stability and development potential but also threaten the prospects for growth and the social sustainability of the national economy in the medium and long term.

The main potential threats related to remittances include the so-called **"Dutch disease**," **"brain drain," and the problem of moral hazard.**

In certain years of this century (2003-2008, 2011, 2012, 2021-2023), the Georgian national currency exchange rate against the US dollar was stronger than in the previous year. This was primarily due to large remittance inflows and foreign direct investments during these years, which totaled $39,643.02 million (with $22,718 million in cash remittances and $16,924 million in foreign direct investments). On average, a $3.0 billion increase each year significantly boosted the price of local consumer goods and the real estate market.

The continued rise in remittances and the related "Dutch disease" leads to a decline in the manufacturing sector and a weakening of the export sector. This trend makes the country more vulnerable to global and regional economic crises and increases its dependency on exogenous factors, including the volume of remittances.

"Brain drain": The visibility of wealth generated by remittances may alter the aspirations of talented, highly skilled individuals (and not only them), encouraging emigration or creating pressure on individuals with such potential. The "brain drain" involves the departure of the most qualified professionals in high-demand fields (such as programmers, doctors, engineers, and teachers)—whose education and skill development required significant public and private sector investment in their home country. Their emigration weakens public services and hampers the potential for innovation.

The Georgian state budget annually provides a "subsidy" of approximately 35-45 million GEL to countries receiving labor migrants from Georgia, based on the most conservative estimate.

An institutional trap of remittances is that a significant portion of these funds is used to "prepare" the young workforce for emigration, rather than investing in the domestic economy. Instead of exporting goods produced by the local workforce, the "seasoned" workforce seeks opportunities abroad.

Moral hazard and the political trap: The process of remittances not only affects macroeconomic and microeconomic parameters but also alters the incentives, motivations, and behavior of economic agents. In the context of labor migrant remittances, moral hazard often arises when recipients or intermediaries engage in risky or ineffective behaviors, ignoring, tolerating, or failing to recognize the full consequences of their actions.

The risks associated with moral hazard manifest in several ways:
a) The potential decline in motivation and desire to engage in labor activity among recipients, along with neglect of local income-generating opportunities.
b) The initiation of risky or economically unjustified activities, such as gambling or drug use, based on the assumption that migrant-sent funds will continue to flow indefinitely. There is also a risk that remittance channels could be exploited for money laundering or terrorist financing.

A large inflow of remittances gives the local government greater fiscal and monetary flexibility, which is often misused. The government may become less focused on rational fund allocation in the public sector, channeling significant resources into questionable and unnecessary projects.

Even households receiving remittances are not immune to moral hazard. Many recipients perceive remittances as **gifts** rather than earned **income**, knowing that they can rely on this money to supplement or replace their wages. As a result, **some recipients reduce their labor force participation,** while others invest remittance income in riskier ventures. This can distort asset prices and exacerbate poverty by driving poor families out of the real estate market. With limited income and creditworthiness, these families are unable to improve their living conditions. Moreover, in the event of a price bubble bursting, the negative consequences would be catastrophic.

Among the legal and administrative "traps," the use of remittance flows by criminal networks to finance illegal activities or launder money deserves particular attention.

In such an environment, the most important criterion for the effectiveness of government socio-economic policy is the protection of society from the aforementioned threats. This can be achieved by avoiding the corresponding pitfalls, creating genuine domestic alternatives, and implementing rational state policies and strategies. These strategies should focus on regional development, infrastructure improvement, psychological support programs for immigrants, efforts to retain professional staff, and measures to increase motivation for domestic work. Additionally, incentivizing the return of emigrants through packages like tax benefits and other incentives is crucial to long-term economic stability.

ლელა მენაბდიშვილი

ძალაუფლების დინამიკა თანამედროვე ოჯახში

ანოტაცია. *წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თანამედროვე ყოფაში როგორ ნაწილდება ძალაუფლება და გავლენა ოჯახის წევრებს შორის. ეს უკანასკნელი აყალიბებს გადაწყვეტილების მიღებას და ურთიერთობებს ოჯახში. თანამედროვე ძალაუფლების დინამიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, პატრიარქალური სტრუქტურებისგან, რომელთა მიხედვითაც ძალაუფლება ერთ ინდივიდშია კონცენტრირებული. დღეს ოჯახები მეუღლეთა საერთო ძალაუფლების მოწყობაზე არიან ორიენტირებულნი. როგორც სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, ოჯახების უმეტესობაში მეუღლეებს შორის ძალაუფლება თანაბრადაა განაწილებული (77,5%), რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ეკონომიკურ ფაქტორს. სხვადასხვა დროს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახების გარკვეულ ნაწილში ძალაუფლების საკითხში გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ პირს, რომელიც ძირითადად ოჯახს ეკონომიკურად უზრუნველყოფს. დღეს, როგორც არასდროს, ძალიან ბევრი ქალი ახერხებს ოჯახის ეკონომიკურად უზრუნველყოფას. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება მეუღლესთან ერთად, ამიტომ ასეთ ოჯახებში მეუღლეთა ერთობლივი შეთანხმებით ხდება შემოსავლების განაწილება (68,7%). ოჯახების გარკვეულ ნაწილში დარღვეულია შრომის თანაბრად გადანაწილების პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებიც არიან გარკვეულწილად ჩართული საოჯახო შრომაში, ქალზე მაინც უფრო მეტი ვალდებულება მოდის, რაც ხშირ შემთხვევაში უკმაყოფილების მიზეზი ხდება. კვლევები ადასტურებს, რომ განქორწინების უმეტეს ნაწილში ცოლია ინიციატორი. ამის უმთავრეს მიზეზად კი სახელდება ვალდებულებებისა და შრომის არათანაბარი განაწილება მეუღლეებს შორის. ოჯახის ძალაუფლების დინამიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ მკვეთრი ზრდის ტენდენცია გამოკვეთილია სიმეტრიული ძალაუფლების დინამიკისკენ, თუმცა*

კულტურული ნორმები, ინდივიდუალური პიროვნებები და კონკრეტული ოჯახური გარემოებები გარკვეულ როლს თამაშობს ოჯახში ძალაუფლების დინამიკის ჩამოყალიბების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *ძალაუფლება, გაცვლის თეორია, ვალდებულება, შრომის თანაბარი განაწილება.*


შესავალი. ძალაუფლების ცნებას გამორჩეული ადგილი უჭირავს სოციალურ მეცნიერებებში. ოჯახური ცხოვრების კონტექსტში ძალაუფლების დინამიკა გულისხმობს ძალაუფლების განაწილებას ოჯახის წევრებს შორის. ტრადიციულად, ოჯახური სტრუქტურები ხშირად მიჰყვებოდა პატრიარქალურ ნიმუშებს, სადაც მამაკაცებს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, რადგან ისინი იყვნენ ოჯახის მთავარი მარჩენალები. თუმცა გენდერული როლების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა ძალაუფლების საკითხი. ოჯახებში ძალაუფლების დინამიკა განვითარდა. თანამედროვე ოჯახი ხასიათდება ტრადიციული, იერარქიული ძალაუფლების სტრუქტურებიდან უფრო თანასწორი და მოლაპარაკებითი ურთიერთობებისკენ გადასვლით. თანამედროვე ოჯახში ცოლ-ქმარს აქვს თანაბარი ძალაუფლება და მათი ოჯახის გარეთ საქმიანობაც ხშირად თანაბარია. ოჯახის ეკონომიკური პასუხისმგებლობა, არც თუ იშვიათ შემთხვევაში, ქალის პრიორიტეტი გახდა. მამაკაცის, როგორც მარჩენლის როლის შემსრულებლის შესაძლებლობის შემცირება იწვევს მისი ავტორიტეტისა და ოჯახის ლიდერის ფუნქციის დაკარგვას. ამავდროულად, წარმოების სფეროსა და საოჯახო საქმიანობაში ქალის როლის გაძლიერება ამ უკანასკნელს მეტ ძალაუფლებას ანიჭებს. ამასთანავე მეუღლეთა პარტნიორული ურთიერთობების ცვლილება მრავალ ქვეყანაში ხელს უწყობს ქორწინების გადავადებას. წყვილები, ჩვეულებრივ, ოჯახს ქმნიან კარიერისა და მატერიალური სიძლიერის შემდეგ. მეუღლეთა შემოსავლის სიდიდე დაკავშირებულია ძალაუფლებასთან. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალაუფლების სხვა წყარო – იმ რესურსების ღირებულება, რომლებიც ქმრებსა და ცოლებს ქორწინებაში მიაქვთ. ქორწინების დროს ფარდობითი აქტივების პოზიციები ქორწინებაში ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებელია და, შესაბამისად, ძალაუფლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სოციალურ მეცნიერებებში დაფუძნებული ოჯახის ყველაზე გავრცელებული ბეკერის მოდელი ვარაუდობს, რომ ოჯახის ყველა წევრს აქვს იდენტური პრეფერენციები ან ოჯახის ერთი წევრის პრეფერენციები განსაზღვრავს რესურსების განაწილებას. ძალაუფლების დინამიკა არ არის სტატიკური, ისინი ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ფაქტორებით, მათ შორის სქესით, ასაკით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, კულტურული ნორმებით. ის შეიძლება შეიცვალოს ინდივიდუალური გარემოებების, ცხოვრებისეული ეტაპებისა და ოჯახის საჭიროებების მიხედვით.

ძირითადი ნაწილი. სოციოლოგები საოჯახო ძალაუფლების ოთხ სახეს გამოყოფენ: ავტონომიური ძალაუფლება, ქმრის ძალაუფლება, ცოლის ძალაუფლება, სინკრეტული ძალაუფლება.

ჩვენ მიერ ქ. თბილისში ჩატარებული (2022 წელი) სოციოლოგიური კვლევისას რესპოდენტები იყვნენ ორმაგი კარიერის მქონე ოჯახების წარმომადგენლები, სადაც ორივე მეუღლე არის დასაქმებული და საკუთარი შემოსავლების მქონე. კვლევის შედეგების მიხედვით ოჯახების განაწილებამ ძალაუფლების შესაბამისად აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა სინკრეტული ძალაუფლებით სარგებლობს, ანუ ასეთი ტიპის ოჯახებში მეუღლეთა შორის როლები თანაბრადაა განაწინებული. გადაწყვეტილებები მიიღება „კოლექტიური აზროვნების“ შედეგად, რაც არის თითოეული მეუღლის

დამოუკიდებლობის აღიარება და არა კომპრომისი. ასეთი ოჯახები თითქმის 3,5-ჯერ აღემატება ოჯახებს ძალაუფლების დანარჩენი სახეებით. ავტონომიური ძალაუფლების მქონე ოჯახებში ცოლ-ქმარს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ცხოვრების მიმართ, განსხვავებულია მათი ღირებულებითი ორიენტაციები, თუმცა გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად და მას კომპრომისული ხასიათი აქვს. თუ რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველოში ჭარბობდა ოჯახები ქმრის ძალაუფლებით, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი ოჯახები ახლა ყველაზე მცირეა; ანუ ოჯახები, სადაც ქმრის პიროვნული თავისებურებები და მსოფლმხედველობა განმსაზღვრელია ოჯახის ყველა წევრისთვის, ხოლო ცოლი შემოფარგლულია მხოლოდ ტრადიციული „ქალური“ ვალდებულებებით, უფრო ნაკლებია, ვიდრე ოჯახები ცოლის ძალაუფლებით, სადაც ქმრის მნიშვნელობა მაღალია, რადგან ის მხოლოდ მამაკაცურ ვალდებულებებს არ ასრულებს, მას შეთავსებული აქვს „წმინდა ქალური“ ფუნქციებიც, თუმცა ცოლს დიდი ძალაუფლება აქვს და გადაწყვეტილებების მიღებისას მისი სიტყვა არის მთავარი.

დიაგრამა 1. ოჯახების ტიპები ძალაუფლების მიხედვით (%).



წყარო: ავტორის უშუალი ჩართულობით 2022 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა.

გასული საუკუნის მიწურულს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები[54] მოწმობდნენ, რომ მნიშვნელოვანი საოჯახო გადაწყვეტილებების (უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი თანხის სესხება-გასესხება და სხვ.) მიღებისას მამაკაცის პრიორიტეტი მკვეთრადაა გამოხატული. რესპონდენტთა 55% პასუხობს, რომ ოჯახში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მამაკაცი იღებს. იმ ოჯახების წილი, სადაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ქალი, არის მხოლოდ 15,4% [დურგლიშვილი ნ. 1997., 18-19]. სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების განხილული შედეგები მეტყველებს, რომ ოჯახში ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება და ცვლილებების კვალდაკვალ ხდება ძალაუფლების ბალანსის შეცვლა.


ოჯახის წევრები ძალაუფლებას მრავალი წყაროდან იღებენ, რომელთაგან ბევრი ასახავს იმ ვარიანტებს, რომლებიც ადამიანს ოჯახის გარეთ ექმნება.

[54] კვლევა ჩატარდა გასული საუკუნის მიწურულს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს მიერ. საექსპერტო გამოკითხვა ჩაატარა ზ. ფირალიშვილმა, ხოლო სოციოლოგიური გამოკითხვა 300 რესპონდენტთან ჩატარდა ლ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

ძალაუფლების წყაროების მიეკუთვნება ეკონომიკური, სოციალური და ემოციური ძალაუფლება. ეკონომიკური ძალაუფლება ფინანსებზეა დაფუძნებული, სოციალური – სოციალურ სტატუსსა და პატივისცემაზე, ხოლო ემოციური – სიყვარულზე. ძალაუფლების ამ წყაროებს შორის გამორჩეულია ეკონომიკური რესურსების კონტროლი. მკვლევართა ნაწილი ამ ცნებას იყენებს ცოლ-ქმრის შემოსავლების, როგორც მათი ფარდობითი ძალაუფლების საზომების განმხილველად. ეკონომიკური ძალაუფლება გადამწყვეტი ფაქტორია იმის დასადგენად, თუ ვის უჭირავს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ოჯახში. ოჯახებში სადაც ერთი მეუღლე უფრო მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე მეორე, შეიძლება ძალაუფლება დისბალანსით გადანაწილდეს – უფრო მაღალშემოსავლიან მეუღლეს შედარებით მეტი გავლენა ჰქონდეს ძირითად ფინანსურ გადაწყვეტილებებზე. ამერიკელი სოციოლოგები რ. ბლანბერგი და მ. კოლემანის აზრით, ცოლქმრული ძალაუფლების საფუძველი არის ეკონომიკური რესურსები. ეკონომიკურ ძალაუფლებას კი სამი ფაქტორი განსაზღვრავს: ქმრის აბსოლუტური შემოსავლები; ქმრისა და ცოლის შემოსავლების თანაფარდობა და შემოსავალთა დამოუკიდებელი აღრიცხვა [Егорова … //http//Lib.Sale/]. სხვადასხვა დროს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახების გარკვეულ ნაწილში ძალაუფლების საკითხში გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ პირს, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს ოჯახს ეკონომიკურად. საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 6,5%-ს შეადგენდა, ხოლო დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2002 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით – მხოლოდ 2,3%, 2015 წლის კვლევის მიხედვით კი – 2,8%. დროთა განმავლობაში ძალაუფლების დინამიკა იცვლება.

ოჯახმა, რომელშიც ერთი მეუღლე აკონტროლებს ფინანსებს, შეიძლება ცალმხრივად მიიღოს ფინანსური გადაწყვეტილებები, ხოლო ოჯახი, რომელსაც აქვს საერთო ფინანსები, შეიძლება მოიცავდეს ღია დისკუსიებს ხარჯვისა და დანაზოგის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეუღლეთა შორის უკმაყოფილების მიზეზი ყველაზე ხშირად ხდება ოჯახის შემოსავლების ერთპიროვნული განაწილების გამო. ჩვენი კვლევით მიღებულ შედეგებს თუ შევადარებთ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, დავინახავთ, რომ გასული საუკუნის მიწურულს „რესპოდენტთა 45,2%-ის ოჯახში გადაწყვეტილებას შემოსავლების განაწილების შესახებ იღებს მამაკაცი, ხოლო 32,6%-თან – ქალი“ [დურგლიშვილი ნ. 1997.,18-19]. თვალსაჩინოა ოჯახები, სადაც ძალაუფლება არათანაბარი ბალანსით ნაწილდება, ანუ ოჯახის ერთ წევრს აქვს არაპროპორციული გავლენა გადაწყვეტილებაზე, რაც პოტენციურად უარყოფს სხვების მონაწილეობას.

დიაგრამა 2. შემოსავლის გამნაწილებელი პირი საქართველოს ოჯახებში.



წყარო: ავტორის უშუალი ჩართულობით 2022 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა.

ოცდახუთი წლის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი – მკვეთრად იზრდება ცოლ-ქმრის ერთობლივი გადაწყვეტილების წილი, მცირდება მამაკაცის როლი და იზრდება ქალის როლი. გამოკვლევების შედეგების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე ოჯახები სულ უფრო მეტად მიიწევენ თანასწორი ძალაუფლების სტრუქტურებისკენ და უფრო მეტი აქცენტი კეთდება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაზე.

სოციოლოგების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის ცვლილებები, რომლებიც თანდათან იკიდებდა ფეხს ოჯახში. ისეთი სოციოლოგები როგორებიც არიან იანგი და უილმოტი, აღნიშნავენ ოჯახების გადასვლას შედარებით სიმეტრიული ოჯახური სტრუქტურებისკენ, სადაც როლები და პასუხისმგებლობები უფრო თანაბრად ნაწილდება მეუღლეებს შორის. მკაცრი გენდერული როლების ნაცვლად თანამედროვე ოჯახებში ხშირად მოლაპარაკებები იმართება იმაზე, თუ ვინ რომელ ამოცანას აიღებს ინდივიდუალური ძლიერი მხარეების, პრეფერენციების და სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსის გათვალისწინებით. ოჯახებში, სადაც ორი მშობელი მუშაობს, გადაწყვეტილებები შეიძლება გაიყოს, ერთი მეუღლე ფინანსურ საკითხებში ლიდერობდეს, ხოლო მეორე – საოჯახო საქმეებში. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ძალაუფლების სტრუქტურები შეიძლება ზოგიერთ ოჯახში შენარჩუნდეს, მრავალი მათგანი მიისწრაფვის ძალაუფლების უფრო დაბალანსებული განაწილებისკენ, სადაც ორივე პარტნიორს აქვს ხმა გადაწყვეტილების მიღებასა და ოჯახის მართვაზე.

თანამედროვე ოჯახში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობის, ვალდებულებებისა და შრომის თანაბარ განაწილებას, რაც მეუღლეთა თანასწორობას უსვამს ხაზს. ასეთ შემთხვევაში ოჯახი მოქმედებს როგორც მცირე ჯგუფი – საზოგადოების ყველაზე შეკრული და სტაბილური ერთეული. „გაცვლის თეორია“ გვასწავლის, რომ ყველა ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებული „საქონლის“ ან „მომსახურების“ გაცემასა და დაბრუნებაზე. ოჯახური ურთიერთობებისას ინდივიდები ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი პასუხისმგებლობები სხვებთან მიმართებით, აწონ-დაწონონ ვის უფრო მეტი და ვის ნაკლები წვლილი შეაქვს ოჯახური ურთიერთობის ხელშეწყობის საქმეში. მაგრამ რა ემართება ოჯახის დინამიკას, როდესაც გაცვლით ურთიერთობაში ერთი მეუღლე არის წმინდა მოვალე, ხოლო მეორე წმინდა კრედიტორი? თავდაპირველად იქმნება წარმოდგენა, თითქოს შეიქმნა შაბლონი,

რომელიც არეგულირებს დაქორწინებულ წყვილს შორის კონფლიქტების, დაძაბულობისა და უთანხმოების ბუნებას მათი ურთიერთობის განმავლობაში. შემდეგ ის მოქმედებს როგორც სტრუქტურა, რომელიც ზღუდავს მათ ურთიერთქმედებას. უთანასწორო გაცვლის უფრო მძიმე შემთხვევებში კი შედეგად შეიძლება მივიღოთ ძალადობა ოჯახში ან/და განქორწინება.

ჟურნალ „Couple and Family Psychology: Research and Ptactice"-მა გამოაქვეყნა 2013 წლის გამოკითხვის შედეგები. კვლევის მიზანი იყო იმ მთავარი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ განქორწინების გადაწყვეტილების მიღებაზე. კვლევაში მონაწილეთა შორის იყო 36 წყვილი, რომლებიც განქორწინდნენ კვლევიდან წინა 14 წლის განმავლობაში. ამ წყვილების ქორწინების საშუალო ხანგრძლივობამ 12,2 წელი შეადგინა. ხოლო მონაწილეთა საშუალო ასაკი 25,4 წლით განისაზღვრა. კვლევამ აჩვენა, რომ განქორწინების ძირითადი მიზეზი იყო ვალდებულებების ნაკლებობა (75%). რატომ შორდებიან ადამიანები შეერთებულ შტატებში? ამ კითხვაზე ყველაზე გავრცელებული პასუხიც კვლავ ვალდებულების ნაკლებობა (73%) იყო, ასევე დასახელდა თანასწორობის ნაკლებობა ურთიერთობაში (44%), რომელიც ბოლო ეროვნული კვლევის მიხედვით[55] დაფიქსირდა. საქართველოში განქორწინების მიზეზები შეისწავლა ქ. გოჩიაშვილმა სასამართლოში წარდგენილი საქმეების მიხედვით 2003 წელს[56]. დასახელებულ მიზეზებს შორის სიხშირის მიხედვით პირველ ადგილზე არის თანასწორობის ნაკლებობა ურთიერთობებში (85%). არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ დაქორწინებული წყვილებისთვის, რომლებსაც აქვთ მინიმუმ მსგავსი პასუხისმგებლობა სრულ განაკვეთზე მუშაობის შემთხვევაში, ქალები მაინც უფრო მეტ სამუშაოს ასრულებენ სახლში, ვიდრე მამაკაცები, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ჩართული არიან საოჯახო საქმიანობაში. აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიურომ აჩვენა, რომ საშუალოდ დღეში მამაკაცების 20% აკეთებს ისეთ საოჯახო საქმეს, როგორიცაა დასუფთავება, და რეცხვა, ქალების 49%-თან შედარებით [US Bureau of Labor Statistics]. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ ისეთი საქმიანობა, როგორიცაა სახლის დალაგება, საკვების მოტანა-მომზადება, შვილების აღზრდა, მათი წაყვან-მოყვანა ძირითადად მაინც ცოლის მოვალეობად რჩება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ საქმიანობაში, რომელიც შვილებს უკავშირდება, ოჯახების 30%-ში ორივე მეუღლეა ჩართული.

ყველაზე ხშირად მეუღლეთა შორის უკმაყოფილების მიზეზი ხდება ვალდებულებებისა და შრომის არათანაბარი განაწილება. ფაქტია, რომ უფრო ხშირად განქორწინების ინიციატორები არიან უკმაყოფილო ცოლები, რაც არაერთმა კვლევამ აჩვენა. განქორწინების თითქმის 70% ქალების მიერ არის ინიცირებული [https://www.wf-lawyers.com/divorce-statistics-and-facts/]. ამერიკული სოციოლოგიური ასოციაციის მიერ (ASA) 2015 წლის კვლევის მიხედვით, დადგინდა, რომ ყველა განქორწინების 2/3 ინიცირებულია ქალების მიერ.

სტენფორდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ასოცირებული პროფესორის და ASA კვლევის ავტორის, მაიკლ რეზენფელდის თქმით: „ქორწინება, როგორც ინსტიტუტი, ცოტათი ნელა ასწრებდა გენდერული თანასწორობის მოლოდინებს. ცოლები კვლავ იღებენ ქმრების გვარებს და ზოგჯერ ზეწოლასაც ამის გასაკეთებლად.

[55] განქორწინების სტატისტიკა: 115-ზე მეტი კვლევა, ფაქტი და მაჩვენებლები 2024 წლისთვის. https://www.wf-lawyers.com/divorce-statistics-and-facts/

[56] სასამართლოში წარდგენილი 779 წყვილის საქმე იქნა შესწავლილი. სამწუხაროდ, დღეს განქორწინების მასალების შესწავლა შეუძლებელია კონფედენციალურობის გამო.

ქმრები ჯერ კიდევ ელიან, რომ მათი ცოლები საშინაო საქმეების დიდ ნაწილს შეასრულებენ და ბავშვებზეც იზრუნებენ“ [American Sociological Association (ASA) .2015].

ასე რომ, თუ ქალს აქვს დიდი მოლოდინი და პასუხისმგებლობა კარიერიდან, ასევე დიდი მოლოდინი და პასუხისმგებლობა სახლში შესაძლოა ქორწინება მის ინტერესებში აღარ შედიოდეს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ქალები უფრო ხშირ შემთხვევაში არიან განქორწინების ინიციატორები.

დასკვნა. ოჯახის ძალაუფლების დინამიკა გულისხმობს, თუ როგორ ნაწილდება ძალაუფლება და გავლენა ოჯახის წევრებს შორის, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებას და აყალიბებს ურთიერთობებს. თანამედროვე ყოფაში ეს დინამიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, პატრიარქალური სტრუქტურებისგან, სადაც ძალაუფლება ერთ ინდივიდშია კონცენტრირებული. დღეს ოჯახები მეუღლეთა საერთო ძალაუფლების დამკვიდრებასა და მოწყობაზე არიან ორიენტირებული. როგორც სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, ოჯახების უმეტესობაში მეუღლეებს შორის თანაბარი ძალაუფლებაა. ასევე ერთობლივი შეთანხმებით ხდება შემოსავლების განაწილება, თუმცა დარღვეულია შრომის თანაბრად გადანაწილების პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებიც არიან გარკვეულწილად ჩართული საოჯახო შრომაში, ქალზე მაინც უფრო მეტი ვალდებულება მოდის, რაც ხშირ შემთხვევაში უკმაყოფილების მიზეზი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ტენდენცია გამოკვეთილია სიმეტრიული ძალაუფლების დინამიკისაკენ, თუმცა კულტურული ნორმები, ინდივიდუალური პიროვნებები და კონკრეტული ოჯახური გარემოებები – ყველაფერი ეს ძირითად როლს თამაშობს ოჯახში ძალაუფლების დინამიკის ჩამოყალიბების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოჩიაშვილი ქ. (2003). განქორწინების სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები. სადისერტაციო ნაშრომი.
2. დურგლიშვილი ნ. (1997). ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი.
3. მენაბდიშვილი ლ. (2025). ოჯახი, საზოგადოება, სახელწიფო.
4. American Sociological Association (ASA). (2015). National Standards for High School Sociology.
5. US Bureau of Labor Statistics
6. https://www.wf-lawyers.com/divorce-statistics-and-facts/

Lela Menabdishvili

POWER DYNAMICS IN THE MODERN FAMILY

Summary

The presented work discusses how power and influence are distributed among family members in modern life. The latter shapes decision-making and relationships in the family. Modern power dynamics differ significantly from traditional, patriarchal structures, where power is concentrated in one individual. Today, families are oriented towards the arrangement of joint power between spouses. As sociological studies confirm, in most families, power is equal between spouses (77.5%). The economic factor has a significant impact on the distribution of power. Sociological studies conducted at different times have shown that in a certain part of families, the decisive role in the issue of power is assigned to the person who mainly provides for the family's economic security. Today, more than ever, many women provide for the family's economic security. In most cases, this happens together with their spouses. Therefore, in such families, income is distributed by joint

agreement of spouses (68.7%). In a certain part of families, the principle of equal distribution of labor is violated. Despite the fact that men are also involved in family work to some extent, women still have more obligations, which often becomes a cause of dissatisfaction. Studies confirm that in most divorces, the wife is the initiator. The main reason for this is the unequal distribution of obligations and labor between spouses. The study of family power dynamics has shown us that there is a sharp increase in the trend towards symmetrical power dynamics, however, cultural norms, individual personalities and specific family circumstances play a certain role in the process of forming power dynamics in the family.

Keywords: *Power, Exchange theory, Obligation, Equal distribution of labor.*

ნანა მენაბდიშვილი

თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი დემოგრაფიული მონაცემი

ანოტაცია. *საქართველოში დღეისათვის არსებული დემოგრაფიული მონაცემები ეგზისტენციურ საფრთხეს უქმნის ქართული სახელმწიფოს არსებობას. აშკარაა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება. გასული საუკუნის მიწურულიდან დღემდე ქვეყნის მოსახლეობა 1 225 400 კაცითაა შემცირებული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში. იქ მცხოვრები ახალგაზრდები ჩართულები არიან როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციაში და სოფლებში ძირითადად ხანდაზმულები რჩებიან. მათი გარდაცვალების შემდეგ კი სოფლები ცარიელდება. ქვეყანაში მოსახლეობის დაბერების პროცესი დაჩქარებულია. XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე გაიზარდა მოსახლეობის მედიანური ასაკი. ქალების მედიანური ასაკი 4,4 წლით არის გაზრდილი, ხოლო მამაკაცების 4,3 წლით. მედიანური ასაკის ზრდის ძირითადი მიზეზი შობადობის კლებაა. სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა (1891 ოჯახი) 44.2 პროცენტს ოჯახში არ ჰყავს 16 წლამდე ასაკის არც ერთი ბავშვი. ასეთი ოჯახები ყველაზე მეტია შესწავლილ ერთობლიობაში და ის ორჯერ აღემატება იმ ოჯახებს, სადაც 16 წლამდე ასაკის მხოლოდ ორი ბავშვია. შვილთა ფაქტობრივი რაოდენობა რესპონდენტთა ოჯახებში 1,9 ბავშვია. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2014 წლიდან მუდმივად მცირდება და 2024 წელს 1,7 შეადგინა. ეს მაჩვენებელი არ არის საკმარისი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი. ქვეყნის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა წილი – 9.2%-დან 15.6%-მდე, ხოლო მოხუცების თანაფარდობამ ბავშვების რაოდენობასთან შედარებით მოიმატა 37.4%-დან 71.1%-მდე. საქართველოში 2020 წლიდან მოყოლებული დღემდე მიმდინარეობს ბუნებრივი კლება. ქვეყანაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 0,7%-სა და -3,8%-ს შორის მერყეობს. ქვეყნის მოსახლეობის კლებისა და დაბერების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს შობადობა და მიგრაცია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული (გამონაკლისია 2020, 2022 და 2024 წწ.) ქვეყანაში ფიქსირდებოდა მიგრაციის უარყოფითი სალდო. 2023 წელს საქართველოს მოქალაქეთა უარყოფითმა მიგრაციულმა სალდომ 31.4 ათასით, ანუ თითქმის 1.8-ჯერ გადააჭარბა ქვეყანაში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობას. ემიგრაციულ პროცესებში ჩართულია სრულიად საქართველოს მოსახლეობა. გამოკვლევის მიხედვით გამოკითხული ერთობლიობის თითქმის 25%-ის ოჯახის წევრი ემოგრაციაშია. ემიგრაციაში წასული პირების უმეტესობა კი (68,8) ფერტილურ ასაკშია. რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანა კარგავს რეპროდუქციულ პოტენციალს.*

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, შობადობა, მოსახლეობის დაბერება, გუნებრივი მატება, მიგრაცია.*

შესავალი. თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური საქმიანობის დიდ ნაწილს – დაწყებული იმით, თუ სად ვცხოვრობთ, მაღაზიაში რას ვყიდულობთ და დამთავრებული იმით, თუ როგორ ვაძლევთ ხმას არჩევნებში – დემოგრაფიული მონაცემები განაპირობებს, თუმცა ადამიანების უმეტესობამ არ იცის, რამდენად დიდ გავლენას ახდენს დემოგრაფია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დემოგრაფია არის თვისებები და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქმნიან კონკრეტულ მოსახლეობას. ის მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას რეგიონის, ქვეყნის ან სულაც მსოფლიოს მოსახლეობის ასაკის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, ქორწინების, ოჯახური მდგომარეობის, შობადობის, მოკვდაობისა და სხვა მაჩვენებლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემები შეიძლება ფაქტებისა და ციფრების ერთობლიობად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში ისინი ბევრად უფრო ღრმაა. დემოგრაფიული მონაცემები არის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს კონკრეტული გეოგრაფიული ჯგუფის მახასიათებლებს კონკრეტულ დროს. ის წარმოადგენს არა მხოლოდ დროის მოკლე მიმოხილვას, არამედ მას შეუძლია აჩვენოს, თუ როგორ იცვლება ჯგუფები დროთა განმავლობაში.

დემოგრაფიული მონაცემები წარსული ქმედებების ან ქცევის საფუძველზე კონკრეტული ტერიტორიის ან ჯგუფისთვის „ნორმალური“ ან „მოსალოდნელი“ მდგომარეობის წარმოდგენის საშუალებას იძლევა, ასევე აჩვენებს, თუ როგორ იცვლება ან ვითარდება ეს მოსახლეობა. ტერიტორიას, რომლის შემადგენლობაც იცვლება ასაკის, სქესის, ეთნიკური შემადგენლობის, ოჯახის სტრუქტურით, შვილთა რაოდენობით ოჯახში და სხვა მრავალი მახასიათებლით, განსხვავებული მოთხოვნილებები და სურვილები ექნება. დემოგრაფია გვაწვდის ინფორმაციას მოსახლეობის ზომის, სტრუქტურისა და განაწილების შესახებ, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რესურსების განაწილებაზე, სოციალურ მომსახურებასა თუ პოლიტიკურ სტრატეგიებზე. დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების, რესურსების ეფექტური განაწილებისა და ეფექტური პოლიტიკის ფორმულირებისათვის. არ არსებობს დარგი: ეკონომიკა, სოციალური მომსახურება, რესურსების განაწილება, პოლიტიკა, საარჩევნო პროცესები, გეოპოლიტიკა, საზოგადოებრივი საჭიროებების გაგება, სადაც დემოგრაფიული მონაცემები არ გამოიყენებოდეს

დღეს საქართველოს წინაშე მდგარი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიდან ერთ-ერთი უმწვავესი და ეგზისტენციალური საფრთხის შემცველია დემოგრაფიული კლება. ჩვენი ნაშრომის მიზანია ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ის საფრთხეები, რის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.

საქართველოს მოსახლეობა XXI საუკუნეში. ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული სურათის მნიშვნელოვანი გაუარესება XX საუკუნის 90-იან–XXI საუკუნის 20-იან წლებს უკავშირდება. თუ 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა ხუთ მილიონს აჭარბებდა, დღეს (2025 წლის 1 იანვრის მონაცემით) მხოლოდ 3 705,5 მილიონია. სამ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 1,5-ჯერ შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში. რეგიონებს თუ განვიხილავთ მოცემულ პერიოდში მოსახლეობის კლების მიხედვით, დავინახავთ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა თითქმის სამჯერაა შემცირებული, რაჭა-

ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის – 2,3-ჯერ, იმერეთის – 1,8-ჯერ, სამცხე- ჯავახეთის – 1,7-ჯერ, გურიის – 1,6-ჯერ, კახეთისა და მცხეთა მთიანეთის – 1,5-ჯერ, ქვემო ქართლის – 1,4-ჯერ, შიდა ქართლის – 1,3-ჯერ და აჭრის არ-ის – 1,1-ჯერ. მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის კლება ყველა რეგიონს მეტ-ნაკლებად შეეხო. 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით გაუკაცრიელებულია 223 სოფელი. 2024 წლის ახალი საყოველთაო აღწერა კიდევ რა სიურპრიზს გვიმზადებს, ამას სულ მალე გავიგებთ. რაც შეეხება თბილისის მოსახლეობის რიხცოვნობას, თუ 1989 წლის მონაცემების მიხედვით თბილისის მოსახლეობა 1 263 489-ს შეადგენდა, მიმდინარე წლის პირველი იანვრის მონაცემებით 1 282 600-ს გაუტოლდა. ფაქტობრივი მდგომარეობა ასეთია, რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები ჩართულები არიან როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციაში და სოფლებში ძირითადად ხანდაზმულები რჩებიან. მათი გარდაცვალების შემდეგ კი სოფლები ცარიელდება.

მოსახლეობის სიმჭიდროვე გასული საუკუნის მიწურულს (მაგ, 1994 წელს) ერთ კვადრატულ კილომეტრზე 82-ის ტოლი იყო, მიმდინარე წელს უკვე 64,8 შეადგინა. იზრდება მოსახლეობის მედიანური ასაკი. მედიანური ასაკი ეს არსებითად მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების შუა წერტილია, ანუ ეს არის მოსახლეობის შუაში არსებული ასაკი, რომლის ქვემოთ და ზემოთ განაწილებულია მოსახლეობის 50-50 პროცენტი. თუ გასული საუკუნის მიწურულს (მაგალითისთვის ისევ 1994 წლის მონაცემებს მოვიყვანთ) მედიანური ასაკი ქალებში 33,7 წელს, ხოლო მამაკაცებში 29,4 წელს შეადგენდა მიმდინარე წლის მონაცემების მიხედვით ქალებში 41 წელი, ხოლო მამაკაცებში 36,1 წელი გახდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აშკარაა მოსახლეობის დაბერება. მიუხედავად იმისა, რომ მედიანური ასაკის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო გამოცდილი სამუშაო ძალის ყოლა და პოტენციურად დანაშაულის დონის შემცირება, მას ასევე შეუძლია დატვირთოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემები, ჯანდაცვის რესურსები და პოტენციურად შეანელოს ეკონომიკური ზრდა სამუშაო ძალის შემცირებისა და დაბალი პროდუქტიულობის გამო.

ქალების მედიანური ასაკი ყოველთვის მაღლია მამაკაცების მედიანურ ასაკზე, რადგან ის დამოკიდებულია სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ახალი საუკუნიდან დღემდე ქალების მედიანური ასაკი 4,4 წლით არის გაზრდილი, ხოლო მამაკაცების 4,3 წლით. მედიანური ასაკის ზრდის ძირითადი მიზეზი შობადობის კლებაა.

შობადობა საქართველოში. 2019 წლამდე საქართველოში ხდებოდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოება, ანუ შვილების თაობა ანაცვლებდა მშობლების თაობას. 2019 წლიდან კი ქვეყანაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც აღარ ხდება. დემოგრაფთა გაანგარიშებით მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოებისათვის საჭიროა ერთ ეფექტურ ქორწინებაზე, რომელიც გრძელდება მთელ რეპროდუქციულ პერიოდში და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერების უნარის მქონეა, საშუალოდ მოდიოდეს 2,6 ბავშვი, ხოლო გათხოვილმა ქალმა გააჩინოს საშუალოდ 2,15 ბავშვი [ბორისოვი ვ. 2001., 257]. ეს არის საიმედო მაჩვენებელი ბავშვთა იმ რიცხვისათვის, რომელიც აუცილებელია დეპოპულაციის თავიდან ასაცილებლად. განვიხილოთ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რადგან ის ყველაზე ზუსტად ასახავს შობადობის დონეს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში (პირობითად 15-49 წლის ასაკში) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას. საქართველოში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ყველაზე მაღალი 2014 წელს იყო, როცა მან შეადგინა 2,3. მას შემდეგ ეს მაჩვენებელი მუდმივ კლებას განიცდის და გასულ წელს 1,7-მდე დაეცა. შობადობის ასეთი დაბალი ჯამობრივი კოეფიციენტი არ ყოფილა 2007 წლიდან მოყოლებული, თუმცა გასული

საუკუნის ბოლოსა და ახალი საუკუნის დასაწყისში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1,5-საც კი შეადგენდა. ცხადია, რომ ეს მაჩვენებელი არ არის საკმარისი დეპოპულაციის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყანაში შობადობის სურათის ნათელსაყოფად მოვიყვანთ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2023 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს.[57] ოჯახში ფაქტობრივი შვილების რაოდებობა განვიხილოთ ფერტილური ასაკის მქონე დაოჯახებულ რესპოდენტებში. სურათი ასეთია: რესპოდენტთა 44.2 პროცენტის ოჯახში არ არის 16 წლამდე ასაკის არც ერთი ბავშვი და ასეთი ოჯახები ყველაზე მეტია შესწავლილ ერთობლიობაში. ის ოჯახები, სადაც 16 წლამდე ბავშვი არც ერთი არაა, ორჯერ აღემატება ოჯახებს, სადაც ამავე ასაკის მხოლოდ ორი ბავშვია. გამოკითხულ ერთობლიობაში (1891 ოჯახი) 16 წლამდე ასაკის საშუალოდ მხოლოდ 1,3 ბავშვია. რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოებისათვის ერთ ეფექტურ ქორწინებაზე საჭიროა საშუალოდ 2,6 ბავშვი. დაოჯახებული რესპონდენტების 6.5%-ს შვილი არ ჰყავს, ხოლო 2.7%-ს ოთხი და მეტი შვილი ჰყავს, თუმცა ოჯახების ნახევარზე მეტი ორშვილიანი ოჯახებია.

რესპონდენტთა რეპროდუქციული ქცევის შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგადად ოჯახში შვილთა ოპტიმალურ რაოდენობად მიიჩნევენ 2,9 შვილს. ამასთან, მამაკაცებსა და ქალებს შორის ოჯახში შვილთა ოპტიმალურ რაოდენობაზე სრული თანხმობაა (ორივე სქესისათვის მისაღებია 2,9 შვილი). უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობა არ ნიშნავს საკუთარ ოჯახში შვილთა სასურველ რაოდენობას. როგორც სხვადასხვა გამოკვლევები აჩვენებს, ეს რიცხვი ყოველთვის მეტია საკუთარ ოჯახში შვილთა სასურველ რაოდენობაზე. რაც კიდევ ერთხელ დაასაბუთა ჩვენმა კვლევამ. რესპონდენტებისათვის საკუთარ ოჯახში შვილთა სასურველი რაოდენობა 2,5-ია. ეს მაჩვენებელი 0,4-ით ჩამორჩება ზოგადად ოჯახში შვილთა ოპტიმალურ რაოდენობას. ამასთან საკუთარ ოჯახში შვილთა სასურველ რაოდენობას შორის მცირე განსხვავებაა მამაკაცებსა (2,6) და ქალებს შორის (2,5). უნდა აღინიშნოს, რომ თუ რესპონდენტთა ოჯახებში მოხდება შვილთა სასურველი რაოდენობის რეალიზება, მაშინ ეს უზრუნველყოფს ჩანაცვლების პროცესს. მაგრამ ფაქტობრივად დაოჯახებულ რესპონდენტთა ოჯახებში იმაზე ნაკლები შვილია, ვიდრე მათთვისაა სასურველი. მათ ოჯახებში შვილთა ფაქტობრივი რაოდენობა (1,9) იმაზე ნაკლებია, ვიდრე ჩანაცვლებისთვისაა საჭირო. ამასთან დაოჯახებული მამაკაცების ოჯახებში 1,8 შვილია, ხოლო ქალებში 1,9. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ოჯახები მოახდენენ შვილთა მოსალოდნელი რაოდენობის სრულ რეალიზებას, მაშინ მათ ოჯახებში იქნება 2,5 შვილი, რაც სრულიად შეესაბამება მათსავე მოსაზრებას შვილთა სასურველი რაოდენობის შესახებ. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რესპონდენტების მესამედზე მეტი (33.5%) თვლის, რომ იმდენი შვილი ჰყავთ, რამდენის ყოლაც სურდათ. ამიტომ დიდი ალბათობით ისინი მეტ შვილს აღარ იყოლიებენ. დანარჩენები კი თვლიან, რომ შესაძლოა სასურველზე ნაკლები შვილი

[57] 2023 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოკვლევა ჩავატარეთ ოჯახთან დაკავშირებული სოციალური და დემოგრაფიული საკითხების შესწავლის მიზნით. კვლევა რაოდენობრივი იყო და ჩატარდა სპეციალურად შედგენილი კითხვარით საქართველოს რეგიონებში. გამოკითხულთა წილი რესპონდენტთა საერთო რაოდენობაში მაქსიმალურად იყო მიახლოებული შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის წილთან საქართველოს მთელ მოსახლეობაში. გამოიკითხა 16-49 წლის მოსახლეობა შემთხვევითი შერჩევის გზით, წინასწარ შედგენილი კითხვარით. გამოკითხული იყო სულ 1891 რესპონდენტი, მათ შორის 605 (32.0%) მამაკაცი და 1286 (68%) ქალი.

იყოლიონ, რის მიზეზადაც უმეტეს შემთხვევაში დასახელდა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა (32,5%).

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ შობადობის ასაკობრივ კოეფიციენტს, რომელიც არის გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე. გასული საუკუნის მიწურულს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი ყველაზე მაღალი იყო 20-24 წლის ქალებში, 1994 წლის ჩათვლით მათ მერე მოდიოდა 20 წლამდე ასაკის ქალები, ხოლო 1995 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. 20 წლამდე ასაკის ქალები ჩაანაცვლა 25-29 წლის ქალებმა. 2017 წლიდან მდგომარეობა კიდევ შეიცვალა – მართალია, შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი ყველაზე მაღალია კვლავ 25-29 წლის ასაკის ქალებში, მაგრამ ახლა უკვე მათ მერე მოდის 30-34 წლის ქალების ასაკობრივი ჯგუფი. ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც. ანუ საქართველოში თვალსაჩინოა გადავადებული მშობლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია ქალის ასაკი პირველი შვილის გაჩენისას, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ის ვერ უზრუნველყოფს ჩანაცვლების პროცესს.

ბუნებრივი მატება. ამჟამად საქართველოში შობადობის დაბალი და მოკვდავობის შედარებით მაღალი დონის პირობებში თვალსაჩინოა კვაზი-წონასწორობის ახალი ერა, რომლისთვისაც, ძირითადად, დამახასიათებელია მოსახლეობის რეგრესული, დაბერებული სტრუქტურა, მოკვდაობის გადამეტება შობადობაზე და დეპოპულაცია. ქვეყანის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 9.2%-დან 15.6%-მდე, ხოლო მოხუცების თანაფარდობამ ბავშვების რაოდენობასთან მოიმატა 37.4%-დან 71.1%-მდე.

საქართველოში 2020 წლიდან მოყოლებული დღემდე ხდება არა ბუნებრივი მატება, არამედ ბუნებრივი კლება. ქვეყანაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ამ ხუთი წლის განმავლობაში 0,7%-სა და -3,8%-ს შორის მერყეობს. ბუნებრივი მატების განხილვამ რეგიონალურ ჭრილში დაგვანახა, რომ თბილისის, აჭარისა და ქვემო ქართლის გარდა ბუნებრივი კლება ყველა რეგიონისთვისაა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი. დასახელებული სამი რეგიონიდან გამოვყოთ ორი – აჭარის არ და ქვემო ქართლი. აჭარაში არსებული ექვსი მუნიციპალიტეტიდან ბუნებრივი კლება არის მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტში, დანარჩენებში კი ბუნებრივი მატება გვაქვს. რაც შეეხება ქვემო ქართლს, მასში შემავალი შვიდი მუნიციპალიტეტიდან ბუნებრივი კლებაა რუსთავის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში, დანარჩენებში კი ბუნებრივი მატებაა. ყველა სხვა რეგიონების ბუნებრივი კლების მონაცემების განხილვამ გასული 2024 წლისთვის აჩვენა, რომ ბუნებრივი კლება ყველაზე მაღალია იმერეთში (-2718). ბუნებრივი კლების მონაცემებს თუ კლების მიხედვით დავალაგებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: სამეგრელო-ზემო სვანეთი (-1951), კახეთი (-1008), შიდა ქართლი (-745), გურია (-707), მცხეთა-მთიანეთი (-557), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (-296), სამცხე ჯავახეთი (-156). მოყვანილი მონაცემები მეტყველებენ, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა.

მიგრაცია. ქვეყნის მოსახლეობის კლებისა და დაბერების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს შობადობა და მიგრაცია. დემოგრაფიული კოლაფსი მხოლოდ რეპროდუქციული ქცევით ნაკლებად შესაძლებელი იყო, მასზე არადემოგრაფიულ (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.) ფაქტორებსაც რომ არ მოეხდინათ მნიშვნელოვანი გავლენა. გასული საუკუნის ბოლოდან ემიგრაციის გავლენით მცირდებოდა და მცირდება საქართველოს რეპროდუქციული პოტენციალი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამი წელი – 2020, 2022 და 2024 წლები) ქვეყანაში ფიქსირდებოდა მიგრაციის უარყოფითი სალდოები. ბოლო ხუთი წლის მონაცემებიდან გამოვყოფთ 2021 წელს, როცა მიგრაციის უარყოფითმა სალდომ შეადგინა -26,0 და 2023 წელს -39,2. 2023 წელს საქართველოს მოქალაქეთა უარყოფითმა მიგრაციულმა სალდომ 31.4 ათასით, ანუ თითქმის 1.8-ჯერ გადააჭარბა ჩვენს ქვეყანაში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობას, ეს მაჩვენებელი თითქმის შვიდჯერ აღემატება წინა წლის იმავე მაჩვენებელს. საკმაოდ მაღალი ალბათობით არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ქვეყნის რეგიონების მიხედვით ემიგრაციის მასშტაბებსა და შობადობის დონეებს შორის. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც ყოველ მეორე რესპონდენტს ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი ჰყავს ემიგრაციაში, შობადობის დონე კი მოკვდაობის მაჩვენებელს 2.6-ჯერ ჩამორჩება (2023 წ.: დაბადება – 226, გარდაცვალება – 580) [სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ., არჩვაძე ი. 2024].

ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით ემიგრანტი წევრი ჰყავს გამოკითხული ოჯახების თითქმის მეოთხედს. საზღვარგარეთ ემიგრანტების გადინება ხდება საქართველოს ყველა კუთხიდან. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ემიგრანტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელით გამოირჩევა თბილისი (37.3%), ქვემო ქართლი (16,7%) და იმერეთი (14,4%). ემიგრაციაში ჩართულია სრულიად საქართველოს მოსახლეობა ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან. ემიგრაციაში წასული პირების უმეტესობა კი (68,8) ფერტილურ ასაკშია. რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნიდან გაედინება სწორედ ის თაობა, რომელსაც შეუძლია შვილთა შობა. ამით ქვეყანა კარგავს რეპროდუქციულ პოტენციალს.

დასკვნა. ნაშრომში ჩვენ მიერ მოყვანილი დემოგრაფიული მონაცემები ნათელს ხდის ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას. ამასთან, გაცილებით რელიეფურად ვლინდება ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა: მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და დაბერების პროცესის დაჩქარება, შობადობის მაჩვენებლების მკვეთრი ვარდნა მოკვდაობის პარამეტრების მნიშვნელოვანი მატების ფონზე, დეპოპულაციის კონტურები. დღეისათვის არსებული დემოგრაფიული მონაცემები წარმოადგენს ეგზისტენციურ საფრთხეს ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის. ვფიქრობთ, სტატიაში განხილული საკითხები სახელმწიფოს დონეზე უნდა იყოს დასმული და გადაჭრილი. მინდა ბატონი პაატა გუგუშვილის აზრი გაგიზიაროთ: „საქმე ისაა, რომ მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები იმდენად მნიშვნელოვანია და მისი შედეგები ქართველი ხალხის ეროვნული ორგანიზმისა და ტერიტორიული ორგანიზაციისა ისეთ სიღრმისეულ მოვლენებს შეეხებიან, რომელთა სტიქიურ მდინარებას ადვილად შეუძლია უკუმიუქცეველი შედეგები გამოიწვიოს“ [გუგუშვილი პ. 1985. 151.]. დღეს სწორედ ასეთი შედეგების წინაშე ვდგავართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბორისოვი ვ. (2001.) დემოგრაფია.
2. გუგუშვილი პ (1985). მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა.
3. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება საქართველოში (2025).
4. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. https://www.geostat.ge/media/44559/I-tomi.pdf

5. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf
6. სულაბერიძე ა., სულაბერიძე ვ., არჩვაძე ი. (2024), დემოგრაფიული კოლაფსი საქართველოში.
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

Nana Menabdishvili

SOME DEMOGRAPHIC DATA IN MODERN GEORGIA

Summary

The current demographic data in Georgia represent an existential threat to the existence of the Georgian state. There is a significant decrease in the absolute number of the population. Since the end of the last century, the country's population has decreased by 1,225,400 people. The situation is especially difficult in the regions. Young people living there are involved in both external and internal migration, and mainly elderly people remain in the villages. After their death, the villages empty out. The process of population aging in the country has accelerated. Since the beginning of the 21st century, the median age of the population has increased. The median age of women has increased by 4.4 years, and that of men by 4.3 years. The main reason for the increase in the median age is the decline in the birth rate. According to a sociological study, 44.2 percent of the surveyed (1,891 families) families do not have a single child under the age of 16. Such families are the most numerous in the studied population and are twice as numerous as families with only two children under the age of 16. The actual number of children in the families of the respondents is 1.9 children. The total fertility rate has been constantly decreasing since 2014 and amounted to 1.7 in 2024. This indicator is not sufficient even for simple reproduction of the population. The share of the population over 65 years of age in the country's total population increased from 9.2% to 15.6%, and the ratio of the elderly to the number of children increased from 37.4% to 71.1%. Since 2020, Georgia has been experiencing a natural decline. The natural growth rate in the country has fluctuated between -0.7‰ and -3.8‰ over the past five years. The main determining factors of the decline and aging of the country's population are fertility and migration. Since the 1990s (with the exception of 2020, 2022 and 2024), the country has recorded a negative migration balance. In 2023, the negative migration balance of Georgian citizens exceeded the number of children born in the country by 31.4 thousand, or almost 1.8 times. The entire population of Georgia is involved in emigration processes. According to the study, almost 25% of the surveyed population has a family member in emigration. Most of the people who emigrated (68.8) are of fertile age. This indicates that the country is losing its reproductive potential.

Keywords: *population, birth rate, population aging, natural increase, migration.*

Davit Nadiradze

FROM ECONOMIC CRISES TO SOCIAL STRAIN: UNDERSTANDING DEMOGRAPHIC CHANGE IN GEORGIA

Annotation: *Economic threats in Georgia have significant social and demographic consequences. Historical and contemporary shocks - including the 2008 global financial crisis, the COVID-19 pandemic, and regional instability - have exacerbated unemployment, income inequality, and migration pressures. These dynamics contribute to social tensions and demographic challenges, including urban-rural disparities, youth emigration, declining fertility, and population aging. This article examines the complex interaction between economic vulnerabilities, social tensions, and demographic trends in Georgia, highlighting structural imbalances and proposing integrated policy measures to foster social cohesion, sustainable development, and demographic resilience.*

Keywords: *economic threats, social tension, demographic change, migration, urban-rural disparity*

Introduction

Since gaining independence in 1991, Georgia has undergone profound socio-economic and political transformation, punctuated by arduous challenges and significant transitions. The collapse of the Soviet Union precipitated severe economic decline, social instability, and regional conflicts over disputed territories such as Abkhazia and South Ossetia, leading to the displacement of tens of thousands of people. These crises compromised political stability and delayed the establishment of effective market institutions, constraining the government's capacity to manage economic reforms and respond adequately to internal and external shocks [World Bank, 2018], [Geostat, 2023].

In recent decades, Georgia has progressively integrated into global markets, catalyzing growth in services, tourism, and information technology sectors. However, economic growth has been uneven and accompanied by persistent vulnerabilities. The economy's dependence on energy imports, a low-productivity agricultural sector bound by fragmented landholdings, and disparities between urban and rural regions have compounded socio-economic challenges [World Bank, 2021][Stiglitz, 2012]. These factors have intersected with demographic pressures, including declining fertility rates, accelerated population aging, and substantial youth emigration, thereby exacerbating social tensions and threatening long-term stability [Eurostat, 2020], [Castles, 2010].

This article examines the multifaceted dynamics linking economic crises, social strains, and demographic changes in Georgia. Drawing upon verified statistical data and scholarly analyses, it elucidates how economic vulnerabilities spur social inequalities and demographic transformations that disproportionately affect rural communities, marginalized ethnic groups, and youth. Moreover, the study advocates for integrated policy approaches designed to foster economic resilience, social cohesion, and demographic sustainability, thereby securing Georgia's path to inclusive and sustainable development.

Economic Threats and Their Consequences

Georgia's economy exhibits structural weaknesses that increase its susceptibility to both domestic and external shocks. Energy dependence is a critical vulnerability, as Georgia imports the majority of its electricity and fossil fuels, leaving the economy sensitive to global price fluctuations [Geostat, 2023:12].

Agriculture remains a key employer, engaging roughly 40% of the workforce, but contributes only 10% of GDP due to low productivity, fragmented landholdings, and outdated technology [World Bank, 2021:34]. The service sector dominates GDP (72%) but employs only 42% of the workforce, creating a mismatch that contributes to structural unemployment, particularly among youth and women. Remittances account for 8–9% of GDP and provide essential household support, yet they also expose Georgia to external economic volatility [World Bank, 2021:33].

Table 1 Sectoral Contribution to GDP and Employment Structure

Agriculture	10	40
Industry	18	18
Services	72	42

Source: Geostat, 2023

Structural imbalances drive high unemployment and limited social mobility, particularly in rural regions. Western areas such as Samegrelo-Zemo Svaneti lag behind urban centers like Tbilisi and Batumi, leading to rural-to-urban migration and pressure on urban infrastructure [World Bank, 2018:27], [Geostat, 2023:17]. Poverty remains concentrated in peripheral regions, such as Racha-

Lechkhumi (28%), whereas urban residents enjoy comparatively higher living standards [Geostat, 2023:17].

Historical crises illustrate Georgia's economic fragility. The 2008 global financial crisis led to a 6.2% GDP contraction, sharply rising unemployment, and disproportionate effects on rural populations [World Bank, 2021:34]. The COVID-19 pandemic severely impacted the tourism and services sectors, resulting in income loss for informal workers and further exacerbating rural-urban disparities [World Bank, 2020:9]. More recently, the 2022 regional instability due to the Ukraine conflict triggered inflation, energy price surges, and emigration pressures [Stiglitz, 2012:88].

Table 2 Rural and Urban Unemployment Rates in Georgia, 2010–2023

2010	22	11
2015	25	13
2020	24	12
2023	23	12

Source: Geostat, 2023

Social Tensions

Economic disparities and structural weaknesses have been key drivers of social tensions in Georgia. The unequal distribution of wealth and access to opportunities between urban and rural areas creates persistent grievances. Rural-to-urban migration intensifies competition for housing, healthcare, education, and employment in cities like Tbilisi, Batumi, and Kutaisi. Urban infrastructure often struggles to accommodate this influx, resulting in overcrowded schools, strained healthcare facilities, and rising housing costs [Geostat, 2023:18].

Ethnic and regional inequalities further compound social tensions. Minority groups, including Azeris, Armenians, Abkhazians, and Ossetians, often reside in marginalized areas with limited economic and educational opportunities. These communities frequently face structural barriers to participation in the formal labor market, reinforcing perceptions of exclusion and social inequity [Sen, 1999:78]. Marginalization can also manifest in political disenfranchisement, as communities with fewer resources and lower education levels have reduced access to decision-making processes at local and national levels.

Youth unemployment, particularly acute in certain regions where it can exceed 30%, drives both domestic and international migration. Young people often leave rural areas in search of better educational and employment prospects, which not only diminishes human capital in their communities but also fosters frustration and political disengagement. High unemployment among youth and women in rural areas can also heighten vulnerability to informal or precarious work, increasing economic insecurity and social instability [Castles, 2010:44], [World Bank, 2020:9].

Social tensions are also visible in public demonstrations and protests. Historically, socio-economic grievances have sparked demonstrations over issues such as wage delays, inadequate social services, and corruption. These protests illustrate the direct link between economic pressure and social unrest and underscore how perceptions of government responsiveness - or lack thereof - affect public trust. Citizens in disadvantaged regions often feel that the state prioritizes urban centers over rural communities, which can reinforce distrust in institutions and exacerbate tensions between different regions of the country.

Urban-rural disparities are further reinforced by unequal access to technology and digital infrastructure. While urban populations increasingly benefit from high-speed internet, digital services, and online education, rural communities lag behind, limiting economic opportunities, educational attainment, and participation in civic life. This digital divide exacerbates the socio-economic gap, further fueling social tensions and potentially limiting rural development.

The COVID-19 pandemic highlighted these social inequalities starkly. While urban centers adapted more quickly to remote work and online education, rural communities experienced service

disruptions, job losses in agriculture and informal sectors, and limited healthcare access. These inequalities created heightened stress within households and communities, particularly among low-income populations, elderly residents, and single-parent families [World Bank, 2020:9].

In addition, internal displacement due to conflicts in Abkhazia and South Ossetia has contributed to social tensions. Internally displaced persons (IDPs), numbering over 250,000, often live in temporary or underdeveloped settlements, facing challenges in securing stable employment, education, and housing. Their integration into host communities can create competition over limited resources, occasionally triggering friction between displaced and local populations [UN, 2019:56].

Overall, social tensions in Georgia are multifaceted, rooted in structural economic inequalities, regional disparities, ethnic marginalization, youth unemployment, and demographic pressures. Addressing these tensions requires comprehensive social policies that improve access to education, healthcare, and employment opportunities across all regions, foster inclusion of marginalized communities, and strengthen public trust in governance. Only by mitigating the structural sources of inequality can Georgia promote long-term social cohesion and stability.

Table 3 Urban and Rural Population Distribution in Georgia

Urban	57
Rural	43

Source: Geostat, 2023

Demographic Trends

Georgia faces pressing demographic challenges driven by declining fertility, population aging, and high emigration rates, which collectively threaten long-term socio-economic stability. Fertility has steadily declined from 2.2 births per woman in 2000 to 1.7 in 2023, falling below the replacement level of 2.1 [Geostat, 2023:19], [World Bank, 2023]. Factors contributing to this decline include urbanization, delayed marriage, economic uncertainty, and limited support for working families. Young couples increasingly postpone childbearing due to financial insecurity, housing constraints, and career considerations, particularly in urban centers like Tbilisi and Batumi.

Population aging is becoming a significant demographic pressure. The proportion of individuals aged 65 and older has risen from 9% in 2000 to 14% in 2023 [Eurostat, 2020:22]. This trend places growing strain on healthcare systems, pensions, and social services. An aging population also reduces the working-age labor force, which can constrain economic growth, limit productivity, and heighten dependency ratios. Rural areas are particularly affected, as younger generations migrate to urban centers or abroad, leaving behind an older population that requires increasing care and support.

Youth emigration is another critical concern, creating both immediate and long-term challenges for economic development. Skilled and educated young people often leave the country in search of better employment opportunities, higher wages, and improved quality of life, leading to a "brain drain" that disproportionately impacts rural areas. The loss of human capital undermines the potential for local innovation, entrepreneurship, and economic diversification, further entrenching regional disparities [Castles, 2010:95], [BM.VGTU, 2023]. Remittances from emigrants partially mitigate household-level economic stress but do not compensate for the loss of skilled labor or address the demographic imbalance.

Gender disparities in labor participation further shape demographic outcomes. Female employment in rural areas remains lower than in urban centers, limiting household income, reducing fertility incentives, and reinforcing intergenerational poverty cycles. Policies that support female workforce participation, such as childcare provision, flexible working arrangements, and vocational training, are essential for mitigating these effects and fostering demographic stability [World Bank, 2018; BM.VGTU, 2022].

Urbanization trends also influence demographic dynamics. As of 2023, 57% of Georgia's population resides in urban areas [Geostat, 2023:18]. While urban living provides greater access to

education, healthcare, and employment, it also encourages smaller family sizes due to housing costs, career demands, and lifestyle preferences. Conversely, rural regions experience both population decline and aging, creating localized demographic imbalances that affect economic development and social cohesion.

The interplay between declining fertility, population aging, and emigration results in rising dependency ratios, increasing the burden on working-age individuals to support the elderly and young dependents. This dynamic has significant implications for public finances, healthcare systems, and pension sustainability. Without targeted interventions, Georgia faces the risk of a shrinking workforce, lower economic productivity, and greater socio-economic inequality.

Table 4 Fertility Rate and Share of Population Aged 65+ in Georgia, 2000–2023

2000	2.2	9
2010	2.0	11
2020	1.8	13
2023	1.7	14

Source: Geostat, 2023; Eurostat, 2020

Addressing these demographic challenges requires a multi-pronged approach. Policies to support family formation, such as childcare services, parental leave, affordable housing, and flexible work arrangements, can help stabilize fertility rates. Incentivizing the return of skilled emigrants through employment opportunities, professional networks, and competitive wages can counteract brain drain. Regional development initiatives can balance population distribution, ensuring rural areas remain viable and socially cohesive. Additionally, integrating demographic considerations into economic planning, healthcare provision, and social policy is essential to ensure that Georgia's population structure supports long-term sustainable development.

Ultimately, demographic trends in Georgia are not isolated phenomena but are deeply intertwined with economic vulnerabilities and social dynamics. Declining fertility, aging, and emigration both shape and are shaped by economic insecurity, social inequalities, and regional disparities. Addressing these trends is therefore critical not only for population stability but also for broader socio-economic resilience and sustainable development.

Policy Recommendations

Addressing Georgia's intertwined economic, social, and demographic challenges requires a multi-dimensional, integrated approach. Policies must simultaneously tackle structural economic weaknesses, social inequalities, and demographic pressures to ensure sustainable development and social cohesion. The following recommendations offer a roadmap for achieving these goals:

1. Economic Diversification and Resilience

- Invest in Strategic Sectors: Prioritize development of renewable energy, ICT, advanced manufacturing, and modernized agriculture to reduce dependence on remittances, fossil fuels, and external shocks [Stiglitz, 2012:45].
- Support Small and Medium-Sized Enterprises (SMEs): Encourage entrepreneurship and innovation through tax incentives, simplified regulations, and access to affordable credit to generate employment, particularly for youth and women [World Bank, 2021:34].
- Modernize Agriculture: Promote mechanization, irrigation, and cooperative farming to improve productivity and reduce rural poverty [World Bank, 2021:34].
- Regional Economic Development: Target investment in lagging regions like Samegrelo-Zemo Svaneti and Racha-Lechkhumi to reduce disparities and curb migration pressures [World Bank, 2018].

2. Enhancing Social Cohesion

- Expand Access to Education and Vocational Training: Tailor programs to rural and marginalized communities to reduce youth unemployment [Geostat, 2023:18].
- Improve Healthcare Access: Strengthen rural healthcare infrastructure and provide mobile health services [World Bank, 2020].
- Support Vulnerable Populations: Assist internally displaced persons, ethnic minorities, and low-income households to reduce exclusion and social tension [UN, 2019:56].
- Promote Civic Engagement: Foster inclusive governance to build public trust [World Bank, 2018].

3. Demographic Strategies

- Family Support Policies: Implement childcare, parental leave, housing subsidies, and flexible work arrangements [Geostat, 2023].
- Return Migration Programs: Provide incentives for skilled emigrants to return for knowledge transfer [BM.VGTU, 2023].
- Regional Population Balance: Invest to make rural areas attractive for settlement and employment [World Bank, 2018].
- Gender Inclusion: Promote female labor participation through vocational training and gender-sensitive policies [BM.VGTU, 2022].

4. Strengthening International Cooperation

- Collaborate with EU, World Bank for technical and financial support [World Bank, 2021:34].
- Facilitate knowledge and technology transfer for governance and social policy best practices.

5. Integrated Policy Implementation

- Cross-Sector Coordination: Establish inter-ministerial task forces for coherent policy design and delivery [World Bank, 2018].
- Develop data systems to assess policy effectiveness.
- Engage citizens in policy awareness to enhance participation and trust.

Table 5 Policy Measures and Expected Outcomes for Sustainable Socio-Economic Development

Economic Diversification	Renewable energy, SMEs, modern agriculture	Reduced vulnerability, job creation, regional growth
Social Cohesion	Education, healthcare, minority support, civic engagement	Reduced inequality, improved trust, social stability
Demographic Strategy	Family support, return migration, regional development, gender inclusion	Balanced migration, increased fertility, empowered workforce
International Support	EU/UNDP/World Bank cooperation, funding	Enhanced resilience, adoption of best practices
Integrated Implementation	Coordination, monitoring, public engagement	Efficient policy delivery, evidence-based outcomes

Conclusion

Georgia's socio-economic landscape reveals a complex interplay of economic fragility, social strain, and demographic evolution that holds profound implications for the country's future wellbeing. The nation remains vulnerable to external shocks due to structural economic weaknesses such as reliance on remittances, limited industrial diversification, and underperforming agriculture - issues that contribute to uneven regional development and persistent rural poverty [World Bank, 2018], [Geostat, 2023].

These economic imbalances manifest socially as disparities in employment opportunities, restricted access to essential services, and ethnic marginalization, fueling social tensions that threaten political stability and social harmony. Young people, particularly from rural areas, face high unemployment and limited prospects, prompting significant migration flows that drain the country's human capital and exacerbate demographic imbalances [Castles, 2010], [BM.VGTU, 2023].

Demographically, Georgia's declining fertility and an aging population present additional challenges by shrinking the labor force and increasing the dependency burden, thereby straining public finances and social service systems [Eurostat, 2020], [Geostat, 2023]. These trends, intertwined with regional disparities and migration patterns, necessitate comprehensive policy responses.

Proactive measures integrating economic diversification, social inclusion, and demographic support are vital to mitigate vulnerabilities and harness development opportunities. Strengthened international partnerships, especially with multilateral institutions, can amplify these efforts by providing crucial technical and financial assistance [World Bank, 2021], [UN, 2019].

Ultimately, Georgia's long-term stability and prosperity depend on coordinated policy frameworks that address the interlinked dimensions of economic, social, and demographic change. By promoting equitable growth, fostering social cohesion, and enhancing demographic resilience, Georgia can build a sustainable future that benefits all its citizens.

References

1. BM.VGTU, 2023. Emigration Statistics – The Herald of the Survival of the Population of Georgia or the Demographic Crisis. Vilnius Gediminas Technical University.
2. BM.VGTU, 2022. Gender Imbalances in the Georgian Labor Market and Peculiarities of the Impact of the COVID-19 Pandemic. Vilnius Gediminas Technical University.
3. Castles S., 2010. Migration and Social Tensions. Oxford University Press, pp. 44, 95.
4. Eurostat, 2020. Demographic Trends in Europe. Brussels: European Commission, p. 22.
5. Geostat, 2023. Annual Economic Indicators. Tbilisi: National Statistics Office of Georgia, pp. 12, 17–19.
6. Sen A., 1999. Development as Freedom. Oxford University Press, p. 78.
7. Stiglitz J., 2012. The Price of Inequality. W.W. Norton & Company, pp. 45, 88.
8. United Nations, 2019. World Urbanization Prospects. New York: United Nations, p. 56.
9. World Bank, 2018. South Caucasus in Motion: Economic and Social Mobility in Armenia, Azerbaijan, and Georgia. Washington D.C.: World Bank.
10. World Bank, 2020. The Early Labor Market Impacts of COVID-19 in Developing Countries: Evidence from High-Frequency Phone Surveys.
11. World Bank, 2021. Global Economic Prospects. Washington D.C.: World Bank, pp. 12, 33–34.
12. World Bank, 2023. World Development Indicators Database.

Davit Nadiradze

FROM ECONOMIC CRISES TO SOCIAL STRAIN: UNDERSTANDING DEMOGRAPHIC CHANGE IN GEORGIA

Summary

This article examines how Georgia's economic vulnerabilities, social tensions, and demographic challenges are interlinked. Since independence, repeated crises—the Soviet collapse, regional conflicts, the 2008 financial crisis, COVID-19, and the war in Ukraine—have exposed structural weaknesses in the economy. Heavy reliance on energy imports, low agricultural productivity, and dependence on remittances create instability, while mismatches between sectors generate high unemployment, especially among youth and women.

These economic issues fuel social strain. Rural poverty, unequal access to services, and regional disparities drive migration to urban centers, which in turn pressures infrastructure and public

services. Ethnic minorities and internally displaced persons face structural exclusion, while high youth unemployment contributes to emigration, political disengagement, and distrust in institutions.

At the same time, demographic trends intensify these problems. Fertility rates have fallen below replacement level, the population is aging, and large numbers of skilled young people emigrate. This "brain drain" undermines local development and increases dependency ratios, placing pressure on pensions, healthcare, and social services.

The article calls for integrated policy responses: diversifying the economy, supporting SMEs and modern agriculture, reducing regional inequalities, and promoting social inclusion. Demographic resilience requires family support measures, incentives for return migration, and higher female labor participation. Stronger partnerships with international institutions and cross-sector governance are essential to ensure sustainable and equitable growth.

Conclusion: Without comprehensive action, Georgia risks deepening inequality, demographic decline, and social instability. Addressing economic, social, and demographic challenges together offers the path toward resilience, cohesion, and long-term development.

ვლადიმერ სულაბერიძე

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია

ანოტაცია. *წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს – ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიას. დღეს ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია და მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობის დეპოპულაციის შეჩერებას. ასევე მიგრაციის რაციონალიზაციით მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, ძირითადი გადასაწყვეტი ამოცანებია: ოჯახში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ზრდით, ქვეყანაში შობადობის სტაბილიზაცია მოსახლეობის გაფართოებული აღწარმობის დონემდე; მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ამაღლებით, მოსახლეობის მოკვდაობის შემცირება; დემოგრაფიული დაბერების ტემპის შენელება და დაბადებისას მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა; მიგრაციის რაციონალიზაცია და განსახლების ოპტიმიზაცია; ქორწინების სტიმულირება, მტკიცე ოჯახის ფორმირება და სხვ. ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი დემოგრაფიული პროცესების არასასურველი ტენდენციებით განვითარებისას დემოგრაფიულ საფრთხეთა მოსალოდნელი შედეგები. ასევე ყურადღებაა გამახვილებული სოციალურ-დემოგრაფიულ საფრთხეებზე მოქმედ ძირითად დემოგრაფიულ ფაქტორებზე.*

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, დეპოპულაცია, დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია.*

შესავალი. დღეს საქართველო დგას უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების წინაშე, ეს კი უკვე მოკლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანწილად საფრთხეს უქმნის ქვეყანას, მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. არსებულ მოცემულობაში მნიშვნელოვანია აქტიური და ქმედითი ზომების შემუშავება და გატარება შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქართველოს დემოგრაფიული საფრთხეები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეა და ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ერთ-ერთ ქვესისტემას წარმოადგენს. იგი ქვეყნის ეროვნული გენოფონდის უწყვეტობისა და პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. ის განსაზღვრავს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მოსახლეობის

დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ძირითად მიმართულებებს.

დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიის გენერალური მიზანია: ქვეყნის მასშტაბით მოსალოდნელი დეპოპულაციის შეჩერება და მიგრაციის რაციონალიზაციით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილიზაცია.

მიზნიდან გამომდინარე, ძირითადი გადასაწყვეტი ამოცანებია: ოჯახში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ზრდით, ქვეყანაში შობადობის სტაბილიზაცია მოსახლეობის გაფართოებული აღწარმობის დონემდე; მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ამაღლებით, მოსახლეობის მოკვდაობის შემცირება; დემოგრაფიული დაბერების ტემპის შენელება და დაბადებისას მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა; მიგრაციის რაციონალიზაცია და განსახლების ოპტიმიზაცია; ქორწინების სტიმულირება, მტკიცე ოჯახის ფორმირება და სხვ.

ძირითადი ნაწილი. საქართველოში 1992 წლამდე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960-1991 წლებში ბუნებრივი მატება, ხოლო 1992 წლიდან დღემდე – გარე მიგრაცია წარმოადგენს. ქვეყანამ 2000 წელს დაამთავრა პირველი დემოგრაფიული გადასვლა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ევროპის დასავლეთ ქვეყნებში 1970-იან წლებში დაწყებული მეორე დემოგრაფიული გადასვლისთვის დამახასიათებელი ლიბერალურ-დემოკრატიული სახის დემოგრაფიული ქცევა [Van De Kaa D. J. 1987: 30]. თავისი დემოგრაფიული განვითარებით დღეისათვის საქართველოში ფორმირება დაიწყო მოსახლეობის აღწარმოების უახლესმა ტიპმა, რომლისთვისაც დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა, რასაც დეპოპულაცია მოჰყვება.

შობადობის დონე, მოკვდაობასა და მიგრაციის მაჩვენებლებთან ერთად, არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ქმნის მოსახლეობის სტრუქტურას და განაპირობებს ამ უკანასკნელის განვითარებას. მოსახლეობის სტრუქტურა და დინამიკა განსაზღვრავს ადამიანურ რესურსებს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მოსახლეობის დაბალანსებული სტრუქტურა, რომელშიც არსებობს თანაფარდობა ახალგაზრდებს, შუახნის და ხანდაზმულ მოქალაქეებს შორის პრობლემების გარე შეიცვლება, რაც გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. აღწარმოების დონეზე მუდმივად დაბალი შობადობის მაჩვენებელი და მიგრაციის უარყოფითი სალდო კი მოსახლეობის დაბერებას და მისი რიცხოვნობის შემცირებას განაპირობებს. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში შობადობის მაჩვენებელი მარტივი აღწარმოების დონეზე მაღალი იყო (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,2‰). 1990-იანი წლების პირველ ნახევარში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ეცემა, 2015-2016 წწ.-ში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მარტივი აღწარმოების დონეზე მაღალი იყო, თუმცა მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი მუდმივად იკლებს და 2024 წელს 1,7‰-ს ტოლი ხდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში არ ხდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც კი. ქვეყანაში ადგილი აქვს „ბუნებრივ კლებას“ და ეს პროცესი უკვე ხუთი წელია გრძელდება (2020 წ. – 1,1; 2021წ – 3,8; 2022 წ. – 1,8; 2023წ – 0,7; 2024 წ. – 1,2) [სულაბერიძე ა. 2018: 79].

ქვეყანაში მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია – იზრდება მაღალი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში და შესაბამისად, კლებულობს ბავშვებისა და მოზარდების წილი. XXI საუკუნის 20-იანი

წლების დასაწყისში, 1990-იან წლებთან შედარებით, დაახლოებით 1/3-ით შემცირდა საქართველოს მოსახლეობა. ამ პერიოდში 40%-ით შემცირდა 15 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა, მაშინ როდესაც 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 17 პროცენტით. შესაბამისად, 65 წელს გადაცილებულთა წილი მოსახლეობაში გაიზარდა 9.2%-დან 15.6%-მდე, ხოლო მოხუცების თანაფარდობამ ბავშვების რაოდენობასთან მოიმატა 37.4%-დან 71.1%-მდე.

იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციის უარყოფითი სალდო იყო და რჩება საქართველოს მოსახლეობის კლების მთავარ განმსაზღვრელ პირობად (2023 წელს საქართველოს მოქალაქეთა უარყოფითმა მიგრაციულმა სალდომ 31.4 ათასით (თითქმის 1.8-ჯერ) გადააჭარბა ჩვენს ქვეყანაში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობას), მაშინ როდესაც წინა, 2022 წელს ამგვარი ,,გადაჭარბება'' მხოლოდ 4.5 ათასს შეადგენდა, 2030 წლისათვის უკეთეს შემთხვევაში მოსალოდნელია მიგრაცია ფაქტიურად, ნულოვანი სალდოს ფარგლებში. უცხო ერების მიგრაციის ზრდის ფონზე გაგრძელდება ახალგაზრდობის ემიგრაცია, თუმცა, მათ რაოდენობას გადაფარავს უცხოეთიდან დაბრუნებული 65 წლის ასაკს გადაცილებული მოსახლეობა, რაც გაზრდის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელს. ამასთან ერთად, ქვეყნიდან ,,ტვინების'' გადინება გავლენას იქონიებს ერთი მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, მეორე მხრივ, უსაფრთხო დემოგრაფიულ განვითარებაზე [სულაბერიძე ა... 2024: 92].

დემოგრაფიული პროცესების არასასურველ ტენდენციებით განვითარებისას დემოგრაფიულ საფრთხეს გაზრდის უცხო ეროვნებათა მიგრაციის შედეგად ეთნიკური სტრუქტურის დარღვევის შედეგად ავტოქტონური მოსახლეობის შემცირება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე 2030 წლამდე პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების ძირითად ორიენტირებად უნდა იქცეს:

- მოსახლეობის რიცხოვნობის 4,0 მილიონამდე სტაბილიზაცია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება;
- ოჯახში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის ყოლის შედეგად შობადობის დონის გაზრდა;
- ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცება, ოჯახურ ურთიერთობათა სულიერ-ზნეობრივი ტრადიციების აღორძინება და შენარჩუნება;
- მიგრაციის რაციონალიზაცია და განსახლების ოპტიმიზაცია.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა და დემოგრაფიული პრობლემები გაერომ მსოფლიოს წინაშე მდგარ 5 მთავარ პრობლემათა შორის აღიარა და შესაბამისად დემოგრაფიული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად წარმოდგა. სოციალურ-დემოგრაფიული უსაფრხოების პოლიტიკის დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და თითოეულის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გატარდეს მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე. საქართველოს, დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციაც ეროვნულ ინტერესებიდან გამომდინარეობს და დემოგრაფიულ პოლიტიკა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა მივჩნიოთ, რაც თავის მხრივ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაშია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ სხვა სახის სისტემებთან. როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა, დემოგრაფიული უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული გენოფონდის უწყვეტობისა და პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. იგი განსაზღვრავს მოკლევადიან პერიოდში პერიოდში საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ძირითად

მიმართულებებს. კონცეფცია წარმოადგენდეს ორიენტირს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ორგანოებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ დემოგრაფიული პროცესები არასასურველი ტენდენციით განვითარდება ქვეყანა დადგება საკმაოდ მრავალფეროვანი დემოგრაფიული საფრთხის წინაშე, რომელთა შორისაცაა მოსახლეობის კლება, მოსახლეობის დაბერება, დეპოპულაცია და სხვ.

ცხრილი 1.

დემოგრაფიული პროცესების არასასურველი ტენდენციებით განვითარებისას დემოგრაფიულ საფრთხეთა მოსალოდნელი შედეგები

დემოგრაფიუ-ლი პროცესები	ტენდენცია	დემოგრაფიულ საფრთხეთა შედეგი
მოსახლეობის რაოდენობა და გაადგილება (განსახლება)	შემცირება	• მოსალოდნელი რაოდენობრივი კლება; • კავკასიის რეგიონში საქართველოს მოსახლეობის წილის შემცირება; • მოსახლეობის რაოდენობის შიგარეგიონული დისპროპორცია; • დასახლებული პუნქტების (სოფელების) დაცლა; • საშუალო და პატარა ქალაქების მოსახლეობის შემცირებით დიდი ქალაქების წარმოქმნა.
დემოგრაფიუ-ლი სტრუქტურა	დეფორმირებული	• დემოგრაფიული დაბერება; • მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდობის წილის შემცირება და მოხუცებულთა წილის ზრდა; • დემოგრაფიული სტრუქტურის ასაკობრივ-სქესობრივი დისპროპორცია და დეფორმაცია; • შრომითი რესურსების შემცირება; • ქორწინებითი სტრუქტურის დეფორმაცია; • ეროვნული სტრუქტურის ტრანსფორმაცია.
მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა	შემცირება	• შობადობის დონის შემცირება; • მოკვდაობის დონის ზრდა; • დეპოპულაცია; • მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება (გარე მიგრაციის ნულოვანი სალდოს პირობებში); • საქორწინო და რეპროდუქციული პოტენციალის შემცირება; • შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შემცირება.
მიგრაცია	გარე და შიგარეგიონული მიგრაციის სალდო	• მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება; • შრომისუნარიანი მოსახლეობის პოტენციალის შემცირება; • ავტოქტონური მოსახლეობის შემცირება; • სქესთა დისპროპორცია; • სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.
მოსახლეობის აღწარმოება	შეკვეცილი ტიპი	• თაობათა შეკვეცილი აღწარმოება; • დეპოპულაცია; • დემოგრაფიული დაბერების ზრდა.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

საქართველოში კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების ქვაკუთხედია ამჟამინდელი აღწარმოების დონისა და შობადობის დონის გაზრდა. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის შვილთა სასურველი რაოდენობა აღემატება ორ შვილს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შესაძლებელია მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეზე დარჩეს, თუ რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები არ მოახდენენ გავლენას. იმისათვის რომ მოსახლეობამ შეძლოს განახორციელოს შობადობასთან დაკავშირებული სურვილები, საჭიროა იმ ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლიან შობადობასთან დაკავშირებული განზრახვების განხორციელებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის სტაბილურობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სოციალურ-დემოგრაფიულ საფრთხეებზე მოქმედი ძირითად დემოგრაფიულ ფაქტორებზე. რამდენადაც სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებამდე უწინარესად გასათვალისწინებელია, თუ რა ვითარებაში უნდა განხორციელდეს იგი და ძირითადად არა გარე (არადემოგრაფიული) და შიგა (დემოგრაფიული) ფაქტორები შეუშლის ხელს მის ეფექტიან რეალიზაციას.

გლობალური ხასიათის ფაქტორებია დემოგრაფიული განვითარების ობიექტური კანონზომიერებები და უცხოეთიდან "იმპორტირებული" დემოგრაფიული ქცევის სტანდარტები.

გამოვყოფთ დემოგრაფიულ საფრთხეებზე მოქმედ ზოგიერთ ქვეყნის შიგა დემოგრაფიულ ნეგატიურ ფაქტორს:

რეპროდუქციული ქცევის მკვეთრი ცვლილება. მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის დაბალი დონე; დემოგრაფიული პროგრამების დაფინანსების სიმწირე; ორსული ქალებისათვის შეღავათების არასაკმარისობა; დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე; ქორწინებათა და სასურველი რაოდენობის შვილთა ყოლის გადავადება; გარე მიგრაციის მაღალი ინტენსივობა; განსახლების სისტემის დეგრადაცია და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებიდანვე, მიუხედავად ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონონომიკური ვითარებისა და სუსტი ეკონომიკისა, ბიზნესის კეთების მიზნით განვითარდა უცხო ქვეყნებიდან იმიგრაცია. ამ პროცესში ისტორიულად მეზობელი მუსულმანი ქვეყნების მოქალაქეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ გეოგრაფიულად საკმაოდ შორი, ჩინეთისა და ინდოეთის მრავალეროვნული და მრავალრელიგიური ქვეყნის მოქალაქეები. აღნიშნულს ქვეყნის დემოგრაფიული და რელიგიური სტრუქტურის ცვლილებები მოჰყვა და ქვეყანა მაღალი რეპროდუქციული ქცევის მქონე ბუდიზმის, ინდუიზმის და ისლამის მრწამსის მიმდევარი იმიგრანტების გარემოცვაში მოექცა.

საქსტატის თანახმად, ბოლო 21 წელიწადში (2012-2023 წწ.) საქართველოში შემოვიდა 1 244 361 იმიგრანტი, რომელთაგან საერთო ჯამში 67.1% დაბალი რეპროდუქციული ქცევის მქონე ქრისტიანული ქვეყნების, ხოლო მესამედი – 32.9% საერთო ჯამში მაღალი რეპროდუქციული ქცევის მქონე მუსულმანური, ბუდიზმის და ინდუიზმის მრწამსის მქონე რელიგიების მიმდევარი ქვეყნების იმიგრანტები არიან [www.geostat.ge]. მიუხედავად ეროვნული და რელიგიური შეუთავსებლობისა, ქართველთა ტოლერანტობიდან გამომდინარე, არაქრისტიანული რელიგიის მქონე იმიგრანტებმა დაიმკვიდრეს საქართველოში საკუთარი ადგილი სოციალურ და კულტურულ სივრცეში, მათი სეგრეგაციის ნაცვლად ინტეგრაციის პროცესი

პრევალირებს. მომავალში იმიგრანტთა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად სექტორული ინტეგრაციის განვითარებას ხელს შეუწყობს საქართველო-ჩინეთს შორის დადებული სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების და შუა დერეფანთან ერთად ანაკლიის პორტის სრული ამოქმედება.

ფაქტორთა ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ მათგან ძირითადად გამოვყავით უახლოეს მომავალში უწინარესად გადასაჭრელი პრობლემები, რომელთა გარეშეც ქვეყანაში მოსალოდნელი დეპოპულაციიდან გამომდინარე სოციალურ-დემოგრაფიული შედეგები გარკვეული დროის შემდეგ უფრო მნელად გადასაჭრელი იქნება.

დასკვნა. დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიას ნებისმიერი ქვეყნისთვის ეგზისტენციალური მნიშვნელობა გააჩნია. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება: შობადობა, მოკვდავობა, მიგრაცია და მათგან გამომდინარე მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება. დღეს ქვეყანაში დემოგრაფიული პროცესები არასასურველი ტენდენციით ვითარდება, რამაც ქვეყანა დეპოპულაციის წინაშე დააყენა. საქართველოში კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების ქვაკუთხედია ამჟამინდელი აღწარმოების დონისა და შობადობის დონის გაზრდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის სტაბილურობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სულაბერიძე ა., არჩვაძე ი., სულაბერიძე ვ. (2024). დემოგრაფიული კოლაფსი საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის მასალათა კრებული "მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში: საქართველოს ადგილი და გამოწვევები". თბ., 20-21 ოქტომბერი. გვ. 79-95
2. სულაბერიძე ა. (2018). საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია. ნაწილი I (XX საუკუნე). მონოგრაფია. თბილისი, „ზენაარი".
3. Coale A. The decline of fertility in Europe from the French Revolution to World War II. In: Fertility and family planning. A world View. The University of Michigan press. 1969.
4. Van De Kaa D. J. (1987). Europe's second demographic transition. Population Bull, Mar, 42 (1): 1-59
5. www.geostat.ge

Vladimer Sulaberidze

DEMOGRAPHIC SECURITY STRATEGY OF GEORGIA

Summary

The work presented here addresses one of the most important issues: the demographic security strategy of our country. This issue is highly relevant today and aims to halt the country's depopulation. It also aims to stabilise population growth through the rationalisation of migration. To achieve this, the following tasks must be completed: stabilising the birth rate to ensure population growth; improving health to reduce mortality; slowing the rate of demographic ageing and increasing life expectancy at birth; rationalising migration and optimising resettlement; and stimulating marriage and the formation of strong families. The work broadly presents the expected consequences of demographic threats to the development of demographic processes with undesirable trends. Attention is also focused on the main demographic factors affecting socio-demographic threats.

Keywords: *Population, Depopulation, Demographic security strategy.*

ელენე ჩიქოვანი

შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე საყოველთაო უფლების რეალიზაციის გარანტიები საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომი ფოკუსირებულია სოციალური გარანტიების პრობლემებზე საქართველოში. ყურადღება არის გამახვილებული საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილი ადამიანის ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა'' და ,,ევროპის სოციალური ქარტიის განახლებული ვერსიის'' მიხედვით განსაზღვრული ისეთი გარანტიების უზრუნველყოფაზე, როგორსაც შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება წარმოადგენს და რომელიც ყველა მომუშავისათვის უზრუნველყოფს, მინიმუმ, შრომის სამართლიან ანაზღაურებას, თანაბარ შრომაზე თანაბარ ანაზღაურებას ნებისმიერი სახის განსხვავების გარეშე და დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების ღირსეული ცხოვრების პირობებს მთავრობის მიერ განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.*

ნაშრომში დახასიათებულია სოციალური გარანტიების ნორმატიული განმარტებიდან გარანტიების სისტემის ოპერაციონალიზაციაზე გადასვლისა და, შესაბამისად, გარანტიების რეალიზაციის საბაზრო მექანიზმების შემოღების სირთულეები საქართველოში; დასაბუთებულია ქვეყანაში შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლების რეალიზაციის სფეროში არსებული გამოწვევები, როგორიცაა: მინიმალური ხელფასისა და შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის დაწესების მიმართულებით შემოღებული ნორმების ნაკლოვანებები საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე, შრომის ანაზღაურების სფეროში არსებული დეფორმაციები, თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დარღვევის, სახელფასო დისკრიმინაციის, შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების სფეროში სექტორალური პოლიტიკის გამოყენების, შესრულებული სამუშაოსათვის აუცილებელი კონკურენტული გარემოს არ არსებობის და სხვა საბაზრო მექანიზმების გამოყენების მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები. დასმულია საკითხი და მოცემულია წინადადებები შრომის ანაზღაურების სისტემის ეტაპობრივი მოწესრიგების მიმართულებით დროის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სოციალური გარანტიები მოიაზრება, როგორც ნორმათა სისტემა, რომლითაც ნებისმიერი სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრებისა და არსებობისათვის, აგრეთვე მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების ჩამოყალიბებასა და რეალიზაციას. იგი, ერთი მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების წრეს განსაზღვრავს, რაც სათანადო შიდა და გარე (საერთაშორისო) კანონმდებლობით არის უზრუნველყოფილი, ხოლო, მეორე მხრივ, გულისხმობს ამ უფლებების რეალიზაციის მიდგომებს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ადეკვატურია და მიღწეული პროგრესული ცვლილებების შესაბამისად მუდმივ სრულყოფასა და გადასინჯვას ექვემდებარება.

ცალკეული ქვეყნის კონსტიტუციით, ეროვნული საკანონმდებლო აქტებით, ასევე საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპებისა და მიდგომების შესაბამისად, ყველა ქვეყანა მიისწრაფვის სოციალური გარანტიების ისეთი სისტემის შემუშავებისაკენ, რომელიც ადეკვატურად პასუხობს აღნიშნული გარანტიებით უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა ძირითადი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას. სოციალური გარანტიები მოიცავს ადამიანის

ცხოვრებისა და განვითარების სხვადასხვა ასპექტების ფართო წრეს, რაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ორიენტირებულია განსაზღვრულ მოქალაქეთა ძირითადი უფლებების რეალიზაციასა და საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო აქტუალური ხდება სოციალური გარანტიების არსის განსაზღვრისა და სრულყოფილი განმარტების შემოღების საკითხები, რაც არც თუ ისე ცალსახა მიდგომებით შემოიფარგლება და შესაბამისად აზრთა სხვდასხვაობასთან არის დაკავშირებული. დისკუსიას საფუძველი ჩაეყარა 2001-2004 წლებში, როდესაც სოციალური გარანტიები ფერაჯოლიმ განმარტა, როგორც საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების წრე, რომელიც აკონკრეტებს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ მექანიზმებს (Ferrajoli Luigi. 2000, 2001,2004). ფერაჯოლის მიერ სოციალური გარანტიების ახლებური გაგება, როგორც სოციალური გარანტიების ნორმათა სისტემა, მისი ოპერაციონალიზაციის (რეალიზაციის მექანიზმების) შემოტანას გულისხმობს, რომლებიც ამ ნორმების შესრულებას უზრუნველყოფენ. ამასთან, მნიშვნელოვან სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიების მონიტორინგის განზომილებების შემოთავაზება. ასეთი გარანტიების განზომილებებად კი ავტორთა მიერ მიჩნეულია ისეთი ქვეგარანტიები, როგორიცაა: მისაწვდომლობა, ხარისხი, ფინანსური დაცულობა, მუდმივი გადასინჯვა, მონაწილეობა და დაკმაყოფილება (Gacitъa-Mariy and Andrew Norton, 2009 :p. 27).

ევროპის სოციალური ქარტიის განახლებული ვერსიის მიხედვით (ძალაში შევიდა 1999 წელს), განსაზღვრულია ადამიანის იმ ძირითად უფლებათა წრე (31 პუნქტი), რომელთა მოთხოვნაც შეუძლია მოქალაქეს (ევროპის სოციალური ქარტია: 1999). ამ მიმართებით უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს ევროპის სოციალური ქარტიისა და ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები, რომლებიც ეხება შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლებას და ამ მიმართებით თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობების განვითარებას. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICSCR) განამტკიცებს სამართლიანი, თანასწორი და ღირსეული შრომის ანაზღაურების უფლებას. აღნიშნული პაქტის მე-7 მუხლის თანახმად პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა დასაქმებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი ანაზღაურებით, თანაბარი ანაზღაურებით თანაბარი შრომისათვის და ანაზღაურებით, რომელიც დასაქმებულ პირს და მის ოჯახს უზრუნველყოფს ღირსეული არსებობის შესაძლებლობით (საერთაშორისო პაქტი ICSCR: მუხლი 7). ამ მიზანს ემსახურება მინიმალური ხელფასი – ანაზღაურების ის მინიმალური ოდენობა, რომელიც დამსაქმებელმა უნდა გადაუხადოს დასაქმებულს კონკრეტულ პერიოდში შესრულებული სამუშაოსთვის. მინიმალური ხელფასი არის საშუალება, რათა მშრომელებმა მიიღონ ისეთი ანაზღაურება, რომელიც საკმარისი იქნება მათი და მათი ოჯახების ღირსეული ცხოვრების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საჭიროებები მოიცავს როგორც ცხოვრების ადეკვატურ პირობებს (საკვები, წყალი, სანიტარიული პირობები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ტრანსპორტი), ასევე პაქტით გათვალისწინებულ სხვა ძირითად უფლებებს (სოციალური უსაფრთხოება, ჯანდაცვა და განათლება) (ცაგარეიშვილი 2023, გვ. 5-7).

საქართველოს არა აქვს რატიფიცირებული აღნიშნული საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები, რომლებიც შრომის ღირსეული ანაზღაურების

მიღების უფლებას ეხება, რაც გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისა და განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე სახელმწიფოს პირობებში ქვეყნის მიერ ვერც იქნებოდა აღიარებული მისი უზრუნველყოფის არაადეკვატური შესაძლებლობის გამო. თუმცა ამ მიმართებით არსებული მდგომარეობა ქვეყანაში იმდენად საგანგაშოა, რომ იგი დემოტივაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება და მოითხოვს არსებული მდგომარეობის ანალიზსა და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

ქვეყანაში არ არის მიღებული „საქართველოს კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ“, რაც იმ მიზეზით არის განპირობებული, რომ მინიმალური ხელფასის საკანონმდებლო დონეზე დაწესება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ქვეყნის ეკონომიკაში, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ეკონომიკურად არ იქნებოდა გამართლებული. საქსტატის მონაცემებით 2024 წელს უმუშევრობის დონე საქართველოში 13.9 %-ს შეადგენდა. 2025 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კი 14.7%-ს (საქსტქტი, 2025). საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №351 ბრძანებულებით, საქართველოში კერძო სექტორში დასაქმებული პირების მინიმალური ხელფასი შეადგენს თვეში 20 ლარს (პრეზიდენტის ბრძანებულება N351, 1999). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა, რომელიც დაბეგვრის მიზნით იქნა შემოღებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული პირებისათვის, 1999 წლიდან დღემდე არ გაზრდილა. ბრძანებულების თანახმად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, დადგენილი წესით უნდა წარმოედგინა წინადადებები მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ, თუმცა ბრძანებულების მიღების დღიდან დღემდე მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდის შესახებ აღნიშნული უწყებების მიერ წინადადებები არ შემუშავებულა.

კერძო სექტორთან შედარებით, საქართველოში მინიმალური ხელფასი უფრო მაღალია საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისათვის, თუმცა მაინც უკიდურესად შეუსაბამო დასაქმებული პირებისა და მათი ოჯახების ღირსეული ცხოვრების საჭიროებების უზრუნველსაყოფად. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს 2017 წლის კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის №43 ბრძანებულების თანახმად, საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო თვეში 115 ლარს შეადგენს. ბრძანებულება არ ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის დონის გადახედვის, კორექტირებისა და ზრდის საჭიროებას (კანონი საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ, 2017).

2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის №192 ბრძანებულებით დამტკიცდა მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობის გაუმჯობესების 2002-2005 წლების სახელმწიფო პროგრამა (სახელმწიფო პროგრამა 2022-2025). პროგრამის თანახმად, საბიუჯეტო შემოსავლებისა და საშუალო ხელფასის ზრდასთან ერთად, საბიუჯეტო სექტორში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მინიმალური და საშუალო ხელფასების დონეთა დაახლოება, ვიდრე მინიმალური ხელფასი შესაბამისობაში არ მოვიდოდა საარსებო მინიმუმთან. პროგრამის თანახმად, არასაბიუჯეტო სექტორში მინიმალური და საშუალო ხელფასების თანაფარდობის მოწესრიგების პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა მიზანშეწონილი არ იყო (სახელმწიფო პროგრამა 2022-2025).

საქართველოში დასაქმების ცალკეულ სექტორებში მუშაკთა ზოგიერთ კატეგორიასთან მიმართებით მოქმედებს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს საერთო ეროვნული მინიმალური ხელფასის ოდენობასთან შედარებით უფრო მაღალი მინიმალური ხელფასის ოდენობას. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლები და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართულ კლინიკებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი (ექიმები და ექთნები). საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა სრული დატვირთვის შემთხვევაში შეადგენს 384 ლარს და 75 თეთრს (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №108/ნ 2024 წლის 19 ივნისი). 2023 წლის 1 იანვრიდან (მთავრობის დადგენილება N36, 2023) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართულ კლინიკაში დასაქმებული ექიმის მინიმალური საათობრივი ანაზღაურება შეადგენს საათში არანაკლებ 7 ლარს [თვეში სულ ცოტა 1260 ლარი (დარიცხული)], ხოლო ექთნის – საათში არანაკლებ 4.4 ლარს [თვეში სულ ცოტა 792 ლარი (დარიცხული)].

ჩვენი აზრით, მაღალი უმუშევრობის პირობებში საკანონმდებლო დონეზე ქვეყნის მასშტაბით მინიმალური ხელფასის დაწესება ქვეყანაში ხელს შეუწყობდა დაბალი კვალიფიკაციის მუშაკთა გამოდევნას შრომის ბაზრიდან. თუმცა ამ კანონის შემოღების საკომპენსაციოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედებს შრომის ანაზღაურების დონის მარეგულირებელი ისეთი დეტერმინანტები, როგორიცაა საკომპენსაციო სხვაობა (რომელიც გამოიყენება ხელფასებს შორის იმ განსხვავებების აღსანიშნავად, რომლებიც სხვადასხვა სამუშაო ადგილების არაფულად მახასიათებლებს შორის განსხვავებითაა განპირობებული). ეს მიდგომა ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ჭუჭყიანი, ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაო ადგილების, ასევე ღამის ცვლაში მომუშავეთა საკომპენსაციოდ და არ მოიცავს განათლების სფეროში დასაქმებულთა და პროფე-სორების დაბალ ხელფასებს იმ უდიდესი ინტელექტუალური და პიროვნული კმაყოფილების გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ასრულებენ.

შრომის ანაზღაურების სისტემის მარეგულირებელ მნიშვნელოვან ფაქტორს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი, ცოდნა და უნარები, რომელსაც მშრომელი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით იძენს. რაც მეტია ადამიანური კაპიტალი, მით მეტია მისი შემოსავალი. ყურადსაღებია ხელფასის დონის განმაპირობებელი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განათლება. განმსაზღვრელ როლს ასრულებს ნიჭი, შრომისმოყვარეობა და იღბალი, პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ხარისხი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში, ეფექტური ხელფასების თეორიის გამოყენების პრაქტიკა, ასევე დისკრიმინაციული ხელფასები. აღნიშნული ფაქტორებიდან მოქმედი შრომის კანონმდებლობა საქართველოში მხოლოდ დისკრიმინაციული ხელფასების აკრძალვას ითვალისწინებს, რაც გულისხმობს სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებას ინდივიდებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ რასის, ეთნიკური ჯგუფების, სქესის, ასაკის ან სხვა პროფესიული მახასიათებლების მიხედვით (საქართველოს შრომის კოდექსი, 2020 მუხლი 4).

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დისკრიმინაცია დამსაქმებელთა მხრიდან, მოგების მოტივი და სეგრეგაცია. შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების საბაზრო მექანიზმების ამოქმედების მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისუფალი კონკურენციის, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური მექანიზმის მოქმედება, რაც კარტელური შეთანხმებების ხარჯზე მოგების ნორმის გადიდებისა და შრომის ანაზღაურების შემცირების გამო ნოყიერ ნიადაგს ქმნის

დამქირავებელთა მხრიდან სახელფასო დიკრიმინაციის გასაძლიერებლად, რასაც ადასტურებს 2024 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები. 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების მიხედვით განაწილებაში შრომის ანაზღაურება 31.3 პროცენტს შეადგენდა, გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე – 14.07%, მთლიანი საოპერაციო მოგება – 40,14 %-ს, საოპერაციო წმინდა მოგება – 31.6%-ს, მთლიანი შერეული შემოსავლები კი – 14.95 %-ს (საქსტატი, 2024), რაც ქვეყანაში არსებული არაჯანსაღი კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობაზე მიანიშნებს და დღის წესრიგში აყენებს ბაზრის ანალიზის კონკურენტული მექანიზმების გამოყენების აუცილებლობას შრომის ანაზღაურებისა და მოგების მაჩვენებლებს შორის ჩამოყალიბებული ტენდენციების გათვალისწინებით. უკანასკნელ პერიოდში ეს საკითხი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროში. საჯარო სექტორში სახელმწიფოს მიერ გატარებული შრომის ანაზღაურების გაუმჯობესების სექტორალური პოლიტიკის მიხედვით ქვეყანაში საშუალო განათლების (2023 წლიდან) და სამედიცინო სფეროს მუშაკთა ხელფასების (2022 წლიდან) მატების შედეგად დაწესდა საათობრივი ანაზღაურების ნორმები. შედეგად, ქვეყანაში იქმნება სიტუაცია, როცა სახელმწიფო ქმნის სოციალურ გარანტიებს განათლების დაბალი საფეხურის (დაწყებითი და საშუალო განათლების) დონეზე შრომის ანაზღაურების ამაღლების მიმართულებით, ხოლო უმაღლესი და პროფესიული განათლების კერძო სექტორში შტატში არჩეულ, აფილირებულ პროფესორ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა წელიწადში 6-7 თვის განმავლობაში საათობრივ ანაზღაურებაზე არის გადაყვანილი და მოკლებულია ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებსა და გარანტიებს (ჩიქოვანი 2023, 2024), რაც საგანგაშო მდგომარეობას ქმნის ქვეყანაში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუარესებისა და ეკონომიკის სამომავლო განვითარებისათვის. ამჟამად ქვეყანაში პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკუთრების ფორმის მიხედვით 2024-2025 წლის სასწავლო წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო სექტორში 4968 კაცს (აქედან პროფესორი – 1189, ასოცირებული პროფესორი – 2280, ასისტენტ პროფესორი – 855) შეადგენდა. კერძო სექტორში კი შესაბამისად, პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა 6467 კაცი იყო, აქედან 1438 იყო პროფესორი, 1960 – ასოცირებული პროფესორი, 798 – ასისტენტ პროფესორი (სტატისტიკური წელიწდეული 2024). გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო სექტორში დასაქმებულ პროფესორ-მაწავლებელთა უმრავლესობა არასრული დატვირთვით (მხოლოდ 6-7 თვის განმავლობაში) იღებს მიზერულ ანაზღაურებას, რაც არაჯანსაღი კონკურენციის, პარტნიორული ურთიერთობების განუვითარებლობისა და თანაბარ შრომაზე თანაბარი ანაზღაურების ფუნდამენტური პრინციპების დარღვევასა და თანაბარი შესაძლებლობების არ არსებობაზე მიუთუთებს ქვეყანაში (ჩიქოვანი. 2022; 2023).

ბიზნესსექტორში თავისუფალი კონკურენციული გარემოს არარსებობისა და სხვა საბაზრო მექანიზმების უმოქმედობის პირობებში საქართველოში დამახინჯებულია შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები. გადასინჯვას მოითხოვს მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ქვეყანაში დაკანონებული მინიმალური ხელფასის ოდენობა 20 ლ – ლარი (პრეზიდენტის ბრძანებულება N 351, 1999). საქართველოს კანონის, "საქართველოს შრომის კოდექსის" მიხედვით სახელმწიფო ზედამხედველობის მიღმა არის დარჩენილი კერძო სექტორში შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრობლემები, მოქმედი

კანონმდებლობა საქართველოში არეგულირებს შრომის ანაზღაურების ოდენობას სახელმწიფო სექტორში, რის მაგალითსაც წარმოადგენს „საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის“ ამოქმედება და ამ კანონის საფუძველზე მიღებული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №43 ბრძანებულება, რომლის პირველი მუხლის შესაბამისად აღმასრულებელ ხელისუფლებაში 2005 წლის 1 იანვრიდან განსაზღვრულია მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო. ამასთან ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშებისას საქსტატის ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში – „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის საკუთრების ფორმების მიხედვით“ – სახელმწიფო სექტორში არსებული საშუალო ხელფასი არ უნდა იყოს არასახელმწიფო სექტორში არსებული საშუალო ხელფასის არანაკლებ 80%-ზე ნაკლები და 90%-ზე მეტი (კანონი საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ, 2017), რაც არ შეესაბამება საქართველოში არსებულ რეალობას. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, ქვეყნის საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების ოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე კერძო სექტორში. ეს მაშინ, როდესაც პრაქტიკულად საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში პირიქით ხდება, რაც კერძო სექტორში დასაქმებულთა დემოტივაციისა და საქართველოდან კვალიფიცირებული კადრების გადინების არსებითი მიზეზი ხდება. 2023 წლის მონაცემებით საქართველოში სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1487 ლარს შეადგენდა. სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის სფეროში კი ეს მაჩვენებელი 2163 ლარი იყო. იგი 1.5-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ოდენობას და 1.13-ჯერ – არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის ოდენობას (საქსტატი, 2023).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შრომის ანაზღაურების რეგულირების მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ქაოსურია და სათანადო რეაგირებას მოითხოვს ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე მეცნიერთა და ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების გადასინჯვისა და შესაბამისი საბაზრო მექანიზმების ამოქმედების მიმართულებით. ამასთან, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ეს მიდგომა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. მოკლევადიან პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკურად მოზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო დონეზე მინიმალური ხელფასის დაწესება, რაც პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებდა წარმოების ხარჯების ზრდასა და უმუშევრობის დონის ამაღლებაზე. ეკონომიკური ზრდის კვალობაზე კი მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ამაღლება და ხელფასების სექტორალური რეგულირების ქვეყანაში ჩამოყალიბებული მიდგომების გაგრძელება დროის მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში. ამ მიმართებით გასათვალისწინებელია შრომის ანაზღაურების ჩამორჩენა განათლების სისტემის სფეროში და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების კერძო სექტორში, რაც სერიოზული დემოტივაციის გამო საფრთხეს წარმოადგენს პროფესორ მასწავლებელთა შრომის მოტივაციის დაქვეითებისა და სწავლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების მიმართულებით პარტნიორული ურთიერთობებისა და კონკურენციული ჯანსაღი მექანიზმების უმოქმედობის პირობებში.

გრძელვადიან პერიოდში კი უნდა შეიქმნას საფუძვლები შრომის ბაზრის რეგულირების საბაზრო მექანიზმების ამოქმედების მიმართულებით, რაც კონკურენტული გარემოს ფორმირების, შრომის ანაზღაურების სისტემაში დისკრიმინაციული მიდგომების აღმოფხვრის, საკომპენსაციო მექანიზმების გათვალისწინებისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების გზით უნდა იქნეს მიღწეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო პაქტი, 1976. ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ძალაში შევიდა 1976 წელს), https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0.

2. ევროპის სოციალური ქარტია 1999. ევროპის სოციალური ქარტიის განახლებული ვერსია (ძალაში შევიდა 1999 წელს), https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0.

3. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო.

4. საქართველოს შრომის კოდექსი, 2020. საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის ორგანული კანონი N 7177. ვებგვერდი 05.10. 2020 წ. https://moi.gov.ge/pdf/673efb8a0fd09.pdf

5. კანონი საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ, 2017. საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ, ქუთაისი, 22 დეკემბერი, 2017 წ. N1825-რს მუხლი 22;

6. პრეზიდენტის ბრძანებულება N 351, 1999: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №351 ,,მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ'', 1999 წლის 4 ივნისი. https://www.matsne.gov.ge/document/view/112786?publication=1.

7. სახელმწიფო პროგრამა 2022-2025. საქართველოს პრეზიდენტის №192 ბრძანებულება ,,მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის გაუმჯობესების 2002-2005 წლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', 2002 წლის 22 აპრილი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115780?publication=0.

8. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №43, 2005 წლის 24 იანვარი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/94168?publication=9.

9. განათლების მინისტრის ბრძანება, 2024. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №108/ნ 2024 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე.

10. მთავრობის დადგენილება N36, 2023. საქართველოს მთავრობის დადგენილება №36 ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ'', მუხლი 20, პუნქტი 54, ქვეპუნქტი ,,ა'': https://matsne.gov.ge/ka/document/view/1852448?publication=82.

11. ნინო ცაგარეიშვილი, ,,მინიმალური ხელფასი როგორც ადამიანის უფლება – საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოსთვის ''სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023.

12. ელენე ჩიქოვანი, 2024. თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული ''მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში,

საქართველოს ადგილი და გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2024 გვ.397-407, http://conferenceeconomics.tsu.ge/doc/konf.pdf

13. ელენე ჩიქოვანი, 2023. კორპორატიული შრომითი ურთიერთობები საქართველოში პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით ‘‘თბილისი, 2023 წლის 1-2 ივლისი. გვ. 52.

14. მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში. შესრულებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2016.

15. სოციალური დაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიული ხედვა. 2021. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), დოკუმენტი მოამზადა სამუშაო ჯგუფმა.

16. ნ. ცაგარეიშვილი, 2023. მინიმალური ხელფასი, როგორც ადამიანის უფლება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2023 https://socialjustice.org.ge/,,info@socialjustice.org.ge, https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

17. Ferrajoli, Luigi. 2000. *El garantismo y la fi losofía del derecho (The Guarantees Theory and the Philosophy of Law).* Translated by G. Pisarello, A. Estrada, and J. M. Díaz Martín. Bogotá: Universidad Externado de Colombia. 2001. *Los fundamentos de los derechos fundamentales (The Basis of Fundamental Rights).* Madrid: Editorial Trotta 2004. *Derechos y garantías: la ley del más débil (Rights and Guarantees: The Law of the Weakest).* Madrid: Editorial Trotta.

18. Gacitъa-Mariy and Andrew Norton, 2009:*Estanislao Gacitъa-Mariy and Andrew Norton.* Increasing Social Inclusion through Social Guarantees*in the Book:* Building Equality and Opportunity through Social Guarantees: New Approaches to Public Policy and the Realization of Rights. January 2009© The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank 1818 H Street NW Washington DC 20433 Telephone: 202-473-1000 Internet: www.worldbank.org E-mail: feedback@worldbank

19. 20.Schulten, Thorsten. “Contours of a European Minimum Wage Policy”, October 2014, p. 4: https://library.fes.de/pdf-files/id-moe/11008.pdf.

20. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2023, 2024 /საქსტატი. თბილისი, 2024. 2025 წწ.

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

Elene Chikovani

GUARANTEES OF REALIZATION UNIVERSAL RIGHTS ON LAWFUL LABOR RENUMERATION IN GEORGIA

Summary

Article focuses on the problems of realization of the social guarantees in Georgia. Special attention is paid on the realization of the worthy, lawful renumeration and development equal opportunities on equal work, defined by the “International Covenant on economic, social and cultural rights “and revised version of the “Social Chart of Europe” (signed by the Government of Georgia). which ensure, in particular: remuneration which provides all workers, as a minimum, with: fair wages and equal remuneration for work of equal value without distinction of any kind, with equal

pay for equal work; a decent living for themselves and their families in accordance with the provisions of Covenant.

Autor stands for the researcher's opinion to move from normative definition of social human guarantees towards the operationalization (mechanisms of the realization of the rights). Evaluates and substantiates existing challenges in lawful labor renumeration in Georgia such as: Inadequacy of the Normative Acts Regulating minimum wage and minimum level of renumeration in Georgia on the legislative and practical level. Existing deficiencies of the market mechanismს: distortions of the principle of equal pay for equal work, wage discrimination, sectoral wage policy used by the government of the country in regulation of the labor renumeration, noncompetitive environment, and distortion of the fundamental mechanisms of the principles of free competition are Stressed out.

Proposals towards practices of eradication of the wage discrimination and implementation of market mechanisms of the competitive and lawful wage policy are given for the short, medium and long run periods of time in the country.

გიორგი ხარშილაძე

ციფრული ტრანსფორმაციის სოციალური ასპექტები საქართველოში

ანოტაცია. *სტატია მიზნად ისახავს საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის სოციალური ასპექტების გაანალიზებას. გაანალიზებულია ციფრული ტექნოლოგიების გავრცელება და მათი ზეგავლენა სოციალურ ჯგუფებზე, რეგიონულ განსხვავებაზე, განათლებაზე, შრომის ბაზარსა და სოციალურ უთანასწორებაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ციფრულ უთანასწორობაზე ციფრული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. სტატიაში წარმოდგენილია რეკომენრაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს საზოგადოებრივი სივცრის ციფრულ ინტერგაციას.*

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ტრანსფორმაცია, სოციალური უთანასწორობა, საქართველოს ტექნოლოგიური ჩართულობა, განათლება, სოციალური ჯგუფები*

შესავალი

21-ე საუკუნე ციფრული ტექნოლოგიების უკიდურესად სწრაფი განვითარებითა და გავრცელებით არის გამორჩეული. იმ სამყაროში, სადაც ყოველდღიური ურთიერთობები, ეკონომიკური აქტივობა, პოლიტიკური მონაწილეობა და კულტურული კომუნიკაცია თანდათან უფრო მეტად ხდება ციფრულად მედიირებული, გარდაუვალია ის გავლენები, რასაც ციფრული ტრანსფორმაცია ახდენს საზოგადოებრივ სტრუქტურებზე. ამ პროცესს რთული და მრავალგანზომილებიანი ბუნება აქვს – იგი მოიცავს ტექნოლოგიურ განვითარებას, სოციალურ ურთიერთობათა ცვლილებას, ძალაუფლების გადანაწილებასა და საზოგადოებრივი დინამიკის ტრანსფორმაციას. ციფრული ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, არამედ ის წარმოადგენს ღრმა სოციალურ პროცესს, რომელიც გარდაქმნის ადამიანის სოციალურ ყოფასა და მის უნარს, იყოს სრულფასოვანი სუბიექტი ცვალებად სამყაროში.

ამ პროცესში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის სოციალური ასპექტები, რომლებიც უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სოციალური ჩართულობა, თანასწორობა, განათლებაზე წვდომა, შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია და დემოკრატიული მონაწილეობის შესაძლებლობები. საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა და გარდამავალ საზოგადოებაში, ციფრული ტრანსფორმაცია მიმდინარეობს არათანაბარი ტემპით და ხშირად აცდენილია სოციალური პოლიტიკის პრინციპებს. ტექნოლოგიური განვითარება ხშირად უსწრებს

სოციალური ჩართულობის დინამიკას, რაც აღრმავებს უკვე არსებულ უთანასწორობებს – მათ შორის, გეოგრაფიულ, ასაკობრივ და ეკონომიკურ ჭრილში.

გლობალურ დონეზე აღიარებულია, რომ ციფრული ჩართულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის განვითარების ყველა სფეროში. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ციფრულ წვდომასა და უნარებს განიხილავს როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ ინდიკატორს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGS) მიღწევის პროცესში **[United Nations Development Programme (2022)]**.

თანამედროვე ეტაპზე, ციფრული ტექნოლოგიები შეგვიძლია მივიჩნიოთ ახალ სოციალურ რესურსად, რომლის განაწილებაც განაპირობებს მოქალაქეების მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, განათლებასა და შრომით აქტივობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა ზოგადად იზრდება, ციფრულ სამყაროში ჩართვის უნარი კვლავ არათანაბრად არის განაწილებული – როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნითაც. ამის დასტურია ე.წ. ციფრული უთანასწორობა (Digital Divide), რომელიც განიხილება არა მხოლოდ წვდომის, არამედ გამოყენებისა და შედეგების მიხედვითაც. ჯენ ვან დაიკის მოდელის მიხედვით, ციფრული უთანასწორობა ოთხ ფაზად იყოფა: წვდომა, უნარები, გამოყენება და სოციალური შედეგები **[Van Dijk, J. (2005). გვ.. 21–46.]**. საქართველოშიც კარგად ჩანს, რომ მიუხედავად ინტერნეტის მოხმარების ზრდისა, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც უშლიან ხელს მოსახლეობის სრულფასოვან ციფრულ ინტეგრაციას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან – COVID-19-ის პანდემიის ფონზე – ციფრული ტექნოლოგიების როლი კიდევ უფრო გაძლიერდა და ციფრული ტრანსფორმაცია გახდა არა მხოლოდ განვითარების კომპონენტი, არამედ გადარჩენის აუცილებელი მექანიზმი. დისტანციური განათლება, ონლაინ სერვისები, შრომის ციფრული ფორმები – ეს ყველაფერი აქტიურად მოითხოვდა როგორც ტექნიკურ მზაობას, ისე მოქალაქეთა ცოდნას და უნარებს ციფრულ გარემოში ფუნქციონირებისთვის. თუმცა, ამ ეტაპმა მკაფიოდ წარმოაჩინა ის პრობლემები, რაც დღემდე მეტწილად დაუფარავი რჩება: საქართველოს რეგიონების ინფრასტრუქტურული ჩამორჩენა, მოწყვლადი ჯგუფების ტექნოლოგიური დაბრკოლებები და სახელმწიფო პოლიტიკის რეაგირების სიმცირე ან დაგვიანება.

ქართული კონტექსტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კვლევით დისკურსს წარმოადგენს, რადგან ის აერთიანებს როგორც გლობალურ გამოწვევებს, ისე რეგიონულ-პოლიტიკურ სპეციფიკას. საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება დაყოფილია ორ პარალელურ რეალობად: ერთი მხრივ, თბილისსა და დიდ ქალაქებში სწრაფად იზრდება ციფრული სერვისების წვდომა, ახალგაზრდები აქტიურად იყენებენ ონლაინ პლატფორმებს, ტექნოლოგიური კომპანიები ვითარდებიან და ჩნდება ციფრული ინოვაციების ცენტრები; მეორე მხრივ კი, სოფლებში, მცირე ქალაქებსა და მოწყვლად სოციალურ ჯგუფებში ფიქსირდება სერიოზული ჩამორჩენა – როგორც ტექნიკური, ისე უნარების დონეზე.

ციფრული ტრანსფორმაციის თეორიული საფუძვლები

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე სოციალური ცვლილებების ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორიაა, რომელიც მოიაზრებს ტექნოლოგიური მიღწევების გავლენას არა მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებზე, არამედ კულტურულ ღირებულებებსა და სოციალურ ურთიერთობებზე. მისი გააზრება საჭიროებს ინტერდისციპლინურ ანალიზს, რადგან ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც

ფენომენი, სცილდება ტექნოლოგიურ განზომილებას და პირდაპირ ებმის საზოგადოებრივი ურთიერთობების, ძალაუფლების და იდენტობის სტრუქტურას. იგი წარმოადგენს იმ სოციალურ-კულტურული ძვრების რთულ სისტემას, რომელიც ფორმირდება ტექნოლოგიური ინოვაციების, ინსტიტუციური გადაკეთებებისა და სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის ზემოქმედებით.

ციფრული ტრანსფორმაციის თეორიული გააზრებისას ხშირად მიმართავენ ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას, რომლის ფუძემდებელი მანუელ კასტელსია. კასტელსი აღწერს ახალ სოციალურ სისტემას – ე.წ. ქსელურ საზოგადოებას (Network Society), სადაც მთავარი რესურსი აღარ არის მატერიალური კაპიტალი, არამედ ინფორმაცია და მისი დამუშავების უნარი. ამ მოდელში სოციალური კავშირები განისაზღვრება ციფრული ქსელების მეშვეობით, ხოლო ძალაუფლება კონცენტრირდება იმ სოციალურ ერთეულებთან, ვინც აკონტროლებს ამ ქსელებს **[Castells, 1996: გვ. 45-67]**. ასეთი მიდგომა ცხადყოფს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია არ არის ნეიტრალური პროცესი – იგი იწვევს ახალი ტიპის ჰეგემონიის ჩამოყალიბებას, სადაც საზოგადოებრივი იერარქიები აღარ ეყრდნობა მხოლოდ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მექანიზმებს, არამედ ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის ხარისხს.

ამ ცვლილებების გააზრებაში დიდი წვლილი მიუძღვით კრიტიკულ თეორეტიკოსებს, რომლებიც ციფრულ ტრანსფორმაციას განიხილავენ როგორც სოციალურ დიფერენციაციის ინსტრუმენტს. ერთ-ერთი მთავარი თეორიული მახასიათებელია ე.წ. ციფრული უთანასწორობა (Digital Inequality), რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ ტექნოლოგიაზე წვდომის განსხვავებას, არამედ მისი გამოყენების უნარს, მიზანსა და შედეგებს. ვან დაიკი **[Van Dijk J 2005: გვ. 21–46]** ციფრულ უთანასწორობას ყოფს ოთხ ძირითად ეტაპად: წვდომა, უნარები, გამოყენება და შედეგები. ამ მოდელის თანახმად, ტექნოლოგიებზე წვდომა არ იძლევა სრულყოფილ სოციალურ ჩართულობას, თუკი ინდივიდს არ აქვს საკმარისი უნარი ამ ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისა, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მისი სოციალური კაპიტალის ხარისხს.

ციფრული ტრანსფორმაცია ასევე ცვლის სოციალურ იდენტობებს და ქმნის ახალ სოციალურ სივრცეებს, სადაც იდენტობა უკვე ნაკლებად არის დაკავშირებული გეოგრაფიულ ფიზიკურ გარემოსთან და უფრო მეტად განისაზღვრება ინდივიდის ციფრულ აქტივობაზე, ონლაინ პლატფორმებზე წარმართულ ურთიერთობებსა და თვითწარმოდგენაზე. შერი ტერკლის ნაშრომში ,,Alone together'' ხაზგასმულია, რომ ციფრულ სამყაროში ურთიერთობები ხშირად სიმულაციური ხდება, ადამიანები მიანიჭებენ უპირატესობას ტექნოლოგიურ შუამავლობას რეალურ ემპათიურ კავშირზე **[Turkle, 2011: გვ. 84-97]**. ეს ფენომენი განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდებსა და იმ სოციალურ ჯგუფებში, რომელთათვისაც ციფრული სივრცე წარმოადგენს თვითწარმოჩენის ძირითად პლატფორმას.

თეორიულად საინტერესოა ის პროცესიც, რომელსაც პიერ ბოუდრიე კულტურული კაპიტალის ციფრულ განზომილებად მოიაზრებს – ციფრული უნარები და ტექნოლოგიური წვდომა იქცევა იმ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ მობილობასა და მონაწილეობის ხარისხს. ციფრული სივრცეში მოქნილად მოქმედი ინდივიდი ეუფლება ისეთ პოზიციას, რომელიც სოციალური თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს პრივილეგირებულად **[Bourdieu, 1986: გვ. 241–258]**. ამით ციფრული ტრანსფორმაცია პარადოქსულად იქცევა როგორც ინკლუზიის, ასევე ექსპლუატაციის ინსტრუმენტად: ის აძლევს ახალ შესაძლებლობებს გარკვეულ ჯგუფებს, ხოლო სხვებს გამორიცხავს ამ შესაძლებლობებიდან.

მნიშვნელოვანია ასევე კიბერპოლიტიკური თეორიები, რომლებიც ციფრულ ტრანსფორმაციას განიხილავენ როგორც ძალაუფლების გადანაწილების პროცესს, სადაც ინტერნეტი და ციფრული მედია შეიძლება გახდეს როგორც დემოკრატიული ჩართულობის, ისე ინფორმაციული კონტროლის იარაღი. მარკ ანდრეევიჩი ციფრულ სივრცეს ასახავს როგორც „ციფრულ პანოპტიკონს“, სადაც მომხმარებლები მუდმივი თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების ობიექტები ხდებიან **[Andrejevic M, 2007: გვ. 101].** მსგავსად, კრისტიან ფუქსი ციფრულ პლატფორმებს მიიჩნევს კაპიტალისტური შრომის ახალი ფორმის სიმბოლოდ – მომხმარებლის აქტივობა იქცევა მონეტიზაციის საშუალებად და ციფრული შრომა გაუსამრჯელო სოციალურ შრომად გარდაიქმნება [**Fuchs C., 2014: გვ. 12–34]**.

ამ თეორიების სინთეზისას აშკარა ხდება, რომ ციფრული ტრანსფორმაციის ანალიზი მოითხოვს იმ წინააღმდეგობების გათვალისწინებას, რაც იშლება ტექნოლოგიურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის. საქართველოს რეალობაში ეს დისკურსია განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან ციფრული ინფრასტრუქტურა და უნარების განვითარება არათანაბრად ვითარდება. კვლევები აჩვენებს, რომ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ხშირად არ გააჩნია არც შესაბამისი ტექნოლოგია და არც საკმარისი კომპეტენცია ციფრულ სერვისებში ჩასართავად, რის გამოც ისინი გამორიცხულნი რჩებიან სახელმწიფო სერვისების მნიშვნელოვან ნაწილში. გარდა ამისა, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში უკიდურესად მნიშვნელოვანია სოციალური ჩართულობის სტრუქტურების გააზრება, რაც მოიცავს განათლების სისტემის, შრომის ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციებს. ციფრული სწავლება და შრომის დისტანციური ფორმები საქართველოსთვის ახალი ფენომენია, რომელიც საჭიროებს როგორც ნორმატიული ჩარჩოს განსაზღვრას, ისე ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას **[UNDP, 2022: გვ. 19–23].** სწორედ ამ მხარეების იგნორირება აჩენს სოციალურ დაყოფას „ციფრულად ჩართულ“ და „გარდა დარჩენილ“ ჯგუფებს შორის, რაც იმეორებს სოციალურ უთანასწორობას უკვე ახალ, ტექნოლოგიურ ფორმატში.

ციფრული ტრანსფორმაციის სოციალური უთანასწორობის ასპექტები საქართველოში

ციფრული ტრანსფორმაცია ერთდროულად წარმოადგენს როგორც ტექნოლოგიურ ინოვაციას, ისე ღრმა სოციალურ მოვლენას, რომელიც გარდაქმნის საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ადამიანთა ყოველდღიურობასა და სოციალური ურთიერთობების ხასიათს. საქართველოში აღნიშნული პროცესები პოსტსაბჭოთა სისტემიდან გამომდინარე მემკვიდრეობით, სუსტი ინსტიტუციური განვითარების, სოციალური დიფერენციაციისა და რეგიონული უთანასწორობის ფონზე მიმდინარეობს. შესაბამისად აუცილებელია ამ ტრანსფორმაციის ანალიზი როგორც მიკრო,ისე მაკრო და სოციალურ დონეზე.

საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის სოციალური კოტექსტი მოიცავს რამდენიმე ფუნადენტურ კომპონენტებს: ინფრასტურულ ხელმისაწვდომობას, სოციალური ჯგუფების ჩართულობას, უნარების ასიმეტრიას, ეკონომიკური რესურსების განაწილებასა და ინსტიტუციური მხარდაჭერის ხარისხს. ამ ყველაფრის ფონზე, აშკარად ვლინდება სოციალური უთანასწორობის კვლავწარმოებას ახალ ტექნოლოგიურ სივრცეში, რაც ციფრულ განზომილებას აქცევს სოციალური სტრუქტურების ასიმეტრიული დინამიკის განმამტკიცებელ მექანიზმად.

საქართველოში ინტერნეტზე წვდომა და ციფრული სერვისებით სარგებლობა ნომინალურად გაუმჯობდესდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. Aმის დასტურად

შეგვიძლია მოვიყვანოთ 2024 წლის მონაცემები, ინტენეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი ქვეყანაში 91%-ს უტოლდება **[საქსტატი, 2024]**, თუმცა, გეოგრაფიული, ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების ჭრილში ეს მაჩვენებელი სერიოზულად განსხვავდება. სწორედ ამ განსხვავებებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ციფრული თანასწორობის და სამოქალაქო მონაწილეობის შესაფასებლად. ინტერნეტზე წვდომა არ ნიშნავს ავტომატურ მონაწილეობას ციფრულ საზოგადოებაში, პირიქით იგი მხოლოდ შესასვლელია იმ ფართო სოციოტექნოლოგიურ სივრცეში, რომელში ნავიგაცია საჭიროებს უნარებს, მოტივაციას და რესურსებს.

ციფრული უნარების სიმძიმის განაწილება სხვადასხვა სოციალურ ფენებში ქმნის ციფრულ სიღარიბეს. ეს უკანასკნელი არ არის მხოლოდ ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა, იგი მოიცავს ინფორმაციის ანალიზის უნარს, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას და კრიტიკული აზროვნების კულტურასაც. ზოგადად, ციფრული უთანასწორობა მომდინარეობს სამი კომპონენტის ერთობლიობისგან: მატერიალური წვდომა, უნარების ფლობა და მოტივაცია აქტიური გამოყენებისთვის. საქართველოში ყველა ეს კომპონენტი სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ ჯგუფში მყიფეა. მაგალითად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი არა მხოლოდ ფლობს საჭირო ტექნოლოგიებს, არამედ არ ხედავს მოტივაციას ონლაინ სერვისებით სარგებლობისთვის, რაც დამატებით ამძაფრებს მათ გამორიცხვას სახელმწიფო და ეკონომიკური აქტივობისგან.

მნიშვნელოვანი სოციალური დინამიკა გამოიკვეთა განათლების სისტემაში, სადაც ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ სწავლების ფილოსოფიის რეფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ 2021 წელს დააანონსა ციფრული განათლების სტრატეგია, პანდემიისას აღმოჩნდა, რომ სკოლათა დიდი ნაწილი ვერ პასუხობდა დისტანციური სწავლების გამოწვევებს. ათასობით მოსწავლემ ვერ მიიღო დისტანციური განათლება, მოწყობილობების, ინტერნეტის ან მასწავლებელთა მზაობის დეფიციტის გამო ეს განსაკუთრებით შეეხო ეთნიკურ უმცირესობებს, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქმნის განათლების ხარისხის მკვეთრ დიფერენციაციას.

ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია სამოქალაქო ჩართულობა. ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული პეტიციები, ონლაინ საჯარო განხილვები წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომლებიც ციფრულ დემოკრატიას ემყარება. თუმცა კვლევები აჩვენებს რომ საქართველოში ელექტრონულ მმართველობაში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალი, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრებ დაბალი განათლების მქონე მოქალაქეებს შორის**[UNDP, 2023]**.

მოქალაქეთა ციფრული ჩართულობის დაბალი დონე მიუთითებს არა მხოლოდ ტექნიკური ცოდნის ნაკლებლობაზე, არამედ პოლიტიკური კულტურის არასათანადო განვითარებაზე. ხშირია ფორმალური ჩართულობა – მაგალითად, ელექტრონულ პეტიციებზე ხელმოწერა – რომელიც არ გადადის რეალურ პოლიტიკურ მონაწილეობაში. ეს ცხადყოფს რომ ციფრული სივრცის პოლიტიზაცია საქართველოში სტრუქტურულად ჯერ კიდევ არ მომხდარა.

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ასიმეტრიულად აისახება შრომის ბაზარზე. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ადგილები, მეტად სარგებლობენ დისტანციური შრომის მოდელით, თუმცა უმრავლესობა დასაქმებულისა მუშაობს ისეთ სფეროებში, სადაც დისტანციური მოდელი ვერ ხორციელდება, მაგალითად სოფლის მეურნეობაში

წარმოებაში. ყოველივე ამის საფუძველზე შრომითი ბაზარი ორ ნაწილად უნდა დავყოთ – ციფრულ მოქნილ და ციფრულად გაუქმებულ სექტორებათ **[World Bank. 2023]**.

ციფრული სერვისების მიმართ უნარების მოტივაციის უთანასწორობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ე.წ. „ციფრულად მარგინალიზებულ“ ჯგუფებში, რომელთა შორისაც იგულისხმება ხანდაზმულები, ეთნიკური უმცირებსობების წარმომადგენლები, დაბალშემოსავლიანი ოჯახები და შშმ პირები. მაგალითად, 2024 წლის მონაცემებით 60 წელს გადაცილებული პირთა 89.1% ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე იყენებდა ინტერნეტს, მათგან დიდი ნაწილი მხოლოდ იყენებს მხოლოდ სოციალურ ქსელებს (86.2%), ინტერნეტ/აუდიო კავშირის (92.4%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (42.5%), ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (37.4%) **[საქსტატი, 2024],** უყურადღებოთ ტოვებს საჯარო სერვისების ელექტრონულ ვერსიებს, ბანკინგის სისტემებს. შედეგად, ისინი რჩებიან დამხმარე პირებზე დამოკიდებულნი – შვილებზე, ნათესავებზე ან გარშემომყოფებზე, რაც ზრდის მათ სოციალურ იზოლაციას და თვითდამოკიდებულების შემცირებას.

მსგავსი ტენდენცია იკვეთება ეთნიკური უმხირესობების შემთხვევაშიც, განსაკუთრებით ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც ენობრივი ბარიერი კიდევ უფრო ამძაფრებს ციფრულ სივრცეში შემოსვლის დაბალ შანსებს. ციფრული სერვისების დიდი ნაწილი არ ითვალისწინებს მრავალენოვანობას და საინფორმაციო რესურსების ქართული ენის დომინაცია აზერბაიჯანულ და სომხურენოვან მოსახლეობის სრულფასოვან ჩართულობას. ამასთან, რეგიონებში ინსფრასტრუქტული გამოწვევების აქტუალურია – მაგალითად მაღალმთიან რეგიონებში ინტერნეტის სიჩქარე არ ან ვერ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო ან ბიზნესს საქმიანობის მინიმალურ სტანდარტებს.

განსაკუთრებული ყურადღებას საჭიროებს ახალგაზრდების ციფრული ტრანსფორმაციის ინტეგრაციის საკითხები. ერთის მხრივ, ახალგაზრდები ქმნიან იმ სოციალურ ფენას, რომელიც ყველაზე ბუნებრივად ინტეგრირდება ტექნოლოგიურ სამყაროში – ისინი აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას, ფლობენ საბაზისო ტექნოლოგიურ უნარებს და ინტერაქციაში იმყოფებიან ფლობალურ ციფრულ კულტურასთან. თუმცა, აღნიშნული ჩართულობა ხშირად ზედაპირულია და არ გულისხმობს პროდუქტიულ ან შემოქმედებით გამოყენებას. ახალგაზრდების უმეტესობა აქტიურად იყენებს TikTok, Insatgram, მაგრამ არ ფლობს პროფესიულ დონეზე პროგრამირებას, მონაცემთა ანალიზს ან ციფრული მეწარმეობის უნარებს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ეს წარმოადგენს ე.წ. „მეორე დონის ციფრულ გამონაკლისს“ როცა ადამიანებს ტექნოლოგიებთანწვდომა აქვთ, მაგრამ მათ არ იყენებენ მაღალი ეკონომიკური და სოციალური ღირებულებების შესაქმნელად.

სწორედ ამიტომ, საქართველოს შემთხვევაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს არაფორმალურ განათლებას და შემეცნებით პროექტებსა თუ პროგრამებს, რომლებიც იმ სოციალური ფენებისთვის ინქბეა მიზნობრივი, ვისაც სახელმწიფო სისტემური მხარდაჭერა ნაკლებად აქვს. ჩიფრული წიგნიერების კურსები, ახალგაზრდული ჰაბები, უნივერსიტეტებთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ჰაბები შეიძლება მივიჩნიოთ იმ არხებად, რომლებიც ხელს შეუწყობს პროდუქტიულ უნარებზე ორიენტირებულ ტრანსფორმაციას. დღესდღეობით ასეთი ინიციატივები ძირითადად კერძო ან საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით სახელმწიფოს სისტემური პასუხისმგებლობის დეფიციტზე.

გენდერული განსხვავება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის სოციალურ ანალიზში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. Oფიციალური სტატისტიკის 2022 წელს ინტერნეტით სარგებლობდა ქალების 78% და მამაკაცების 89%, რაც უკვე აფიქსირებს წვდომის გარკვეულ სხვაობას **[UN Woman 2022]**. თუმცა რეალური განსხვავება ვლინდება არა იმდენად წვდომაში, რამდენადაც ტექნოლოგიების გამოყენების ტიპსა და ხარისხში. ქალები იშვიათად არიან წარმოდგენილნი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, რთულ Iთ სექტორში ან ციფრულ მენეჯმენტში. Iჩთ სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ მესამედი ქალია, ხოლო ლიდერულ პოზიციებზე მათი წილი 10%-ს არ აღემატება. ეს მდგომარეობა ასახავს გენდერულ სტრუქტურლ ბარიერებს, რაც საბოლოოდ ზღუდავს ქალების სრულფასოვან მონაწილეობას ციფრულ ეკონომიკაში. ამ პროცესის გაღრმავებული გაანალიზება საჭიროებს ასევე იმ ფაქტორთა გათვალისწინებას, რომლებიც გავლენას ახდენს ციფრულ ეკონომიკაზე – კერძოდ, მეწარმეობის შესაძლებლობაზე, დისტანციური შრომის პირობებზე, ელექტრონული კომერციის განვითარებაზე და ციფრული სერვისების ლოკალიზაციაზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციას ჯერ კიდევ შეზღუდულია ადგილობრივი ბაზრი სიმცირით, ტექნოლოგიური სტარტაპების დაბალი კაპიტალიზაციით და სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი წახალისებით.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მოქალაქეობრივი მონაწილეობა და დემოკრატიული ჩართულობა იკავებს ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს. ციფრული მოქალაქეობა გულისხმობს ინფორმირებულობას, კრიტიკურ ჩართულობას, ინტერნეტში ნავიგაციის ეთიკურობას და ციფრულ სივრცეში სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვას, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად გაიზარდა მოქალაქეთა წვდომა სახელმწიფო სერვისებზე, მაგალითად ელექტრონული იდენთიფიკაციის, ონლაინ პეტიციების ან ბიუროკრატიული მომსახურების ხელმისაწვდომობის კთხით, ჩართულობის ხარისხობრივი მაჩვენებები მიანიშნებს გარკვეულ სიღმისეულ პრობლემებზე. ჩიფრული მოქალაქეობის განვიარება საჭიროებს არა მხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და უნარების ქონას, არამედ სოციალურ მოტივაციასა და ნდობას. ნდობის კრიზისი – როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე ონლაინ სივრცის მიმართ საქართველოში ერთ-ერთ გადამწყვეტ ბარიერეს წარმოადგენს. მოქალაქეთა უმრავლესობა ეჭვის თვალით უყურებს სახელმწიფო ელექტრონულ სერვისებს, მობილური აპლიკაციებით მიერ შეგროვებულ მონაცემებსა და ონალინ იდენტიფიკაციის მექანიზმებს, რაც აფერხებს მათ ფართო გამოყენებას. გარდა ამისა, ონლაინ სივრცე, რომელიც შეიძლება იქცეს დემოკრატიული დისკუსიის პლატფორმად, საქართველოში ხშირ შემთხვევაში ფუნქციონირებს ფრაგმენულრად და პოლარიზებულად. სოციალური მედია-სივრცეში პოლიტიკური დებატები ხშირად დეზინფორმაციისა და ე.წ. „დოქსინგის“ (განსხვავებული აზრის მქონე პირის პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება) გავლენით იმართება. ეს პროცესი იწვევს ე.წ. ციფრული ტოქსიკურობის გარემოს, რომელიც ასუსტეს ჯანსაღ სამოქალაქო დისკუსიის პროცესს და მოქალაქეთა ჩართულობას. შედეგად მოქალაქეთა ნაწილისთვის ციფრული სივრცე აღიქმება არა როგორც შესაძლებლობა, არამედ მუქარის წყარო – განსაკუთრებით ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში, რომელთაც აქვთ კიბერბულინგის ან სექსისტური თავდასხმები გამოცდილება **[Freedom House, 2021]**.

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ციფრული მმართველობის პროცესში არსებულ პრობლემებზე. მართალია, ბოლო წლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფო სერვისების ელექტრონიზაციის მიმართულებით – საჯარო რეესტრის სერვისები, საგადასახადო აპლიკაციები, სოციალურ დაცვის ელექტრონული სისტემები, მაგრამ მოქალაქეთა მიერ ამ სერვისების გამოყენება მაინც არათანაბარია. ძირითადი პრობლემა არა მხოლოდ ტექნოლოგიური წვდომის არარსებობაა, არამედი ინფორმირებულობის ნაკლებობა: მოქალაქეთა უმრავლესობა დარწმუნებული არ არის იმაში თუ რა სერვისს როგორ უნდა მიმართოს, ან როგორ უნდა გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია. დემოკრატიული მონაწილეობის ფორმები – როგორიცაა ელექტრონული პეტიციები, ონლაინ კონსულტაციები, ბიუჯეტის განხილვის პლატფორმები – ძირითადში ურბანლულ სივრცეში ფუნქციონირებენ, სადაც მოქალაქეები მეტწილად აქტიურად იყენებენ ადგილობრივი თვითმართველობის ციფრულ არხებს, თუმცა რეგიონულ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა ჩართულობა გაცილებით დაბალია, რაც მიუთითებს იმაზე რომ ციფრული დემოკრატია არ ან ვერ ფარავს სრულად გეოგრაფიულ და სოციალურ სივრცეებს.

ციფრული მოქალაქეობის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. „ინფორმაციული სუვერენიტეტის“ საკითხი. ციფრული პლატფორმეის მფლობელობა, მონაცემთა კონტროლი და საგარეო პლატფორმებზე დამოკიდებულება მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა საქართველოსთვის. მაგალითად საქართველოს ციფრული ეკონომიკის დიდი ნაწილი ეფუძნება უცხოურ პლატფორმებს, (Google, Facebook, Amazon Web Services) რაც ქმნის მონაცემთა ლოკალიზაციის, ინფორმაციული უსაფრთხოების და ციფრული სუვერენიტეტის საკითხებს. ევროკავშირის მსგავსად, საქართველოც საჭიროებს მონაცემთა დამუშავების დამოუკიდებელ ჩარჩოებს, მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლეას და ადგილობრივი მონაცემების გონივრულ დაცვას. აღნიშნული საკითხები მხოლოდ ტექნოლოგიური კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის პრობლემებია.

ციფრული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ მმართველობის, ეკონომიკის და განათლების სფეროებს ეხება, არამედ ღრმა გავლენას ახდენს სოციალურ იდენტობებზე, კულტურულ ნარატივებზე და ინდივიდების თვითაღქმაზე. თანამედროვე ციფრულ გარემოში იდენტობა აღარ არის მხოლოდ ფიზიკური კოტაქტის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტრუქცია, ის აქტიურად კონსტრუირდება და რეპრეზენტირდება ონალინ პლატფორმებზე, სოციალური მედიის საშუალებით, სადაც ინდივიდები ქმნიან თავიანთ სოციალურ „მე“-ს და ციფრულ ანარეკლებს.

საქართველოში სოციალური მედიის ფართო გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სოციალური ურთიერთობების ფორმა და სტრუქტურა. ბოლო მონაცემებით, Facebook-ს მომხმარებელთა რაოდენობა 2025 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 76,56%-ი იყენებდა. ეს მოცემულობა მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მედია იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ თვითწარმოდგენის, იდენტობის ფორმირების, პოლიტიკური პოზიციონირებისა და სოციოკულტურული კოდის მატარებელ სივრცედ. შოციალური ჯგუფები ხშირად იყენებენ ამ პლატფორმებს საკუთარი ინტერესის, ღირებულებების და ნარატივები საჯაროდ დასაფიქსირებლად – იქნება ეს რელიგიური პოზიციები, ეთნიკური კუთვნილება თუ სოციალური პროტესტი.

თუმცა, ციფრული სივრცის ეს დემოკრატიული პოტენციალი ხშირად შეზღუდულია ტოქსიკური კომუნიკაციის მოდელებით, პოლიტიკური ჩარევით, რაც ართულებს სოციალურ ჯგუფებს შორის ბალანსირებულ დისკუსია. კვლევების დიდი ნაწილი მიუთითებს რომ საქართველოში სოციალური მედიის გამოყენება ხშირად

ემყარება ე.წ. „ეკო-სისტემებს“, ანუ ინფორმაციულ ბუშტებს, სადაც მომხმაებლები ხედავენ იმ აზრებს და ნარატივებს, რომლებიც მათ წინასწარ რწმენებს ადასტურებს, რაც ქმნის ღრმა პოლარიზაციას და აფერხებს სოციალური დიალოგის შესაძლებლობებს. გარდა ამისა, სოციალური მედიის გავლენით იზრდება ე.წ. „შედარებითი სტრესის“ მაჩვენებელი, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ამ ფენომენს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ასპექტური გამონაკლისების პარადოქსი“ ადამიანები ხედავენ სხვის წარმატებებსა და ცხოვრებაც, რაც მათში იწვევს შფოთვას, თვითდაუფასების დაქვეითებასა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შემცირებას. საქართველოში ეს პრობლემება აქტუალურია რადგან სოციალური მედიის სივრცე ხშირად ასახავს მატერიალურად და სიმბოლურად გამორჩეულ ჯგუფებს – მაღალი სტატუსის მქონე ახალგაზრდებს, ინფლუენსერებს, ბიზნესმენებეს – რაც ქმნის არარელევანტურ სტანდარტებს და ამძაფრებს განსხვავებების აღქმას.

ციფრული იდენტობის სტრუქტურა განსაკუთრებით ცხადად ჩანს ე.წ. „სარეკლამო იდენტობებში“ ანუ იმ ფორმაში, რომელსაც მომხმარებლების ქმნიან პლატფორმების ალგორითმული მიზნობრიობისთვის. მაგალითად, მომხმარებლის მიერ დარეგისტრირებული ინტერესები, ლაიქები, კომენტარები და ძიების ისტორია აყალიბებს მათ „ციფრულ პროფილს“ რომელსაც შემდეგ იყენებენ რეკლამის დამგეგმარები და პოლიტიკური სტრატეგები. ეს ფენომენი ეფუძნება ფუკოსეული ბიოპოლიტიკის ცნებას რომელიც მიუთითებს იმაზე რომ ციფრული იდენტობა იძენს სამეთვალყურეო და ეკონომიკურ დატვირთვას და ხდება მოდიფიცირებული. ეს პროცესი განსაკუთრებულად სახიფათო ხდება მაშინ, როდესაც იდენტობის კონსტრუქცია გარე ძალების მიერ იმართება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოლო პერიოდში ფაცებოოკ სივრცეში აღმოჩენილი რამდენიმე ყალბი გვერდი, რომლებიც მიზანმიმართულად ავრცელებდნენ პრორუსულ ნარატივებს და ანტიდასავლურ გზავნილებს. ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ ციფრული სივრცე, მისი ღია ბუნების მიუხედავად შეიძლება იქცეს ძალაუფლების იარაღად, რომელიც ავითარებს ასიმეტრიულ გავლენას საზოგადოებაზე.

დასკვნა

ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოში არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესი – იგი სიღრმისეულად ეხება ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სტრუქტურებს. Kვლევების მიხედვით, საქართველოს ციფრული გარდაქმნა ქმნის როგორც პროგრესის შესაძლებლობებს, ისე ახალი ტიპის უთანასწორობას. ციფრულ სივრცეში ჩართულობის დონე მკვეთრად განსხვავდება სოციალური ჯგუფების, გენდერული, ასაკობრივი, ეთნიკური თუ გეოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. ინტერნეტზე ფორმალური წვდომა ვერ უზრუნველყოფს რეალურ ჩართულობას, რადგან საჭირო ციფრული უნარების არარსებობა განათლეაზე უთანასწორო წვდომა და სოციალური მარგინალიზაცია კვლავაც ფართოდ არის გავრცელებული. საგანმანათლებლო და შრომით ბაზრებზე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მაგალIთრები ცხადყოფს, რომ პროცესის სტრუქტურული ინტეგრაცია არ ხდება თანაბრად და თანასწორად – სახელმწიფო და კერძო სექტორის ძალისხმევა ფრაგმენტურად და სექტორულად იზოლირებული რჩება.

გლობალურ ტენდენციებთან შედარებით საქართველოში ციფრული ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზეა სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ესტონეთის, ფინეთის და სამხრეთ კორეის გამოცდილება ადასტურებს, რომ წარმატებული ტრანსფორმაციისთვის აუცილებელია ინკლუზიური

განათლების პოლიტიკა, ინფრასტრუქტურული თანასწორობა და მრავალგანზომილებიანი სტრატეგიული ხედვა. საქართველო კი ამ ეტაპზე ძირითადად ტექნიკურ-ადმნისტრაციულ რეფორმებზეა კონცენტრირებული და ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალური ინკლუზიურობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხებს.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების, ქალებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ციფრული მარგინალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჯგუფი (მაგალითად ურბანულ სივრცეში მცხოვრები ახალგაზრდები) ციფრულად მეტად აქტიურია, თუმცა ციფრული აქტივობა სულაც არ ნიშნავს მოქალაქეობრივ ან ეკონომიკურ ჩართულობას. შესაბამისად, ციფრული მოქალაქეობა საქართველოში ჯერ კიდევ ზედაპირული და წყვეტილია, ხოლო ელექტრონული მმართველობის პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული.

წარმოჩინდა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტები მეტწილად გლობალურ ტენდენციებზე მორგებული და ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ რეალობას, რეგიონის სპეციფიკას და სოციალურ კონტექსტს. Aმიტომ თუ საქართველოს უნდა მოახდინოს ეფექტიანი და სამართლიანი ციფრული ტრანსფორმაცია საჭიროა შერეული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიურ, სოციალურ და პოლიტიკის სინთეზს.

რეკომენდაციები, რომლებიც ციფრული ტრანსფორმაციის უნდა განვიხილოთ მრავალფეროვანი და მოიცავს:

- ციფრული განათლების სისტემური რეფორმა, რომელიც მოიცავს სკოლამდელიდან პროფესიულ დონემდე;
- რეგიონული ინფრასტრუქტურის გაძლიერება – განსაკუთრებით მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზონებში;
- სპეციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისთვის: ხანდაზმულები, ქალები, უმცირესობები;
- სახელმწიფო ციფრული სერვისების მრავალენოვანი, მომხმარებელზე მორგებული ფორმატი;
- ახალგაზრდებისთვის პროფესიული ციფრული უნარების განვითარება და მათი შრომით ბაზარზე ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- ელექტრონული მექანიზნების დემოკრატიზაცია და მოსახლეობის კრიტიკული ციფრული უნარების ამაღლება

საბოლოო ჯამში, თუ საქართველო რეალურად მიაღწევს ფართომასშტაბიან ციფრულ გარდაქმნას, იგი უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, არამედ სამართლიანობას, სოციალურ ჩარტულობასა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემურ ხედვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. United Nations Development Programme. *Digital Strategy 2022–2025:* New York: United Nations Development Programme.2022
